ვახუშტი ბაგრატიონი

საქართველოს გეოგრაფია

„მეცნიერება“ 1997 თბილისი

26.8(2Г)
91(479.22)
3 277

ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს გეოგრაფია“ ჩვენი ქვეყნის სრული აღწერის პირველი ცდა ქართული გეოგრაფიული მეცნიერების უძველესი, ყველაზე სრულყოფილი, ენციკლოპედიური შინაარსის ორიგინალური გეოგრაფიული ნაწარმოებია. იგი პირველად ქვეყნდება გეოგრაფთა რედაქციით და შესაბამისი კომენტარებით. წიგნს თან ერთვის ვახუშტისეული რამდენიმე ფერადი რუკა.

მთავარი რედაქტორი, *გეოგრაფ. მეცნ. დოქტორი, პროფ.* ზურაბ ტატაშიძე
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გეოგრაფ. მეცნ. დოქტორი. პროფ. დავით უკლება
გეოგრაფ. მეცნ. დოქტორი კობა ხარაძე

3 $\frac{1805010000}{\text{M } 607\ (06) - 97}$

© „მეცნიერება“, 1997

ვახუშტი ბაგრატიონი
(1696-1758)
ლ. ფავნელიშვილის ნახატი

დაიბეჭდა ვახუშტი ბაგრატიონის დაბადების 300 წლისთავის
საიუბილეო კომიტეტის დადგენილებით

1941 ႼႪႨႱ ႢႠႫႭႺႤႫႨႱ ႼႨႬႠႱႨႲႷႥႠႭႡႠ

XVIII საუკუნის გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, გეოგრაფისა და ისტორიკოსის ვახუშტის შრომა „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ დღესაც დიდ ინტერესს იწვევს არა მარტო გეოგრაფთა შორის, არამედ სხვა სპეციალობის მუშაკთა შორისაც.

აღნიშნულ შრომაში ვახუშტის განსაკუთრებული ოსტატობით აქვს მოცემული მდიდარი მასალა საქართველოს გეოგრაფიის შესახებ: საქართველოს მრავალფეროვანი ბუნება, მისი ბუნებრივი საწარმოო ძალები, მოსახლეობა, დასახლებული პუნქტები, სამეურნეო საქმიანობა და სხვ. ძველ საქართველოს არ დაუტოვებია მეორე ასეთი წიგნი, სადაც მსგავსი სისრულითა და სიღრმით იყოს აღწერილი ჩვენი ქვეყანა. ამიტომ ეს შრომა, როგორც საქართველოს სრული აღწერის პირველი ცდა, უდიდეს ისტორიულ განძს წარმოადგენს. ასევე ძვირფასია იგი, როგორც ქართული მეცნიერული გეოგრაფიის ერთერთი უძველესი და ყველაზე უფრო სრულყოფილი ძეგლი. ცნობილია, რომ ვახუშტის შრომა, კერძოდ, მისი რუკები, დიდი ხნის განმავლობაში ძირითად წყაროს და მისაბაძ მაგალითს წარმოადგენდა საქართველოს და საერთოდ კავკასიის გეოგრაფიული აღწერისა და რუკების შედგენისათვის როგორც რუსეთში, ასევე დასავლეთ ევროპაშიაც.

საბჭოთა მკითხველს, რომელსაც აინტერესებს ყოველივე დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობა, არ ჰქონდა შესაძლებლობა, რათა გაცნობოდა ამ დიდ გეოგრაფიულ შრომას, რადგან მისი ძველი გამოცემანი უკვე დიდიხანია ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენენ; ამასთანავე, რადგან ეს შრომა მისი დაწერიდან ორასი წლისთავზეც მეცნიერულ ინტერესს მოკლებული არაა, საქართველოს გეოგრაფიულმა საზოგადოებამ განიზრახა მისი ახალი გამოცემა.

ვახუშტის შრომის გამოცემისათვის სამზადისი საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების მიერ დაწყებულ იქნა რამდენიმე წლის წინათ. შრომის ავტოგრაფის ტექსტის მეცნიერული დადგენა, კომენტარიების, ლექსიკონისა და საძიებლების დართვით, აგრეთვე ვახუშტის ბიოგრაფიის შედგენა და, ამგვარად, აღნიშნული გეოგრაფიული შრომის განახლებული გამოცემა, ცხადია, დიდ დროსა და შრომას მოითხოვდა. ამ საქმის შესრულება საზოგადოების პრეზიდიუმმა ისტორიკოსებს — ნიკოლოზ ბერძენიშვილსა და თამარ ლომოურს მიანდო, რომელთა რედაქციით ქვეყნდება ვახუშტის წინამდებარე შრომა. ვახუშტის, როგორც გეოგრაფის, დახასიათების შედგენა და ვახუშტის რუკების გამოცემა ტექსტთან ერთად ვერ მოესწრო, საქარველოს გეორაფიული საზოგა-

დოებისაგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო, აღნიშნული რუკები ცალკე გამოიცემა სათანადო აღწერილობითა და განმარტებებით.

საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება დარწმუნებულია, რომ ვახუშტის გეოგრაფიის ამ გამოცემით აწოდებს საბჭოთა მკითხველს არა იმდენად ისტორიული ხასიათის გეოგრაფიულ შრომას, რამდენადაც ჩვენი ქვეყნის მდიდარი და მრავალფეროვანი ბუნების შესწავლისათვის აუცილებელ დასაყრდენ გეოგრაფიულ წყაროს.

წინამდებარე შრომის გამოცემაში სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა საკმაოდ დიდი წვლილი შეიტანა.

ვახუშტის შრომის გამოცემა ეძღვნება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ოცი წლის საიუბილეო თარიღს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲒᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘ

თებერვალი, 1941 წელი

ახალი გამოცემის წინასიტყვაობა

XVIII ს. დიდი ქართველი მეცნიერისა და სახელმწიფო მოღვაწის – ვახუშტი ბაგრატიონის დაბადებიდან 300 წლისთავის საიუბილეო დღეების აღნიშვნასთან დაკავშირებით, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით (№ 134, 30.01.1996 წ.) 1997 წ. ოქტომბერში გაიმართება, საიუბილეო კომიტეტის მიერ შემუშავებულ ღონისძიებათა ნუსხა ითვალისწინებდა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული მონუმენტური თხზულების – „საქართველოს ცხოვრების“ გეოგრაფიული ნაწილის და დღემდე გამოუქვეყნებელი საქართველოს ატლასების გამოცემას. ეს ფრიად საპასუხისმგებლო და საპატიო ამოცანა მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტს დაეკისრა.

ვახუშტისეული „საქართველოს გეოგრაფია“ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის სრული აღწერის პირველი ცდა და ქართული გეოგრაფიული მეცნიერების უძველესი, ყველაზე სრულყოფილი, ენციკლოპედიური შინაარსის ორიგინალური გეოგრაფიული ნაწარმოებია. თხზულება დამყარებულია უმთავრესად ვახუშტისავე რუკებზე, საკუთარი დაკვირვებების მასალებსა და სხვადასხვა გზით მოპოვებულ ცნობებზე. ვახუშტის გეოგრაფიული კონცეფციები თავისი დროის მსოფლიო მეცნიერების სიმაღლეზე იდგა და მთლიანად ნაშრომმა დღემდე შეინარჩუნა არა მარტო თეორიულ-მეცნიერული, არამედ პრაქტიკული დანიშნულებაც.

ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს გეოგრაფიის“ პირველი სტამბური გამოცემა აკად. მარი ბროსემ განახორციელა სანკტ-პეტერბურგში (1842 წ.), ქართულსა და ფრანგულ ენებზე (ფრანგულ ენაზე შესრულებული ვახუშტის ექვსი რუკის დანართით), სათაურით: „ღეოღრაფიული აღწერა საქართველოისა“. რამდენადმე მოგვიანებით (1904 წ.), მოსე ჯანაშვილმა ეს ნაშრომი თბილისში გამოსცა ქართულსა და რუსულ ენებზე (ცალ-ცალკე). ვახუშტისეული გეოგრაფიის ერთ-ერთი ბოლო გამოცემა განხორციელდა საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდიუმის ინიციატივით (1941 წ.).

ვახუშტი ბაგრატიონი არა მარტო გამოჩენილი ისტორიკოსი, არამედ სწორუპოვარი გეოგრაფოსი გახლდათ, თუმცა მისი ძალზე მდიდარი გეოგრაფიულ-კარტოგრაფიული მემკვიდრეობა ჯერ კიდევ ჯეროვნად არ არის შეფასებული.

თამარ ლომოურისა და ნიკო ბერძენიშვილის რედაქციით (1941 წ.) გამოცემული „საქართველოს გეოგრაფიის“ ვრცელ შესავალ წერილში აკად. ნ. ბერძე-

ნიშვილი შენიშნავდა: *„ვახუშტის გეოგრაფიულ-კარტოგრაფიული მუშაობის შეფასებას რედაქცია ერიდება. ასეთ საქმეს, იმედია, სათანადო სპეციალისტები შეასრულებენ"*-ო. კიდევ უფრო კატეგორიულია აკად. სიმონ ყაუხჩიშვილის წინასიტყვაობაში (იხ. „ქართლის ცხოვრება", ტ. IV, თბ., 1973) ქართველი გეოგრაფების მისამართით თქმული სიტყვები: „... *ხმამაღლა უნდა მოვითხოვოთ ჩვენი გეოგრაფოსებისაგან და გეოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკთაგან ... გამოაქვეყნონ რუკები, რომლებიც ვახუშტიმ დაურთო თავის სწორუპოვარ საქართველოს გეოგრაფიულ აღწერილობას*".

წინამდებარე თხზულებას წამძღვარებული აქვს კოლექტიური წერილი – „ვახუშტი ბაგრატიონი – ქართული გეოგრაფიული მეცნიერების ფუძემდებელი", რომელშიც გაანალიზებულია ბუმბერაზი მეცნიერის გეოგრაფიულ-კარტოგრაფიული მემკვიდრეობა და ნაჩვენებია მისი უნიკალური როლი საქართველოში გეოგრაფიული მეცნიერების დაფუძნებაში.

1945 წ. ზეიმით აღინიშნა „საქართველოს ცხოვრების" დაწერის 200 წლისთავი; 1947 წ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტმა, რომელსაც იუბილესთან დაკავშირებით დიდი გეოგრაფის სახელი ეწოდა, აკად. ალექსანდრე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით გამოსცა ვახუშტის გეოგრაფიული მემკვიდრეობისადმი მიძღვნილი სპეციალური ტომი – „ვახუშტი როგორც გეოგრაფი".

ვახუშტისეული „საქართველოს გეოგრაფიის" ახალი გამოცემის საფუძვლად აღებულია 1941 წლის გამოცემა; იგი საქართველოს ცენტრალურ-არქივში დაცულ დედანს (ფონდი 1446, № 103) შეადარა ისტ. მეცნ. კანდ. **დოდო ლომიძემ**; მანვე შეასრულა ტექსტის აღწერილობა. წინა გამოცემისაგან განსხვავებით, დაზუსტებული და შევსებულია ლექსიკონი, გაკეთებულია პიროვნებათა და გეოგრაფიულ სახელწოდებათა ანოტირებული საძიებლები, რომლებიც შეადგინეს პროფ. **დავით უკლებამ** და გეოგრ. მეცნ. დოქტორმა **კობა ხარაძემ**.

გეოგრაფებს პირველად მიეცათ შესაძლებლობა ვახუშტის „საქართველოს გეოგრაფიის" ახალ გამოცემაზე ემუშავათ და მისი ტექსტი სათანადო კომენტარებითაც აღეჭურვათ (პროფ. **ზურაბ ტატაშიძე**, პროფ. **დავით უკლება**, გეოგრ. მეცნ. დოქტორი **კობა ხარაძე**, აკადემიის წევრ-კორ. **ვახტანგ ჯაოშვილი**, გეოგრ. მეცნ. კანდ. **გივი გაგუა**). ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის კომენტარების ნაწილი მომზადდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ისტორიული გეოგრაფიის განყოფილებაში (აკად. **დავით მუსხელიშვილი**, პროფესორები: **დევი ბერძენიშვილი, ჯონდო გვასალია და თამაზ ბერაძე**).

ვახუშტი ბაგრატიონმა ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა არა მარტო თავისი მრავალტანჯული სამშობლოს ისტორიის, ბუნებრივი გარემოსა და მეურნეობის დარგების შესწავლაში, ქვეყნის პირველი მსხვილმასშტაბიანი რუკების

შექმნაში, არამედ, შეიძლება გაუზვიადებლად ითქვას, ზოგადსაკაცობრიო კულტურაშიც, რითაც ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა მეცნიერებისა და კულტურის ისტორიაში.

წინამდებარე წიგნის მომზადებასა და გამოცემაში ქმედითი დახმარება აღმოგვიჩინეს რიგმა ორგანიზაციებმა და პირებმა: საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივმა (დირექტორი **ზურაბ ჭვანია**); კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტმა (დირექტორი პროფ. **ზაზა ალექსიძე**); მთავარმა სახელმწიფო მრჩეველმა, სახელმწიფო კანცელარიის კულტურის, მეცნიერებისა და განათლების განყოფილების უფროსმა **კობა იმედაშვილმა**; წიგნზე მუშაობის ყველა ეტაპზე ქმედით დახმარებას გვიწევდა გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, გეოგრ. მეცნ. კანდ. **რევაზ ხაზარაძე**. წიგნის დროულად და მაღალხარისხოვნად გამოცემას დიდად შეუწყო ხელი საწარმოო-საგამომცემლო გაერთიანება „მეცნიერებამ“ (დირექტორი **დავით კოლოტაური**).

ყველა ჩამოთვლილ ორგანიზაციასა და პირს გულითად მადლობას მოვახსენებთ.

პროფ. **ზურაბ ტატაშიძე**

ვახუშტი ბაგრატიონი
ქართული გეოგრაფიული მეცნიერების ფუძემდებელი

300 წელი შესრულდა დიდი მეცნიერის, ქართული ეროვნული კულტურის სწორუპოვარი ამაგდარისა და სახელმწიფო მოღვაწის ვახუშტი ბაგრატიონის დაბადებიდან და 250 წელი მის მიერ შექმნილი კაპიტალური ნაშრომის — „საქართველოს ცხოვრების“ დაწერიდან.

ვახუშტი ბაგრატიონი სახელმოხვეჭილი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწის, ქართლის მეფის — ვახტანგ VI-ის შვილი გახლდათ. იგი მეფის კარზე იზრდებოდა და, უნდა ითქვას, უფლისწულის საკადრისი აღზრდა-განათლება მიიღო, რაშიც, ოჯახურ გარემოცვასთან ერთად, დიდი ღვაწლი მიუძღვით იმ დროის გამოჩენილ მოღვაწეებს — სულხან-საბა ორბელიანს, დეკანოზ იესე გარსევანიშვილს და მის ძმას გიორგის, აგრეთვე თბილისში მცხოვრებ კათოლიკე მისიონერებს, რომელთა შორის იყვნენ მეფე-მთავართა პოლიტიკური მრჩევლები, ელჩები, განათლებული ექიმები და სხვ. თეოლოგიურ მეცნიერებებთან ერთად, ვახუშტი ეუფლებოდა საერო მეცნიერებებს — ისტორიასა და გეოგრაფიას, მათემატიკასა და კარტოგრაფიას, ასტრონომიასა და სამხედრო საქმეს, ასევე მწერლობასა და მთარგმნელობას. როგორც გადმოგვცემენ, მან შეითვისა ქართლში მოტანილი ევროპული ცოდნა („...*სულ აღასრულა ყოველი სწავლა ლათინთა ფრანგული*“). ნიჭიერი ჭაბუკი დროთა განმავლობაში დაეუფლა რამდენიმე უცხო ენას. ფართო იყო მისი ინტერესების სფერო, რაშიც დიდი ღვაწლი მიუძღვის მამამისს — უგანათლებულეს შემოქმედს ვახტანგ VI. თავისი სამშობლოს მთა-ბარის შეცნობის წყურვილმა ვახუშტის გაუღვივა ინტერესი გეოგრაფიისა და ისტორიისადმი. ეს იმითაც იყო განპირობებული, რომ ქვეყანას სჭირდებოდა და უნდა შექმნილიყო საქართველოს ისტორიული ტერიტორიის ამსახველი გეოგრაფიული რუკები და ქვეყნის მთელი ტერიტორიის გეოგრაფიული აღწერილობა; სისტემაში მოყვანასა და გაანალიზებას მოითხოვდა აგრეთვე ქართველი ხალხის ისტორია დასაბამიდან XVIII საუკუნის შუა წლებამდე. არადა, ქვეყნის კულტურული აღორძინებისა და ცივილიზებულ სამყაროსთან დაახლოების სხვა გზა არ არსებობდა.

ვახუშტი ბევრს მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა მხარეში, კრებდა მასალებს ჩაფიქრებულ ნაშრომთა შესაქმნელად; ერთდროულად, აქტი-

ურად იღვწოდა ქართლის პოლიტიკურ სარბიელზე; ხელმძღვანელობდა რიგ სახელმწიფო მნიშვნელობის ღონისძიებას, მონაწილეობდა სამხედრო ლაშქრობებში, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შემუშავებაში. დიდ სახელმწიფო და საგანმანათლებლო მოღვაწეობას ეწეოდა თვით ვახტანგ VI; ქმნიდა ფუძემდებლურ სახელმწიფო კანონებს, ხელმძღვანელობდა ფართოდ გაშლილ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობას, თარგმნიდა მხატვრულსა და სამეცნიერო ლიტერატურას, იღვწოდა პოეზიაში. კულტურულ-საგანმანათლებლო მიზანს ემსახურებოდა მისივე ძალისხმევით თბილისში დაარსებული პირველი ქართული სტამბა, სადაც საეკლესიო და საერო წიგნები იბეჭდებოდა. სწორედ ამ სტამბაში, 1712 წელს, პირველად დაიბეჭდა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. 1723 წელს სტამბა ოსმალებმა გაანადგურეს.

გვიან ფეოდალურ ეპოქაში სამეფო-სამთავროებად დანაწევრებული საქართველო ირანისა და თურქეთის მუდმივი შემოსევების ასპარეზად იქცა. განსაკუთრებით გაძლიერდა გარე აგრესიული ძალების მოქმედება XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში. ვახტანგ VI ხსნას და შველას პეტრე დიდის რუსეთთან დაახლოებაში ხედავდა და ამიტომაც განამტკიცა ურთიერთობა ერთმორწმუნე რუსეთთან. მეფის საგარეო პოლიტიკაში ქრისტიანულ რუსეთთან კავშირის ტრადიციული კურსი დიდად აღიზიანებდა სამხრეთელ მეზობლებს. 1723 წელს ქართლში, და თვით თბილისშიც, თურქები გაბატონდნენ. სამწუხაროდ, იმის იმედი, რომ რუსეთი დაგვეხმარებოდა უცხოელ დამპყრობთა განდევნასა და ქვეყნის გამთლიანებაში, ამაო გამოდგა. შექმნილ მძიმე ვითარებაში მეფეს სამშობლოში დარჩენა აღარ შეეძლო და იგი ჯერ ცხინვალში გაიხიზნა, ხოლო 1724 წლის 15 ივლისს, დიდ ამალასთან (1208 კაცი) ერთად, გეზი რუსეთისაკენ აიღო. მეფეს ახლდა უფლისწულები თავიანთი ოჯახებით, მრავალჭირგადახდილი და ერთგული თანამებრძოლები (მათ შორის სულხან-საბა ორბელიანი, მწერალი და მთარგმნელი გაბრიელ გელოვანი და სხვ.), ლტოლვილები მდინარე რიონის ხეობას სათავისაკენ აჰყვნენ, გადალახეს „გურძიევცეკი“ („საქართველოს გადასასვლელი“) — თოვლ-ყინულიანი, ძნელად გადასასვლელი უღელტეხილი (ზ.დ. 3439 მ) და დიგორში ჩავიდნენ. ჩრდილოეთ კავკასიის ვაკეზე გავლით მდ.სულაკის შესართავთან მივიდნენ, საიდანაც ზღვით, გაჭირვებით ასტრახანს ჩააღწიეს, მერე ვოლგაზე, ხომალდებით გზა გააგრძელეს ჩრდილოეთისაკენ და 1725 წლის დასაწყისში უკვე მოსკოვში იყვნენ. ქართველ ემიგრანტებს სამოსახლო ადგილები მოსკოვის განაპირა უბანში — პრესნაზე გამოუყვეს. აქვე დასახლდა და აღსრულებამდე ცხოვრობდა ვახუშტი ბაგრატიონი თავის მრავალშვილიან ოჯახთან ერთად (ვახუშტის მეუღლე იმერეთის ცნობილი ფეოდალის გიორგი აბაშიძის ასული გახლდათ). ამ დროს მას 28 წელი შეუსრულდა.

ეს ის პერიოდია, როცა რუსეთში დიდი კულტურული გამოცოცხლება სუფევდა: 1725 წელს პეტრე I-ის ინიციატივით დაარსდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემია, ცოტა მოგვიანებით — აკადემიის გეოგრაფიული დეპარტამენტი.

ვახუშტი ბაგრატიონი ბევრს იღვწოდა რუსეთ-საქართველოს მრავალმხრივი თანამშრომლობის განსავითარებლად. იგი დაუახლოვდა ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლებს; კერძოდ, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიული დეპარტამენტის ხელმძღვანელობას – ასტრონომ და გეოგრაფ იოსებ დელილს, კონტაქტები ჰქონდა მიხეილ ლომონოსოვთან, ცნობილ გეოგრაფ და ისტორიკოს ვასილ ტატიშჩევთან, რუსეთის არმიის შტაბის მოღვაწეებთან და სხვ.

რუსეთში ხანგრძლივი ცხოვრების პერიოდი ვახუშტი ბაგრატიონის სამეცნიერო მოღვაწეობაში ფრიად ნაყოფიერი აღმოჩნდა. სწორედ აქ შექმნა მან თავისი ძირითადი მეცნიერული შრომები.

ვახუშტი ბაგრატიონის მრავალმხრივი საქმიანობის და კვლევა-ძიების მთავარ შემადგენელს საქართველოს გეოგრაფია, კარტოგრაფია და ისტორია წარმოადგენს. მან დაგვიტოვა საქართველოს ისტორიული ტერიტორიის პირველი, სრული და საფუძვლიანი გეოგრაფიული აღწერილობა და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, შექმნა ქვეყნის გეოგრაფიული ატლასები.

250 წლის წინათ ვახუშტის მიერ დასრულებულ ძირითად თხზულებაში ქვეყნის გეოგრაფია და ისტორია ერთ წიგნად არის წარმოდგენილი, იმ დროისათვის ქვეყნის აღწერის მიღებული მეთოდის სრული შესაბამისობით.

თავისი უმთავრესი მეცნიერული ნაშრომის დასრულებაზე ვახუშტი მოსკოვში ინტენსიურად მუშაობდა 1742-1745 წლებში, თუმცა, ეჭვს გარეშეა, ამ წლებს წინ უძღოდა საკმაოდ ხანგრძლივი, დაუღალავი კვლევითი საქმიანობა. თავისი ნაშრომის წინასიტყვაობაში ვახუშტი აღნიშნავს: „... *სრულ იქმნა შრომა ესე ქრისტეს აქეთსა ქორონიკონსა წლისასა ჩღმე (1745), ქართულსა ულგ (433), ოკდომბერს კ (20), მეფის შვილის ვახუშ-ტის მიერ, სამეფოსა ქალაქს მოსკოვს პრესნას*“ (ვახუშტი, გვ.10)[1]

თავის ნაშრომს მეცნიერი „მატიანეს“ უწოდებს. ამ ცნებას ვახუშტის შრომების კომენტატორი ისტორიკოსები აიგივებენ „ისტორიასთან“, რაც არ არის მართებული. თვით ვახუშტი „მატიანეს“ ბევრად უფრო ფართო მნიშვნელობას ანიჭებს. „*არამედ ესე მატიანე განიყოფების ოთხწილად: ადგილის აღწერად, ნათესავმეტყველებად, წლისმრიცხველობად და მოქმედების აღწერად...* “ (გვ.4). როგორც ვხედავთ, „ადგილის აღწერა“, ანუ გეოგრაფია მატიანეს პირველი, ძირითადი შემადგენელია. მხოლოდ ამის შემდეგ ჩამოთვლის ვახუშტი მატიანეს სხვა შემადგენლებს – გენეალოგიას („ნათესავმეტყველება“), ქრონოლოგიას („წლისმრიცხველობა“) და მოვლენათა განხილვას („მოქმედების აღწერა“).

---

[1] აქაც და მომდევნო გვერდებზე ნაჩვენებია ვახუშტის ნაშრომის ჩვენი გამოცემის გვერდები.

ვახუშტის ეპოქაში „მატიანეს“ ასეთი განმარტება სავსებით კანონზომიერად უნდა მივიჩნიოთ, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მაშინ გეოგრაფია და ისტორია, როგორც მეცნიერების ცალკე დარგები, ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ გამიჯნული. როდესაც ვახუშტი თავის თხზულებას „მატიანეს“ უწოდებს, ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, ამ სათაურის ქვეშ ის გულისხმობს როგორც საქართველოს გეოგრაფიას, ისე მის ისტორიას. უნდა აღინიშნოს, ისტორიკოსებისა და გეოგრაფების ერთნაირი შეხედულება არა აქვთ ვახუშტის ნაშრომის სათაურისა და შინაარსის გააზრებაში. ამ საკითხს რამდენადმე დეტალურად ცოტა ქვემოთ შევეხებით, აქ კი აღვნიშნავთ, რომ ვახუშტის გეოგრაფიული კონცეფციის სწორი გაგებისათვის საჭიროა გავერკვეთ მისეული ცნებების — „აღწერა“, „ცხოვრება“, „ადგილი“ — ხმარების წესში.

„აღწერას“, ისევე როგორც „ადგილის აღწერას“, მეცნიერი ხმარობს თავისი ნაშრომის ყველა გეოგრაფიულ ნაწილში და „ადგილად“ მიიჩნევს ბუნებრივ-გეოგრაფიული ნიშნებით მკვეთრად გამოკვეთილ ტერიტორიულ ერთეულს. ასეთ ერთეულებად ვახუშტი გამოყოფს ძირითადი ისტორიულ-გეოგრაფიულ პროვინციების შემადგენელ, უფრო მცირე ტერიტორიული ერთეულების — სადროშოების, საერისთავოების, სასპასპეტოების ფარგლებში არსებულ მდინარეთა ხეობებს. თითოეული ადგილის გეოგრაფიული დახასიათება ჩამოყალიბებულია მტკიცედ დადგენილი წესით, მკაფიოდ და კომპაქტურად, შემდეგი თანმიმდევრობით: ტერიტორიის საზღვრები და მდებარეობა, ბუნებრივი პირობების დახასიათება — ჰავა, შიგა წყლები, ნიადაგები და მცენარეულობა, ცხოველთა სამყარო; ცნობები მოსახლეობის შესახებ, მეურნეობის მახასიათებლები, ისტორიულ-კულტურული ძეგლების მოკლე მიმოხილვა და ა.შ. ყველა ჩამოთვლილი ნიშნის მიხედვით „ადგილის“ განხილვა სხვა არაფერია, თუ არა ნებისმიერი ტერიტორიის კომპლექსური გეოგრაფიული დახასიათება, თავისი სტრუქტურით ისეთივე, როგორიც დღევანდელი ჩვეულებრივი გეოგრაფიული გამოკვლევებია.

მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ ვახუშტის ეპოქაში გეოგრაფიული მეცნიერება ჯერ კიდევ არ იყო დიფერენცირებული მის ორ ძირითად ნაწილად — ფიზიკურ გეოგრაფიად და ეკონომიკურ გეოგრაფიად. უფრო მეტიც, ზოგად და რეგიონალურ გეოგრაფიულ დახასიათებაში არცთუ მცირე რაოდენობით ისტორიული ხასიათის ცნობებიც შედიოდა, ისევე როგორც ისტორიული ხასიათის ნაშრომში უყურადღებოდ არ იყო დატოვებული ბევრი გეოგრაფიული ნიშანი. საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც ის ფაქტი, რომ დღევანდელი ისტორიული მეცნიერების შემადგენელი დარგი — ეთნოგრაფია უახლოეს წარსულში ჩვეულებრივ გეოგრაფიულ დახასიათებაში იყო მოქცეული.

რაც შეეხება ცნება „ცხოვრებას“, ვახუშტი მას იყენებს თავისი ნაშრომის მხოლოდ ისტორიის ნაწილში, ანუ საქართველოს წარსულის დახასიათებისას. საყურადღებოა, ბევრ შემთხვევაში, ისტორიული ვითარების გადმოცემის დროს ვახუშტი ხმარობს გამოთქმას „მოქმედების აღწერა“, ისევე როგორც გეოგრაფიულ აღწერას უწოდებს „ბუნების მატიანეს“. მიუხედავად იმისა, რომ ცნება

„აღწერა“ ვახუშტის შრომებში ძირითადად ადგილის გეოგრაფიულ დახასიათებას გულისხმობს, ის აგრეთვე „ცხოვრების“ ანუ მოქმედების დახასიათებისთვისაც გამოიყენება. ამ მხრივ ვახუშტი მისდევს იმ ტრადიციას, რაც დამკვიდრებული იყო ქართულ საისტორიო მწერლობაში. მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენის განხილვას „აღწერის“ სახით მოიხსენიებს წარსულის არაერთი მემატიანე[2], მაგრამ ვახუშტი, პირველ ყოვლისა, გეოგრაფია და ისტორიკოსებისაგან განსხვავებით „აღწერას“ თავისი ეპოქის საქართველოს გეოგრაფიული დახასიათებისათვის იყენებს, ხოლო „ცხოვრებას“, ვიმეორებთ — მხოლოდ ისტორიის განხილვისას. ამის ნათელი დადასტურებაა ვახუშტის ნაშრომში საქართველოს **მთავარი შემადგენელი რეგიონების** გეოგრაფიული და ისტორიული დახასიათების თანმიმდევრობა:

- *„აღწერა აწინდელისა ქართლისა, საზღვრით, მთით, მდინარეებით და ადგილთა და მას შინა შენებულებათა“;*
- *„ცხოვრება და ქმნულება მეფეთა ქართლისათა“;*
- *„აღწერა ჰერეთისა, კახეთისა და კუხეთისა, კუალად თუშეთისა და დიდოეთისა“;*
- *„ქმნულება და ცხოვრება კახეთისა და ჰერეთისა“;*
- *„აღწერა აწინდელისა ოვსეთისა ანუ კავკასიათა შინათა“;*
- *„ცხოვრება“;*
- *„აღწერა საჩინოთა ადგილებთა სამცხე-საათაბაგოსი“;*
- *„ცხოვრება სამცხე კლარჯეთისა“;*
- *„აღწერა ეგრისის ქუეყანისა, ანუ აფხაზეთისა ანუ იმერეთისა“;*
- *„ცხოვრება ეგრისისა, აფხაზეთისა, ანუ იმერეთისა“.*

როგორც ვხედავთ, ერთიანი საქართველოს დაშლის (XV ს. მეორე ნახ.) შემდეგ წარმოქმნილი სამეფო-სამთავროები თანამიმდევრულად განხილულია ორ დამოუკიდებელ ნაწილად, რომელთაგანაც პირველი ეძღვნება გეოგრაფიულ დახასიათებას („აღწერა“), ხოლო მეორე — ისტორიულ წარსულს („ცხოვრება“). ორივე ნაწილი შინაარსით იმდენადაა გამიჯნული ერთმანეთისაგან, რომ არავითარ ეჭვს არ იწვევს, „აღწერის“ გეოგრაფიული ხასიათი, ასევე „ცხოვრების“ ისტორიული შინაარსი. პირველ ნაწილში ავტორი მსჯელობს მხოლოდ აწმყოში, მეორეში კი წარსულ დროში. ასეთ გამიჯვნას კარგად ხედავდნენ ვახუშტის შრომების აღრინდელი გამომცემლები და შემთხვევითი არ არის, რომ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე (1842 წლიდან ჩვენი საუკუნის 70-იან წლებამდე), თითოეული მათგანი ცალ-ცალკე აქვეყნებდა ვახუშტისეულ „საქართველოს გეოგრა-

---

[2] ამის შესახებ ივ. ჯავახიშვილი წერს: *„ბევრი სხვადასხვა სიტყვა იხმარებოდა ძველ ქართულ მწერლობაში საისტორიო თხზულების შემოქმედების გამოსახატავად და აღსანიშნავად. ჩვეულებრივ და სხვებზე უფრო ხშირად მიღებული იყო ტერმინი „აღწერაჲ“, „აღწერა“* (იხ. ივ. ჯავახიშვილი. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა. წიგნი I. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V-XVIII ს.ს.). ტ. VIII, თბილისი, 1977, გვ.35).

ფიას" თუ „საქართველოს ისტორიას". კერძოდ, „საქართველოს გეოგრაფია" გამოაქვეყნეს: მარი ბროსემ, 1842 წელს (ქართულ და ფრანგულ ენებზე), მოსე ჯანაშვილმა, 1904 წელს (ქართულად და რუსულად), საქართველოს გეოგრაფიულმა საზოგადოებამ თ.ლომოურისა და ნ.ბერძენიშვილის რედაქტორობით, 1941 წელს. ვახუშტის მიერ შედგენილი „საქართველოს ისტორია" გამოსცეს: დ.ჩუბინაშვილმა სანკტ-პეტერბურგში, 1854 წელს (ვახუშტის „ისტორიის" ის ნაწილი, რომელიც მოიცავდა ერთიანი საქართველოს დაშლის შემდგომ პერიოდს); დ.ბაქრაძემ 1885 წელს გამოსცა „ძველი ქართლის ცხოვრების" ვახუშტის მიერ შემოკლებული ვარიანტი; ეს გამოცემა გაიმეორა ზ.ჭიჭინაძემ (1913 წ.) — „საქართველოს ცხოვრების" სახელწოდებით.

ვახუშტის თხზულების ერთ წიგნად გამოცემა შესაბამისი კომენტარებით, განხორციელდა მხოლოდ 1973 წელს „ქართლის ცხოვრების" IV ტომის სახელწოდებით. ნაშრომში განხილულია ჩვენამდე მოღწეული ყველა ნუსხა (ავტოგრაფი და 8 ხელნაწერი). ტექსტს ახლავს ვრცელი შესავალი ნაწილი, შენიშვნები, ლექსიკონი და საძიებლები.[3]

ქართულ საისტორიო თხზულებათა კრებულის („ქართლის ცხოვრების") დამამთავრებელ ტომად ვახუშტის ნაშრომის გამოცემა თავისთავად იმის მაჩვენებელია, რომ აკადემიკოსმა ს.ყაუხჩიშვილმა ეს თხზულება მთლიანად ისტორიულ მეცნიერებას მიაკუთვნა. ამის შესახებ გამომცემელი თავის წინასიტყვაობაში წერს: *„ზოგიერთი გაუგებრობის წყალობით ჩვენში დამკვიდრებული იყო შეხედულება, თითქოს „აღწერა სამეფოსა საქართველოსა" ნიშნავდეს „საქართველოს გეოგრაფიას": სინამდვილეში კი, როგორც გაირკვა ეჭვმიუტანლად, „აღწერა" ნიშნავს „ისტორიას" და, მაშასადამე, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა" ნიშნავს „საქართველოს სამეფოს ისტორიას".*[4]

სამწუხაროდ, ამ ბოლო გამოცემაში, ვახუშტის ქართული მეცნიერული გეოგრაფიის ფუძემდებლის როლი დაკნინებულია, არაობიექტურად არის შეფასებული. ამას მოწმობს არა მარტო ის, რომ ტექსტი მთლიანად ისტორიულ ნაწილთან ერთად დაისტამბა და „ქართლის ცხოვრების" სერიაში შევიდა, არამედ თვით სათაურიც კი. სატიტულო ფურცელზე აღნიშნულია: „ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა". უფრო მეტიც, კონტრტიტულზე რუსულად: „Вахушти, История Грузии", ხოლო შესავალი წერილის სათაურია: „ვახუშტი ბატონიშვილის საისტორიო ნაშრომი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა"

ვახუშტი ბაგრატიონის მიერ თხზულებაში გამოყენებული ცნებების შესახებ გამოთქმულ მოსაზრებებს თუ შევაჯამებთ, ობიექტური დასკვნა ასეთი იქნება: **„ადგილის აღწერას" მეცნიერი ხმარობს მთლიანად საქართველოს და**

---

[3] ქართლის ცხოვრება. ტ.IV, ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1973.

[4] ს.ყაუხჩიშვილის რედაქტორობით გამოცემული „ქართლის ცხოვრება", 1973, ტომი IV, გვ.06.

მისი რეგიონების გეოგრაფიული დახასიათებისას, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში „მოქმედების აღწერას“ ან „ცხოვრების აღწერას“ — ისტორიული მოვლენების განხილვისას. თხზულების ძირითადი ნაწილების დასათაურებაში სწორედ „აღწერის“ და „ცხორების“ ცნებებით ვახუშტიმ გამიჯნა ერთმანეთისაგან საქართველოს გეოგრაფიული და ისტორიული დახასიათება.

ვახუშტის ნაშრომის კომენტატორების მსჯელობის საგანი გახდა თვით თხზულების დასათაურება და შინაარსის გეოგრაფიულობა.

როგორც აღინიშნა, აკად.ს.ყაუხჩიშვილს მიაჩნია, რომ „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ვახუშტის ნაშრომის საერთო სათაურია და ამავე დროს მისი ისტორიული შინაარსის ამსახველიც. დაახლოებით ასეთივე აზრი, უფრო ადრე, გამოთქვა აკად. ნ.ბერძენიშვილმა. ვახუშტის თხზულების გეოგრაფიული ნაწილის 1941 წლის გამოცემის შესავალში ნ.ბერძენიშვილი წერდა: *„გეოგრაფია“ ცალკე წიგნად ვახუშტის არასოდეს დაუწერია... ვახუშტის „აღწერა“ დიდად სცილდება ჩვეულებრივი გეოგრაფიის ფარგლებს. ის ისტორიული გეოგრაფიაა. სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ რედაქციამ საჭიროდ დაინახა დაერღვია ვახუშტის შრომის ამ ნაწილის სახელწოდებისათვის მიღებული ტრადიცია — „საქართველოს გეოგრაფია“ და აღედგინა ავტორისეული „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“.*[5]

ვ.გაბაშვილის აზრით, ვახუშტი ბაგრატიონის *„...მდიდარ მეცნიერულ მემკვიდრეობაში მთავარი ადგილი მაინც გეოგრაფიულ-კარტოგრაფიულ და საისტორიო ნაშრომებს უკავიათ. შთამომავლობის მეხსიერებაში იგი დარჩა როგორც სწორუპოვარი გეოგრაფოსი და ისტორიკოსი“*[6] *(ხაზგასმა ჩვენია — ავტ.).*

დიდი ქართველი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი თავის შრომებში ბევრგან აღნიშნავს ვახუშტი ბაგრატიონის უდიდეს დამსახურებას ჩვენი სამშობლოს ისტორიის და გეოგრაფიის კვლევაში. ვახუშტის თხზულებას ის თვლის საქართველოს ეკონომიკური ისტორიის უმნიშვნელოვანეს წყაროდ და შემდეგნაირად აფასებს მის მიერ საქართველოს გეოგრაფიულ აღწერილობას: *„არსად ჩვენი ქვეყნის ბუნება, თვისებები, მოსახლეობა და ეკონომიური მდგომარეობა ისეთი სივრცე-სიღრმით არ არის განხილული და დახასიათებული, როგორადაც ამ ნაშრომშია. წერილობითი ძეგლების, რუკებისა და დემოგრაფიული წყაროების მიხედვით დაწერილ და ავტორისაგან საქართველოს ადგილობრივ, ყოველმხრივ პირად შესწავლაზე დამყარებული, ვახუშტის თხზულება ყოველი მკვლევარისათვის, რა მხრივაც იგი საქართველოს წარსულსა და ნაწილობრივ აწმყოს გამოკვლევას არ აწარმოებდეს, ყოველთვის აუცილებლად საჭირო წყარო იქ-*

---

[5] ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია). თ.ლომოურისა და ნ.ბერძენიშვილის რედაქციით. თბ.,1941, გვ.XX.

[6] ვ.გაბაშვილი. ვახუშტი ბაგრატიონი. თბ., 1969, გვ.7.

რება“.[7] ივ.ჯავახიშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმ გარემოებას, რომ ვახუშტიმ საქართველოს გეოგრაფიული აღწერილობა პირად დაკვირვებებსა და საისტორიო წყაროების შესწავლაზე დაამყარა; ამავე დროს ხაზგასმით აღნიშნავს, რომ *„ვახუშტის გეოგრაფიას უმთავრესად ავტორის დროინდელი საქართველოს შესასწავლად აქვს პირველ ხარისხოვანი წყაროს მნიშვნელობა“* [8]

უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი გეოგრაფების შეხედულებანი ვახუშტის უმთავრესი ნაშრომის დასათაურებასა და ასევე მისი გეოგრაფიული შინაარსის ინტერპრეტაციაზე არ ემთხვევა ცალკეული ისტორიკოსების მოსაზრებებს.

XX საუკუნის ქართული გეოგრაფიული სკოლის მესვეური, აკადემიკოსი ალ.ჯავახიშვილი ვახუშტის თხზულებაში უპირატეს მნიშვნელობას საქართველოს გეოგრაფიულ აღწერილობას ანიჭებს. მას მიაჩნდა, რომ ისტორიული მონაცემები ამდიდრებს ვახუშტის შრომების გეოგრაფიულ შინაარსს. *„ისტორიული ხასიათის ცნობების მოყვანას ვახუშტის გეოგრაფიულ აღწერაში არ შეაქვს დისონანსი, არამედ ავსებს ამ აღწერას ახალი შინაარსით და აშუქებს დასახლებული ადგილებისა და სხვა ობიექტების წარმოშობას, წარსულსა და აწმყო მდგომარეობას. ვახუშტის დროისათვის ხომ ეს მიმართულება გამართლებულია გეოგრაფიის მჭიდრო დაკავშირებით ისტორიასთან და საკუთრივ ვახუშტისთვის კი იმ გარემოებითაც, რომ იგი ერთსა და იმავე დროს არის გეოგრაფიც და ისტორიკოსიც“*.[9]

აღორძინების ეპოქაში (XV ს. მეორე ნახევარი, XVI ს.), რომელიც წინ უსწრებდა ვახუშტი ბაგრატიონის მოღვაწეობას, გეოგრაფია და კარტოგრაფია უმთავრესად პტოლომეს წარმოდგენების საფუძველზე ვითარდებოდა და გეოგრაფია აღწერით ხასიათს ატარებდა; კიდევ უფრო საყურადღებოა, რომ იმ ეპოქაში გამოცემულ დიდ გეოგრაფიულ თხზულებებში (მაგ., პტოლომეს „გეოგრაფიის სახელმძღვანელო“, 8 წიგნად; ჰოლანდიური ატლასები და სხვ.) ქვეყნების აღწერილობები და შესწავლილი ტერიტორიების ამსახველი რუკები ერთად იყო წარმოდგენილი და ერთმანეთს ავსებდა. ამჟამად უკვე ეჭვმიუტანლად დასტურდება, რომ ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს ცხოვრების“ ხელნაწერიც ამავე პრინციპით არის შესრულებული. მასში გეოგრაფიული რუკები ტექსტთან ერთად იყო შერწყმული; ყოველი კუთხის გეოგრაფიულ აღწერილობას თან ახლდა მეცნიერის მიერ შედგენილი რუკა. ეს დასტურდება ვახუშტის ხელნაწერის საძიებელში მითითებული რუკების სათაურებით და შესაბამისი გვერდებით; 1745 წლის ატლასის რუკების ორიგინალები დახაზულია

---

[7] ივ.ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. ტ.I, თბ., 1930, გვ.113.

[8] იქვე, გვ.114, იხ. აგრეთვე ივ.ჯავახიშვილი. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები..., გვ.286.

[9] ალ.ჯავახიშვილი. ვახუშტი ბაგრატიონი გამოჩენილი ქართველი გეოგრაფი. ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, I, თბ.,1947, გვ.13.

იგივე ქაღალდზე, როგორზედაც ტექსტია დაწერილი. ვახუშტის მიერ ამავე პრინციპითაა გაკეთებული „მსოფლიო გეოგრაფიაც“.

მკვლევარი-გეოგრაფი დავით ლონდუა მართებულად თვლის, რომ *„აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ არის ვახუშტის შრომის ერთ-ერთი თავის სათაური, ამ სათაურის მქონე თავი სავსებით გარკვეული ხასიათისაა და ეს სათაური არ შეიძლება სხვა მომდევნო თავების საერთო სათაურადაც იქნეს მიჩნეული. ამ თავში აღწერილია მთლიანი საქართველო – მისი მოკლე და ზოგადი გეოგრაფიული აღწერა (სამი გვერდი) და საქართველოს ვრცელი ისტორია ქვეყნის სამეფოებად და სამთავროებად განყოფამდე (სამოცდაათი გვერდი). ეს თავი ვახუშტის შრომის ერთ ნაწილს წარმოადგენს, რომელსაც მისდევს შრომის მეორე ნაწილი – საქართველოს ცალკე მხარეების აღწერა“.*[10] ასევე სავსებით დასაბუთებულად არის აღნიშნული, რომ *„ვახუშტის შრომის ერთ-ერთი თავის სათაური „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ სწორედ ვახუშტის ორმხრივი აღწერის – ადგილის აღწერისა და მოქმედების აღწერის შესაფერისი გამომხატველია“* [11]

ვახუშტის თხზულებისათვის საერთო სათაურად „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ დამკვიდრებას მიზანშეუწონლად მიიჩნევს გამოჩენილი ქართველი გეოგრაფი პროფ. ლ.მარუაშვილიც. მას მიაჩნია, რომ ვახუშტის ძირითადი ნაშრომის გეოგრაფიული ნაწილის საერთო სათაურია „საქართველოს გეოგრაფიული აღწერა“ [12] ლ.მარუაშვილი არ ეთანხმება ნ.ბერძენიშვილის აზრს და აღნიშნავს: *„ქვეყნის ტერიტორიის აღწერილობასა და ვახუშტის რუკებში გაბატონებული ადგილი უკავია ჭეშმარიტად გეოგრაფიულ ელემენტებს. მათში მოცემულია ძირითადად XVIII საუკუნის დასაწყისის საქართველოს სურათი – ეპოქისა, როდესაც ვახუშტი საქართველოში ცხოვრობდა და სწავლობდა მას. საქართველოს შეცნობაში ვახუშტიმ ღირსშესანიშნავ შედეგებს მიაღწია – დეტალურად დაახასიათა რელიეფი, ჰიდროგრაფიული ქსელი, ჰავა, მცენარეული საფარი, ცხოველთა სამყარო, მოსახლეობა, მეურნეობა და ქვეყნის მატერიალური კულტურა... ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, ნამდვილი გეოგრაფიაა და არა ისტორიული გეოგრაფია“* [13]

როგორი მნიშვნელობაც არ უნდა მივანიჭოთ ვახუშტის მთლიანი ნაშრომის დასათაურებას, ერთი რამ ცხადია: **თვით ნაშრომის არქიტექტონიკა და თითოეული თავის შინაარსი ასახავს ავტორის ჩანაფიქრს – ერთ თხზულებად წარმოაჩინოს საქართველოს გეოგრაფია და ისტორია.** ასეთ ჩანაფიქრს სავსებით

---

[10] დ.ლონდუა. ვახუშტის მატიანე და მისი სამეურნეო ცნობების გეოგრაფიულობა. ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, I, თბ., 1947, გვ.89.

[11] იქვე.

[12] ლ.მარუაშვილი. საქართველოს გეოგრაფიული შესწავლის ფუძემდებელი ვახუშტი ბაგრატიონი, თბ., 1956, გვ. 9.

[13] Маруашвили Л.И. Элементы исторической географии в трудах Вахушти Багратиони. საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების შრომები, XII, თბ.,1973, გვ.241-242.

პასუხობს თავების დასათაურება და შინაარსი: გეოგრაფიისადმი მიძღვნილი თავები ყოველთვის „ადგილის აღწერას“ მოიცავს, ხოლო ისტორიის თავები — „ცხოვრების აღწერას“. აქვე დავძენთ: ცნება „აღწერა“ ვახუშტის შრომაში სულაც არ ნიშნავს ფაქტებისა და მოვლენების უბრალო კონსტატაციას. ვახუშტის გეოგრაფიული კვლევის მეთოდი მტკიცე გეგმიანობით და თანამიმდევრობით ხასიათდება. სწორუპოვარი მეცნიერი ბუნებრივ თუ საზოგადოებრივ მოვლენებს მიზეზ-შედეგობრივ კავშირში იხილავს. უმდიდრესი ფაქტობრივი მასალის ანალიზი და განზოგადება, ანუ გეოგრაფიული კვლევის არსებითი ხერხები მისთვის სრულებითაც არ არის უცხო. ვახუშტის გეოგრაფიული კვლევის მეთოდის შესახებ ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ სახელოვანი მეცნიერის ნაშრომში „*შემთხვევით მოვლენასთან კი არა, არამედ დახასიათების სრულებით გარკვეულსა და შეგნებულ სისტემასთან გვაქვს საქმე*“ [14]

ცხადია, ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს გეოგრაფია“ დღევანდელ მკვლევართათვის ისტორიულ-გეოგრაფიული წყაროა, რადგან გვიანი ფეოდალური ხანის საქართველოს გეოგრაფიულ დახასიათებას ეძღვნება. თანამედროვე მკითხველი ამ ნაშრომით ეცნობა, თუ როგორი იყო ჩვენი ქვეყნის ბუნება, მოსახლეობა და მეურნეობა ვახუშტის ეპოქაში. მაგრამ ვახუშტიმ შექმნა არა ისტორიულ-გეოგრაფიული გამოკვლევა, მან განიხილა არა XVIII საუკუნეზე უფრო ადრინდელი საქართველოს გეოგრაფიული გარემო, **არამედ თავისი ეპოქის საქართველოს გეოგრაფიული თავისებურებანი**, ანუ შეასრულა ჩვეულებრივი ქვეყანათმცოდნეობითი ხასიათის გეოგრაფიული გამოკვლევა, რომელშიც მთლიანად საქართველოსა და მისი შემადგენელი პროვინციების დახასიათებას მეცნიერი მსჯელობს აწმყო დროში. აი, მაგალითად, დავითგარეჯის შესახებ წერს: „*გარეჯის მთას არს მონასტერნი, კლდესა შინა გამოკვეთილნი, სენაკნი, ტრაპეზნი, პალატნი; ზამთარ თბილი, ზაფხულს გრილი.* ***ნათლისმცემლს*** *ზის არქიმანდრიტი,* ***ჩიჩხიტურს*** *ზის წინამძღვარი,* ***დავით გარეჯას*** *არქიმანდრიტი,* ***ბერთუბანს*** *წინამძღვარი*“ (გვ.53). ამ სტილშია გადმოცემული მთლიანად ვახუშტის ნაშრომის გეოგრაფიული ნაწილი. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ, ისევე როგორც ყველა გეოგრაფიულ გამოკვლევაში, ვახუშტის გეოგრაფიულ ნაშრომშიც არის ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის ცნობები. თავის გამოკვლევაში მეცნიერი სავსებით მიზანდასახულად, თითოეულ მატერიალურ ობიექტზე, გეოგრაფიულ დახასიათებასთან ერთად, იძლევა აგრეთვე აუცილებელ ისტორიულ ცნობებს. ამის ნიმუშია მოტანილი ციტატის გაგრძელება: „*არამედ ყოფილან მონასტერნი მრავალნი, ვიდრე მწარეწყლამდე, და მოწესითა სავსენი...*“ და ამ მოკლე ისტორიული ცნობის შემდეგ კვლავ გაგრძელება აწმყო დროში: „*ხოლო აწ არს ხუთი მოწესითა მყოფი. არა არს აქა წყალი, არამედ იპყრობენ წვიმისაგან კლდის ჭათა შინა და სმენ მას. არა არს ტყე, არამედ ძეძვი, მით ხარშვენ და აცხობენ*“ (იქვე).

---

[14] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ. I, თბ., 1930, გვ.292.

როგორც ვხედავთ, საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რელიგიურ-კულტურული ცენტრის — დავითგარეჯის სამონასტრო გამოქვაბულთა კომპლექსს ვახუშტი აგვიწერს ისეთს, როგორც ეს ძეგლი იყო მის დროს, ანუ XVIII საუკუნის პირველ ნახევარში. ამავე დროს, მეცნიერი არ კმაყოფილდება ძეგლის მდგომარეობის ზოგადი აღწერით და გვაცნობს ძეგლის გარემომცველი ბუნების იმ ძირითად გეოგრაფიულ ნიშნებს, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა აქ მოღვაწე ბერმონაზონთა („მოწესეთა") ცხოვრების პირობებისათვის. რაც შეეხება ძეგლის წარსულს, ანუ ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეს, ავტორი ამ მახასიათებელს არ ივიწყებს, რადგან დარწმუნებულია, რომ საჭიროა განხილული კულტურის ცენტრის რაც შეიძლება სრული დახასიათება. ასეა უკლებლივ ყველგან, ვახუშტის გეოგრაფიული ნაშრომის ყველა ნაწილში, სადაც აღწერა ეხება ცალკეული მატერიალური კულტურის ძეგლებს, თუ გარკვეულ გეოგრაფიულ კუთხეს.

ვახუშტის დროსაც და დღესაც ჭეშმარიტი გეოგრაფიული კვლევის ძირითადი ნიშანი იყო და არის **ნებისმიერი ობიექტის კომპლექსური დახასიათება**. რა თქმა უნდა, ნათქვამი ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს გეოგრაფიული მეცნიერების კვლევის მეთოდებს მას შემდეგ ცვლილება არ განეცადოს. ვახუშტის დროს და წინა ეპოქაში გეოგრაფიული მეცნიერება ჯერ კიდევ არ იყო დარგებად დაყოფილი. უფრო მეტიც, ხშირად გეოგრაფიული და ისტორიული დახასიათება შერწყმული იყო და წარმოგვიდგებოდა ერთობლივ გამოკვლევად. ქვეყნის დახასიათებისას გეოგრაფიისა და ისტორიის მთლიანობაში განხილვა ვახუშტის ეპოქაში მიღებული მეთოდი გახლდათ. სწორედ ამგვარად ქმნიდნენ სამეცნიერო ნაშრომებს ვახუშტის დროინდელი მკვლევარები როგორც რუსეთში, ისე მის ფარგლებს გარეთ. არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ ვახუშტი ამ მხრივაც თავის დროის ნოვატორი მეცნიერია. მან თუმცა ერთ წიგნად დაგვიტოვა საქართველოს გეოგრაფიული და ისტორიული დახასიათება, მაგრამ მკვეთრად გამიჯნა ეს ორი დარგი ერთმანეთისაგან: თავისი დროის საქართველოში, პირველ ყოვლისა, ძირითადი გეოგრაფიული და ისტორიული ნიშნებით გამოჰყო პროვინციები და მოგვცა ჯერ მათი ბუნების, მოსახლეობის და მეურნეობის დახასიათება, ანუ კომპლექსური გეოგრაფიული აღწერა და შემდეგ განიხილა თითოეული მათგანის ისტორიული წარსული.

ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციების შიგნით ვახუშტი ითვალისწინებს თავისი დროის სამხედრო-ადმინისტრაციულ დაყოფას, მაგრამ გეოგრაფიული აღწერის მთავარ ტერიტორიულ ერთეულებად წარმოგვიდგენს მდინარეთა ხეობებს (აუზებს), აღწერს მათ მტკიცედ ჩამოყალიბებული გეგმით და გეოგრაფიული თანამიმდევრობით, კერძოდ: წიაღისეულ სიმდიდრეებს, ჰავას და შიგა წყლებს, მცენარეულობას და ცხოველთა სამყაროს; მოსახლეობის ეთნიკურ კუთვნილებას, გარეგნობას და ზნე-ჩვეულებებს; ახასიათებს სოფლის მეურნეობას — მეცხოველეობას და მიწათმოქმედებას; ჩამოთვლის უმთავრეს სასოფლო-სამეურნეო კულტურებს; ასახელებს გზებსა და ხიდებს; გარკვეულ ადგილს უთმობს ცნობებს ქალაქების, დაბების, რელიგიურ-კულტურული ცენტრებისა და ციხესიმაგრეების შესახებ.

ვახუშტის თხზულების პირველი კომენტატორები ისტორიკოსები, ენათმეცნიერნი და ლიტერატურათმცოდნენი იყვნენ. მათი მიდგომა ამ ფუნდამენტური ნაშრომის მიმართ უპირატესად საისტორიო-სალიტერატურო თვალსაზრისს ემყარებოდა. საგულისხმოა, რომ 1941 წელს ვახუშტის თხზულების გეოგრაფიული ნაწილის გამოცემის ინიციატორი საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება გახლდათ, — მისი პრეზიდიუმი აკად. ალ.ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით, ხოლო ნაშრომის რედაქცია ისტორიკოსებმა შეასრულეს. ჩანს, ამ უხერხულობას გრძნობდა გამოცემის ერთ-ერთი რედაქტორი, აკად. ნ.ბერძენიშვილი, როცა ვრცელ შესავალ ნაწილში შენიშნავდა: *„ვახუშტის გეოგრაფიულ-კარტოგრაფიული მუშაობის შეფასებას რედაქცია ერიდება. ასეთ საქმეს, იმედია, სათანადო სპეციალისტები შეასრულებენ“-ო*[15].

როგორც ზემოთ დავინახეთ, ისტორიკოსთა ერთი ნაწილი ვახუშტისეულ „ადგილის აღწერას“ ანუ „საქართველოს გეოგრაფიას“ ჩვეულებრივ გეოგრაფიულ ნაწარმოებად კი არ მიიჩნევს, არამედ „ქართული საისტორიო გეოგრაფიის შემავსებლად“, „ისტორიის ორგანულ ნაწილად“, „საისტორიო გეოგრაფიად“, „ისტორიულ გეოგრაფიად“ და ა.შ. ეს გაუგებრობა რამდენადმე გაიფანტა მას შემდეგ, როცა 1947 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტმა ვახუშტის გეოგრაფიული მემკვიდრეობის გამომზეურებას სპეციალური ტომი მიუძღვნა (იხ. ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, ტ.I, „ვახუშტი როგორც გეოგრაფი“, თბ.,1947). ამ ტომში დაბეჭდილი ნარკვევების (ავტორები: ალ.ჯავახიშვილი, ი.ჯიბლაძე, მ.კორძახია, გ.ჭირაქაძე, ი.შაქარიშვილი, ნ.კეცხოველი, ა.ჯანაშვილი, დ.ლონდუა, ნ.ნიჟარაძე, ს.ცხაკაია, გ.გეხტმანი) და, უფრო გვიან, ვახუშტის გეოგრაფიულ-კარტოგრაფიული მემკვიდრეობისადმი მიძღვნილი ვრცელი მონოგრაფიების, საჟურნალო თუ საგაზეთო მრავალრიცხოვანი პუბლიკაციების ავტორებმა (ლ.მარუაშვილი, ალ.ასლანიკაშვილი, დ.უკლება, გ.გურგენიძე, ი.მათურელი, კ.ხარაძე, გ.ზარდალიშვილი და სხვ.) ყოველმხრივ წარმოაჩინეს სახელოვანი მეცნიერის უდიდესი დამსახურება თავისი სამშობლოს გეოგრაფიულ შესწავლაში. თვალნათლივ დადასტურდა, რომ ვახუშტის „აღწერა... “ ღრმად გააზრებული გეოგრაფიული ნაშრომია, ხოლო მისი ავტორი — სწორუპოვარი გეოგრაფი და კარტოგრაფი. სწორედ კარტოგრაფიული ატლასებია ვახუშტის საქართველოს გეოგრაფიის უმნიშვნელოვანესი ორგანული ნაწილი.

ვახუშტის ეპოქაში გეოგრაფიულ აღწერილობებს წინ უსწრებდა რუკების ხაზვა, რუკათშედგენა; ტერიტორიის აღწერა შედგენილი რუკების ახსნა-განმარტებას ემსახურებოდა. თვით სიტყვა „გეოგრაფია“ (სიტყვა-სიტყვით „დედამიწის აღწერა“) იმ დროს, ტერიტორიის აღწერასთან ერთად, ქვეყნის მხაზველობასაც გულისხმობდა. თავის თხზულების წინასიტყვაობაში ვახუშტი წერს: *„...დავხატენით ქარტა ანუ რუკანი საქართველოსა ანუ ივერიისანი, რომელსა ხაზვიდნენ*

---

[15] ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია). თ.ლომოურისა და ნ.ბერძენიშვილის რედაქციით. თბ., 1941, გვ.XX.

მცირეთ და არა ჯეროვნად, და ჩვენ სრულიად წინა დავდევით. განა ამისდა ჯერ იყო სამჭირნით, რათა აქუნდეს გეოგრაფიის აღწერისაცა დადება (რომელ არს ქვეყნის მხაზველობა) ...ჯერ იყო მოკლე მატიანე ...რომლისად აღვსწერეთ სახმარად მისდა“ (გვ.4-5). ვახუშტის რუკების პირველი ატლასი „ადგილის აღწერაზე“ ათი წლით ადრე შეიქმნა, ხოლო გეოგრაფიულ თხზულებასთან ერთდროულად, 1745 წელს, მეორე ატლასიც დასრულდა. სწორედ ეს რუკები დაედო საფუძვლად ვახუშტისეულ გეოგრაფიულ დახასიათებას.

XVIII საუკუნის წინა ხანგრძლივი პერიოდისათვის უცნობია საქართველოსადმი მიძღვნილი გეოგრაფიული თხზულებები. ეს კი არა და, მთელ XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისშიც ასეთი შინაარსის ცალკეული გეოგრაფიული ნაშრომები, თავიანთი მნიშვნელობით, აშკარად ჩამორჩებოდნენ ვახუშტის თხზულებას. ასე რომ, ქართული გეოგრაფიული აზროვნების აღმავლობა, შეიძლება ითქვას, XVIII საუკუნიდან იწყება და საკმაოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე, ვახუშტის ნაშრომის ტოლფასი გეოგრაფიული ნაშრომი აღარ შექმნილა. ვახუშტისთან ერთად ამ საქმეში დიდი ამაგი მიუძღვით თვით ვახტანგ VI-ს და სულხან-საბა ორბელიანს, რომელთა მოღვაწეობამ მეცნიერებისა და კულტურის სფეროში ბევრნაირად შეამზადა ნიადაგი ვახუშტის მიერ საქართველოს გეოგრაფიისა და ისტორიის საფუძვლიანი შესწავლისათვის.

ვახუშტი ბაგრატიონის ცალკეული გეოგრაფიული განზოგადებანი თავისი დროის მსოფლიო მეცნიერების დონეზეა და ამჟღავნებს ქართველი მკვლევარის ფართო განსწავლულობას. ამავე დროს, საგულისხმოა შემდეგი გარემოება: „საქართველოს ცხოვრების“ ისტორიულ ნაწილზე მუშაობისას ვახუშტი ფართოდ სარგებლობდა წინაპართა ნაშრომებით (მხედველობაში გვაქვს ძველი „ქართლის ცხოვრება“ XIV საუკუნემდე, აგრეთვე უფრო გვიანი ხანის — XIV-XVIII საუკუნეების ისტორიული წყაროები), გეოგრაფიული მასალებით კი იგი ნაკლებად იყო უზრუნველყოფილი. ამასთან დაკავშირებით, საყურადღებოა თვით ვახუშტის შენიშვნა: საქართველოში ჩემამდე ხდებოდაო ადგილთა აღწერანი, მაგრამ მხოლოდ *„მცირეთ და არა ჯეროვნად“*. მართლაც, ვახუშტიმ შექმნა საქართველოსა და მოსაზღვრე ტერიტორიებისადმი მიძღვნილი პირველი ორიგინალური, თავისი ეპოქის შესაბამის მეცნიერულ დონეზე შესრულებული გეოგრაფიული ნაშრომი ატლასებითურთ. ამიტომ წარმოგვიდგება იგი ქართული მეცნიერული გეოგრაფიისა და კარტოგრაფიის ჭეშმარიტ ფუძემდებლად.

1941 წელს გამოცემულ ვახუშტის „საქართველოს გეოგრაფიას“ წამძღვარებული აქვს საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდიუმის წინასიტყვაობა. მასში ვკითხულობთ: *„ძველ საქართველოს არ დაუტოვებია მეორე ასეთი წიგნი, სადაც მსგავსი სისრულითა და სიღრმით იყოს აღწერილი ჩვენი ქვეყანა. ამიტომ ეს შრომა, როგორც საქართველოს სრული აღწერის პირველი ცდა, უდიდეს ისტორიულ განძს წარმოადგენს. ასევე ძვირფასია იგი, როგორც ქართული მეცნიერული გეოგრაფიის ერთ-ერთი უძველესი და ყველაზე უფრო*

სრულყოფილი ძეგლი".[16] დღევანდელი გადასახედიდანაც კი, 250 წლის წინათ შექმნილი ვახუშტისეული გეოგრაფია, მოვლენების აღწერის კომპლექსური მიდგომით, ძალზე ახლოს დგას ჩვენი დროის ქვეყანათმცოდნეობითი შინაარსის ნაწარმოებებთან და ცხადყოფს მისი ავტორის ენციკლოპედიურ განსწავლულობას, მეცნიერულ ალღოს და დიდ ღვაწლს არა მარტო საქართველოში რიგი სამეცნიერო დარგის დაფუძნებაში (გეოგრაფია, კარტოგრაფია, ეთნოგრაფია და სხვ.), არამედ მის დიდ ამაგს ზოგადსაკაცობრიო კულტურაში.

ვახუშტი ბაგრატიონი სამართლიანად დგას XVIII საუკუნის გამოჩენილ მოაზროვნეთა რიგებში.

წინამდებარე წერილის ავტორებს არ აქვთ ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიული მემკვიდრეობის ვრცლად მიმოხილვის პრეტენზია;[17] შემოვიფარგლებით მეცნიერის ძირითადი ნაშრომების ზოგიერთი დამახასიათებელი ნიშნის განხილვით.

ვახუშტის უმთავრესი თხზულების — „საქართველოს გეოგრაფიის" სრული ტექსტი მოიცავს წინასიტყვაობას, შესავალს (საქართველოს ზოგადი დახასიათება, მისი მოსახლეობა, ზნე-ჩვეულებანი) და ხუთ თავს: ქართლის სამეფოს, კახეთის სამეფოს, ოვსეთის (კავკასიონის ჩრდილო ფერდობის), სამცხე-საათაბაგოს და ეგრისის ანუ აფხაზეთის ანუ იმერეთის (დასავლეთ საქართველო) გეოგრაფიულ დახასიათებას. ამ ძირითადი ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეების შიგნით, პოლიტიკურ-ადმინისტრაციული და ეთნოგრაფიულ-ისტორიული ნიშნების მიხედვით გამოყოფილია უფრო მცირე ტერიტორიული ერთეულები: საერისთავოები, სადროშოები, სასპასპეტოები. ამ უკანასკნელთა ფარგლებში — ბუნებრივი რაიონები, მდინარეთა ხეობების (აუზების) სახით.

თხზულებაში მოყვანილი ფაქტობრივი მასალა ორიგინალურია და მეტწილად დამყარებულია დაკვირვების პირად მასალებსა და ვახუშტის მიერვე შედგენილ მსხვილმასშტაბიან რუკებზე, ტოპოგრაფიულსა და თვალზომითი აგეგმვის და ქვეყნის აღწერათა მასალებზე, რაც ჩატარდა ვახტანგ VI ხელმძღვანელობით და რიგ შემთხვევაში თვით ვახუშტის აქტიური მონაწილეობით; გამოყენებულია აგრეთვე წინამორბედ მემატიანეთა (ლეონტი მროველი, ჯუანშერი, ჟამთააღმწერელი და სხვ.) და თანამედროვეთა (ვახტანგ VI, სულხან-საბა ორბელიანი და სხვ.) ნაშრომები, ასევე სხვა ინფორმაციები. ამასთან დაკავშირებით ვახუშტი შენიშნავს: „... *მოხაზული ყოველთავე, რაიცა მეხილა, თუ მსახველთაგან მესმა*".

---

[16] ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა..., თბ., 1941, გვ. V.

[17] ვრცელი მეცნიერული მიმოხილვები იხილეთ სპეციალურ კრებულში, რომელიც ვახუშტი ბაგრატიონის საიუბილეოდ გამოიცა (1997 წ.).

ნაშრომში სამეფო-სამთავროების ტერიტორიები ჯერ განხილულია ზოგად ასპექტში, ხოლო შემდეგ მოცემულია დეტალური ცნობები აღსაწერი რეგიონის შესახებ. „აღწერის" ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტია **ოროგრაფიული მასალა**. ტექსტში ავტორი ახასიათებს 800-მდე ოროგრაფიულ ერთეულს — ქედებს, მასივებს, მწვერვალებს, ხეობებს, ვაკეებს და რელიეფის სხვა ფორმებს. თანაც, თითოეული მათგანისათვის განსაზღვრულია მისი მდებარეობა, ტერიტორიული გავრცელება, სიმაღლითი ნიშნულების ოდენობითი მაჩვენებლები და სხვ. ნაშრომში მოტანილი ფაქტობრივი მასალა გვარწმუნებს, რომ იმ ეპოქის პირობების მიხედვით ვახუშტის სწორი წარმოდგენა ჰქონდა კავკასიის ყელის ფარგლებში უმთავრესი ოროგრაფიული ერთეულების — კავკასიონისა და მცირე კავკასიონის მთიანი სისტემების ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ გავრცელებაზე, თოვლყინულოვან ხასიათსა და წყალგამყოფურ თვისებაზე.

დეტალურობის თვალსაზრისით ვახუშტის ოროგრაფიული აღწერილობები აშკარად გამოირჩევა XIX ს. შუა ხანებამდე კავკასიის შესახებ არსებული სხვა ანალოგიური მასალისაგან — ზუსტი ტოპოგრაფიული აგეგმვების დაწყებამდე. ასევე, იმ დროის მეცნიერების შესაფერის დონეზე ნაშრომში ფრიად საინტერესოდაა დახასიათებული ბუნების ყველა დანარჩენი კომპონენტიც, თუმცა დეტალურობის ხასიათით ეს აღწერილობანი სხვადასხვა სისრულისაა, რაც გამოწვეული იყო დაკვირვების მასალების სიმწირით. ასეთ დარგებს განეკუთვნება გეოლოგია. მიუხედავად ამისა, ვახუშტის თხზულებაში მოხსენიებულია 30-მდე სახელწოდების ქანი და მინერალი. თხზულებაში **საქართველოს ჰავა** დახასიათებულია როგორც ვრცელი რეგიონების, ასევე ცალკეული დასახლებული პუნქტებისათვის. ამასთანავე, ტერიტორიის კომპლექსურ აღწერასთან ერთად, ვახუშტი შრომაში აღნიშნავს ზოგი ადგილის დამახასიათებელ მეტეოროლოგიურ თავისებურებებს, კერძოდ, მდ. ვერეს (ვახუშტით, სკვირეთის) ხეობისა და ოსეთისათვის მოხსენებულია ძლიერი სეტყვიანობა. საერთოდ, დაკვირვებები ჰავის ელემენტებზე მაშინ არ წარმოებდა და ჰავას იგი განიხილავდა ადამიანის ორგანიზმზე გავლენის თვალსაზრისით. „საქართველოს გეოგრაფიაში" დიდი ადგილი აქვს დაწვრილებით **ჰიდროგრაფიული ობიექტების** — მდინარეების, ტბების, ჭაობების, მტკნარი და მინერალური წყაროების, მყინვარების დახასიათებას. განსაკუთრებით დეტალურად არის აღწერილი მდინარეთა ქსელი: ტექსტში 440-ზე მეტი მდინარე მოიხსენიება. ბევრი მათგანისათვის აღნიშნულია სამეურნეო — გამოყენებითი თვისებები (ნაოსნობა, თევზიანობა, ირიგაცია და სხვ.). მნიშვნელოვან ინტერესს იწვევს **ზოოგეოგრაფიული** ცნობები. ამის დამადასტურებელია თხზულებაში მოტანილი ქვეყნის გარეული ფაუნის შემადგენელთა ვრცელი სია — 100-ზე მეტი სახისა და სახეობის ცხოველთა დასახელება (ძუძუმწოვრები, ორნიტოფაუნა, იხტიოფაუნა, ქვეწარმავლები და მწერები), რაც საკმაოდ სრულსა და ნათელ წარმოდგენას ქმნის საქართველოს წარსულის ფაუნის სიმდიდრესა და მრავალფეროვნებაზე.

როგორც პროფ. ლ.მარუაშვილი შენიშნავს, კავკასიის შესახებ XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე დაწერილი გეოგრაფიული შრომების ვერც ერთი ავტორი ვერ იძლევა კავკასიონის ყინულსაბურველის სივრცობრივი განაწილების ისეთ ვრცელ სურათს, როგორც ქართველმა მეცნიერმა XVIII საუკუნეში მოგვცა.[18] ვახუშტი განხილვის გარეშე არ ტოვებს ბუნების ცალკეულ ღირსშესანიშნაობებს — კანიონისებურ ხეობებს, კარსტულ მოვლენებს, მიწისქვეშა წყაროებს და სხვ. ამ მხრივ განსაკუთრებული გულმოდგინებით და სისრულით არის დახასიათებული ქართლი, კახეთი, ნაწილობრივ იმერეთი. რამდენადმე სქემატურია სამეგრელოს, მესხეთ-ჯავახეთის, აფხაზეთის და, საერთოდ, კავკასიონის მთიანი მხარის დახასიათება.

როგორც ცნობილია, XIX ს. დასაწყისამდე კავკასიაში ზუსტი ჰიფსომეტრიული გაზომვები არ ხდებოდა და მკვლევარები იძულებული იყვნენ სიმაღლეების განსაზღვრა მოეხდინათ თვალზომითი მეთოდის გამოყენებით და სხვა პრიმიტიული ხერხებით. მიუხედავად ამისა, გეოგრაფიული ობიექტების ვახუშტისეული დახასიათება მოკლებული არ არის ოდენობრივ მაჩვენებლებს და თანაც გამოირჩევა თხრობის მიმზიდველი მანერით. აი, რამდენიმე ადგილი თხზულებიდან:

„კვალად არიან მთანი დიდროვანნი, რამეთუ ჩრდილოთ უძეს კავკასი შავის ზღვიდამ, ვიდრე კასპიამდე, რომლისა სიმაღლე დღე ერთისა სავალ, და მარადის მყინვარე უმაღლესთა ზედა, რომლისა სიზრქე ყინულისა არს კ-ლ (20-30) მჯარი, და ჟამსა ზაფხულისასა გასქდების და, თუ შთაუტეო კაცი, მცირეს ჟამს ვერ ძალუცს დათმენად სიცივისა; და ქუეშე მისსა დის მდინარენი, და არს ყინულნი მწვანე და წითელი, ვითარცა კლდე, სიძველის გამო. ხოლო დიან მთისა მისგან მდინარენი იმიერ და ამიერ მრავალნი, და შორის მთისა ამის სცხოვრებენ კაცნი. სხვა არს მთა სამხრით, რომელი იწყების შავის ზღვითვე და განვლის აზრუმს, ბასიანს და მოვალს ბარდა-არაზამდე, და არა ეგრე მყინვარე და მაღალი, არამედ თოვლნი მარადის აულებელად, გარნა ადგილ-ადგილს. და ეგრეთვე მდინარენი დიან იმიერ და ამიერ. კვალად არიან საშორის მათსა მთანი დიდროვანნი და მცირენი, და კლდენი საშინელნი და შვენიერებით აღმატებულნი, არამედ თჳსთჳს ადგილს იწეროდენ“ (გვ.31-32).

მეტად ხატოვანია იმერეთის ვახუშტისეული აღწერა: „*...მთა ლიხისა... ტყიან-ნადირიან-ფრინველიანი, და გაზდიან მდინარენი, ამიერ — ყვირილა, ძირულა, ჩხერიმელა, იმიერ — ფაწა, ოთხი ფრონენი და შოლა, და არს ქვეყანა ესე ფრიად ტყიანი, რამეთუ იშვით არს ველნი, თუ არ ადგილ-ადგილს მცირენი, თჳნიერ საჴვნელთაგან. არამედ ტყენი ადგილ-ადგილ ხილიან-ვენახიანი, ჰავითა კეთილმშვენი. გარნა ტყის გამო ზაფხულს იმყოფის სიცხე, ვინადგან ძნიად იძვრის ქარნი, და არა გაუძლოსი სიცხე, თჳნიერ ადგილთა რომელთამე. ზამთარი თბილი, რამეთუ ვერ ოდეს განჰყინავს მდინარეთა, ვერცა გუბესა, რომელთა ზედა*

---

[18] Маруашвили Л.И. Вахушти Багратиони, его предшественники и современники. М., 1956, стр.53.

შედგეს უტყვი ანუ მეტყველი. არამედ თოვლი დიდი, რომლისა სიმაღლე ოდესმე მჯარი და უმეტესიცა. თვალთა ქვეშე შვენიერება ეგოდენ არა მჩენარობს ტყის გამო, თვნიერ ადგილ-ადგილთა, რამეთუ, უკეთუ დახედო მაღლის მთიდამ, იხილავ სრულიად იმერეთს ტყედ და არასადა შენობასა“ (გვ.145-146).

ვახუშტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ცალკეული რეგიონებისა თუ გეოგრაფიული ობიექტების დახასიათებას სარგებლიანობისა და წმინდა პრაქტიკული თვალსაზრისით. აი, რამდენიმე მაგალითი:

ტაშირს *„თაფლი მრავალი და სპეტაკი, ვითარცა თოვლი, და უწყინარი,* ატენს *„დგება ღვინო წარჩინებული“, „არს ტბა სადამოხი, დიდი და აღვსილი თევზითა გემოიანითა ამისთჳს, რამეთუ არს ანკარა და ქვიანი“.* ოძრახეს *„ქვეით, სამჴრით, არს მთის კალთას წყარო გამომდინარე, ფრიად დიდი და ცხელი, მდუღარის მგზავსი, რომელსა უწოდებენ ოცხეს. მას ზედა არს შენი აბანო, და ბანობენ მრავალნი, რამეთუ ჰკურნებს ქარით დახუთვილსა ძლიერსა, მუწუკსა და ბუგრსა, ძნიად საკურნებელსა მკურნალთაგან“*(გვ.126).

ვახუშტი ბაგრატიონის თხზულება ყურადღებას იპყრობს დაკვირვების პირადი მასალების განზოგადების საინტერესო ფაქტებითაც. ვახუშტის მახვილ თვალს არ გამოეპარა მის მიერ აღწერილი კულტურული მცენარეულობის კანონზომიერი ცვლა სიმაღლის მიხედვით, რაც განპირობებულია ვერტიკალური სარტყლურობის გამო ჰავის ცვლილებით. ნაყოფიერების მიხედვით ვახუშტი მკვეთრად ანსხვავებს ერთმანეთისაგან მთასა და ბარს.

ბუნებრივი მცენარეულობის გავრცელების ვერტიკალური ზონალურობის კანონი ვახუშტის სპეციალურად არ ჩამოუყალიბებია, თუმცა მისი არსი სავსებით სწორად აქვს გაცნობიერებული. „აღწერის“ მიხედვით, მკაფიოდ ჩანს მცენარეულობის ზონალური გავრცელების თავისებურება. აღმოსავლეთ საქართველოს ბარის ზონაში იგი ანსხვავებს სტეპების, მლაშე სტეპების, ძეძვიანების, ჭალის (ტუგაის) ტყეებისა და ვაკის ტყეების მცენარეულობას. მცენარეულობის განსხვავებული ზონები გამოყოფილი აქვს, ასევე, დასავლეთ საქართველოში, დაბლობ, მთიან და მაღალ მთიან რეგიონებში (კოლხეთის ჭაობის მცენარეები – ეწერები, მთის მდელოები, მაღალბალახეულობა და მთის ტყეები). ვახუშტიმ შეამჩნია, რომ მთაში სიმაღლის მატებასთან ერთად მცირდება ჰაერის ტემპერატურა და მოკლდება მცენარეთა სავეგეტაციო პერიოდი. ასეთი ფაქტები თხზულებაში მრავალჯერ არის აღნიშნული. არადა, როგორც ეს ბოტანიკის ისტორიიდან არის ცნობილი, მეცნიერებაში მცენარეთა ზონალურობის იდეა შვეიცარიელმა მეცნიერმა ალფონს დეკანდოლმა წამოაყენა XIX ს. შუა წლებში, ვახუშტის თხზულების შექმნიდან 100 წლის შემდეგ. აქედან გამომდინარე, უნდა გავიზიაროთ ცნობილ მკვლევართა მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომლის მიხედვით, ვახუშტი ბაგრატიონი მიეკუთვნება იმ მოაზროვნეთა (თეოფრასტე, ტურნეფორი, დეკანდოლი, ჰალერი, სოსიური და სხვ.) რიცხვს, რომლებმაც ალ.ჰუმბოლდტის მიერ (1769-1859) ვერტიკალური ზონალურობის კანონის ჩამოყალიბებამდე დიდი ხნით ადრე, შენიშნეს და აღწერეს ეს საინტერესო კანონზომიერება.

აღნიშნავდა რა სახელოვანი ქართველი მეცნიერის უდიდეს დამსახურებას მცენარეთა გავრცელების ზონალურობის შესახებ, ივ.ჯავახიშვილი 30-იანი წლების დასაწყისში წერდა: *„ვახუშტის ნაშრომი, რომ ევროპელ მეცნიერთათვის მაშინ სრულებით გაუგებარ ქართულ ენაზე კი არა, არამედ რომელსამე ევროპულ ენაზე ყოფილიყო დაწერილი, ანდა XVIII ს. ორმოციან წლებში მისი ქართულად დაწერილი თხზულება მთელი საუკუნის განმავლობაში დაუბეჭდავი, გადაუთარგმნელი და სხვა მკვლევართათვის მიუწვდომელი არ დარჩენილიყო, მცენარეთა ზონალობის ზოგადი მოძღვრებაც, საფიქრებელია, XIX ს. შუა წლებზე გაცილებით ადრე გაჩნდებოდა და სამართლიანობა მოითხოვს, რომ ვახუშტის ეს დიდი ღვაწლი მეცნიერების წინაშე მისი თხზულების დაწერის თითქმის 200 წლის შემდეგომ მაინც აღნიშნული იყოს"* [19]

დიდად საინტერესოა, რომ ვახუშტის თხზულებაში ქვეყნის ბუნებრივი კომპლექსის კომპონენტთა დეტალურ აღწერასთან ერთად, ამა თუ იმ ტერიტორიის დახასიათებისას, ნათლად ჩანს თანამედროვე გეოგრაფიულ მეცნიერებაში კარგად ცნობილი ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსები — ლანდშაფტის ტიპები, მათი გეოგრაფიული გავრცელების კანონზომიერებანი. ამასთანავე, საქართველოს მთიანი მხარეების შესწავლაზე დაფუძნებით, ქართველი გეოგრაფი გარკვევით მიუთითებს ბუნებრივი პირობების, კერძოდ, ლანდშაფტების ვერტიკალურ ზონალურობაზე. თუმცა, ეს უფრო თვალნათლივ ლანდშაფტის ფიზიონომიურ კომპონენტს — მცენარეულ საფარს შეეხება, მაგრამ ქედების თუ მთების დახასიათებაში საკმაოდ სრულად არის მოცემული ლანდშაფტის სხვა კომპონენტების ხასიათი, რაც საშუალებას გვაძლევს ვახუშტის „საქართველოს გეოგრაფიაში" ადვილად დავინახოთ მკვეთრად გამოხატული ვერტიკალური ლანდშაფტური ზონები (ტიპები). ასე რომ, ლანდშაფტის ვერტიკალური ზონალურობის კანონზომიერება იმდროინდელი საქართველოს მთიანი მხარეების თავისებურებებით შთაგონებულმა, ვახუშტი ბაგრატიონმა პირველად მოგვცა, თითქმის საუკუნენახევრით ადრე, ვიდრე მას რუსები — ვასილ დოკუჩაევი, ლევ ბერგი და გერმანელი გეოგრაფი ზიგფრიდ პასარგე ჩამოაყალიბებდნენ. მაგრამ, ვახუშტის ნაშრომის დაგვიანებით გამოქვეყნების შედეგად, ამ კანონზომიერებების (ისე როგორც მცენარეულობის ზონალურობის) ავტორებად უცხოელებს მიიჩნევენ.

თხზულებაში ლანდშაფტური ზონების მოხდენილ, ზუსტ დახასიათებას ვხვდებით, მაგალითად, კახეთის ქედის განხილვისას: *„მთა პერეთისა, თხემთა შიშველი და უტყეო, ბალახ-ყვავილოვანი, მცირე წყაროიანი, კალთათა ტყიანი და ნადირიანი. მთის ძირად კალთას, იმიერ და ამიერ, შენობა-დაბნებიანი, ვენახოვან-ხილოვან-მოსავლიანი"* (გვ.101). ესე იგი, ახლანდელი გაგებით, აღწერილია მთა-მდელოს, მთა-ტყისა და მთისწინეთის ლანდშაფტური ზონები. ან კიდევ, სხვაგან: *„არს მთა დიდი, მაღალი და მარადის თოვლიანი, და კალთათა ტყიანი, ნადი-*

---

[19] ივ.ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, თბ., 1930, გვ.297-298.

რიანი... “(გვ.37). აქ უკვე ჩვენი მეცნიერი გლაციალურ-ნივალურსა და მთა-ტყის ლანდშაფტურ ზონებს მიუთითებს. ამავე დროს, ვახუშტისეულ კომპლექსურ-გეოგრაფიული (ლანდშაფტური) აღწერილობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურებაა ადგილის დახასიათებაში ბუნებრივ-გეოგრაფიულ კომპონენტებთან ერთად სამეურნეო-გეოგრაფიული ნიშნების მტკიცე კავშირურთიერთობის არსებობა. სხვანაირად რომ ვთქვათ, მინიშნება ანთროპოგენურ (კულტურულ) ლანდშაფტებზე, რომელიც დღეისათვის ლანდშაფტური კვლევისას მიღებული და აუცილებელი პირობაა.

ბუნებრივი პირობების თუ სოფლის მეურნეობის დარგების დახასიათება, სივრცობრივი განლაგების პრინციპი და აღწერილობის კომპლექსურობა, რაც წითელ ზოლად გასდევს ვახუშტის თხზულებას, ავტორის ჭეშმარიტ გეოგრაფობას გვიდასტურებს.

ვახუშტის მიერ საქართველოს სრული გეოგრაფიული დახასიათების ერთ-ერთი შემადგენელია **მოსახლეობისა და მეურნეობის დარგების განხილვა**, რაც აწინდელი გაგებით ეკონომიკურ და სოციალურ-გეოგრაფიულ კვლევას ნიშნავს. მანამდე ჩვენი სამშობლოს მცხოვრებთა შემადგენლობა და ეკონომიკის საკითხები ასე ფართოდ და ღრმად არც ერთ მემატიანეს არ განუხილავს. ამიტომ იყო, რომ ივანე ჯავახიშვილი ვახუშტის თხზულებას საქართველოს ეკონომიკური ისტორიის უმნიშვნელოვანეს წყაროდ მიიჩნევდა. *„ცნობათა სიუხვისა და განმაცვიფრებელი მრავალფეროვანობის წყალობით ვახუშტის გეოგრაფიას არასდროს მეცნიერებისათვის მნიშვნელობა არ დაეკარგება“*[20] — აღნიშნავდა მეოცე საუკუნის უდიდესი ქართველი ისტორიკოსი.

თავის გეოგრაფიულ აღწერილობაში, როგორც საქართველოს ზოგადი დახასიათებისას, ისე ქვეყნის თითოეული ნაწილის განხილვისას, ვახუშტის ყურადღების გარეშე არ დაუტოვებია XVIII საუკუნის მოსახლეობის ცხოვრების წესის, ზნე-ჩვეულების, ეთნიკური შემადგენლობის, ვაჟთა და ქალთა გარეგნობის, ასევე სარწმუნოების არცერთი მხარე. ქართველობის შესახებ ვახუშტი წერს: *„ხოლო ანაგებით არიან კაცნი და ქალნი შვენიერნი, პიროვანნი, შავ თვალ-წარბ-თმოსანნი, თეთრყირმიზნი, იშვით შავგრემან და მოყვითან, იშვით თვალჭრელ და გრემანი, და მწითურ ანუ თეთრ. ქალთა თმა გარდაშვებული და დაწნული, ხოლო კაცთა ყურთა ზედა მოკვეცილნი; წერწეტნი, უმეტეს ქალნი, იშვით სქელნი, მჴნენი მუშაკნი, ჭირთა მომთმენნი, ცხენსა ზედა და მჴედრობათა შინა კადნიერნი, მკვირცხლნი, მსწრაფლნი...* “ (გვ.32). ამონაწერიდან ნათლად ჩანს მეცნიერის განსაცვიფრებელი უნარი — უაღრესად ლაკონიურად ჩამოაყალიბოს ქართველი ადამიანის როგორც გარეგანი სახე, ისე მისი შინაგანი ბუნების ძირითადი მახასიათებლები. აგრძელებს რა მოსახლეობის დახასიათებას, ვახუშტი აღნიშნავს ჩვენი ხალხის სტუმართმოყვარეობას, სწავლისაკენ სწრაფვას, გონიერებას და ბევრ სხვა დადებით მხარეს. ამავე დროს, მეცნიერი იმასაც არ

---

[20] ივ.ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, თბ., 1930, გვ.113.

ივიწყებს, რომ საქართველოში მრავალგზის მუსულმანური ტომების შემოჭრამ უარყოფითი გავლენა მოახდინა ქართველების ბევრი ეროვნული ნიშნის შენარჩუნებაზე, გამოიწვია მწიგნობრობის დაქვეითება, შეაფერხა ჭეშმარიტი ცოდნის გავრცელება და სხვ.

საქართველოს ცალკე მხარეების გეოგრაფიული აღწერის ერთ-ერთ მაჩვენებლად ვახუშტი მიიჩნევს **მცხოვრებთა ეთნიკურ შემადგენლობას**. ჩვენი ქვეყნის რომელ კუთხეშიაც უცხო ტომები გაჩნდნენ, მითითებულია როდის ან ვისი მცდელობით ჩამოსახლდა აქ არაქართველები, როგორია ეს ეთნიკური ჯგუფი ცხოვრების წესით და ა.შ. მომთაბარე მაჰმადიანი ტომების გამაერთიანებელ სახელად ვახუშტი ხმარობს ტერმინს „ელნი“. გარე აგრესიული ძალების მცდელობით, გვიან ფეოდალურ ხანაში ასეთი ტომები აღმოსავლეთ საქართველოს რამდენიმე კუთხეში გაჩნდნენ. ერთ-ერთი მაჰმადიანური ტომი — „ბორჩალუ“ სპარსეთის მრისხანე შაჰმა აბას I-მა XVII საუკუნის დასაწყისში დაასახლა დებედას ხეობაში (მარნეულის ვაკეზე). მომთაბარე მაჰმადიანებზე ვახუშტი გვამცნობს: „*ხოლო რაოდენნი ელნი დავსწერენით ქართლს, ზამთარ არიან ამ ადგილებთა შინა და ზაფხულს ავლენან ყაიყულისა და პალაკაციოს მთასა ზედა*“ (გვ.53).[21]

XVIII საუკუნის საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს უმეტეს ქვეყანაში, მოსახლეობის საქმიანობის მთავარ სახეს **სოფლის მეურნეობა** შეადგენდა; გავრცელებული იყო აგრეთვე შინამრეწველობის და ხელოსნობის სხვადასხვა დარგი. საქართველოს თითოეული კუთხის დახასიათებისას ვახუშტი აღნიშნავდა, რა სახის სასოფლო-სამეურნეო კულტურები იყო გავრცელებული, როგორი იყო შინაური პირუტყვის მრავალფეროვნება, რით განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან მთისა და ბარის მეურნეობა.

ლანდშაფტის ელემენტებთან კავშირში ვახუშტი საკმაოდ დეტალურად იხილავს კულტურულ მცენარეულობათა ვერტიკალური ზონალურობის სისტემას. აღწერილი ხეობების უმეტესობა 2 ან 3 ზონად აქვს დაყოფილი. მაღალი მთის ზონა „მთიურის“ ნაყოფიერებით ხასიათდება. აქ გავრცელებულია სიცივის გამძლე მინდვრის კულტურები — ხორბალი, ქრთილი, შვრია, სელი და სხვ. უფრო ქვემოთ, მეორე ზონაში, მათ ემატება „ბაღის ხილეული“, ხოლო დაბალი ზონა გამოირჩევა კულტურული მცენარეულობის დიდი მრავალფეროვნებით, მათ შორისაა სითბოსმოყვარული მცენარეები — ვაზი, ბამბა, ზეთის ხილი; შავიზღვისპირეთში აგრეთვე თურინჯი, ნარინჯი და ლიმონი. ფართო გავრცელება აქვს ბარის ზონაში ნაირსახოვან მარცვლეულს — ხორბალს, ბრინჯს, ღომს, სიმინდს (დასავლეთ საქართველოში), აგრეთვე ბოსტნეულ კულტურებს და ყველა სახის ხილეულს.

მდინარეთა ხეობების დახასიათებისას, ქვედა ნაწილები, როგორც წესი, ვახუშტის გამოყოფილი აქვს „ვენახიან-ხილიანი“, ხოლო ზედა — „უვენახო-

---

[21] ინტერესმოკლებული არ იქნება გავიხსენოთ, რომ ქვემო ქართლის მუსულმანურ მოსახლეობაში ცხოვრების ნახევრად მომთაბარე წესი XX საუკუნის შუა წლებამდე ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი.

უხილო“. საყურადღებოა, რომ ვაზი ვახუშტის ნაშრომში წარმოდგენილია, როგორც თავისებური ინდიკატორი; ვაზის გავრცელების ზედა საზღვარი, ამავე დროს, მთისა და ბარის საზღვარსაც წარმოადგენს. ამ მაჩვენებელს, ორი ძირითადი სიმაღლითი ზონის გამიჯვნისას, გეოგრაფები დღესაც ერთ-ერთ ფაქტორად მიიჩნევენ. სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა-ნაყოფიერებითაც გამოყოფს ვახუშტი ერთმანეთისაგან მთასა და ბარს. მას შეუმჩნეველი არ დარჩენია არც ის გარემოება, რომ მთა და ბარი არა მარტო მცენარეულობის, არამედ შინაური და გარეული ცხოველების სახეობათა გავრცელებითაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ბარის ზონის დახასიათებისას, ბევრ ადგილას მეცნიერი ჩამოთვლის როგორც შინაური, ისე გარეული ცხოველების მრავალ სახეობას. მთიანი ადგილების განხილვისას კი არაერთხელ მიუთითებს, რომ *„არა არს აქა აქლემი და „კანჯერი“*. ამავე დროს, ასახელებს მთაში მობინადრე გარეულ ცხოველებს, აღნიშნავს რა სახის ფრინველებია აქ უპირატესად ან რა თევზია მდინარეებში.

დიდმა მეცნიერმა ყურადღების გარეშე არ დატოვა თავისი ეპოქის საქართველოს ეკონომიკური ცხოვრების არც ერთი ცოტა თუ ბევრად მნიშვნელოვანი საკითხი, მათ შორის სამეურნეო კავშირები მთასა და ბარს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ფეოდალიზმის ეპოქისათვის დამახასიათებელია ნატურალური მეურნეობა და კარჩაკეტილობა, საქართველოს მთიანეთი არასდროს იყო იზოლირებული ბარისაგან. მთასა და ბარს შორის, ისევე, როგორც ქალაქსა და სოფელს შორის სწარმოებდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის, შინამრეწველობის და ხელოსნობის ნაწარმის გაცვლა. ბარი მთას აწვდიდა მემინდვრეობის პროდუქციას (მარცვლეულს, ბოსტნეულს, ღვინოს, ხილს) და სანაცვლოდ მოიხმარდა მთაში წარმოებულ მეცხოველეობის პროდუქტებს. არაგვის ხეობის ზედა ნაწილის განხილვისას ვახუშტი აღნიშნავს: მთიულეთი *„...არს, უვენახო, უხილო, მცირე მოსავლიანი. არამედ მოიღებენ ბარიდამ ტკბილსა, შთაასხმენ აქა და ლომისას, და დადგების ღვინო კეთილი, თეთრი და ტკბილი“* (გვ.68). ასეთივე ცნობები მოჰყავს მეცნიერს თრიალეთის აღწერისას. მთის და ბარის კავშირის ერთ-ერთი სახე იყო ორივე ზონის მოსახლეობის მიერ საზაფხულო და საზამთრო საძოვრების ერთობლივი გამოყენება.

ვახუშტი ბაგრატიონის მეცნიერულ მემკვიდრეობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია კარტოგრაფიულ ნაწარმოებებს, კერძოდ, მის მიერ შედგენილ გეოგრაფიულ ატლასებს, რომლებმაც თავის დროზე მაღალი შეფასება დაიმსახურეს და დღემდე შეინარჩუნეს მეცნიერული მნიშვნელობა. ჩვენამდე ორმა ასეთმა ნაშრომმა მოაღწია: ე.წ. „ყაზანური ატლასი“ (ვახუშტის გარდაცვალების შემდეგ აღმოჩნდა ყაზანის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში) შედგენილია 1735 წელს. თავდაპირველად ატლასი 8 რუკას შეიცავდა. ამჟამად შემორჩენილია მხოლოდ ოთხი მთელი რუკა და მეხუთე რუკის მხოლოდ ნახევარი. ეს რუკებია:

1. საქართველოს საერთო რუკა. იგი მოიცავს თითქმის მთელ კავკასიას და მოსაზღვრე სახელმწიფოების ნაწილებს. მასზე გამოსახულია აგრეთვე საქართველოსა და მასში შემავალი სამთავროების, ასევე ზოგი მეზობელი ქვეყნის გერბები.
2. სამცხე-საათაბაგოს ანუ მესხთა რუკა — არზრუმიდან ტრაპიზონამდე.
3. აღმოსავლეთ საქართველოს რუკა (ამ რუკის ჩარჩოს ერთ კუთხეში, ცალკე გამოსახულ XVIII საუკუნის თბილისის გეგმაზე ნაჩვენებია ქალაქის მთავარი ქუჩები, ბაღები, მდ.მტკვარი, მოსაზღვრე მთები, თბილისის სანახების ხევ-ხეობები და სხვ.).
4. კახეთის, კუხეთის, ჰერეთის, თუშ-ფშავ-ხევსურეთის და დიდოეთის რუკა.
5. შირვანის რუკა. ამ რუკის ჩრდილო ნახევარი დაკარგულია.

ასევე დაკარგულია დასავლეთ საქართველოს და მეზობელ მხარეთა („მცირისა სომხეთისა ანუ ირანისა“), სამცხე-საათაბაგოს (მეორე) რუკები. 1735 წლის რუკებიდან პირველი რუკა (მთლიანად საქართველო) წვრილმასშტაბიანია (1:2 000 000), დანარჩენი რუკები — საშუალო მასშტაბიანი (1:300 000; 1:900 000). რუკები შესრულებულია სწორი ცილინდრული პროექციის სისტემით და როგორც ცნობილი გეოგრაფი და ვახუშტოლოგი პროფ. ლ.მარუაშვილი შენიშნავს, მათ საფუძვლად უდევთ გეოგრაფიული კოორდინატების ტლანქი განსაზღვრები. მასშტაბები მერიდიანებსა და პარალელებს გასწვრივ განსხვავებულია.

ამ ატლასის მომზადება მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ჩვენი სამშობლოს კულტურულ-სამეცნიერო ცხოვრებაში. მართლაც, პირველად შეიქმნა საქართველოს ტერიტორიის და მასში შემავალი ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეების ქართულენოვანი რუკები, რომლებმაც წარმოდგენა შექმნეს არა მარტო ქვეყნის გეოგრაფიულ პირობებზე, არამედ მის ისტორიულ საზღვრებსა და კულტურულ ფასეულობებზეც. რუკებზე წარწერები შესრულებულია XVIII საუკუნის ქართული მხედრული შრიფტით.

ისტორიული მნიშვნელობა აქვს პირველი ატლასის ერთ-ერთ რუკაზე ვახუშტის ხელით შესრულებულ საქართველოს ცალკეული სამეფო-სამთავროების და მეზობელი მხარეების გერბებს.

XVIII საუკუნეში არსებითი ძვრები მოხდა მსოფლიო კარტოგრაფიის განვითარებაში. ამ მხრივ გამოირჩეოდა საფრანგეთი. დაიწყო ტრიანგულაციის მეთოდის გამოყენება რუკათშედგენაში, დამუშავდა რუკათშედგენის ახალი პროექციები, დაზუსტდა ადგილთა გეოგრაფიული კოორდინატები. კარტოგრაფიის ახალი იდეები შემოდის რუსეთშიც და საქართველოშიც. ამ იდეების საფუძველზე გაჩაღდა კარტოგრაფიული სამუშაოები. ვახუშტი ბაგრატიონი ამ სიახლეების შუაგულში ტრიალებდა და ინტენსიურად მუშაობდა საქართველოს ახალ ატლასზე, რომელიც 1745 წელს დაასრულა. იგი ლიტერატურაში „პეტერბურგული

ატლასის“ სახელწოდებითაც მოიხსენიება. მის ყდაზე არის ფრანგული სათაური: „Atlas pour Wakhusht“ ატლასი შედგება 19 რუკისაგან, რომელთაგანაც ორი საქართველოს საერთო რუკაა. ორივეზე გამოსახულია მთელი კავკასია, ხოლო დანარჩენი რუკები საქართველოს ცალკეულ მხარეებს ეძღვნება. თანაც, ეს რუკები უფრო დეტალურია და დაზუსტებულია პირველ ატლასთან შედარებით. ასე, მაგ., ამ ატლასის №№ 1 და 5-ე რუკებზე ჩრდილო კავკასიის ტერიტორია დატანილია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიული დეპარტამენტის მასალების მიხედვით. ამ ატლასშივეა შესული ბაგრატიონთა ორი გენეალოგიური ტაბულა.

მეორე ატლასის პირველი წყარო „ყაზანური ატლასია“, თუმცა იგი გეოგრაფიულ კოორდინატთა ახალ სისტემას ემყარება. ატლასის რუკები ძირითადად აგებულია ტრაპეციისებრივი პროექციის სისტემით და მათი მათემატიკური საფუძველი პირველ ატლასთან შედარებით უფრო ზუსტია, თუმცა იმ დროის ჯერ კიდევ ნაკლებად იყო განვითარებული გარკვეული პუნქტების (წერტილების) გეოგრაფიული კოორდინატების განსაზღვრა ასტრონომიული წესით, რაც რუკათშედგენაში დიდ სირთულეებს ქმნიდა.

იმ წელს, როცა ვახუშტიმ მუშაობა დაასრულა მეორე ატლასზე, რუსეთის იმპერიის გეოგრაფიული ატლასი გამოვიდა. გენერალური რუკის გარდა, იგი რუსეთის ევროპული ნაწილის 13 და აზიური ნაწილის 6 რუკას შეიცავდა. საგულისხმოა, რომ ვახუშტის მეორე და „რუსეთის ატლასის“ კარტოგრაფიული ბადე არ განსხვავდება ერთმანეთისაგან, რაც მიგვანიშნებს ვახუშტის მჭიდრო სამეცნიერო თანამშრომლობაზე რუს კოლეგებთან. ამის დასტურია აგრეთვე რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიული დეპარტამენტის დაკვეთით ვახუშტის მიერ შესრულებული საქართველოს სამეფოების რუსულენოვანი ატლასი, რომელშიც საქართველოს ცალკეული ნაწილების 7 და კავკასიის 2 რუკაა. ამ რუკებს სამხედრო დანიშნულება ჰქონდათ და საჭირო გახდა მათი გამდიდრება აუცილებელი ინფორმაციით, კერძოდ, მნიშვნელოვნად გაიზარდა პირობითი ნიშნების რაოდენობა; დამატებითი ნიშნებით გამოისახა სამხედრო თვალსაზრისით საყურადღებო ობიექტები (ხიდები, ციხესიმაგრეები და სხვ.), შეიქმნა ახალი შინაარსის რუკაც (მაგ., № 3).

რა არის რუკებზე გამოსახული და როგორია მისი ტოპოგრაფიული შინაარსი?

როგორც ითქვა, ვახუშტის ნათელი წარმოდგენა ჰქონდა საქართველოსა და საერთოდ, კავკასიის ოროგრაფიულ აღნაგობაზე. რუკების სხვადასხვა ნაწილში არათანაბარი სიზუსტით, თუმცა მნიშვნელოვანი დეტალურობით არის გამოსახული რელიეფი. კერძოდ, მთები ნაჩვენებია პროფილში გამოსახული, ცალმხრივ დაჩრდილული გორაკების მწკრივების სახით, ისევე როგორც ეს ფართოდ იყო გავრცელებული XVII საუკუნესა და XVIII საუკუნის პირველ ნახევარში (რელიეფის იზოჰიფსების საშუალებით გამოსახვის ხელოვნება მკვიდრდება XIX ს. დასაწყისში); დეტალურად არის გამოსახული შიგა წყლები

(მდინარეები, ტბები, წყაროები და სხვ.), ტყის საბურველი, მარადიული თოვლყინულოვანი საფარი, დასახლებული პუნქტები. რუკებზე ფერებით აღნიშნულია სამეფო-სამთავროები, საერისთავოები, სადროშოები, ხოლო გრაფიკული ხერხით — რელიეფი. დატანილია აგრეთვე უმნიშვნელოვანესი ნაგებობები (ტაძრები, ეკლესია-მონასტრები, სასახლეები და სხვ.), ნაწილობრივ — გზები, ცალკეული მწვერვალები, რელიეფის ფორმები (მაგ., მღვიმეები, კანიონები და სხვ.). მეორე ატლასის რუკები დამყარებულია კონუსურ პროექციაზე და ხარისხობრივად და სიზუსტით შესამჩნევად აღემატება პირველი ატლასის რუკებს. ორივე ატლასში ქართლ-კახეთისა და იმერეთის რუკები საუკეთესოა ყველა სხვა ტერიტორიების რუკებთან შედარებით, რაც აშკარად მიგვანიშნებს იმაზე, რომ აღნიშნულ რეგიონებზე ვახუშტის მდიდარი ინფორმაცია ჰქონდა. თვითონ განსაჯეთ: მეორე ატლასის 19 რუკიდან 11 ქართლ-კახეთს და მათ სადროშოებს ეძღვნება.

ტოპოგრაფიული დეტალურობით და სისრულით ვახუშტისეული რუკები მნიშვნელოვნად აღემატებოდა ყველა იმ კარტოგრაფიულ გამოსახულებას, რომლებიც შედგენილი იყო მანამდე და ნაწილობრივ შემდგომაც, ზუსტი ტოპოგადაღებების დაწყებამდე. მკვლევართა ერთსულოვანი აღიარებით, ვახუშტისეული რუკები შინაარსითაც და გაფორმებითაც იმ ეპოქის კარტოგრაფიული მეცნიერების განვითარების დონის შესატყვისი იყო; XVIII საუკუნეში მათ დიდი როლი შეასრულეს კავკასიისა და საქართველოს ტერიტორიის კარტოგრაფიული აღწერილობის ორგანიზებაში, ქვეყნის გაღრმავებულ გეოგრაფიულ შესწავლაში.

რასაკვირველია, რუკების ტოპოგრაფიულ შინაარსს ახლდა ხარვეზები, უზუსტობები, ზოგჯერ ტლანქი შეცდომებიც კი, მაგრამ ყოველივე ეს აიხსნებოდა როგორც აგეგმვის მასალების მოპოვების სიძნელეებით, ისე ტოპოგადაღებების მეთოდების არასრულყოფილებით, მთიანი და ძნელადმისადგომი რეგიონებისათვის ფაქტობრივი მასალის უკმარისობით.

ვახუშტის რუკებმა დიდი ინტერესი გამოიწვია რუსეთში და საერთოდ, ევროპაში. ცივილიზებული სამყარო ამ რუკებით გაეცნო კავკასიის, კერძოდ, საქართველოსა და მიმდებარე ტერიტორიების დეტალურ კარტოგრაფიულ გამოსახულებას. 1737 წლის 5 დეკემბერს ლაიფციგის „სამეცნიერო გაზეთმა" დაბეჭდა ცნობა „ტფილისელი პრინცის" მიერ შედგენილი კავკასიის მთების შესანიშნავი რუკების შესახებ. წერილში ნათქვამია: *„ამ რუკების დიდი ნაწილი ქართულიდან უკვე თარგმნილია და ბატონი ჟ.დელილი გვპირდება მათ გამოქვეყნებას, რითაც კავკასიის დღემდე იდუმალებით მოცული მთები ერთბაშად გახდება ევროპელთათვის ცნობილი"* [22]. მართლაც, საფრანგეთში დაბრუნების შემდეგ, ჟ.დელილს ვახუშტის რუკებიდან გადაღებული ასლები ორლეანის ჰერცოგისათვის წარუდგენია, ხოლო 1766 წელს პარიზში გამოუქვეყნებია სათაუ-

---

[22] Броссе М. О бумагах астронома Делиля, хранящихся в архиве Императорского Русского географического общества. „Изв. Русск.геогр.об-ва", кн.9, 1865.

რით: „რუკა საქართველოსი და შავსა და კასპიის ზღვებს შორის მდებარე ქვეყნებისა“, უფრო ადრე (1747), პარიზშივე დაიბეჭდა ვახუშტისეული ქართლის რუკა და თბილისის გეგმა. ვახუშტის მასალები საფუძვლად დაედო „რუსეთის ატლასის“ (1745) მეთერთმეტე რუკას („ადგილმდებარეობა შავსა და კასპიის ზღვებს შორის   “), ხოლო ორი წლით ადრე — “ივერიის ქვეყნების რუკას“. თავისავე რუკების სათარგმნელად ვახუშტი მიიწვიეს რუსეთის გენერალურ შტაბში, სადაც, როგორც აღინიშნა, მას მოუხდა რუკების შინაარსის გამდიდრება სამხედრო მნიშვნელობის ცნობებით. მოგვიანებით ვახუშტის რუკების საფუძველზე გამოქვეყნდა საქართველოსადმი მიძღვნილი რუკები ა.ჰუხოტონის (1771), ი.გიულდენშტედტის (1772), ს.ბურნაშევის (1784); 1842 წელს კი სანკტ-პეტერბურგში, მ.ბროსეს მიერ გამოცემულ ვახუშტისეულ „საქართველოს გეოგრაფიას“ დაერთო ფრანგულ ენაზე გადაღებული 6 რუკის ასლი.

დიდია ვახუშტი ბაგრატიონის დამსახურება კარტოგრაფიის, როგორც სამეცნიერო დარგის დაფუძნებაში. მისი მოღვაწეობა საფუძვლად დაედო კავკასიის კარტოგრაფიული შესწავლის მთელ ეპოქას — 1735 წლიდან XIX საუკუნის დასაწყისამდე. XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, თუკი საქართველოში კარტოგრაფიული მეცნიერების დონე არ ჩამორჩებოდა რუსეთისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებისას (მაგ. საფრანგეთისას), ამაში ფასდაუდებელია ვახუშტი ბაგრატიონის დამსახურება.

სამწუხაროდ, ისტორიამ შემოგვინახა ვახუშტი ბაგრატიონის, მისი თანამედროვეების თუ წინამორბედების ხელნაწერი კარტოგრაფიული ფონდის მხოლოდ ერთი ნაწილი. ქართული კარტოგრაფიული მეცნიერების ფესვები უფრო ადრეულ წარსულს განეკუთვნება; ვახუშტისეული ატლასები არ შექმნილა ცარიელ ადგილზე. ვახტანგ VI, სულხან-საბა ორბელიანი და მათი წინამორბედები თავიანთ სამეცნიერო-საგანმანათლებლო მოღვაწეობისას ასტრონომიულ და კარტოგრაფიულ სამუშაოებსაც ასრულებდნენ.

უცნაური ბედი ხვდა წილად ვახუშტი ბაგრატიონის ატლასს. მიუხედავად იმისა, რომ იგი მსოფლიო მნიშვნელობის კარტოგრაფიულ ძეგლად არის აღიარებული. დღემდე არ მოხერხდა მისი გამოქვეყნება. არადა, დადგენილება ვახუშტის ატლასის გამოცემის თაობაზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა ჯერ კიდევ 1959 წლის 23 აპრილს მიიღო. ამასთან დაკავშირებით დიდი მოცულობის სამუშაოები შესრულდა მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტში: ატლასი მომზადდა გამოსაცემად. თბილისის კარტოგრაფიულმა ფაბრიკამ იგი 1982 წლის საგამომცემლო გეგმაში შეიტანა. მაგრამ მოსკოვის შესაბამისი უწყებიდან (ყოფილი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარი სამმართველო) საჭირო ნებართვის მიუღებლობის გამო, არ დაიბეჭდა. უფრო გვიან ატლასის გამოცემა გაითვალის-

წინებული იყო ქართული ენის სახელმძღვანელო პროგრამით, მაგრამ ვერც ამჯერად მოხერხდა მისი რეალიზება.

ზემოთ შევეცადეთ სქემატურად მიმოგვეხილა ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებების ის თავები, რომლებიც გეოგრაფიისა და კარტოგრაფიის სფეროებს განეკუთვნება. ამასთან ერთად, ვახუშტის ნაწარმოებებში გაბნეულია მდიდარი მასალა XVII-XVIII საუკუნეებში საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობის მეცნიერული შესწავლისათვის.

ცალკე უნდა აღინიშნოს ვახუშტი ბაგრატიონის დიდი საზოგადოებრივი და მთარგმნელობითი საქმიანობა. 1752 წელს მან რუსულიდან თარგმნა მსოფლიო გეოგრაფიის სახელმძღვანელო (27 რუკით), რომლითაც, სხვათა შორის, გეოგრაფიას ასწავლიდნენ თელავის სემინარიაში; თარგმნა „მსოფლიო საეკლესიო ისტორია“ (1745) და „მოსვლა ანტიქრისტესი“ (1749), მონაწილეობა მიიღო „ბაქარის ბიბლიის“ დაბეჭდვაში (1743), „ქართულ-რუსული ლექსიკონის“ შედგენაში, გალექსა ვისრამიანი და სხვ. თავისი დაუღალავი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობით ვახუშტი ბაგრატიონი იმდროინდელი რუსეთის თვალსაჩინო და ავტორიტეტული პიროვნება გახლდათ და აკი ამიტომაც, მას წილად ხვდა უდიდესი პატივი — გამხდარიყო მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის წევრი-დამფუძნებელი — გრაფ შუვალოვთან, ელისაბედ დედოფალთან და მიხეილ ლომონოსოვთან ერთად. თვითმხილველთა (აკად. ალ.ჯავახიშვილი, აკად. ა.თვალჭრელიძე და სხვ.) გადმოცემით, აღნიშნული ფაქტის დამადასტურებელი, ოქროს ვარაყიანი მემორიალური დაფა, ოთხი პიროვნების გვარების დასახელებით, 1917 წლამდე მიკრული იყო „ძველი უნივერსიტეტის“ შენობის კედელზე. შემდეგ კი მემორიალური დაფა უკვალოდ გაქრა. ვახუშტი ბაგრატიონის მონაწილეობას მოსკოვის უნივერსიტეტის დაფუძნებაში აღნიშნავს, აგრეთვე, გამოჩენილი რუსი გეოგრაფი პროფ. ი.საუშკინი თავის მონოგრაფიაში: „Географическая наука в прошлом, настоящем и будущем“ М., 1980. ვახუშტი ბაგრატიონის ბიუსტი ამშვენებდა აგრეთვე უნივერსიტეტის სააქტო დარბაზის ვესტიბიულს. ამ ფაქტს ადასტურებენ იმდროინდელი მოსკოველი კორესპონდენტები (იხ. „სახალხო გაზეთი“, № 600, 1912; გაზეთი „თემი“ № 89, 1912).

ვახუშტი ბაგრატიონის სამეცნიერო ნაშრომები უთვალსაჩინოესი მეცნიერული მემკვიდრეობაა და ჯეროვან ყურადღებას მოითხოვს. დიდი ივანე ჯავახიშვილის შეფასებით *„იგი მუდამ უკვდავების შარავანდედით იქნება მოსილი და არასდროს მნიშვნელობა არ დაეკარგება“*.

1997 წლის ოქტომბერში მთელი საქართველო და მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობა ზეიმით აღნიშნავს ვახუშტი ბაგრატიონის დაბადებიდან 300 წლისთავს. იუბილეს დღეებში დღის სინათლეს იხილავს ვახუშტისეული ატლასის ფაქსიმილური და თანამედროვე ქართული შრიფტით შესრულებული ვარიანტები; მკითხველი მიიღებს ვახუშტისეული გეოგრაფიის ახალ გამოცემას — პირველად გეოგრაფთა რედაქციითა და შესაბამისი კომენტარებით. იუბილე და მასთან დაკავშირებული ღონისძიებანი იქნება სახელოვანი წინაპრისა და მამულიშვილის დიდი ღვაწლის დადასტურება ქართული და ზოგადსაკაცობრიო მეცნიერებისა და კულტურის წინაშე.

გეოგრ.მეცნ.დოქტორი, პროფ. **ზ.ტატაშიძე**
მეცნ.აკად.წევრ-კორ., პროფ. **ვ.ჯაოშვილი**
გეოგრ.მეცნ.დოქტორი, პროფ. **დ.უკლება**
გეოგრ.მეცნ.დოქტორი **კ.ხარაძე**

Vakhushti Bagrationi
the founder of the Georgian geographical science

Three hundred years have passed since the birthday of a great scholar, an unrivaled figure of the Georgian national culture and public figure Vakhushti Bagrationi and 250 years have passed since the publication of his fundamental work "Life of Georgia".

Vakhushti Bagrationi was the son of a famous state and military leader King of Kartli- Vakhtang VI. He was brought up at the king's court and it must be said, that he had received education, appropriate to a prince. Besides the royal family, big contribution in his education was made by the outstanding figures of the time: Sulkhan Saba Orbeliani, dean Iese Garsevanishvili and his brother Georgi, and also catholic missionaries, living in Tbilisi- among them there were political counsellors of the king and princes, ambassadors, educated doctors and others. Together with theological sciences Vakhushti studied secular sciences- history, geography, mathematics and cartography, astronomy and military science, literature and the art of translation. As his historian writes, he had mastered European knowledge, imported to Georgia (*"... he had completed all studies of French Latins"*). The talented young man was able to speak a number of foreign languages. The sphere of his interests was very wide, that was a result of the influence of his father – the enlightened King – Vakhtang VI. The desire to explore mountains and valleys of his Motherland awakened Vakhushti's interest in geography and history. That was stipulated also by the lack of geographical maps in Georgia, reflecting its historical territories , the geographical description of the whole territory of the country was to be made. The history of the Georgian nation since the origin till the mid-18th century needed systematization and analysis. These were the requirements of the way of the country's cultural revival and rapprochement with the civilized world.

Vakhushti traveled much to various places of Georgia, collected materials for creation of the intended works; at the same time he took an active part in the political life of Kartli. He headed a number of events of state significance, participated in military campaigns, and in the elaboration of the country's home and foreign policy. Vakhtang VI himself was engaged in great state and educational activity; he created founding state laws, led widely spread economic and cultural construction, translated belles-lettres, scientific literature, poetry. The first Georgian printing-house, founded in

Tbilisi on the king's initiative, had cultural-educational purposes. In this printing-house ecclesiastical and secular books were printed.In 1712 the poem of Shota Rustaveli "The Knight in the Panther's Skin" was printed for the first time there. The printing- house was destroyed by the Osmans in 1723.

In the late feudal epoch Georgia, divided into several kingdoms and principalities, became an arena of permanent invasions of Iran and Turkey. Outer aggressive forces gained power particularly in the first quarter of the 18th century. Vakhtang VI thought aid and salvation to be in the establishment of close relations with Russia of Peter the Great, therefore he had established relationships with coreligionist Russia. The traditional course of union with Christian Russia in King's foreign policy highly exasperated the southern neighbors. In 1723 the Turks had become dominated over Kartli and Tbilisi itself. Unfortunately, the hope that Russia would help to drive out the foreign invaders and unite the country, turned out to be vain. In the hard situation the kings could not stay in his country and he escaped to Tskhinvaly and later, on 15th July, 1724 together with a large retinue (1208 people) he directed to Russia. The princes with their families and faithful brothers-in arms (among them: Sulkhan Saba Orbeliani, writer and translator Gabriel Gelovani and others), accompanied the king , the refugees went up along the ravine of the Rioni river to its source, went over the "Gurdzievtsek" ("Georgian pass") -ice-snowy mountain pass very hard to cross (SL 3439 m.) and had descended in Digori. Arriving at the plains of the Northern Caucasus, they came to the mouth of the Sulaki river. From there along the sea they arrived in Astrakhan with difficulties, then by ships they continued their way up the Volga and by the beginning of 1725 they were in Moscow. The Georgian emigrants allocated the places for settling in the suburbs of Moscow - on Presnya. Vakhushti Bagrationi had settled and lived there up to his death, together with his large family (Vakhushti's wife was the daughter of the famous Imeretian feudal Giorgi Abashidze). At that time he was 28 years old.

Thus was the time of great cultural resuscitation in Russia: in 1725 on the initiative of Peter the Great,the Russian Academy of Sciences was founded, later – the Geographical Department of the Academy. Vakhushti Bagrationi worked much for the development of versatile collaboration of Georgia and Russia. He had become intimate with outstanding representatives of the Russian intellectuals; specifically, with leaders of the Geographical Department of Petersburg Academy of Sciences – astronomer and geographer Joseph de l'Isle. He contacted Mikhail Lomonosov, famous geographer and historian Vassili Tatishchev, officers of the headquarters of Russian army and others.

The long period of Vakhushti Bagrationi's life in Russia had turned to be very fruitful for his scientific activity. There he had created his main scientific works.

* * *

Geography, cartography and history of Georgia are the main components of the versatile activity and researches of Vakhushti Bagrationi. He left for us the first, complete and fundamental geographical description of the historical territories of Georgia and what is no less important, he made geographical atlases of the country.

In the main work by Vakhushti, completed 250 years ago, geography and history of Georgia were presented in a form of one book, in full agreement with the method of description of a country accepted at that time.

For completion of his principal scientific work Vakhushti intensively worked in Moscow in 1742–1745, but it is undoubtedly, that these years were preceded by longlasted tireless research work. In the preface of his work, Vakhushti mentioned: *"...The work had been completed in Christ's Koronicon, year 1745, Georgian Koronikon 433, on October 20, by king's son Vakhushti, in the royal city of Moscow, on Presnya"*(Vakhushti, p.10) [1]

The scholar named his work "Matiane" (Chronicle).

Historians, commenting on Vakhushti's work, identify this notion with "history", that is not justified. Vakhushti himself, attached to "Matiane" a wider meaning. *"But this Matiane is divided on four sections: description of place, genealogy, account of years and description of actions."* (p.4). As we see, "place description",or geography is the first and main component of the "Matiane" Only after it, Vakhushti enumerates other components of the "Matiane"– genealogy, chronology and consideration of events ("Actions description").

Such a definition of "Matiane" at the time of Vakhushti must be considered as fully normal, if we take into account the circumstances, that geography and history then, as separate branches of the science, were not finally demarcated. When Vakhushti names his work "Matiane", it is undoubtful, that he implies by this name geography of Georgia and its history as well. It must be noted, that historians and geographers have different opinions on the name and contents of Vakhushti's work. This problem will be considered in detail below, here we only mention that for the correct understanding of Vakhushti's geographical concept, the usage of his notions "description", "life", "place", must be understood.

A "description", or "place description" is used by the scholar in all geographical parts of his work and under a "place" he implies territorial unit with explicitly defined natural-geographical features. As such units Vakhushti distinguishes the river ravines existing within smaller territorial units – "sadrosho", "saeristavo", "saspaspeto" – constituent parts of the main historical-geographical provinces.

The geographical characteristic of each place is stated in a strictly established order. clear and compact form, in the following sequence: borders and location of the territory, characteristics of natural conditions, climate, inner waters, soils and vegetation, plants, fauna; information about population, economic characteristics, concise review of historical-cultural movements etc. From the viewpoint of all enumerated signs consideration of "place" is nothing but the complex geographical characteristic of a territory, with the same structure, as today's ordinary geographical studies are.

It must be also taken into account, that in the epoch of Vakhushti, the geographical science was not differentiated onto two main parts - physical and economic geography. Moreover, historical information was included to the general and regional geographical characteristics, as in works of historical character many geographical features were not left without attention. It is sufficient only to remember the fact, that one constituent part of a modern historical science - ethnography - quite recently was as a rule in ordinary geographical characteristics.

---

[1] Here and hereinafter the pages of our edition of Vakhushti's work are indicated.

As for the notion " life", Vakhushti used it only in the historical part of his work, or for the characterization of Georgia's past. It is important, that in many cases, when Vakhushti tells us about the historical background, he uses the expression "description of actions", also as he names the geographical description "Matiane of the nature" Despite the fact, that the notion "description" in Vakhushti's works mainly implies geographical characterization of a place, it is also used for characterization of "life" or actions. From this viewpoint, Vakhushti follows the tradition, that was formed in the Georgian historical literature.

Many chroniclers[2] of the past consider important historical phenomena in a form of "description" But Vakhushti in the first place is a geographer and unlike historians, uses "description" for the geographical characteristic of Georgia of his epoch, and "life", only in the consideration of history. It is proved clearly by the sequence of the geographical and historical characterization of the main constituent regions of Georgia:

- "Description of contemporary Georgia with borders, the sea, rivers and places and inner buildings"
- "Life and actions of the kings of Kartli"
- "Description of Hereti, Kakheti and Kukheti, after Tushety and Didoeti"
- "Actions and life of Kakheti and Hereti"
- "Description of present Ovseti or the inner Caucasus"
- "Life"
- "Description of the remarkable places of Samtskhe-Saatabago"
- "Life of Samtskhe- Klarjeti"
- "Description of the country Egrisi, or Abkhazeti, or Imereti"
- "Life of Egrisi, Abkhazeti, or Imereti"

As we see, the kingdoms and principalities, established after the decay of united Georgia (second half of the 15th century), are considered successfully in two independent parts, the first of them touches upon the geographical characterization ("Description") and the second – the historical part ("Life"). The both parts are demarcated from each other by contents, so the geographical character of "description", as well as the historical contents of "life" is unambigous. In the first part the author writes only in the Present tense, and in the second part- in the Past tense.

---

[2] Javakhishvili writes about it: "*Various words were used in old Georgian literature for the expression and designation of historical creations. Ordinarily and most frequently the term "aghtsera"* (description) *was used"*. (See Iv. Javakhishvili. Aim, sources and methods of history in the past and today. Part I. Old Georgian historical literature. (5th-18th c.c.) vol. 8,Tbilisi.1997. p.35.

The demarcation was clearly seen by the earlier publishers of Vakhushti's works, and it is not mere chance, that during more than a century (since 1842 up to 1970-is), each of them published separately "Geography of Georgia" and "History of Georgia" by Vakhushti. Specifically, "Geography of Georgia" was published by Marie Brosset (1842, in Georgian and French), Mose Janashvili (1904,in Georgian and Russian), by the Georgian geographical society, editors T. Lomouri and N. Berdzenishvili (1941). "History of Georgia", compiled by Vakhushti, was published by D. Chubinashvili in Saint-Petersburg in 1854 (the part of Vakhushti's "History", that contains the period after the decay of united Georgia). D. Bakradze in 1885 published the variant of "Life of ancient Georgia", shortened by Vakhushti; this edition was repeated by Z. Chichinadze (1913)-under the name 'Life of Georgia".

The publication of Vakhushti's work in one book with appropriate comments was realized only in 1973 under the name "Life of Georgia", vol. 4. In this book all lists (autograph and 8 manuscripts) having been reached to us are considered. To the text wide introductory part notes, dictionary and indices are supplemented.[3]

The publication of Vakhushti's work in a form of closing part of the collection of historical works ("Life of Georgia") indicates, that the academician S.Qaukhchishvili classified this work as completely historical science.

The editor writes in the preface :"*Due to some misunderstandings, the opinion was established, that " The description of the Kingdom of Georgia" means "Geography of Georgia". In fact, as it is established indubitably, that description means "History" and therefore, "description of Georgian Kingdom " means "History of Georgian Kingdom".*[4]

Unfortunately, in the last edition, the role of Vakhushti as the founder of Georgian scientific geography is disparaged , is not assessed objectively.

It is proved not only by the fact, that the text was published fully together with its historical part and entered the series "Life of Kartli", but the name itself. On the title page it was written: Batonishvili Vakhushti. Description of the Kingdom of Georgia"

Moreover, on the counter-title, it is written in Russian "**Вахушти, История Грузии**" and the name of the introductory paper is "Historical work of Vakhushti Batonishvili , Description of the Kingdom of Georgia".

If we sum up views of Vakhushti Bagrationi on the notions, used in the work, the objective conclusion will be: "Description of place" is used by the author for the geographical characterization of Georgia as a whole and of its regions and in separate cases –"description of actions" and "description of life" in consideration of historical events. Using "notions" of "description" and "life" in the names of main parts of the work, Vakhushti had demarcated the geographical and historical characterization of Georgia from each other.

---

[3] "Kartlis Tskhovreba"("Life of Kartli"),vol.4,Vakhushti Batonishvili,"Description of the Kingdom of Georgia",the text is established according to all main manuscripts by S.Qaukhchishvili,Tbilisi,1973.

[4] "Life of Georgia". Ed. S.Qaukhchishvili. 1993 vol. IV. P.06.

The name of the work and the degree of "geographical character" of the contents became the matter of commentators' discussion.

As it was mentioned, Academician S.Qaukhchishvili thought, that "Description of the Kingdom of Georgia" is the general name of Vakhushti's work and at the same time it reflects its historical contents. Approximately the similar opinion was earlier expressed by Academician N. Berdzenishvili in his introduction to the publication of the geographical part of Vakhushti's work in 1941. N. Berdzenishvili wrote *"Geography was not written by Vakhushti in a form of separate book..."*

Vakhushti's "Description" goes beyond the limits of ordinary geography. It is historical geography.

That is why the editors consider it necessary to change the traditional name of this part of Vakhushti's work and to restore the author's "Description of the Kingdom of Georgia" [5]

According to the opinion of V. Gabashvili *"in the rich scientific heritage of Vakhushti Bagrationi the main place is occupied by the geographical-cartographic and historical works. In the memory of the posterity he has remained an incomparable geographer and historian."*[6]

The great Georgian historian Ivane Javakhishvili in his works repeatedly mentioned: *the great merits of Vakhushti Bagrationi in the study of geography and history of our Motherland. He considers Vakhushti's works to be the most important source of economic history of Georgia and assesses the geographical description:* "The nature of our country, its characteristics, population and economic situation nowhere is considered so widely and deeply, as in this work. Having been written according to the written monuments, maps and demographic sources and based on thorough personal study of Georgia, Vakhushti's work always will be a necessary source for each researcher, whether he studies past or present time of Georgia.[7]

Ivane Javakhishvili attaches great significance to the circumstance, that Vakhushti based the geographical description of Georgia on his personal observations and on the study of historical sources; at the same time he underlines, that Vakhushti's geography of paramount importance for the study of Georgia at the author's time.[8]

It should be noted, that the views of Georgian geographers on the name of Vakhushti's main work and also on the interpretation of his geographical contents do not coincide with opinions of historians.

---

[5] Vakhushti Description of the Kingdom of Georgia(Geography of Geogria), eds. T. Lomouri, N. Berdzenishvili, Tb. 1941, p. XX.

[6] V Gabashvili, Vakhushti Bagrationi, Tb. 1969, p.7.

[7] I. Javakhishvili Economic History of Georgia. Vol. 1, 1930 Tbilisi, p.113.

[8] Ibid., p.114. See also: I. Javakhishvili, Aims, Sources and Methods of History... p. 286.

The leader of the Georgian geographical school of XX century, Academician Al.Javakhishvili attached great importance mainly to the geographical description of Georgia in Vakhushti's work.

He thought, that the historical information enriches the geographical contents of the works of Vakhushti. "Information of historical character does not introduce a dissonance in Vakhushti's geographical description but fills in the description with new contents and elucidates the origin, the past and the present situation of towns, villages and other objects. For the time of Vakhushti such a direction is justified by the close relation of geography and history and for Vakhushti himself by the circumstance, that he is at the same time a geographer and a historian[9]

In the epoch of Renaissance (second half of XV century, XVI century) that preceded the activity of Vakhushti Bagrationi, geography and cartography mainly developed on the basis of Ptolemy's views and geography had a descriptive character; it is more noteworthy, that in great geographical works, published at that age, e.g. "Geographia" by Ptolemy in 8 books, Dutch atlases and so on) the description of countries and maps, represented the territories that have been studied, were presented together and supplemented each other. Now it is undoubtful, that the manuscript "Life of Georgia" by Vakhushti Bagrationi is based on the same principle. In it the geographical maps were merged with the text, the geographical description of each place was provided with the map, compiled by the scholar. It is proved by the names of maps in Vakhushti's index and by the corresponding maps; originals of the maps in the atlas, 1745 are drawn on the same paper as is used for writing of the text.

The "World geography" is made by Vakhushti on the same principle.

A researcher-geographer, David Dondua considers, that the "Description of the Kingdom of Georgia" is the name of one of the chapters of Vakhushti's work, the chapter having this name is of certain character and the name can not be believed to be the general name of the following chapters. In this chapter the whole Georgia is described – its brief and general geographical description (three pages) and history of Georgia up to dismembernent of the country onto kingdoms and principalities (seventy pages) is given. This chapter is one part of Vakhushti's work, that is followed by the second part of the work – the description of separate regions of Georgia[10]

Also substantively it is pointed out, that the name of a chapter of Vakhushti's work – "Description of the Kingdom of Georgia" is just an appropriate expression of Vakhushti's two-side description of place and action.[11]

---

[9] Al. Javakhishvili Vakhushti Bagrationi, A Prominent Georgian Geographer, Proceedings of Vakhushti Institute of Geography, I Tb.,1947, p.13.

[10] D. Dondua Chronicle of Vakhushti and the Geographical Nature of his Economical Information Proc.of Vakhushti Institute of Geography, I Tb.,1947, p.89.

[11] Ibid.

Famous Georgian professor-geographer L.Maruashvili also considers, that it is not expedient to acknowledge the name "Description of the Kingdom of Georgia" as the general name of Vakhushti's work. He thinks the name of the geographical part of Vakhushti's main work to be "Geographical description of Georgia"[12] L. Maruashvili does not agree with the thought of N. Berdzenishvili: *"In the description of the territory of the country and in Vakhushti's maps geographical elements prevail. In them the picture of Georgia of the beginning of XVIII century is done for the epoch, when Vakhushti lived in Georgia and studied it. In a study of Georgia Vakhushti had achieved important results - he characterized in detail the relief, hydrographical network, climate, vegetation cover, animal world, population, economic and material culture of the country. All this is undoubtedly just a geography and not historical geography"*[13]

Whatever importance we would attach to the name of the whole work by Vakhushti, one thing is obvious: the architectonics of the work itself and contents of each chapter reflects the idea of the author: to present history and geography of Georgia in a form of a simple work. The names and contents of the chapters fully meet this idea: the chapters, devoted to geography, always contain "description of place" and historical chapters –description of life.

We should like here emphasize: the notion "description" in Vakhushti's work does not mean a mere statement of facts and events. Vakhushti's method of geographical research is characterized by strict regularity and consistency.

The incomparable scholar considers natural or social phenomena in terms of causes and results. An analysis and generalization of the vast facts, or essential methods of geographical research, are not alien for him. Javakhishvili mentioned in connection with Vakhushti's method , that in the work of the famous scholar we deal "*not with occasional event, but with a system of characteristics, completely determined and realized.*"[14]

True "Geography of Georgia" by Vakhushti Bagrationi is the one and only historical-geographical source for modern researches, because it is devoted to the geographical characterization of Georgia of the late feudal epoch. A modern reader learns from this work, what the nature of our country looked like, its population and economy at the epoch of Vakhushti.

However , Vakhushti did not created a historical-geographical study, he did not considered geographical environment of Georgia of the time earlier the XVIII centtury, but the geographical peculiarities of Georgia of his epoch, or he fulfilled an ordinary geographical research, in which the scholar , when characterized Georgia as a whole and its provinces, always reasoned in Present tense. Thus, for example he writes about

---

[12] L. Maruashvili The Founder of the Geographical Study Vakhushti Bagrationi. Tb., p.9

[13] Maruashvili L. I. Elements of historical geography in works by Vakhushti Bagrationi. Proceedings of the Georgian geographical society. XII, Tb.1973 pp 241-242.

[14] I. Javakhishvili Economic History of Georgia. Vol. 1, 1930 Tb., p.292

David Garedja: *"In the mountain of Garedja there are: a monastery, hewn from rock, cells,refectories, chambers; warm in winter and cool in summer. At the church of Epiphany there is an archimandrite,Father Superior -at Chichkhituri.. Archimandrite at David Garedja, Father Superior at Bertubani"*(p.53).

The geographical part of Vakhushti's work is written completely in this style. Here it must be said, that, as in all geographical researches in the geographical work by Vakhushti there is information of historical-geographical character. In his research the scholar completely purposefully gives necessary historical information for each material object, together with geographical characteristic.

The continuation of the above quotation is an example of such a style: *"there were many monasteries up to Mtsaretskali, full of monks..."* After this brief historical information he continues in the Present tense. *"Now there are only five monks. There is no water, but [monks] collect rain water in a rock well and drink it. There is no wood, but blackthorn, on it [they] bake and cook."*(p. 53).

კოსტანტინე დიდი ჯერეთ არ იყო მოქცეულ ქრისტეს მიმართ და არცა დაეპყრა რომი და სრულიადი მეფობა, რამეთუ წერილ არს: „მირიან ეზრახა ოთხთა წარჩინებულთა თჳსთა კერპმსახურებისათჳს, უკეთუ არა დაუტეოს | 3 ნანა დედოფალმანცა რჯული რომთა, ვსტანჯო იგიცა“. რამეთუ უკეთუ მოუქცეველმცა იყო კოსტანტინე*, არა ახსენებდა რჯულსა რომთასა, ვინათგან რჯული რომთა კერპიეე იყო, და ნანა ქრისტეს ჰქადაგებდა. კუალად მესამეცა არა არს, რამეთუ ერთი წლის შემდგომად იყო კრება ნიკიური[7] პირველი, არამედ ნიკიის კრებისაგან უწინარეს იყო მოქცევა მირიანისა, ვითარცა ვიხილავთ ცხორებასა შინა საჩინოთ. ხოლო მეორე იგი ჭეშმარიტებს ამისთჳს, რამეთუ კოსტანტინეს ხუთის წლის წინარე დაეპყრა რომი და სრულიადი მეფობა, და ქრისტეანეცა ქმნულ იყო, ვინადგან მირიან რომისავე მეფობასა შინა მიუვლინა მთხოელი ეპისკოპოზისა და მღდელისა, რამეთუ არა დაწყებულ იყო ბიზანტია აღსაშენებულად, ვითარცა ვიხილავთ წერილებთა შინა ჩუენთა, და მას ჟამსა სილიბისტროცა სცოცხლებდა, რომელმან მოავლინა დიაკონი თჳსი.

ხოლო ნინოს სიკუდილის ქორონიკონი არა არს ურთიერთის მოწმობილი (ვითარცა თამარ მეფისა, რომელი წარმოვაჩინოთ თჳსს ადგილს), რამეთუ უკეთუმცა ქრისტეს აქათი ქორონიკონი ჯვარცმიდამ იყო ტლჱ, ჯერ იყო დასაბამითგანი ყოფილიყო ჭყდ, და უკეთუ დასაბამითგანი იყო ჭყლჱ, ჯერ იყო ქრისტეს აქათი ჯვარცმიდამ ყოფილიყო ტლ, არამედ არცაღა ჟამსა ამას კოსტანტინე სცოცხლებდა**, არამედ შეცთომილ არს მწერალთაგან. ხოლო ჩვენ, ვინათგან ვპოვეთ მირიანის მოქცევისა იგი დღე აღმოჩენითა მით, ამას ზედა აღერიცხუმთ მოსლვა ნინოსი მცხეთას, რომელმან დაყო წელი იდ. ამისგან სამი წელი უწინარეს მოქცევისა იყო მცხეთას ქალაქსა შინა, რომლისაგან დაშთების ია წელი. ეს მირიანის მოქცევის წელს დავადევით, რომელი იქნების ქორონიკონი ჩვენ მიერ აღწერილი. არამედ ნაკლულევანებს მუნ წერილისაგან ესე დასაბამითგანსა ბ წლითა, ხოლო ქრისტეს აქათსა ი წლითა, და სხვანი მირი-

---

* ლედანში: „კონსტანტილე“.

** ამის პირდაპირ მარჯვენა აშიაზე ლედნის ხელით წერია: „წელსა ქრისტესსა 306 მოკუდა კოსტანტინ, მამა კოსტანტინესი, და იქმნა კოსტანტინე კეისარი. 307 მოკუდა მაქსიმიან ღერკული, იქმნა კოსტანტინე ავგუსტი; 311 მოკუდა მაქსიმიან ღალერიცა, და 312 რომს მიმავალს კოსტანტინეს გამოუჩნდა ჯუარი ცაში, და იქმნა ქრისტეანე, სძლო და მოკლა მაკსენტი, დაიპყრა რომი და სრულიად კეისრობა, ვითარცა სწერს ბარონია“.

ანის მეფობის წელნი მითვე რიცხვეულ ეყუჱნით და აღვსწერენით.

ხოლო ბაქარადამ ვარზაბაქარისამდე ეგრეთვე კეისართა და სომეხთა მეფეთა შემოწმებით ეყუჱნით. არამედ ვარზაბაქარ მცირე თეოდოსის ჟამსა არა არს, რამეთუ ვარზაბაქარ დიდის თეოდოსის ჟამსა იყო, და ძე მისი მირვანოს მცირე თეოდოსის ჟამსა. ესე იცნობის ესრეთ: ვინათგან ყრმა წარიყვანეს მირვანოს, და მუნ აღიზარდა მოღვაწებით, და შემდგომად განივლტო და მონაზონ იქმნა. კუალად უკჱ-თუმცა ესრეთ არა იყოს წელნი მირიანიდამ მეორეს ფარსმანისამდე, წერილი არა მისწუდების, და არცა ვახტანგ ლეონ კეისრის ჟამსა იქმნების. ესრეთ უსწორო არს, ხოლო ესე განასწორებს და რიგოვან ჰყოფს რიცხვსა წელთასა მოწმობულებითა. კუალად ვახტანგისამდე მეფენი, რომელნი მუნ წერილ არიან, რამეთუ ვახტანგისამდე მირიანიდამ გარდახდნენი* წელნი რნზ, ესე არა მდე არს, არამედ სიკვდილმდე ვახტანგისა, და ამაზედ შევასწორეთ, რამეთუ დაღაცათუ გარდაცვალებამდე არა იყოს, ყოველნი სხვანი უსწორო იქმნებიან, და არცა იგი ს წელი მეორეს ფარსმანისამდე სწორე იქმნების, ვინათგან ვახტანგის შემდგომთა მეფეთა მეფობის წელნი წერილ არიან, არამედ ჩვენის რიცხვით, რათა ჭეშმარიტი იყოს ს წელი მირიანიდამ ვახტანგის გარდაცვალებამდე წელნი იგივე არიან რნზ. ესრეთ ჭეშმარიტ სხვათა მემატიანეთა მოწმობითა და მუნ წერილთა რიცხვითა, და მეფენიცა ამას ზედა განვასწორენით კეისართა და სპარსთა მეფეთა შეთანასწორებითა ვახტანგისამდე.

არამედ ლეონ კეისრისას ვინამენი მემატიანენი სწერენ ზ წელს მეფობასა მისსა, და ჩვენიცა მათ ემოწმების, რომლისათჳს ჩვენცა ეგრეთვე ვყვენით და შევათანასწორეთ ვახტანგისა და ლეონის მეფობა. ხოლო სხვანი იზ წელს ამტკიცებენ ლეონის მეფობასა, რომელი არცა ესე არს წინააღმდგომი მისა, დაღაცათუ არა იყო ლეონ დიდი, არამედ მეორე ლეონცა იგივე აღწერა ჩვენმან ცხორებამან და ზენონცა იგივე; და შემდგომად სპარსთა მეფისა ბრძოლასა ზედა ზენონად წარმოაჩინა სიყვარულისათჳს, /გარნა სხვას ქართლის ცხორებაში უსახელოთ კეისარი სწერია, ამითი იქმნება ანასტასი კეისარი/**, ვითარცა ვიუწყებთ, ხოლო ვახტანგის შემდგომნი მეფენი რაოდენთა წელთა მეფობდენ,

---

* გარდასლნენი.

** „გარნა ...კეისარი“ დედანში ჩამატებულია სტრიქონს ზევით და გატანილია აშიაზე.

ცხად არიან ვიდრე მეორეს ფარსმანისამდე. და ქმნული ესე ჩვენი ჭეშმარიტ არს ს წელნი, შესრულებულნი მირიანიდამ ფარსმანისამდე.

კვალად ბაკურ მეფიდამ გურამ კურადპალატისამდე საჩინო არს კეისრის მავრიკისაგან, და სპარსთ მეფის ურმუზისა და ძისა მისისა ხოსროსაგან. ხოლო დავით წინასწარმეტყველის ნათესავის გურამის მოსლვა, ცხორება და გამეფება მათი აღვსწერეთ თჳსსა ადგილს, მით იუწყების. ხოლო სტეფანოზის, გურამ კურატპალატის ძისა, ერეკლეოს კეისრის გამო, და ადარნასე ხოსროვანისა ეგრეთვე. განა ვინაითგან ჟამს ადარნასესსა და ერეკლეოს კეისრისასა გამოჩნდა მამად, მოძღვარი სარკინოზთა, ჩვენ იგი მაჰმადის ქორონიკონი ვპოვეთ, რაოდენი ქრისტეს აქათი ყოფილ არს. ამის მიერ და წლის მრიცხველობით, ვიდრე მოწამის არჩილ მეფის სიკუდილისამდე, და ძეთა მისთა იოვანეს და ჯუანშერის სიკუდილისამდე, და ვიდრე აშოტ კურადპალატის ძის ბაგრატისამდე, რომლის გამეფება წერილ არს, რამეთუ მაჰმადის გამოჩინებიდამ ბაგრატის გამეფებამდე გარდასრულ იყუნეს წელნი სით, ამას ზედა შევასწორენით ადარნასედამ ბაგრატისამდე გარდამხდარნი წელნი სით.

ხოლო აშოტ კურადპალატიდამ ვიდრე თამარის მეფობამდე წერილ არს ყოველთა ქართულნი ქორონიკონნი, და ამით გამოვირიცხეთ ქრისტეს აქეთნიცა. არამედ დავით აღმაშენებელისა წერილ არს, ივ წლისა მეფე იქმნა და ლვ წელი მეფა. რომელი იქმნების ნბ წელი. განა მუნვე წერილ არს, ივ წლისა გამეფდა და 68-სა მოკუდა. ამ რიცხვით იქმნების მეფობისა მისისა წელი მა, და ჩვენც ესევე აღვსწერეთ, ვინათგან სხვათა მეფეთა ქორონიკონნი ამას უმეტეს მოწმობენ, და სიკუდილის დღე შაბათი, იანვარი კდ ეს ქორონიკონი იქმნების, რომელი დავსდევით.

კვალად თამარის გამეფების ქორონიკონი არა არს შეთქმული, რამეთუ წერილ არს, დასაბამითგანი იყო ხქპვ, ქრისტესი ჩრნვ, ხოლო უკეთუ დასაბამითგანი იგი იყო, ჯერ
იყო, რათა ქრისტესი ყოფილმცა იყო | ჩროჱ, და თუცა 4
ქრისტესი ჩრნვ იყო, დასაბამითგანი ჯერ იყო ყოფად ხქჲდ. ესრეთ არა ჭეშმარიტებს. ხოლო ჩვენ ალექსი ანგაარისა და ფრანგთაგან კონსტანტინეპოლის აღების ქორონიკონი ვპოვეთ, მით მას ზეითი და მას ქვეითი მუნვე წერილის წლის რიცხვეულებით ვყვენით, რომელსა სწერს იჱ წელს ლაშას გამეფებას და თამარის კდ წლის მეფობის აღმავალობასა, და მისი სიკვდილის ქორონიკონსა ზედა, რომელი ვპოვეთ, ვყავთ. ხოლო ძისა თამარის ლაშას სიკუ-

რომელია პირველი ქრისტეს აქათი ჩსია, ქარ. ულა; მეორე ქრისტესი ჩსიე, ქარ. ულე. არამედ ვინათგან ჩინგის ყეენმან დაიპყრა სრულიად დიდი თათარი ქრისტესა ჩსბ და ამ ჟამებთა შინა წარმოავლინა სპანი განმსტრობად, და დავით მცირე ყრმა დაშთა ლაშას, და რუსუდანის მეფობის წელი მუნვე წერილითა აღვრიცხეთ. ამისთჳს პირველი უმეტეს მოწმობილი არს და არცა შემცირნებულ ჰყოფს მას ქვეითთა მეფეთა წელსა. ჩვენცა იგივე აღვსწერეთ განმართლებისათჳს წერილთასა.

კვალად ლაშადამ დიმიტრი თავდადებულისამდე აღრიცხვითა წელთა და მეფეთა-კეისართა მუნ წერილთათა გვიქმნიეს. ხოლო დიმიტრი თავდადებულისა, დაღათუ არა წერილ არს წელი, არამედ წერილ არს თთვის რიცხვი და დღე შაბათი მარხვისა მესამე, ამით ვპოვეთ წელიცა იგი, რომელი ყოფილ არს ქრისტესი ჩსპთ, ქარ. ფთ, ხოლო მეორე ქრისტესი ჩტ, ქარ. ფკ, და თჳნიერ ამისა არა არს სხვა.

არამედ ჩვენ ვპოვეთ ბრწყინვალე გიორგისა და ძის ძისა მისისა ბაგრატის ქორონიკონი ძველთა ქორონიკონებთა შინა. და ამითი გულდებულ ვიქმენით ლანქ თემურის და ხონთქრებთაგან. და რიცხვუელ ვყავით ვახტანგისა და დავითისა, ვახტანგისა და გიორგის დავითის ძის მეფობანი. ამისთჳს იგივე პირველი გვეჭეშმარიტა, და დავსდევით, ხოლო მეორე ესე ფრიად შეამცირებს მათ მეფეთა წელსა და არა სწორრიცხვეულ ჰყოფს. ხოლო კვალად ვახტანგ, ნარინ დავითის ძისა, დავით მეფისა და ვახტანგ, ძმისა მისისა წელნი აღვრიცხვენით მათთა მეფობათათა და მით წარმოვაჩინენით. არამედ ვახტანგის აღსასრული, დაღაცათუ არა საჩინო არს, გარნა[*] იცნობის ესრეთ, რომელნი აღგვიწერია.

ხოლო გიორგისა და ბრწყინვალე გიორგისა, რომელიცა წარმოვაჩინეთ, სცნობს გონიერი მუნ წერილსა ზედა-ქვეთა. რამეთუ ესრეთ არიან, ვინათგან სწერს: „დაუტევა დავით მეფემან ძე თჳსი გიორგი წლისა ორისა მეფე ქმნული“, და მცირე გიორგის, რომელსა მოიჴსენებს, თუცა პირველს მეფობასა მცირე იყო. არამედ აწ არღარა წელთა რიცხვისა წარმოჩენითა. ამის გამო გიორგი დავითის ძე სხვა არს და დიმიტრის ძე სხვა. არამედ სიგრძე წელიწადებთა ულჯათ ყეენის გამო რამეთუ მან ულჯათ ყეენმან იგ წელი ყეენა. და ამ წელთა აღრიცხვითა იქმნებიან ეს ორნი გიორგნი ესრეთ. ხოლო შემდგომად ბრწყინვალე გიორგისა მოვიხსენოთ თჳსს ადგილს ჯეროვანად.

---

[*] განა.

გარნა[*] სცნობს შემომსვლელნი ამას შინა კითხვისად უზაკეველობით, რამეთუ არა რაიმე თნებისა ანუ თვალღებით წარგვიწერიეს, არამედ შეძლება ჩვენი ესეოდენნი იყო და ესრეთ მიწდომილ ვიქმენით. ხოლო უკეთუ უმჯობესი ვისმე ძალგიცსთ, ჩვენი ესე ქმნული არა დამაყენებელ არიან, ვინათგან ღეღანი იგი მატიანისა შეურყეველად ჰგიეს არა ერთი, არამედ მრავალი. გარნა შრომა ჩვენი არ მცირე იყო, რომელსა ზედა ვიშრომეთ კნინღა წელნი სამნი მარადის წერითა, გამოძიებითა, მატიანეებთა და ცხორებათა ძიებითა, რამეთუ არა დაუტევეთ ხონოღრაფნი ბერძნისა, არა თუ ერთისა ვირწმუნენით, არამედ სხვადასხვათა შემოწმებითა. ეგრეთვე განყრილობისა შემდგომად რომაულთა კეისართაგან, მეფეთა ევროპელთა, აწინდელთა სულტნებთა სტანბოლისათა[**], სპარსთა მეფეთა შიხთათა გამო ვიპოვეთ და შემოწმებულად ვქმენით, რომელნი მოწმობენ ჩვენთა მატიანეთა და ქორონიკონებთა, ამისთჳს სარწმუნო ვართ. რომელმან იხილოს შრომანი ჩვენნი, არა საგმობელ გვყოს, არამედ მადლიელ იქმნეს და მისცეს ლოცვა მიზდისა მოქმედსა. ღალათუ არა იქმნას ესე, ჩვენ სურვიელ ვართ აღსრულებად წმიდისა დამასკელის თქმულისა და პლინი სტოიკის სიტყვისა, რათა არა განვლოთ ჟამი უქმობით, რომელ არა მოვიღოთ ნაყოფნი სარგონი მის მიერნი. და თქვენდაცა წინამდებარედ გვიქმნიეს, უკეთუ ვის გთნდეს, მიიღოთ, უკეთუ არა, არა არს ძალი, არამედ უმჯობესისა ჩვენება, და რომელმანცა აღირჩიოს რაიმე, იგი ყოს მადლითა და კაცთმოყვარებითა ღვთისათა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისათა. ამინ.

ხოლო სრულ იქმნა შრომა ესე ქრისტეს აქეთსა ქორონიკონსა წლისასა ჩღმე, ქართულსა ულგ, ოკდონბერს კ, მეფის შვილის ვახუშტის მიერ, სამეუფოსა ქალაქის მოსკოვის პრესნას.

---

[*] განა.

5 ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსანი

ღმერთმან სიბრძნითა თჳსისა მოწყალებისათა, გამოუთქმელითა და მიუწდომელითა, დაბადა კაცი. და ვითარითა მოწყალებითა! რამეთუ მიწისაგან შექმნა ცხოვლად[*], სულიერად, სიტყჳერად, უკუდავად და განაშუენა იგი სახოვნებითა და განაბრწყინვა იგი მადლითა თჳსითა უბრწყინვალეს მზისა, და ვარსკულავთა, და მნათობთა, და შეუმკო ქუეყანა ყოველითა შუენიერებითა: მრავალთა ნერგთა მყვავილოვანებითა და სურნელთა ფშოთათა, და მდინარეწყაროთა მომდინარეთა. და უმეტეს ზღვათა სივრცელითა, და მას შინა მრავალთა ჭალაკთა მშვენითა, და ცხოველთა და თევზთა სხვადასხვა გუართა სისავსითა, და ჴმელთა ზედა პირუტყუთა და ნადირთა, და მჴეცთა განთვითვებულითა, და მფრინველთა უმეტეს გუართა სიმრავლითა და კეკლუცობითა და მშტვენარებითა სასმენელობათათა, კვალად ვარსკულავთა მნათობთა ბრწყინვალებითა; განათუ ამითიცა არა კმა ჰყო, არამედ სხვა უქმნა უმაღლეს ქვეყნისა. ვითარცა დალიჭი სამეუფო და უუშუენიერესი ყოველთავე ამათ ქმნულთა, — იგი არს სამოთხე; და დაჰბადა მას შინა ადამ[9] და კვალად მოწყალებითავე გვერდისა მისისაგან უქმნა შემწედ ევა[10], და დაადგინა სამოთხესა მას შინა უკუდავი, უზრუნველი, ნებსითი და უვნებელი, და დაუმორჩილა მას ყოველნი ქმნულნი ცასა ქუეშენი[**], ვითარცა მისთჳს ქმნულნი სრულიადი; და დაადგინა მეუფედ მათ ზედა, რათა დაიცვას მცნება მისი და შემდგომად მიიღოს უკუდავი, უკან{ა}სკნელი, უდიდესი კვალად დიდება ღვთისა. არამედ მტრისა ბოროტის მაცთურისაგან ურჩებითა ცთომისა მიზეზისათა გამოვარდა სამოთხით და მოეძარცვა მადლი და ბრწყინვალება ღვთისა, და დაშთა ლიტონი კაცი და შეიმოსა, მადლისა და ბრწყინვალებისა წილ, ფურცელი ლეღვისა. ესე იგი არს სიზრქე, სიმძიმე და გემოვნება. და შემოუხდა ნდომა ანუ წადილი; ვითარცა კაინ[11] მოკლა ძმა თჳსი აბელ[12]. ამიერითგან იწოდნენ ძენი ღვთისანი და ძენი

---

[*] ცხოველად.

[**] ქვეშენი.

კაცთანი. ესე იგი არს ძენი გულისთქმისანი და ნდომისანი, და ძენი სულიერისა ღვთის ტრფიალებისანი. და ვიდრე ნოეს ღრღვნისამდე ესე ესრეთ. ხოლო შემდგომად ძეთა ნოესთა, რომელნი ვიდოდნენ /კვალად/ ძეთა გულისთქმისა და ნდომისათავე, შესძინეს დატევება დამბადებელისა ღვთისა თჳსისა და ქმნეს ნივთიერნი ღმერთნი: კერპნი უსულონი, უტყუნი და ყრუნი. და თაყვანისცემდეს მას, ვიდრე სრულიად ქუეყანა, ნათესავი ადამისი და ტომნი ნოესნი. ხოლო ესე ქართველთა ტომნი, ვითარცა გვაუწყებს მატიანე ჩვენი, იყუნენ ყოველთა ტომთა და ნათესავთა უუბოროტესნი და უუღ(მრ)თოესნი[*].

ზნეთათჳს

არამედ ვინათგან აღვსწერეთ ტომობა და ჩამამავლობა ქართველთა ნოეს ძის იეფთაეს თესლისაგან, ვიდრე ქართლოსისა და ძმათა მისთამდე, და განყოფილებანი მათნი და ძეთა მათთა, აწ ვიწყოთ ძველიდამ ახლადმდე საქართველოსათა ზნეთა, ჩვეულებათა და წესთა მათთა პირველ განყოფილებისა და შემდგომად განყოფილებისა. რამეთუ წესნი მთავრობათა საქართველოსათა არიან დასაწყისითგანვე, ვითარცა ვიუწყებთ: რაჟამს მისცა ჰაოს ძმათა თჳსთა წილნი ქვეყანათა, და შემდგომად ქართლოსის ცოლმან ძეთა თჳსთა, და შემდგომად მცხეთოს, და კვალად ეგროს. ბარდოს. მოვაკან. ჵროს. ლეკოს და კავკასოს. ვითარ წარჩინებულნი მათნი მთავრად ისახელებოდნენ, რამეთუ ცხად არს ადგილითი ადგილთა განყოფილებითა და სახელთა მათთა. რომელნი იწოდნენვე მათ მიერ; და იწოდებოდნენ იგინი ესრეთ მთავრად, არამედ მცხეთას მყოფი უწარჩინებულეს მთავრად, და მამასახლისად, და მოურნედ მათ ყოველთა ისახელებოდა. არამედ სარწმუნოება მათი იყო ერთისა დამბადებელისა ღვთისა თაყვანისცემა, და ფუცვიდიან ქართლოსის საფლავ<ა>სა. ზნენი აქუნდათ პირმტკიცობა. მტერთა ზედა ერთობა, თავისუფლებისათჳს მჴნედ ბრძოლა, მაგრად დგომა მისთჳს, ციხესიმაგრეთა და ქალაქთა შენება, მაგრება ქვეყნისა, ერთისა ცოლისა ქრმობა. რამეთუ მოიყვანიან თჳსთჳსთა თანასწორთა: მთავარნი მთავართა, აზნაურნი აზნაურთა და უმცირესნი უმცირესთა; და ამის მიერ არა იყო მრავალცოლობა, ვითარცა ვისილავთ ქართლოსისასა და სხვათაცა. არამედ, გარნა თუ მრავალ მთავარ იყუნენ და ოდესმე განდგიან თჳსთჳსად, ჯანა მარადის გარე მტერთა თჳსთა ზედა ერთობდნენ და მორჩილებდნენ მცხეთელ მამასახლისსა და, შეერთბამე-

---

[*] უუღთოესნი.

ბულნი, თჳსთა ქუეყნისათჳს მჴნედ იბრძოდიან. და იყუნენ მრავალთა წელთა წესთა ამათ ზედა. ხოლო შემდგომად დაივიწყეს ღმერთი დამბადებელი თჳსი და თაყვანის სცემდნენ მზესა, მთოვარესა, ვარსკულავთა და ნივთიერთა და პირუტყუთა, და შემოერიათ გარეგანი წარმართნი: სპარსნი, თურქნი, ასურნი და ბერძენნი. და შემდგომად ურიანი, და იტყოდიან ესეოდენითა ენითა; და უმეტეს დაივიწყეს დამბადებელი თჳსი და წესნი და ჩვეულებანი თჳსნი, და იქმნენ ყოველთა წარმართთა უწარმართესნი და უსჯულოესნი, რამეთუ არღარა უწყოდნენ ნათესაობანი და შერეულ იყუნენ შეყოფითა, ვიდრე წარწერადცა უცხოთა. და კვალად შესძინეს ამას ზედა, რამეთუ, რა მოკულის ვინმე კაცი ანუ
6 ბრძოლასა, — მეორე ივასხის და შესჭამდიან. | ხოლო უკჱთუ, არა, თჳთ შესჭამდიან[•], ვითარცა იტყვის: „კასნელთა მართებს კოდმანელთა ხუთი მკუდარი დღედმდე“. კვალად სჭამდიან ყოველსა ცხოველსა სულიერსა არწმინდასა[••] გარნა[•••] იყუნენ მცხეთელ მამასახლისის მორჩილებასა ქვეშე და ერთობლენ მტერთა თჳსთა ზედა მრავალსა წელსა. ხოლო შემდგომად შემოვიდა ალექსანდრე მაკედონელი. ამან მოსრნა შემოსრულნი წარმართნი სრულიად. თჳნიერ ქართლოსიანთა და ურიათა გუართა, არამედ ურჩნი თჳსნი ქართლოსიანნიცა, ვითარცა ფარნაოზის მამა, ბიძა და სხვანიცა, და განწმინდა საქართველო ესევითართა უკჱთურებათაგან, რამეთუ გვაცნობებენ სარკინოზით[••••] ლტოლვილნი დიდონი, რომელნი აწამდე წესსა მას ზედა /დგანან/, თჳნიერ კაცის ჭამისა. ხოლო ალექსანდრემ დაუდვა რჯული საქართველოთა ერთისა დამბადებელისა ღვთისა თაყვანისცემა, და მზისა, და მთოვარისა, და ვარსკულავთა პატივი.

კერპთათჳს

არამედ შემდგომად ალექსანდრესა დაუტევა რჯული იგი ერისთავმან მისმან აზონ და ამართნა კერპნი გაც და გაიმა, და ათაყვანა სრულიად საქართველოსანი, და ასწავებდა ზნესა და ჩვეულებასა თჳსსა.

ხოლო მოიკლა აზონ ფარნაოზისაგან, და გამეფდა ფარნაოზ. ამან საშუალსა გაც და გაიმისა ამართა სახელისა თჳსისა კერპი არმაზ მთასა ზედა და ჴევსა შინა, ქართლოსის საფლავსა ზედა, რვალისა, დიდი, ცმული ოქროს ჯავშნითა, რომელსა სხდნენ თვალნი ქვათა ძვირფასთა მნათობელთა და გჳრგჳნი თავსა მისსა ეგრეთვე მანათობელთა

[•] უკეთუ, არა თჳთ შესჭამდიან.

[••] არაწმინდასა.

[•••] განა.

[••••] უნდა იყოს: „სარკინოზით“.

ქვათა. და ათაყვანა მან საქართველოსანი და დაუდგა დღესასწაული მისი, რომელი ქვემორე ითქმის. ხოლო შემდგომად მეფეთა შესძინეს კერპნი ზადენ. და აფროდიტე. და სხვანი. არამედ ესე არმაზ უფროისი იყო ყოველთა ღმერთთა. ხოლო მეფისა განწესებისა შემდგომად აქუნდათ სარწმუნოდ ღმერთნი ესენი. და მტკიცედ დგნენ სარწმუნოებასა სიყვარულსა ზედა. და არა თაყვანისციან სხვათა ვისამეთა ღმერთთა (რომლისათჳს გვაუწყებს მაიქან სპასპეტი და მეფე მირიან. ოდეს ეზრახვის დიდებულთა თჳსთა წმიდის ნინოს შეურაცხებისათჳს).

მეფეთათჳს

ხოლო ჩვეულება აქუნდათ ერთისა მეფისა მორჩილება და სარწმუნოდ მის მიმართ ყოფა, და ჩამომავალთა და გვართა მეფეთათა შემდგომად მისა გამეფებად, რამეთუ შემდგომად მამისა ძე და არა სხვა გვარი, არცადა თუ გამორჩევით; არავისა მონებდნენ თჳნიერ მათსა ანუ წულთაგან ანუ ასულთაგან, უკეთუ არა დაეტევის წული (ვითარცა[*] იტყვის იგივე მაიქან სპასპეტი, და იხილვების მატიანესა ჩვენსა).

წესთათჳს

ხოლო წესნი აქუნდათ: რამეთუ კერპთა მღვდელთა პატივნი და რიგნი იყუნენ ცალკერძათ, ვითარცა სულიერთა. ხოლო სოფლიერნი: პირველი ერისთავნი, ბ მთავარნი, გ აზნაურნი. დ ვაჭარნი. ე მსახურნი, ვ მუშაკნი-გლეხნი.

წესი ერისთავთა იყო მეფისა მიერ განწესება ქვეყანათა მიმართ და მის მიერ მოურნეობა. სამართალი და ლაშქარნი მის ქვეყნისანი მის ქვეშევე იყუნენ, და იგინი მოჰკრებდნენ ხარკთა სამეფოთა. ხოლო ესე ერისთავნი დაიდგინებოდნენ მთავარნი და წარჩინებულნი, და ძენი მათნი შეცვალებით.

ხოლო წესნი მთავართა იყო გვარი და შთამომავლობა, ქართლოსიანობა და პატივი მისი. ხოლო უკეთუ მეფისა წესსა შინა იყო იგი, უმეტეს პატივიცემოდა. არამედ მთავრისა ჯერ იყო, რათა აქუნდეს ჩამომავლობა და გვარი იგი და ამის მიმართ ციხე-ქალაქი, სიმაგრე და ჴეობანი, და თჳნიერ ამისა არა ისახელებოდა მთავრად.

ხოლო აზნაურსა აქუნდა გვარი და ჩამომავლობა, და სიმაგრე რაიმე მთათა ანუ ბართა, და დაბნებნი, და ძალედვას გამოსლვა მარქაფითა, კარვითა და მ(ა)თ(ი)თა[**] გაწყობილებითა, და თჳნიერ ამისა არა იწოდებოდა აზნაურად. ხოლო ვაჭართა პატივი იყო აზნაურისა ქვემორე და ვიეთთამე სწორი. და შემდგომად პატივი მსახურთა მეფისათა, გლეხთა ძეთა, და მერმე ჩინებულთა მათთა წესისა მიერ

---

[*] ვითარც.

[**] მათთა.

პატივი მსახურთა მათთა. და შემდგომად ამათთა — მეშაკთა-გლეხთა. რამეთუ სისხლნიცა ეგრეთ სდიოდათ ჩინებისა მათისა მიერ: ზეიდამ ქვეით ნახევრად ანუ ქვეიდამ ზეით ერთობრად.

ლაშქართათჳს

ხოლო ლაშქართა წესნი აქუნდათ: მეფეთა ჰყვა როქითა. რაოდენი ძალედვა, სპანი მცველად თჳსად, ვითარცა იტყჳს მირიანისასა და აღმაშენებელისასა ჲ ათასსა, მარადის მცველად მისად. და დავითისასა /არღარა განიყოფებოდა საჭურჭლე სპათა ზედა/ და პატივი ამათი იყო სხვა. ხოლო სხვანი სპანი იყუნენ ქვეყანათაგან და ერისთავთა ქვეშე დაწესებულნი, რომელთა მოუწოდიან ჟამად.

საჭურველთათჳს

ხოლო საომარნი საჭურველნი აქუნდათ: ჯავშანი, ხვაფთიანი, პოლოტიკნი, საბარკულნი, მუზარადნი, ჩაბალახნი, ჴმალნი, ხანჯალნი, ლახტნი, ჩუგლუგნი, გურზნი, ოროლნი, შუბნი, ხიშტნი და მშვილდ-ისარნი. არამედ ისარი ბოძალი დიდთა ნადირთათჳს, ქეიბური მჴეცთათჳს, სარჩა და ქიბორჯი წვრილთა ნადირთათჳს, და სამუდამოთ აქუნდათ; ხოლო კაპარჭის ისარი, რომელ არს საყალნო, ომსა-ბრძოლასა შინა.

სამართლისათჳს

ხოლო წესნი სამართლისა და შერისხვისათჳს აქუნდათ: სისხლი, ჴრმალი, შანთი, მდუღარე და ფიცი. სისხლს უწოდებდენ ოდეს სწორმან მოკლის ვინ ვინმე სწორი. მეფისაგან შერისხვა იყო ანუ სიკუდილი, ანუ გვემა და პატიმრობა. ხოლო მკულელისა მის თანამდებ იყო, რათა დაუურვა თეთრითა და საქონლითა პატივისა და წესისა მისისა სისხლი. ხოლო უკეთუ უმაღლესმან მოკლის უმცირესი, დაუურვის სისხლი, ხოლო უმდაბლესმან თუ მოკლის უმაღლესი, დაუურვის სისხლი და განიძის მამულისაგან რაოდენსამე წელსა; ეგრეთვე დაწინდულთა ქალთა წართმისა ანუ დატევებისათჳს ჩინებისა მიერვე დაუურვის სისხლი. ხოლო სულიერთაგან ამის მოქმედთა ზედა სხვა იყო შერისხვანი.

ხოლო ჴმალი მეფეთა ღალატისა შეწამებისა ანუ კერპთა ანუ — შემდგომად — ეკლესიისა მკრეხელთათჳს*. შემწამებელს და შეწამებულს ალოცვიდიან მ დღე. შემდგომად შესჭურვიდიან ყოველითა საჭურველითა და შესხნიან ცხენთა ზედა და მისცემდიან თჳთოსა ცხენოსანსა უსაჭურველოთა, თჳნიერ მათრახისა, რომელთა უწოდნენ მემათრახენი. ჩაგზავნიდიან ასპარეზსა შინა, და იწყიან ბრძოლად შემწამებელმან და შეწამებულმან, და მემათრახენი იგინი მოასხსენებდენ თჳსთა ჟამთა შინა ბრძოლასა და საჭურველისა ჴმარებათა. და რომელი ჩამოვარდის, განმტყუნდისცა. ხოლო

7

---

* დედანში: „მხრეკელთათჳს“

რისხვა მისი: მოკუეთა თავისა და იავარი მამულით და სახლით, არამედ შეწყალებისათჳს აღმოხდა[*] თვალთა.

ხოლო შანთი ქურდთა განმართლებისათჳს: გაახურეიან საჴნისი, ვითარცა ნაკვერცხალი, და დასდვიან მაღალთა ზედა, რათა მალიად შეუდვას ჴელნი ქვეშე მისსა, და დასდვიან შეწამებულსა ტილო ანუ ქაღალდი ჴელთა ზედა; იგი მივიდის და აღიღის საჴნისი, და წარდგის სამი ბიჯი, და გარდააგდის. მასვე წამს შეუხვიეიან ჴელნი სამ დღემდე და {შემდგომად} სამისა დღისა გაუხსნიან და, უკეთუ დაუწვავ არს, განმართლდის, უკეთუ დამწვარი, მტყუარ.

ხოლო მდუღარეცა ეგრეთვე: მისთჳს გაადუღიან წყალი ქვაბსა შინა, შთააგდიან მცირე რკინა მას შინა, მოვიდის შეწამებული შიშველითა მკლავითა და აღმოიღის რკინა იგი, და წამს შეუხვევიან, ვითარცა შანთისასა, ეგრეთვე ამისცა მართალი და მტყუანი.

ხოლო ფიცი მამულის ცილებისათჳს, მცირე ქურდობისათჳს და სხვათათჳსცა. დააფიციან მოწმითა რაოდენნი შეხუდის, ხოლო ქურდსა, ავაზაკსა და მძარცველსა ერთისა წილ შვიდი მიაცემინიან და, უკეთუ ვინ მესამედ ჰყო, აღმოხდიან თვალთა და მცირედისათჳს მოჰკუეთიან ფერჴნი. კვალად, უკეთუ ვინ იხადის მახვილი ბჭესა მეფისასა[**] ანუ ერისთავსა ზედა და წარჩინებულთა, მოჰკუეთიან ჴელნი. და სხვანიცა მრავალნი იყუნენ.

ჴელისუფალნი

ხოლო ჴელისუფალნი იყუნენ მეფისანი ესენი კარსა ზედა: სპასალარი ანუ სპასპეტი, და ამისი ჴელისანი იყუნენ ყოველთა სავაზიროთა თათბირთა პირველობა და ყოველთა ერისთავთა უხუცესობა.

სპასალარისათჳს

ესევე შეჰკრებდა ლაშქართა და ხარკსა სამეფოსა ერისთავთა მიერ ყოველთა საბრძანებელთა.

სალთხუცესისათჳს

აბრამადი ანუ სალთხუცესი, და ამისი ჴელისა იყო სამეფო შემოსავალი და გასავალი; ამან უწყოდა წესნი და რიგნი სახლისა მეფისა, და თათბირობა სამეფოსი, და სახასონი მეფისანი. და ამას ქვეითნი ჴელისუფალნი ამისი დასახელნი იყუნენ, არამედ უმეტეს ეჯიბს ქვემორენი.

მსახურთუხუცესისათჳს

მსახურთუხუცესის ჴელისა იყუნენ: სალაშქრო საჭურველისა და იარაღისა მსახურნი მეფისანი და ციხე-ქალაქთა მცველნი სპანი მეფისანი.

მონათუხუცესისათჳს

მონათუხუცესის ჴელისა იყო ყოველნი მეფის როქის სპანი, თჳნიერ ციხე-ქალაქთა.

---

[*] აღმოჴდა.

[**] დედანში ეს სიტყვა ორჯერ წერია.

მანდა-ტურთუხუ-ცესისათჳს

მანდატურთუხუცესის ჴელისა იყო: მანდატურნი, ბოქაულთუხუცესნი, ბოქაულნი, მანდატურნი, მებჭენი, მეკრენი, ქონდაქარნი, სარანგანი და ნადიმობის წესი, და წინძღოლა მეფისა, მოხსენება ნადიმსა და ამჴედრებულისა ამის მიერ იყო მეფისა.

მეჭურჭლეთ უხუცესი-სათჳს

მეჭურჭლეთუხუცესი. ამისა ჴელისა იყო ყოველნი საჭურჭლე და საუნჯენი მეფისა, და მას შინა დაწესებულნი.

მსაჯულთ-უხუცესი[**]-სათჳს

მსაჯულთუხუცესი[*]. ამისა ჴელისა იყვნეს ყოველნი მსაჯულნი, ბჭენი და ჴევისბერნი, ჴევისთავნი, და ესევე სჯიდა საბრძანისა მეფისასა.

მეჯინიბეთ-უხუცესი-სათჳს

მეჯინიბეთუხუცესი შემდგომად იწოდა ამილახორი. ამისა ჴელისა იყო: ყოველნი მეჯინიბენი, შიკრიკნი, პაიკნი, ჯინიბნი, ცხენნი, ჯოგნი, რემანი მეფისანი.

ბაზიერთ-უხუცესი-სათჳს

ბაზიერთუხუცესი. ამისა ჴელისა იყო: სრულიად ბაზნი, ბაზიერნი, მეძაღლენი, ძაღლნი, ტყეთა და ველთა მცველნი, სანადიროთა მეფისათა.

ეჯიბისათჳს

ეჯიბი, ამისა ჴელისა იყვნეს /ყოველნი/ ტაძრეულნი მეფისანი. და ნადიმსა იგივე მიუგებდა მეფისა წინ. და მას უტყოდნენ დარბაზის ერნი რაი ენებათ მეფის მოხსენებად. და თავისწინაობასა შინა ვერვინ შევიდის მეფისა. თჳნიერ მისა.

ეზოსმოძღვ-რისათჳს

ეზოსმოძღვარი. ამისა ჴელისა იყო: ყოველნი საგანგონი. მეფის ხარჯნი და წარსაგებელნი. წესნი და რიგნი დარბაზისა. მეფის ტაბლისა და ხანოვაგისა. ანუ სხვათა.

ჩუხჩარახი-სათჳს

ჩუხჩარახი, ამის ჴელისა იყო: მზარეულთუხუცესნი, მეტაბლენი, მზარეულნი, მეპურენი, მერწყულნი, მგოსანნი, მემწყობრენი, ბუკ-ტაბლაკთა და სხვათა მცემელნი.

მეღვინეთ-უხუცესი-სათჳს

მეღვინეთუხუცესი. ამისა ჴელისა იყო: მეწდენი და მესასმისენი მეფისა და ღჳნის მნენი.

მოლარეთ-უხუცესი-სათჳს

მოლარეთუხუცესი. ამისა ჴელისა იყო: რაოდა მეფის თეთრი ანუ დარნი თჳსთა საკუთართა ზედა ანუ ქვეყნის საქმისად უხმდა. და მის ქუეშე დაწესებულნი მოლარენი.

მესტუმრეთ-უხუცესი-სათჳს

მესტუმრეთუხუცესი. ამისა ჴელისა იყო მესტუმრენი. ესენი მოაწვევდნენ დარბაზის ერთა, ესენი მოურნეობენ სტუმართა.

ჯვარის-მტვირთვე-ლისათჳს

ჯვარისმტვირთველი, ესე მოაწევდა კათალიკოზთა[***] და ეპისკოპოზთა[****] და შერისხვაცა ამის მიერ იყო მეფისაგან.

---

[*] გამოცემაში ეს სიტყვა გამოტოვებულია.

[**] მსაჯულთუხუცესი

[***] კათალიკოსთა.

[****] ეპისკოპოსთა.

მდივანთათჳს

მდივანნი ესენი იყუნეს წესითა უმაღლესნი და უმდაბლესნი: მეფისა თანანი პატივითა უმაღლესნი (ვითარცა იტყჳს: „მდივანსა ჩვენსა ჩოლაყაშვილს არა რაი ეკადროს, თჳნიერ დიდისა შეცოდებისათჳს მეფისა მარჯვენა ცერი მოეჭრას, ამისგან კიდე არა რაი"). სპასალარისა თანასა სხუა, სალთხუცისა თანასა სხუა. მონათუხუცესისა, მსახურთუხუცესისა, მსაჯულთუხუცესისა, მეჭურჭლეთუხუცესისა და ეზოსმოძღვრისა თანათა სხუა. ესენი სწერდეს: უსტარს, იერლაყსა. პიტაკსა. ენდალმასა. პატრუცაგსა. როარტაგსა, გუჯართა. სიგელთა, ბრძანებათა. განაჩენთა და სხუათა.

ფარეშთუხუცესისათჳს

ფარეშთუხუცესი. ამისი ჴელისა იყო: ფარეშნი, ნოხნი, კარავნი. ოთახნი, მნათენი და ყოველნი საგებელნი. ლალიჭნი. სკამნი. სავარძელნი. სრა-ფარდაგნი. ფარდანი და მნენი მისნი. /და მერწყულნი/.

ხუროთმოძღვრისათჳს 8

ხუროთმოძღვარი. ამისი ჴელისა იყო სრულიად ჴელოსანნი და შენობა სასახლეთა და ეკლესიათა, ხიდთა, ფუნდუკთა.

მწერალთათჳს

მწერალნი იყუნეს, რომელნი სწერდნეს შემოსავალსა და წარსაგებელსა ყოველთავე. და ტომართა, და სხვათა.

ჩვეულებისათჳს

ხოლო წესნი ესენი და ჩვეულებანი აქუნდათ. რომელნი ვთქვით. და განუხეთქელობისათჳს სამეფოსა მცდელობდნენ და. უკეთუ მიუდიან საჩივარნი თჳსნი, ყოველნი მწუხარებდენ და იჭირვოდნენ კვალადგებასავე, და მეფეთა თჳსთა მიუდრეკლად ერთგულებდენ. განა თუ სძლიან ვინმე მძლავრთაგანმან, არა დაემორჩილიან. არამედ კვალად იპყრიან თჳსნივე წესნი, და არა დაუტევიან ღმერთნი, და მეფე. და ჩვეულებანი თჳსნი. ტაბლასა ზედა სჭამდიან და ნადიმობდნენ. სკამთა ზედა სხდიან, ბოდიშობდიან ქუდის მოხდით. ვითარცა აწ მთის კაცნიცა, სმიდიან ღვინოსა. სჭამდნენ ჴორცთა პირუტყუთა და ნადირთათა, ნადიმობდნენ მეფისა თანა და ურთიერთთა თანა. მეფეთა გამეფებათა ზედა გარდააყრიდიან დიდნი და მცირენი სრულიად ოქროსა და ვერცხლისა ტაბაკთა, ვის რა ძალედვა. ცოლნი თჳსთა თანასწორთა ერთი და არა სხვათაებრ მრავალნი. ამისთჳს უწყოდენ მოყსობა. ნათესაობა, ურთიერთთა მტერობა და მოყრობა[*], ლხინთა ლხინობა და ჭირთა ჭირობა. არამედ ქორწილის ჟამსაცა გარდააყრიდიან. ვითარცა მეფესა, ოქროსა და ვერცხლსა ყოველნი მოწვეულნი და მწვეველნი, ვის რა ძალედვა. და არა სიძე-რძლისა იყო იგინი, არამედ მეწლისა მათისა. მკუდარსა დაჰფლვიდიან ყოვლითა შესამოსლითა, და საჭურველითა, და სამკაულითა თჳსითა (ამის გამო არის აწ ნიშანი ეპისკოპოსთა), ტიროდიან და საბნე-

---

[*] მოყვრობა.

ლისა სხდიან მ დღე, აღიპარსიან თავნი, წვერ-ულვაშნი, წარბნი, წამწამნი, და ჩაიხდიან წელამდე სამოსელთა მამრნი და მდედრნი, იცემდიან, ვიდრე სისხლდინებისამდე, არა სჭამდიან ჴორცსა და ცხოველსა წლამდე, გარნა მაშინც იძულებითა დიდითა; შთაიცვიან ძაძა-ფლასნი და დაიბურიან თავსა თხისურნი ჩაჩნი; განჰყვეიან საფლავამდე ცოლნი ქმარსა და ქმარნი ცოლთა, და სხვათა ახლოს მოყვასთაცა. ჯინსა შინა მსხდომარენი ბნელსა, ძაძითა მოკრულითა, იმღერდიან მწუხარისა ჴმითა ტყებისა ჟამსა არა ჭირისუფალნი, არამედ სხვანი მუნ მყოფნი (ხოლო წესნი ესენი მოშალა ჟა მეფემან გიორგიმ, რა ჟამს მოვიდა მისა პატრიაქი ირუსალიმისა, მის გამო, თჳნიერ შავის ჩაცმისა, ჴორცის უჭმელობისა და ტყება-ტირილისა).

კერპთა დღესასწაულთათჳს

კვალად უწყოდიან დღესასწაული კერპთა, ღმერთთა თჳსთა: განვიდის თჳთ მეფე და დიდებულნი და მცირებულნი ბუკ-დაბდაბითა და ყოველითა ძნობითა და სახიობითა; შესწირვიდიან ძროხათა, ჴართა, ცხოვართა და ნადირთა. თაყვანისცემდნენ არმაზს, შემდგომად ზადენს და მერმე სხვათა ღმერთთა. არამედ უმეტეს დიდი იყო დღესასწაული არმაზისა, და შემდგომად თაყვანისცემისა ჰყვიან ნადიმნი და განცხრომანი დიდითა ჭამითა და ღვინის სმითა, როკვითა ფერჴისითა, პირობითა, სახიობითა და ძნობითა სამ დღე და მოიქციან თჳსთჳსად სახიდ. არამედ ოდიდგან დაატევებინა ალექსანდრემ ჭამა მკუდართა, მიერ ჟამითგან შესწირვიდნენ კერპთა ძეთა და ასულთა თჳსთა, და იყო ესე ბოროტება მრავალსა წელსა; არამედ შემდგომად დააყენა დაკლვა ძეთა და ასულთა შეწირვად კერპთა მეფემან რევ და უბრძანა კვალად პირუტყვთა შეწირვად (ხოლო ჟამსა ქრისტიანობისასა ნაკერპავთა მათ მთათა მაღალთა და ბორცვთა ზედა ესევითარივე იყო განცხრომა-როკვანი; ამისთჳს აღაშენეს მათ ზედა ეკლესიანი და ჯვარებობდიან მუნ, ვითარცა აწ ფერჴისა სიმღერითა გაათენიან). და ესენი ესრეთ.

შემდგომად კერპთა

ხოლო შემუსრა ძალითა ზეგარდამოთა წმიდამან ნინომ არმაზ, უდიდესი ღმერთი ქართველთა, და გაც და გაიმა, და იქმნა მეფე მირიან წმიდის ნინოს მიერ ქრისტეანე, და აღიარეს სრულიად საქართველოსათა ძედ ღვთისად მარიამ ქალწულისაგან განჴორციელებული, უფალი ჩვენი იესო ქრისტე. და შემუსრნა შემდგომად მირიან ყოველნი კერპნი საბრძანებელსა თჳსსა და მათ წილ აღმართნა ცხოველსმყოფელნი ჯვარნი ქრისტეს მეუფისა დასამხობელად მტერთა.

ეპისკოპოზ-მღვდელთათჳს

განა აქუნდათ წესნი და ჩვეულებანი ესენივე წინათქმულნი, არამედ კერპთა მღვდელთა წილ დასვა მირიან მცხეთას, ზემო ეკლესიასა შინა, მთავარ-ეპისკოპოზი, და

ქალაქთა და დაბნებთა — მღვდელნი ჭეშმარიტნი ქრისტეს სარწმუნოებისანი. რომელთა აქუნდათ პატივი — ეპისკოპოზსა მეფისა თანა. ხოლო მღვდელთა მთავართა თანა.

მეფეთ კურთხევისათჳს

ესევე ეპისკოპოზი [[აკურთხევდა* და დაადგმიდა გჳირგჳინსა, ხოლო დადგინებისა კათალიკოზისა — კათალიკოზი. და ჟამსა ბაგრატიონთასა ვინაჲდგან** ლიხთ-იმერთა იყო დადგმა გჳირგჳინისა: ქართლისა და აფხაზთა კათალიკოზნი აკურთხევდენ, არამედ გჳირგჳნსა დაადგმიდა ქუთათელი მეფეთა ქუთათისის ტახტისათჳს]]. ხოლო შემდგომად განყოფისა იმერეთს — კათალიკოზი იმერთა. ქართლს — კათალიკოზი ქართლისა და კახეთს — ბოდბელი.

კათალიკოზისა, ეპისკოპოზისა, წინამძღვრისათჳს

ხოლო ვახტანგ გორგასალ დასუა კათალიკოზი და ეპისკოპოზნი ყოველსა საქართველოსა შინა. ამათ მიეცა პატივი - კათალიკოზსა მეფისა თანა და ეპისკოპოზს ერისთავისა თანა, ხოლო მღვდელთა აზნაურთა თანა. ხოლო შემდგომად მოსლვისა იგ წმიდათა მამათა[ს] იქმნენ ამათ მიერ მონასტერნი და უდაბნონი. და ამათ მონასტერთა მამათა და წინამძღვართა მიეცათ პატივი მთავართა თანა.

შეძინებული წესი მთავართათჳს

ხოლო ამათ მთავრობისა წინათქმულსა წესსა შეეძინა, რათა აქუნდეს მათ წესთა თანა სასაფლაოდ საეფისკოპოზო ანუ მონასტრის ეკლესია, კვალად საყდარი კარისა მღვდლითურთ. ეგრეთვე აზნაურსა სასაფლაოდ მონასტერი და ეკლესია სახლსა თჳსსა მღვდლით. ხოლო წინათქმულითა და ამით იწოდებოდნენ მთავარნი და აზნაურნი, და თჳნიერ ამათსა არა.

ჭყონდიდელისათჳს

შემდგომად კვალად შესძინეს ჭყონდიდელი. და იყო ამისი ჴელისანი ქერივ-ობოლნი, დავრდომილნი, უსამართლოქმნილნი, შეწუხებულნი და შეჭირვებულნი. ესე აუწყებდა ამათთა ყოველსავე მეფესა. ესევე იყო მწიგნობართუხუცესი ყოველთა სამეფოთა მწერალთა ზეით თქმულთა. ესე მისცემდა მეფისაგან ბრძანებასა ეკლესია-მონასტერთა და ლაშქართა მოწვევად, და მათთა სამჭირნოთა მოხსენებად მეფისა. ესევე იყო ლაშქრობისა ჟამსა პატიოსნისა ჯვარისა მძღვანებელი წინაშე სპათა და ბრძოლისა ჟამსა უკან მსვლელი ანუ ჩახთაული, და ახალ წელს მაკელეეი მეფისა.

9

ათაბაგისათჳს

კვალად შესძინეს ათაბაგობა, რამეთუ არღარა იწოდებოდა სპასალარი სპასალარად, არამედ ათაბაგად.

მეფეთა გვართათჳს

ხოლო გვარნი მეფეთანი იყუნენ: პირველი ქართლოსიანნი, და ნებროთიანნი, და არშაკუნიანნი, და მეფობდნენ ესენი ფჲვ წელსა, და მეფენი ისხდნენ კჱ. შემდგომად ამათ-

---

* ამ სიტყვის შემდეგ წინა გამოცემაში ჩამატებულია „[მეფესა]“.

** ეს სიტყვა წინა გამოცემაში გამორჩენილია.

თა იყო გვარი ხოსროიანთა, და მეფობდნენ ესენი უნდ წელთა. და მეფენი ისხდნენ იზ და მთავარნი გ. შემდგომად ამათთა ბაგრატიონნი, რომელნი გამეფდნენ ქრისტესსა ფოე წელთა და არიან აწამდე. არამედ სიტყვა იყო ივერიასა შინა მეფეთა ამათთჳს. რამეთუ იცნობის ქართლოსიან-ნებროთიან-არშაკუნიანნი გმირობითა. ხოლო ხოსროიანნი გოლიათობითა, ახოვნებითა, შემმართებლობითა. ხოლო ბაგრატიონნი მხნეობითა, სიბრძნე-ქველობითა და ქვეყნისათჳს თავდადებულობითა.

მთავართა გვართათჳს

ხოლო გვარნი მთავართა მათ ძველთანი ესენი არიან: ქობულისძე, ლონაური, არელმანელი, ბალუში, რომელი იყო ლიპარიტისძე, მარუშისძე*, კახაბერისძე, ბაკურისძე, აბულელი, მჴარგრძელი, ორბელიანი, ქაჩიბაძე, ვარდანისძე, გამრეკელი, მარუშისძე, ძაგანისძე, ასათისძე, კარიჭისძე, გაგელი, სამძივარი, ფარჯანიანი, /ნერსიანი, ადარნასიანი/, ჯუანშერიანი, კავკასიძე, ჯაყელი, ირუფაქისძე, ჩოლაყაშვილი, აბაზაძე, კორინთელი, მახატელი, ნასიძე, შარვაშიძე, ქვენაფლაველი, ჯავახისშვილი, ბურსელი და სხვანი მრავალნი. რომელნი ერისთობით იწერეიან და გვარნი არა წარიწერებიან ცხადად საცნობელად, ვითარცა იტყვის /ყუთლუღ-არსალისას და ყუბასარისას და/ ქართლის ერისთავი გრიგოლ, [[და სურამელი რატი და გრიგოლი]]. კახეთის ხორნაბუჯის ერისთავი, მაჭის ერისთავი, პანკისის ერისთავი, და სამცხეს /გუზანს და/ არტანუჯის[14] ერისთავი, კალმახის ერისთავი, წუნის ერისთავი. ხოლო სომხითს მანკაბერ საღუნი და არა გვარი მისი. ხოლო იმერეთს ბედიელი, დადიანი და სხვანი, და არა გვარნი მათნი წარწერილნი. არამედ დადიანობა არა არს გვარი. გარნა წესი ჴელობისა, არა იყო ესე ოდიშს, არამედ კარის მჴარესა ზედა დადიანობდა. ხოლო შემდგომად მეფის თამარისა იქმნა ოდიშს დადიანად, და იყუნეს ერისთავად, ვითარცა ცოტნე დადიანი, და არა გვარი მისი საჩინო არს. გარნა შემდგომნი დადიანნი ამ ცოტნესაგან ჩამომავლობენ, ვითარცა აღვსწერეთ.

ახალწლისათჳს

არამედ კვალად ქრისტიანობის ჟამსა შესძინეს წესნი ესენი: რამეთუ ახალწელს, ერთს იანვარს, უწინარეს ცისკრის ლოცვისა, უკულეედა მეფეს ჭყონდიდელი ჯვარსა და ხატსა, და სამკაულსა მეფესა და დედოფალსა, და სანუკარსა შაქრისასა. ხოლო შემდგომად წირვისა სრულიად ერისთავნი, ჴელისუფალნი და დარბაზის ერნი თჳსთჳსთა ბარებულთა, ესე იგი არს: ბაზიერთუხუცესი — შავარდენ-

---

* დედანში ეს გვარი გამეორებულია.

ქორსა და თავსა ველურის ცხენისასა მოოქროვილსა; მეჯინიბეთუხუცესი — ცხენსა აკაზმულსა ოქროთი მოოჭვილითა. და სხვანი ოფიკალნი თჳსთჳსთა შესატყვისითა, ხოლო ერისთავნი — ცხენსა არა კეთილთა. და კვალად ესენიცა და სხვანი სრულიად ისარსა. და შეაჩვენიან კრულვითი ორგულსა მეფისასა მეტყველნი: „მრავალ ჟამიერ ყოს ღმერთმან მეფობა თქვენი მრავალ წელს, და ისარი ესე გულსა შინა განერთხას მეფობისა თქვენისა ორგულსა“. და შემდგომად სრულიად სპათა მოლოცვისა შექმნიან პურობა დიდი, განცხრომითა და სახიობითა. ხოლო ცხენთა მათ ერისთავთა მორთმეულსა განიყვანის ბაზიერთუხუცესი. სადა იყო სანადირო მეფისა შემოღობილი ახლოს მეფის სამყოფისა, და დაჰყრის ცხენნი იგინი მწუხრსა მას შემოღობილსა მას შინა, და მას ღამესა აღივსის შემოღობილი იგი მელითა, ტურითა, მგლითა. და დილასა მცველმან მისმან ჩამოხურის კარნი და დაამწყვდიის მას შინა. ხოლო მეორეს დღესა შეჯდის მეფე წარჩინებულითა თჳსითა და მივიდის ადრიან მუნ. მაშინ გამოუშვიან მჴეცნი იგინი და უწყიან ისრითა სროლა და სიკუდილი მათი. ესრეთ იკულევდიან და შემოვიდიან მხიარულნი სანადიმოდ.

აღდგომისათჳს

ხოლო აღდგომის წესი იყო ადრე ნათლებისად წირვა და შემდგომად წირვისა მცირედითა სანოვაგითა ჴორცთათა აღიხსნიდიან პირთა მეფე და დიდებულნი. შემდგომად გამოვიდის მეფე. და ყოველნი წარჩინებულნი და მცირებულნი ასპარეზსა ზედა. და დასვიან სამეფო თასი ოქროსი ანუ ვერცხლისა ყაბახსა ზედა, და უწყიან სროლა მას თასსა ისარნი მოყმეთა და ჭაბუკთა და, რომელი ჩამოაგდის ისრითა, მას მისციან თასი იგი. შემდგომად ამისა შექმნიან ბურთობა და. რომელმან მჴარემან აჯობის, იყო მჴარეთა დარნი სამ{ე}ფონი, და მისციან მათ თჳთოთა თჳთო (ეგრეთვე ქორწილისა. დიდ გამომჩვენებისა დღესა შინა ყვიან ესე ასპარეზსა ზედა), მერმე შემოვიდიან მეფისა თანა და შექმნიან ნადიმნი და პურობანი დიდნი მგოსან სახიობითა. არამედ კათალიკოზნი და ეპისკოპოზნი ვიდრემდის იყვნენ მუნ. არა იყო მწყობრითა ძალითა ცემანი. არამედ გალობანი. ხოლო შემდგომად წარსვლისა მათისა იყო მგოსანთა, მომღერალთა და ყოველთა სახიობათა ცემანი.

დროშისათჳს

ხოლო წესთა ამ|ათითა იყო ყოველი იბერია, ანუ გიორ- 10
გია ოთხ სადროშოთ განყოფილი, რამეთუ წინამბრძოლნი იყვნენ თორელნი, ციხისჯვარელნი და ახალციხელნი, და მიმყოლი მათნი სრულიად მესხნი და კლარჯნი. და სომხითისა. რომელნი ეპყრათ; ხოლო მემარჯვენე მიმხედველ-მცემელნი სრულიად ლიხთ-იქითი აფხაზ-ჯიქითურთ; მემარცხენეთ მიმხედველ-მცემელნი სრულიად ჰერ-კახნი; ხოლო

მეფისა ალმის მპყრობელნი ქართველნი და რომელნი როქით სპანი ეპყრნეს მეფესა. გარნა ოდესმე სამად მიმსვლელად ანუ სხვარიგ მიიყვანდიან, ვითარ ამჯობინი{ს} მეფე ანუ სპასალარი.

შერეულთა წესთათჳს

არამედ წესნი ესენი რომელნიმე ფლობასა თათართა ყეენობისასა შეიშლებოდნენ, ვითარცა დაბლა ნოხთა ზედა სხდომანი, ეკლესიასა შინა მოუხდელობა ქუდისა თუ არა ჟამად. რამეთუ საუფლოთა სიტყვათა ზედა მოიხდიდიან. თჳნიერ მისსა არა, არცადა ბოდიშობდიან ქუდის მოხდით, და სხვანიცა უჯერონი მრავალნი. ვითარცა იტყვის ორცოლიანობასა და სამცოლიანობასა, და მეფეთა წინაალმდგომობასა. და განდგომილებასა. ხოლო შემდგომად ბრწყინვალემან მეფემან გიორგიმ კვალად აგო წესსავე მას ძველსა ზედა, და შემდგომთა მისთა მეფეთა, ვიდრე შიხთა მეფისა სპარსთათა გამოჩინებისამდე.

შემდგომად განყოფილებისა სამეფოსათჳს

ხოლო შემდგომად განყოფილებისა და განჴეთქილებისა* სამეფოსათა ამისა აქუნდათ თჳსთჳსად წესნი ესენივე. გარნა ერისთავთა ცვალებანი არღარა. განა მთავარნიცა არღარა იწოდებოდნენ მთავრად. არამედ თავადად, და არცადა იყუნეს როქით სპანი მეფისანი, არამედ სახასონი აზნაურნი და მსახურნი გლეხნი ჴეობათაგან იყუნეს მცველნი მეფისანი, და უმეტეს მოჴევე-მთიულნი, ვიდრე დაიპყრობდნენ მას საერისთოთ. ხოლო იმერთა — რაჭა და სრულიად ლეჩხუმი, ხოლო კახთა — ქისიყი. ხოლო ლაშქრობისა ჟამსა ერისთავთა და მთავართა მინაწერნნი იყუნეს მოყვანებად. განა იყუნეს ოთხ სადროშოთვე კვალადცა, ვითარცა ალესწერეთ ქართლი, იმერეთი და კახეთი. არამედ ესე ყვეს მეფეთა, ვინაითგან არღარა იყუნეს ეგდენნი შემოსავალნი, რათამცა დაეპყრათ სპანი ეგოდენნი, რათა ეპირისპირათ ანუ გამაგრებოდნენ მტერთა თჳსთა. ამისთჳს შეპკუეთის ერისთავთა, მთავართა და აზნაურთა — სრულიად რაოდენნი სახლსა შინა არიან — წარსლვად ლაშქარსა შინა. ხოლო გლეხთა მგზავსად შეწერილებისად. ხოლო როსტომისამდე ესენი ესრეთ იყუნეს.

აწინდელისა წესისათჳს

გარნა თუმცა სამცხეს და კახეთს შემოერიათ, — მათ ურუმთაგან და ამათ ყიზილბაშთაგან, — წესნი რაიმე მათნი. არამედ ქართველნი და იმერელნი ეგნენ ზნეთა მათ ზედავე. ხოლო აწინდელთა ჟამთა აქუნდათ წესნი იგინივე და შერეულნი ყიზილბაშთა ესენი, რამეთუ სხდიან ნოხთა უსკამოთ, ჴელითა სჭამდიან. სანოვაგე ქართველთა და კახთა უმეტეს ყიზილბაშთა რიგისა, ხოლო მესხთა ურუმთა და იმერთა — ურუმელთაგან შერეული; და სასახლეთა შენე-

---

* განხეთქილებისა.

ბანი მათივე რიგისა და არღარა ქართული, თჳნიერ ლარბაზისა, და მესხთა ურუმთა რიგისა. და არცაღა იყო ერისთავთა ცვალებანი, არამედ მკვიდრადნი. არამედ ძველითგანვე იყო წესი ესე: რაჟამს მოკუდის ერისთავი, ანუ მთავარი, ანუ ჴელისუფალნი, ანუ აზნაური ჩინებულნი, მოართვიან მეფესა მის მომკუდრისა ჴრმალი, ცხენი და უხუცესი ძე მისი. ხოლო მეფე ჴელისუფლობისა და ერისთობისა წესსა, ვისიცა ენება, ღირსებისაებრ მიუბოძის და ოდესმე ძესაცა, უკეთუ ღირს იყო ანუ ძალედვა მოურნეობა მისი. ხოლო ცხენი წარიყვანიან სამეფოთ, და ჴრმალს მოარტყმიდა წინაშე მეფისა მსახურთუხუცესი ძესა მის მომკუდრისასა. და დააწესიან ტაძრეულად ანუ სხვათა სამეფოთა მსახურებათა შინა ღირსებისაებრ. ხოლო აწინდელსა ჟამსა ჴელისუფალნი ეგრეთვე ყუნიან, ვითარცა ზემო ითქვა. და ცხენიცა და ჴმალიცა ეგრეთვე. არამედ ერისთობა და მთავრობა არღარა. და რომელნიმე სპასპეტნიცა. რამეთუ შვილთავე მისთა ანუ სახლისკაცთა მისთავე მიუბოძიან. ეგრეთვე მთავართაცა.

აწინდელის ჴელისუფალთა შეცვლილთა სახელთათჳს

ხოლო რისტომ ჴელისუფალთა უწოდა: მსახურთუხუცესსა — ყორჩიბაში, მონათუხუცესსა — ყულარაღასი, სპასპეტსა - სარდარი. მეჭურჭლეთუხუცესსა - მოლარეთხუცესი და მეჭურჭლეთხუცესი არღარა, არც იგი წინათი მოლარეთხუცესი; ჩუხჩარახსა — სუფრაჩი, /ჩაჩნაგირს — სუფრაქეში/. მანდატურთუხუცესსა — ეშიყაღასი, მანდატურსა — სოჰბათიასაული. /ბოქაულსა — ელიაღაჯი/, მსაჯულთუხუცესსა — დივანბეგი[*], ეზოსმოძღვარსა — ნაზირი, მესტუმრეთუხუცესსა — მეჰმანდარი, მწერალსა — მუშრიბი, ხუროთმოძღვარსა — სარაიდარი. და ეჯიბი არღარა, არამედ მგზავსი მისი მეითარი. ხოლო სხვანი ჴელისუფალნი იყუნენ ეგრეთვე. არამედ კვალად ყიზილბაშთა რიგს შესძინა ვეზირი, მუსტოფი და მუნში. კვალად მეკ{ა}რესა — ყაფიჩი და ასისთავსა — უზბაში. და კახთაცა განაწესეს ეგრეთ; ხოლო იმერეთის მეფის ალექსანდრეს გიორგის ძისამდე იყუნენ წესნი ეგრეთვე და შემდგომად მისსა არღარა, არამედ მთავარნი თჳსთჳსით სპითა შეკრბიან. და არცაღა ჴელისუფალნი მეფისანი არიანღა. ხოლო სამცხეს, ვითარცა ოსმანთა რიგნი, ეგრეთ იმყოფიან ჩვეულებითა და წესითა.

აწინდელთა მთავართა გვართათჳს 11

ხოლო აწინდელთა მთავართა და წარჩინებულთა გვარნი ესენი არიან: ბარათაშვილი, რომელთა უპყრავთ გაჩიანისა და გარდაბანისა საერისთონი ტფილისის სამჴრით. ვიდრე ლორე-ყანაჲრამდე, თჳნიერ მეფისა სახასოთა და შეწირულობათა ეკლესიათათა. ხოლო იტყვიან ესენი ჩამო-

---

[*] მდივანბეგი.

მაულობასა ქაჩიბაძისასა, რომელსა აცხადებს გუჯარნი და სიგელნი მათნი მეფეთაგან წყალობისანი. კვალად ყაფლანისშვილი და აბაშისშვილი სამთა ძმათა შვილობასა. არამედ ყაფლანისშვილი იტყვის გვარობასა მათსა [გ]ინა ორბელიანობასა. გარნა იყო ორბელიანი სხჳა და ქაჩიბაძე სხვა გვარი. არამედ ოდეს განიყუნენ ძმანი, ბარათასაგან არიან ბარათიანნი, რომლისა მიერ ეწოდა ადგილთა მათ საბარათიანოდ. ხოლო აბაშისაგან აბაშისშვილნი და ეგრეთვე სხჳანი, რომელნი არიან ბარათიანთაგანნივე. განა საგონებელ არს ყაფლანიანთაცა მესამეს ძმას ეწოდა ორბელი, და მის მიერ ორბელიანნი იწოდნენ, თვარე წინათქმული არა განმართლდებიან //ხოლო ბარათიანთ გუჯარსა შინა, რომელი[*] არს ბეთენიას, წერილ არს: მეფემან ალექსანდრემ, ძემან გიორგი მეფისამან, გაჰყარა სამნი ძმანი — აბაში, გუგუნა და ლაკით. აბაშისაგან აბაშიშვილნი, გუგუნასაგან ბარათიანნი და ლაკითისაგან ყაფლანიშვილნი არიან//. ხოლო სომხითის მელიქი არა არს გვარი, არამედ სომეხსა ვისმე პატივსცა შააბაზ გამოჰმალიანებისათჳს. არღუთაშვილი აწ აზნაური, გარნა მჴარგრძელნი არიან. ხოლო ზურაბისშვილს, იარალისშვილს და სოლაღაშვილს იტყვიან არა ბარათიანობასა, არამედ მამულნი და სასაფლაონი მათნი აჩვენენ მასვე ყოფასა. კვალად ღოლენჯისშვილი აწ ჩამოსულნი მესხიდამ. ყარაბულაღისშვილი მოვიდა მარიამჯვრის კახეთიდამ. ხოლო მესხეთის დასავლეთი და მტკვრის სამჴრით ციციშვილი, რომელი ძველადვე მოვიდა ფანასკერტიდამ. ჯავახისშვილი; ხოლო მოურავისშვილი არს სააკაძე და მეფისაგან გამთავრებული; როჭიკაშვილი არს მალიკაშვილი. მოვიდა სამცხიდამ. ხოლო შიდა ქართლს ამილახორი, არამედ არა არს გვარი, განა წესი მეჯინიბეთუხუცესობისა, ვითარცა უწოდებენ სპარსნი. ხოლო გვარი ზედგინიძე არს და პატივცემული მეფეთაგან მთავრობით, ვითარცა აჩვენს გუჯარნი მათნი. აბაშიძე, ფალავანდიშვილი და ამირეჯიბი. ამათ ერთობასა შინა აქვნდათ მამულნი იმერეთს და ქართლსა შინა. და შემდგომად განყოფისა სამეფოსა, ერთი ძმა იქით და ერთი აქათ დაშთნენ, ვითარცა აჩვენს მამულნი და სიგელნი მათნი. ავალისშვილი, რა დაშთა ჴელობა მეფესა ქართლისასა, ეგრეთვე ერთი ძმა დაშთა აქ და მეორე სამცხეს. მაჩაბელი იტყვის ანჩაფისძეობას[15], აფხაზეთიდამ მოსლვას, გარნა[**] ახალი არს. ხერხეულიძე იყო სამცხეს და იტყვის ოსობას, არამედ არს მოსლვა მისი შემდგომად გაყრილებისა. ფავლენისშვილი იტყვის მჴარგრძელობასა. ხოლო

---

[*] რომელ.

[**] განა.

კუალად მესხი ამილახორისშვილი, დიასამიძე, შალიკაშვილი და თაქთაქისშვილი შემდგომად თათრობისა ჩამოვიდნენ სამცხიდამ; ჩხეიძე მოვიდა იმერეთიდამ. ხოლო რამაზისშვილი და დავითისშვილი არიან ავგიორგის ძმის დიმიტრისაგან, რომელი არჩინა მეფემან, და არიან მიერითგან აქა. ხოლო იალბუზის კალთათა ქსნის ერისთავი და არა ქვენაფლაველისაგან, არამედ იტყვის ბიბილურობასა. ხოლო არაგვის ერისთავი — და აღვსწერეთცა, ვითარცა არიან, არამედ გვარს სიდამონობას იტყვის. ხოლო მუხრანის ბატონი და გიჩაშვილი, აწ მთავარნი, არამედ გვარი მეფეთა ბაგრატიონთა არიან, ვითარცა აღწერილნი არიან.

წარჩინებულთათჳს

გარნა ამათ მთავართა შორის აწინდელთა ჟამთა უწარჩინებულესნი და შემძლებელნი ესენი იყვნენ და გაუყრელნი სახლნი აქუნდათ: პირველი მუხრანის ბატონი, არაგვის ერისთავი, ქსნის ერისთავი, ამილახორი და ყაფლანიშვილი, ზემო ციციშვილი, ოდეს გაუყრელი იყო, და სომხითის მელიქი. ხოლო აზნაურნი მრავალნი არიან, სიგრძისათჳს დავიდუმეთ. ვიეთნი ძველის გვარისანი, ვითარცა აბაზაძე, კორინთელი, მახატელი, არდუთაშვილი, გოგიბაშვილი, ნასიძე, დაზნელი. გააზნაურშვილებულნი: ვითარცა რატისშვილი, ქსნის ერისთვის განაყოფი, ვით ისილვების მამულითა. ხოლო აწ დამცირებულნი. ხოლო ზედგინიძე, სააკაძე, ელიოზისშვილი, ამათგან გამთავრებულნი ესრეთ. რომელნიმე ამაღლებულან და რომელნიმე დამდაბლებულან ჟამთა ცვალებითა ანუ გაყრითა ძმათათა.

კახთათჳს

ხოლო კახეთს ჩოლოყაშვილი და მაყაშვილი იტყვიან ირუფაქიძობას; ანდრონიკაშვილი იტყვის ანდრონიკესაგან, რომელი მოვიდა პირველვე კეისართა გვარისა. ჯორჯაძე, ჭავჭავაძე, ვაჩნაძე, ვახვახისშვილი, რუსისშვილი, ჯანდიერისშვილი, ავალისშვილი და ჩერქეზი. ეს ორნი მოსულნი არიან გაყრილების შემდგომად. გურამისშვილი და ტუსისშვილი — ზედგინიძენი, რომელთა გამოაჩენს სასაფლაო მათი დღესეც მღვიმეს. და აზნაურნი უფროს მცირედ.

სამცხისათჳს

ხოლო სამცხეს: ჯაყელი. ესე არს აწ ათაბაგი და ფაშა ახალციხისა; შალიკაშვილი, თადგირიძე, დიასამიძე, ქობულისძე, გოგიბაშვილი, ამილახორი, ავალისშვილი, სუმბატისშვილი, გოგორისშვილი, თუხარელი, დადანიძე და სხვანი, არღარა იწოდებიან გვარითა, არამედ ფაშად, ბეგად და სანჯახად, და აზნაურნიცა ეგრეთვე მრავალ, გარნა* დავიდუმეთ.

იმერეთისათჳს

ხოლო იმერეთს: არგვეთსა შინა აბაშიძე, ფხეიძე, წერეთელი და ჩხეიძე (ამავე ჩხეიძის გვარი არს აწინდელი რაჭის

---

* განა.

ერისთავი და სპასპეტი რაჭისა), ლორთქიფანიძე, ნიჟარაძე და ლოლობერიძე, აზნაურნი და მთავრობით პატივცემულნი მეფეთაგან. ხოლო რაჭას წულუკიძე, იაშვილი, ჯაფარიძე, ინასარიძე, ლაშხიშვილი. ხოლო სვანეთს გელოვანი, და არღარა ეგოდენისა ძალისა და უფლებისა მქონე სვანთა ზედა.

12 კვალად ვაკესა შინა ჭილაძე და მიქელაძე* და ჩიჯავაძე. ხოლო აზნაურნი მრავალნი და კეთილნი ყოვლითა ზნითა აზნაურითათა (ვითარცა ძველად სიტყვა იყო ივერიასა შინა: ლარბაისლად მესხნი, თავადი ქართლისა, აზნაური იმერეთისა და ვაჭარი კახეთისა), არამედ სიგრძისათჳს არღარა აღვსწერეთ. გარნა უწარჩინებულესი და შემძლებელი იყო აწის ჟამსა შინა რაჭის ერისთავი და აბაშიძე.

ოდიშისათჳს

ხოლო ოდიშს დადიანი და თავადი თჳთიჳსად მფლობელი ოდიშისა შემდგომად გაყრილებისა. არამედ აწ არს ჩიქოვანი, რომელმან მოისწყვიტნა დადიანნი და მთავარნი ოდიშისანი, და მცირე აზნაურობისაგან იქმნა დადიანად აღწერილებისაებრ. არამედ კვალადცა არიან მთავარნი ესენი: გოშაძე, ფალავა, ჯაიანი, ჩიჩუა და სხვანიცა, და აზნაურნიცა მრავალნი.

აფხაზეთისათჳს

ხოლო აფხაზეთს იგივე შარვაშიძე, მფლობელი აფხაზთა თჳთ, და უმდაბლესი ანჩაფაძე.

გურიისათჳს

ხოლო გურიას გურიელი, იგიცა თჳთ ჰფლობს და იტყჳს ვარდანის ძეობასა, და სხვანი მის ქვეშენი არიან ესენი: თავგირიძე და ამილახორი ჩავიდნენ სამცხიდამ, შარვაშიძე მოვიდა აფხაზეთიდამ, ბერიძე, კვერღელიძე, ბერეჟიანი, ნაკაშიძე და სხვანი, ეგრეთვე აზნაურნიცა.

მეფეთა წერილისათჳს

ხოლო მეფენი ამათ ყოველთა ზედა იწერებოდნენ ესრეთ: „ჩვენი ბრძანება არს, მესტუმრეო თუ მანდატურო, ესრეთ უამბე". და შემდგომად რაი ჯერ იყო. ხოლო სიგელსა და გუჯარსა შინა: „ჩვენ, მეფეთ-მეფემან, ღვთით წყალობით ცხებულმან, თჳთმპყრობელმან და თჳთ ჴელმწიფემან, იესიან, დავითიან,[15] სოლომონიან, ბაგრატიონმან, შვიდთავე სამეფოთა მპყრობელმან (სახელი) გიწყალობეთ". ხოლო აწინდელთა ჟამთა: „მესტუმრეო, ჩვენ მაგიერად ჩვენს დიდს იმედს ლარბას-ბატონს (სახელი) ასრე უანბეთ", და მდაბალთა ზედა: „ჩვენი ბძანება არს", ხოლო გუჯართა და სიგელთა: „ჩვენ, მეფემან ღვთივ-ცხებით გვირგვინოსანმან, იესიან, დავითიან, სოლომონიან, ბაგრატიონმან (სახელი) გიწყალობეთ". ეგრეთვე იმერნი და კახნი, არამედ მეფე ქართლისა კვალადცა მეფეთ მეფობით სწერდა წინაპრეთავე ჩვეულებითა.

---

* მიქელიძე.

ეპისკოპოზთა ლაშქრად წარლვისათჳს

არამედ ეპისკოპოზთა ხლვა ლაშქართა. ნადირობასა და ბრძოლათა შინა ამის მიერ ჩუეულება იქმნა: რაჟამს უწყეს მოჰმადიანთა შემდგომად დავით ა მეფისა დაუცხრომელი ბრძოლა და კირთება, და იხილეს დაჳლობა-უღონოება ქუეყნისა ერთა ეპისკოპოზთა, მაშინ ეტყოდიან ეპისკოპოზნი: „ნუ მოდაჳლდებით და ნუ მოუღონოვდებით ბრძოლად მათდა, და ნუ დაუტევებთ სარწმუნოებასა, რჯულსა და ჩუეულებასა თქუენსა, და ჩუენ ვიქმნებით წინამბრძოლნი თქუენნი". და ჰყოფნდენცა ეგრეთ (ვითარცა მარაბდის ომსა ზედა მროველმან ავალიშვილმან, რა მოიღო ზიარება, ეტყოდეს: „უკუეთუ დღეს აღიღებ მახვილსა ბრძოლად, უბრძანე, რათა გუაზიაროს სხუამან, და უკუეთუ არა, უმჯობეს არს შენ მიერ". ხოლო იგი იტყოდა: „დღეს ბრძოლა არს სარწმუნოებისა და ქრისტეს მცნებისა და არა მხოლოდ ჩემ ზედა. ამისთჳს არა ვყო, უკუეთუ უწინარეს თქუენსა არა დავსთხიო სისხლი ჩემი მახვილის ამღებმან"). ხოლო მეორე მიზეზი: ვინაითგან შეწერით იყო ლაშქარნი, და ჰყვათ ეპისკოპოზთა აზნაურნი, და მსახურნი, და შეწერილნი გლეხნი წარსლვად ბრძოლასა შინა. ამისთჳს მათთა მოურნეთ თანამდებ იყვნეს წარსლვად, და არს მიერ ჟამითგან ეგრეთ აწამდე. ხოლო სხუათა თჳნიერ ამისა აჩუენს ცხორება ანუ მატიანე ქუემორ აღწერილი ყოველსავე ამას ქარტასა შინა. და იმყოფოდა ესენი ესრეთ აწისამდე. ხოლო წალმართი უწყის ღმერთმან და, ვითარცა ნებავს, იყავნ.

13

აღწერა სამეფოსა საქართველოსა[17]

სახელი რით ეწოდა

ხოლო ქვეყანა ესე იწოდების სახელითა სამითა. პირველად — საქართველო, მეორედ — ივერია, მესამედ — გიორგია. ხოლო საქართველო არს სახელი ქართლოსის გამო, რომელსა წილად ხუდა ქვეყანა ესე და, სადა დაეშენა, ეწოდა სახელითა თჳსითა ქართლი, და მის გამო მორჩილთა ანუ წილხდომილთა მისთა ეწოდა საქართველო. გინა შემდგომად მისსა*, რომელ ფუცვიდნენ ძენი და ძენი ძეთა მისთანი საფლავსა მისსა, ეწოდათ საქართველო.

ხოლო მეორე სახელი, ივერია, ენითავე ქართულითა მიეცა. რამეთუ „ი“ არს შორისყრილი, რომელი არს სასიხარულო ჴმა ზახილისა. ხოლო „ვერიე“ - მოვერიე, არამედ წყობისათჳს შეთხზულად „ივერია“, რამეთუ ოდეს ი მეფემან ადერკიმ მოკლა არშაკ, მეფე ქართლისა, გოლიათობითა თჳსითა. მაშინ აღუტევა ჴმა სპათა მიმართ თჳსთა: „ი, ვერიე!“ და განჴდა ჴმა ესე, და იტყოდიან ყოველნი სიმჴნისა მისისათჳს; ამის გამო იწოდა ივერია. არამედ წოდება სასიხარულოს ჴმისა მოასწავებდა სიხარულსა დიდსა, რამეთუ პირველსა მეფობასა ადერკისასა იშვა უფალი ჩვენი იესო ქრისტე, და მოასწავებდა ჴმა სახარებისა ხარებასა და სიხარულსა საუკუნოსასა. ხოლო „ვერიე“ — მორევნასა კერპთა ზედა ძალსა ჯვარისასა და ჴსნასა ეშმაკისაგან საქართველოსასა.

კვალად გიორგიაცა მჴნედ მომჭირნეობისა მუშაკობისა ქართველთათა ეწოდა (რამეთუ „გიორგი“ მუშაკად ითარგმნის). კვალად ვინათგან იცნეს სამება-ერთარსება, ჭეშმარიტი ღმერთი წმიდის ნინოს მიერ, რამეთუ მამა ნინოსი იყო ზაბილონ, და ესე ზაბილონ იყო კაბადუკიელი, ნათესავი წმიდისა დიდის მოწამის გიორგისა, ამისთჳს მიერ ჟამითგან ნიშნი და სასწაულნი უმრავლესნი არიან მთავარ-მოწამის გიორგისანი ყოველსა ივერიასა შინა, რამეთუ არა არიან ბორცუნი ანუ მაღალნი გორანი, რომელსა ზედა არა იყოს შენნი ეკლესიანი წმიდისა გიორგისანი. და ესეცა ამის მიერ იწოდა. არამედ ევროპელნი და ბერძენნი უჴმობენ ჯორჯი-

---

* ლედანში: „მისა“.

ანსა. და რუხნი გრუზსა. და მოქმედიანნი გურჯსა მათითა ორთოგრაფიის გამო. არამედ იგივე გიორგიავე არს.

ხოლო არს სიგრძე ქუეყნისა ამის პ უჯი*, ხოლო განი სპერის ზღვისაკენ ჲ უჯი, შუა ადგილი ლბ უჯი. ხოლო ბოლოთ კერძი ლე უჯი. და მდებარებს კასპიისა და პონტოს ზღვას შორის[18] გარნა არს ქვეყანა შუენიერი და ნაყოფიერი ყოველითა ღვთისა მიერ. და არა ჴელოვნებითა კაცთათა. რამეთუ ნაყოფიერებს ყოველნი თესლ-მარცვალნი კაცთა საზრდელნი: ბრინჯნი. ჴორბალნი, ქრთილი, შვრიეა, სიმინდი. ღომი. ფეტვი. მუხუდო. ლობიო. ოსპი, ცერცვი, საკადრისი. ძაძა. მაშა. უგრეხელი. კანაფი, სელი და სხვანიცა.

აბრეშუმისათჳს

კვალად ჰყოფენ აბრეშუმსა. არამედ ქესილის გამო ვერა მრავალსა. რამეთუ სასტიკად მქუსარებს. და მის გამო მოსწყლების ჭიანი. კვალად ბანბას სთესენ, განა სხვაგნებური უმჯობეს არს. არამედ მრავალნაყოფიერებს.

ხილისათჳს

ხოლო ხილნი წალკოტთა მრავალნი: ნარინჯი, თურინჯი. ლიმო. ჩეთისხილი. ბროწეული. ყურძენი, ატამი, ვაშლატამი. ყაისი. ჭერამი, ალუჩა. ტყემალი. ნუში, უნაბი, თუთა. ხართუთა. ბუსტული. ქლიავი მრავალგვარი, ლეღვი. მბალი. ალუბალი. სხალი და ვაშლი მრავალგვარი. კომში, ნიგოზი. თხილი. ზღმარტლი. ფშატი, ნესვი. მელსაპეპონი. პუმპულა. კიტრი. ხოლო ტყისანი არიან: თხილი, ტყემალი, ზღმარტლი. ფშატი. /ხურმა. წაბლი/, კრიკინა, ალუბალი, ბალამწარა. ბალღოჯი. მაჟაჟეული. პანტა. კუნელი. ჯასჟეული, მჭნავი. მწოფელი. დათვს-სხალა. დათვს-ბაბა, დათვს-თხილა, კოწახური. მაყვალი მრავალგვარი, ნიგოზი და სხვანიცა. ხოლო მთისანი არიან: მოცხარი. კლდის მერსენი, ჟოლო, უელი. მოცვი და სხვანიცა მრავალნი.

სავარდისათჳს

სავარდეთა ყვავილნი მრავალნი: ვარდნი წითელი, ყვითელი და თეთრი. მიხაკი. სუნბული. ნარგისი. ზამბახი, ყაყაჩონი მრავალგვარნი. და კვალად სხვანიცა მრავალნი ყვავილნი სხვა-სხვა გვარნი და ფერნი. ხოლო ველთა: ია, კოჩივარდა. ნეგო. მიხაკი. შროშანა და სხვა მრავალნი, ვიდრე ას ფერამდე და ას გვართამდე.

მტილოვანთათჳს

მტილთა: ბადრიჯანი. ქინძი. კამა. ცერეცო, ტარხუნა. ნიახური. ქონდარი. ხახვი**, პრასა. ბოლოკი, პეტრუშკა, სტაფილო. ქინძიჯორა. ოხრახუში, მაკედონი, კომბოსტო, ლახ-

---

* ამავე ტექსტის ხელით არის შენიშვნა: „უჯი, ფარსანგი და აღაჯი ერთი არიან. ხოლო უჯი არს ექვსი ვერსთი რუსული, და ვერსი — ხუთასი მხარი, მჴარი — სამი ადლი, ადლი ოცდათორმეტი თითი, თითი — ექვსი ქრთილის მარცვალი, ქრთილის მარცვალი — ექვსი ცხენის ფაფარი“.

** დედანში: „სახეი“.

ანა. ყრუული და სხუანიცა. ხოლო ტყეთა და ველთა არიან მრავალნი სურნელნი საზამთროდ საჭმარნი ბალახნი. მხლად წოლებულნი, და თესლნი. ვითარცა: სატაცური, ასპანახი და სხუანი. და ვითარცა კვლიავი, და ტყიურა, და მისთანანი მრავალნი.

პირუტყვთა და ფრინველთათჳს

არამედ პირუტყუნიცა მრავალნი, ვითარცა: აქლემი. ცხენი. ჯორი. ვირი, ძროხა, კანბეჩი, ცხვარი, თხა. ღორი. ხოლო ნადირნი ტყეთა და ველთა: ირემი. ქურციკი, ჯიხვი, მშუელი, არჩვი. თხა, ყურღუელი, ვეფხი, დათჳ, მგელი. ავთარი. ფოცხვერი, ღორი. მელი, მაჩვი, მწავი. მთახვი. ძლარბი და სხუანიცა. კვალად ფრინველნი: ქათამი, ბატი. იხვი. ინდოური ქათამი. ტრედი; ამათ შინ იპყრობენ. ხოლო ველთა და ტყეთა: წერო, ყარახილა, ბატი, შავი ბატი. იხვი. აკაური. ვარხვი. ღალღა. ლაინა. ესენი ჩამთარ არიან, ზოგნი გაზაფხუ{ლ}-შემოდგომას, თჳნიერ არა; ჴოჴობი, კაკაბი. დურეჯი. გნოლი. როჭო. შურთხი, | 14 მწყერი, ასკატა, ჩახრუხი. კიოტი. ტყის ქათამი. გარიელი. სავათი, ტრედი მრავალგვარი. გვრიტი. გუგული. ოფოფი, შაშვი. ჩხართვი, შროშანი. ტარბი. კოლინბური. ბულბული, ყაზალახი. მალალური. ჩიტნი და სირნი მრავალგვარნი, შვენიერ-ჭრელნი და მომღერალნი მრავალნი. ხოლო ჴორცისმჭამელნი: ყაჯირი. სვავი, ორბი. არწივი. შავარდენი, გავაზი, ბარი. ქორი თეთრი და წითელი. მიმინო, მარჯანი, თვალშავი, ალალი, კირკიტა. ძერა, ბაბაყვევლი. ბოლობეჭედა. ჭარო. ყორანი. მახარა, შავი ყვავი. მაღრანი. ყვავი. ბუ, ზარნაშო, წოტი. //ჭკა// ჭილყვავი. ყაპყაპი. კაჭკაჭი, ჩხიკვი, ყოდალა. ოყარი. ლაკლაკი, ყარაულა და სხუანიცა.

მთათათჳს

ხოლო არს მთანი[19] და ტყენი აურაცხელითა ყვავილითა, მწვანითა და სურნელითა აღსავსე. ტყენი სხვადასხვა ხითა შვენიერითა ჭალათა და მთათა შინა. კვალად არიან მთანი დიდროვანნი. რამეთუ ჩრდილოთ უძეს კავკასი[20] შავის ზღვიდამ ვიდრე კასპიამდე, რომლისა სიმაღლე დღე ერთისა სავალ, და მარადის მყინვარე უმაღლესთა ზედა, რომლისა სიზრქე ყინულისა[21] არს კ-ლ მჴარი[*], და ჟამსა ზაფხულისასა გასქდების[22] და. თუ შთაუტეო კაცი. მცირეს ჟამს ვერ ძალუცს დათმენად სიცივისა; და ქუეშე მისსა დის მდინარენი. და არს ყინულნი მწვანე და წითელი[23], ვითარცა ელვა. სიძველის გამო. ხოლო დიან მთისა მისგან მდინარენი იმიერ და ამიერ მრავალნი, და შორის მთისა ამის სცხოვრებენ კაცნი. სხვა არს მთა სამჴრით. რომელი იწყების შავის ზღვითვე და განვლის აზრუმს. ბასიანს და მოვალს ბარდა-არაზამდე, და არა ეგრე მყინვარე და მაღალი, არა-

---

[*] დედანში: „მჴერი“.

მელ თოვლნი მარადის აულებელად, გარნა ადგი{ლ}-ადგილს. და ეგრეთვე მდინარენი დიან იმიერ და ამიერ. კვალად არიან საშორის მათსა მთანი დიდროვანნი და მცირენი. და კლდენი საშინელნი და შუენიერებით აღმატებულნი, არამედ თვისთვს ადგილს იწეროდეს[24].

მდინარეთა და ტბათათვს

კვალად მდინარენი მრავალნი და წყარონი დიდ-დიდნი, ცივნი, გემოიანნი და შემრგონი. და მკურნალნი სენთანი. და ტბანი დიდნი და მცირენი, არამედ ვიეთნი თევზითა ტკბილითა სავსენი და ვიეთნი უხმარნი.

თევზთათვს

ხოლო წყალთა შინა თევზნი არიან: ორაგული, ზუთხი, ანდაკია, გოჭა, ჭანარი, ლოქო, კაპოეტი, კარჩხანა, მწერი, კალმახი, ფიჩხული და წვრილნი თევზნი მრავალნი და სხვანიცა.

მძრომთათვს

ხოლო არიან მძრომნი მაწყინარნი: გუჱლნი მკბენელნი, ღრიანკელი გესლიანნი, გველხოკერა, ჯოჯო, ფსვენი, ხჳლიკი, კუ, თაგვი და სხვანიცა.

მწერთათვს

ხოლო მწერნი: კოღო, ბუზი, ბორა, კრაზანა — კაცთა და პირუტყვთა მაწყინარნი, და სხვანიცა დიდნი და მცირენი მრავალნი. არამედ ფუტკარი[25] სარგებლიანი, რომლისა თაფლი ვიეთთა ადგილთა, ვითარცა შაქარი შეყინებული და სპეტაკი. და ცვილთა და თაფლთა სიმრავლე არს. ხოლო არს შემკობილი მთითა და ბარითა, რამეთუ არა არს ადგილი, რომლისა მთა-ბარი არა იყოს ესრეთ, რამეთუ ბ, გ, ვ ჟამს მთიდამ ბარს და ბარიდამ მთას არა მიიწეოდეს[26] არამედ მთათა ჭორბალი, ქრთილი, შვრია, სელი და ხილნი, რომელნი დავსწერეთ, მთისანი ნაყოფიერებს და სხვანი არარაი. ხოლო ბარითა ყოველივე ზეითწერილნი.

კაცთათვს

ხოლო კაცნი ამის ქვეყნისა არიან სარწმუნოებით ქრისტეანენი, რომელთა მიიღეს რომით ჟამსა დიდის კოსტანტინესსა და სილიბისტროსსა წესნი და რიგნი ძველი ბერძენთა ბასილის კაბადუკიელისათა* და შვიდის კრებისა უპყრავთ მტკიცედ, არამედ მძლავრებით უკეთუ ვინმე მიიქცის, ოდეს იცის ჟამი, კვალად ეგების ქრისტეანედ შემნანე. ხოლო ანაგებით არიან კაცნი და ქალნი შუენიერნი, ჰაეროვანნი, შავ თვალ-წარბ-თმოსანნი, თეთრყირმიზნი, იშვით შავგვრემან და მოყვითან, იშვით თვალჭრელ და გრემანი. და მწითურ ანუ თეთრ. ქალთა თმა გარდაშვებული და დაწნული, ხოლო კაცთა ყურთა ზედა მოკვეცილნი; წერწეტნი, უმეტეს ქალნი, იშვით სქელნი, მჴნენი მუშაკნი, ჭირთა მომთმენნი, ცხენსა ზედა და მჴედრობათა შინა კადნიერნი, მკვირცხლნი, მსწრაფლნი, რამეთუ ვიეთნი ლგ ეჯს

---

* დედანში: „კაბადუკიესისათა".

ილ ჟამს გაირბენს. სალაშქროთა შინა ახოვანნი. საჭურველთ მოყვარენი, ამაყნი. ლაღნი. სახელის მეძიებელნი ესრეთ. რამეთუ თჳსთა სახელთათჳს არა რიდებენ ქვეყანასა და მეფესა თჳსსა, სტუმართა და უცხოთ მოყვარენი; მხიარულნი, უკეთუ ორნი ანუ სამნი არიან. არარაი შეიჭირვიან; ესენი, არცა თჳსსა და არცა სხვისას კრძალვენ; საუნჯეთა არა მმკსეველნი. გონიერნი. მსწრაფლმიმხდომნი. მჩუქებელნი. სწავლის მოყვარენი. არამედ არს ჟამი რაოდენიმე. არღარა ისახელების ცოდნა. თჳნიერ წიგნის კითხვისა და წერისა. გალობა-სიმღერისა და სამღვდლოსაგან კიდე, და ჰგონებენ დიდ-მცოდინარობად. ურთიერთის მიმყოლნი. სიკეთის დამსწავლელნი და მიმგებელნი. სირცხვილის მდევარნი. კეთილ-ბოროტზედ ადრე მიმდრეკნი. თავხედნი. დიდების მოყვარენი, თვალმგებნი და მოთაკილენი. ხოლო რომელნი მთათა შინა სცხოვრებენ, მგზავსნი ნადირთა, განა გონიერნი.

ხოლო შემოსილნი არიან ქართველნი და კახნი ერთირიგათ: თავს სკლატისაგან ანუ შალისაგან ქუდი გრძელ-წვრილი. ბეწვებული. აფროსანი; ტანს კაბა ლარისა, სკლატისა ანუ ჩოხისა მუხლთ ქვემომდე. მაზედ სარტყელი. შიგნით საგულე ბანბიანი კაბის უმოკლე. პერანგი აბრეშუმისა. ბანბისა ანუ ტილოსაგან. უგრძე კაბისა. და კისერი სრულიად მჩენი; ნიფხავი აბრეშუმისა. ანუ ბანბისაგან. ანუ ტილოსა. არამედ ცხენსა ზედა მოსიათ საწარმართული და მოგვნი. თჳნიერ მის{ს}ა — არა; ფერჴთა პაიჭი და წუღა ტყავისა ანუ სკლატისა, ხოლო მაშია საპარსული; უმცირესთა ჩუსტი და ქალამანი. კვალად ტყავ-კაბა კაბისაგან უმოკლე და ტყავი ზამთარს დიდი (არამედ პირველ ერთსმეფობასა შინა სცმიათ სხვაგვარ: თავს ქუდი გრძელი. რომლისა კუნჭული 15 ბეჭსა ზედა მცემელი და გრძელბეწოსანი. პერანგი | ბერული ტილოსი, საგულე და კაბა გრძელი კოჭამდე ულილოდ. მას ზედა სარტყელი ფოჩჩაშვებული, ტყავი დიდი სახელ-ვიწრო და ფერჴთა ზედა მოგვი, ვითარცა იცნობიან ნახატებთა ზედა). ქალთაცა მგზავსათ, გარნა სარტყელთა წვერნი ჩაშვებულნი და მას ზეით კაბა-ახალუხი* ამოჭრილი, და თჳნიერ პერანგისაგან კიდე არარაი ჰფარაეს. და პერანგი მჭვირვალი. ჴორცის მჩენელი. უპაიჭოთ ნიფხავი და ფერჴზედ წუღა-მაშია; ხოლო თავი ქალწულთა: კაენი თჳისისავე თმისა ლაწვეთა ზედა და ქუდი ანუ ლეჩაქი, არამედ ქრმოსანთა კაესა ზედა ლაწვეს აძესთ თმა შეწნული. მსხვილი, იმიერ და ამიერ. და ყბას ქვეშ მარგალიტით შემზადებულს ამოიდებენ და თხემსა ზედა შეიკურენ, და ჰბურავეთ მასზედ

---

* დედანში: „ახალუსი".

ლეჩაქი. ქალად სამკაულნი იციან მრავალგვარნი, ზოგნი ოქსნი და ზოგნი სპარსთანი; ზამთარ კაცთა და ქალთა ქათიბი, ტყავი და ტოლომა ბეწულნი; განა ქალთა კაბა და ტყავი ვიდრე მიწამდე. ხოლო იმერთა მცირეთ რაიმე განიყოფების, არამედ ქუდი მცირე ნაჭრისაგან, რომელი არა ბურვიდი. განა მდებარე არს თხემსა ზედა, და ზამთარს მოსიათ ტოლომა ოსმალური. ხოლო მესხთა დიდებულთა — ვითარცა ოსმალთა, და გლეხთა, რომელთამე ვითარცა ბერძენთა, და რომელთამე ვითარცა ქართველთა გლეხთა.

101 აღწერა აწინდელისა ქართლისა[27]

საზღვრით, მთით, მდინარეებით და ადგილთა და მას შინა შენებულებ{ა}თა

ვინათგან სახელნი და აღშენებანი ვისნი იქმნა ქვეყნისა ამის დავსწერეთ, აწ ვიწყოთ თვითეულთა წარმოთქმად მთათა. ველთა და წყალთა. არამედ ვინათგან არს ყოველთა აქაურთა მდინარეთა მტკვარი უდიდესი, რომელი განვლის საშუალ ქვეყანასა ამას, პირველად ვახსენოთ მდინარე იგი. რომელი გამოსდის კოლას ყალნუ მთას[28], გამოვლის სამცხეს, ქართლს, ჰერეთსა, რანს შორის, განვლის მოვაკანს[29], მიერთვის რახს[30] ჯავათს[31] და სალიანს[32] ქვეით ერთვის კასპიის ზღვას. ხოლო ქართლსა შინა არს განით მტკვარ{ი} ჲ, ო და პ მჴარი და ადგილს უმეტესიცა, და სიღრმით ადგილ-ადგილ განისვლების ფონად. სადაცა უმეტეს განვრცელდების, მუნ დის ჩქარადცა, და სადა დამდორდების[33], არს ფრიად ღრმა. გარნა კიდეთა მტკვრისათა ამიერ და იმიერ კლდენი ქარაფოვანნი. უმეტეს ადგილთა ჭალიანი, ბალახიანი, ჩალიანი, ნადირიანი, ფრინველიანი. ზის მას შინა თევზნი მრავალნი და გემოიანნი, რომელსა იპყრობენ ბადით, კოჭით, ფაცრით, ნესკავით, საფიჩხულითა და ოჩხითა. ჟამად იპყრობისცა ზუთხი, რამეთუ განჯას[34] ქვემორ არს ამ მდინარესა შინა ურიცხვი და აქა სიჩქარისაგან მდინარისა ვერ აღმოვალს. და ჴეობასა შინა მტკვრისასა უმეტეს ჩქარი არს, ვიდრე დვირადმდე, და დვირს ზეით ეგრეთვე, ვითარცა ქართლსა შინა. ამ მტკვარს ერთვიან ყოველნი მდინარენი კოლისა, არტანისა[35], ჯავახეთისა, სამცხისა, ქართლისა, კახეთისა, ჰერეთისა, რანისა[36], მოვაკანისა და თვით არაზიცა. არამედ არს მტკვარი სასმელად გემოიანი და შემრგო, უმეტეს ქართლსა და სამცხესა შინა.

ბერდუჯის აღწერა

ხოლო აწ ვინათგან საზღვარი ქართლისა ბერდუჯის მდინარე არს, ვიწყოდ* მუნითგან წერად. რამეთუ მდინარე ესე ბერდუჯი[37] გამოსდის მთასა აბოცისასა და დის აღმო-

---

* ვიწყოთ.

სავლით ჴოჭკანამდე[38], მერმე მოიქცევის და დის ჩრდილოთ კერძ და მიერთვის ქციის მდინარეს (არამედ სახელითა იწოდების სამითა: პირველი ბერდუჯი, ბ საგიმი[39], გ დებედა. ხოლო ბერდუჯი დაბისაგან ბერდიკისა ეწოდა, //არამედ საგიმს ეგონებ ინჯას ანუ ალისტევს) //.

არს ესე მდინარე სარგებლიანი მუნ, სადაცა იწყებს დინებასა ჩრდილოთ კერძ, თევზითა სიმრავლითა, ხოლო სახელდობ ორაგული, ლოქო, ჭანარი, გოჭა, კაპოეტი და წვრილი თევზი სხვადასხვა გვარნი მრავალნი. და სად აღმოსავლეთიად დის, მუნ არს კალმახთა[40] სიმრავლე დიდთა და წვრილთა. არამედ თევზნი ამისნი არა ეგდენ გემოიანნი, ვითარცა სხვათა მდინარეთანი.

კვალად აღმოიღებენ რუთა, და ირწყვიან ამიერ და იმიერ ველნი, სადაცა ნაყოფიერებენ ყოველთა მარცვალთა თესლნი: ბრინჯი, ჴორბალი, ქრთილი, ფეტვი, ბამბა, თამბაქო, სელი, ხოლო კანაფი უმუშაკოთ, ნესვი, მელსაპეპონი, კიტრი, ბადრიჯანი, პუმპულა. ხოლო მტილოვანნი ყოველნი და წალკოტთა ხეთანი. /ამისთვს იწოდა: „დაბადა ამ მდინარემ ნაყოფნი," ხოლო აწ დებედა/[*] აბრეშუმს აკეთებენ და არა მრავლად. პავით[41] არს ზაფხულ ცხელი, გაუძლისი, ზამთარ კეთილმშვენი, რამეთუ არა დაადგრების თოვლი დღე ორ. ფრინველნი მრავალნი: ჴოჴობი, კაკაბი, იხვი ურიცხვნი და სხვანიცა ზემოწერილნი მრავალნი.

ხოლო ძველად ადგილისა ამის სახელი არს ქერდვაჭრისჴევი[42] და აწ უწოდებენ ალჯაყალას[43] //თეთრციხე// იაყუფ ყეენისაგან წოდებულს, რომელმან პირველ აღაშენა ციხე ესე და შემდგომად, ოდეს მიუხუნა შააბაზ პე მეფეს გიორგის, მან მოიყვანნა ელნი ბორჩალუ და დასხნა აქა, და ამით ეწოდა ბორჩალუ[44]. ხოლო სადა აღმოსავლეთით დის ბერდუჯი, არს ფრიად მაგარი ტყითა და კლდითა, შეუვალი კაცთაგან. განა მოეალს მუნცა ყოველნი მარცვალნი, ბრინჯბამბისაგან კიდე, ვენახნი, ბროწეული, ლეღვი და სხვა ხილნი მრავალნი. არამედ ლორის ციხეს ზეით ცივი, გარნა ზაფხულს შვენიერი, მრავალყვავილიანი, ცივნი და ტკბილნი წყარონი; და ბამბაკის ჴევს[45] არარაჲ თვნიერ ჴორბლისა, ქრთილისა, სელისა, და თივითა ნაყოფიერებს, ცხოვარი, ძროხა, კანბეჩი, ცხენი, ვირი, თხა მრავალნი იშობიან; ნადირნი: კლდეთა — თხა და არჩვი //ფსიტი და არჩვი იგივე არს//; ტყეთა — ირემი, შველი, დათჳ, მგელი, ფოცხვერი, მელა, კურდღელი მრავალნი. აქა თევზნი და ჴორცნი გემოიანნი. ლორის ციხეს ქვემოთი ცხელი და ზაფხულს გაუ-

---

[*] ჩამატებულია დედანში სტრიქონს ზემოთ და გატანილია აშიაზე.

ძლისი, გარნა ზამთარს, სივიწროვს გარდა, მშვენი.

ხოლო არს ახპატი[46] და სანაინი[47] მეფეთა ქართველთათა აღშენებულნი[*], ეკლესიან{ი} გუმბათიანნი, კეთილნაშენი, საეპისკოპოზო. გარნა აწ სხენან სომეხნი, არამედ მეფე ქართლისა დასვამს ეპისკოპოზსა მიწერითა ოქიეარტერისათა, ვინადგან რავდენნი სომეხნი ქართლს მსახლობელნი არიან, სამწყსონი მისნი არიან. აქა იხდების გვარჯილათა სიმრავლე არა მიწიდამ, არამედ კლდის ნოტიობიდამ.

ამას ჩუმორ არს მონასტერი მცირე, გარნა დიდშენი, ქობერისა. უპყრავთ სომეხთა.

კვალად დასავლით ამისა არს მონასტერი ძელი ჭეშმარიტისა შვენიერი, ბერდუჯის მდინარესა ზედა, უპყრავსთ სომეხთავე. აქა არს მაღალს კლდესა შინა ქვაბნი მრავალნი, და მას ქვაბსა შინა მდებარებენ წიგნნი მრავალნი ძველნი. არამედ კაცთა აუსვლელობით უხმარ არიან.

დასავლით ამისსა არს ციხე ლორისა[48] და ქალაქი მცირე, ზაფხულს მშვენი, ზამთარ გაუძლისი, ორს მდინარეს შუა, კლდესა ქარაფოვანსა ზედა; დასავლით აქუს მინდორი კლდოვანი. მუნიდამ მრავალჯერ აღებულ არს. აწ უპყრავთ სპარსთა.

ხოლო ჴევი ბამბაკისა[49] არს მთიებრი და შვენიერი, ნაყოფიერი. ნაყოფიერებს ჴორბალნი, ქრთილი, სელი, შვრია, სხვა არარაი. თვით ბანბაკი არს მცირე ქალაქი, და პირუტყვთა სიმრავლე არს, თვნიერ აქლემისა; თივათა სიმრავლე, თაფლნი მრავალი. სომხითისა, ერევნისა და ამისი გამყოფელი არს მთა დიდი, მაღალი და მარადის თოვლიანი, და კალთათა ტყიანი, ნადირიანი, რომელი წარივლის დას{ა}ვლით 102 არტანამდე[50], ხოლო აღმოსავლით რანსა და გელაქუნს[51] შუა განვლის და ვიდრე რახსადმდე მივალს.

მთისა ამის სამჴრით კერძი სომხით-ერევნისა არს, ხოლო ჩრდილოთ კერძი ბერდუჯისა და რანისა. არამედ ბერდუჯის მდინარის აღმოსავლეთი კიდე უპყრავთ ბორჩალუთა, და დასავლეთის კიდის კერძი უპყრავს მეფესა ქართლისასა, ვიდრე ხუნანამდე[52] ხოლო მთა მცირე ბერდუჯისა ძეს ჩრდილოეთით და სამჴრით, და მიადგების წინთქმულს ერევნის მთას. აღმოსავლეთის კერძი მთისა ამისი არს რანისა, და დასავლით კერძი არს ბერდუჯისა. გარნა არს ძველად საერისთო ხუნანისა[53]. შემდგომად აქუნდა თვისი ერისთავი (რომელსა იტყვიან აწინდელსა ხანსა. რამეთუ ოდეს მიიღო შაბაზ, ამისის განზრახვით მიიღო, რამეთუ: გექმნებისო

---

[*] ამის გასწვრივ, მარჯვენა არშიაზე, ტექსტის ხელით, წვრილი შრიფტით მიწერილია: „არამედ სომეხნი სწერენ: ოდეს ეპყრაი სომეხთა მეფეთა, მათ მიერ არს აღშენებულნი“.

შესავალ-გამოსავალი ადვილად ქართლსა შინა).

აღწერა სომხითისა[55]

ხოლო ახპატს ქვეით არს ჴეობა ჭოჭკანისა ლელვარის მთის ქვეშ. ვენახიანი, ხილიანი, ნაყოფიერებითა და ჰავითა შემკული. მის ქვემორ არს ჩრდილოთ ეკლესია აგარაკისა[54] (რომელსა შინა დასვა გორგასალ ეპისკოპოზი. შემდგომად იქმნა მიტრაპოლიტი და მეტოქი სომხითისა. რომლისა სამწყსო იყო ხუნანი, გარდაბანი და ბერდუჯის მდინარე). გუნბათიანი, დიდშენი. აწ უწოდებენ ახტალას[56], გარნა აწ სუცის სამარ არს. პირისპირ ახტალისა, აღმოსავლით, ბერდუჯის მთასა შინა არს მონასტერი ორი. რომელი ერთი სულს კვალად ჰკვიან ჰყოფს*, და მეორეს შინა დის წყარო, და უკეთუ ასვას ბრაზიან-ცოფიანსა მ** დღის წინათვე, ვერღარას ავნებს ბრაზი კბენილსა კაცსა. ხოლო ქვემორ ახტალისა არს ჴეობა ხოჯორნისა[57]. არს ხოჯორნის ეკლესია გუნბათიანი. ხოლო წოფას ციხე მცირე. ჴეობა ესე არს ვენახოვანი, ხილიანი, ყოველის თესლისა მოსავლიანი. მას ქვემორ სახლობენ ელნი ქციამდე ველსა ზედა, და სთესენ ყოველსა მარცვალსა, და თესლითა ზეითწერილითა, და მტილოვანითა, სავსენი პირუტყვითა. ხოლო აწ უწოდებენ ალალაჯს.

კვალად ქციის პირს, სად ერთვის წყალი შულავერისა. მუნ არიან ელნი ყულარად წოდებულნი, ეგრეთისავე მოქმედნი. და აღმოსავლით ბერდუჯის კერძოთა მოსახლენი ელნი ბორჩალონი, ეგრეთვე მოქმედნი, ვიდრე ხუნანამდე. ხოლო ჴეობა შულავერისა არს ლელვარის მთის წაკერით, იმიერ და ამიერ დაბნები. შულავერი არს დაბა დიდი. ქვემორ მისსა ნაქალაქევი არს, შენობა დიდი, და წყარო ფრიად დიდი დის, ზეით მცირე ციხე. შულავრის სამჴრით კერძ არს გორულისჴევი, ეყრების შულავრისჴევს. ამას ზეით ოფრეთი, მცირე ქალაქი და ციხე მისი.

ხოლო კვალად, შულავრის დასავლით, არს მანხუტისჴევი[58] და ამის დასავლით ტალავრისჴევი. ამ ჴევის ბოლოს ჭაპალა[59] და ციხე მისი (ამას სწერენ გაჩიანად)*** არამედ**** / ჭაპალის ჩრდილოთ, ქციის კბოდეზედ, არს არქევა-

---

* დედანში ამის გასწვრივ მარცხენა აშიაზე, ტექსტის ხელით წერია: „ვგონებ ამას ცორტაეალ, და სასწაულსაცა მის მიერ“.

** ორმოცის.

*** აშიაზე ტექსტის ხელით წერია: „არამედ არა არს ესე დასავლით ხუნანისა, არამედ სამჴრით, და არს წილი გარდაბანისა და არა გაჩიისი. ხოლო არქევანი პირველ იყო გაჩიანი და სახალირო ქალაქი, მერმე ქაიზიანი, და აწ ესე დაბა, რომელი დასავლითაც არს ხუნანისა და საზღვარიცა მათი“.

**** ეს სიტყვა გადაშლილია ვახუშტის მიერ.

ნი/[60]// ამას ეწოდა ქაოზიანი, სადაც არს დიდ-დიდნი ნაშენებნი. ესეცე არს გაჩიანი. და ჭაპალისა// დასავლით არს ჴევი სარკინეთისა[61]. სარკინეთს ითხრების ლითონი რკინისა და სპილენძისა, და იპოების მცირე ლაჟვარდიცა.

ამის დასავლით დის მდინარე ფოლადაური[62], გამოსდის ლელვარს და მოერთვის მდინარეს მაშავერს. ამას ზედა არს მცირე ქალაქი ბოლნისი[63]. მას ზემორ ეკლესია დიდი, უგუნბათო, ბოლნისისა, რომელი აღაშენა კთ მეფემან ფარსმან. და გორგასალ დასვა ეპისკოპოზი. შემდგომად შემუსერილი აღაშენა პთ დედოფალმან მარიამ. აწცა ზის ეპისკოპოზი, მწყემსი აწინდელის ქართლის სომხითისა. პირისპირ ამ ეკლესიისა არს მონასტერი წუღრუღაშენს[64], გუნბათიანი. შვენიერად ნაშენი შუენიერს ადგილს და აწ უქმ არს. ამას ზეით ციხე ბერდიკისა მაღალს კლდესა ზედა, ფრიად მაგარი. აქ ერთვის დასავლეთიდამ ჴევი ფოლადაურს, რომელი გამოსდის ლოქის მთას და დაბნებით შენი არს. ამას ზეით არს მონასტერი პუჯაბისა[65], გუნბათიან[ი], კეთილს ადგილსა[•] და აწ ცალიერ არს. ხოლო განჰყოფს ამ ადგილთა და ბერდუჯის მდინარეს მთა ლელვარი, რომელი მდებარებს აღმოსავლეთიდამ დასავლეთად. და ამის მთისაგანვე გამოსული მცირე მთა, ჩრდილოთკენ მდებარე ბოლნისისა. ხოლო ლელვარი არს მთა მაღალი, თხემთა უტყეო[••] და კალთათა ტყიანი, და ნადირითა სავსე. ლოქამდე სამჴრეთის კერძი ბერდუჯისა და ჩრდილოთ კერძი სომხითისა. კვალად ლოქის მთა განჰყოფს ტაშირსა[66] და კაზრეთს, ბალიჭსა და ლბანის ჴევსა. და არს იგიცა, ვითარცა მთა ლელვარისა. და მიადგების აბოცის მთასა, რომელი არს ირჯანისა. არამედ ამ ადგილთა დებედიდამ ბოლნისის დასავლის მცირე მთამდე და ქციის მდინარიდამ ლელვარ-ლოქის მთამდე უწოდებენ აწ სომხითს. ძველად არს საერისთო ხუნანისა. და არს შემკობილი ყოვლითა. ვენახნი და ხილნი მრავალნი. არამედ მთის კერძოდ არა არს. თესლნი ყოველნი ნაყოფიერებენ. მროწლენი. არვენი. კოლტნი ღორთა, ჯოგნი მრავალნი. ღვინო მრავალი. მთათა ნადირნი ურიცხვი და ფრინველნი, რომელნი აღვსწერეთ, უთვალავნი. ჰაერი ქცია-ბერდუჯის მდინარეთ კიდესა ცხელი, უმშვენი, გაუძლისი, სხვათა ადგილთა კეთილი. ტყენი ბევრნი, წყარონი ცივნი და მშვენნი უამრავნი. და ქციის სამჴრით ველი იყო უწყლო. გაიღო ქდ მეფემან ვახტანგ ძველი რუ. და აწ ირწყვის მით და ნაყოფიერებს ფრიად. ამ ადგილთა შინა მოსახლენი არიან სარწმუნოებით

[•] ადგილს.

[••] დედანში ეს სიტყვა ზოგან არის შეკვეცილი ფორმით — „უტყო".

სომეხნი[67] და მცირედად ქართლის სარწმუნოებისა, არამედ ქცევა-ზნითა ქართულითა. სახლობენ თავადნი, ხოლო აზნაურნი მრავალნი.

აღწერა ტაშირისა

ხოლო ლოქის მთის სამჴრით კერძოს მდინარენი, რომელნი დიან და მიერთვიან ტაშირისწყალსა[68], იგი ერთვის ლორის ციხესთან მდინარეს დებედას. არამედ ლორეს ზეით და ლოქის სამჴრით, ვიდრე დებედამდე და არჯანის მთამდე[69], ეწოდების ამ ადგილს ტაშირი სივაკისათჳს. და არს ნაყოფიერი ჴორბლით, ქრთილით, სელით, შერივით, პირუტყვის სიმრავლით; ზაფხულს ფრიად შვენიერი, ბალახოვან-ყვავილიანი, წყარონი მრავალნი მშვენნი, ფრინველნი, თჳნიერ ჴოხბისა და კაკბისა, მრავალნი; მდინარენი კალმახითა სავსენი, არამედ სხვა თევზნი მცირედ. ხილნი და მტილ-წალკოტოვანნი არარაი იპოების, თაფლი მრავალი და სპეტაკი, ვითარცა თოვლი, და უწყინარი. სელისაგან ხდიან ზეთსა მრავალსა, იხმევენ, სწვენ და ჰყიდიან. ზამთარ{ი} ცივი და თოვლიანი, ვითარ ორს ადლად, და ყინვიანი, არამედ სცხორებენ უღუმელოდ. არა არს ტყე, არცა ხე, და ზიდვენ ლოქლელვარიდამ. უმეტეს ხმარობენ | წივათა საზრდელისა და 103 სითბოსათჳს. აქ მისხანას ითხრების ლითონი სპილენძისა მრავალი. კვალად ითხრების ქვა მიწიდამ წითელი და ფრიად მაგარი, ელვარე და წმინდა. მსახლობელნი არიან სარწმუნოებით სომეხნი, არამედ სამწყსონი არიან დბანისისა, და მოსილნი არიან ბინძურად და გაზეთილნი, გრძელჩოხიანნი, ავფერუშვერად. განა არიან ჰაეროვანნი და ტანოვანნი, შემძლენი, ლაშქრობათა შინა გამოუცდელნი, უხმარნი.

აღწერა აბოცისა ანუ ყაიყულისა

ხოლო ტაშირს, აბოცსა და ბერდუჯ-ბამბაკსა ჰყოფს მთა ირჯანისა და აწ ყარაღაჯად წოდებული. და არს მარადის თოვლიანი, და უტყეო, და კალთათა ბალახოვანი, ყვავილიანი, წყარონი მრავალნი კეთილნი. მდებარებს სამჴრიდამ ჩდილოთ კერძ. აქა ითხრების თეთრი ქვა, მგზავსი მარმარილოსი. ამ მთის დასავლით კერძ არს აბოცი[70], აწ ყაიყულად წოდებული. გარმოხვეული სრულიად მთითა და შუაში ვაკე, და მთის კერძად გორიანი, მოსავალმოუცდენელი: ჴორბალი, ქრთილი, სელი, შერივა, სხვა არარაი, არც ხილნი და მტილოვანნი. პირუტყვთა სიმრავლე არს თივის სიბევრისათჳს. თევზი მცირედ, და იგიცა კალმახი. ყაზანჩი იყო ქალაქი მცირე. პალაკაციოსა და აბოცს შორის არს მთა ალბაბასი[71], და იგი მთა არს საზღვარი ქართლისა და ყარსისა, ვიდრე თეთრციხემდე და ტბამდე ტაშაღანისა[72]. ხოლო აბოცი აოჴრებული აღაშენა ქ მეფემან ვახტანგ, და აწ ტყვე ყო შანადირ. სარწმუნოებით იყუნენ სომეხნი, კაცნი ჰაეროვანნი და ტანოვანნი, არამედ უშვერად მოსილნი. ვითარცა ტაშირელნი, განა ბრძოლასა გამოსადეგნი, და ესენიცა მხდელნი

ზეთისანი.

აღწერა დბანის-ჴევისა[73]

ხოლო ყარაღაჯისა და ტაშირის მთის ჩრდილოთ კერძი არს დბანისის ჴეობა* და მდინარე მაშავერი[74], მიმდინარე მის შორის. ხოლო იწოდა ქციის როვისათჳს: „მა. შავერივე ქციას". და აწ მაშავერად წოდებული** არამედ გამოსდის კეჩუთის მთასა, და მდის აღმოსავლით. და მიერთვის ქციას ნახიდურის ბოლოს. ხოლო განჰყოფს ჴეობასა ამას სამჴრით მთა ყარაღაჯი და ლოქისა, აღმოსავლით მცირე მთა ბოლნისისა, ჩრდილოთ მთა ლუკუნისა[75], წავლილი აღმოსავლეთად, ვიდრე ნახიდურამდე, დასავლით მთა კეჩუთისა და ბოლოლისა. და მთა კეჩუთისა[76] და ბოლოლისა[77] არიან უტყეონი. და ჴევთა შინა არს არყნალნი[78] და მთა ბალახოვანნი, შამბნარიანნი, ყვავილოვანნი და წყაროიანნი. აქა არს ყვავილი სუმბული, ფერით სპეტაკი, მგზავსი ნარისა. და მიწასა ზედა განრთხმული, სურნელი, ვითარცა ამბარი. და უმეტეს ფშოსანი და ეკლოვანი. ქდ მეფემან ვახტანგ მოიღო საეარლესა შინა, არამედ არა ჰყო ნაყოფი. ხოლო კეჩუთის მთასა შინა არს ირემთა სიმრავლე და ნადირთა. აქა არს უდაბნო კლდისა[79] გამოკვეთილი, ეკლესია-სენაკნი წმიდის დავით გარეჯელისაგან ქმნული და აწ ცარიელი.

არს ტბა ორმოზანისა[80], არადიდი და უთევზო. ხოლო დბანისამდე, მდინარის იმიერ და ამიერ, მთასა შინა დაბნებიანი და, ვითარცა ტაშირისა დაესწერეთ, ნაყოფიერი და პირუტყვითაცა ეგრეთვე. არამედ სარწმუნოებით უმეტესნი ქართველთანი.

ხოლო დბანისს[81] უდის ჩრდილოთ მაშავერი, სამჴრით ფინეზაური, და ეწოდა სახელი ესე დაბნებით გამო: „დაბანი ისი". აქ დასხნა ბუდა თურქმან ოსნი. მიერ ჟამითგან იყო ციხე-ქალაქი (მის ჟამამდე არა ხსენებული) ჰგ მეფის სვიმონამდე. და ამან წარუხვნა ოსმალთა, და მიერით მოოჴრდა. არს ეკლესია დიდი, უგუნბათო, კეთილშენიერი. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ტაშირისა და დბანის ჴევისა. ჰავით არს მშვენი, არამედ ზამთარს ცივი, ზაფხულს ცხელი, უვენახო, უხილო, შენობა მრავალი, არამედ შემუსვრილი. არს აქა წყარო, რომელი ჰკურნებს მუწუკთა. აქავე არს წყარო[82], რომელი დაამსხვრევს ქვასა შორიშისასა და დააყრევინებს სმითა. აწ შეაშენეს ყაფლანიანთა ციხე სიმაგრისათჳს. ხოლო სამჴრით ფინეზაურისჴევი[83] არს მომდინარე ლოქის მთიდამ ეგრეთითავე ნაყოფიერებითა, ვითარცა ტა-

---

* დაბანისის ჴეობა.

** სიტყვებიდან: „ხოლო იწოდა..." დედანში აქამდე დაწერილია ანაფსკეზე.

შირი და ლბანის ჴეობა.

ლბანის ქვეით არს ჩრდილოთ კერძ ხინწისჴევი. მას ქვეით დაბა აბულმუგი. აქ ითხრების ლითონი რკინისა, სპილენძისა და ლაჟვარდისა. ამას ქვეით სამჴრიდამ მაშავერს ერთვის ბალიჭისჴევი, ლოქიდამ გამომდინარე, არს ვენახოვანი, ხილიანი და ყოვლითა ნაყოფიერი, არამედ ლოქის კერძოთ ვითარცა ლბანისჴევი. მას ქვეით ერთვის გეტისჴევი და ქვეშისჴევი[84]; გამოსდის ლუკუნს. ერთვის ჩრდილოდამ მაშავერს, ეგრეთითავე ნაყოფიერებითა.

ქვეშისციხე არს მაღალს კლდესა ზედა მდგომი, ქავითა და თვალთათვის მშვენი. წყარო კეთილი. მას ქვემოთ ჴეობა კაზრეთისა. სამჴრიდამ მოერთვის მაშავერს, გამომდინარე ლოქისავე, ესეცა ეგრეთვე, ვითარცა ჴეობა ბალიჭისა.

ყორანთას[85] არს ეკლესია, სასეენი ატოცის წმიდის გიორგის ჯვარისა. სატრელის[86], მაშავერზედ, შენი არს ხიდი ქვიტკირისა 8 თვალი, წყალდიდობისათვის. აქა არს ჭალა. ამას ზეით ლისველის მინდორი[87] უწყლო, არამედ ნაყოფიერი, ქცია-მაშავერს შუა და მოუცადი მარცვალითა. ბრინჯ-ბამბას გარდა. ხოლო აკაურთას და ტანძიას ქვიტკირის შენებულებანი მრავალნი.

არამედ მთასა ლუკუნისასა ეწოდა სახელი ესე ლუკა მახარებლის ეკლესიისათვის. რომელი აღშენებულ არს თხემსა ზედა მის მთისასა; და მის ქვემორ არს სამჴრით მონასტერი წითელეკლესია, ქვის წითლით შენებულობისათვის. შვენიერი, გარემო შენობანი მრავალნი წითლითა ქვითავე, არამედ აწ ცალიერ არს. ჯანდირს არს მონასტერი ეგრეთვე და აწ ცარიელი. არს მთა ესე ტყიანი, ნადირიანი. მდინარე მაშავერი თევზითა არადიდითი სავსე და მთის კერძად კალმახითა. ხოლო ლბანის ქვეით ქციამდე ფრიად ნაყოფიერი ყოვლითავე, ვენახ-ხილითა, თესლ-მარცვალთათა, ფრინველნი მრავალნი გარეულნი და შინაურნი, ზამთარს თბილი და მშვენი, ზაფხულს შეზავებული, წყარონი ცივნი, მშვენნი, ჭალა-ტყენი, ბალახნი და ყვავილნი მრავალნი.

აღწერა ზურტაკეტისა[89]

არამედ ლუკუნის მთის ჩრდილოთ კერძს არს მდინარე ზურტაკეტისა[88]; გამოსდის შანბიანის მთას და მიერთვის ქციას მდინარეს ქციას. ხოლო განჰყოფს ჴეობასა ამას აღმოსავლით ქციის ჴრამი[90], სამჴრით მთა ლუკუნისა, ჩრდილოთ მთა კეირიკეთისა და დასავლით მთა შანბიანისა. არამედ მთასა ამას შანბიანი[91] ეწოდების შამბ-ბალახ სიმაღლისაგან, რამეთუ | ცხენოსანი კაცი და რქოსანი ირემი არა გამოჩნდების. 104 არამედ არს მთა ესე მაღალი და ერცელი, /ჩრდილოდამ

სამჴრით/[*] და მდებარებს მარადის[**] თოვლი. გარნა ყვავილებითა მრავალფერ მშუენიერითა და მეფშეჲნითა, და წყაროთა შემკული არს; უტყეო. გარნა ჴევთა არყნალნი. აქა არს ფუნდუკი თამარ მეფისაგან აღშენებული ზამთარ მოგზაურთათჳს. ხოლო სხვა არს ჴევი ფუნდუკისა[92], სხვა შანბიანისა[93], სხვა არყნალისა[94]. არყნალ-შანბიანის ჴევს შუა არს წყარო[95] შუენიერი, რომელი მარმარილოთი აღაშენა ქდ მეფემან ვახტანგ. ამ მთასა შინა არს ირემთა სიმრავლე ჯოგ-ჯოგათ და ხროთ, და სხვათა ნადირთაც. მოინადირა ქდ მეფემან ვახტანგ. და მოკლეს დღესა ერთსა რპ. ხოლო არს ლაბა ველსა ზედა //შავიწყარო// — ყარაბულახი. ამიერ და იმიერ უდის წყაროსაგან მდინარენი სავსე კალმახითა. არამედ სამჴრეთის კალმახი არს შავი და ჩრდილოსი თეთრი. და უკეთუ ჩასვა ჩრდილოსი სამჴრით, გაშავდების და სამჴრეთის ჩრდილოთ ჩასმული განსპეტაკდების. და ამის სამჴრით არს ციხე მაღალი. კლდის ზღუდით მოზღუდვილი, წოდებული მუხის ციხე — /ყალა/; შიგან სდის წყარო. და ზურტაკეტა ამას ქუეით დის ჩრდილოთ-აღმოსავლეთის შუა. ხოლო /ამას ეწოდა რადაბრაგანი[***] და/ ყარაბულახს ქუეით ზურტაკეტას ერთვის საფიქლისჴევი, გამოსდის ქარეასლისჴევსა. მოერთვის აქ ზურტაკეტას. შესაყარს ერთვის მეორე საფიქლისჴევი. აქა არს ლაბა დიდი გომარეთი. ვითარცა მცირე ქალაქი. ზურტაკეტასა შინა არა არს თევზი, თჳნიერ კალმახისა, და იგი მრავალი. კვირიკეთის მთას უწოდებენ ეკლესიისათჳს[96], რომელი შენებულ არს თხემსა მთისასა, წმიდის კვირიკესი. და მთა ესე არს ტყიანი და ნადირიანი, არამედ არა არს ჴეობასა ამას შინა ვენახნი, ხილნი, თჳნიერ მთის ხილთაგან კიდე. და ნაყოფითაცა ეგრეთვე, ვითარცა სხვანი მთის ადგილნი.

აღწერა თრიალეთისა

ხოლო ზურტაკეტის ჩრდილოთ კერძო არს თრიალეთი[97]. და განჰყოფს თრიალეთს აღმოსავლით კლდეკარიდამ გამოკიდებული მცირე მთა ლაკვისა და მიდგმით ბესლურის მთისა; სამჴრით მთა ბესლური[98] და გამოკიდებული მის მთისა, რომელი მოადგების ქცის მდინარეს კლდეისის დასავლით, გამომართებით კვირიკეთი{ს} მთისა. ვიდრე ქარეახლისჴევის მთამდე; ჩრდილოთ მთა კლდეკრისა და ერ-

---

[*] ეს ორი სიტყვა ჩამატებულია დედანში სტრიქონს ზევიდან სხვა მელნით, ტექსტისავე ხელით.

[**] ამ სიტყვის გასწვრივ, მარჯვენა აშიაზე ტექსტის ხელით, განსხვავებული მელნით, მიწერილია: „არს“.

[***] დედანში სტრიქონს ზემოდან წერია ნაცვლად წაშლილი სიტყვების: „შესაყარსა და“.

ჯევნისა. ვიდრე თორის მთამდე და ბაკურიანამდე[99]; დასავლით მთა შავრაშეთი[100] და ტბისყურის გამჭრელი ხაზი, მთა ბარძიმისა[101] და ფარავნის გამჭრელი ხაზი ბოლოლის მთამდე.

ხოლო ამ თრიალეთის საშუალსა დის მდინარე ქცია, წოდებული ანუ ლაბის გამო, ანუ ვინათგან აქცევს ხიდთა, რავდენცა მტკიცე ქვიტკირისა იყოს. მის გამო იწოდა. ესე გამოსდის შავრაშეთის მთასა, გამოივლის ნარიანს, თრიალეთს, ქციის ჭრამსა და მიერთვის ხუნანს მტკვარსა, და მარადის დის აღმოსავლეთად და თრიალეთს მოდის მდორედ. ხოლო ეძანს[102] დაჭრამდების. და არს იმიერ და ამიერ კლდე ქარაფი და მაღალი, მჯარი რ მეტი, სიგანით რპ მჯარი და მეტიცა. ეძანს ქვევით და ახალქალაქს[103] ზეით გარდმოდის ქცია მაღლის კლდიდამ*, ვითარცა დარიდამ. ძირს აქუს ტბა დიდი[104]. ამას ზემორ ვერ აღვალს ორაგული და დიდნი თევზნი. არამედ არს მას ზემორ კალმახი დიდნი და მცირენი. მრავალნი და გემოიანნი.

ქდ მეფემან ვახტანგ მოინადირა ტბა ესე კირსაგლითა, და იპყრეს ორაგული, თჳნიერ კალმახისა და სხვა თევზთა. მას ერთს დღესა შ.

ხოლო ესე თრიალეთი არს ზაფხულ ფრიად შვენიერი. ბალახოვანი, ყვავილოვანი, წყაროიანი, სანადირონი მრავალნი დიდთა ნადირთა, მფრინველთა და თევზთა. არა არს აქა ტყე, არამედ ზიდვენ ერჯევნიდამ და ხმარობენ უმეტეს წივასა; მოსავლითი, ვითარცა ტაშირი. გარნა ესე უმჯობესი მისა. თჳნიერ აქლემისა, პირუტყვნი მრავალნი. ვენახი, ხილნი და მტილოვანნი არარაი არს აქა, და მთის ხილნი მრავალნი. ტკბილს მოიტანენ ბარიდამ, ჩაასხმენ აქა, და დადგების ღვინო კეთილი და გემოიანი. ეძანს ზეით ერთვის ქციას ბეშქენაშენისხევი[105] ჩრდილოდამ, გამოსდის ერჯევნისა და კლდეკრის მთასა. აღმოსავლით ბეშქენაშენისა არს ტბა ბარეთისა[106]. მცირე, უთევზო. გარემო მისა დაბნები ლაკვის მთამდე. მას ზეით ერთვის** ქციას ხევი ერან-თურანისა[107], გამოსდის ერჯევნის*** მთას, მოერთვის ჩრდილოდამ, საბატეს, ქციას. მას ზეით ქციის კიდეზე არს ეკლესია გუნბათიან{ი}, წალკას დიდი, კეთილნაშენი, ზის ეპისკოპოზი, მწყემსი თრიალეთისა. მას ზეით კოხტა****-ცრიცისხევი[108].

---

* კლდიდან.

** დედანში: „ესთვის".

*** ერჯევნას.

**** უნდა იყოს: „კოხაჯ".

სლისვე ერჯევანსა და თორის მთასა, მიერთვის ქციას არწივანს[109]. თეზის ჴრამსა შინა არს მონასტერი კლდესა შინა წმიდის აბიბოს ნეკრესელის[110] ქმნული. და აწ არს ცარიელი. მას ზემორ საპონაურისა და ცხვრისისჴევი[111], გამოსდის თორის მთას, მოერთვის ქციას თეზის ჴრამსა შინა. პირის-პირ კოხაჯისჴევის ქვემორ სამჴრიდამ, ერთვის ქციას აველადისჴევი[112], გამოსდის ჴევღრმის ჴრამსა. ესე არს ციეი ანუ მყინვარი[113]. მას ქვემორ ერთვის ქციას ჴევღრმისა და ანდრაპ-ოლითისის ჴევი[114]. ხოლო ახალქალაქს ქვეით ერთვის ქციას ჴევი აბანოსი[115] ჩდილოდამ. მას ქვეით ერთვის ქციას ჴევი კარწახისა[116], გამოსდის უზნარიანს[117], მოდის აღმოსავლეთიდ. კარწახისჴევის შესართავს ქვეით არს ციხე მოდამნახისა[118], კვირიკეთის მთის ძირში, ჩდილოთ კერძ, ქციის მდინარის პირს. ამას ზეითი არს თრიალეთი მოსავლითი, ვითარცა ტაშირი და დბანის ჴევი* დაესწერეთ თაფლითურთ. ხდიან ესენიცა სელისაგან ზეთსა.

ხოლო ტბა ფანაერისა[119] არს დიდი და თევზითი სავსე. არამედ არა გემოიანი. რამეთუ ზაფხულს დგების გარემოს მისსა მრავალნი არვენი, ჯოგნი, მროწლენი, ხვასტანგნი ქართლისა და კახეთისანი, და ნეხვი მისი გამდნარისაგან თოვლისა შესდის ტბას მას, და იტყვიან მის გამო უგემურობასა. აქა არს წყარო, რომლისა სმით, უკეთუ იყოს ვინმე მაძღარ ფრიად ანუ დაცონვილ, მოაღნობს სმითა, ვითარცა ქონსა ცეცხლი. კვალად ამ ტბას ერთვის წყარო შაორისა[120], მდინარედ გამომდინარე კლდიდამ. და სავსე არს კალმახითა. ხოლო შაო|რის მთის[121] თხემსა ზედა დგას ციხე დიდროვანის 105 ლოდითა ნაშენი. არს კვალად მთა თავკვეთილი, ჴევღრმა, და საშუალ ფანაერისა და ტბისყურისა ბარძიმი /და ჭიქიანი/[122], კვალად არს შავნაბადი შაორსა და თავკვეთილს შუა. არა არს მთათა ამათ ზედა ტყე ანუ ხე, განა** ჴევთა მცირე არყნალნი, ნადირნი მრავალნი, ირემი და არჩვი ჯოგად, მშველი, დათჳ. აქა არს კლდე ფიქალ-ფიქლად დაწყობილი, ვითარცა კაცთა ხელით დაწყობილი და ნაშენი მთის ძირიდამ თხემამდე. არამედ რა შედგების კაცი, ნადირი თუ პირუტყვი, ირთის და იძვრის დაბლიდამ მაღლამდე, და არა დაირღვევის. ესრეთი კლდე შანბიანსა*** ზედაცა არს მრავალი, არამედ აქა უმეტეს უცხო; უწოდებენ კარკნალსა[123].

ტბა ტბისყურისა[124] არს წყალი ანკარა, სასმელად ტკბილი და შემრგო. გარემო ნაძოვანი, ტყიანი. ბალახ-ყვავილი-

---

* დაბანის-ჴევი.

** გარნა.

*** ლელანში: „შანბანსა“.

ანი. წყაროიანი და კალმახითა სავსე. დიდ-წვრილითა და ფრიად გემრიელითა. ხოლო არიან კაცნი თრიალელნი მოსილნი, ვითარცა დბანისჴეველნი, სიმჴნე-ჰაეროვნებითაცა ეგრეთნი. განა* ესენი უმჯობესნი ყოვლითა.

აღწერა ქციის ჴრამისა

ხოლო მოდამნახეს ციხის ქვევით არს ჴრამი ქციისა[125], ვიდრე ნახიდურამდე, მაღალი და განიერი, ვითარცა დაესწერეთ ეძან-ახალქალაქს შუათი. არამედ ეს უმეტეს მაღალი და განიერი, ტყიანი, ნადირიანი, ფრინველიანი, ვენახოვანი, ხილიანი. ახალქალაქიდამ დის ქცია სამჴრით დაბის ქციისამდე. მოდამნახეს ქვევით არს ვარდისუბანის** მონასტერი უგუნბათო. შვენიერს ადგილს. მას ქვევით ერთვის ქციას ჴევი კლდეისისა, გამოსდის ბენდერის გამოკიდებულს მთასა. ჴორჴებს[126] არს ქვაბი კლდისა. რომელი არს ზამთარ თბილი, ვითარცა აბანო, და ზაფხულს დის წყარონი კლდიდამ; მას წყაროს ჰყინავს, და არს ყინული ფრიად წმიდა და მრავალი. ზიდვენ ზაფხულს მეფისათვს. ამის დასავლით არს ციხე, და არა არს აქაცა ვენახნი და ხილნი. ამ ჴევს ქვევით ქციაზედ არს ლიპარიტისუბანს[127] მონასტერი მცირე, კეთილშენი. და აწ არიან ეს ორნი მონასტერნი ცარიელნი. აქ ერთვის ქციას ჴევი ძველგომარეთისა, გამოსდის კვირიკეთის მთას. ესეც არს უვენახო, უხილო. მის ქვემორ არს დაბა ქცია[128] მდინარის ქციის პირს. აქა არს მონასტერი კეთილი და აწ ხუცის სამარად. ქვემორ მისა არს მონასტერი ფიტარეთს[129], შვენიერნაშენი, გუნბათიანი, შვენიერს ადგილს. ზის წინამძღვარი. მის ქვევით ერთვის ქციას ფოცხვერიანისჴევი[130], ვენახიანი, ხილიანი. ქვევით მისა, ქციის კიდესა ზედა, ციხე ხულუტისა[131]. მის ქვევით. სამჴრით, არს ციხე ბერიქალისა. კლდესა ზედა, კლდითავე მოზღუდვილი, შეუვალსა და მაგარს ადგილს. ქვემორ მისა ერთვის ქციას /ჴევი ტორნე/[132], ირაგის ჴეობის მდინარე. გამოსდის ბენდერის მთას. მოდის სამჴრით. არამედ ჴეობა ესე არს ვენახოვანი. ხილიანი. ტყიანი, ნადირ-ფრინველიანი. მოსავლიანი, გარნა ბენდერის მთის კერძოდ, ვითარცა სხუა მთის ალაგნი. ამ ჴევზედ სამდერეთს ზეით, გვიანას, არს მონასტერი მცირე. აწ ხუცის სამარს. მას ქვემორ მონასტერი ქციის ჴრამსა შინა პირდებულს[133], კლდე გამოკვეთილი, დიდითა შენობითა და ყოვლით შემკული. ზის არქიმანდრიტი. იტყვიან თამარ მეფის ქმნულსა.

მის ქვემორ არს ციხე ორბეთი, აწ წოდებული სამშვილდე[134]. აღაშენა ქართლოს, და პირველმან მეფემან ფარნაოზ ჰყო საერისთოთ[135] და ქალაქი. არამედ იყო ჰგ მეფის სეი-

---

* გარნა.

** ვარდის-უბანს.

მონისამდე ქალაქი. არს ფრიად მაგარი. სამჴრით უდის ქცია. ჩდილოთ უდის ჭივჭივა; საშორისსა ზედა არს გარდაკლებული ჴრამით ჴრამამდე ზღუდე განიერი და მაღალი. კვალად გარე მის ქალაქისა ზღუდე გარდავლებული. ეგრეთვე დიდროვანითა ლოდითა. ციხესა შინა აღაშენა ეკლესია გუმბათიან{ი} ლბ მეფემან მირდატ, შემუსრა ლანგთემურ, მერმე ოსმალთა. ზაფხულ არს ცხელი, ზამთარ ცივი. არამედ მშვენი და კეთილჰაოვანი. ამის ძირს. ქციის პირს. არს მონასტერი მცირე. აწ ხუცის სამარ. ხოლო ქციის ჴრამი აქა არს სიმაღლით ს მჴარი და მეტიცა. და განით ფი მჴარი. და ჭივჭივის ჴრამი[136] ს მჴარი. აქ ჭივჭივასა ზედა არს კლდე სვეტაკი[137] და მისგან სცვივა ბროლი გათლილი კუთხედ. მწვეტი ორკერძ{ო}ვე. ჭივჭივისწყალი სდის ბენდერის მთასა და მოდის სამჴრით; არს ვენახოვანი, ხილიანი, არამედ მთისაკენ არა. ამის სადინს არს ნადარბაზევი[138]. თამარ მეფის ნასასახლევი. აქა არს ტბა მცირე[139], ლელეფურისაგან კიდე მას შინა არარაი.

ხოლო სამშვილდეს ქვეით ქციის ჴრამი ნახიდურამდე უმეტეს განიერი. აქ ნაყოფიერებს სხვათა ადგილთაგან მეტად ბროწეული, ლეღვი, ზეთისხილი და სხვანი ხილნი. გალანამცა ზამთარ არს თბილი და ზაფხულ ფრიად ცხელი. რამეთუ ზამთარს შუშა არა უხმს. ნახიდურს ქვეით დის ქცია გაშლით მინდორსა ზედა, განა[*] კმოდე ფლატიანსა იმიერ და ამიერ.

არამედ ჴრამთა ამათ შინა არიან მრავალნი ქვაბნი, კლდეთა მაღალთა შინა გამოკვეთილნი სახიზრად; ესეთნი აწ კაცთაგან მიუსვლელნი არიან, და მას შინა ფუტკარნი მრავალნი, რომლისაგან გადმოედინებიან თაფლნი. კვალად არს ქციასა შინა თევზთა სიმრავლე ფრიად და გემოიანნი, პირუტყვნი უამრავნი, ამიერ და იმიერ დაბნებიანი. ხოლო ჴრამის კიდესა ზედა რომელნი დაბნები არიან, არა არს მუნ ვენახნი {და} ხილნი. ჩდილოთ კერძ ჴრამსა შინა აკეთებენ მცირედ აბრეშუმს. არს აქა ფრინველთა სიმრავლე შინაურგარეულთა და უფროს კაკაბთა. ნახიდურს ქვეით, ქცი{ი}ს ამიერ და იმიერ კიდესა, სახლობენ ელნი მოჰმადიანნი, მოხარკენი და მოლაშქრენი მეფისა. არამედ ბაიდრის სულთანი, რომელი დასხნა შასეფიმ ავლავარს, ქვეით ნაჯბადინამდე და ეკლესია-ნაზარა სოფლამდე. ხოლო ადგილსა ამას პირველ ეწოდებოდა წყალთაშუა და აწ ბაიდარი[140]. არამედ არს ფრიად ნაყოფიერი ადგილი ესე. ნაყოფიერებს ყოველნი მარცვალნი თესლთა, ხილნი წალკოტთა და მტილთა უცხოური და მრავალი. აბრეშუმი, ბამბა მრავალ. პირუტყვნი

---

[*] გარნა.

აქლემიდან[141] თხამდე ყოველნი, ფრინველნი გარეულ-შინაურნი ყოველნი აურაცხელნი. და ფრინველით სანადირო წარჩინებული ყოველთაგან.

ხოლო ნაჯბადის ქვეით არს ხუნანი[142]; აღმოსავლით და ჩრდილოთ უდის მტკვარი. სამხრით ქცია; აღაშენა ციხე-ქალაქი ქართლოს. პირველ ეწოდა მტკვრის ციხე, შემდგომად ხუნანი, და აწ მოჰმადიანნი უწოდებენ //ქალის-ციხე// — ყისყალას*, დაბის გამო. ა მეფემან ფარნაოზ ყო საერისთოდ. ვინათგან იყო ქალაქი და საპირის ადგილი. შემდგომად ყრუსა მოოჴრდა ქალაქი. და ციხე იყო აქამომდე. აქა არს ნახიდვარი. ამის გამო აღაშენა პთ მეფემან როსტომ ხიდი ქვიტკირისა, დიდშვენიერი, რომლისა სვეტსა შინა არს სახლი შვენიერი, მჭვრეტი ამიერ და იმიერ მდინარისა. სივრცე ხიდისა ი მჯარი. აქათ და იქით ქციის კიდესა ზედა ფუნდუკნი დიდნი და კეთილნი, თლილის ქვისანი. ხუნანის ველსა[143] შინა არა იყო ნაყოფი უწყლობით. ქდ მეფემან ვახტანგ გაიტანა რუ[144] ქციისა ნახიდურის ბოლოდამ და აღაშენა დაბნები. და ნაყოფიერებს ფრიად. 106

აღწერა ალგეთის მდინარისა

ხუნანის ჩრდილოთ კერძოთ ერთვის მტკვარს დასავლეთიდამ მდინარე ალგეთი[145]; გამოსდის კლდეკარს და მოდის აღმოსავლეთად. ხოლო იმზღვრების მდინარე ესე: აღმოსავლით მტკვრით, სამხრით ლომთაგორით და აწ მარნეულისგორის აღმოსავლეთად გულთაფამდე, დასავლით ამისივ გორის წასრული, წრაუთის თავამდე, მიწევნილი სამებამდე. და მისრული ბენდერის მთამდე, და ბენდერი-ლაკვის გორამდე; ჩრდილოთ გორა კუმისისა, მტკვრიდამ მიყოლით კოჯრამდე, განვლის სამადლოს და სხალნარს, მიადგების დიდგორს, და მერმე მთა დიდგორი და ერიქალისა[146], და მიადგების კლდეკარს; დასავლით კლდეკრის გამოკიდებული ლაკვის გორა, მიდგმით ბენდერისა. ხოლო კლდეკარი[147] აღაშენა ლიპარიტ ბაღუაშმან, და არს მაღალს მთის კლდესა ზედა ციხე. ამ მთას გამოსდის ალგეთი. არა არს უწყებული, რით ეწოდა ალგეთი. ამას ქვეით ერთვის ალგეთს საყავრისჴევი[148] ჩრდილოდამ. ამას ქვეით ერთვის ალგეთს მეავისჴევი[149]. გამოსდიან კლდეკარს. ამათ უწოდებენ კლდეკრის სოფლებად. ამას ქვეით არს მანგლისი, ეკლესია გუნბათიანი. აღაშენა დიდმან კოსტანტინემ მირიან მეფის ჟამს და დაასვენა აქა ფერჴის ფიცარი უფლისა; აროდეს შემუსვრილ არს. სამჴრით გუნბათსა შინა არს** მაჰმად, ლომსა ზედა მჯდომარე დახატული. იტყვიან, მის გამო მაჰმადიანთა

---

* ყიზყალას.

** წინა გამოცემაში ეს სიტყვა გამორჩენილია.

არა შემუსრავი. ზის დასმული გორგასლისაგან ეპისკოპოზი, მწყემსი ალგეთის ჴეობისა და ქციის ზემოთისა თრიალეთამდე. მანგლისს ქუეით ერთვის ალგეთს ჴევი კველთეთისა[150], გამომდინარე დიდგორის მთისა. ამას ქუეით ერთვის ალგეთს ლაკუისწყალი[151]. დის ლაკუას[152] ერთს წყაროს ერთი საწისქვილო. არამედ ადგილი ლაკუისა არს შუენიერი, ვითარცა თრიალეთი. ამას ქუეით ერთვის ალგეთს დუალთა-ღოლოვნისჴევი[153]. გარნა პატიეანს ზეით კლდეკარ-დიდგორამდე არა არს ვენახნი და ხილნი, არამედ ვითარცა მთის ადგილნი ალუსწერეთ მოსავლითა. განა* არს ტყიანი, ნადირიანი. პატიეანს ქუეით ვაკეს არს ლოდი. რომელი, გუალვასა თუ გარდააბრუნო და შენამო, მოვალს წვიმა. ხოლო წვიმიანობასა შინა თუ შეაყარო ნაცარი და გარდააბრუნო, იქმნების უწვიმრობა.

ამას ქუეით დის ალგეთი ჩრდილოდამ სამჴრით და ერთვის საშუალს გუდარეხისჴევი[154]. ხოლო გუდარეხს[155] არს მონასტერი უგუნბათო, ბენდერის მთის ძირს, ფრიად შვენიერი, შუენიერს ადგილს, მრავალნი შენობანი; ზის წინამძღვარი. მას ზეით, ბენდერის მთისაკენ, არს ციხე და ადგილი კლდოვანი, კლდითავე მაგარნი. ქუეით ამისა ალგეთს ერთვის ამლივისწყალი თაკვიდამ, დის სამხრით** ხოლო ბუქლულეთს ქუეით იწყებს ალგეთი აღმოსავლეთით დინებასა, და ტბისის უკან. ჩრდილოთ კერძ, არს ციხე ბირთვისი[156], კლდესა ზედა შენი და გარემო კლდითა მოზღუდვილი, უჯნახევარ ოდენ და შეუალი, და დიან მის შორის წყარონი. ჩხიკუთის სამჴრით არს ეკლესია სამება[157], წმიდის გიორგისა. მაღალს გორასა ზედა ნაშენი, არამედ საკვირველი, რამეთუ დიდროვანითა ლოდითა შენი, რომელი კაცთაგან არა შესაძლებელი არს მისი ქმნა, რომელი ავლია ზღუდედ. ძირს მისსა არს წყარო დიდი და ფრიად კარგი. ძუელად იწოდა [[გმირთ-ნაკვეთი]]. /და იყო ციხე/. ხოლო აწ ეკლესია. ამას ქუეით ერთვის ალგეთს ჴევი სადირაშენისა[158]. გამოსდის სხალნარს და მოდის სამჴრით. [[ამას ერთვის ჴევი ზრპითოშეთისა[159]. მასზედ არს მონასტერი საძელისი. მას ზეით, ზრპითის ჴევზედ, მაღალს კლდეზედ, არს ეკლესია]] /ორბეთი, ხოლო/ სად ერთვის ალგეთს ჴევი ესე, მუნ არს ციხე ფარცხისი — ფარი ბირთვისის ციხისა. აწ შემუსვრილი.

ამის გამომართებით, სამჴრით, არს წინწყარო, ქალაქი მცირე, მოსავლიანი, კეთილ-პაოვანი, მაღალს ადგილზედ მდგომი. აქა არს წყარო: უკეთუ მით მოხარშო მარცვალნი რომელნიმე და ლუეთა შენთა ხარში, ვერაოდეს მოხარ-

---

* გარნა.

** სამჴრით.

შაეს, გარნა სასმელად და სახმარად კეთილი*. ფარცხის ქვეით ერთვის ალგეთს ჴევი ბოგვისა. გამოსდის სხალნარს, მოდის სამჴრით. მას ქვეით ერთვის ალგეთს ჴევი ასურეთისა. გამოსდის სამადლოს. სამადლო იწოდების მუნ ფუნდუკისათჳს. მოდის ჴევი ესე სამჴრით. კიკეთს ქვეით, ჴევსა შინა, არს მონასტერი კაბენისა[160]. ყოფილ არს დედათა, გუნბათიანი, შუენიერი, აწ არს ხუცის სამარ. აღაშენა მეფემან თამარ. სამჴრით. მას ზემორ, არს /ციხე აზეულასი[161] და აწ/ კოჟრისა. თხემსა ზედა კლდისასა. ამ ციხის სამჴრით არს სასახლე მეფისა კოჟორი. აღაშენა პთ მეფემან როსტომ, უმეტეს ჟა მეფემან გიორგიმ და ჟდ მეფემან ვახტანგ. დგებოდნენ ზაფხულს მეფენი. დოუბნისჴევი[162] გამოსდის კოჟრის ციხის გორას და ერთვის ასურეთისჴევს. ასურეთისჴევს ქვეით, სამჴრით, არს დურნუკი. აქა არს კარკნალი და ღარანნი დიდ-დიდნი. ეგრეთვე მარნეულს, სადაცა არს აფთარნი მრავალნი. მარნეულს არს ნაციხვარი, მის გამო იწოდა ძუელადვე ღომთაგორა[163]. მის სამხრით** არს დაბა ეკლესია, და სიცხისათჳს, ჯოჯოხეთად წოდებული. აქ ითხრების მიწა, და ხდიან გვარჯილასა, ეგრეთვე იალღუჯის მთასა შინაცა მიწისაგან ხდიან გვარჯილასა. ხოლო ალგეთის მსახლობლის ბარათიანთაგან ეწოდების ამ ადგილთა საბარათიანო[164] აწინდელს ჟამსა, თჳნიერ დბანისჴევისა*** თრიალეთისა, ტაშირისა და სომხითისა, ჟამთა ამათ.

ხოლო ალგეთის შესართავის ჩდილოთ, იალღუჯამდე, მტკვრის პირს, სახლობენ ელნი მოჰმადიანნი, მთესველნი ბრინჯისა, ბამბისა და ყოვლისა თესლ-მარცვლისა. აკეთებენ აბრეშუმსა[165]. მოხარკენი არიან მეფისა, სავსენი ყოვლითა პირუტყვითა. საყალტუთნის დასავლით არს იალღუჯის მთა უტყეო და უწყლო, და სადაცა სდის წყარო მცირე, იგიცა მწარე და მლაშე. არამედ არს ფრიად ბალახოვანი, ზამთარ-ზაფხულს მოუკლებელი, რომელსა ზედა იზრდებიან არვენი, 107 მროწლენი, ჯოგნი და აქლემნი. იპოვების მგზავსი იამანის ქვისა[166], დიდი და მცირე, მრავალფერნი. აქა არს ბალახი კალია, რომლის ძირს დასწვენ, და ნაცრითა მისითა ადუღე-

---

*ამის შემდეგ დედანში ტექსტის ხელით წაშლილია ფრჩხილებში მოთავსებული წინადადება: „ხოლო აქა ვინათგან არს ყოფილი შენობანი ფრიადნი, დიდ-დიდნი, და იწერეის დასავლით კერძოთ ხუნანისა გაჩნარი, და სანადიროცა ფრიად მრავალ არს, ვგონებ ყოფად ამას, ვინათგან საზღვარიცა არს გარდაბანისა, ანუ ნახიდურს, რამეთუ ნახიდური ეწოდების სიდემყოფელობისათჳს, გარნა ყოფილ არს მუნცა შენობა და საქალაქო კეთილი“.

** სამჴრით.

*** დბანის-ჴევისა.

ბენ საპონს უმჯობესსა, კვალად ხმარობენ სხვაფერცა. ამის მთის დასავლით, /სოშაგერმას იქით/. //არს იბის ციხე, ველსა ზედა, და აწ შემუსვრილი, და ამის// ჩრდილოთ კერძ არს ტბა კუმისისა, მლაშე, შესდის წყარო კოდისა, კვალად ერთვის კოჟრისა[167] და გულელისისჴევის წყალი. ამ ტბის დასავლით არს კუმისი, დაბა დიდი, ვენახოვანი, ლეღვიანი, ბროწეულიანი, ხილიანი. ამის მინდორსა შინა მოვალს ყოველნი თესლნი ბრინჯ-ბანბას გარდა; კანაფი უმეშაკოთ სცენდების. კუმისის თავს, კლდესა შინა, არს გამოკვეთილნი ქვაბნი. კუმისის აღმოსავლით, მტკვრისაკენ, არს თელეთები და ეკლესია წმიდის გიორგისა სასწაულთმოქმედი. მტკვრის კიდეზედ არს ჭალა ყურყუთა[168], და აწ ხონდალული წოდებული, ნაყოფიერი ყოვლითავე. ამ ჭალიდამ იალღუჯამდე, და კუმისის ტბამდე, და მტკვრამდე არს მინდორი დიდი, აწ წოდებული სარეანისა[169], მეფეთ[*] აქლემთა დგომისათჳს, უწყლოობით[**] უნაყოფო.

აღწერა სკვირეთის მდინარისა

ხოლო კოჟრის ჩრდილოთ კერძ არს სკვირეთის მდინარე[170], აწ წოდებული ვერე; გამოსდის დიდგორის მთას, მოდის აღმოსავლით, ერთვის მტკვარს დასავლიდამ, ტფილისის ჩრდილოთ კერძ. შესართავსა ზედა არს ლურჯმონასტერი. და ჴეობა ესე დიდგორის მთის კერძო არს უვენახო, უხილო ვანათამდე, მას ქვეით ვენახოვანი, ხილიანი, ტყიანი, ნადირიანი, ფრინველიანი. ვანათის ქვეით არს ციხე წვერისა. სამჴრით აქავე არს ჴევი გელიყარისა[171]. მას ქვეით, წყლულეთის, ერთვის ვერეს ჴევი, და ამ ჴევის თავს, მთაში, ჩრდილოთკენ, არს ციხე ლასტისა. ამას ქვეით, სამჴრით, /ყოვლადწმიდის/ მონასტერი ბეთანია, გუმბათიანი, მაგარს ადგილს, თამარ მეფის აღშენებული, აწ ხუცის სამარ. მუნ ერთვის ჴევი ვერეს სამადლოდამ. ამასზედ არს რკინისციხე[172], უქვიტკირო, კლდისაგან მოზღუდვილი[***] ამას ქვეით არს ახალდაბა და მის დასავლით უძო, ეკლესია წმიდის გიორგისა, მაღალს გორასა ზედა, მჭვრეტი კოჟრისა და ტფილისისა. არამედ არს ჴეობა ესე ფრიად მაგარი და მოსავლით და პირუტყვით შემკული. გარნა იცის სეტყვა[173] ხშირად, რამეთუ მოადგს დიდგორი. ხოლო მთა დიდგორისა არს მაღალი და თხემთა უტყ{ე}ო, კალთათა ტყიანი, ბალახ-ყვავილითა და წყაროებითა შემკული, ნადირნი მრავალნი. აქა არს წყარო — ციებით გაყვითლებულმან უკეთუ სვას და დაიბანოს პირი, წამს

---

[*] მეფეთა.

[**] უწყლობით.

[***] ამის შემდეგ ტექსტისავე ხელით წაშლილია ფრჩხილებში მოთავსებული წინადადება: „ეგონებ იბის ციხედ ამას“.

განჰკურნებს. იყო ძუელად მეფეთა სადგური ზაფხულს. აწ არს მეფეთა ცხენთა საბძური ზაფხულს. არს მრავალთა ადგილთა მჭვრეტელი. ამისი ჩრდილოთ კერძი მეოითხე საღროშოისი, ხოლო სამხრით კერძი ამის საღროშოისი. ამის პირისპირ, სამხრით, მთა ბენდერისა, ეგრეთვე ტყიანი და ბალახ-ყვავილოვან-წყაროიანი, და თხემთა უტყ{ე}ო, და თრიალეთისაკენ სრულიად უტყ{ე}ო. ხოლო ესენი, რომელნიცა აღვსწერეთ, ძუელად არს ორ საერისთოდ.

გარდაბანისა და გაჩიანის საერისთონი

რამეთუ გარდაბანი[174] არს საზღვრითი: აღმოსავლეთით მტკვარი და, ხუნანის გამართებით, ბერდუჯის აღმოსავლეთის მცირე მთა; სამხრით შულავერისა, ჭაპალისა და ბოლნისის გორაები; ჩრდილოთ მტკვრიდამ ტფილისის გორაები ტავსაკვეთამდე; დასავლით ჴევი ასურეთისა, წინწყაროს გამომართებით ნახიდურამდე და ბოლნისის მცირეს მთამდე. იწოდების ქართლოსის ძის გარდაბანის გამო, რომელსა მისცა /ხუნანი და ესენი/* დედამან თჳსმან, და მან უწოდა სახელი თჳსი. ამასვე უწოდეს შემდგომად აგარანი. არამედ შემდგომად განდგომისა გრიგოლი მთავრისა, ამას დაედვა გრდანი, ლილო და მარტყოფი, და იწოდებოდა ესენი გარდაბანად. და არს საერისთო ხუნანისა: წინთქმული გარდაბანი, სომხითი, ბერდუჯის მდინარე, ტაშირი და ბამბაკი. ხოლო მეორე საერისთო — სამშვილდისა — არს საბარათიანო, ღბანისჴევი, სკვირეთი, თრიალეთი, რომელი იყო წილი გაჩიოსი, გარდაბანს ზეითი. ამან აღაშენა ქალაქი გაჩიანი. იყო ესე ძე ქართლოსისა, რომელსა მისცა დედამან /ობის-ციხე. და/ სკვირეთიდამ, ვიდრე ფანავერამდე /და აბოცის თავამდე/. და განყოფილებამდე იყო ესრეთ საერისთოთ, არამედ უწოდებდენ დღესმდე სომხითსაცა, თჳნიერ თრიალეთისა, ორთა საერისთოთა. რამეთუ, ვინათგან ხოსროვიანთა შემდგომად დაიპყრეს ბაგრატ მეფისამდე სომხითის მეფეთა ადგილნი ესენი, ვითარცა მოგეითხრობს ცხორება, ამისთჳს უწო{დ}ეს სომხითი. ხოლო აწინდელს ჟამსა იყო ერთ სასპასპეტოდ, რომელნი შეიცვალებოდნენ სპასპეტნი.

ბოსტანქალაქი და გარეჯის მთის აღწერა

კვალად იალღუჯის აღმოსავლით და მტკვრის გაღმართ არს ბოსტანქალაქი, რომელი არს რუსთავი, ხოლო აწ ნაგები. ესე აღაშენა ცოლმან ქართლოსისამან ციხე ქალაქი. შემდგომად კჱ მეფემან თრდატ აღაშენა ეკლესია კეთილი. გორგასალ დასვა აქა ეპისკოპოზი, და იყო ჲდ მეფის დავითისამდე, არამედ გამოსვლასა ბერქა ყეენისასა მოოჴრდა[175], და აწცა არს ოჴერ. ამ ჟამთა ქმნა სასახლე ქბ მეფემან ერეკლემ, მერმე შემუსრა ქდ მეფემან ვახტანგ. ხოლო

---

* რომელსა მისცა დედამან თჳსმან ხუნანი და ესენი.

საზღვარი ამისი არს: დასავლით მტკვარი. ჩრდილოთ ჴევი ლოჭინისა. აღმოსავლით მთა გარეჯისა[176], ვიდრე მწარეწყლამდე. სამჴრით მწარეწყალი.

ნაცების აღმოსავლით და სამჴრით არს ველი დიდი ყარაიისა. სავსე ქურციკითა. რომელსა მოინადირებდენ მეფენი წლითი წლად. ხოლო მტკვრის კიდეთა ჭალა დიდი. სავსე ეშვითა. მელითა, დათვითა, მგლითა და წვრილის ნადირითა. ირემი იმყოფის ჟამად. და ჴოჴობნი მრავალნი. გარეჯის მთას არს მონასტერნი[177]. კლდესა შინა გამოკვეთილნი. სენაკნი. ტრაპეზნი. პალატნი; ზამთარ თბილი. ზაფხულს გრილი. ნათლისმცემელს ზის არქიმანდრიტი. ჩიჩხიტურს ზის წინამძღვარი. დავითგარეჯას არქიმანდრიტი. ბერთუბანს წინამძღვარი. არამედ ყოფილან მონასტერნი მრავალნი. ვიდრე მწარეწყლამდე. და მოწყსითა სავსენი. ხოლო აწ არს ხუთი მოწყსითა მყოფი. არა არს აქა წყალი. არამედ იპყრობენ წვიმისაგან კლდის ჭათა[178] შინა და სმენ მას. არა არს ტყე. არამედ ძეძვი. მით ხარშვენ და აცხობენ. არს ეკლესიან{ი}. შემკულნი და დახატულნი ძველითგანვე. მონასტერად ქმნული არს იგ მამათაგანისა დავითისაგან. მერმე შემკული მომატებული მეფეთაგან. ნაცებიდამ გაიღო ქდ მეფემან ვახტანგ რუ მტკვრისაგან[179]. და მიერ ჟამითგან ნაყოფიერებს ჭალებს | 108 ქვეითი მინდორნი. ყარაის ჭალას[180] ქვეით. მტკვრის კიდეს. ესახლნენ ელნი დემურჩიასალნი. სავსენი პირუტყვითა. რამეთუ ზამთარ სითბოთი და ტყითა და ბალახითა მოუკლებელი არს ადგილი ესე. და პირუტყვნი მათი დგებოდნენ გარეჯის მთასა ზედა. რამეთუ რაოდენნი წყარონი სდიან მთასა მას. მლაშენი არიან და პირუტყვთა შემრგონი. არს მთასა ამას ზედა თუთუბო. კაპარი მრავალი. ხოლო რაოდენნი ელნი დავსწერენით ქართლს. ზამთარ არიან ამ ადგილებთა შინა და ზაფხულს ადგენან ყაიყულისა და პალაკაციოს მთასა ზედა. არამედ აპყარა შანადირ და დასხნა ხორასანს. და არს ესეცა სასპასპეტო საბარათიანოსი. ნაცების ჩრდილოთ. მტკვრის კიდეზედ. არს ჭალა ყარაღაჯისა. ეგრეთვე ნადირიანი და ჴოჴობფრინველითა სავსე. იდგა ჯოგი მეფეთა. და უწოდებდენ საჯოგის ჭალას[181].

არამედ ესე ადგილნი ნაცებს ზეით არს ძველად კუხეთისა. რომელსა მისცა დედამან კუხოსს. ხოლო ნაცებს ქვეითი ჰერეთისა არს. და აწ უწოდებენ ყარაიას. და გარეჯის მთას მასვე ძველს სახელს. ხოლო მსახლობელნი არიან სომხით-საბარათიანოს მთავარნი და აზნაურნი. ვითარცა ნიშანი გვიდვია რუკასა ამას. არამედ არიან მჴედრნი, მორჩილნი. ბრძოლასა შემმართებელნი. შვენიერ-პაეროვანნი. ეგრეთვე ქალნიცა უმეტეს ნაზნი. ხოლო თათარნი. რომელ-

ნიც დაესწერენით. არიან სენნი, ქცევით, ვითარცა შვენის პირუტყვთა მწყემსთა. გარნა მჴნენი, შემმართებულნი, აჴოვანნი, ჰაეროვანნი; უწოდებენ თარაქამად. ვინათგან ბრიყვნი, უცოდინარნი არიან, ქალნიცა ეგრეთვე. არამედ მოშავგვრემონი, მხნენი და მბრძოლნი უფროს კაცთა, ცხენითა თუ ქვეითათ.

აღწერა მეოთხე სასპასპეტოსი

ხოლო არს მეოთხე სასპასპეტო ტფილისიდამ, ვიდრე ტაშისკარამდე, მეფისა თანა მყოფნი, და იმძღვრების: აღმოსავლით ლილოს საზღვრით, რომელი განვლის ხაზი შარობის ლილოსასა აღმოსავლით-სამჴრითკენ ლოჭინამდე, რომელსა ეწოდების იმანისჴევი[182], მუნით განვლის სამგორსა და ჩალიყარს შუა, და მრავალწ{ყ}აროსა, და სათისჭალას შუა, და მიადგების ბერთუბნის ლელესა. ხოლო ლილოდამ ჩდილოთკენ მიადგების ჴევძმარს, და ჴევძმარი მტკვარს მიადგების, და მტკვრის კიდე მცხეთამდე. სამჴრით ლოჭინისჴევი და გამოღმართ კრწანისის გორა, შინდისისა და წავკისის გორა, და წყნეთის გორა, და სკვირეთის ჩდილოთ კერძი სხალდიდამდე, და სხალდიდამ დიდგორის მთამდე მიყოლით: ერიქალის მთა, კლდეკარი, ერჯევანი, თორის მთა და გაყოლით ნარიანის ხაზი ტბისყურამდე; ჩდილოთ მტკვარი და დასავლით, დამჩხერალოდამ სადგერსა და თორს შუა, ბაკურიანის მთამდე[183] და ტბისყურამდე. ხოლო ტფილისის სამჴრით ერთვის მტკვარს კრწანისისჴევი დასავლეთიდამ, კუმისისა და შინდისის მცირე მთებიდამ გამომდინარენ{ი}.

აღწერა ტფილისისა

/

ხოლო ტფილისი[184] არს სამი ქალაქი — ტფილისი, კალა და ისნი. ჰყოფს მტკვარი კალას, ტფილისს და ისნს: კალას უდის ჩდილოთ-აღმოსავლით, ტფილისს — ჩდილოთ და ისნს დასავლით და სამჴრით. ხოლო კალასა და ტფილისს ჰყოფს სალალაკისწყალი[185], /რომელი გამოსდის წავკისისა და კოჯრის მთებსა/. სამჴრით და აღმოსავლით უდის კალას და დასავლით ტფილისს. არამედ პირველი იყო დაბა. კზ მეფის ვარზაბაკურის ჟამსა შინა აღაშენა შურის ციხე მცხეთისათჳს ერისთავმან სპარსთამან. შემდგომად /გორგასალ დადვა საფუძველი/. დაჩიმ, ძემ მეფემან, ქმნა ქალაქად და ტახტად მეფეთა, და მურვან ყრუს /შემდგომად შემუსრეს ხაზართა, და აღაშენა ამირ აგარიანმა/. შემდგომად შემცირებასა მცხეთისასა და აოჴრობის{ა} მისისასა, უმეტეს ტახტი იქმნა ბაგრატოვანთა. ტფილისს დის ცხელი წყალი კლდიდამ[186]. არს მით აბანონი ექვსნი და დიდშენნი, აგაზიანნი. მარადის მომდინარე ცხელი წყალი. აქ, თაბორს, ყოფილა ციხე, არამედ აწ შემუსვრილი არს. აქ დასხნა შასეფიმ სეიდნი, მის გამო სპარსნი უწოდებენ //სეიდისშენი//, სეიდაბადს[187] ყოფილან ეკლესიანი დიდშენნი, არამედ აწ შემუსვრილნი

არიან. კალას არს ციხე, ნაშენი მაღალს კლდესა ზედა და ჩამოზღუდვილი სალალაკისჴევი მტკვრამდე. სალალაკისჴევის კარს უწოდებენ განჯისკარად[188] მაღალს ციხეში არს ეკლესია გუნბათიანი წმიდის ნიკოლაოზისა და სასახლე მეფისა, პალატნი დიდ-დიდნი და შვენიერნი. არამედ დაუტევა პთ მეფემან როსტომ, ჩამოზღუდა კალა ციხიდამ ხიდისყურამდე და მისცა სპარსთა; მიერითგან უპყრავთ მათ. და თავისა თჳსისათჳს სამეფოდ აღაშენა სიონსა და ანჩისხატსა შუა სასახლე. მტკვრის გარდაკიდებით, ყიზილბაშთა რიგისა. ქდ მეფემან ვახტანგ აღაშენა სახლი შვენიერი, სრულიად სარკითა და მოოქროვილი, ლილმხატვრობითა. ლაჟვარდითა და მარმარილოს კედლითა. შემუსრეს ოსმალთა.

არს კალას ეკლესია გუნბათიანი, დიდი, დიდად შვენიერი, სიონი[189] წოდებული, ღმრთისმშობლისა, რომლისა საფუძველი დასდვა დთ მეფემან გურამ. შემდგომად შეასრულა ქერიკემან ვინმე და მოქალაქეთა, და მა მთავარმან ადარნასემ, ხოლო აწ, დარღვეულსა ზედა მიხლილი, განაახლა და აღაშენა ძირიდამ გუნბათითურთ ქდ მეფემან ვახტანგ. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ტფილისის სამჴრით ქცევისამდე. არს კვალად ეკლესია ჯვარის[190], გუნბათიანი, შვენიერი. განაახლა აწ იმერლისშვილმან. არს კვალად ანჩისხატი[191], დიდი, უგუნბათო, კათალიკოზისა; შემუსვრილი აღაშენა კათალიკოზმან დომენტიმ, ძემან ქაიხოსროსამან, არს ნათლისმცემლის. გუნბათ{ი} მოარღვია პთ მეფემან როსტომ, სხვით განაახლა ქდ მეფემან ვახტანგ. არს კვალად დაბალს ციხესა შინა ეკლესია გუნბათიანი და აწ ცარიელი, და სხვანი გუნბათიანი არიან. გ უპყრავთ სომეხთა. უგუნბათო აღაშენა კარის საყდრად პთ დედოფალმან მარიამ. კვალად აღაშენა ქდ მეფემან ვახტანგ ორი უგუნბათო. ქ დედოფალმან როდამ აღაშენა ერთი უგუნბათო; კვალად უგუნბათო ოთხი აწ უპყრავთ სომეხთა. ხოლო ხიდისყურს აღაშენა მეჩიტი შაისმაილ. პთ მეფემან როსტომ აღაშენა ციხეს გარეთ ერთი, სასახლესა შინა თჳსსა ერთი და განჯისკართან ერთი. ურუმთ, ქრისტესსა ჩლკზ, აღაშენეს სამი, არამედ შემუსრნა შანადირ.

ისნს[192] არს, კიდესა მტკვრისასა, კლდესა ზედა, ციხესა შინა ეკლესია მეტეხი*[193], ღმრთისმშობლისა, გუნბათიანი, დიდ-შვენიერნაშენი, საარქიმანდრიტო; შემუსვრილი აღაშენა დვ მეფემან დიმიტრიმ. ქბ მეფემან ერეკლემ მისცა სპარსთა, და არს უქმად. აქ განვალს ხიდი კალიდამ ისნს.

---

*ამ სიტყვის გასწვრივ მარცხენა აშიაზე ტექსტის ხელით მიწერილია: ,,იტყვიან ამის აღშენებას გორგასალისასა".

ციხიდამ ციხესა. ხოლო ხიდისყურის სამჴრით არს საფლავი წმიდის აბიბოსი.[194] რომელი იწამა სპარსთაგან ტფილისს. ხოლო ისნის ციხე ყოფილ არს დიდი, რომელსა განაახლებდნენ | ოსმალნი ქრისტესსა ჩღკზ და დაშთიან უსრულნი. 109
ისნს არს ეკლესია ერთი უგუნბათო, არამედ გუნბათიანი ორი, და უგუნბათო ერთი უპყრავთ სომეხთა. ყოფილან ძველად მრავალნი ეკლესიანი ტფილის, კალასა და ისნს. არამედ აწ შემუსვრილნი არიან.

კალა მოზღუდა მეორე შააბაზ, პირველი შემუსვრილი. სამჴრით მოავლო ჰალალაკის კლდეზედ[195]; დასავლით ქმნეს ორი კარი. ჩრდილოთ ორი კარი. ზღუდეს გარეთ უჴმობენ აწ გარეთუბანს. სადაცა არს ასპარეზი[196] აქა არს ეკლესია გუნბათიანი ბ, უგუნბათო ბ. და უპყრავთ სომეხთა, ხოლო უგუნბათო ბ უპყრავთ ქართველთა. კალას არს რომაელთა ეკლესია ერთი და მონოზონნი. ხოლო აწ უწოდებენ ოთხთავე ქალაქთა აწ ტფილისს და განყოფით: კალას — ტფილისსა. ტფილისს — სეიდაბადს და ისნს — ავლაბარს[197], და გარეთუბანი არს ტფილისისა. მსახლობელნი არიან ციხესა და სეიდაბადს სპარსნი მოჰმადიანნი, ხოლო ციხეს გარეთ უფროს სომეხნი და მცირედ ქართველნი, ქცევა ზნით ქართულითა. სახლნი ნაშენნი არიან ქვა-ტალახითა და გალესილი გაჯითა, ზოგთა სპარსთ რიგისა. ზოგთა ქართული. არამედ ციხე. ეკლესიანი და ზღუდენი ქვიტკირისანი არიან. ჰაერითა[198] არს მშვენი და მხიარული, ერნი შვენიერნი და მშვიდნი. ქალნი ფრიად კეკლუცნი. გარემო ქალაქისა წალკოტნი და სავარდენი მრავალნი. ყოვლის ხილითა და ყვავილითა სავსე. გარნა ქალაქი ვიწრო. ფილორცნი უშვერნი. შაფხულს ცხელი და არა გაუძლისი. ზამთარ ცივი. გაზაფხულ-შემოდგომა მშვენი და სატრფო. სანადირონი მრავალნი ახლოს. ფრინველთა და ნადირთა. ხოლო კვალად დასავლით, იშიტუტრუქის კლდესა[199] შინა, არს მონასტერი მთაწმიდისა და აწ ცალიერი.

ხოლო ტფილისის სამჴრ-აღმოსავლით არს ნათლუხი[200]. მუნ დის ნავეთი კიდესა მტკვრისასა, არამედ წყლის სიახლოვით მრავალი არა იდების. აღმოსავლით ტფილისისა არს ლილო. არა არს მუნ ვენახნი და ხილნი მთობისაგან. და არს უმდინარო წყაროებითა, და ნაყოფიერებს მოურალ. ტბანი არიან მცირენი და უთევზონი, მყვრითა სავსე[201]; სხლების წყრო და ბატი მრავალი. ტფილისის ჩრდილოთ არს მინდორი დიდუბისა[202], რომელსა პირველ ეწოდა ცხენისტერფი. ტფილისიდამ მცხეთამდე უწყლო, არამედ მოსავლიანი. კვალად ტფილისის ჩრდილოთ არს ლურჯმონასტერი, ეკლესია წმიდის გიორგისა. უგუნბათო, დიდი. აწ ხუცის სამარ, ვერესა ზედა

არს ხიდი დიდი ქვიტკირისა. გარნა იქვე წყნეთამდე წალკოტითა შემკული და მრავალნი. მის სამჴრით არს ველი საბურთალისა[203]. ამას შინა ყოფილა რუ, ვერიდამ მოტანილი, და აწ უმისოდ უნაყოფო არს. მას ზეით არს ტბა ლისისა, და მის დასავლით მთა სხალდიდისა, კეთილი აგარაკი და შვენიერი ყოვლითა. ამის სამჴრით ჴეობა* დიღმისა[204]. ჩამოსდის ამისი წყალი სხალდიდსა და სათივლიას მთას და დის აღმოსავლით, მიერთვის მტკუარს დასავლეთიდამ. არს წოდორეთამდე ვენახოვან-ხილიანი და მას ზეით მთებრი.

სამჴრით არს ველი დიდი დიღმისა, უნაყოფო, არამედ ბალახოვანი, და ზამთარს იზრდების ცხვართა და ძროხათა სიმრავლენი. ნაქულბაქევს[205] ზეით არს ლეკისნამუხლი[206] — კლდე, გაჭრილი გზად. მას ზეით მუხადგვერდი. მას ზეით, მცხეთის ხიდის სამჴრით, არს მონასტერი /ახალქალაქური[207], ყოვლადწმიდისა/, უგუნბათო, კეთილს ადგილს; იდგნენ მოწესენი. მის დასავლით მცირე ჴევი ქართლისა[208], სდის მისსავე მთას და მოდის ჩრდილოთ. აქა არს ციხე, რომელი აღაშენა ქართლოს და უწოდა სახელი თჳსი, არამედ შემუსრვილი მტერთაგან, რომელი დადგა ყრუს მოსვლასაცა. ამ ადგილის გამო უწოდა ამ ქუეყანასა ქართლი. ა მეფემან ფარნაოზ აღმართა აქა კერპი არმაზ, სახელისა თჳსისა, და მის გამო უწოდა არმაზი ადგილსა ამას. და დაეფლა ქართლოს აქავე, და ფარნაოზცა წინაშე კერპისა თჳსისა. არამედ კერპისა ამის მსახურნი რომელნი იყვნენ, იგინი იყვნენ საქართველოთ. ხოლო შემდგომად შემუსრა კერპი ესე წმიდამან ნინომ. არამედ იყო ქალაქი არმაზი[209] აქითგან, ვიდრე ნაქულბაქევამდე, და ყრუსაგან და შემდგომად მისა მოოჴრდა, ხოლო აწ არს დაბნები.

აღწერა მცხეთის ზემოთისა

დასავლით არმაზისა არს ციხედიდი[210]. მის დასავლით ჴევი ძეგვისა[211], სდიან სხალდიდს, მიერთვიან მტკუარს სამჴრიდამ. არს ღვინო და მბალი მუნებური კეთილი. კვალად ამის დასავლით ჴევი ნიჩბისისა[212], გამოსდის დიდგორს, დის ჩრდილოთ, ერთვის მტკუარს სამჴრიდამ.

ნიჩბისისათჳს

ნიჩბის[213] არს შენობა დიდი და მონასტერი მცირე, აწ ხუცის სამარ. /ამ ნიჩბისისწყლის შესართავზედ, მტკვარზედ, არს კოწახურას ფონი[214], მუხრანს გამსვლელი/.

კავთისჴევისათჳს

ნიჩბისის დასავლით ჴევი კავთისა, გამოსდის დიდგორს, დის ჩრდილოთ, ერთვის მტკუარს სამჴრიდამ. ქვათახევამდე ვენახოვანი, ხილიანი. ქვათახევს არს მონასტერი /ყოვლადწმიდისა/, გუნბათიანი, შვენიერნაშენი. ზის არქიმანდრიტი.

---

*ამ სიტყვის გასწვრივ მარჯვენა აშიაზე ტექსტის ხელით მიწერილია: „აქიდამ ძეგვისწყლამდე მუხრანისა არს, ხოლო აწ ქსნის რიცხვენ".

და არის ადგილი შემკული. ზაფხულს გრილი. წყაროიანი; ზამთარ თბილი; გარემოს მთა ტყიანი. შენობა მრავალნი. ამას შინა შეაყარა ლანგ თემურ მოწყესენი და შეასხა ეკეანნი (რომელნი იტყოდენ: „ვაი ჩვენს დედაბრობასა, ეს რა გვეკდარუნებიან! “). და გამოსწვა ყოველნი ეკლესიასა შინა. და ჩანს დღესაც იატაკსა ზედა ძვალნი, ფერფნი, თავნი და გვამნი. არავინ შევალს ფეხსცმული, არამედ ფერხშიშველნი, სიწმიდისათჳს. ამას ზეით. დიდგორის კალთას, არს ციხე კავთისა. მაღალს კლდესა ზედა შენი. კავთას ქვეით ერთვის ამ ხევს ხევი ბოტისისა. ქვათახევ-წინარეხს ქვეით ერთვის ამავ ხევს ხევი გუდარეხისა[215]. წინარეხის აღმოსავლით და გომიჯერის ზეით არს მონასტერი ლავრა[216], გუნბათიანი, შვენიერს ადგილს და აწ უქმად. გუდარეხისხევზედ არს თეალივს[217] სასახლე მეფესა, ნაშენობა დიდი.

თეძმისათჳს

ხოლო დასავლეთით კავთისხევისა დის მდინარე თეძმისა, გამოსდის ჭვარებსა და თორის საშუალს მთასა, და დედაციხემდის დის აღმოსავლით, მერმე დის ჩდილოთკენ და მიერთვის მტკვარს სამხრიდამ. აქ მტკვრის კიდეს არს მონასტერი /ყოვლადწმიდისა/, გუნბათიანი, დიდი, მეტეხი, კეთილშენი გორგასლისაგან, საარქიმანდრიტო. /ამის ზეით არს სხერტის ჭალა/[218]. ამის სამხრით არს თეძამზედ ახალქალაქი[219]. ამის ზეით ეკლესია გუნბათიანი, ერთაწმიდისა[220], სასწაულთმოქმედი. ამის აღმოსავლით არს ციხე ცხირეთისა[221], ნასასახლევი მეფეთა. ერთაწმიდის დასავლით არს ციხე დრისა[222]. მაღალს კლდესა ზედა, მაგარი, მდინარესა ზედა თეძმისასა. ამის სამხრით, ზემოთ თეძმის მდინარესა ზედა, არს კრკონს მონასტერი გუნბათიანი, ფრიად მაგარსა და შეუვალს ადგილს. აქა არს ლითონი ბრპენისა მრავალი, იტყვიან ვერცხლსაცა. ზის წინამძღვარი. აქამომდე არს თეძამი ვენახ-ხილითა ნაყოფიერი. 110 ამას ზეით, ვითარცა თრიალეთი ჭვარებითურთ. კრკონს ზეით, /ხეღრმას, არს მონასტერი. მას ზეით/, ერიქალის მთის ქვეშა, არს დედაციხე[223], კლდით მოზღუდვილი, ფრიად მაგარი. და მდინარესა ამას შინა არა არს თევზი, თჳნიერ კალმახისა, და იგი მრავალი, გარნა წყალდიდობას შემოვალს კაპოეტნი და ყამად ორაგულნიცა. გომიდამ მეტეხამდინ არს ჭალა /სხერტისა/, და არს ხოხობი მრავალნი.

ხოვლესათჳს

თეზის* დასავლით არს ხევი ხოვლესი, გამოსდის რაზმითის მთას, მოდის ჩდილოდამ ერთვის მტკვარს სამხრიდამ; არს ვენახოვანი, ხილიანი და ნაყოფიერი. თეზიდამ ატენისწყლამდე მინდორი დოესისა[224], რომელი ირწყვის თეზის რუთი, და არს ფრიად მოსავლიანი, თჳნიერ ბრინჯ-ბანბისა.

---

* უნდა იყოს: „თეძმის“.

** უნდა იყოს: „ჩრდილოთ“.

ატენისათჳს

ამას დასავლით არს ჴეობა ატენის მდინარისა. /ტანა/ გამოსდის ჯამჯამს და საცხენისის მთას. დისჴევამდე დის აღმოსავლით, მერმე დის ჩრდილოთ, ერთვის მტკვარს სამჴრიდამ. მტკვრის სამჴრით-დასავლეთიდამ ერთვის ატენისწყალს წედისისჴევი. წედისს[225] არს ციხე მცირე, და არს ჴეობა ესე ვენახოვანი, ხილიანი. კვალად ატენისწყალს მოერთვის აღმოსავლიდამ ვერისჴევი[226]. აქა არს ციხე მაღალს კლდესა ზედა. და ჴეობა ესე არს ვენახოვან-ხილიანი. /ვერის დაბის დასავლით არს, დანახვისის მთის ძირს, მონასტერი კეთილშვენიერი ყოვლადწმიდისა/. ამას ზეით ატენი[227]. მცირე ქალაქი. მოსახლენი ქართველნი, სომეხნი, ურიანი. არს ციხე მაღალს კლდესა ზედა, ნაშენი დიდი, და ციხის გორის სამჴრით არს საციევი[228], ვითარცა მყინვარი, სადაც დგება ღვინო წარჩინებული; ჩრდილოთ კერძ სდის თბილი წყალი. მკურნალი ბუგრისა, და სდის სხვაცა ცივი წყარო. ატენის სამჴრით არს მონასტერი სიონი. გუნბათიანი. კეთილნაშენი. და აწ სხენ გადამდგარს ეპისკოპოზს ასტალის მაგიერ. ვინათგან იგი უქმ არს. და აწ არს ნიში მისი. //სიონის პირისპირ. დანახვისის ძირში, არს მონასტერი ნათლისმცემლისა. დანახვისი დგას მაღალს მთასა ზედა, ეკლესია წმიდისა გიორგისა. მჭურეტი ქართლისა. ამას ზეით მოერთვის ტანას ჴევი დრისა. გამომდინარე რაზმითის მთისა; და არს მთა კალთათა ტყიანი. თხემითა უტყუო. აქა არს საფლავი ჯაფირისა. რომლისა სიგრძე ხუთი ადლი. და სცოცხლებდა ჟამსა როსტომ მეფისასა//. ხოლო /ბობნაევს ზეით ერთვის ტანას დუისჴევი. გამომდინარე საცხენისის მთისა. და/ ბობნაევამდე ჴეობა ესე არს ვენახოვანი, ხილიანი; მას ზეით მთური, ვიწრო და მაგარი. კლდიანი, ტყიანი და ცხელი. კოწახური არს ტყედ[*]. ბობნაევს ზეით. ჩრდილოთ კერძ, არს ციხე კიკანაური. კლდით მოზღუდვილი, და წყარო შიგ გამომდინარე. და ფრიად მაგარი. ამ ციხის დასავლით. მთასა შინა, არს ეკლესია წმიდის გიორგისა ახალიჯვარი. სასწაულთმყოფი, რამეთუ არს მარადის კარნი დაუხშველნი და მცველნი არაოდეს. ვერ შევალს მპარავნი და ვერცა ნადირნი. ხოლო მდინარესა შინა ატენისასა ზის კალმახნი გემოიანი. მრავალნი. და სხვა თევზნი არა. წედისის ჩრდილოთ და გორის პირისპირ არს ეკლესია წმიდის გიორგისა. მაღალს გორასა ზედა ნაშენი. სასწაულთმოქმედი. თავი წმიდის გიორგისა მდებარებს ჯვარსა შინა. უწოდებენ გორიჯვარს. არა იყო მუნ წყალი. ქდ დედოფალმან რუსუდან მოიტანა ბურვეთის მთიდამ.

---

[*] დედანში ამ სიტყვის შემდეგ ვახუშტის წაუშლია: „სიონს ზეით მოერთვის სამჴრიდამ დისჴევი".

აღწერა საციციანოსა[230], ხვედურეთ ზეით, დამჩხერლომდე

დასავლით გორიჯვრისა არს ჴევი სკრისა[229], და მოერთვის სამჴრიდამ მტკვარს. ამ ჴეობის დასავლით არს ხვედურეთის ჴეობა. გამოსდის საცხენისის მთას და მოერთვის სამჴრიდამ მტკვარს. და არიან ესე ორნი ჴეობანი ვენახოვანნი, ხილიანნი. ხვედურეთის დასავლეთით არს მონასტერი ყინცვისს, წმიდის ნიკოლაოზისა, გუნბათიანი, დიდ-შუენიერად ნაშენი, მაღალს ადგილსა ზედა; ზის წინამძღვარი. ამის სამჴრით, მთასა შინა, არს სარკეს მონასტერი უგუნბათო, ფრიად კეთილნაშენი და აწ უქმი. ყინცვისის დასავლით არს ძამის ჴეობა. გამოსდის თორის მთასა. მოდის საგლონის ჭალამდე აღმოსავლით. მას ქვეით დის ჩრდილოთ, მოერთვის მტკვარს სამჴრიდამ. მტკვრის კიდესა ზედა არს ციხე სამწევრისისა, დიდი, შიგ ეკლესია კეთილშენი. სამწევრისის სამჴრით მოერთვის ძამას იმერხევისჴევი[231]. გამოსდის საცხენისს მთას. აქ არს მონასტერი ძამისა[232], და აწ ხევის სამარს. იმერხევის დასავლით, ძამაზედ, არს მძორეთი[233], მცირე ქალაქი, მოსახლენი სომეხნი, ურიანი. ციხე არს მაღალს კლდესა ზედა ნაშენი. ესე არს ძამისციხე[234]. ამ ციხის ქვეშ სასახლე ციციანთა. მძორეთის დასავლეთს, გვეძინეთის, ერთვის ძამას ჴევი მეხალეთისა[235]. აქა არს ციხე. კვალად გვეძინეთის დასავლით მოერთვის ჴევი აბუხალოსი[236]. აქა არიან ქვაბნი გამოკვეთილნი მაღალს კლდესა შინა მრავალნი. მას შინა ეკლესია კეთილი და კაცთა შეუვალი სიმაგრით. //აქიდამ გარდავალს გზა გუჯარეთს რაჭისხევზედ//[237]. აბუხალოს დასავლით /გარდავალს გზა გუჯარეთს. ამ გზის დასავლით და ქოზიფას ზეით არს კლდე უშვენიერი, ყვითელი და ბრწყინვალე, ვითარცა ოქრო. და მის ქვეით/ არს მონასტერი ქოზიფას, უგუნბათო, კეთილშენი, მთასა შინა. და აწ უქმი. არამედ გვეძინეთამდე არს ჴეობა ესე ვენახოვანი, ხილოვანი და მას ზეით მთიერი. მძორეთის ჩრდილოთ, გორას იქით და სამწევრის ზეით, არს მონასტერი /ყოვლადწმიდისა/ წრომს, გუნბათიანი, შვენიერი. სოფი{ი}ს კენჭი ჩაწყობილ-დახატული, და ხევის სამარ. ხოლო ამას ქვეითს მინდორს რწყავს რუ ძამისა და ნაყოფიერებს. წრომის დასავლით არს ჴევი მიწობისა. მის დასავლით არს კრისისჴევი[238], ამის დასავლით ჴცისისჴევი. და არიან ჴევნი ესენი ვენახოვანნი, ხილიანნი.

ხოლო დამჩხერლოდამ ტფილისამდე, მტკვრის კერძო მთამდე, არს ნაყოფიერი, ბრინჯ-ბამბას გარდა ყოველნი მარცვალნი, რომელნი აღვსწერეთ, ხილნი და ვენახნი მრავალნი; ღვინო აქაური უმჯობესი ყოვლისა ქართლისა. და უმეტეს ატენური ყოველთა საქართველოს ღვინოთა;[239] პირუტყვთა სიმრავლე ყოველთავე თვნიერ აქლემისა. ჰაერი

კეთილი და შემკული, და მთათა დაბნები ეგრეთნი, ვითარცა მთისანი დაესწერენით, ნაყოფითა და პირუტყვითა, ტყიანი, ნაძოვან-ფიჭოვანი და ნადირიანნი. მთა დიდგორისა და ერიქალისა ჩრდილოთ კერძი არს ამ ადგილისა, და ნადირიანნი არიან, და ერიქალის მთასა შინა არს მეტი სხვათა თხა. კლდეკრის დასავლით არს მთა ერჯევნისა[240], მაღალი და თხემთა უტყეო, ჭვარების კერძოსაკენ ტყიანი. არს დიდნი და მცირენი ნადირნი მრავალნი. აქ, მთის თხემსა ზედა, არს წყარო — თუცა სვას დაცონილმან, ჰგონებს სამდღე უჭმელობასა. და შემკულნი არიან მთანი ესენი შვენიერებითა. ხოლო კვალად წრომის ჩრდილოს, მტკვრის კიდესა ზედა, არს დალალულა მინდორი[241], და ნაშენი და ფრიად ნაყოფიერი. ზამთარ პირუტყვთა ბალახნი მოუკლებელი, და ფრინველითა სხვადასხვითა სავსე, გარნა ზაფხულს გაუძლისი. ტფილისიდამ გორამდე მტკვრის კიდე აქა და იქით არს ჭალიანი, კლდიანი; ნადირნი და ჯოჯობნი მრავალნი. გორიდამ დამჩხვრილომდე ფლატოიანი და ჭალიანი, ვითარცა დალალულა.

აღწერა თორისა და აწ გუჯარეთისა

ხოლო ჭვარების დასავლით და მძოვრეთის სამხრით არს მდინარე[242] და ჴეობა თორისა[243], რომელი გამოსდის ჭვარებსა და ამის შუათს მთასა და მიდის დასავლით, მერმე მომრგვალდების ჩრდილოთ სადგერს ზეით და მიერთვის მტკვარს სამხრიდამ, და აწ განყოფილი არს სადგერად[244] და გუჯარეთად. ამ ადგილის კაცნი ყოფილან მბრძოლნი ძლიერნი, | 111 აწცა არიან მხნენი. გომარეთს ზეითი ჭვარებამდე არს ჴეობა გუჯარეთისა, და ყოფილარიან მრავალნი შენობანი და ეკლესიანი, გარნა აწ შემუსვრილნი. /გუჯარეთის სოფელს ქვეით კიმოთისმანამდე, თორისწყალზედ, აქათ და იქით, არს კლდე, რომელი აიყრების დიდ-დიდი/ //ფიცარი ფიქალ-ფიქალი შავი, და ბურვენ მით სახლებსა//. არს გუჯარეთის ჩრდილოთ, მაღალს მთის თხემსა ზედა, ციხე თოთხამი, მჭერეტელი ქართილ-იმერეთისა. ამას ქვეით არს ციხე მომწვარას[245], და ეკლესია მცირე, და შენობანი დიდნი. არს კვალად, სარბიელას ზეით, ციხე. /სარბიელასჴევის[246] თავს, მაღალს მთის წვერზედ, არს ციხე ალეწისა[247], მაგარი და მჭერეტი ქართლ-იმერეთისა/. ხოლო ადგილნი ესენი იყო უშენი, მცირეთაგან კიდე. აღაშენა ქდ მეფემან ვახტანგ. არა არს აქა ვენახნი და ხილნი, თჳნიერ მთის ხილთა, და სხვითი ნაყოფიერი მთისებრ, ბალახ-ყვავილითა, ტყითა და წყაროებითა შემკული; ნადირნი მრავალნი. წყალი კალმახით სავსე. მოერთვიან სამხრიდამ და ჩრდილოდამ ჴევნი თორისწყალსა. აწ იყო ნარიანიცა ამისი, სადაცა დგების ზაფხულს ცხვართა და პირუტყვთა სიმრავლე, ვიდრე ტბისყურამდე, ადგილსა ვაკესა და შვენიერსა. დის ქცია საშუალს ნარიანისა,

კალმახითი სავსე (იტყვია{ნ} ტბისყურისას — თამარ მეფემან ჰყო ტბაც. ვინაითგან ჩანს ნარუალი, რომელი გაიტანათ ქციიდამ — და აწ უქმი არს).

ხოლო არს სასპასპეტო ესე შემკული მთითა, ბარითა, პირუტყვითა, ნადირ-ფრინველითა. მოსავალნი, რომელნიცა აღვსწერენით. მრავალნი ნაყოფიერებს. კაცნი და ქალნი შვენიერნი. მშვიდნი. მორჩილნი და ვიეთნი შფოთის მოყვარენი. მბრძოლნი ძლიერნი. სამწყსონი კათალიკოზისანი. სახლობენ მთავარნი /ოთხნი/ და აზნაურნი მრავალნი. აწ ვიწყებთ სხვასა.

აღწერა მესამე სასპასპეტოსი

მესამე სასპასპეტო არს, რომელი იწყების მცხეთიდამ. ხოლო კათალიკოზი, ვინაითგან მეფისა თანა მყოფი არს, და არს მეოთხე სასპასპეტოსი. არამედ მუხრანი, ორი არაგვი, ქსნისჴევი და მამული მისი მესამე სასპასპეტოსი არს. ხოლო მუხრანმან მიიგო სახელი ესე მუხათაგან, სადაცა არს ადგილთა ამათ შინა ტყე უმეტეს მუხანი. განა* საზღვარი მუხრანისა არს ძეგვისწყლიდამ ლიღმის იწრომდე. არამედ აწ აღმოსავლით მძღვრის არაგვი, სამხრით მტკვარი, ჩრდილოთ ცისებდავისა** და ტინის მთა, დასავლით გორა ოკამისა, სამხრითკენ გარდაჭრილი ხაზი შაეტყესა და წლევისა კასპის ბოლომდე.

აღწერა მცხეთისა

ხოლო მცხეთა არს ორს მდინარეს შორის: სამხრით უდის მტკვარი, აღმოსავლით არაგვი, და მენ შეკრბებიან. აღაშენა მცხეთოს, ძემან ქართლოსისამან, და უწოდა სახელითა თვისითა. შემდგომად იქმნა ქალაქი დიდი, რომელსა უწოდებდნენ დედაქალაქსა. მერმე მოზღუდა არდამ, ერისთავმან სპარსთამან; მანვე აღაშენა ხიდსა[248] ზედა ციხე და ჩრდილოთ ციხე. კვალად არმაზიდამ წარმოზღუდა მტკვრამდე. ამის გამო ისწავლეს ქართველთა ქვიტკირი. და იმყოფოდა ქალაქსა ამას შინა უხუცესი ყოველთა საქართველოსი. და მორჩილებდეს ამას. შემდგომად აზონ მოარღვია ზღუდე, ა მეფემან ფარნაოზ კვალად მოზღუდა, და მეფენი ჟამითი-ჟამად ამაგრებდნენ. ხოლო მირიან აღაშენა ეკლესია მოციქულთა, ხისა, სამოთხესა შინა თვისსა, სადაცა არს კვართი უფლისა, რომელი მოიღო ელიოზ, და ხალენი ელიასი. და კე მეფემან მირდატ აღაშენა მონაკვეთსა სვეტისასა გარემო ქვიტკირის სვეტი, /და ამისგან ეწოდა სვეტიცხოველი

---

* გარსა.

** ციხე ბოდავისა.

ეკლესიასა ამას/[*], და აღმართა მას ზედა ჯუარი, რომელსა სდიოდა მირონი სამკურნალო. და აწ უწოდებენ სამირონესა. და ჩრდილოთ ამისა მირიანვე აღაშენა ეკლესია მაცხოვრისა /ღვთაებისა/, სამთავრო, ქვიტკირისა, გუმბათიანი, დიდშვენიერი, და დაეფლა მირიან მუნ და მგ მეფე მირ. ამას შინა დასვა გორგასალ ეპისკოპოზი, და აწცა ზის მთავარეპისკოპოზი, მწყემსი რეხულას ზეით დიდ ლიახვამდე. ვახტანგ გორგასალ აღაშენა მცხეთა ქვიტკირითა და შეამკო დიდად. მანვე დასვა კათალიკოზი. შემდგომად, ძვრით დარღვეული, აღაშენა ოა მეფემან გიორგიმ, მერმე შემუსრა ლანგთემურ, აღაშენა ოვ მეფემან ალექსანდრემ. არს სიგძით   ადლი და განით...[**], ფრიად მაღალი. შემდგომად შთამოვარდა გუმბათი. მოაშენა პთ მეფემან როსტომ. ქლ მეფემან ვახტანგ შეამკო კარი სამირონესი ოქროთა, მინითა და ვერცხლითა, და ჰყო მოფენილ-მოფარდაგებულ ჩეზით კერილითა. დაფლულ არიან მეფენი გორგასალ, დავით ლაშას ძე, დიმიტრი თავდადებული, დიდი ლუარსაბ, სვიმონ და გიორგი (აწცა ეფლვიან, არამედ უშვერ არს). აქავე ლა მეფემან არჩილ აღაშენა ეკლესია სტეფანწმიდისა, აღმოსავლით, არაგვის კარსა ზედა. ყოფილან ეკლესიანი მრავალნი, არამედ შემუსვრილნი არიან. არიან შენობანი დიდნი, პალატნი დიდდიდნი. ხოლო აწ არღარა არს ქალაქი, არამედ დაბა. რამეთუ შემდგომად ყრუსა მოიჴრდა (იტყვიან მძლავრებისათჳს მოჰმადიანთა არღარა ჰყვეს ქალაქი, რათა არა მათ იპყრან, და შეიგინოს სიწმიდე). ხოლო არს ზამთარს ცივი, ქარიანი, ზაფხულ ცხელი, არამედ ჰავით მშვენი. მთებთა შორის მდგომი, რამეთუ აღმოსავლით აქვს მთა ჯვარზედაძნისა, დასავლით მთა სარკინეთისა[249], სამჴრით მთა ქართლისა და კარსნისა[250].

აღწერა მუხრანისა

ხოლო სარკინეთი[251] არს მცხეთის დასავლით, სადაცა აღაშენეს ქალაქი ძლიერი თურქთა და, მოსლვასა ალექსანდრე მაკედონელისასა, განსვრიტეს მთა ესე სხალტბისაკენ და იყლტოდნენ კავკასეთად. მერმე შემუსრა ალექსანდრემ. და არიან ქვაბნი, გამოკვეთილნი კლდისაგან, მრავალნი. და კლდე ესე არს, ვითარცა ნაშენი ქვიტკირისა. არს აქა მონასტერი დიდი, გუმბათიანი და მღვიმე[252] მას შინა, რომელსა შინა სცხორებდა წმიდა შიო, იგ მამათაგანი. ზის აწ არქიმანდრიტი. არს მღვიმესა შინა საფლავი წმიდის შიოსი სას-

---

[*] სიტყვებიდან: „და ამისგან უწოდა..." წერია დედანში სტრიქონის ზემოთ, აშიაზე გატანით.

[**] ამ სიტყვის შემდეგ დედანში დატოვებულია ცარიელი ადგილი.

წაულთმოქმედი*. რომლისა გარემოს მისა ვერ იკადრებს მჴეცნი შეჭმად პირუტყვთა მონასტრისასა. არს აქა კვალად ეკლესია დიდი, უგუნბათო, კეთილნაშენი. ხოლო იტყვიან, ძველად იდგა ჭ მონაზონნი ამათ ადგილთა შინა. არამედ მთა ესე არს ტყიანი, ლელე-ღრატოიანი, უწყლო, ნადირიანი, თჳნიერ ირმისა, ყოველნი. სამჴრით კერძი მტკურისა უმოსავლოიანი, ხოლო ჩრდილოთ კერძი მოსავლიანი, ვენახ-ხილიანი. დაიწყების მთა ესე მცხეთიდამ და მივალს გორამდე, და ვიდრე ალამდე.

ხოლო მცხეთას განჰკვეთს არაგვი. გარნა მოებმის ზედაძნის მთა და მივალს ქისიყამდე. ხოლო მდინარე არაგვი განჰყოფს ქართლსა და კახეთს. და ეწოდა სახელი ესე ამ მდინარეს თჳსთავე, ვინათგან დის ჩქარად, მოგვის და იმღვრევის შავად: „ხედავ. არა გვის ეს წყალი ამ ჴევთა!" არამედ არს მდინარე ურგები, თევზი, თჳნიერ ორაგულისა, არარაი, და იგიცა ჟამად. გამოსდის მაღრანდვალეთის ქნოლოს კავკასის მთიდამ, და ციკარიდამ დის აღმოსავლეთ-სამჴრეთის შუა, ვიდრე გუდამაყრისჴევამდე და მუნიდამ სამ- 112 ჴრით დის მტკურამდე. ამიერ და იმიერ ჭალანი ჯღარდლოვანი, ეკლოვანი, ნადირითა, ეშვითა და ჴოჴბითა სავსე.

ხოლო მცხეთის ჩრდილოთ არს ციხე ბელტისა[253], აღაშენა არდამ ერისთავმან. ამის ჩრდილოთ არს ღართისკარი, ჴევი ღრმა და მშრალი. მის ჩრდილოთ არს მდინარე ნარეკვავისა, რომელი გამოსდის ალევის მთასა და დის სამჴრით ტყვილიანამდე, მერმე აღმოსავლეთით და მიერთვის არაგვს დასავლეთიდამ. ესე გამოვლის შორის მუხრანსა. არაგვის დასავლით. ნარეკვავსა ზედა, არს ჭალა ნარეკვავისავე, ნადირითა და ჴოჴბითა სავსე. და არს მდინარე ესე უქანამდე ვენახითა და ხილითა ნაყოფიერი. ხოლო ნარეკვავის ჩრდილოთ. არაგვის პირს, არს საფურცლე[254] და საფურცლის ჩრდილოთ მისაქციელი, მთის ძირს. ამის დასავლით, ამ მთის ძირს, არს ეკლესია წილკანს, ღვთისმშობლისა, გუნბათიანი და შვენიერი. აღაშენა კე მეფემან ბაქარ, ზის ეპისკოპოზი, მწყემსი მუხრანისა, ორისავე არაგვისა და ბაზალეთისა. ტყვილიანიდამ ისო წილკანელმა, იგ მამათაგანმან, წარმო-

---

* ამ სიტყვის გასწვრივ, მარჯვენა არშიაზე, ტექსტის ხელით, წვრილი ასოებით მიწერილია: „წმიდის შიოს ნაწილი აღმოვიდოდა წლითი-წლად, ძვალი შიშველი, თჳნიერ ჴორცთა, და თაყვანისცემდენ და მიიღებდენ კურნებასა. შანადირ მოავლინა მოჰმადიანნი, რათა იხილონ, უკეთუ ჭეშმარიტი არს. ხოლო მათ შემუსრეს სამყოფი ნაწილთა და დაამტვერიეს. შემდგომად შეკრიბეს და დაასვენეს მუნვე. მიერით არღარა აღმოვალს ამ ჟამამდე".

ილო ყაყარჯნის თირკეთი რუ. რომელსა მოსდევდა უმეშაკოთ წყალი. და მოილო წილკანს და დის დღეულმდე. დაფლულ არს წმიდა ისო მუნ. ხოლო ირწყვის მინდორი ამისა რუთა მით და ნაყოფიერებს ფრიად. ტყვილიანის ჩრდილოთ არს მონასტერი მჭადისჯვარისა. საბერდიანისა შინა. გუნბათიანი და აწ უქმი. კვალად ნარეკვავის შესართავის დასავლით. სარკინეთის მთის ჩრდილოს გვერდი. ვიდრე ქანდა-ციხისძირამდე. არს ვენახოვანი. ხილიანი. ბალახიანი და ტყიანი. ხოლო ციხისძირს ჩამოუდის ქსანი. ოძისამდე არს მუხრანისა. ოძისის ჩრდილოთ კერძო ქსნის ჴევისა[255] ციხისძირის სამხრით არს ციხე მტკვრისა. სარკინეთის მთასავე ზედა. რომელი აღაშენა ოთ მეფის კოსტანტინეს ძემან ბაგრატ. ამ ციხის სამხრით. მტკვრამდე და ნასპარსევამდე. არს მინდორი ნასპარსევისა[256] წოდებული. ოდეს დაისხნეს თურქთა მოსლვასა სპარსნი. და მოსწყვიდნა ალექსანდრე დიდმან, მათ გამო ისახელა. არს უწყლოობით უნაყოფო. არამედ ზამთარ ბალახიანი. და იზრდებიან ცხოვართა და ჯოგთა სიმრავლე.

ხოლო ქსანი მდინარე ერთვის მტკვარს ჩრდილოდამ. ციხეს ქვეით. ციხისძირს ზეით ერთვის ქსანს შიოსუბნის წყაროსწყალი აღმოსავლეთიდამ. არამედ შიოსუბანს[257] არს შენობა დიდი სასახლეთა. ხოლო ოსმალთა აღაშენეს ციხე ქრისტესა ჩღლ. აწ არს სახიზრად. ამის ჩრდილოთ ქსოვრისი. მუნ არს აღებული რუ. და რწყავს ორთა ამათ მთათა შორისთა მინდორთა. სარკინეთისა და ციხებდავის[*] მთათა შორისსა. და ნაყოფიერებს მით ფრიად. მას ზეით ოძისი და. დასავლით ქსნისა. ირტო-თეზ-ოკამის მინდორი და ჩანგილარ-ბეგთათავისა; ირწყვის ქსნის რუთავე და ნაყოფიერებს. ხოლო ციხისძირის დასავლით. ქსანს იქით. ასტყლების მთა თხოთისა[258], რომელსა ზედა მოიქცა მეფე მირიან ქრისტეანედ. აწცა არს მუნ ნიში ჯვარისა. რომელი აღმართა წმიდამან ნინომ. სვეტისაგან გამოკვეთილი. ამ მთის მობმით მთა წლევისა წარვალს გორამდე. ამ მთათა სამხრით არს. მტკვრამდე და კასპამდე ქსნიდამ. მინდორი აღაიანისა[259]. უწყლო. უნაყოფო. გარნა ბალახიანი და ზამთარს მზრდელი ცხოვართა და ჯოგთა. ხოლო მდინარემან ქსანმან მოიგო სახელი ესრეთ. რამეთუ მდინარე ესე არს სხვათა მდინარეთა ერთი ქსანი. და არს სარგებლიანი მდინარე და თევზიანი. არამედ ესე მუხრანი ფრიად შემკული არს ზამთარ სითბოთი. და მეფეთა სადგური. ბალახ-ჩალიან-დერწმო-

---

[*] ციხე ბოდავის.

ვანი. ზაფხულს მშვენი. კეთილ-აგარაკოვანი. ცივნი წყარონი. ჰაეთი მშვენი. მოსავალნი მტილთა, წალკოტთა, ვენახთა. თესლ-მარცვალთა მრავლად ნაყოფიერებს. პირუტყვნი, აქლემს გარდა, ყოველნი მრავალნი, რამეთუ ზამთარ ბალახითა მძოვარნი არიან. ფრინველნი გარეულნი და შინაურნი მრავალნი. სანადირონი მოუკლებელნი. სახლობენ გვარიანნი აზნაურნი და კაცნი მჴნენი და მბრძოლნი. არამედ მპარავნი. პირველ იყო მეფეთა სადგური; აწ უპყრავს, შემდგომად ბაგრატისა, მუხრანის ბატონსა. ამასვე აქვს დროშა სასპასპეტო არაგვ-ქსნისა.

აღწერა არაგვის-პირისა და ბაზალეთისა

ხოლო კვალად არაგვისპირს /არს თხერხილა. რომელსა ეწოდა პირველ ხიდარი. სადაცა აღაშენა ვარზაბაქარ ციხე და უკუჯდა ჴევსა კახეთისასა და არაგვის/[*] პირს. მისაქციელიდამ და თხერხილიდამ ანანურამდე არს ვენახოვანი, ხილიანი; და თხერხილის ჩრდილოთ არს ბოდორნას[260] ქვაბნი გამოკვეთილნი და ციხე მაგარი. ამის ჩრდილოთ ურია, მოსახლენი ვაჭარნი. ჩრდილოთ მისა, არანისთან. ზანდუკლისჴევი[261]. მას ზეით ვეძათჴევისჴევი. ამ ჴევისა და არაგვის კიდეზედ არს ანანური. ძველად იყო ეკლესია მცირე. არამედ წელსა ქრისტესა ჩღდ აღაშენა გიორგი ერისთავმან[262] ეკლესია გუნბათიანი. დიდი. გარემო მოავლო ზღუდე ქვიტკირისა. და მაღალს კლდესა ზედა ქმნა კოშკი და ციხე. აგონებდა სიმაგრედ თჳსად და მომავალთა თჳსთა. არამედ ექმნა საბრხედ და მომწყვედელ ძეთა და ნათესავთა მისთა. ვეძათჴევის დასავლით არს საფურშეთი და ალევი, მთასა ზედა; და ალევი არს მთა მაღალი, თხემთა უტყეო. კალთათა ტყიანი. ესე წარივლის სამჴრით ოძისამდე და ჩრდილოთ ლომისამდე. ესე მთა ჰყოფს ქსნის ჴევსა და ბაზალეთისა. ამ ალევის მთის თხემსა არს ეკლესია უგუნბათო, მჭვრეტი ქართლ-კახეთისა. ამას შინა არს სიმრავლე ხატთა და ჯვართა ოქროსა და ვერცხლისათა. და სამსახურებელნი ეკლესიისანი მრავალნი. კარნი აქვს ოქროსი, რომელი უქმნეს სპარსთა. რა ჟამს წარიღეს ხატი მისი, მუნ სასწაულის მხილველთა, უქმნე{ს} კარნი ოქროსანი და დასდვეს ურემსა ჭარბმულსა, და მოიღო მუნ. ამ მთას გასდის ნარეკვავი[263].

არამედ ჴეობასა ამას ზენის-ჭილუტამდე ეწოდების გრემისჴევი. არა არს გრემისჴევს ვენახნი და ხილნი, სხვითა ყოვლითა მოსავლიანი. და ამ სიმგრგვლეს შორის არს ბაზალეთი[264], რომელსა ეწოდა დაბის გამო. აქვს ბაზალეთს

---

[*] ეს წინადადება მიწერილია ტექსტის ხელითვე, სტრიქონის ზევით, მარჯვენა არშიზე გატანით.

აღმოსავლით არაგვი, სამჴრით ციხებლავისა* და ტინის მთა**[265]. დასავლით გრემისჴევი და ალევის მთა. ჩრდილოთ ქართალის მთა. არს აქა ტბა ბაზალეთისა[266], დუშეთის წინარე მდებარე. და არს ურგები და უთევზო, და წურბელი მრავალი. სხდებიან ფრინველნი მრავალნი. არიან ტბის გარემოს. მუხრანის კერძ არაგვისკენ. გრემის კერძ და ანანურის კერძით. დაბნები ვენახოვანნი, ხილიანი, მოსავლიანი და უწყლოობით არა მრავალსაყოფიერნი. | 113 არიან მცირე წყარონი დაბნებთა. ჰაერითა მშვენი და კეთილი. კაცნი მბრძოლნი და მპარავ-ავაზაკნი და უშიშნი ღვთისა. წილკნის მთის[267] ზეით, ვიდრე ანანურამდე, უმეტეს ტყიანი, ღელოვან-ჴრამოვანი. ხოლო ანანურს ზეით ერთვის არაგვს დასავლიდამ ქართალისჴევი. მის ჩრდილოთ არს მთიულთკარი[268], სიმაგრე მტკიცე; მას ზეით ნასახლევი მეფეთა და ხანდოსჴევი. რომელი გამოსდის ლომისის მთას, ერთვის არაგვს დასავლეთიდამ.

აღწერა გუდამაყრისა[269]

მის ზეით ერთვის ჴევი გუდამაყრისა არაგვს ჩრდილოდამ; გამოსდის კ{ა}ვკასს გუდამაყარსა. ჴევსა და ძურძუკს შორისსა. და არს გუდამაყრის ჴეობა მაგარი, მოსავლით, ვითარცა სხვა მთის ალაგნი და უფროს მწირი. კაცნი და ქალნი მგზავსნი მთიულთა. ჴელოსანნი. მშვილდო-მოქმედნი. აკეთებენ რქისაგან მჯიხვისა. თხისაგან და ჯართაგან.

აღწერა მთიულეთისა

ხოლო გუდამაყრისჴევის შესართავს ზეით, დასავლეთ-ჩრდილოს შუა, არს მთიულეთი[270]. ამ მთიულეთისა და ქსნისჴევს განჰყოფს ცხრაზმასა და ჴანდოს ლომისის მთა. გუდამაყრისჴევს ზეით. სამჴრიდამ. მოერთვის არაგვს ამირთისჴევი. კვალად მოერთვის სამჴრიდამვე ჩოხელთჴევი. ამას ზეით მოერთვის არაგვს ცეცხლისჯვარიდამ ჴარხელთჴევი. ამას ზეით არს ნადვარევი, მეფეთა ნასახლევი, შენებულება დიდი. მას ზეით მოერთვის არაგვს დუდოსჴევი. ამას ზეით არს მონასტერი ყოვლადწმიდისა და აწ უქმი. და ეს ჴევნი გამოსდიან ლომისის მთას. მონასტრის სამჴრით. მთის თხემსა ზედა, არს ეკლესია წმიდის გიორგისა, წოდებული ლომისა (და ამის გამო ეწოდა მთასა ამას სახელი ესე), უგუნბათო. არს მრავალნი ხატნი და ჯვარნი ოქრო-ვერცხლისანი, დახიზნულობით. უჭირეტს სამჴრით ქსანსა, ჩრდილოთ მთიულეთს. მთა ესე უტყეო არს და ბალახ-ყვავილიანი, კალთათა ტყიანი. ხოლო დუდოსჴევის ჩრდილოთ, არაგვს გაღმა, არს დაბა ჴადა, მაღალს კლდესა ზედა, მოზღუდული კლდითავე. მის ჩრდილოთ არს ციკარა, ადგილი კლდოვანი

---

* ციხე ბოლავისა.

** მის შემდეგ ტექსტში გადაშლილია ვახუშტის ხელით: „დასავლით გრემისჴევი და ალე".

და Ω კოშკოვანი გარემოს, და არს მუნ ეკლესია მცირე. ამ ციკარას დასავლით გარდავალს გზა ჴევსა შინა. ხოლო ციკარის აღმოსავლეთით არს ნასასახლევი მეფეთა, ნაშენი ლოდი, და ამას ქუეით იყოფის ციკარასწყალი[271] ორად და მიერთვის არაგვს ხარხელის ზეით და ქუეით ჩრდილოდამ.

ხოლო ჩრდილოთ წარმოივლის კავკასი და განჰყოფს მთიულეთს გუდამაყრისა და ჴევისაგან. და არს მოზღუდვილი მთიულეთი მთითა; ამის გამო მაგარი და შეუვალი არს, უვენახო, უხილო, მცირე მოსავლიანი. არამედ მოიღებენ ბარიდამ ტკბილსა, შთაასხმენ აქა და ლომისას. და დადგების ღვინო კეთილი, თეთრი და ტკბილი. არა არს აქა აქლემი, კანბეჩი და ვირი; არს ცხოვარი ულუმო, კუდიანი, ძროხა და ცხენიცა არა მრავალ სივიწროვის გამო. ჰავით არს ფრიად კეთილი და შვენიერი, წყარო-წყლითა და მწვანითა. წყალთა შინა კალმახი მრავალნი. ჴორცი, თევზნი და ფრინველნი გემოიანნი, პური ნოყიერი, ეგრეთვე ქრთილიცა. კაცნი ჰაეროვანნი, მჴნენი და მბრძოლნი, ერთგულნი, ბრიყვ-უსაქციელონი, საჭურველთმოყვარენი, სამოსელთა და იარაღთა გამწყონი. ქალნიცა შვენიერნი, არამედ უგბილათ მოსილნი. აქა არს ქვა, რომელი აიყრების კლდისაგან ფიქალ-ფიქლად, და ასხვს მას ქვასა სიბრტყეზედ ხშირად მუწუკთაებრ, ვითარცა ოქრო და ვერცხლი, ანუ ნარევი და მბრჭყვინავი ფრიად. იღებენ ამას ზღუდეს გარემოთ, და არს პატიოსნება მათ შინა ესე.

აღწერა ჴევისა

ხოლო მთიულეთის ჩრდილოთ არს ჴევი[272]. გარდავალს გზა ჴევს, ჴადის დასავლეთიდამ, კავკასსა ზედა. არამედ არს დაბალი და უტყეო; ზამთარს ვერა ვლის ამას ზედა ცხენი თოვლის სიღრმითა; ზაფხულ არს ბალახიანი, ყვავილიანი. ამას უწოდებენ ყელს[273]. ხოლო ჩრდილოთკენ ერთვის ჴევის მდინარეს ჴევი, და უწოდებენ შთასავალს[274]. აქა არს წყარო სპეტაკი, ვითარცა თოვლი, და ჰყრია ბროლი მრავალი, მგზავსი გათლილისა, და სცვივა კლდესა. აქა იპოვების ბროლი[275] და სჭვირს წითლად, და გასტეხო — არს შიგ წითელი ბროლი. არამედ მდინარესა ჴევისასა ეწოდების არაგვიდე[276] ჩერქეზამდე და მუნ ლომეკის მდინარე[277] ძველადვე, და აწ უწოდებენ თერგსა; გამოსდის ქურთაულისა, ზახისა და მაღრანდვალეთისა შუათს, აღმოსავლეთიდამ, კავკასის მჴრიდამ, დის აღმოსავლეთად ჩასავალამდე.

ამ ჩასავალს ზეით არს თრუსო სამ ჴევად. აღმოსავლით აქუს ჴევი, დასავლით ზახა და მაღრანდვალეთი, სამჴრით მთიულეთი, ჩრდილოთ ქურთაული, და მოზღუდვილ არს კავკასით, თჳნიერ ჴევიდამ. მოსახლენ{ი} არიან ოსნი, დვალნი. შთასავალს ქუეით მოდრკების არაგვი და დის ჩრდილოთ, ვიდრე ქისტისწყლამდე[278], და მიდის ფრიად მსწრაფ-

ლად. ამ დინების გამო არა არს თევზი მდინარესა ამას შინა. თვინიერ კალმახისა. და არს ჴეობა ესე მოზღუდვილ კავკასითა, რამეთუ დასავლით აქუს მყინვარი[279], უმაღლეს ყოველთა კავკასთა და მარადის ყინულით შეკერცხილი. და განჰყოფს მთა ესე თაგაურს, ჩიმსა და ჴევსა. აღმოსავლით უძეს კვალად კავკასი. იგივე მარადის თოვლიანი. განჰყოფს მთა ესე ქისტს.[280] ძურძუკს და ჴევსა. სამჴრით აქუს კვალად კავკასი. და განჰყოფს ესე გუდამაყარს, მთიულეთს და ჴევს.

ხოლო ჩასავალს ქვეით არს, ჩრდილოთ კერძ. არაგვის დასავლით, ციხე არშისა[281], თვინიერ კაცთა ჴელთაგან ქმნული. მაღალს კლდესა ზედა. მოზღუდვილ კლდითავე და შეუვალი კაცთა. მყინვარის კალთასა ზედა. აღმოსავლიდამ არაგვს ერთვის. არშას ქვეით. აჩხოტისჴევი[*][282]. აქ არს ციხე დუდუშაურისა მცირე. არამედ ფრიად მაგარი. ამ ჴევიდამ გარდავალს გზა გუდამაყარს. ამის ჩრდილოთ არს სტეფანწმიდა. დაბა კარგი. ამის დასავლით არს გერგეთი. არაგვს იქით კიდესა. ზეით ამისსა არს, მყინვარის კალთასა ზედა. მონასტერი სამებისა. გუნბათიანი. მცხეთის სამკაულის სახიზრად. სადაცა ესვენა ნინოს ჯვარი, შვენიერნაშენი, შვენიერს ადგილს. მყინვარის კლდესა შინა არიან ქვაბნი გამოკვეთილნი ფრიად მაღალსა. და უწოდებენ ბეთლემსა[283], გარნა საჭიროდ ასავალი არს. რამეთუ არს ჯაჭვი რკინისა. გარდმოკიდებული ქვაბიდამ. და მით აღელენ. იტყვიან უფლის აკვანსა მუნ და აბრაჰამის კარავსა. მდგომს უსვეტოდ. უსაბლოდ. და სხვათაცა საკვირველთა. არამედ მე ვდუმებ. კვალად ძირს მისსა არს მონასტერი. კლდესა შინა გამოკვეთილი უდაბნოდ. და აწ ცალიერი. გერგეთის ქვეით. ჩრდილოთკენ, დასავლეთიდამ ერთვის ჴევი გუდათისა[284], ძველად ესრეთ წოდებული დაბისა ამის სახელი, ხოლო აწ უწოდებენ გველეთს.

114 ამ გველეთის ქვეით ერთვის არაგვსვე ჴევი. სამჴრ-აღმოსავლეთიდამ. გამოსდის გუდამაყარისა და ძურძუკის კავკასსა. მოდის დასავლეთის-ჩრდილოს შუა და არს უშენი. გარდავალს ამ ჴევიდამ გზა ძურძუკსა და ქისტეთს. ძნელი, საჭირო. კვალად გარდავალს გზა გუდამაყარსაცა. ამ ჴევს ქვეით დავიწროვდების ჴევი ესე კლდითა. და აქა არს ციხე დავითისა[285], არაგვის აღმოსავლით კლდესა ზედა. აღმაშენებელის აღშენებული. ამას ქვეით არს დარიელა არაგვის აღმოსავლით. კლდესა ზედა. გ მეფის მირვანის მიერ — შეაბა კარი და ქმნა სიმაგრე ხაზართა და ოვსთათვის. რათა უმი-

---

[*] დედანში აქ გამეორებულია: „არაგუს“.

სოლ ქურდარა ქილოლწენ[1] (და არს სახელი ესე მოძრევი). ამას ქუეით ნასასახლევი მეფეთა: ოდეს გაილაშქრიან ოვსეთად, მუნ დადგიან.

ხოლო ჴეობა ჴევისა არს მოსავლიანი ხორბლისა, ქრთილისა, სელისა, შურიისა შთასავლით გველეთამდე. არა არს აქა ხილნი, თჳნიერ მთის ხილთა; არს კოწახური, მოცხარი, კლდის მერსენი და სხუანიცა ბალახთა ხილნი. არს ვარდი ჭალათა მრავალფურცლოვანი და წითელი მრავალი, და სხუანიცა ყვავილნი მთისანი მრავალნი. პირუტყუნი, რაც ოდენ ეტევის, მრავალნი. ცხვარი უდუმო. არს აქა მჯიხვი მრავალი ჯოგად და არჩვი. არს ფრინველი შურთხი, გლონი, და ზაფხულს მწყერი ურიცხუნი. იტყვიან ლითონს ოქროსასა და ვერცხლისასა. არა არს ტყე აქა, არამედ ზიდვენ გველეთის ქუემოდამ. ჰავით არს კეთილმშჳენი. კაცნი არიან მბრძოლნი, ძლიერნი, აჴოვანნი, ჰაეროვანნი, ვითარცა მთიულნი, გარნა ესენი უმჯობესნი ყოველთა. სარწმუნოებით ქართველთა თანა, არამედ მისიცა უმეცარნი.

აღწერა ქსნის ჴევისა და მამულისა მისისა

ხოლო მდინარე ქსნისა ოძის ზეით, ბაზალეთისა და ალევის მთის დასავლით, დის და გამოსდის ქნოლის ქამურის[2] საშუალს კავკასს. ქარჩოხამდინ დის აღმოსავლეთიათ[3] ქარჩოხს ქუეით სამჴრით, გაივლის მუხრანს და მიერთვის მტკუარს. ხოლო ოძის ზეით არს მონასტერი ხოფა, უგუმბათო, დიდშენი კეთილად და აწ ცარიელი. მის ჩრდილოთ არს მცირე ქალაქი ახალგორი. მსახლობელნი არიან სომეხნი, და სასახლე ქსნის ერისთვისა. მას ზეით, ქსნის დასავლით კიდესა ზედა, არს ციხე დაბასა წირქვალს. ამის სამჴრით, ბოლსა და ახალდაბას შუა, არს /ახალდაბის/ ციხე ამილახორისა. წირქვალს ზეით, ჩრდილოთ, არს მონასტერი კაბენი, გუმბათიანი, ყანჩიეთს, კეთილად ნაშენი, შუენიერს ადგილს და აწ ხუცის სამარ. ჩრდილოთ ყანჩიეთისა, ზებეყურის მთის ძირს, არს ხადისციხე, მაგარი. ზებეყურის მთა არს თხემთა უტყეო და კალთათა ტყიანი. ეს მთა ჩამოადგების ცხვირად ქსანს დასავლიდამ და აღმოსავლეთიდამ ალევის მთის ცხვირი, და დაავიწროვებს ქსანსა კლდითა.

ამ კლდეს ქუეით მტკურამდე ქსანი არს ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი, ვითარცა სხვანი აღვსწერეთ, და ამ კლდეს ზეით იწრო და მჭიდრო, უვენახო, უხილო, მწირი,

---

[1] ამ სიტყვის გასწვრივ, მარცხენა აშიაზე, ტექსტის ხელით, წერილი ასოებით მიწერილია: „ამას უწოდებენ ევროპელნი კავკასიის კარად და მეორეს ლეკეთის კავკასიის გზასა".

[2] დედანში: „ემურის".

[3] აღმოსავლეთად.

ვითარცა სხვანი მთის ალაგნი მოსავლითა, ტყიან-კლდიანობითა. ამავე კლდის ჩრდილოთ, საძეგურს, ერთვის ქსანსა აღმოსავლეთიდამ ჴევი, ალევის მთის გამომდინარე. საძეგურის [[ჩრდილოთ არს მონასტერი ლარგვისი, წმიდის თევდორესი. აღმოსავლით ულის ქსანი]], სამხრით ჭურთისწყალი, უგუნბათო, შემკული ყოვლითა. აწ ხუცის სამარ; აქა იყო შანშემ ციხე, არამედ ურგებად თჳსად[*]. ამის ჩრდილოთ ერთვის ქსანს აღმოსავლიდამ ცხრაზმისჴევი[286], გამოსდის ლომისას. და არს ადგილი ესე მოსავლიანი, მთის ალაგთაებრი. და ამ ჴევს ზეით, ჩრდილოთკენ, არს ციხე ქარჩოხისა, ქსნის პირსა ზედა, ლომისიდამ ჩამოსულს კლდესა ზედა. ულის სამხრით ქსანი და აღმოსავლით ჴევი, ლომისის მთის გამომდინარე, და აღვალს აქედამ გზა ლომისის ეკლესიისა თანა და შთავალს მთიულეთს. ხოლო ქარჩოხის დასავლით არს ქსანსა ზედა ქამური[287]. აწ მსახლობელნი არიან ოსნი. საშუალს ქამურისა არს ციხე ბერციხედ[288] წოდებული, ქსანსა ზედა და კლდესა ზედა მდგომარე. არამედ მთიულეთისა და ამას შუა არს მთა მაღალი თოვლიანი[289], უტყეო, კალთათა მცირე არყნალი. ქამურის მჴარეს ამ მთასა ზედა არს კოშკნი წარიგებულნი მრავალნი, მაღალნი და კეთილნაშენნი. მოსავლით, ვითარცა სხვანი მთის ადგილნი. ცხვარი აქაცა ულევი, პირუტყვნი არა ეგდენ მრავალნი[290].

ხოლო სამხრით ქამურისა არს მთა, განმყოფელი ჭურთისა და ქამურისა, თხემთა უტყეო, კალთათა ტყიანი და ნადირიანი. ამ მთის სამხრით არს ჭურთისჴევი, რომლისა წყალი გასდის ამავ მთას. და სად ერთვის ამ წყალს ცხრაწყაროსწყალი, მუნ, ამ ორთა წყალთ შუ{ა}, არს ციხე წინკიბე[291], ფრიად მაგარი. ამ ორთა ჴევთა უწოდებენ ჭურთას. და მიდის აღმოსავლეთად და მიერთვის მონასტერს ქსანსა. ამას შინა მოსახლენი არიან სარწმუნოებით ქართველნი. ეგრეთვე ქსნისჴევისა და ცხრაზმისა. მოსავლით არს ჭურთა, ვითარცა სხვანი მთის ალაგნი. კაცნი და ქალნი ამ სამთა ჴეობათანი არიან, ვითარცა დავსწერეთ მთიულნი. მათნი მიმგზავსებულნი, და ისინი ყოვლითა უმჯობესნი, ხოლო ესენი ქურდნი, მპარავნი, მძარცველნი, უსირცხონი.

აღწერა ქოლოთქვეტკირისა

კვალად ცხრაწყაროს სამხრით არს მთა, ქსნიდამ ისროლისჴევის[292] მთამდე მდებარე. აღმოსავლიდამ დასავლეთად, თხემთა უტყეო, კალთათა ტყიანი. ამ მთას გაზდის

---

[*] ტექსტის ეს ადგილი წინა გამოცემაში გასწორებულია შემდეგნაირად: „საძეგურის ჩრდილოთ არს მონასტერი ლარგვისი, წმიდა თევდორესი, უგუნბათო, შემკული ყოვლითა, აწ ხუცის სამარ. აქა იყო შანშემ ციხე, არამედ ურგებად თჳსად. აღმოსავლით ულის ქსანი, სამხრით ჭურთის-წყალი“.

სამჴრით რეხულა. და არს აქა ციხე მცირე. და მას ციხეს ქვეით ქოლოთქვიტკირი. ესეცა არს მთის ალაგთაებრ, ვიდრე ზახორამდე.

აღწერა ისროლისჴევისა

ხოლო კვალად ჭურთისა, ცხრაწყაროსა და ქოლოთქვიტკირს დასავლით არს ისროლისჴევი. ბიყარისჴევს ზეით არს მამული ქსნისა. ეს მდინარე არს მეჯუდა. გამოსდის ყამურის მთასა[293], დის სამჴრით დაბის მეჯუდამდე. ყამურის მთის კალთასა არს აშატურთკარი და ციხე. ხოლო განჰყოფს ამ ჴეობასა, ქოლოთქვიტკირს და ყამურს მთა ჴარულისა, მდებარე ჩრდილოდამ სამჴრით, ტყიანი და ნადირიანი. აშატურთკარს ქვემოთ ერთვის მეჯუდას* დასავლიდამ მერისჴევი. გამოსდის ბენდერის მთას[294]. ხოლო ამ ჴევის სამჴრით, მახისიდამ, წარიელის მთა ტყიანი და ნადირიანი ორბოძლის მთამდე[295]. ხოლო ორბოძალი არს თხემთა უტყეო და კალთათა ტყიანი, ნადირიანი. ამ ორბოძალსა ზედა არს ბალახი. უკეთუ მოძოვს არა მეუნებურმან ცხენმან, მასვე წამს მოჰკლავს. ეგრეთვე თივაცა მისი მოაკუდინებს. და არს ესე ბალახი ამ მთებთა ზედა ყოველგან მრავალი. და მივალს ესე ორბოძალი, ვიდრე ბენდერის მთამდე. მერესჴევს ქვეით ერთვის მეჯუდას ბიყრისჴევი აღმოსავლეთიდამ. გამოსდის უსანეთს. და ამ ბიყარს ზეით არს ისროლისჴევი, 115 ვითარცა სხვანი ამ მჴრის მთის ადგილნი, იწრო, ტყიანი და მწირი. ხოლო კვალად ორბოძლის მთის სამჴრით არს, მთის კალთასა შინა, იკორთას, მონასტერი დიდი, გუნბათიანი, კეთილად ნაშენი, კარგს ადგილს; ზის არქიმანდრიტი.

აღწერა გვერდისძირისა

ამ მთის სამჴრით კერძს, ჯარიაშენიდამ ვანათამდენ, უწოდებენ გვერდისძირს[296], და არს ადგილი ესე ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი; ბრინჯ-ბამბას გარდა ყოველნი სცენდების ნაყოფიერად, ვითარცა დავსწერთ ქართლისასა, არამედ ღვინო აქაური თხელი და მომჟავო, გარნა საამო სასმელად.

აღწერა პატარა ლიახვის ჴეობისა

ხოლო ისროლისჴევის და ყამურის დასავლით არს პატარა ლიახვის ჴეობა. ამათ განჰყოფს მთა ბენდერისა, წიფორისა და ქნოლოსი, მდებარებენ მთანი ესენი ჩრდილოდამ სამჴრით კავკასიიდამ. ამ მთებს უძეს აღმოსავლით ისროლისჴევი, ჭურთა და ყამური, დასავლით — პატარა ლიახვი. გამოსდის პატარა ლიახვი ქნოლოს ზეით მცირეს ტბას და მოდის ფოტრისამდე სამჴრეთად, მერმე საცხენის ქვემოთამდე დასავლეთად, მერმე კიდევ სამჴრით. ხოლო ვანათს ერთვის დასავლიდამ ლიახვს ჴევი გერისა[297]. გამოსდის მშხლების მთას და დის სამჴრით. ამას ზედა მსახლობელნი არიან ოსნი. უწოდებენ ვანათითურთ სავახტანგოს. ხოლო

---

* დედანში: „მეჯვადას".

ვანათისა. საცხენისსა და ბელოთს ზეით ერთვის ფოტრისისჴევი, ღრმა და კლდიანი, ძნიად გასავალი. გამოსდის გერისა და შუაცხვირის მთას. შუაცხვირს მსახლობელნი არიან ოსნი. ამ ფოტრისასჴევს ზეით არს აწერისჴევი. აქ აღაშენა შანშემ ციხე სიმაგრედ თჳსად, არამედ ექმნა გალიად, რამეთუ გამოიყვანეს ცოლი და დედაწული მისი მუნიდამ. მას ზეით მოერთვის ჴევი შანბიანისა[98] ლიახვს აღმოსავლიდამ. გამოსდის ქამურის მთას და დის დასავლეთად. ამ ჴევს ზეით ერთვის ლიახვს ჴევი ჩაბარუხეთისა[99] გამოსდის გერის მთას[100], დის აღმოსავლით. ერთვის ლიახვს დასავლიდამ. ამ ლიახვის შესართავს, ორსავე წყალს შუა, არს ციხე ბეყჩოსი[101]. ამ ციხეს ზეით არს ქნოლო, სამ ჴეობად, აღმოსავლიდამ, ჩრდილოდამ და დასავლით-ჩრდილოდ შუადამ. ხოლო ტბა ქნოლოსი[102] არს მცირე, რომელსა სდის ლიახვი. ამ ტბიდამ ვანათამდე არს ლიახვის ჴეობა უვენახო, უხილო, ვითარცა დავსწერეთ მთის ჴევნი, და სივიწროვით ესე უფროს მწირი. არამედ აწერისჴევს ზეით არიან მოსახლენი ოსნი სრულიად.

აღწერა მაღრანდვალეთისა

ხოლო კვალად ქნოლოს ჩრდილოთ კერძოთ არს მთა დიდი კავკასი. ამ კავკასის ჩრდილოთკენ არს მაღრანდვალეთი[103]. და იმზღვრების ესე მაღრანდვალეთი: აღმოსავლეთით კავკასით, მთიულეთისა და მაღრანდვალეთის შუათითა; სამჴრით კავკასით, ქნოლო-მაღრანდვალეთის შორისით; ჩრდილოთ კავკასით და მთითა უმდაბლესითა, თრუსო-ჩახასა და მაღრანდვალეთის შორისით; დასავლით მთით, ჩამოსულით კავკასიდამ, ებასა და მაღრანდვალეთის შორისით. აქ მაღრანდვალეთს გამოსდის დიდი ლიახვი თრუსოსა და ჩახის კავკასსა, და დის სამჴრეთს-დასავლეთს შუა. და არს მაღრანდვალეთი სამ ჴეობა, მოსავლით, ვითარცა ამ მჴრის მთის ადგილნი დავსწერეთ. მსახლობელნი არიან ოსნი. ხოლო ქსნის მამულნი, რომელნი დავსწერეთ, არიან მაგარნი მთითა, კლდითა და ტყითა. არს მთანი შემკობილნი ყვავილითა და ბალახითა. კაცნი ჰგონე, ვითარცა არაგვისანი, არამედ ისინი უმჯობესნი. ამ მთის ადგილებთა შინა, რომელნი აღვსწერენით, დიან წყარონი ფრიად ანკარანი, მომლაშონი, არამედ საჭმლის* მომდნობნი და მომნელებელნი, და სმენ მუნებურნი; უწოდებენ ევძას, პირუტყვი შემრგო, გამასუქებელი. ხოლო რაოდენნი ოსნი დავსწერეთ ამ ადგილებთა შინა, პირველად სახლებულან ქართველნი გლეხნი. შემდგომად მეპატრონეთა მათთაგან გარდმოსახლებულან ოსნი, და ქართველნი ბართა შინა ჩამოსულან, ვინადგან მტერთაგან ბარს შინა კაცნი შემცი-

---

* დედანში: „საჭლმის“.

რებულან. არამედ ჩუეულებასა ამ ოსთასა დავსწერთ მის ადგილს, ოსეთი{ს} აღწერასა შინა.

აღწერა მეორეს სასპასპეტოსი და საამილახვროსი

ვიწყებთ მეორეს სასპასპეტოს, მემარჯუენეს, შიდა ქართლის ნაკუწისა, რომელი არს აწ [ზემო] ქართლი[304]. ხოლო საზღვარი ამისი არს: აღმოსავლით, რომელი დავსწერეთ საზღვარი კასპიდამ წარსრული ჩრდილოს, გამყოფელი წლევისა, შავტყისა და მისრული ქსნის კიდემდე და ბოლამდე; სამხრით მდინარე მტკვარი; ჩრდილოთ, რომელი აღვსწერეთ ქსნის მამულის საზღვარი, და მერმე კავკასი; დასავლით ძირულას იქითი მთა კოლბეურისა[305], მცირე, რომელი მიჰყვება ჩრდილოთ კერძ პერანგამდე, მუნიდამ ერწოკულარამდე და ესე მთა კოლბეურისა, ჰეფინისხევსა და ამაშუკეთს შუა. მიჰყვების სამხრით ვერტყვილამდე; ვერტყვილიდამ ხაზი ჩხერიმელის დაბის ქვაბამდე, და მუნიდამ მახვილოს მთის გამყოფელი დვირამდე და ბაკურიანის მთამდე. ხოლო მუხრანს თხოთის მთიდამ მოსდევს მთა, დასავლეთიდ, მტკვრის კიდესა, გორის ქალაქამდე, და ეწოდების მთა წლევისა. მერმე კვერნაქი. არს ამ მთისა ჩრდილოთ კერძო ტყიანი, ვიდრე ზეგანამდე, მას ზეით კვერნაქი უტყე{ო} გორამდე, და სამხრით კერძი სრულიად უტყ{ე}ო, გარნა ბალახიანი ზამთარცა და თბილი. კლდენი მაღალნი და ქვაბნი გამოკვეთილნი მრავალნი. კლდე ესე აშურიანამდე[306]. ვითარცა სარკინეთისა, მერმე თირი.

ხოლო წლევის მთას გასჭრის მდინარე რეხულა; ქოლოთქეიტკირს ქვეით დის ლეხურა სამხრით, ერთვის კასპს მტკვარს ჩრდილოდამ. კასპი აღაშენა პირველად ქალაქი უფლოს, მცხეთოსის ძემან, და იყო ქალაქი ყრუმდე. ხოლო აწ არს დაბა დიდი. კასპს ზეით, წლევის მთაში, არს მონასტერი მამებას. სტეფანწმიდისა, თათესაგან, იგ მამათაგანის, ქმნული. დაფლულია წმიდა თათე მუნ. იტყვიან ამის ნაწილის აღმოსლვასა. ვითარცა წმიდის შიოსას. არამედ აწ დეკანოზის მიზეზით დაყენებული; და აწ არს [(ს)]ეცის სამარ. მას ზეით არს ციხე. სადითგან გამოიყვანეს ოვსთა გორგასლის დაი*. ამის ზეით, ჭორჭებთან, ერთვის რეხულას ხევი უსისტყისა[307] და გამოსდის მჭურვალეთის მთას. ამის ზეით არს, რეხულას აღმოსავლით, სამთავისი, ეკლესია დიდი, გუნბათიანი, დიდშვენიერად შენებული. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ქსნისა და ლეხურას ხეობისა. ქმნული არს იგ მამათაგანისა ისიდორესაგან, და დაფლული არს იგი მუნვე. ხოლო სამთავისის ჩრდილოთ, ჭალას, შენობა დიდი სასახლეთა. ჭალის აღმოსავლით არს ციხე ცხვილოსისა, მთის ძირსა ზედა. და წარივლ-

---

* დაი.

ის მთა ესე ჩრდილოთ შუბეყურამდე და დასავლით უსანეთამდე, და არს ტყიანი და ნადირიანი. ჭალას ზეით არს ლაბა რეხი, რომლის გამო იწოდა მდინარე ესე. ამ რეხის 116 აღმოსავლეთით არს მონასტერი ქვაბისმ{ა}ნი. ზის წინამძღვარი.

აქამდენ არს რეხის ჴეობ{ა} ხილიან-ვენახიანი და ნაყოფიერი. ამას ზეით ქოლოთქვიტკირითურთ, ვითარცა სხვა მთის ადგილნი. რეხის ლაბის ზეით ერთვის რეხულას ჴევი წოლდისა[108]. და განჰყოფს ამას მთა წინხსენებული ცხვილოსისა. ჩრდილოთ ამ მთის არს წოლდი. სამჴრით ბერშოეთ-კირბალი და სხვანი. წოლდისჴევი გამოსდის უსანეთის მთას. უსანეთის მთის თხემს არს ეკლესია წმიდის გიორგისა, უგუნბათო. ამის გამო ეწოდა მთასა ამას სახელი ესე. ამის აღმოსავლით, ზემორ, არს ზახორი. ზახორს ზეით ციხე კაბერი. და ამ ციხეს ზეით ქოლოთქვიტკირი. ხოლო კვალად ჭალასა და რეხის დასავლეთად, მხურვალეთს ზეით, არს მთაში მონასტერი კეთილნაშენი. აწ უქმი.

ამ მთის მიყოლებით, დასავლეთისაკენ მეჯუდამდე და ვიდრე დიდ ლიახვამდე. და კვერნაქის მთის შორისი მინდორი დიდი და უტყეო. გარნა დაბნებთა არს წალკოტნი, ნიგვზნარნი და ვენახნი მრავალნი; და იწყების მინდორი ესე მეჯუდის აღმოსავლეთისა მეჯუდის რუთი. მოვალს ყოველნი მარცვალნი. თვნიერ ბრინჯ-ბამბისა. მთის ძირის დაბნებნი ეგრეთვე ვენახოვანნი და ხილიანნი, პირუტყვთა სიმრავლე: თვნიერ აქლემის, არს ყოვლისავე. ამ ადგილს აწ უწოდებენ სა{ა}მილახოროსა[109] კვალად კასპის დასავლით მინდორი მტკვარსა და კვერნაქს შუა არს აშურიანი. უწყლობით უნაყოფო, უფლისციხემდე, არამედ ზამთარს ბალახიანი. და იმრავლების ცხოვართა. რემათა და მროწლეთა სიმრავლე. და თბილი ზამთარ{ი}* აშურიანს ზეით არს უფლისციხე[110]. კვერნაქის გამოკიდებულის კლდის გორასა ზედა, მტკვრის კიდესა, რომელი აღაშენა პირველად უფლოს, ძემან ქართლოსისამან. და იყო ქალაქი ჩინგისამდე; აწ არს შემუსვრილი. არამედ შენობა უცხო, კლდისაგან გამოკვეთილი; პალატნი დიდ-დიდნი, ქანდაკებული კლდისაგ{ა}ნვე; გვირაბი ჩახვრეტით ჩაკაფული მტკვრამდ{ე}, დიდი. დასავლით აქუს ქარაფი მაღალი, და მას შინა გამოკვეთილნი ქვაბნი მრავალ-დიდნი, არამედ აწ შეუვალ არს. აქა არს ბუზნი. გამოსული იხილვების სპალაშკარნი შუბოსან-მშვილდოსანნი, ცხენოსანნი, გალაშკრებულნი. ნიშენენ მისნობად და უწოდებენ უფლისციხეს.

აღწერა
გორის
ქალაქისა

ამის დასავლით არს ქალაქი გორი. ამან სახელი მიიგო გორისაგან, რომელი აღმოსულ არს მუნ დიდი, ლიახვის მდინარის კიდესა ზედა. და მოსდგამს ამ გორას აღმოსა-

---

* ზამთარ.

ლით კერნაქი, ჩრდილოთ მთა რუისისა[311], ლიახვის დასავლეთად. რომელი იწოდების კერნაქადვე. სამხრით მთა ბურეთისა და გორიჯვრისა. და ამ მთის ძირს, გორისა და მთას შუა, დის მდინარე მტკვარი. ხოლო ქალაქს გორს ჩაუდის დასავლით მდინარე ლიახვი. და მიერთვის ლიახვი მტკვარს ჩრდილოდამ. არამედ არა არს უწყებული, ვისით აღშენდა პირველ. გარნა ცხორებასა წერილ არს: „ერეკლე კეისარმან უწოდა ტონთიო[312] (რომელი არს ოქროს მთა) და ჰყო საფლველად საგანძურთა“. არს გორასა ზედა ციხე დიდი. დასავლით არს გვირაბი, ჩატანილი ლიახვამდე, ქვიტკირისა. ამის გარმოხვეული ლიახვიდამ ლიახვამდე ქალაქი. ჰგ მეფემან სვიმონ წარუხვნა ოსმალთა და შემუსრა ციხე. ჰთ მეფის როსტომის მეფობას აღაშენა შასეფიმ კვალად ციხე. და მიერითი ეპყრათ ყიზილბაშთა. ქდ მეფის ვახტანგის ჟამს იყო ცარიელი. შემდგომად დაიპყრეს ურუმთა. მერმე შანადირ დაარღვივა ციხე; არამედ დაძალყოფილი ოსმალთა. და ლეკთა. და ყიზილბაშთაგან შემცირდა ქალაქიცა. და არს შენობა უმეტეს ქვიტკირისა. ეკლესიანი კეთილშვენიერნი ჩ. გარნა ერთი შემუსრეს ოსმალთა სომხისა. აქა ჰთ მეფემან როსტომ ქმნა სასახლე ყიზილბაშთა რიგისა, წალკოტ-სავარდითა. დიდ; აუზანი წყლიანნი დიდ-დიდნი, შვენიერნი. ქდ მეფემან ვახტანგ განაახლა; შემუსრეს ოსმალთა. არამედ არს ადგილი ჰავითა შვენიერი. წყალი კარგი. გარემოს აქვან ვენახნი და წალკოტნი მრავალნი. ზაფხულ კეთილი. ზამთარს ცივი. ქარიანი; სანადირო მოუკლებელი ფრინველითა. თევზითა და სხვითაცა. ხილნი და საზრდელნი მრავალნი, გემოიანნი. მსახლობელნი არიან ქართველნი და სომეხნი. ჰაეროვანნი, ტანოვანნი. შვენიერნი. ამაყნი და დიდის მოქმედნი.

მეჯვლის მდინარის აღწერა ბიყრამდე

აქ. ციხის ძირს. ერთვის ლიახვს მეჯვლის მდინარე. არს ბიყრამდე მეჯვლა ვენახოვანი. ხილიანი. ამიერ და იმიერ დაბნები მრავალნი; თესლთა. მარცვალთა მოსავლითი ნაყოფიერი. გორს ზეით. ბერბუკს. ერთვის მეჯვლას სველნეთისფშანი[313]. არს მეჯვლაზედ. იკორთისა და კირბალის მთის ძირს. დაბა მეჯვლა. რომლისაგან ისახელა მდინარე ესე. გორიდამ ჩრდილოისკენ მეჯვლას ზეით არს. [[უსანეთის]] მთის ძირში. მონასტერი წმიდის თევდორესი, აწ ხუცის სამარს. ამას ზეით არს მონასტერი, მეჯვლის მდინარის დასავლეთად. მთის ძირში, ბიეთს. მონასტერი კეთილს შვენიერს ადგილს. ამას უდის ჴევი. გამომდინარე მერის მთისა. და მიერთვის მეჯვლას დასავლიდამ. უზის ბიეთს წინამძღვარი. ბიეთს ზეით არს ჴევი მახისისა. აქამომდე ჴეობა მეჯვლა

ვენახოვან-ხილოვანი, მოსავლიანი. ამას ზეით არს ბიყარი და ისროლისჴევი. ვითარცა აღვსწერეთ.

აღწერა დიდის ლიახჳსა და პატარა ლიახჳსა ვანათამდე

ხოლო გორიდამ ლიახჳს მდინარის სიგრძე არს მაღრანდვალეთამდე და დის მაღრანდვალეთიდამ, აღმოსავლეთიდამ დასავლეთად. მეღუეთამდე; მეღუეთიდამ დის სამჴრით გორამდე. და გორს მცირეთ ქვემოთ მიერთვის მტკუარს ჩრდილოდამ. არამედ არს მდინარე ლიახჳ სარგებლიანი, მრწყველი ველთა იმიერ და ამიერ ლიახჳსათა. ჩქარად მომდინარე და რიყიანი, და ჴმოვანი. სასმელად შემრგო და გემოიანი, მარადის ცივი. გარნა ვერ განჰყინავს ზამთარს სიჩქარისათჳს. თევზნი მრავალნი. რომელნი ველნი ირწყვიან ლიახჳთა. პური მისი არს ყოველთა ქართლისათა უმჯობესი, და გემოიანი, და სპეტაკი. გორს ზეით ლიახჳს ერთვის გორისავე ჭალისა და ნაჭარმაგევისა /წყალნი/. ნაჭარმაგევი იყო სადგური მეფეთა და კეთილსანადირო, და აწ კარალეთად წოდვილი, ადგილი ტურფა. ჭალიან-მინდვრიანი, ნადირიანი, ფრინველიანი. არამედ ამ გორს ზეით არღარა არს კაკაბი, გარნა მცირედთა ადგილებთა თუ მოიპოვების. გორს ზეით, კარალეთის პირისპირს, ლიახჳს დასავლით, რუისის მთის ძირს, არს თედოწმინდა. მცირედ მას ზეით ერთვის დასავლეთიდამ ლიახჳს ვარიანისფშანი და ახალდაბისა. ამ ფშანსა შინა იპყრობი{ს} კალმახი ყვითელი და ფრიად კარგი.

ვარიანს ზეით ერთვის ლიახჳს აღმოსავლეთიდამ
პატარა ლიახჳ. ამის გამო ეწოდა დაბასა ამას შერთული.
ვანათამდე არს ვენახიანი, ხილიანი, დაბნებიანი და მრწყველი
117 ველთა გორს ზეითისა, მეჯვრის | მდინარისა და პატარას
ლიახჳს შუათისა. გვერდისძირამდე. შერთულს ზეით
არს ეკლესია არბოწმიდისა* სასწაულთმოქმედი. პატარა
ლიახჳს კიდეზე, დასავლით. ამ არბოწმიდის ზეით ერთვის
პატარა ლიახჳს აღმოსავლიდამ მერისჴევი. ამ ჴევზე აღმოსავლეთით
არს, [ორბოძლ]ის მთის კალთასა ზედა, კულბითის
ციხე. კულბითის ქვეით მოერთვის ამ ჴევს ლაფანჩებისჴევი.
გამოსდის ორბოძალს. ამ ჴევს ერთვის სნეკვისჴევი, გამოსდის
სნეკვსავე. და არს სნეკვი, და ლაფანჩები, და მერე ქსნისავე.
ამ მერისჴევს ზეით, ჩრდილოთ კერძ, არს ვანათი, პატარა
ლიახჳს კიდესა. მაღლა გორასა ზედა არს ციხე. სნეკვიდამ
წამოსულს მცირეს მთასა ზედა. ეს მთა გაჰყოფს კულბითის-ვანათამდე
სოფლებსა, და საცხენისსა, და ბელოთის, და
პატარა ლიახჳს, და მიადგების ორბოძალს. ჩრდილოთ უდის

---

* ამ სტრიქონის გასწვრივ, მარჯვენა აშიაზე, ტექსტის ხელით არის შენიშვნა: „ვგონებ აქა ტფილის წამებულის აბოს ნაწილსა და სახელსა ზედა მისსა აღშენებულსა, და სასწაულსაც მის მიერ".

პატარა ლიახვი. სამჴრით აქუს კულბითი და ვანათი. ვანათის ციხე შემუსვრილი განაახლა შანშემ. შემუსრეს კვაკვალად ყიზილბაშთა. ციხის უკან, ჩრდილოთ, არს კლდე მაღალი[*], ქარაფოვანი. მჴურეტი ლიახვისა, და მას შინა ქვაბნი გამოკუეთილნი მრავალნი.

ხოლო კვალად შურისუბლს ზეით, დიდს ლიახუზედ, არს მეღვრეკისს მონასტერი უგუნბათო. უზის წინამძღვარი. დასავლით მეღვრეკისისა, ლიახვს გაღმა, არს ნიქოზს ეკლესია /ღვთაებისა/ დიდი, გუნბათიანი, აღაშენა გორგასალ და დალვა მას შინა გუამი წმიდისა რაჟდენისა. მანვე გორგასალ ჰყო საეპისკოპოზოდ და დასვა ეპისკოპოზი; ზის დღესაც, მწყემსი კაეკასიანთა. დვალეთა და აწ ოსეთად წოდებულისა. გლოლა-ღებითურთ. და არს ეკლესია დიდშენი, კეთილს ადგილს, შვენიერი. ამ ნიქოზის ჩრდილოთ, დიდის ლიახვის კიდეზედ, არს მცირე ქალაქი ქცხილვანი[314], კეთილ-ჰაოვანი. მსახლობელნი არიან ქართველნი, სომეხნი, ურიანი. გარემოს წალკოტოვან ვენახოვანი, საზრდლით მაძღარი. ლიახვს გაღმა, აღმოსავლეთით ქცხილვანისა, ასტყლების მთა ტყიანი. და ეს მთა მიჰყვების ჩრდილოთკენ მეშხლებამდე. ამ მთის ძირს, ქრცხილვანის აღმოსავლით, პატარა ლიახვისაკენ, არს ერედვს ციხე და ეკლესია მას შინა, წმიდის გიორგისა, სასწაულიანი. მის ჩრდილოთ, მთის კალთას, არს ციხე მცირ{ე} სხვა. ამ ერედვის ჩრდილოთ განჰყოფს მთა ესე ვანათ-გვერისჭვესა[315] და დიდს ლიახვსა. კვალად ერედვის ჩრდილოთ, ამავე მთასა შინა, არს, ქრცხილვანისაკენ, მონასტერი გუნბათიანი, კეთილშენი, კარგს ადგილსა და შვენიერსა, საბაწმიდა. დიდნაშენი და აწ ხუცის სამარ. მის ზეით, ამავ მთაში, არს, აღმოსავლისკენ, უდაბნო[316], მაღალს კლდესა შინა გამოკვეთილნი ქვაბნი ეკლესიით; ძეს მოწესე მკუდარი, დღემდე დაუშლელი, კუბოსა შინა კლდისასა. ანაფორითა. აქა არს კარკალი, სადაცა ზამთარ დნების თოვლი, ხოლო ზაფხულს ჰყინავს, და ხმარობენ ზაფხულ ყინულად[317].

კვალად ქცხილვანს ზეით არს, ლიახვის დასავლით, თამარაშენი, მცირე ქალაქი. მსახლობელნი სომეხნი, ურიანი და ქართველნი. თამარაშენს ზეით ერთვის თირის მონასტრისჴევი[318] ამ ჴევზედ, გორის ძირს, არს აჩაბეთი, სასახლე და ციხე მეფეთა. ამის დასავლეთით არს, მთაში, თირის მონასტერი, უგუნბათო, არამედ ფრიად კეთილშენი, კეთილს ადგილს. ზის წინამძღვარი. აჩაბეთის ზეით, კეხვს, არს, მთის კალთას, ციხე კეხვისა. და მთა ესე ასტყლების დასავლეთის კერძოთ ქცხილვანიდამ, და წარმოივლის ჩრდილოთ, და კეხვს ზეით მოვიწროვლების კლდითა, და მერმე წარვალს დასავ-

---

[*] დედანში: „მალი".

დით, და მიადგების{ს} პერანგის წარმოსრულს, წონისა და ფაწას შორის, მთასა. და კვალად ქცხილვანიდამ წარვალს დასავლით. და მივალს ბუკმარამდე[119]. ხოლო კეხვს ზეით, მოვიწროებულსა ზედა, არს ხიდი სვერისაკენ გამსვლელი. და ამ ჴიდს ქუეით ხიდია მუსრავს ლიახვი მტკიცესაცა. და გორიდამ სვერამდე არიან ლიახვის იმიერ და ამიერ დაბნები ხილიან-ვენახიანნი, არამედ არს ღვინო თხელი და მომჟავო, სასმელად მშვენი.

კეხვის აღმოსავლეთიდამ ლიახვს ერთვის ჴევი სვერსა[120] და ქემერტს შუა; ჩამოვარდების ჩრდილოდამ. გამოსდის ამასა და გერის შორისს მთას. ამ მთის თხემზედ არს ეკლესია სპარსის წმიდის გიორგისა. და არს ხატი დიდი ოქროსი, სპარსთაგან ქმნული, სასწაულისათვის მის მიერ ქმნულისა. და აწცა არს სასწაულიანი. კვალად სვერიდამ წარიელის მთა ტყიანი ჩრდილოთ. და სადაცა მოდრკების ლიახვი, მოდრკების მთა ესეცა, და წარიელის აღმოსავლით, და მიადგების გერის მთასა. სვერის ხიდს ზეით ჩამოვარდების ითრაფულა[121] დასავლეთიდამ და მიერთვის ლიახვს. ამას ზეით, გუფთას, არს ნაციხვარი. გუფთას ზეით მოერთვის ლიახვს მდინარე ფაწა. გამოსდის ერწოსა და ამას შუ{ა}ის მთას, მოდის აღმოსავლეთად. და ამ ჴევს მოერთვის სხვა ჴევი სამჴრიდამ, გამოსდის მასვე მთას, მოდის აღმოსავლეთად. ამ ჴევის შესართავს ზეით ერთვის ფაწას პატარა ჯავისჴევი, გამოსდის ღვალთგორასა. ამას ზეით ერთვის ფაწას სოხოსჴევი[122] სოხოსჴევს ზეით ფაწასვე მოერთვის ქეშელთისჴევი. და სდიან ეს ჴევნი ღვალთგორასა.

ხოლო პატარა ჯავასა და ხწევს შუა არს მთა ტყიანი, ღვალთგორიდამ ფაწამდე სამხრით მდებარე. ფაწის შესართავს ზეით არს სხლები და ჯავა. ჯავას ზეით ერთვის ლიახვს დასავლეთიდამ ხწევისჴევი, სდის ღვალთგორასა. ხწევის პირისპირ, ლიახვს გაღმა კიდერს არს მიწა სასუნებელი[123]. და უდის სუნი ფრიად ძნელი. არამედ ჰკურნებს ქარსა, სველსა და ინთილას სუნებითა. გარნა მსუნებელი შებნდების სუნითა. ხწევს ზეით ერთვის[•] ჴევი მუგუთისა ლიახვს, დასავლიდამ, და გამოსდის ღვალთგორასა. აქ აღაშენა ციხე მაჩაბელმან, შემუსრეს ურუმთა, რომელი იყო მაღალს კლდესა ზედა. მცირედ ამ მუგუთს ზეით მოდრკების ლიახვი, და მიერთვის მუნ ჴევი კოშკისა[124]. მას ზეით მიერთვის ლიახვს როკისჴევი. როკას ზეით მიერთვის ლიახვსვე ბეისჴევი[125] და სდიან ეს ჴევნი ღვალთგორასა, და დიან სამჴრეთად. ხოლო ბეისჴევი სადაცა სდის კავკასსა, მუნ დამდაბლდების ზეკარის კავკასი, და გარდავალს გზა ჩამთისა

[•] ეს სიტყვა დედანში ორჯერ წერია და მეორე გადაშლილია ვახუშტის ხელით.

და ზაფხულისა ზახას და დუალეთს[126]. კუალად ლიახვს ერთვის ბჟას ზეით. | სამჴრიდამ, მეჯუდისხევი[127] და გამოსდის გერის მთას. და ამას ზეით არს მაღრანდვალეთი, ვითარცა 118 აღვსწერეთ. არამედ სვერს ზეით რომელი ლიახვის ჴეობა აღვსწერეთ, არს უვენახო, უხილო; მსახლობელნი არიან ოსნი, დუალნი; მოსავლითი მთის ალაგებრი და პირუტყვითაცა ეგრეთი. ხოლო ქცხილვანის დასავლით არს, წინსხსენებულის მთის ძირს, თიხრევისჴევი[128], გამოსდის ძარს, დის სამჴრით. არამედ მინდორად ვერდარა დის. ტბეთ ზეით არს ნაციხარი. ამას ზეით თიხრების ქვა შავი დუდეთს[129] ამ ქვით ბჭრევენ ეკლესიებთა, სიბრტყისა და სიმსუბუქისათჳს გარნა არიან ქცხილვანის ჴეობის კაცნი შუენიერ-ძალოვანნი, მებრძოლნი, სირცხვილის მდევარნი, ამაყნი, ურდგულნი. სახლობენ თავადნი და აზნაურნი. და ქალნიცა ეგრეთვე რიცხვი.

აღწერა გორისა და ლიახვის ზეითისა

ხოლო კუალად გორის დასავლით არს მთა რუისისა, ტინისხიდით, თელოწმინდით სასირეთამდე და მტკვრამდე, მცირე ადგილს ტყიანი, საჴნავი და მოსავლიანი ნაყოფიერად, უწყლო, და ადგილ-ადგილს დის წყარონი მცირენი. მტკვრის პირად ღრატოიან-კლდიანი. და ამ მთის დასავლით, მტკვრის კიდესა ზედა, არს ურბნისი. აღაშენა ქალაქი უფლოს, ძემან ქართლოსისამან, და იყო ქალაქი ყრუსამდე. ხოლო აწ არს ეკლესია დიდი, უგუმბათო, ზის ეპისკოპოზი, მწყემსი დიდის ლიახვისა, და რომელი ირწყვის ლიახვითა მით. შემუსვრილი აღაშენა და განაახლა ქდ მეფემან ვახტანგ და შეამკო ხატი მისი წმიდისა სტეფანე პირველმოწამისა. მოზღუდა ქვიტკირითა. ურბნისის დასავლით, დუდეს, დის წყარო ფრიად დიდი კიდესა მტკვრისასა, რომლითი ბრუნვენ დიდნი წისქვილნი ზამთარცა, ვინათგან ვერ განაყინავს.

სამჴრით ურბნისისა არს, რუისის მთის ძირს, დაბა დიდი რუისი და ეკლესია ღვთაებისა, გუმბათიანი, დიდი, დიდშუენი. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ამ რუისა ზეითის ქართლისა, ლიხტაშისკარამდე, და აწ ესევ მწყსის ხეობასა და სადგერს, ვინადგან მაწყვერელი არღარა არს. შემუსრა ლანგ თემურ; აღაშენა ეკლესია ესე ოე მეფემან ალექსანდრემ. შემდგომად კუალად განაახლა და შეამკო პთ დედოფალმან მარიამ. და ამ რუისის მთის სამჴრეთის მინდორი ნიქოზამდე და ლიახვით დვანისწყლამდე ირწყვის ორის ლიახვის რუთი, თამარ მეფის ქმნულითა, და ნაყოფიერებენ დაბნები ყოვლითავე მრავალნი. ხოლო სალთვისის რუ განაახლა ქდ მეფემან ვახტანგ, არამედ აწ უქმი იყო. ხოლო რუისი არს უწყლო, თჳნიერ წყაროსა ერთისა, რომელი არს ეკლე-

---

• დედანში: „ქ“.

სიისა თანა. არამედ სცხორებენ მით რუთი. და ირწყვის მინდორი ურბნისამდე ამითვე.

აღწერა ლეანის-წყლისა

რუისის დასავლით არს ლეანისწყალი. ეს გამოსდის თირის მონასტრიდამ წარსრულს მთას, დის ჩრდილოდამ სამჴრით, ერთვის მტკვარს ჩრდილოდამ. მტკვრის ჩრდილოთ, ამ მდინარის აღმოსავლით, არს ბრეთის მონასტერი უგუნბათო, რომელი ქმნა პიროს, იგ მამათაგანმან, და დაფლულ არს იგიცა მუნვე. არს აწ ხუცის ამარ. ბრეთის დასავლით, წვერიდამ. ასტყდების მთა კვერნაქი და მივალს ფცისწყლამდე, რომელსა ეწოდა ცეცხლისჯვარი[330]. წვერს ქვეით. არადეთის, არს ჭია მარიამული[331] რომელი ჰკურნებს ბრაზიანის ნაკბენს სმითა. ამის ჩრდილოთ და ამ წყლის დასავლით კიდესა არს დირბს მონასტერი. სადა ზის არქიმანდრიტი იერუსალემის ჯვარის მონასტრისა, არამედ მეფენი ქართლისანი დასმენ ქართველთა, და ყოველს საქართველოსა შინა არს მამული მისი, და ჰფლობს ესე, და მოსავალს გზანის ვერცხლად იერუსალემს. ამას ზეით, ლეანს, ამ წყალს ერთვის ჴევი ჭოლიბურისა[332]. ამ ჴევს ზეით ერთვის ამ წყალს ჴევი წუნარისა. წუნარს არს ეკლესია გუნბათიანი, აწ უქმი. წუნარისჴევს ზეით არს ეკლესია ერკნეთს; დგანან მთაწმინდის მონაზონნი ბერძენნი. აქ ამ წყალს მოერთვის დასავლეთიდამ ნულისჴევი. არს ნულს ციხე. ამ ჴევს ზეით მოერთვის აღმოსავლიდამ ყორნისისჴევი, გამოსდის ძარის მთას. ყორნისს არს ქვაბნი კლდისანი და კოშკოვანი, გარნა შემუსრეს ლეკთა. ყორნის ზეით, წორბისს, ერთვის ამ წყალს ხტანისჴევი. წორბის ზეით, ამ წყალზედ. მთასა შინა. არს ციხე საქართლისა. მაგარი. არამედ ჴეობა ლეანისა არს ვენახოვანი, ხილიანი, მარცვლითა ყოველითა ნაყოფიერი.

აღწერა ფცის-წყლისა

ლეანისწყლის დასავლით არს ფცისწყალი[333] და დის ლოხოისა-პერანგას მთათაგან. მოდის სამჴრით და მიერთვის მტკვარს ჩრდილოდამ. კიდესა მტკვრისასა არს ქვენატკოცა. მას ზეით ბერძენაული. ამას ზეით მოერთვის ამ წყალს ტკოცისჴევი დასავლიდამ. ამას ზეით, ფცის ზემოთ, ამ წყალს მოერთვის აღმოსავლიდამ ღოლეთისჴევი, სდის ლეხურის მთას. ამას ზეით. ავლევს, მოერთვის ამ წყალს დასავლიდამ ბრეძისწყალი. არს ბრეძას მცირე ციხე. გამოსდის ეს წყალი პერანგას, მოდის სამჴრით ბრეძამდე, მერმე აღმოსავლით. აბანოს ერთვის ამ წყალს წაღელისწყალი. და ბრეძას მოერთვის აბანოსწყალი[334]. ეს გამოსდის მშვილდაურის მთას, მოერთვიან ორნივე ბრეძისწყალს დასავლეთიდამ. აბანოს დის თბილი წყალი[335], ჰკურნებს ქარით დახუთვილსა და ბუგრსა-მუწუკსა. ბრეძის ჩრდილოთ არს ეკლესია ატოცს. წმიდის გიორგისა, სასწაულიანი. ავლევს ზეით, ფცისწყლის აღმოსავლით, არს ოქონას მონასტერი დიდი. გუნბათიანი,

არამედ უცხო არს, რამეთუ ძირისაგან წახრით მდგომარებს ჩრდილოთკენ და არა დაირღვევის, ადგილსა შვენიერს, წყაროიანსა. აქა არს ნიგოზი; განტეხო რა, ნებალი მისი არს ნახევარი ნიგოზი და ნახევარი თხილი[116].

დასავლით მეტეხისა[*] და ფცისწყლისა არს თილეას /ჯვარის/ მონასტერი, რომელი აღაშენა ასულმან აღმაშენებელისამან თამარ. გუმბათიანი, დიდშვენიერი, კეთილად ნაშენი. შენობანი გარემოს მრავალნი, და აწ ხუცის სამარისა. ამის ჩრდილოთ კერძ არს ძალისა. აქა არს ლითონი ვერცხლისა, არამედ უსარგებლობისათჳს[**] დაუტევეს. აქავე, მდინარის კიდეს, არს მუხაური; მოსახლენი არიან ურიანი და სომეხნი ვაჭარნი. მუხაურის ბოლოს ეყრების ფცისწყალს ხტანისჴევი. ძალისას არს ციხე და სასახლე. ხოლო ფცისა და ღვანისწყალს ჰყოფს მთა ლებეური, რომელი ასტყდების ლაბის ფციდამ და მდებარებს ხტანამდე სამჴრიდამ ჩრდილოთ, ტყიანი და ნადირიანი. მუხაურს ზეით არს მონასტერი ფცისა და ოქორისწყალთა შუა, წოდებული ოქორისა, უგუმბათო, შემკობილს ადგილ{ს}, და აწ ხუცის ამარად. ხტანის ზეით არს ეკლესია მთასა შინა. წოდებული გომარეთა, აწ ცარიელი. მუნიდამ წარვალს გზა ლოხო|ისის მთასა ზედა, და 119
პერანგის მთასა ზედა გარდავალს იმერეთის ჭალასა შინა.

აღწერა ალისწყლისა

ხოლო ფცისწყლის დასავლეთით არს ალისწყალი[117]. გამოსდის ლიხის მთას. მოდის სამჴრით, ერთვის მტკვარს სამჴრიდამ[***] ამის შესართავთან არს დალალუდა. ამ მტკვრის კიდეზედ. სამჴრით, არს სომანეთი. ამ სომანეთის სამჴრით არს ვაყა. ვაყას ზეით არს ნაბასტევი და ნაციხვარი. სომანეთისა და [[ქვენა]]ტკოცას შუა არს მოხისი, დაბა დიდი. ცეცხლიჯვრის მთის ძირს; და ამისი მინდორი მტკვრამდე უწყლო, არამედ მოსავლიანი ყოველითა მარცვლითა. ნაბახტევს ზეით ერთვის ალისწყალს ბრილისწყალი; დის ბრილს ერთის წყაროდამ და აბრუნებს წისქვილს. აქ, ბრილს, იოხრების კაჟი ფრიად კეთილი, მოსპეტაკო, ჩახმახისათჳს. ბრილისწყლის შესართავს ზეით არს ალისწყალზედ, დასავლით, კიდესა ზედა, ალი, ქალაქი მცირე, მსახლობელნი არიან სომეხნი და ურიანი, მცირედ ქართველნი. გაზაფხულ-შემოდგომას ჭყაპიან-ტალახიანი, ზამთარ ცივი, ზაფხულს ცხელი, არამედ {ჰ}აერით კეთილი, მხიარული. ალს ზეით არს, ლიხის მთის კალთას, ციხე ალისა. ციხეს უკან არს სოფელი უწლევი, მთაში. აქ აკეთებენ ჭურსა ღვინისასა კეთილსა,

---

[*] დედანში: „მეტესისა".

[**] დედანში: „საუსარგებლობისათვის".

[***] უნდა იყოს: „ჩრდილოდამ".

ყოველთა უმჯობესსა. ამავ ციხეს ზეით ერთვის აღმოსავლიდამ ალისწყალს ჭერათჴევისჴევი, არამედ უშენობო. ამ ჴევს ზეით არს მონასტერი ულუმბას, უგუნბათო, დიდი, დიდშენი, მიქელ იგ მამათაგანის ქმნული. და დაფლული არს მიქელ მუნვე. ზის წინამძღვარი.

აღწერა სურამის-წყლისა

ხოლო კვალად ალისწყლის დასავლეთით არს წყალი სურამისა[138]. გამოსდის ლიხის მთას, მიერთვის სამჴრიდამ* მტკვარს, ოსიაურს ზეით. აქა არს ჭალა სურამისა, მტკვრის კიდესა, დადალულიდამ შოლამდე. არამედ გაჰკაფა ეს მეფემან ვახტანგ და ქმნა ლაჩნები. ოსიაურს ზეით, ხაშურს, ერთვის სურამისწყალს ქუმერტისწყალი, აღმოსავლიდამ. გამოსდის ლიხის მთას. ამ ჴევის შესართავის დასავლით, შინდარას დასავლით, არს სურამი, მცირე ქალაქი. მოსახლენი არიან ქართველნი, სომეხნი, ურიანი. არს საშუალს ციხე მაღალს კლდესა ზედა, მტკიცე. არს ჰაეითა მშვენი და მხიარულნი. სურამს ზეით, სამხრიდამ, მოერთვის ამ წყალს უთხევისჴევი. მას ზეით არს იტრიას მონასტერი ყოვლადწმიდისა, უგუნბათო, დიდშენი, აწ ხუცის ამარად. სურამის ზეკრიდამ ასტყდების მაღალი გორა, მდებარებს დასავლით წიფამდე და ლიხამდე. ამ მთის სამჴრით არს ბეკამი, ტეძერი, ვიდრე შოლამდე; ჩრდილოთ სურამის ჴეობა[139]. შოლის მდინარე გამოსდის ლიხის მთას, მიდის აღმოსავლეთად, მიერთვის მტკვარს ჩრდილოდამ. შოლისპირიდამ გაიტანა ეს მეფემან ვახტანგ რუ, რამეთუ იყო მინდორი ესე უწყლო. და ჰყო წისქვილნი, და სმენ პირუტყვნი. შოლისპირის დასავლით, შოლისავე კიდეზედ, არს ქვიშხეთი, ზაფხულს ჰაეითა ამო, შვენიერი, ზამთარ ცივი, ქარიანი, საჭირო. ქვიშხეთს ზეით, შოლაზედ არს ცხისძირს ციხე. ქვიშხეთის სამჴრით არს, მთის ძირს, მტკვრის ახლო, დაბა ტაშისკარი.

და ლიახვის მდინარეს აქათ ტაშისკარამდე, რომელნიცა მდინარე-ჴევნი აღვსწერენი, უწოდებენ, თჳნიერ შოლისა, ფრონეთა. ამ ფრონეთა შინა შემოვალს წყალდიდობას მრავალნი კაპოეტნი, იქმნების ჟამად ორაგულნიცა. და წყალცოტაობას არს მათ შინა წვრილნი თევზნი მრავალნი. და მთის კერძოდ კალმახნი ფრიად და გემოიანნი. არამედ გორს ზეითნი ადგილნი ესენი არიან მოსავლიანნი, თჳნიერ ბრინჯ-ბამბისა, ვენახით, ხილით და ყოვლითა მარცვლითა. აკეთებენ მცირედს აბრეშუმსაცა. პირუტყვნი მრავალნი, აქლემს გარდა ყოველნი, არამედ არა ეგდენად, ვითარცა აღვსწერეთ სომხით-საბარათიანოსა, ზამთრისათჳს. რამეთუ არს სამ თვე [[თოვლი, და]] ზაფხულის ვერ სთიბენ თივას, საჴნავეთი გამო მიწათა და მთათა შინა მცირეთა. არა

---

* უნდა იყოს: „ჩრდილოდამ“.

საკმაოთა. ჰავითა მშვენი და ამო. სასმელი და საჭმელი აქაური* უმეტეს გემოიანი სხვათა ადგილთაგან. კაცნი არიან ჰაეროვანნი, ამაყნი, მჴნენი, შემმართებელნი, მხიარულნი, უხვნი, სტუმართმოყვარენი. ქალნი ეგრეთვე, ვითარცა სხვანი დავსწერენით. სახლობენ მთავარნი და აზნაურნი მრავალნი.

აღწერა მთას იქითისა

ხოლო კვალად სურამის დასავლითი, ლიხის მთის საშუალსა შინა, არს დაბა ფონა. ამ ფონას გასდის ჩხერიმელის მდინარე და მიდის დასავლეთს-სამჴრეთ შუა მებოძირის ზეითამდე. მას ქვეით დაბის ქვაბამდე არს ქართლისა. მებოძირს ზეით ამ ჩხერიმელას ერთვის ჴევი ჩდილისა[140]. ამ ჩდილისჴევს ერთვის ჴევი ნუნისისა სამჴრიდამ, ამისა და ჴერობის შუას მთის გამომდინარე. ჩდილისჴევი გამოსდის მცირეს ლიხის მთას, სად გასდის იქით შოლა. ნუნისს არს ეკლესია-მონასტერი, შვენიერი, შვენიერს ადგილს. უზის წინამძღვარი. ხოლო ჴევნი ესენი არიან ვენახოვანნი, ხილიანნი.

აღწერა ჴეფინის-ჴევისა

კვალად ფონას ზეით და სურამის დასავლით ლიხის მთას გასდის ჴეფინისჴევისწყალი[141] და მიერთვის ძირულას აღმოსავლეთიდამ. ხოლო ძირულა გამოსდის მთასა ჰერანგას და ლის ღოღორამდე სამჴრით და მუნიდამ მომგრგვალეთი დასავლეთად. არამედ არს ვერტყვილამდე ქართლისა, და უწოდებენ ვერტყვილიდამ ნადაბურამდე ჴეფინისჴევსა[142]. და მას ზეით არს ულუმბის მონასტრისა, არამედ აწ მიხმული აქუს იმერთაგან, გარნა აძლევენ ცვილისა, ზეთისა და საკლმის ფასსა აწცა. ვერტყვილას მოერთვის სამჴრიდამ ვერტყვილისავე ჴევი. ხოლო ვერტყვილას და ამაშუკეთის შუა არს მცირ{ე} მთა, მისრული კოლბეურის მთამდე, და ესე არს საზღვარი ქართლ-იმერთა აწინდელი. ამ ვერტყვილისჴევს ზეით ერთვის ძირულას ბჟინევისჴევი. აქა არს, სამჴრით, მონასტერი გესამანია, გუნბათიანი, კეთილშენი, საწინამძღვრო. მას ზეით ჴევი გრიგალეთისა, ერთვის ძირულას; მას ზეით ჴეფინისჴევისწყალს ერთვის ჴევისჯერისჴევი. მას ზეით ამასვე ერთვის ჴევი წაქვისა. და ჴევნი ესენი ყოველნი სამჴრეთიდამ ერთვიან, გამომდინარე ფონის გამდინარის ჩხერიმელისა და ჴეფინისჴევის შუა მთიდამ. და არს ჴეობა ესე ჴეფინისჴევი მოსავლიანი, ვენახოვანი, ხილიანი. ქართლისაგან მეტი არს აქა ღომი, ხურმა, წაბლი. რომელი მთას იქითი და|ვსწერეთ, ქციშხეთის დასავლით, 120 იგინიცა ესრეთვე ჰგონე. არს ცხოვარი უდუმო, სთესენ სიმინდსა მრავალსა. ხოლო ადგილები ესენი, რომელნი აღვსწერენით, ლიხის მთის შორისი, ეგრეთვე ჰგონე, ვითარცა აღვსწერეთ იმერეთი.

---

* ლედანში: „აქურუ".

აღწერა მტკვრის ჴეობისა

ხოლო ტაშისკარის სამჴრით ჩამოვალს დასავლეთიდამ მთა მახვილისი ცხვირ-ცხვირად. და აღმოსავლიდამ ყერძენის მთის წვერი, და მოავიწროებს მტკვარს კლდითა. აქ მოვიწროებულსა შინა, არს გასავალი კარი და კოშკი მას ზედა, ქართლიდამ ჴეობასა შინა სავალი. ამის მიერ ეწოდა ტაშისკარი (ესე არს ქვისკარი). და ამის პირისპირ, სამჴრიდამ, ერთვის მტკვარს სარმანიშვილისჴევი, გამოსდის ყერძენსა და ამას შუას მთას. ამის დასავლით არს ახალდაბა, მცირე ქალაქი, მტკვრის იმიერ-ამიერ. მოსახლენი ქართველნი და ურიანი. აქა არს ხიდი მტკიცე. ახალდაბის სამჴრით არს ციხე მაღალს კლდესა ზედა, დიდნაშენი და მაგარი. ახალდაბას ქვეით მტკვარს მოერთვის ჩრდილოდამ ჴევი ნეძვისა[113], გამოსდის ამასა და მთას იქითის შუას მთას. კვალად ახალდაბას ზეით ერთვის მტკვარს სამჴრიდამ ჴევი ქიმერეთისა. გამოსდის ყერძენის მთას. ქიმერეთისჴევს ზეით ერთვის მტკვარს სამჴრიდამვე ჴევი კორტანეთისა. გამოსდის მასვე მთას. ჩრდილოდამ მოერთვის მტკვარს ზანავ-რეილისჴევი, ამასა და მთას იქითის შუას მთიდამ გამომდინარე.

აღწერა სადგრის ჴეობისა

ამ ჴევს ზეით ერთვის მტკვარს თორისწყალი სამჴრიდამ. ამ შესართავს სამჴრით არს სადგერს ეკლესია წმიდის გიორგისა. ამას უდის აღმოსავლით თორი მდინარე. დასავლით შავწყალი; და შავწყალი გამოსდის ბაკურიანისა და კოდიანის მთასა. და მოერთვის მტკვარს სამჴრიდამ. გომარეთამდე შავწყალსა და თორისწყალს უწოდებენ აწ სადგერის ჴეობას[*] არამედ სადგერი არს მაგარი და შეუვალი. ეკლესია შემუსვრილი აღაშენა და შეამკო ხატი მისი ქდ მეფემან ვახტანგ. ამ სადგერს ზეით, დასავლით, არს დაბა თორი, მას ზეით ციხისჯვარი, და ციხე მისი შავწყალსა ზედა, დასავლისაკენ. კვალად სადგერს ზეით მოერთვის თორისწყალს სამჴრიდამ ბაკურიანისწყალი[114], გამომდინარე ბაკურიანის მთისავე. აქა, თორისწყლის აღმოსავლით, არს კიმოთისმანს მონასტერი გუნბათიანი, კეთილშენი, შვენიერს ადგილს. ზის წინამძღვარი. ხოლო ეს სადგრის ჴეობა არს უვენახო და მოსავლით, ვითარცა აღვსწერეთ გუჯარეთის ჴეობა. ესეც სცან, ეგრეთვე ნაყოფიერი, მთითა, ნადირითა და პირუტყვითა. კიმოთისმანს ქვეით არს ციხე, თორისწყლის აღმოსავლეთის კიდესა ზედა. უზნარიანისა, ფრიად მაგარი.

---

[*] ამ სტრიქონის გასწვრივ, მარცხენა აშიაზე, ტექსტის ხელით არის შენიშვნა: „ეგონებ სიორელთა სამთა ამათ ჴეობათა — სადგერს, გუჯარეთის და მტკვრის ხეობას, ვინათგან სახელნი და ადგილნი მათნი ეგრეთ წარმოაჩენენ“.

კვალად ჴეობის აღწერა

ხოლო კვალად ჩრდილოდამ /ჴეობაში/ მტკვარს ერთვის ემმაკთუბნისჴევი[345], გამომდინარე ამასა და მთას იქითის მთის შუადამ. ამას ზეით, ნუას, მოერთვის შავწყალი. ნუას ზეით, ჭალის პირისპირ, სამხრიდამ, ერთვის მტკვარს დლევაშისჴევი[346]. გამოსდის კოდიანის მთას. მას ზეით არს, მტკვრის კიდესა ზედა, სამხრით, პეტრესციხე, ფრიად მაგარი და შეუვალი მტრისაგან. ამ ციხეს დასავლით უდის ყვერბილისჴევი[347]. მოერთვის სამხრიდამ მტკვარსა, გამოსდის კოდიანსა. პირისპირ ციხისა მოერთვის მტკვარს ჩრდილოდამ ლიკანისჴევი, გამოსდის მახვილო-ფერსათის. ამ ჴევთ ზეით არს ჭობისჴევი. და არს დვირამდე ქართლისა. არამედ არს ესე მტკვრის ჴეობა ვენახიანი, ხილიანი, ვიწრო და მწირი, მაგარი და შეუვალი მტრისაგან. კაცნი ჰაეროვანნი, ტანოვანნი. მთანი ნადირიანნი, ნაძოვან-ფიჭოვანი. ირემი, თხა, არჩვი და სხვა ნადირნი მრავალნი. ჩრდილოთ მთა აქვს დალოსი[348] და მახვილოს წამოსული აღმოსავლით. ვიდრე ტაშისკარამდე, სამხრით კოდიანიდამ წამოსული აღმოსავლეთს-ჩრდილოს შუა მთა, ამასა და სადგრის ჴეობას შუათი.

საერისთოსა, სასპასპეტოსა და სადროშოსი, ვითარ არს და იყო

ხოლო ტაშისკარსა და ლიხის მთას ქვეითი არაგვ ტფილისამდე სამნი ესე სასპასპეტონი: მემარცხნე მუხრანისა, მემარჯვენე ქართლისა, მეფის თანა მყოფი, ტფილის ზეით, მტკვრის სამხრეთისა /და თრიალეთი ფანაერამდე/. — არიან წილი უფლოსისა, მცხეთოსის ძისა; და უფლოსისაგან ეწოდა მენა სოფლები [[შიდა]] ქართლს. და ესენი პირველ იყო ერთი სასპასპეტო, და ყოველთა ერისთავთა და სპასპეტთა ზედამხედველი. შემდგომად თამარ მეფისა ქართლის ერისთავი სხვა, ქსნისა სხვა. და შემდგომად განყოფისა ესრეთ სამ სადროშოდ იქმნა. არამედ რაოდენნი ეკლესიანი ანუ მონასტერნი აღვსწერენით, ანუ პალატნი. არა არს არცა ერთი, რომელნი არა იყოს თლილის ქვითა ნაშენნი, რამეთუ ყოველნივე თლილის ქვითა არიან აღშენებულნი. კვალად არა არიან დაბანი ანუ აგარაკნი, რომელსა შინა არა იდგეს ეკლესია თლილის ქვისა, უგუნბათონი, მცირენი და დიდნი, და მით იცნობების ნასოფლარნი, სადაცა დგას ეკლესია. ხოლო მონასტერნი, რომელნი ცალიერნი დავსწერენით, აწ ხუცის სამარად, მამულნი მათნი მიუხვამთ აწ მთავართა ანუ აზნაურთა, მათნი შეწირულობანი, ანუ მეფეთა ხიზრად მოსულნი დაუსადგურებიათ მუნ, და ჟამთა ცვლილობითა შერჩომიათ მათ, არღარა დაუსვამთ წინამძღვარი და უსამრეკლობით მონაზონთათა აწ ცარიელნი არიან. კვალად რომელნი ეკლესიათა აღმაშენებელნი არა მოვიხსენეთ, ვინათგან დავსწერეთ მეფენი ეკლესიათა მაშენებელნი, მათ მიერ არიან აღშენებულნი ყოველნი, ხოლო ზოგნი მთავართა და ხუროთ-

173

აღწერა ჰერეთისა, კახეთისა და კუხეთისა, კვალად თუშეთისა და დიდოეთისა

სახელთათჳს[349]

ხოლო ქვეყნისა ამის სახელნი არიან სამი: რამეთუ ჰერეთი ეწოდა თარგამოზის ძის ჰეროსის გამო, რომელსა ძმათა თჳსთა შორის წილად ხუდა ქვეყანა ესე და დაიპყრა საზღვარი თჳსი, ვითარცა აღვსწერეთ. ხოლო კახეთი და კუხეთი არიან წილნი ქართლოსისა, რამეთუ, შემდგომად ქართლოსის სიკვდილისა, განუყო დედამან მათმან ძეთა თჳსთა ქართლოსის წილი ქვეყანა. და მისცა კახოს საზღვარი: აღმოსავლით მთა კავკასი; სამჴრით საზღვარი ჰერეთისა, თურდო-შტორისჴევი, ვიდრე კავკასამდე; დასავლით მთა კახეთისა[350], რომელსა განჰყოფს ერწო-თიანეთს, იორის მდინარე, და მერმე მზღვრის მდინარე არაგვი. და ჩრდილოთ მთა კავკასი. და ამათ შორისი ქვეყანა არს კახეთი, წილი კახოსისა. და მისის სახელის გამო ეწოდა ამას სახელი ესე, არამედ აწ უწოდებენ ფშავ-ჴევსურსა (რომელთა პირველ ეწოდათ ფხოველნი), თიანეთს, ერწოს, ირტოსჴევს, პანკისის ჴეობას, საყდრიონს და ალონს.

ხოლო კუხოსს მისცა[*] საზღვარი: აღმოსავლით მთა კახეთისა; სამჴრით საზღვარი ჰერეთისა, რომელ არს [[ხუნანის]] გამო{ს}წვრივ გულგულამდე; დასავლით მტკვარი და არაგვი; ჩრდილოთ იგივე[**] მთა კახეთისა. და ამათ შორის ქვეყანას ეწოდა კუხეთი, კუხოსის სახელის გამო, არამედ აწ უწოდებენ თიანეთს, საგურამოს ანუ თეძმისჴევს (რომელსა ეწოდებოდა ხერკი ამის გამო, ოდეს ლტოლვილნი ნაბუქოდონოსორისაგან მოსრულნი ურიანი დასხნა აქა მცხეთელ მამასახლისმან და ყვნა მეხარკედ), კვალად გრდანი, მარტყოფი, ლილო, დიდუბე, სამგორი, ჩალოვარი, ომანისჴევი, ყარალაჯი და ნაგები და ყარაია. ხოლო ხოსროვანთ გარდავლინებისა შემდგომად, განდგა რა გრიგოლი მთავარი, ამან მოსპო სახელი კუხეთისა და იწოდა კახთა მთავრად ანუ ქორიკოზად. და ამათ მთავრობასა შინა ჯვარს ქვეით, სამჴრის კერძს, ეწოდა გარდაბანად, არამედ შემდგომად

---

[*] ეს სიტყვა გამეორებულია და გადაშლილია დედნის ხელით.

[**] დედანში: „იგევე".

კვირიკემ. დაიპყრა რა [[ჰერეთიცა]]. იწოდა კახთ მეფედ. გარნა ჰერეთს აქუნდა თჳსივე სახელი მოუსპელი.

ხოლო შემდგომად განდგომილებისა. ქრისტესა ჩუჲვ. ქარით. რნდ. მოისპო სახელი ჰერეთისაცა, და იწოდნენ საკუთრად კახთ მეფედ; და ჰერეთს უწოდებენ შემდგომად აწამდე განყოფით ესრეთ: გაღმა მხარს. /ელისენსა/[351]. შიგნით კახეთს. ქისიყს და გარეთს კახეთს. და არს სრულიად აწინდელის კახეთის საზღვარი: სამხრით დიდის ალაზნისა და პატარას ალაზნის შესართავი და მუნიდამ ხაზი კავკასამდე გავლილი. და კვალად ხაზი მტკვრამდე მისული; აღმოსავლით მთა კავკასი. ლეკეთისა და კახეთის შორისი; დასავლით საზღვარი ქართლისა. რომელიც აღვსწერეთ, და მწარეწყალს ქვეით. მტკვარი. და ჩრდილოთ მთა კავკასივე.

და მდებარებს ქუეყანა ესე სიგრძით ჩრდილო-დასავლეთის შუადამ აღმოსავლეთ-სამხრეთის შუა. და არს ქართლისა. რანისა. მოვაკანისა და ლეკეთის შუა მდებარე. ხოლო ქვეყნისა ამის საშუალს არს მთა. რომელი გამოსდების ფშავ-ღლიღვის საშორისის კავკასიდამ და გამოვლის მახვილის ჴევსა და ფშავს შორის, კვალად ერწო-თიანეთსა და ირტოსაყდრიონს შორის, და ქალეთის ბოლომდე მდებარებს ჩდილოდამ სამხრით. მერმე წარმოვალს და მივალს მაღაროხორნაბუჯამდე. აღმოსავლეთ-სამხრეთს შუა მდებარებს და უძეს [[აღმოსავლით შიგნით კახეთი, სამხრით ქისიყი]], დასავლით გარეთ კახეთი და ერწო-თიანეთი. და ეწოდების მთასა ამას კავკასის კერძოსაკენ მთა კახეთისა, მერმე გომბორი. შუამთა და ციცი. არამედ მთა კუხეთისა[352] ანუ აწ ზედაძნისა უმეტეს საჩინოდ შემოერთდების მთასა ამას. და მთა ზედაძნისა მობმული არს მთისა სარკინეთისა, რომელსა კვერნაქადცა უწოდებენ. თჳნიერ განკვეთისა არაგვისაგან. ამისთჳს უწოდებენ გომბორის მთასაცა ქისიყამდე კვერნაქად.

არამედ მთასა ამას და კავკას შორისი ქვეყანა არს ტყიანი შაქამდე და მცირე ველოვანი, და ამისი დასავლით კერძი. საგარეჯოს ქვეით, უტყეო, მცირეთაგან კიდე, ჩალიან-ბალახიანი. ლერწმოვანი, უმდინარო, თჳნიერ იორის მდინარისა, და მცირე წყარონი. ხოლო ჰაერითა არიან მშვენნი. ზამთარ თბილი. ზაფხულ ცხელი და არა ეგდენ. მცირეთოვლიანი, უყინულო. უყივნო. ვინათგან ვეროდეს განჰყინავს მდინარეთა, და არცა დაადგრების თოვლი დღე სამ, და უქარო. არამედ ალაზნისა და იორის კიდენი და მისი ქვემოთინი ფრიად საშმიანნი. ცხელნი და გაუძლისნი.

ხოლო ქვეყანა ესე არს ფრიად ნაყოფიერი ყოველითა მარცვლითა, ვენახითა, ხილითა, პირუტყვითა, ნადირითა, ფრინველითა და თევზითა, არამედ უფროს ჰერეთი, და

ნაყოფთათჳს და კაცთა

უმეტესად ალაზნისა და იორის კიდენი, რამეთუ. თჳნიერ ნარინჯისა, თურინჯისა, ლიმოსა და ჩეთისხილისა. ნაყოფიერებენ ყოველნი. რომელნიცა აღვსწერენით, აბრეშუმით. ბამბით. ბრინჯით, და ხურმა და წაბლი იმერეთისაგანცა აქ უმჯობესი არს. გარნა არა სთესვენ ღომს. და არცა არს კირჩხიბი აქა. ხოლო ხილნი ეიეთნი* აქაურნი უმჯობეს არიან ქართლისასაცა, და თაფლი იმერეთისა უმჯობე და უმრავლეს აქაურთა. ხოლო კაცნი და ქალნი შუენიერნი, ჰაეროვანნი და მგზავსნი ყოვლითავე ქართველთა ზნითა. ჩვეულებით და ქცევით. არამედ ლაღნი. ამაყნი, მეხოტბენი. დიდმთქმელნი, მეჩხუბარნი, შემმართებელნი. უფრო გლეხნი. ერთგულნი, მოსილნი ქართულად, ენითა და სარწმუნოებითა ქართლისათა. და სამწყსონი ქართლის კათალიკოზისანი.

ქვეყანა-წყლისათჳს

ხოლო არს ქვეყანასა ამას შინა უდიდესნი მდინარენი ალაზანი და მეორე მცირე ალაზანი[153] ანუ იორი, რომელთა მოიგეს სახელნი ალონის გამო. არამედ იორი გაორებისათჳს. ვინადგან აქუთ სახელი ერთი — „იორა ამ მდინარეთ". ხოლო გამოსდის ალაზანი თუშ-ფშავსა და ძურძუკს შორის კავკასსა. და დის ჩრდილო-დასავლეთიდამ აღმოსავლეთ-სამხრეთ შუა. და მიერთვის მტკვარს განჯის ბოლოს. აქ მტკვრისა და ალაზნის შესართავს შორის არს მოვაკანი. რომელი აღაშენა მოვაკანოს. და ამის გამო ეწოდა წილსა მისსა მოვაკანი. ვითარცა აღაშენა ბარდა ბარდოს და უწოდა სახელითა თჳსითა წილსა თჳსსა. ხოლო მტკვრისა და ალაზნის შესართავს ზეით. ჩრდილოთკენ. მოერთვის ალაზანს მცირე ალაზანი ანუ იორი. და ამათ შესართავს შორის არს ჰერეთი. რომელი აღაშენა ჰეროს, ქალაქი თჳსი სახელისა. და ამის გამო ისახელა ქვეყანაცა ესე. და აწ უწოდებენ
174 ამას ადგილსა ხორანთას. და იყო ქალაქ და ციხე ყრ{უ}დმდე და ბერქამდე. შემდგომად მოოჴრდა და აწცა ოჴერ არს.

იორის მდინარისათჳს და მის ქვეყანათა

ხოლო იორი გამოსდის ფშავისა და თიანეთის შორისს მთას და დის ჩრდილოდამ სამხრით უჯარმამდე. მერმე ჩრდილოთ-დასავლეთიდამ აღმოსავლ-[[სამხრით]] შუა. გარნა უფროს აღმოსავლით. არამედ იორს და მტკვარს შუა ასტყდების მცირე მთა ხორანთიდამვე. რომელსა ეწოდების გძელტბა და გარეჯა. ეს მთა აწ ჰყოფს ქართლსა და კახეთს; ხორაუგიდამ მწარეწყლამდე და მტკვრამდე კახეთისა. ხოლო მწარეწყალს იქით ნახევარი, აღმოსავლეთის კერძი, კახეთისა, და ნახევარი, დასავლეთის კერძი, ქართლისა. ეს გარეჯის მთა მიადგების სათისჭალას კუხეთის მთას და

---

* ეს სიტყვა დედანში გამოურკვეველია.

მერუსი, ჩალიერის გორაკებით, მიადგების ლილოს, და ლილო{ს} მთა მიადგების ეგრეთვე კუხეთის მთას. მდებარებს მთა ესე. ვითარცა მდინარე იორისა. და არს უტყ{ე}ო. თჳნიერ ძეძუსა, და თუთუბოსა, და ეგევითა სხუათა მრავალთა. არა სდის მდინარე და იშჳთი წყაროტბანი. არამედ თუ სადმე არს, მლაშენი და მწარენი. გარნა არს ბალახიანი ჩამოარც. და გამოიზრდებიან სიმრავლე არჩვეთა, მროწლეთა, ჯოგთა, რემათა იმიერ და ამიერ. გარნა არს ჩაყხულ ცხელი და გაუძლები.

ხოლო მდინარის იორის კიდე იმიერი და ამიერი არს ფრიად ნაყოფიერი. ვინადგან აღმოელენან რუნი, და ირწყვიან[154] ველნი, და სცენდებია{ნ} ყოველნი მარცვალნი. და დასდევს იორს მცირე ჭალაცა და ლერწმოვან-ჩალიანი. და არიან ნადირნი და ფრინველნი მრავალნი და უმეტეს ჴოჴობნი. გარნა იყო ალაზნის შესართავამდე და ვიდრე სამგორამდე შენობანი დიდ ფრიად. არამედ მოოჴრდა გამოსლვასა ბერქასისა და შემდგომად ლანგ თემურისაგან, რომელნი ჩანან დღესაც. შემდგომად დასხნეს ელნი ამათ ადგილთა აწინდელთა მეპატრონეთა. ვითარცა ბატონმან თეიმურაზ და ხანებმან. და სთესლენ ესენი ყოველსავე; და ესენიცა წარიყვანა შანადირ და დასხნა ხორასანს. ხოლო იორს არარაი ვითარი მდინარე ერთვის ანუ ჴევი საგარეჯომდე, და არს მუნამდე ალაზნიდამ ველი. და არს ადგილი ესე ჩამოარ თიბილი, ბალახიანი, მცირეთოვლიანი. ნადირ-ფრინველიანი. ჰაერითა მშჳენი. ხოლო ჩაყხულის ცხელი. ხაშმიანი, გაუძლისი. იორის პირს ყოფილა სასახლე, დამპალას. აწინდელთა კახთა მეპატრონეთა. საზამთროთ ნადირობისათჳს. არჩილ ა მეფისამდე, კეთილს ადგილს, შვენიერს. წყაროიანსა.

გარეთ კახეთისათჳს[155]

ხოლო [[დამპალას აღმოსა]]ვლით-ჩდილოთ არს. ჰერეთის მთის ძირს, მანავი, სადაცა აღაშენა სასახლე იმამყულიხან. მთის ძირად არს ძველადი ციხე და აწ შემუსერილი. არამედ ღვინო მანავისა კეთილი. მანავს ქვეით ქისიყამდე. ცივ-გომბორის მთის კალთათა. არიან შენობა-დაბნები ვენახ-ხილიანნი. უძეს იორისკენ სახვნელნი ველნი და უკან მთა ტყიანი. უწყლო. მოსახლენი არიან მთავარნი, აზნაურნი, გლეხნი. ადგილი ნაყოფიერებით აღმკული, გარნა წყლისათჳს შემჭირნობს, თჳნიერ წყაროთა, დაბნებთა შინა უსაკმაროებით. ვინათგან არა აქუს მთას მდინარე. ვერარით რწყვენ ველთა. არამედ არს აქა პირუტყვეთა სიმრავლე: ცხოვარნი, ცხენი. ძროხა. კანბეჩი, ვირი. ხოლო მანავის დასავლით არს ჴევი [[გიორგიწმიდისა]]; გამოსდის შუამთას და დის ჩდილოდამ სამხრით. ამან მოიგო სახელი, ოდეს შესწირეს გარეჯის უდაბნოს დაბნები ესე, უწოდეს საგა-

რუჯი. ამის დასავლით ერთვის იორს [[ნი]]ნოწმიდისჴევი. გამოსდის მასვე მთას და მოდის ეგრეთვე. ამ ჴევზედ არს ნინოწმიდა, ეკლესია დიდშენი, გუნბათიანი, რომელი აღაშენა გორგასალ და დასვა ეპისკოპოზი, და ზის აწამდე, მწყემსი ამ ქვეყნისა ქისიყადმდე.

ამის სამჴრით და იორის მდინარისა არს გარეჯის მთასა შინა, ნათლისმცემელსა და დავითგარეჯას შუა, მონასტერი ლოდი, რომელი ქმნა მამამან წმიდამან დოდომ, რომელიცა იყო ნათესავით და ქვეყნით კახი, მოწაფე დავით გარეჯელისა. და დაფლულია იგი მუნვე. და მონასტერი ესე არს, ვითარცა სხვა გარეჯის მონასტერნი აღესწერეთ. უზის წინამძღვარი. ხოლო კვალად ნინოწმიდას ზეით ერთვის იორს სამებისჴევი, ეგრეთვე გამომდინარე და მომდინარე, ვითარცა წინათნი ჴევნი. და ამის შესართავზედ, ხაშმს, ყვეს მონასტერი და ციხე ნათლისმცემლის მონოზონთა. ამას ზეით, ამ ჴევზედ, არს ეკლესია დიდშენი, გუნბათიანი, სამებისა. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ამას ზეითის ქვეყნისა ერწომდე (და იტყვის გარეჯის უდაბნოსა თჳსად). ესევე ჴევი არს საზღვარი ჰერეთისა და კახეთისა. /ამ ჴევზედ არს ციხე ვერენისა, მაგარი, და გარდავალს გზა შიგნით კახეთს შუამთაზედ/. კვალად ამ ჴევს ზეით არს, იორსა ზედა, უჯარმა, ორთა მთათა შორის კახეთისა და კუხეთისასა, რომელი აღაშენა კგ მეფემან საურმაგ, ციხე-ქალაქი. და კვალად განაახლა გორგასალ და ყო სიმაგრე და ქალაქი დიდი. არამედ აწ არს დაბა, რამეთუ განყოფისა სამეფოთა მოოჴრდა.

ერწოსათჳს[356]

უჯარმას ზეით, ჩრდილოთ, და იორის აღმოსავლით არს ბოჭორმა ციხე. და ბოჭორმიდამ უჯარმამდე არს ჴეობა ფრიად მაგარი, მთოვანი, კლდოვანი, ძველად შენობიან-ეკლესიანი. ხოლო ბოჭორმა აღაშენა ცოლმა ქართლოსისამან და უწოდა დედაციხე. ესე არს მაღალს კლდესა ზედა. გამოდის ციხესა შინა წყარო. არს შენობა დიდი და მაგარი (ესე არს, რომელი წილად ხედა კახოსს და შენებასა ჩელეთისასა მისცა კუხოს{ს}, და შეეწია კუხოს შენებასა ჩელეთისასა კახოსს). შემდგომად უწოდეს ვეჭორმა, ესე იგი არს: „ვეჭ, ორმა ძმამ [[ცილება ყვეს ამ ციხესა ზედა“]]. მერმე უწოდეს ბოჭორმა. ხოლო ბოჭორმას ზეით ერთვის იორს დასავლეთიდამ ერწოსწყალი[357]. გამოსდის ხერკისა და ერწო-თიანეთის შუას მთას და მოდის აღმოსავლეთ-სამჴრეთს შუა. ამ წყალზედ არს მონასტერი მცირე, შვენიერი, შვენიერს ადგილს და აწ ხუცის ამარ. და არს ჴეობა ესე იმიერ და ამიერ შენობა-დაბნებიანი. კვალად ამავე წყლის შესართავს ზეით, იორის პირზედ, არს, აღმოსავლით კერძ, ქალეთი, შენობა დიდი და შემუსვრილი.

ჰგონებთ ამას ჩილეთიდ. რომელი აღაშენა კახოს ქალაქი, რომელსა პირველ ბერ ერქუა. შემდგომად გორგასალ აღაშენა ეკლესია კეთილშუენიერი, გუნბათიანი და დასუა ეპისკოპოზი, მწყემსი ერწო-თიანეთისა, ფშავ-ჴევსურისა და ჴერკისა. ხოლო ქალაქის ზეით მოვიწროებულის იორი ხერკის მთიდამ წარმოსრულის მცირეს მთით. და ამას ქვ{ე}ით ბოჭორმამდე არს ერწო და მზღვრის: აღმოსავლით მთა კახეთისა, საყდრიონსა და მას შორისი; სამხრით მთა კუხეთისა, იალინოდა{მ} წამოსრული უჯარმამდე; ჩრდილოთ მთა მცირე, თიანეთისა და მას შორისი, ხერკის მთიდამ წარმოსრული; დასავლით მთა ხერკისა.

თიანეთისათვის[359]

ხოლო კვალად ქალაქის ზეით იორს მოერთვის თიანეთისწყალი[358]. რომელი გამოსდის თვალივს ქვეით ხერკის მთას და აწ თიანეთისას. და მოდის აღმოსავლეთის-სამხრეთ შუა. და მოერთვის იორს დასავლეთიდამ. ხოლო ამ წყლის სათავისა და საშიშის თვალივს იქით, თეთრის არაგვის 175 მჭვრეტად არს ხარჭაშოს ეკლესია გუნბათიანი, კეთილშენი, ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ერწო-თიანეთისა, ფშავ-ჴევსურისა და თუშეთისა, რამეთუ შემუსრვასა ჩილეთისასა მოსცვალეს აქა /ანუ ეს არს ჩილეთი/[•] კვალად ამ თიანეთისწყლის შესართავს ზეით, იორზედვე, არს მთაში ციხე ოჩანისა, მაგარი და შუვალი. და შენი არს ორთა მდინარეთა შორის. ხოლო ეწოდების თიანეთი ვიდრე ერწოს საზღვრამდე. და არს შენობიანი და დაბნებიანი. და მზღვრის ამას: აღმოსავლით ამასა და კვეტერა-პანკის შორისი მთა; სამხრით ერწოს საზღვარი, და ნოკორნისა და ბოკოწნის[360] შორისი გორა, ხერკის მთიდამ არაგვამდე მისრული; არამედ ამას ზეითი ჟინვანამდე იყო ხერკისა ძველად, ხოლო აწ თიანეთისა; ჩრდილოთ ფშავსა და ამას შორისი მთა; დასავლით შავი და თეთრი არაგვი. გარნა სახელი ეწოდა თიანეთს, ვინადგან არს ძველივე, ეგონებთ, ძეთაგან კახოსისათა.

არამედ არიან ორნივე მთანი უვენახონი, უხილონი, გარნა ნაყოფიერი, პირუტყვიანი, ნადირიანი, ბალახოვან-ყვავილოვანი, წყაროიანი, ვითარცა თრიალეთი, თვნიერ სიმცირისა. ხოლო ამ იორის მდინარესა შინა, უჯარმას ზეით, არს უმეტეს კალმახი და მრავალნი, და მას ქვეით სხვა თევზნიცა და არა ეგოდენ მრავალი, მდინარის სიმცირისათვის. ხოლო კვალად ხარჭაშოს, საშიშს დასავლით, დის თეთრის არაგვის მდინარე. ესე გამოსდის ძურძუკ-ფშავს შორისს კავკასსა და მოდის ჩრდილოდამ სამხრით, და მოერთვის ჟინვანს აღმოსავლიდამ შავს არაგვს.

[•] სტრიქონის ზემოთ დაწერილი ეს სიტყვები ფრჩხილებშია ჩასმული.

ჴევსურეთისათჳს[161]

ამ ქინვანს ზეით და ხარჭაშოს ზეით მოერთვის თეთრს არაგვს ჴევსურეთისწყალი. გამოსდის ესე ძურძუკისა და ამას შორისს მთას კავკასს, მოდის ჩრდილოდამ სამჴრით. ამას მოერთვის ჴევნი იმიერ და ამიერ. და განჰყოფს[*] ჴევსურეთს: აღმოსავლით კავკასი<ი>დამ ჩამოსული მთა სამჴრეთად, ამასა და ფშავს შორისი; სამჴრით ფშავის საზღვარი; ჩრდილოთ კავკასი, ამასა და ძურძუკს შორისი; დასავლით კავკასიდამ ჩამოსული სამჴრეთად მთა, ამასა და გუდამაყარს შორისი.

ფშავისათჳს

ხოლო ჴევსურეთის აღმოსავლის მთას იქით არს ფშავი[162] რომელსა შუაში უდის თეთრი არაგვი და მოერთვიან ჴევნი აღმოსავლით დასავლეთიდამ. აქ ფშავსა შინა არს ეკლესია მეფის ლაშასაგან აღშენებული, რომელსა შინა არიან მრავალნი ხატნი და ჯვარნი ოქრო-ვერცხლისანი, ჭურჭელნი და წიგნნი, და უწოდებენ ლაშას ჯვარს, და აქუთ სასოება მას ზედა ფრიად, რამეთუ ვერც ფშავი, ვერც ჴევსური, უკეთუ იშოვნოს ოქრო ანუ ვერცხლი, ვერარაიდ იხმარებენ თავისად, არამედ მიუძღვნის ლაშას ჯვარსა. და არიან ესენი სარწმუნოებითა და ენითა ქართულითა. გარნა აქუსთ სასოება ქადაგსა ზედა, რომელი წარმოდგების კაცი უცები და ვითარცა ხელქმნილი, და ღაღადებს მრავალსა მაგიერად წმიდის გიორგისა, და რასა იგი იტყვის, სთნავთ და ჯერ იჩენენ უმეტეს ჭეშმარიტებისასა. და არიან ყოვლითა, ვითარცა მთიულნი აღვსწერეთ. არამედ ესენი ვერად ქებულნი ბრძოლასა შინა, და უფროსად ჴევსურნი, და უმეტეს ბრიყვნი მთიულთაგან, და უზნეონი, მებატონეთა თჳსთა ერდგულნი. და ვინაიდგან ფრიად მაგარ არს ქვეყანა ესე და უბრძოლველი მთითა, და კლდითა, და ტყითა, ამისთჳს იმყოფიან მშვიდად და სიმწირისათჳს მონებენ ვისცა უპყრავსთ თიანეთი, რამეთუ იზრდებიან მუნიდამ.

ხოლო მზღვრის ფშავს: აღმოსავლით მთა კავკასი<ი>დამ ჩამოსული; სამჴრით კავკასივე, ამასა და მახვილოსჴევს შორისი; სამჴრით მთა, ამასა და თიანეთს შორისი; ჩრდილოთ კავკასი, ამასა და ღლიღვს შორისი; დასავლით მთა, კავკასიდამ ჩამოსული სამჴრით, ამასა და ჴევსურეთს შორისი. არამედ ძველად ეწოდა ამ ორთა ჴეობათა ფხოველნი, და აწ უწოდებენ ესრეთ. გარნა სდებენ ამათ გამო კახნი ძურძუკეთა, ღლიღუთა და ქისტთა თავისად. გარნა მათ არა უწყიან ესე მიერ ჟამით, ოდეს განდგნე{ნ}. ხოლო ქინვანი არს შავისა და თეთრის არაგვის შესაკრებ{ე}ლის შორის ციხე შენი და მაგარი, და იყო ქალაქი და აწ უქმ არს.

---

[*] ეს სიტყვა ლუდანში გამეორებულია და გადაშლილია ტექსტისავე ხელით.

დანარჩომი თიანეთისათჳს, არამედ პირველ იყო კუხეთი

და ამ ყინვანს ქვეით ერთვის შავს არაგვს ჴევი ბოდავისა. გამოსდის წინჴსენებულს ხერკის მთას და აწ თიანეთისას. მიდის აღმოსავლეთიდამ დასავლეთად. ბოდავს[163] არს მონასტერი გუნბათიანი, დიდშენი. შვენიერს ადგილს და აწ ცარიელი. ამას ქვეით ერთვის არაგვსვე წირდალისჴევი. გამომდინარე მისვე მთისა და მომდინარე ეგრეთვე. ამას ქვეით ერთვის არაგვს ნოკორნისჴევი. გამომდინარ-მომდინარი მისვე მთისა ეგრეთვე. ამის თავს არს ნოკორნა, მონასტერი გუნბათიანი, ქვითილშენი, დიდი. ესე აღაშენა მდ მეფემან არჩილ და ყო მონასტერად. შემდგომად წამებისა მისისა, ცოლმან მისმან დაფლა წმიდა გვამი მისი მუნ. არამედ ბოკოწნისჴევს და ამ ჴევს შორის ჩამოვალს მცირე მთა, წინათქმულის მთიდამ, დასავლეთად. ეს მთა არს თიანეთისა და ხერკის საზღვარი, და აქამდე აწ უწოდებენ თიანეთს, გარნა პირველ იყო ყინვანამდე წილი კუხოსისა.

ხერკისა და საგურამოსათჳს

ხოლო ბოკოწნისჴევი ერთვის ჯილაურს არაგვს. გამოსდის ერწოსა და მის შორისს მთას, მოდის აღმოსავლეთიდამ დასავლეთად. ამას ქვეით ერთვის არაგვს ხერკისჴევი[164] ანუ თეზმისჴევი. გამოსდის კუხეთის მთას ანუ იალონს, მოდის დასავლეთად. ხოლო ამის შესართავსა და ნარეკვავის შესართავს ქვეით არს, არაგვის დასავლით, მთა სარკინეთისა და, აღმოსავლით, მთა მაღალი კუხეთისა, გაკუეთილი არაგვით. ორნი ესე მთანი პირისპირ მდებარენი და მერმე იალონად წოდებული ამისთჳს, რამეთუ, თუცა მას მთასა ზედა არს მცირეცა დრუბელი ანუ ნისლი, არა იქმნების. თუმცა არა აღმოვიდეს ფიცხელი ქარი დიდი[165]. ამ მთის თხემსა ზედა, მჭვრეტელი არაგვისა, მუხრანისა, ხერკისა, მცხეთისა და ტფილისისა, აღაშენა ციხე დ მეფემან ფარნაჯომ და აღმართა მუნ კერპი ზადენი, და ამითი ეწოდა მთასა ამას ზედაზადენი. შემდგომად იგ მამათაგანმან მამამან იოვანემ ჰყო აქა მონასტერი და ეკლესია სადგურად თჳსად. და დაფლულ არს მუნვე. ამ ეკლესიის კამარიდამ სწვეთს წყალი. და უდგს ქვემორ ავაზანი ქვისა, და შეიკრიბვის მას შინა, არა გარდმოედინების და არცა აღმოევსებით მოაკლდების, უკეთუ აღმოიღო რითიმე, და ჰკურნებს სენთაცა.

ხოლო მთა ესე კუხეთისა ანუ ზედაძნისა წარვალს აღმოსავლეთად და შეერთბამდების ერწოს მთასა, რომელი არს ხერკისა. და არს ამათ შორის ხერკი, არამედ აწ საგურამო ანუ თეზმისჴევი. აქვს ხერკს: აღმოსავლით მთა ერწოსა და ამას შორისი; სამჴრით მთა ზედაძნისა; ჩრდილოთ ნოკორნა-ბოკოწანს შორისი გორანი, ჩამოსული თიანეთის მთიდამ არაგვამდე; დასავლით არაგვი. ხოლო მთა ზედაძნისა წარვალს უჯარმამდე და მიეალს, და დამდაბლდების

ხირაუკს. აღმოსავლით აქუს ამ მთას ერწო, დასავლით
176 გრდანი. ხოლო ზედაძნის | მთას უძეს სამჴრით გრდანი და ჩრდილოთ ხერკი, და არს ტყიანი მთა ესე და ნადირიანი. მცირე წყლიან-მდინარიანი. კვალად ზედაძნის სამჴრით არს, ამავე მთის განკიდულს გორასა ზედა, მცხეთის პირისპირ, აღმოსავლით, არაგვის კიდესა, მაღალს კლდესა ზედა ჯვარის მონასტერი, კეთილი, დიდშენი. აქ დაასვენა წმიდამან ნინომ ჯვარი, სვეტისაგან გამოკვეთილი. შემდგომად გურამ კურაპალატმან, ღთ მეუფემან, იწყო ეკლესია, ვინათგან აქამდე ჯვარ{ი} უეკლესიოდ ესვენა. და ძემან მისმან დიმიტრიმ შეასრულა. ზის არქიმანდრიტი. ამის დასავლით, მუნვე კლდესა შინა, დის წყარო წმიდის ნინოსაგან. სასმისად კეთილი და ჰკურნებს სენთა. და არს გარემონი მისნი მღაშე და მწარენი, და იგი ფრიად ტკბილი.

ამას ქვეით, გრდანამდე, არს ველი მთასა და მტკვარს შორისი. და არს ლაზნებნი მთასა შინა მცირე წყაროთი. უვენახო, უხილო. ხოლო ჴეობა გრდანისა და მდინარე მისი გამოსდის ზედაძნის შესართავს ერწოს მთას, დის გრდანამდე ჩრდილოდამ სამჴრით, მერმე აღმოსავლიდამ დასავლეთად და მიერთვის ავჭალას აღმოსავლიდამ მტკვარსა. ავჭალა[166] არს მტკვრის კიდესა ზედა, სანადირო კეთილი. ამ ავჭალის ბოლოს არს ჴევძმარი. ჩამოვარდების მშრალი ჴევი ქვიტკირის ლილოდამ მტკვრამდე. და ესე არს საზღვარი აწინდელი ქართლ-კახეთისა. აქამდე უწოდებენ საგურამო{ს} სერკითურთ გურამიანთ გამო. გარნა არს ესე საგურამო ნაყოფიერი ხილით, ვენახით, მარცვლით, თვნიერ ბრინჯ-ბამბისა, პირუტყვითა, ნადირითა, ფრინველითა, ტყითა, ველითა და მთით შემკობილი. არამედ არ აკეთებენ აბრეშუმს აქა. განჰყოფს გრდანს: აღმოსავლით ერწოს მთა; სამჴრით ჴევძმარი, ლილო, მარტყოფი; ჩრდილოთ მთა იალონი; დასავლით მტკვარი და არაგვი.

მარტყოფისათჳს

ხოლო ამას ქვეით, ლილოს მთისა და კუხეთის მთის შორის, არს მარტყოფი. გამოსდის წყალი მისი ამასვე მთას. საცხენისისჴევამდე — მარტყოფისა. ხოლო მას ქვეით მტკვრამდე უწოდებენ აწ ლოჭინსა. არამედ ძველად ეწოდა იმანისჴევი. ხოლო მოერთვის ამას ლილოს მთის წყარო დასავლეთიდამ. და ამას ქვეით ერთვის ამავ მარტყოფისწყალს ჴევი, გამომდინარე კუხეთის მთისა. მომდინარე აღმოსავლიდამ დასავლეთად. ამ ჴევსა ზედა არს სამჴრით ეკლესია /ღვთაებისა/. გუნბათიანი, დიდშენი. გარ ზღუდე-გოდლოსანი, მგზავსი ციხისა. კეთილს შვენიერს ადგილს. აქ დაადგრა იგ მამათაგანი ანტონი და ჰყო მონასტრად ესე, ხოლო თვით მცირედ განშორებით ქვაბსა შინა მყოფობდა მარტოდ. და მით ეწოდა ადგილსა ამას მარტომყოფი და აწ

მარტყოფი. ხოლო შემდგომად, რაჟამს მოოჴრდა რუსთავი[167], მენებური ეპისკოპოზი მოსცვალეს აქა, და ზის აწამდე. და არა შეუცვალეს სახელი, არამედ იგივეს რუსთველს უწოდებენ. მწყემსი არს მარტყოფ-საგურამო-ხერკისა. არამედ აწ აქუსცა დროშა სასპასპეტო; და არიან ამის სასპასპეტოსანი გარეთ კახეთი ქისიყამდე და მარტყოფ-საგურამო. და არს მემარცხნე ბრძოლასა. ამ ჴევს ქვეით ერთვის ჭოტორისჴევი, გამომდინარე უჯარმისა და ამას შორისის კუხეთის მთისა. და მომდინარე დასავლით. ამ ჴევს ქვეით ერთვის საცხენისისჴევი, მისვე მთის გამომდინარე და ეგრეთ მომდინარე.

არამედ არს ესე მარტყოფი ვენაჴოვანი, ხილიანი და ყოველითა, ვითარცა საგურამო. {ჰ}ავითა მშვენი. ხოლო საცხენისის და ლოჭინის სამჴრით არს სამგორის ველი და ჩალიჲარი. და სამგორს უწოდებენ სამის გორისათჳს, რომელი არს ველსა[168] სწორესა ზედა, ბალახოვანი და უწყლო სათისჭალამდე და გარეჯის მთამდე. სათისჭალის ზეით, კუხეთის მთის კალთას, არს ხორაუგი. კვალად სამგორს აქუს დასავლით ჩალიჲარი და აღმოსავლით კუხეთი{ს} მთა; და ხორაუგიდამ დამდაბლდების კუხეთის მთა და მიეალს გარეჯის მთამდე. ხოლო ხორაუგის აღმოსავლით დის იორის მდინარე, ვითარცა აღვსწერეთ.

კაკისა და ელისენისათჳს

ხოლო აწ კვალად ვიწყებთ ალაზნის შესართავიდამ. სად არს ხორანთა, მას ქვეით დიდს ალაზანს მოერთვის გიშისწყალი, რომელი გამოსდის კავკასს, კულმუხსა და ჰერეთს შორისს, და მოდის გიშამდე ჩრდილოდამ სამჴრით, მერმე აღმოსავლიდამ დასავლით. არამედ გიში არს მთის ძირს, რომელი იყო საერისთო წუქეთისა, და ეკლესია დიდი, გუნბათიანი, და იჯდაცა ეპისკოპოზი, მწყემსი ელისენისა, წუქეთისა და შაკიხისა, არამედ მიუხუნა შააბაზ კახეთს და ჰყო სასულტნოდ, და ამას ეწოდა წუქეთი, და აწ უწოდებენ ალისსულთნად. კვალად გიშისწყლის შესართავს ზეით, ამ გიშისწყალს მოერთვის ჩრდილოდამ ქურმუხისწყალი; გამოსდის მასვე კავკასსა და მოდის ჩრდილოდამ სამჴრით. ამ წყალზედ არს ქურმუხი, სიმაგრე დიდშენი. და აწ სახლი ალის-სულთნისა (იტყვიან მიეიდა ეახახისშვილი წინაშე შა{ა}ბაზისა ქრისტესსა ჩფპზ. ქარ. სოე, გამოჰმადიანდა და, მოსლვასა ერევანს, მიუღო ალექსანდრეს და დასვა სულტნად იგივე აქა).

კვალად ხორანთას ზეით ალაზანს ერთვის წყალი ფიფინეთისა; გამოსდის იმასვე კავკასს, მოდის ფიფინეთამდე ჩრდილოდამ სამჴრით, მერმე აღმოსავლიდამ დასავლით, მერმე ჩრდილოდამ სამჴრით. ხოლო მთის ძირს არს ფიფინეთი, სად დასხნა ე მეფემან ლევან ლეკნი, რათა უზიდონ ზაფხ-

ულს კავკასი<ი>დამ ყინული, და იყო არჩილამდე ეგრეთ. შემდგომად იწოდა ჭარი. და ყვეს სიმაგრე, და იქმნენ სახელოვან ბრძოლათა შინა. აქ, ჭარს ზეით, არს მონასტერი გუნბათიანი, კეთილშენი, კარგს ადგილს, არამედ მ{ა}თ გამოუქმი, ხოლო ამ წყლის შესართავს ზეით არს ალაზანი ყურელ და ყურელ, და მომდინარე მომგრგვალეით, და დაუტევებს შიგნით ადგილსა დიდსა, ვითარცა კარით შესავალსა. და მორტყმულ არს წყლითა. ამ ადგილს უწოდებენ მოსაბრუნს[169]. აქ, ჭარის პირისპირ და ყარაღაჯის ბოლოს, ადაშენეს ხანთა სასახლენი დიდშენნი, არამედ აწ არს ოჴერ.

ამას ზეით, ბოეთანს[170], ერთვის ალაზანს ბელაქნისწყალი. ამ წყალსა და გიშისწყალს შორისი, ალაზნამდე და კავკასამდე, არს ელისენი, არამედ აწ ქურმუხს აქეთი.

და არს ადგილი ესე ფრიად ნაყოფიერი ყოვლითა მარცვლითა, ვენახ-ხილითა. რამეთუ ტყენიცა სავსე არიან ხილითა. ნადირნი. პირუტყვნი. ფრინველნი მრავალნი. აბრეშუმი. ბრინჯი. ბანბა მრავლად. გარნა ჰავითა ცხელი, ხაშმიანი ზაფხულს. არამედ მთის კერძნი კეთილაგარაკოვანნი და მშვენნი. ხოლო ზამთარს კეთილჰაოვანი. თბილი, უთოვლო. უყინულო. მზღვრის ელისენს აღმოსავლით მთა კავკასი. კულმუხსა და მის შორის; სამჴრით ალისსულტნის საზღვარი; ჩრდილოთ წყალი ბელაქნისა; დასავლით ალაზანი. ხოლო ბელაქნისწყალი გამოსდის ხუნზახსა და ამას შორისს კავკასს. მოდის აღმოსავლიდამ დასავლეთად. აქ, მთის კალთას, არს ციხე მაკაბელი და სასახლე მეფეთა, რომელსა ეწოდა პირველ ნოხპატი. აქ ადაშენა მდ მეფემან არჩილ 177 ციხე და ეკლესია შვენიერი. უგუნბათო, და არს აწცა. ამ წყალს ამ ციხესთან მოერთვის სხვა ჴევი, ეგრეთვე გამომდინარე და მომდინარე. და არს ადგილი ესე ფრიად კეთილი აგარაკი და მაგარი. აწინდელთა ჟამთა დაუშენნენ ჭარელნი. გარნა მოსრნა იგინიცა შანადირ. და აწ ოჴერ არს.

ყარაღაჯისა და ქისიყისათჳს[171]

ხოლო ბოეთნის პირისპირ და ალაზნის დასავლით არს ყარაღაჯი. სასახლე. რომელი ყვეს ხანთა, ვითარცა მცირე ქალაქი, და შემდგომად ოსმალთა ამ ჟამთა /ჰყვეს/ ციხე. და აწ ჯერეთ ოჴერ არს. კვალად ყარაღაჯის სამჴრით, ალაზნის კიდურთა ზედა, ასტყდების კმოდე და მივალს ვიდრე ხორანთამდე. და არს ალაზნისკენ მცირეტყიანი და ბალახიანი, და აღვსილი ნადირითა დიდ-მცირეთი. და კმოდეს ზეით არს ველი ხორანთიდამ ქისიყამდე. წოდებული კმოდეს ქვეით. ალაზნისკენ. წინამძღორი, ხოლო ზეით. ყარაღაჯითური. უფალარი. და არს ესე სანადირო კეთილი. გარნა ყოფილ არსცა ძველად შენობა ლაპნებისა. არამედ შემდგომად ბერქას გამოსვლისა ოჴერ არს. კვალად ყოფილ არიან ალაზნის მოსაბრუნთა შინა ძველად შენობა ქრის-

ტჳანეთა. და შემდგომად დასხნეს ელნი. და უმეტეს ხანთა — ელი ფადარი, დიდი, მრავალი. გარნა იგიცა აჰყარა შანადირ იორის პირის ელითურთ.

ხოლო ყარაღაჯის სამჴრით, სადაცა დასწყდების ჰერეთის მთა ანუ ცივის მთა, მუნ არს ხორნაბუჯი, და აწ უწოდებენ ჭოეთს. აქ, კლდესა ზედა, შენი არს ციხე მაგარი. და იყოცა ქალაქი კარგი. ესეცა ბერქას გამოსლვასა მოოჴრდა. ხორნაბუჯის დასავლით არს ბოდბისჴევი, პირველ წოდებული ბოდა, გამომდინარე ცივის მთისა; მოდის ჩდილოდამ სამჴრით და ვერ მდინარებს ველსა ზედა სიმცირით. ამ ჴევსა ზედა არს ბოდბეს ეკლესია გუნბათიანი, დიდშენი, შვენიერი. აქ მიიცვალა წმიდა ნინო და დაეფლა აქავე. აღაშენა და შეამკო საფლავი მისი და ეკლესია კე მეფემან ბაქარ. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ქისიყისა და ვიდრე კონდოლამდე. აქუს სასპასპეტო დროშაცა, და არიან სადროშონი მისნი ქისიყით კონდოლამდე და მანავამდე. და არს ბრძოლასა მეწინავე. ბოდბელი არს პირველი ეპისკოპოზი კახეთისა, პატივისათჳს წმიდის ნინოსა. ბოდბეს ზეით, ამ ჴევზედ, არს მაღაროს სასახლე მეფეთა საზაფხულოდ. ამავ ბოდბის დასავლით არს ლაკბისჴევი. მისვე მთის გამომდინარე და ეგრეთვე მომდინარე, და ვერცადა ეს მდინარებს ველსა ზედა. კვალად ხორნაბუჯის ჩდილოთ არს ხირსას მონასტერი, რომელი ჰყო იგ მამათაგანმან წმიდამან სტეფანემ. დიდ-კეთილშენი. დაფლულ არს მუნვე წმიდა სტეფანე. ზის წინამძღვარი.

არამედ საქვაბე-ასანურამდე არს ადგილი ქისიყისა, რომელი მოხვევია მთასა, ცივის მთიდამ ჩამოსულსა. ამას ეწოდა პირველ კანბეჩოვანი[372], კანბეჩთა სიმრავლისათჳს, შემდგომად ქისიყი უსაქციელობისათჳს — „მქის იყო". არამედ არიან კაცნი მბრძოლნი, მჴნენი, აჴოვანნი, შემმართებელნი, მაგარნი, მიმყოლნი ურთიერთთა. და უძეს ქისიყს აღმოსავლით ველი შირაქი ალაზნამდე; სამჴრით — უფადარი და წინამინდორი ხორანთა-იორამდე; ჩდილოთ მთა ჰერეთისა. ხოლო მზღვრის აღმოსავლით ალაზანი; დასავლით ლაკბისჴევი და ხაზი მისი იორამდე გასული; სამჴრით იორი ანუ მტკვარი; ჩდილოთ მთა ცივისა, კარდანეხსა და ქისიყს შორისი, და ხაზი ასანურ-საქვაბეს შორის გასული ალაზნამდე.

გაღმა მჴრისა[373] და შიგნით კახეთისათჳს[375]

ხოლო კვალად ბელაქნისწყლის შესართავს ზეით მოერთვის ალაზანს მაწისწყალი, გამოსდის ხუნზახსა და ამას შორისს კავკასს, მოდის ჩდილო-აღმოსავლეთს შუადამ დასავლით-სამჴრეთს შუა. ამ ჴევზედ არს, მთასა შინა, თოლა[374], სასახლე მეფეთა, ფრიად მშვენიერი ზაფხულს. ამას ეწოდა მაჭი. აქ ეკრების ჴევი სხვა, მოდის აღმოსავლიდამ დასავლეთად, გამომდინარე მისვე კავკასიდამ. ამ ჴეობათა

ჩელა ყოფილა შენობა, კაცთა სიმრავლითი, არამედ შემდგომად შააბაზისა ლეკთა მიერ ოჴერ არიან. ამ მაწისწყლის ჩრდილოთ არს ველსა ზედა ციხე ტრაწყალისა[176] და აწ უქმი. ამას ზეით, ჩრდილოთ კერძ, ველსა ზედა, ციხე ლაკვათისა[177], მღ მეფის არჩილისაგან ქმნული, და აწ ლაგოეთად წოდებული, მაგარი, დიდშენი, გარნა აწ ოჴერი. /ამან მეფემანვე აღაშენა საძმორის ციხე და ეკლესია/. კვალად მაწისწყლისა და ამ ციხეთ ზეით მოერთვის ალაზანს ნეინისწყალი; გამოსდის ლეკეთისა და ამას შორის კავკასსა, და მოდის აღმოსავლიდამ დასავლეთად, და ველსა ზედა ფრიად გრეხით. ამ წყალზედ არს ჭიაური[178] და ქვაბლოვანი. ამას ზეით მოერთვის ალაზანს დასავლეთიდამ კარდანეხისწყალი, გამოსდის პერეთისას ანუ ციეის მთას, მოდის დასავლეთიდამ აღმოსავლად. ხოლო ნეინისწყლის ზეით, ჩრდილოთ კერძ, ველსა ზედა, არს ციხე კართუბნისა და აწ ცალიერი. მას ზეით, ჩრდილოთკენ, ველსა ზედა, გორისწყლის ციხე და აწ უქმი. ამათ ზეით ერთვის ალაზანს ბელიყრისწყალი[179] გამოსდის კავკასის კალთას, დის ჩრდილოთ-აღმოსავლის შუადამ, მოდის დასავლეთის-სამჴრეთს შუა. ამაზედ არს სტეფანწმიდა, მონასტერი, მამათაგან ანუ წმიდის ეფთვიმესაგან აღშენებული. ხოლო ამ წყლის შესართავის ალაზნის დასავლით, ციეით მთის ძირს, არს ვეჯინი. მას ზეით, მთის კალთას, კლდესა ზედა, არს ციხე შენი მაგარი და დიდგებული, შიგ გამომდინარე წყაროთი და ეკლესიით. კვალად ალაზანს ერთვის, ბელიყრისწყლის შესართავს ზეით, გავაზისწყალი; გამოსდის ამასა და დიდოეთის შორისს კავკასსა და მოდის აღმოსავლეთ ჩრდილოთ შუადამ სამჴრით-დასავლეთის შუა. ამას ზეით მოერთვის ალაზანს ყვარელისწყალი[180], გამომდინარე მისვე კავკასისა და მომდინარე ეგრეთვე.

ამ წყალზედ, ყვარელს ზეით მთასა შინა, არს ნეკრესი. დ მეფის ფარნაჯომისაგან აღშენებული ქალაქი იყო. შემდგომად მეფემან თრდატ აღაშენა ეკლესია დიდშენი, გუნბათიანი. აქა დაადგრა წმიდა აბიბოს, იგ მამათაგანი, და იქმნა იგი ეპისკოპოზ, მწყემსი გალმა მჴრისა დიდოსურთ. ამან მოაქცივნა უმრავლესნი მთიულნი; ესვე ეწამა სპარსთაგან, ეითარცა მოგვითხრობს მეტაფრასი, და დაფლულ არს სამთავროს. და არს აწცა საეპისკოპოზო, და ზის ეპისკოპოზი. არამედ არღარა არს ქალაქი. ამასვე აქვს დროშა სასპასპეტო, და არიან სადროშონი მისნი გალმა მჴარნი ელისენით და მემარჯვენე. ხოლო კვალად ყვარელისწყლის შესართავს ზეით ალაზანსვე ერთვის ჩელთისწყალი, გამომდინარე მისვე კავკასისა და მომდინარე ეგრეთვე. ხოლო ამის შესართავის პირისპირ, მცირეთ ზემორ, დასავლეთიდამ მოერთვის ჭერე-

მისწყალი, გამომდინარე ციეის მთისა და მომდინარე ჭერემამდე ჩრდილოთ-დასავლეთის შუადამ აღმოსავლეთის-სამჴრეთის შუა, მერმე დასავლეთის-სამჴრეთის შუადამ აღმოსავლეთ-ჩრდილოთ შორის. | 178 ამ წყალსა ზედა არს, ალაზნის დასავლით, ველსა ზედა, ველისციხე, და აწ უქმი. ამავ წყალზედ არს, ციესა ანუ ქერეთის მთის საშუალსა, ჭერემი; იყო ქალაქი, სადაცა აღაშენა გორგასალ ეკლესია დიდშენი, გუნბათიანი და ქალაქი მაგარი, და დასვა ეპისკოპოზი, მწყემსი შიგნით კახეთისა, და ზის დღესცა. ხოლო ამ ჭერამის სამჴრით, მთას იქით, არს მანავი; კვალად ჭერემს-ვეჯინს შუა და ვეჯინის ჩრდილოთ, მთის კალთას, არს ახტალა[381], რომელსა იტყვიან ნასოფლარსა და რისხვით დანთქმულსა. აღმოდის კუპრი, ვითარცა მდუღარე და აღმოაქვს ქამად კოვზი, ჯამი და სახმარნი გლეხთა. ხოლო კვალად ჩელთისწყალს ზეით ალაზანს ერთვის საბუე-გრემისწყალი[382], გამომდინარე დიდოეთისა და ამას შორის კავკასს და მომდინარე, ვითარცა წინანი მდინარენი. ამ წყალზედ არს გრემი, რომელი ქმნეს ქალაქად ქრისტესსა ჩუიე, და განდგომილებისა კახთ მეპატრონეთა, და მყოფობდნენ მუნ. აწცა არს შენობა და ეკლესია შეუმუსრავი. ოდეს მოაოჴრა შააბაზ, მიერით არს დაბა და არღარა ქალაქი. აქა არს ეკლესია გუნბათიანი, კეთილშენი, მთავარანგელოზთა, და არს ე მეფე ლევან დაფლული მას შინა. ამ გრემისწყლის შესართავის პირისპირ მოერთვის ალაზანს დასავლეთიდამ აკურასჴევი, გამოსდის გონბორისა და ციეის მთას.

ამ ჴევს ზეით მოერთვის კვალად ალაზანს კისისჴევი[383], გამოსდის გონბორის მთასა, მოდის დასავლით-სამჴრეთის შუადამ ჩრდილო-სამჴრეთ[*] შუა. ამ ჴევზედ კლდეში არს ქვაბნი მრავალნი გამოკვეთილნი. აქავე ღვინო კონდოლისა წარჩინებული. ამას ზეით ერთვის ალაზანს ლოპოტისჴევის წყალი, გამოსდის თუშეთისა და მას შორის კავკასსა, მოდის [[აღმოსა]]ვლიდამ დასავლად. ამ ჴევზედ მთაში არს ლოპოტი[384], კლდე დიდი და კლდითავე მოზღუდვილი, მაგარი და უვალი მტრისაგან, რომელი დალგა მოსლვასა ყრუხასა. აქ მოერთვის ჴევი, დიდოსა და ამას შორის კავკასიდამ გამომდინარე. ამ ჴევს ერთვის კავკასიდამ გამომდინარე ჴევი. ამ ორთა ჴევთა შორის არს ლოპოტი. კვალად ამ ლოპოტისწყლის შესართავს ზეით ალაზანს მოერთვის თურდოსჴევი[385], გამომდინარე შუამთიდამ. ამ ჴევზედ არს გულგულა, რომელსა ეწოდა პირველ ტყეტბა. ეს ჴევი არს საზღვარი პერეთისა და კახეთისა. ამ ჴევის სათავეს ზეით, მთაში, არს შუამთას მონასტერი კეთილი, გუნბათიანი,

---

[*] უნდა იყოს: „ჩრდილო-აღმოსავლით“.

რომელი აღაშენა ე მეფის ლევანის ცოლმან, გურიელის ასულმან თინათინ, და დაეფლა მუნვე. ზის წინამძღვარი, და უწოდებენ მოძღვარი-მოძღვარს.

ხოლო მთა ესე ამის სამხრით ხორნაბუჯამდე არს მთა პერეთისა. თხემთა შიშველი და უტყეო, ბალახ-ყვავილოვანი, მცირე წყაროიანი, კალთათა ტყიანი და ნადირიანი. მთის ძირად კალთას. იმიერ და ამიერ, შენობა-დაბნებიანი. ვენახოვან-ხილოვან-მოსავლიანი. არამედ შუამთა ეწოდა საშუალობისათვის გზისა გარდასულთა სამებიდამ თელავს. და არს ადგილი შვენიერი, ყვავილოვანი. ამას ქვეით მთა გომბორი იწოდა უმაღლესობისათვის. და ამას ქვეით მთა ცივისა კარდანახისჴევამდე არს, ვინათგან აქვს იქით და აქათ ცხელნი ადგილნი. და მთა ესე არს მაღალი, აგარაკოვანი, ბალახოვან-ყვავილიანი, წყაროიანი და გრილი ფრიად. ხოლო გულგულას ქვეით, თურდოსჴევის სამხრით. არს თელავი, რომელი აყო კვირიკემ, პირველ გამეფებულმან კახეთს და პერეთს, სასახლე დიდი, ვითარცა ქალაქი. ხოლო მისცვალა მცირედ თ მეფემან არჩილ და განაახლა. აწცა არს სასახლე და ციხე, და მაგრობენ მას შინა. კვალად თურდოსჴევის ჩრდილოთ არს იყალთოსჴევი, გამომდინარე კახეთის მთისა და მომდინარე აღმოსავლეთად. არამედ ვერ მიერთვის ალაზანს სიმცირით. ამ ჴევზედ. კახეთის მთის კალთას, არს იყალთოს მონასტერი, კეთილშენ-გუნბათიანი. ქმნული იგ მამათაგანის წმიდის ზენონისა. და დაფლულ არს მუნვე, და წმიდა არსენცა, რომელი იყო ქვეყანით კახი. კვალად თურდოსჴევის შესართავს ზეით ალაზანს მოერთვის შტორისჴევი. გამოსდის თუშეთისა და ამას შორის კავკასსა და მოდის აღმოსავლიდამ დასავლით. თორღის ციხესთან ერთვის ამ ჴევს სხვა ჴევი, გამომდინარე მისვე კავკასისა. თორღის ციხე არს მაგარი და კლდესა ზედა ნაშენი, არამედ აწ უქმი. სად მიერთვის ეს ჴევი ალაზანს, მუნ არს ლალისყურის ციხე (ვგონებ ნახჭევნად). ამ შტორისჴევისა და თურდოსჴევის ჩრდილოთი ქვეყანა არს კახეთი, ამათ სამხრითი — პერეთი.

ამ შტორისჴევს ზეით. ალაზნის დასავლით. არს ალავერდი, კახეთის მთის კალთის ველსა ზედა. დიდშენი. ზღუდე პალატებიანი, გუნბათიანი, რომელმან მოიგო სახელი ალონის გამო, რომელ არს ალონ-ვერდს. და შემდგომად [[ყრუ]]სა უწოდეს, //ღმერთმან მომცა//, ალავერდი. აღაშენა იგ მამათაგანმან წმიდამან იოსებ და ყო მონასტერი წმიდის გიორგისა, და დაფლულ არს მუნვე. და იყო მონასტერი განდგომილებისამდე, ქრისტესსა ჩუდე, და ამათ ყვეს ეპისკოპოზი და მწყემსი თურდოსჴევს შტორს ზეით კახეთის მთად კავკასამდე. და უპირველეს კახთა ეპისკოპოზად.

დაიქცა ძჳრით. რუსტომ იწყო შენებად, არჩილ შეასრულა. კვალად დაიქცა ქრისტესსა ჩღმა ძჳრითვე. ხოლო ალავერდს ზეით ერთვის ალაზანს ახმეტასჴევი. გამოსდის კახეთის მთას, ამასა და თიანეთის შორისს, მოდის დასავლეთიდამ აღმოსავლეთად. და ახმეტის დჳინო კეთილი. კვალად ახმეტისჴევს ზეით ერთვის ალაზანს უტოსჴევი[386], გამომდინარე კახეთის მთისა, და მარილის-პანკისის შუათის მთისა, მომდინარე კვეტერის ციხემდე ჩრდილოდამ სამხრით, მერმე დასავლიდამ აღმოსავლეთად. ამ ჴევს კვეტერის ციხესთან მოერთვის სხვა ჴევი. გამომდინარე პანკისის მთისა, მომდინარე ჩრდილოდამ სამხრით. ამ ორ ჴევს შორის არს ციხე კვეტერისა, ფრიად მაგარი და დიდშენი. ხოლო უტოსჴევის შესართავის პირისპირ, ალაზნის აღმოსავლეთის კიდესა ზედა, არს ციხე ბახტრიანი[387] ანუ მაღრანისა, რომელმან მოიგო სახელი დაბნებთაგან მის გარემოსთა მყოფთა (ვგონებთ დორწობანსაც[388] ამას, ანუ ამას ზეით, მთასა შინა). ესე ყოფილ არს დიდშენი და მაგარი, გარნა აწ უქმი. ამ ციხესა და ლალისყურს შუა არს ველი ალონად წოდებული და სანადირო კეთილ ფრიად. კვალად უტოსჴევს ზეით ერთვის ალაზანს ჴევი[389], გამომდინარე პანკის-კვეტერას შორის მცირეს მთისა. ამ ჴევის სამხრით არს მარილისი. ხოლო მარილისის დასავლით მთაში არს. ქაჩალაურს, მონასტერი კეთილი და აწ ცარიელი. ამის სამხრით არს მონასტერი წმიდის მარინესი, ფრიად შვენიერკეთილნაგები. ამის დასავლით არს კვალად მონასტერი გუნბათიანი, დიდშენი. ყოვლადწმიდისა, ცხრაკარად წოდებული, შვენიერს ადგილს და აწ ხუცის ამარ.

პანკისისათჳს[390] 179

ხოლო მარელისის ჩრდილოთ ჴევი რომელი აღვსწერეთ, მის ჴევის ჩრდილოდ კერძი არს პანკისის ჴეობა, | რომლისა შორის დის ალაზანი. და აღმოსავლით აქუს პანკისს კავკასი, ამასა და თუშეთის შორისი; დასავლით მთა კახეთისა, ფშავს, თიანეთსა და ამას შორისი; ჩრდილოთ კავკასივე, დიდოესა და ამას შორისი; სამხრით ჴევი წინთქმული და მთა მცირე, კახეთის მთიდამ ჩამოსული. აღმოსავლეთად ალაზნამდე. და მერმე იქიდამ ხაზი, გასული კავკასამდე. ხოლო კახეთის მთიდამ ჩამოსულის მთის ზეით ერთვის ალაზანს ჴევი და გამოსდის კახეთის მთას, მოერთვის დასავლეთიდამ ალაზანს. ამ ჴევს ზეით ერთვის სხვა ჴევი. გამოსდის თუშეთსა და ამას შორისს კავკასსა, მოდის დასავლეთად. ამ ჴევიდამ გარდავალს გზა თუშეთს. ამ ჴევს ზეით განიყოფის ალაზანი ორად, და ამ ორთა წყალთა შუა არს ციხე ხორჯისა ანუ მახეილი,[391] მაგარი და შეუალი, არამედ აწ უქმი.

ხოლო ჴეობა პანკისისა არს ვენახოვანი, ხილიანი — დაბალნი. და მთის კერძნი, ვითარცა მთათა ადგილნი.

თევზნი — კალმახნი. ტყე ნადირიანი, მარცვალთა ნაყოფიერი, თჳნიერ ბრინჯ-ბანბისა. პირუტყვნი მრავალ, გარნა ღორი უმრავლეს. ხოლო პანკისის ჴეობის სამჴრით, ვიდრე ქისიყის საზღვრამდე, უწოდებენ შიგნით კახეთს, რომელი იმზღვრების: აღმოსავლით ალაზნის მდინარით; სამჴრით ქისიყის ხაზის საზღვრით; დასავლით პერეთისა და კახეთის მთით; ჩრდილოთ პანკისის საზღვრით. და არს ადგილი ესე ტყიანი. მცირედ ველიანი, გარნა ტყე უმეტეს ხილიანი. მცირე წყლიან-მდინარიანი, ვენახოვანი, ხილიანი, ღვინო კეთილი და კარგი. ფრინველნი, თჳნიერ დურაჯისა და კაკბისა, რომელნი ტყეთა გვარობენ. მრავალნი. პირუტყვნი. — ცხოვარი მცირედ, — სხვანი მრავლად. არამედ ღორი უმრავლეს. რამეთუ ერთ გლეხს ჰყავს ს, უ, ჩ და ც. ნადირნი მრავალნი. მოსახლენი არიან თავადნი და აზნაურნი, და არს შენობიანი მთის ძირად. კაცნი ზნით აღწერილისაებრ გულისხმა ჰყავ. ხოლო ამის აღმოსავლით არს გაღმა მჴარი, რომელსა მზღვრის: აღმოსავლით კავკასი ლეკეთისა, დიდოეთისა და თუშეთისა და ამას შორისი, სადაცა გარდავლენანცა გზანი მათ შინა გაღმა მჴრიდამ; სამხრით ელისენის საზღვარი; დასავლით ალაზნის მდინარე; ჩრდილოთ მთა კავკასი, ამასა და თუშეთს შორისი, სადაცა გარდავალს გზა თუშეთს, და საზღვარი პანკისისა. და არს ქვეყანა ესე შემკული ყოვლითა და. უმეტეს კახეთის ადგილთა, წყლითა, წყაროთი, მდინარითა, ტყითა, ველითა, სიმაგრითა, მოსავლის ნაყოფიერებითა, ვენაჴითა, ხილითა, რამეთუ ტყენიცა ხილნარითა სავსე არიან; ნადირნი, ფრინველნი, თევზნი მრავალნი. და უმეტეს კალმახი მთის კერძოდ. სახლობენ მთავარნი და აზნაურნი და არიან მჴნედ მბრძოლნი. და პერეთის ქვეყანას აკეთებენ ყოველგან აბრეშუმს, არამედ უფროს გაღმა მჴარსა შინა და უმეტეს ელისენში; ეგრეთვე ბანბასა და ბრინჯსა სთესენ. გარნა იორის პირსაცა ზედა მრავალსა სთესვენ ბრინჯ-ბამბასა.

დიდოეთისათჳს[192]

ხოლო თუშნი და დიდონი, უკეთუ არიან წილნი ლეკოსისა, არამედ შემდგომად მეფეთა ქართველთა დაპყრობილი, ვითარცა ვიხილავთ, და მოხარკენი მათნი, და უკანასკნელის განდგომილებისა, ვინადგან დავითსა ზედა დაშთნენ ნამსახურად დიდონი, და მიერითგან მორჩილებენ კახთ მებატონეთა. არამედ შემდგომად თუშეთ{ი} დაიპყრო ე მეფემან ლევან. ამისთჳს აწცა ჯერ არს აღწერად კახეთსა ზედა. ხოლო დიდოეთი არს ლოპოტისა, გრემისა, შილდაყვარელის და ჭიაურის აღმოსავლით, კავკასის მთის ჩრდილოთ კერძოსა შინა. და არს დიდოეთი ორ ჴეობად. და დის მის შორის მისივე მდინარე, რომელსა ლეკეთს ეწოდების ყოჩლუხი, და უმეტეს ვაკესა შინა. ამ ჴევის აღმოსავლეთით

არს მეორე ჴევი. და განჰყოფს ამ ორ ჴევს კავკასი მათვე შორისი. და ამისი მდინარეცა მიერთვის მის მეორეს ჴევის მდინარესა. ხოლო მზღვრის ამ ორ ჴეობას დიდოეთისასა: აღმოსავლეთით კავკასი ჰავარისა, ლეკეთისა და ამას შორისი; სამჴრით მდინარე ამისივე და კავკასი<ი>დამ ჩამოსული კავკასივე. ჩრდილოთ მდებარე; დასავლით მთა კავკასი, ამასა და გაღმა მჴარის კახეთს შორისი; ჩრდილოთ კავკასი, ამასა და თუშეთს შორისი.

და არს ქუეყანა ესე ფრიად მაგარი და შეუვალი მტერთაგან, მწირი, ვითარცა აღვსწერეთ ოსეთი, და უმეტესადცა მისსა. გარნა ესენი უბილწესნი ზნითა, ქცევითა, ჰაეროვნებითა და სახითა. ენა აქუსთ თჳსი საკუთარი. სარწმუნოებით არიან კერპნი და უმეტეს ეშმაკის მორჩილნი. რამეთუ იტყჳან, ოდეს დიდმან ალექსანდრემ შემუსრა სარკინეთი, განსხურიტეს მთა იგი ამასი, მოვიდნენ და დაეშენნენ აქა. და მიერითგან არიან მასვე რჯულსა და წესსა ზედა. ვითარცა ჩანს ქცევა-ზნითა მათითა, რამეთუ არა უწყიან სრულიად ღმერთი, არცა ნათესავი და ნათესაობა. ყოველსა სულიერსა სჭამენ. მოგვრის მამა თჳსი მცირესა ძესა თჳსსა ცოლსა და, ვიდრე აღიზრდების ძე მისი იგი მცირე, თჳთ მამა თანაეყოფის[*] აღრევითა დედაკაცსა მას; ხოლო ოდეს აღიზრდების ძე მისი, მაშინ მისცემს მას ძესა დედაკაცსა მას ცოლად და განუყოფს შვილსაცა, რომელნი უვის მის დედაკაცისა თანა შობილი მამასა. ნახევარს მისცემს ძესა, და არს ძე ძისა მისისა, და ნახევარს დაიპყრობს თჳთ, და ძმა არს ძისა მისისა, მის ქალის ქრმისა. და სხვანიცა მრავალნი უკეთურებანი არიან. უვისთ მოხუცებულნი. იგინი ბჭობენ, განარჩევენ და განაგებენ და დააწყნარებენ შფოთსა[**] ბრძოლასა შეუმართებელნი და ურგებუძლურნი არიან. ავათ მოსილნი, ავმოიარაღენი. ყოველნი სრულიად შავით მოსილნი, ეშმაკის კერპობისათჳს, შალითა და ნაბდითა. არამედ სიმაგრის გამო არიან მშვიდობით და მტერთაგან უვნოდ. ჴელოვნება უწყიანი ოსთავე მგზავსათ. და ამათი ჩოხა-ნაბადი სხვაგვარი: ჩოხა უხაო და ნაბადი ბოჭკო-მაღალი, ვითარცა ქუნთისა, გარნა შავი და არა სხვა ფერი. ხოლო ლეკის მჴარე დაიპყრნეს — რომელიმე ლეკთა და მოჰმადიან ჰყვეს, და სხვანი ჰგიეს, და არიან ეგრეთვე. და კახეთის მჴრისანი ჰყმობენ კახთა მეპატრონეთა და აძლევენ ხარკთა და არა ლაშქართა, რათა ვიდოდნენ სავაჭროდ კახეთს, ვინათგან ზიდვენ კახეთიდამ საზრდელსა, საშიშლოსა და სახმარსა თჳსთა.

---

[*] ლედანში: „თანაებოფის".

[**] ამ სიტყვის შემდეგ ლედანში გამეორებულია: „და დააწყნარებენ".

თუშეთისა-
180 თჳს

ხოლო თუშეთი[194] არს ლოპოტისა, თორღისა* და პანკისის აღმოსავლით, კავკასის მთის ჩრდილოთ კერძოთა შინა. და არს ორს ჴევად და მდებარებს ჩრდილო-დასავლეთის შუალამ აღმოსავლეთს-სამჴრეთს შორის, და უდის შორის მდინარე თჳსი, და მიერთვის სონა მდინარეს[195], რომელი განვლის ჩაჩანს და მიერთვის ბორაღანს თერგის მდინარეს. ხოლო პანკისის გარდასწორ, კავკასს იქით, არს წოვა; წოვას ქვეით გომეწარი და მის ქვეით ჩაღმა. და ჩაღმიდამ გარდავალს გზა თორღას და ლოპოტის ჴევზედ. და არიან დაბნები ესენი უმჯობესნი, და სხვანი დაბნები არიან ლზ. ამის ჩრდილოთ არს ფარსმანის თუშეთის ჴევი[196], რომელთა უძევს შორის კავკასივე. და არს ფარსმანის თუშეთს[197] დაბანი ლვ. და განჰყოფს ფარსმანსა და წოვა-გომეწარ-ჩახმაროთის ჴევთა ქისტ-ღლიღვიდამ წამოსული კავკასი[198], აღმოსავლეთ-ჩრდილოთ შუა მდებარე. და მზღვრის ორსავ თუშეთს: აღმოსავლით კავკასი ჰავარსა, ჩაჩანსა და ამას შორისი; სამჴრით კავკასი, ამასა და დიდოეთს შორისი; დასავლით მთა კავკასი, ამასა და კახეთს შორისი; ჩრდილოთ კავკასი, ამას და ღლიღვ-ქისტს შორის. არამედ არს ქვეყანა ესე ყოვლითავე, ვითარცა აღვსწერეთ ოსეთი, სიმაგრით, მოსავლით, პირუტყვით, ნაყოფიერებით და ჴულოვნებით. არამედ კახეთის თუშნი[199] ინახავენ ცხოვართა სიმრავლესა. ვინათგან აქუთ ზაფხულს თჳსთა მთათა შინა სამოვარი, და ზამთარს ჩამოელენ გაღმა მჴარსა შინა, და ამით უმეტეს მორჩილებენ კახთა.

ხოლო ფარსმანი უფროს მწირ არს, გარნა ამათ მიერ იგინიცა გამოიზრდებია{ნ} კახეთით, რამეთუ მათ მოჰყავთ და ვაჭრობენ. არამედ იგინი არა ჰყმობენ კახთა მეპატრონეთა. ხოლო ესენი მორჩილნი, მოლაშქრენი და მეხარკენი არიან; და არიან ბრძოლასა შემმართებელნი, მჴნენი, ძლიერნი, მჴედარნი წარმატებულნი და უსაქციელონი, ბრიყუნი, რამეთუ, ოდეს შობს დედაკაცი, არავინ მიეახლების, არამედ განუტევებენ შორს მარტოდ, და შობისა შემდგომად მ დღეთა მოიყვანებენ შობილითურთ. ხოლო უკეთუ ვინ მდედრი იყოს გულითა კაცთაგანი და იელტოდეს ბრძოლასა შინა, ამას აჭმევენ ძაღლთა თანა გობასა შინა ძაღლთასა და არღარა კაცთა თანა. ხოლო სარწმუნოებითა და ენითა არიან ქართულითა. აწ მწყსის ალავერდელი, მიმტაცე ხარჭაშნისა. არს ეკლესია მცირე, აღშენებული ძუელითვე, და უვისთ ხუცესნი, არამედ უმეტეს უცნობელნი ჭეშმარიტებისანი, რამეთუ აქუსთ კლდე დიდი და მაღალი, და დღესა ელია**

---

* დედანში: „თორღირა".

** ილია.

წინასწარმეტყუელისასა მივლენ და შესწირვენ მას კლდესა ცხოვარსა და ძროხასა. და თაყვანისცემენ კლდესა მას, და რა იგი ესმის კლდისა მისგან, რწამთ უმეტეს ყოველისა იგი. ხოლო რომელნი არიან მჯარეთა ქისტთა და ღლიღვთა, უწყიან ენანი უფროს მათისნი. გარნა ფარსმანის ჯევისანი[100] სარწმუნოებით და ენით შერეულნი არიან, ვითარცა ქისტნი. არა იქმნების მათ შინა სიძვა ანუ მრუშება და, უკეთუ მძლავრობს ვინმე და შეეყოს მის თანა, მოიკლავს თავს დედაკაცი იგი. და კაცსა მას მოჰკლვენ თემნი, [[და მცნობი არა ილტვის სხვათა ქვეყანასა]].

209

აღწერა აწინდელისა ოესეთისა ანუ კავკასიათა შინათა

სახელისათჳს

ქვეყანა ესე, რომელსა აღვსწერთ, წილხდომილ არს კავკასოსი, ძისა თარგამოზისა. ხოლო მოვიდა რა ორნი ესე ძმანი, ლეკანს და კავკასოს. ლეკანს დაიპყრა წილი თჳსი და, გამოსვლასა ხაზართ მეფისასა. მისცა მამის ძმისწულსა თჳსსა ხაზართ მეფემან ტყვენი რანისა და მოვაკანისა, და ლეკანის წილი ქვეყანა, და დაეშენა თჳსითა და მით მუნ. ხოლო ხოზონის, რომელი უწარჩინებულ იყო ნათესავთა ლეკანისთა, შემოვიდა მთათა შინა და აღაშენა ქალაქი. უწოდა სახელი თჳსი ხოზონხეთი და ხარკს მისცემდა ხაზართა. ხოლო კავკასოს დაიპყრა ქვეყანა ლეკანის საზღვრიდამ, ვიდრე პონტოს ზღვამდე, კავკასის მთის ჩრდილოით ველითური, და ამისგან ეწოდა მთასა კავკასი და ველსა ოსი. ბოლოს მონაწყვეტი კავკასოსი. ვითამ მისი გამოსვლამდე ხაზართა. არამედ ხაზართა მეფემან მისცა ქვეყანა კავკასოსი ძესა თჳსსა ურბანოს და ტყვენი ქართლ-სომხეთისანი. ამან მოსწყვიტა ნათესავი კავკასოსი, და დაეშენა აქა თჳსითა და ტყვეთა მით, და უწოდა ოესეთი. ეს არს ხაზარულად „ზოგი თესვად“, ვითამ - „ზოგი მოესწყვიდე და ზოგი დაჳსხი თესვად“. ვითარცა უწოდეს ბარდოსის წილს რანი. ესე არს წყლულნი, რამეთუ მუნ მოსწყვიტნეს უამრავნი, მძორითა უტევარნი.

ხოლო ძე ტინენისა, დურძუკის, უწარჩინებულეს იყო ნათესავთა შორის კავკასოსა. შემოიელტო კავკასის მთასა შინა. აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თჳსი. ამის გამო ეწოდა არაგვის აღმოსავლის კერძს, ლეკეთის საზღვრამდე, ძურძუკეთი, ხოლო არაგვისა დასავლით, რომელ არს მდინარე ლომეკი და აწ თერგი, რომელი დის ჴევიდამ კავკასთა შინათა, დვალეთი, მისვე ურბანოსისაგან ხაზარულათ, ესე იგი არს „ორი წელიწადი“, ესე იგი არს,[*] რამეთუ ვინადგან ძურძუკეთსა შინა მცხოვრებელნი და კავკასთა შინა მცხოვრებელნი ხარკსა მისცემდნენ ურბანოს,

---

[*] სათაურიდან ამ სიტყვამდე ტექსტი წერია დაწებებულ ქაღალდზე.

ამისთჳს ორი წელნი უწოდეს. რამეთუ ორის წლისა შემდგომად ხარკსა გამოართმიდენ. რომელი დღესაც ეგრეთვე მოხარკენი არიან თჳსთჳსთა უფალთა, რომელსა უწოდებენ საჩუქარსა აწინდელს ჟამსა. ხოლო შემდგომად ფარნაოზის გამეფებისა, დარჩა ფარნაოზს ძურძუკი და დვალეთი. და სხვანი ჴევნი იგინი დაშთენ მეფესა ოვსთასა. და იწოდნენ ჴევნი იგინი ოვსეთად, შემოსახლებითა და დამონებითა მათითა მათგანვე. ხოლო შემდგომად კვალად განიყო ძურძუკეთი ძურძუკად[*], ქისტად და ღლიღვად, და ისახელა ესრეთ ანუ ძურძუკის ძეთაგან ანუ შემოსულთა ოვსთაგანვე.

არამედ დვალეთიცა განიყოფების ჴევ-ჴევად და იწოდების ჴევნი ესრეთ: კასრისჴევად, ზრამაგად, ჟღელედ[101], ნარად, ზროგოდ და ზახად. ხოლო რომელნი დაშთენ მეფეთა ოვსთა, სახელნი მათნი არიან ესენი: ჩიმი, თაგაური, ქურთაული[102], ცალაგირი[103], ფაიქომი[104], დიგორი[105] და ბასიანი. და სახელნი ესენი ეწოდნენ ანუ დაბებთაგან, გარნა უმეტეს შემოსულთა ოსთაგან, რომელნი შემდგომად ჩინგიზ ყაენთა მოსლვისა. ბათო ყაენმან მოსრნა ოვსეთი და მოაოხრნა[**] ხოლო ოვსნი შემოიელტოდნენ კავკასიათა შინა, და იწო{დ}ნენ სახელითა მათითა ჴეობანი ესენი ესრეთ, ვითარცა აჩენს გვარნი მათნი, რამეთუ უწარჩინებულესნი გვარით არიან ოვსნი, და გვარნი ოვსთანი ესენი არიან: ბასიანი, ბადელიძე, ჩერქესიძე, თაგაური, ქურთაული, სიდამონი და ჭახილიძე. ხოლო შემდგომად მოოჴრებისა ოვსეთისა და შემოსლვისა მათისა კავკასიასა შინა, იწოდნენ: ოვსეთი ჩერქეზად ანუ ყაბარდად, და კავკასიასა შინა მყოფნი მათ შემოსულთაგან ოვსეთად, რამეთუ აწცა გვარიანთა მათ უწოდებენ ოსად, ხოლო სხვათა უგვაროთა – კვალად დვალადვე. არამედ ჴევი, რომელი აღვსწერეთ ქართლსა ზედა, არს დვალეთისავე, გარნა ვინათგან მტკიცედ დაიპყრეს მეფეთა ქართლისათა, იგი უწოდეს შეცვლილითა სახელითა ჴევად, ვინათგან არს ჴევი შვენიერი. არამედ თრუსო კვალად არს დვალეთისავე, და ეგრეთ საცნობი ესეცა.

ხოლო აწინდელისა ამის ოვსეთისა საზღვარი არს: აღმოსავლით თრუსოსა და ჴევის საზღვარი, მერმე მყინვარის კავკასი და ახოტის კავკასი, რომელნი ძენან სამჴრიდამ ჩდილოდ, და დასწყდების ჴევის ბოლოს მდინარესა ზედა ლომეკსა, მერმე ლომეკის მდინარე, ვიდრე ხეთაძე-ჩერქეზის მთამდე; სამჴრით მზღვრის კავკასი,

---

[*] დედანში: „ძურკეკად",

[**] მოაოჴრნა.

ჴევის ყელიდამ[406] წარსრული დასავლეთად, რომელ არს ბრუცსაბძელამდე, და ზეკარა, კედელა და რაჭა-დიგორ-ბასიანს შორისი კავკასნი; ხოლო ჩდილოთ ჩერქეზსა და მას შორის მთა მაღალი, და ჩერქეზის კერძოდ ტყიანი და ოსეთის კერძოთ უტყ{ე}ო, არამედ ღელეებთა შინა მცირე-ტყიანი; და დასავლეთით მზღვრის კავკასივე რაჭასა და ქედელს შორისი. მერმე ბასიანსა და სვანეთს შორისი.

ქვეყნისათჳს

ხოლო ქვეყანა ესე არს მაგარი და შეუვალი უცხოს მტერთაგან, მაღლის მყინვარისა[407] და თოვლიანის მთის მიერ, რომლისა ყინულის სიმაღლე არს კ და ლ მჯარი ზაფხულის, კვალად სივიწროვისაგან და მაღლის კლდის ქარაფოვანთაგან, და მდინარეთა დიდთა და ჩქარითა მომდინარეთაგან, რამეთუ ძნიად განვალს ცხენი ფონად, თჳნიერ ხიდისა. არამედ მცურავეთაგანცა არა ძალიდების ცურვად. არა არს აქა ტყე, მცირეთაგან კიდე, და იგიცა უმეტეს არყნარი. გარნა მდინარეთა კიდეთა და ღელოვანთა შინა, რამეთუ სივიწროვე-სიცივისა და კლდოვანობის გამო ვერ იზრდების. გარნა ვიეთნი ზიდვენ ჩერქეზის მთიდამ[408], და სხვანი სწვენ წივასა.

ხოლო სიგრძე ამის ქვეყნისა არს ჴევიდამ სვანეთის კავკასამდე და განი ქართლის კავკასიდამ ჩერქეზის მთამდე. არამედ ნაყოფიერება ამ ქვეყნისა არს მცირედი. ვინაითგან არარაიმე მარცვალნი ნაყოფიერებენ თჳნიერ ხორბლისა, ქრთილისა და შვრიისა. სიცივის, გვიან გაზაფხულისა და ადრე შემოდგომისათჳს. გარნა ამასაც ვერ სთესვენ მრავლად, უმიწობისა და კლდოვანობის გამო. გარნა, რა იგი დასთესონ, ფრიად ნაყოფიერებს და მრავლად, და უკეთუ მოვიდეს სეტყვა, რომელი ხშირობს მას შინა, მოყმდებიან ძლიერად. კვალად არარაი მოვალს. და {არა} უწყიან მტილისანი ანუ წალკოტნი და ხილნი. გარნა
210 ვიეთთამე | ადგილთა იპოვების კოწახური, კლდის მერსვნი, უელი და ასკილი. პირუტყვნი არიან ცხოვარნი ულუმოკუდიანი და მომცრო. ძროხა, ცხენი, თხა, ღორი. არამედ არა მრავლად. გარნა არიან ფრიად გემოიანნი სხვათა ადგილებთაგან უმეტეს. და ვინადგან აქვთ საძოვარნი და სათიბნი მცირედ, ამისთჳს ვერ ინახვენ ცხოვართა. თჳნიერ კ, მ და რ კიდე. ეგრეთვე ცხენთა და ძროხათა ი, კ და მ და უფროსი არღარა. ხოლო არიან ვეძანი, რომელ არს წყარო ანკარა მლაშე. და მრავლად ყოველსა ოვსეთისა შინა. ამას სმენ კაცნი და პირუტყვნი, და ფრიად ერგებისთ. გარნა უფროს პირუტყვთა, რამეთუ პოხიერ ჰყოფს, და გემოიან, და ურბილებს მატყლსა. ფრინველნი ჰყავთ ქათამნი და სხვანი არარანი, და გარეულნიცა წვრილთა სირთაგან კიდე არარაი არს მუნ. გარნა არს ფრინველი

შურთხი სახელით, რომელი ყოველსა კავკასიასა შინა გვარობს. მგზავსი სახით კაკბისა და სიდიდით ორის ქათმის. ეს შურთხი შეიკრებს თჳსად საზამთროდ ბალახსა მრავალსა. და ამას ჩამოარს შეუჭამს ჯიხვი. ხოლო შურთხი გამოიჩრილების კურკლითა მისითა. და არს ესე შურთხი ფრიად გემოიანი. ნადირნი არიან ვიეთთა ადგილთა ირემი, არჩვი, მშველი, ფოცხვერი, მელი, მგელი, ტურა, მაჩვი, დათჳ, კურდღელი, და არა მრავლად. ხოლო ჯიხვი, რომელი მგზავსობს თხასა, არამედ არს ფრიად უდიდესი მისსა და შუენიერი სახითა და რქითა, ესე გვარობს კავკასთა ამათ შინა ყოველგან, ჯოგად და ჯოგად. ესე ვალს კლდესა ზედა ქარაფსა და მაღალსა, რომელსა ზედა ვერარაი ცხოველი შემძლებელ არს განსვლად: აღვალს იანვრის ტეხვრა ქარიშხალსა შინა უმაღლესს კავკასსა ზედა. და შეაქცევს ცხვირს ქარსა. და დაწვების ეგრეთ. და არარაი ევნების. არს აქა ფუტკარი და პყავის, და არა ეგდენ მრავლად, რათამცა კმა ეყოსთ თაფლნი. არიან აქა ლითონნი ვერცხლისა, ბრპენისა, რკინისა, გოგირდისა, გვარჯილისა და ქვისა ბროლისა. არამედ არა უწყიან ჴელოვნება გამოღებისა, რათამცა იხმარონ მრავლად. არა არს თევზნი აქა მდინარეთა შინა, ჩქარად დინებისაგან, თჳნიერ ვიეთთამე ადგილებთა იპოების კალმახნი.

კაცისა და ჩვეულებისა, ზნისა და ჴელოვნებისათჳს

ხოლო კაცნი და ქალნი არიან შუენიერნი, პაეროვანნი, შავთვალ-წარბანი, შავთმოსანნი, თეთრყირმიზნი, ტანოვანნი, წერწეტნი, გარნა უმეტეს ქალნი წერწეტნი, მკვირცხლად ფიცხელნი, თჳსთა ქვეყანათა შინა მცირედ მჭამელნი, რამეთუ კმა იყოფენ თჳნიერ წყალსა და პურსა და შრატსა, სხვათა ადგილთა და სტუმრობათა შინა გაუძღომელნი, ვერ შემმართებელნი ბრძოლასა შინა, რამეთუ ეშინისთ ლაშქართაგან ფრიად. არამედ ღამით შემმართებელნი და შემპარავნი ლაშქართა შინა და გამომსლელნი. უსაქციელონი, ბრიყუნი, ქვეყანათა თჳსთა ღადნი და ამაყნი, სხვათა ქვეყანათა შინა მდაბალნი, გონიერად მოუბარნი, ქურდნი, მპარავნი, მტყუარნი, ხარბნი, მომხვეჭნი, მესისხლენი, მემრუშავნი, ტყვის მყიდველნი, გარნა არა თჳსთა პყიდიან. არამედ ქალნი მათნი იცვენ ქალწულებასა ვიდრე შერთვამდე ქრმისა, და მერმე სახელ არს მათ შორის რაოდენნიცა უვისთ კერონი, რამეთუ სირცხვილად აქუსთ დღისით ხილვა ცოლ-შვილთა თჳსთა ქრმისაგან.

ხოლო ცმულნი არიან ხამის პერანგით, საყელო ბერულად მოჭრილითა, და ნიფხავი ხამისავე. მას ზედა ჩოხა მოკლე მუჴლამდე და პაიჭიცა შალისა, არამედ ჩოხა ნაოჭიანი და უგუჯასტო, ჩოხას ზეით ნაბადი მოსხმული;

ფერჴთა ზედა ტყავთაგან აცვიათ, რომლისა არს ლ{ა}ნჩა გამობანდული ლახეულის ტყავისაგანვე, და მას შინა შთასდებენ თომსა. და ჩაიცმენ ეგრეთ, რათა არა მოუსხლტეთ ფერჴი ყინულსა, კლდესა და ბალახთა ზედა. უდიდესნი იცმენ წულასა, და ბურავსთ თავსა ქუდი მგრგვალი და ბეწოსანი შალისაგანვე. ბოდიშობენ ურთიერთს და მიემშვილებიან ქუდის მოხდით. სხედან სკამთა ზედა. არამედ უწარჩინებულესნი მათნი იცმენ იმრიგადვე: ლეინსა, დარაიას, დარაიბაფთს, ყუთნსა და რაისაც დარს იშოვნიან. ეგრეთვე მგზავსად იცმენ ქალნიცა, არამედ უგრძესად, და ბურავთ მათცა ქუდი იგივე, აცვიათ /წუდა/-პაიჭი და არა ნიფხავი. მოირტყმენ სარტყელსა კაცნი და ქალნიცა, ვითარიცა ძალუცთ შოვნად. სარწმუნოებით არიან ძველად ქრისტეანენი და სამწყსონი ნიქოზლისანი, და უფროს დვალნი. არამედ აწინდელთ ჟამთა დვალნი სახელით ოდენ ქრისტეანენი, რამეთუ იმარხვენ დიდმარხვასა, ხატთა, ეკლესიათა, და სამღვდელოთა პატივსა და თაყვანსცემენ, და სხვისა სრულიად უმეცარნი. არა უვისთ მღუდელი, და უნათლისღებონი არიან, თვნიერ რომელნი ქართლსა და რაჭას მოინათლვიან. ხოლო თაგაურნი, ქურთაულნი, ვალაგირი, ფაიქომი, დიგორელნი და ბასიანელნი, რომელთა თავნი და წარჩინებულნი მათნი არიან მოჰმადიანნი, და დაბალნი გლეხნი ქრისტეანენი, გარნა უმეცარნი ორივეს რჯულისანი, რამეთუ გარჩევა მათი არს ესე: რომელნი სჭამენ ღორსა, არიან ქრისტეანენი, და რომელნი სჭამენ ცხენსა, ესენი არიან მოჰმადიანნი. გარნა ყოველთავე უწყიან მგზავსი კერპისა, რომელსა უწოდებენ ვაჩილას, რამეთუ შესწირვენ ელიას თხასა და ჰორცსა შესჭამენ თჳთვე. ხოლო ტყავსა გასჭიმენ მაღალს ძელსა ზედა და თაყვანისცემენ ტყ{ა}ვსა მას დღესა შინა ელიასასა, რათა არა მოუვლინოსთ ელიამ სეტყვანი და მოსცეს ნაყოფნი ქვეყანისანი.

კვალად არიან, ვითარცა ნადირნი, უწიგნონი, უცოდინარნი. ენა აქუთ ძველი, დვალური, და აწ უბნობენ ოსურსა საკუთრად, ვინათგან ჩერქესთა ენა სხვა არს. ვიეთთა მოთავეთა და ქართლსა და რაჭას მსვლელთა უწყიან ქართულნი. ხოლო ჩერქეზსა შინა მსვლელთა უწყიან ჩერქეზული და თათრული ჯაღათასი. შეირთვენ მდიდარნი ორსა და სამს ცოლსა და დაბალნი – ერთსა, არამედ თუ მოკუდეს ძმა ერთი, შეირთავს მეორე ძმა თჳსს ძმის ცოლსა, ვინადგან მისცემენ სახლის პატივად ქალის სახლეულს ი, კ, ლ და მ ძროხასა, ამისთჳს არღარა განუტევებენ სხვის შერთვად, არამედ ირთვენ თჳთვე. უწყიან გვარნი, და უწარჩინებულესნი გვარითა არიან ოვსნი.

ხოლო ესე ოვსი განიყოფების ესოდენ გვარად: სიდამონად, ჭახილიძე, თაგაურად, ქურთაულად, ბადელიძედ, ჩერქესიძედ, ბასიანად, და არიანცა ესენი უწარჩინებულესნი 211 სხვათა ზედა. და ამათ გვართა იციან გვართა თჳსთა ნიჯალი. ერთმან მეორესა ზედა ლაშქრობა, შველა, მესისხლობა, რამეთუ უკეთუ მოკლას ერთმან, არა დასცხრების მეორე იგი გვარი შვილითშვილამდე უკუნისამდე, თუმცა არა მოკლას მანცა. და მკვლელი მოკლულისა მათითჳს გვარსა ჩასძახებს საფლავსა შინა: „მოვკალი მკვლელი შენი“. და რწამთ ესე საცხონებლად მისად. არამედ უკეთუ დაზავდნენ ბრჭეთაგან და მისცეს სისხლი, გარნა კვალადცა მოჰკლავს და უკუნსცემს სისხლსა, მინაცემსა თჳსსა. არამედ დვალი უმდაბლესნი არიან გვარითა, გარნა თუ განდიდნეს ანუ განმდიდრდეს ოვსი ანუ დვალი, ანუ შეირთავს ორ-სამს ცოლსა, ანუ აღაგებს კოშკსა, ანუ მოჰკლავს კაცსა, და უკეთუ მძლეველ ექმნას მესისხლე თჳსი, შევალს კოშკსა შინა და არღარა გამოვალს სიკუდილამდე. კვალად უწყიან პატივი მოხუცებულთა თჳსთა ფრიად, და უფროს, ვითარცა პატრონნი თჳსნი. ამათ მოხუცებულთაგან ჰყოფენ ბრჭობასა, და ზავსა, და ყოველსავე სამჭირნოსა თჳსთა განაგებენ მათით. სიმდიდრე მათი არს თოფი, ჯრიალი, ჯაჭვი, ჯავშანი; საპილენძი და ოქრო და ვერცხლი მცირედ. არა უწყიან თეთრი, არამედ თეთრისა წილ ნაბადი, ჩოხა, ხამი, შალი, ცხვარი, ძროხა და ტყვე, და ვაჭრობენ ურთიერთსა შინა ამით. არცა უწყიან ადლი, არამედ მწყრთა; უწყიან უცხოთა სტუმართა პატივი და უვნებლობით დაცვანი, რამეთუ ვერავინ რაის ავნებს ერთისა ვისმე სტუმარსა, ვინთაგან მოსწყდებიან მისთჳს გვარით. არამედ თვით გამოუხმენ, რაოდენნი ძალუც სტუმარსა. და ამას უწოდებენ საჩუქარსა, რომელიცა ჯერ არს მათგან, იგინივე მიუხმენ. უწყიან ჴელოვნებანი ტყავისა, ქსოვა შალისა, თელვა, კეთება ნაბდისა კარგისა. იციან მჭედლობა, ზეინკლობა, ხეთა მუშაკობა, სახლთ შენება. არამედ არღარა ხმარობენ ქვიტკირსა, გარნა აღაშენებენ სახლთა უსარკმელოდ, და მრავალსა ერთმანერთსა ზედა, და კოშკსა ფიქალთა ქვათაგან მიწით, მაღალს კლდე გორიანსა ზედა, ვინათგან გამოუნახავთ უმჯობესად ზვავისა კვეთებისათჳს, რამეთუ არღარა ეკვეთვის, გარნა ავიდეს რა კაცი კოშკსა შინა, ირყევის და არა დაირღვევის, არამედ დგას მტკიცედ.

ხოლო ძველადნი არიან ციხენი, კოშკნი, ეკლესიანი ქვიტკირისანი, მეფეთაგან ნაშენნი და უმეტეს, იტყვიან თვით იგინივე, თამარ მეფისაგანსა. გამოიღებენ მიწიდამ ბრპენსა, გვარჯილასა, გოგირდსა. ქალთა მათთა უწყიან

ქერვანი წმინდა და კეთილნი. არა არს ქვეყანასა მათსა შინა მარილი, სელი, კანაფი, და ბამბა და აბრეშუმი, რაოდენცა ყონ სამოსი თჳსნი. ამისთჳს უმეტესნი სცხოვრებენ ცხოვართა ტყავითა. გარნა ამათაც ზიდვენ ქართლიდამ, რაჭიდამ და ჩერქეზიდამ. და ამისთჳსცა მორჩილებენ თჳს-თჳსთა მჴარეთა და კვალად უმეტესად საზრდელთათჳსცა. ხდიან მცირედს ლუდსაცა. არამედ არა არს მათ შინა სჳია, და იგიცა მოაქუთ ქართლიდამ, რაჭიდამ და ჩერქეზიდამ. კვალად ხდიან და აკეთებენ ოყსა, ბოზასა, პურითა და ქერითაგან, და სმენ დღესასწაულსა თჳსსა და სტუმრობასა შინა. უწყიან სულთა მკუდართა მათთა სახსრად და მოსახსენებლად, რომელსა უწოდებენ დოლსა. რამეთუ ცხენოსანთა კაცთა ორის-სამის დღის სავლიდამ გამოუშვებენ, და რომელი მათგანი უპირველეს მივალს, მას მისცემენ ნიჭსა და გარდაიხდიან პურობასა და ლხინსა დიდსა, ვის რაი ძალუცს, და ჰგონებენ ამას სალხინებელად და საცხოვრებლად სულთათჳს მკუდართა მათთათჳს.

ალაგვის-თათჳს

ხოლო მთათა, ჴევთა, მდინარეთა, წყალთა და შენობათა აღწერანი ესენი არიან. და დავიწყებთ ჴევიდამვე. ხოლო ჴევის ბოლოს არს ლაშური. მას ქუეით, ჯარიეხს, მოერთვის ჴევის არაგჳს ქისტ-ძურძუკისწყალი. მას ქუეით არს ხეთაძე.

ჩიმისათჳს

არამედ ამ ქისტისწყლის შესართავს, არაგჳს დასავლით, მაღლა მთის ძირს, არს ჩიმი, დაბა დიდი და კოშკოვანი. მოსახლენი არიან ოვსნი, სიდამონნი გუარითა, და არიან აწ თავენი მათნი მაჰმადიანნი, ჩერქეზთა შინა სლვისათჳს, არამედ არიან მისიცა უმეცარნი.

თაგაურისათჳს

ამის ჩიჩის დასავლით და ჴევის დასავლით არს თაგაურის ჴეობა[409] ამისი მდინარე გამოსდის მყინვარის კავკასსა და ხოხისასა. სიგრძით არს ხოხიდამ ჩერქეზამდე და დის სამჴრიდამ ჩრდილოთ. და მიერთვის არაგჳს დასავლეთიდამ. ხოლო ამ თაგაურის მდინარეს ერთვის ჩიმითისწყალი[410]. რომელი გამოსდის ახოტის კავკასს. ამ ჴევზედ არს ჩიმითი, დაბა დიდი და კოშკოვანი, ვითარცა ჩიმი ყოველითავე. ამ ჴევის შესართავს ზეით თაგაურისწყალს მოერთვის ყაბანს სხვა ჴევი, რომელი გამოსდის მყინვარის კავკასს, და ამ ჴევს მოერთვიან მყინვარის კავკასიდამ ჴევნი. არამედ ყაბანი არს ამ ორთა მდინარეთა შორის, დაბა დიდი, კოშკოვანი. მას ზეით თაგაურისწყალზედ არს, დასავლეთის კიდურზედ, ეკლესია მცირე, ძუელადვე აღშენებული მეფეთაგან. ამას ზეით, ამავე წყალზედ, არს ჯიბლიში, დაბა დიდი, კოშკოვანი, და ციხე აღშენებული მეფეთაგან, მაგარი, შეუვალი მტრისაგან. მას ზეით არს ყაყიდური, დაბა დიდი, კეთილი, კოშკოვანი, და

ხოხის კავკასის ჩამოსულს ძირში, გორა-კლდესა ზედა. ციხე. აღშენებული მეფეთაგან. ფრიად მაგარი. და არიან ჴევნი ესენი შენობიანნი და დაბნებიანნი.

ქურთაულისათჳს

ხოლო თაგაურის დასავლით არს ქურთაული, რომლისა წყალი[411] გამოსდის ხოხისავე მთასა, და მოდის სამხრეთიდამ ჩრდილოთ. და განსჭრის ჩერქეზის მთასა, ვითარცა თაგაურისწყალი, და მიერთვის ლომეკსა ანუ თერგსა. ხოლო სად განსჭრის ჩერქეზის მთასა, მის მთის ზეით მოერთვის ამ თაგაურისწყალსა აღმოსავლიდამ ჴევი. მას ჴევს ზეით, დასავლეთით, ამ წყლის კიდურზედ, არს ეკლესია მცირე. მას ზეით, ამ წყლის აღმოსავლით კიდურზედ, არს ქურთაათა და ციხე მაგარი, ნაშენი კლდესა ზედა. აქ მოერთვის აღმოსავლიდამ ამ წყალს ჴევი. ამ ორს წყალს შუა არს ქურთაათა. ქურთაათას ზეით მოერთვის დასავლიდამ ჴევი ქურთაულისწყალსა. ამ ორს ჴევს შუა არს დაბა ჯაბა. ამას ზეით არს ჩიმი. ამ წყალზედვე დაბა, ორს ჴევს შუა. ამას ზეით ხოხის კავკასის მთის ჩამოსავალზედ არს კვარა, დაბა კეთილი, კოშკოვანი, და ციხე დიდი და მაგარი, შენი მეფეთა. | 212 კვარადამ გარდავალს გზა ხოხის კავკასსა ზედა, ნარასა და ზროგის. ხოლო ქურთაულსა და თაგაურს განჰყოფს* მთა, ხოხიდამ ჩამოსული ჩრდილოთ კერძოდ ჩერქეზის მთამდე, ქურთაულ-თაგაურს შორისი; და თაგაურსა და ჴევსა განჰყოფს მთა მყინვარი და ახოტი, და მთა ახოტიდამ ჩამოსული ჩრდილოთ კერძოდ, ჩიმსა და თაგაურს შორისი.

ვალაგირისა-ფაიქომისათჳს

ხოლო ქურთაულის დასავლით არს ჴეობა ვალაგირისა და ფაიქომისა, რომელი იწოდა დაბნებით გამო, მუნ მყოფთა. და წყალი ვალაგირისა[412] გამოსდის ხოხისვე კავკასსა და დის სამჴრიდამ ჩრდილოთ. ამას მოერთვიან ჴევნი მცირენი. და არს ჴეობა ესე დაბნოვანი, მოსახლენი — სიდამონნი და ჭახილიძენი. ხოლო განჰყოფს ვალაგირსა და ქურთაულს მთა ხოხიდამვე ჩამოსული, ჩრდილოთ მდებარე ჩერქეზის მთამდე, ვალაგირსა და კასრის ჴეობას შორისი. არამედ სამთა ამათ ჴეობათა მზღვრის: აღმოსავლით მთა, რომელი დავსწერეთ, ჴევსა და თაგაურს შორისი ჩერქეზის მთამდე; სამჴრით მთა ხოხის კავკასი, ფრიად მაღალი, და მყინვარი, და უმაღლესი ბრუცაბძელ-ზეკარისა. ამან მიიღო სახელი თჳსი ხოხვით სლვისათჳს, რამეთუ ძნიად გარდავალს ცხენნი მას ზედა. გარნა მკვირცხლნიცა — ჭირითა. და მდებარებს მთა ესე აღმოსავლიდამ დასავლეთად, მყინვარის კავკასიდამ კასრის ჴეობამდე. და კვალად მზღვრის ჩრდილოთ კერძ მთა ჩერქეზისა და დასავ-

---

* დედანში: „განჰყოის“.

ლით კასრა-ვალაგირს შორისი მთა.

კასრისჴევისათჳს

ხოლო ვალაგირისა ანუ ფაიქომის დასავლით არს კასრის ჴეობა, რომელი იწოდების აწცა დუალეთად[111]. და აქუს სიგრძე დუალეთის ზეკარის კავკასიდამ ვიდრე ჩერქეზამდე. და მდინარე ამისი გამოსდის ზეკარისა და ზახათირუსოს შორისს კავკასსა და მოდის სამჴრიდამ ჩრდილოთ. ხოლო კასრის ჴეობასა შინა მოერთვიან ამ წყალს დიგორისა და ამის შორისის კავკასიდამ ჴევნი, და გარდავლენან მას ზედა გზანი დიგორს. ეგრეთვე ვალაგირსა და ამის შორისის მთიდამ მოერთვიან ჴევნი, და გარდავალს გზანი ვალაგირსა და ფაიქომ{ს}. და არს ჴეობა კასრისა, კასრისკარიდამ ჩერქეზის მთამდე, შენობიან-დაბნებიანი. ხოლო კასრისკარ{ი} არს ქვემო ზრამაგას ქვეით, სად მოვიწროვდების ხოხის მთის ჩამოსულის კლდითა, და გლოლისა და ამის შორის კავკასის ჩამოსულის კლდითა. და არს აქ კარი კლდისაგან და ქვიტკირით ქმნული, დიდკამაროვანი, მდინარესა ზედა, მეფეთაგან ქმნული, რათა არა ვიდოდნენ თჳნიერ მათსა ოვსნი. და არს ჴეობა ესე ფრიად მაგარი და შეუვალი. აქა არს ლითონი ბრპენისა მრავალი, რომელსა სწურვენ იგინივე. კვალად არს გოგირდი ფრიად კარგი. არს ლითონიცა ვერცხლისა, არამედ არა უწყიან გამოღება. კვალად კლდის ნოტიობისაგან აკეთებენ გვარჯილასაცა.

ჟღელისჴევისათჳს

ხოლო ამ კასრისკარს ზეით მოერთვის ქვემო ზრამაგას ჟღელის ჴეობის წყალი დასავლეთიდამ. გამოსდის კეღელის კავკასს. მოდის სამჴრიდამ ჩრდილოთ. ამ წყალს მოერთვიან აღმოსავლიდამ და დასავლეთიდამ ჴევნი მცირენი. და ჟღელესა და გლოლას შორისს კავკასზედ ამ ჴევებიდამ გარდავლენან გზანი გლოლას. ამის მდინარის სათავიდამ გარდავალს გზა კეღელის კავკასსა ზედა კუდაროს, და რაჭას, და ქართლს. და არს ჴეობა ესე შენობიან-დაბნებიანი. აქა არს ქალაქას დაბას წყარო დიდი, რომელი ჟამ რაოდენმე დის. და ჟამ რაოდენმე დადგების, და არღარა გამოსდის. მერმე კვალად გამომდინარდების და კვალად დადგების. ხოლო განიყოფის ჴეობა ესე აღმოსავლეთიდამ ზეკარიდამ ჩამოსულის მაღლის მთით ქვემო ზრამაგამდე, ჟღელე-ზრამაგას შორისითა, სამჴრიდამ ჩრდილოთ კერძოდ მდებარითა. და სამჴრით ზეკარა-კეღელის კავკასითა; დასავლით ამასა და გლოლას შორისით კავკასითა. კვალად კეღელის კავკასითა; ჩრდილოთ ამასა და გლოლის შორისის კავკასიდამ ჩამოსულის მთით, რომელი შეჰკრავს კასრისკარსა.

ზრამაგასათჳს

ხოლო ქვემო ზრამაგა არს კასრისა და ჟღელისწყლების შესართავს შუა. და ციხე დიდი, ფრიად მაგარი; იტყ-

ვიან აღშენებულსა თამარ მეფისაგან. და დაბა კოშკოვანი.

ნარასათვის

ხოლო ქვემო ზრამაგას ზეით ერთვის ნარის ჴეობის წყალი. გამოსდის ხოხის კავკასსა. დის აღმოსავლიდამ დასავლეთად. და აქვს ამ ჴეობას აღმოსავლით ხოხის კავკასი; სამჴრით ხოხიდამ ჩამოსული მთა მაღალი, ამასა და ზროგოს შორისი; დასავლით ზრამაგისჴევი და ჩრდილოთ ხოხისავე კავკასი. ამ ჴევში არს დაბა Ⴌ მოსახლენი. ხოლო ამის შესართავს ზეით არს ზემო ზრამაგა. დაბა კოშკოვანი და ეკლესია მცირე. აქ მოერთვის ჴევი ზეკარიდამ მომდინარე და მოერთვის დასავლეთიდამ. და ამ ორთ ჴევთ შორის არს ზრამაგა.

ზროგოსათვის

ხოლო ამ ზრამაგას ზეით მოერთვის ზროგოს ჴეობის წყალი. გამოსდის ხოხისავე კავკასსა და დის აღმოსავლიდამ დასავლეთად. და აქვს ჩრდილოთ ნარის მთა და სამჴრით ზახის მთა. აღმოსავლით ხოხის კავკასი და დასავლით ზრამაგისჴევი. და არს დაბოვან-შენობიანი.

ზახისათვის

ხოლო ამის შესართავს ზეით მოერთვის ზახის ჴეობის წყალი. გამოსდის თრუსოსა და ზახას შორისს კავკასსა. მოდის აღმოსავლიდამ დასავლეთად. არამედ ბოლოს მოდრკების და მიერთვის ზრამაგისწყალსა. ამ ზახისწყალს მოერთვის სამჴრეთ-ჩრდილოდამ ჴევნი და არიან დაბანი კოშკოვანნი. აქა არს ეკლესია მცირე. აქიდამ გარდავალს გზა თრუსოს, მაღრანდვალეთს და ჟბას, დიდ ლიახვზედ. ამას აქვს აღმოსავლით თრუსოს მთა; სამჴრით კავკასი ზეკარისა; ჩრდილოთ ამასა და ზროგოს შორისი, ხოხიდამ ჩამოსული მთა; დასავლით ჴევი ზრამაგისა. კვალად ამ ზრამაგისჴევის სათავეიდამ გარდავალს ზეკარაზედ გზა ქართლს დიდ ლიახვზე.

თრუსოსათვის

ხოლო ზახის აღმოსავლეთის მთის იქით არს თრუსო, რომელსა აქვს აღმოსავლით მთა. ხოხიდამ და ჴევის ყელიდამ ჩამოსული მთანი შთასავალამდე. და მთანი ესენი განჰყოფენ ჴევსა და თრუსოსა; სამჴრით კავკასი, მთიულეთსა, მაღრანდვალეთსა და თრუსოს შორისი; ჩრდილოთ მყინვარი და ხოხის კავკასნი; დასავლით თრუსოსა და ზახას შუათი მთა. და არს თრუსო სამ ჴეობად. გამოსდის ერთი ზახის მთასა, მეორე მაღრანდვალეთის კავკასსა და მესამე ხოხის კავკასსა. ამ ჴეობაზედ, ხოხისაკენ, არს ეკლესია ყოვლადწმიდისა მცირე. და არიან ამ ჴევთა დაბნები Ⴇ. არამედ ჴეობანი ესენი, რომელნი აღვსწერეთ მაღრანდვალეთითურთ, არიან დვალეთი. და კვალად დიდის ლიახვისა, პატარას ლიახვისა, ქსნისჴევისა და კუდაროს მოსახლენიცა არიან დვალნივე. ამ დვალეთიდამ გარდასულნი, რჯულითა, წესითა და ზნითა ერთნი. და დღესაც მონათესავენი ურთიერთთა. 213

ხოლო ამ დვალეთის მზღვრის: აღმოსავლით მთა თრუსოსა და ჴევს შორისი, და კასრისჴევსა და ვალაგირს შორისი მთა; სამჴრით კავკასი მაღრანდვალეთისა, ზახისა, ბრუცსაბძლისა, ზეკარისა და კედელისა (არამედ ბრუცსაბძელი ეწოდა, ვინაჲგან არს მგზავსი საბძლისა და უქმი. ხოლო ზეკარა კარსავით მყოფისა, სადა გავლის მას შორის გზა, და კედელა — ამართებით ყოფისათჳს კედელსავით. არამედ ქართლიდამ ესე კავკასნი უმეტეს ყოველთა კავკასთაგან უმაღლესად მჩენარებენ და დიდად, და ამისთჳს უწოდესცა სპარსთა //ქარმყინვარე//* იალბუზი[414], და მარადის მყინვარედ იხილვებიან, რამეთუ ზაფხულს გზებთა ამათ ზედა ვლენენ ცხენით, გარნა ჭირითა, და თჳნიერ ზაფხულისა ვერცა ერთი სულიერი). ხოლო ჩრდილოთ მზღვრის დვალეთის ხოხის კავკასის მთა და კასრის ბოლოს, ჩერქეზის მთა; დასავლით — მთა კავკასი, კედელიდამ წამოსული, რაჭასა, გლოლასა {და} ამას შორისი, მერმე დიგორსა და ამას შორისი, ვიდრე ჩერქეზის მთამდე. არამედ რომელნი აღვსწერენით — ჩიმი, თაგაური, ქურთაული, ვალაგირ-ფაიქომი და დვალეთი, ამათ ყოველთა მდინარენი ჩადიან ჩერქეზსა შინა და მიერთვიან ლომეკსა ანუ თერგს სამჴრიდამ.

დიგორისათჳს

ხოლო კასრისჴევის დასავლით არს დიგორი, რომელი განიყოფის ორად — ჩერქეზიძედ და ბადელიძედ[415] და არს სიგრძე ამისი რაჭის კავკასიდამ ჩერქესამდე. ამისი მდინარე გამოსდის ღებისა, გლოლისა და ამის შორისს კავკასსა, მოდის სამჴრიდამ ჩრდილოთ კერძოდ და ჩადის ჩერქეზში, მიერთვის ლომეკს. ამას უწოდებენ რიონსავე, ვინათგან მასვე კავკასსა გამოსდის აქათ, და იქით — რიონი იმერეთისა. და ამ მდინარეს, ჩერქეზის მთას ზეით, ერთვის ჴევი, გამომდინარე ბასიანის მთისა და მოერთვის დასავლეთიდამ. ამას ზეით ერთვის სხვა ჴევი, გამომდინარე კასრისჴევისა და ამას შუათის მთიდამ, და დის აღმოსავლეთიდამ დასავლეთად. ეს ჴევი არს ბადელიძისა[416]. ამ ჴევს, რიონის შესართავს ზეით, ერთვის სხვა ჴევი, სიგრძით ჩერქეზის მთიდამ მომდინარე, და მოერთვის ჩრდილოდამ. ამ ჴევიდამ გარდავალს გზა ჩერქეზსა შინა. ამ ჴევს ზეით კვალად მოერთვის სხვა ჴევი სამჴრიდამ. ამათ შესართავს შუა, კლდეზედ, არს მაღლა ციხე და მცირე ეკლესია. არამედ ესენი, რომელნი დავსწერეთ ჴევნი, არიან ბადელიძენი. და არიან შენობიანი და დაბნებიანნი და კოშკოვანნი მრავლად, რომელთა შინა მოთავენი მათნი არიან ყმიანნი მებატონენი. ხოლო ამ ბადელიძისწყლის

---

* წინა გამოცემაში ეს სიტყვა გამორჩენილია.

შესართავს ზეით. რიონზედ, არიან ჩერქესიძენი. და მას ქვეით, ჩერქეზის მთამდე, კვალად ბაღულიძენი{ე}. და ამ ბაღულიძისწყლების სათავიდამ გარდავალს გზანი კასრისჴევში, ყდელის ხეობაში და ქელმაქმადის სოფლიდამ ჩერქეზსა შინა.

ხოლო ამ ბაღულიძისწყლის შესართავს ზეით მოერთვის რიონს აღმოსავლიდამ მდინარე რიონივე. გამოსდის გლოლასა და ამას შორისს კავკასსა. მოდის სამჴრიდამ ჩრდილოდ. ამას მოერთვის სხვა ჴევი აღმოსავლიდა{მ}, გამოსდის ამასა და ბაღულიძეს შორისს მთას. ამაზე გარდავალს გზა ბაღულიძეებში. ამას ზეით მოერთვის კვალად სხვა ჴევი აღმოსავლიდამ. მისვე მთის გამომდინარე. ამ რიონის[117] სათავიდამ გარდავალს გზა კავკასზედ გლოლას. სადა არს, კავკასის ძირში, დიდს მაღალს კლდესა შინა, ქვაბნი გამოკვეთილნი დიდ-დიდნი. მოგზაური მივალს მას ქვაბსა და დილას წარვალს. ჩავალს გლოლას. ეგრეთვე მუნიდამ მოსრული. მუნ განისვენებენ დაშრომისათჳს. და მეორის ამის რიონიდამ გარდავალს გზა ღებს. არამედ ამ გზებზე ზაფხულით[*] ცხენით ევლენან[**], გარნა ჭირითა დიდითა. და თვნიერ ზაფხულისა — ვერც ქვეითნი. და ამ ჴეობასა ზედა არიან დაბნები და შენობანი. და მზღვრის დიგორს: აღმოსავლით კავკასი. ამასა და კასრა-ყდელეს შორისი; სამჴრით კავკასი. ამასა და გლოლა-ღებს შორისი; ჩრდილოთ მთა. ამასა და ჩერქეზს შორისი. მაღალი და დიდ{ი}; დასავლით კავკასი. ამასა და ბასიანს შორისი.

ბასიანისათჳს

ხოლო დასავლით დიგორისა არს ბასიანი[118], [[ჴეობა]] დიდი. რომელსა შინა დის მდინარე, გამომდინარე რაჭისა და ბასიანს შორისის კავკასიდამ. და მიდის სამჴრიდამ ჩრდილოთ კერძოდ. სიგრძით კავკასიდამ ჩერქეზის მთამდე. ამის მდინარეს მოერთვიან ჴევნი აღმოსავლიდამ გამომდინარენი, ამასა და დიგორის საშუალის კავკასიდამ, და დასავლეთიდამ [[სვანეთისა]] და ამის შორისის კავკასიდამ. და ამ ჴევებიდამ გარდავლენან გზანი სვანეთს და დიგორს. და ამის წყლის სათავიდამ გარდავალს გზა რაჭას, ღებს და ლუხუნზედ. და მზღვრის ბასიანს: აღმოსავლით მთა კავკასი, ბასიანსა და დიგორს შორისი; სამჴრით მთა კავკასი, ამასა და რაჭას შორისი; ჩრდილოთ მთა ჩერქეზისა. ბასიანსა და ჩერქეზს შორისი; დასავლით მთა კავკასი. ამასა და სვანეთს შორისი. და არს ესე ბასიანი შენობიანი. დაბნებიანი და უმეტეს ჯვარიანნი სხვათა ყოველთა ოსთაგან. და არიან მებატონენი ყმიანნი. და მდი-

---

[*] დედანში: „ზათხულით".

[**] დედანში: „ევლენათ".

ნარე ესე ჩადის ჩერქეზსა შინა, მერმე მიერთვის თერგის მდინარესავე. არამედ რაოდენნი კავკასნი აღვსწერენით, სცან მარადის მყინვარედ და თოვლიანად, ვითარცა სხვა სახელდობ გამოვაჩინეთ კავკასთა მთანი. კვალად რაოდენნი დაბანი ციხოვან-კოშკოვანნი დავსწერეთ, იგინი მათ უწოდებენ ქალაქად. არამედ ვინადგან არა აქუსთ მართველობა და განწყობილება ქალაქთა, აქა დაბად ესთქვით.

ქისტისათჳს

ხოლო აწ ვიწყებთ ჴევის აღმოსავლეთის კერძოთ კავკასიელთა, ვინადგან შევასრულეთ დასავლეთის წილი. გარნა ჴევის ბოლოს, სადა დაიკავებს მდინარე არაგვი ანუ ლომეკი, ამ არაგვს, ხეთაძის დაბის ზეით, ერთვის ქისტეთისწყალი და ძურძუკისა. ესე მოერთვის აღმოსავლეთიდამ. გამოსდის ძურძუკეთსა და ფშავ-ჴევსურეთის (რომელი არს ფხოელი) შორის კავკასსა, დის სამჴრიდამ ჩრდილოთ და მცირედ ჩრდილო-დასავლეთ შუა. სიგრძით არს კავკასიდამ ლომეკამდე. ხოლო სად იყრებიან, ორნი ესე მდინარენი, მუნ არს შუაში ჯარიეხი, კლდე დიდი, მოვლებული ველსა დიდსა გარე, ქარაფოვანი. და ამითი არს ფრიად მაგარი, და შენი არის კოშკი დიდი, ზღუდოვანი, ვითარცა

214 ციხე და ამ წყალსა ზედა. ჴეობაში, ამ ჯარიეხს ზეით, არს ქისტეთი[419] დაბნებიანი, შენობიანი.

ძურძუკისათჳს

კვალად ამის სამჴრით, ქისტეთ ზეით, არს ძურძუკი[420], შენობიანი, დაბნებიანი, კოშკოვანნი ორნივე. ამ ჴეობათა მზღვრის: აღმოსავლით კავკასი, ქისტ-ძურძუკსა და ღლიღვს შორისი; სამჴრით კავკასი, ფშავ-ჴევსურსა და ძურძუკს შორისი; დასავლით კავკასი, ქისტ-ძურძუკსა და ჴევს შორისი; ჩრდილოთ მთა ჩერქეზსა და ქისტეთს შორისი. და გარდავლენან გზანი ქისტ-ძერძუკიდამ ამ კავკასებთა ზედა ჴევს, ფშავ-ჴევსურეთს, ღლიღვეთს და ჩერქეზთა შინა.

ღლიღვისათჳს

ხოლო ამ ქისტ-ძურძუკის აღმოსავლეთად არს ღლიღვეთი[421], ღლიღოსისაგან, ძურძუკოს ძის ძისაგან, სახელდებული ანუ უმოსელობისათჳს წოდებულნი, რომლის მდინარე[422] გამოსდის ფშავისა და ღლიღვის შორის კავკასსა, და მოდის სამჴრიდამ ჩრდილოთ და მიერთვის* წყალსა[423], მერმე მიერთვის ბორაღნისწყალსა[424]. ამ წყალზედ არს ანგუსტი, დაბა დიდი. და არს შენობიანი ჴეობა ესე და დაბნებიანი. და მზღვრის ღლიღვს: აღმოსავლით მთა ღლიღვსა და* შორისი[425], ჩრდილოთ მთა ჩერქეზსა და ღლიღვს შორისი; სამჴრით კავკასი, ღლიღვსა და ფშავს შორისი; დასავლით მთა, ღლიღვსა და ძურძუკს შორისი. ხოლო ანგუსტის მოსახლენი არიან მგზავსნი ჩერქეზთა.

---

* დედანში ამ სიტყვის შემდეგ ცარიელი ადგილია დატოვებული.

რჯულით მოჰმადიანნი, სუნნი. ხოლო ამ ღლიღჳს აღმოსავლით არს[•]... ჴეობა[426], რომლისა მდინარე გამოსდის ამასა და პანკის შორისს კავკასსა. მოდის სამჴრიდამ ჩრდილოთ, მიერთჳს ღლიღჳსწყალსა და მერმე მიერთვიან ბორაღნისწყალს დასავლეთიდამ. და არს ჴეობა ესეცა შენობიან-დაბნებიანი. და მზღვრის ამას: აღმოსავლით თუშეთისა და ამას შორისი კავკასი; სამჴრით კავკასი პანკისსა და ამას შორისი; ჩრდილოთ მთა ჩერქეზისა, ამასა და ჩერქეზს შორისი; დასავლით მთა, ამასა და ღლიღჳს შორისი. არამედ ეს ჴევნი, რომელნი აღვსწერეთ, პირველ იყო ყოველთა სახელი ძურძუკეთი, ხოლო აწ ესრეთ განიყოფებიან.

ხოლო არიან ჴეობანი ესენი ფრიად მაგარნი და შეუალნი მტერთაგან, მთით, კლდითა, სივიწროვითა, და მდინარითა, და ტყითა. მწირი და მოუსავლიანი, მცირე პირუტყვიანი, ვითარცა აღვსწერეთ ოსეთი. ეგრეთვე კაცნიცა რჯულითა, სარწმუნოებითა, ზნითა, ქცევითა, ჩვეულებითა სცან ოსთაებრ. არამედ აქუსთ ენა თჳსი საკუთარი, და ქალნი მათნი მოსილნი სხუებრ. არცა უწყიან კლვა და მესისხლობა ურთიერთთა, გარნა თუ შეიმთხვეს, მოხუცებულთა მათითა განბრჭობითა ზავ ჰყოფენ. და არიანცა უმეტეს პირისწყლიანნი ოსთაგან, კაცით ქალამდე. არამედ იციან ორ-სამ ცოლობანი და მრუშება ქრმიანობასა შინა, გარნა ქალწულთა – არაოდეს, ვითარცა ოსთა. უწყიან ქვიტკირნი, და მით აღიშენებენ სახლთა, კოშკთა და სიმაგრეთა. ხოლო მორჩილებენ და აძლევენ ხარკთა ჩერქეზთა, მემჴრეთა თჳსთა, უსაზრდლობისა, საშიშლოსა და მარილისათჳს.

[•] დედანში ამ სიტყვის შემდეგ ცარიელი ადგილია დატოვებული.

221

აღწერა საჩინოთა ადგილებთა* სამცხე-საათაბაგოსი[427]

ადგილებთა სახელის წარმოჩენისათჳს

ხოლო ქუეყნისა ამის სახელი არს საკუთარი ქართლი ამისთჳს, რამეთუ არს წილივე ქართლოსისა, და მისგანვე ეწოდა ქართლი და, შემდგომად სიკუდილისა მისისა, საქართლო ანუ საქართველო, და იწოდების დღეჲმდეცა ეგრეთვე. არამედ, ვინაჲგან ჟამითი-ჟამად შეეძინნენ სახელნი მრავალნი განყოფილებისაგან და ადგილებთა განყოფისათჳს, და ისახელნეს ესრეთ: რამეთუ შემდგომად ქართლოსის სიკუდილისა ცოლმან მისმან, განყო რა ძენი თჳსნი, და მისცა უხუცესსა ძესა თჳსსა მცხეთოს ტფილისისა და არაგვის დასავლეთი, და ფანავრის ტბის დასავლეთის ქვეყანა, წილი ქართლოსისა, ზღვამდე სპერისა, და ტაოსა და კლარჯეთს შორისის მთამდე, და დაიპყრა მცხეთოს ქვეყანა ესენი; ამან მცხეთოს უწოდა ტფილისის და არაგვის დასავლეთს, ლიხის მთამდე და ტაშისკარამდე** შიდა ქართლი და ტაშისკარსა და ფანავრის დასავლეთს ზღვამდე უწოდა ზემო ქართლი[428], და განყო იგივე ქართლოსის სახელი ესრეთ. ხოლო შემდგომად მცხეთოს განუყო სამთა ძეთა თჳსთა წილი თჳსი და მისცა უფლოს, ძესა თჳსსა, რა იგი აღვსწერეთ, და ძესა თჳსსა ოძრახოს მისცა ტაშისკარს ზეითი და მტკვრის დასავლეთი, ვიდრე ზღვამდე, საზღვრამდე ქართლოსისა, რომელ არიან აწ სამცხე, გურია, ლიგანი, შავშეთი, არტანუჯი, ფანასკერტი, ოლთისი და ტაო; და ამათ ადგილებსა უმეტეს ეწოდა ზემო ქართლი.

ხოლო ფანავრის დასავლეთი და მტკვრის აღმოსავლეთი, ვიდრე თავადმდე მტკვრისა, მისცა მცხეთოს ძესა თჳსსა ჯავახოს, და ამის მიერ ეწოდა ამ ადგილებსა ჯავახეთი, და არიან ამათ ადგილთა შინა ჯავახეთი, არტანი, ერუშეთი, კოლა და მტკვრის აღმოსავლეთი; ხოლო კლარჯეთი არა არს წილი ამათი, არამედ ფარნაოზ

---

* დედანში: „ადგინებთა".

** დედანში: „ტაშისკარამდე".

დაიპყრა შემდგომად აზონის სიკუდილისა. და არს საზღვარი ამისი: აღმოსავლით მთა, რომელი განვლის კლარჯეთსა და ტაოს შუა ზღვამდე; სამჴრით მთა იგი, რომელს სდის მდინარენი და ერთვის ჭოროხსა; დასავლით მთა აზრუმ-ბასიანს შორის განვლილი ზღვამდე, და ჩრდილოთ შავი ზღვა. და არიან ამათ შინა თორთომი, ხახული, ისპირი, ფორჩხა, ბაიბურდი და ჭანეთი (არამედ უცნობელ არს, რით ეწოდა სახელი ესე, გარნა საგონებელ არს ღვლარჭნილთა და კლდოვან-ღრატო-ღრიღოვანებისა მიერ და მაღალთა მთათაგან, რამეთუ მთა-ბარი ახლორებს ესრეთ. ჟამისა ანუ ნახევარ ჟამისა სავალთა არს თოვლი და ბართა ნარინჯი, თურინჯი, ზეთისხილი და ყოველნი ნაყოფნი).

და ესრეთ განიყო სახელი ზემო ქართლისა სამად. არამედ აწ ოძრახოს წილს, გურიის მთამდე და არსიანის მთამდე, უწოდებენ სამცხეს, მცხეთოსისა და ქალაქის მცხეთის გამო, პირველვე წოდებულს მცხეთის მორჩილებისათჳს (კვალად იტყვიან: ოდეს აღაშენა სუმბატ ბივრიტიანმან ციხე ლუმოთის, სამთა ციხეთათჳს ლომისა, ოძრახესა მეპირისპირეს, ესე იგი არს სამციხეთა, ამით იწოდათ* სამცხე). ხოლო ამისვე წილი გურია აღვსწერეთ იმერეთისა ზედა, მუნ იხილავ. ხოლო ჭოროხის მდინარე იწოდა ქვა-ყრილობით და რიყოვანობით მას შინა მყოფთასა, რამეთუ მის მიერ დის მრქეფრად და ჩქარად, და ჰქვსა მისსა — ლიგანისჰვევად. კლდოვან განლიგებისათჳს ანუ დაბისაგან; ეგრეთვე შავშეთი — ვითამ შავში და არა სპეტაკში. მთა-კლდოვან ტყის გამო და არტანუჯი — შვენიერებისათჳს: „არა ტანი, არამედ უნჯი", ანუ იწოდნენ ძეთაგან ოძრახოსათა, რომელთა ეწოდათ სახელნი ესენი, და დაიმკვიდრეს რა ადგილნი ესენი, უწოდეს სახელნი თჳსნი. არამედ ჯავახეთის უწოდებენ მასვე ძველს სახელს. ხოლო არტ(ა)ნი ეწოდა მისვე ჯავახოსაგან, ვითამ ჯავახეთის — „არა ტანი, არამედ პირი". და კოლა იწოდა მუნ მცირე ქალაქის გამო. ხოლო ქვეყანასა კლარჯეთისასა ეწოდნეს სახელნი იგინი დაბნებთა და ქალაქებთაგან, მუნ მყოფებთა, ანუ ძის ძეთაგან პაოსისათა; და ჭანეთს ეწოდა მათგანვე, ანუ შემდგომად მლიქნელობისა და მღუღრობისა მათთათჳს ჭანად. არამედ ბაგრატიონთ მეფობასა შინა ყოველთა ამათ ადგილებთა და ქვეყანათა

---

* იწოდა.

კრებით ეწოდა მესხნი[*], იგივე ძველი სახელი სამცხეთოსი, და სიმოკლისათჳს მესხნი ითქმის. ხოლო ბრწყინვალემ მეფემ გიორგიმ მისცა რა ათაბაგობა და მის ქვეშე დააწესნა მის ქვეყნის ერისთავნი, მიერით იწოდა საათაბაგო. და უმეტეს განდგომილებისა ყვარყვარე ათაბაგისაგან, და ისახელების დღეღმდე საათაბაგოდ.

ხოლო სიგრძე ქვეყნისა ამის არს ქართლის საზღვრიდამ ქართლისყელამდე და ბაიბურდისა და ჭანეთის საზღვრამდე, და განი დევაბოინისა, და ირიჯლუს, და ყალნუს მთიებიდამ ღადოსა და გურიის მთამდე და ზღვამდე. და მზღვრის ქვეყანასა ამას: აღმოსავლით საზღვარი ქართლისა, რომელი აღვსწერეთ, და მთა ყარსისა, არტან-კოლასა და ყარს შორისი; სამჴრით მთა წინჰსენებული, სომხით-ქართლის საზღვარი, რომელი აწ ისახელების ირიჯლუსა და დევაბოინის მთად; ჩრდილოთ მზღვრის მთა ღადო ანუ ფერსათი[429], და მთა აჭარა-გურიის შორისი[**], და ზღვა პონტოსი; დასავლით მთა აზრუმისა, ეზინგისა და საქართველოსყელს შუა წავლილი, ანუ რკინისპალოსი[430] და მისრული ზღვამდე, რომელი აღვწერეთ ტრაპიზონისა და ჭანეთის საზღვარი.

ქვეყანისათჳს

ხოლო არს ქვეყანა ესე ფრიად მრავალ და დიდროვან მთიანი, კლდიანი, ჴევიანი, ღრატოიანი[431], ტყიანი, შამბშროშნიანი, მდინარიან-წყაროიან-ტბიანი და მცირედ ველოვანი. ზამთარ ადგილ-ადგილ ციეი და დიდთოვლიანი და ადგილ-ადგილ ფრიად თბილი, ზაფხულს შეზავებული, რამეთუ აქუს მთანი და აგარაკნი ფრიად ახლოს, ხოლო ადგილს ფრიად ცხელი და გაუძლისი, თჳნიერ აგარაკთა. ჰაერითი მშვენი და კეთილი, არამედ ზღვის კიდეთა არა ეგრეთი. ნაყოფიერებს ქვეყანა ესე ყოველითა მარცვლითა და არა ყოველგან. ადგილად აკეთებენ აბრეშუმსაცა მცირედ. და ხილნი, რომელნიცა აღვსწერეთ, არიან მრავლად და კეთილნი. არიან წალკოტნი, მტილნი და სავარდენი. გარნა ტყეთა, მთათა და ველთა ვიეთითა ადგილებთა შინა მრავალ არიან, ვინადგან მთა და ველნი შროშნითა ფშვი-

---

[*] ამ სიტყვის გასწვრივ, მარჯვენა აშიაზე, ტექსტის ხელით წერია: „ამათ ყოველთა კრებით ქვეყანასა სწერენ ძველს გეოგრაფიასა შინა. უწინარეს მაკედონელისაცა, სახელდა მოსხი, ესე იგი არს მესხი, და მთათა დევაბოინისას, ირიჯლუსას, ყალხისა და თორთომისას — მოსხის მთად. ეს არს მესხის მთა[432]. ამით საჩინო არს, მცხეთოსისა და მცხეთისაგან იწოდა სახელი ესე, და არს ძველითვე, ვითარცა იწოდა ბაგრატიონობასა შინა".

[**] დედანში ამის პირდაპირ აშიაზე წერია: „ესენი არიან მოსხის მთანი".

ან. პირუტყუნი ყოველნი მრავალნი და ნადირნი მრავლად, არამედ ქურციკი არა არს. ფრინველნი ურიცხუნი, გარნა ღურაჯი, შხერო, ასკატა არა არს აქა. ჩიტნი და სირნი უამრავნი. მდინარენი მრავალნი, დიდნი და ჩქარად მომდინარენი. წყარონი ტკბილნი, მშვენნი და კარგნი. ტბანი კეთილნი და თევზიანნი, და უმეტეს კალმახნი, დიდნი და წვრილნი. არამედ ზუთხი არა არს მდინარე-ტბათა ამათ შინა, არცა კირჩხიბი. მწერნი და მძრომელი ადგილ-ადგილ მრავალნი და ადგილად არა ევნეუნნი. ფუტკარი მრავალნი და თაფლნი კარგნი და მრავალნი. 222*

კაცისათჳს

ხოლო კაცნი და ქალნი არიან მგზავსნი ქართველთანი, არამედ უმეტეს ნელიად და ენატკბილად მოუბარნი, ტანოვანნი, მჴნენი, შემმართებელნი, შუენიერნი, ცოდნა-ჴელოვნების მოყუარენი, არამედ აწ, მაჰმადიანობის გამო, არღარა. სარწმუნოებით იყუნენ წლისამდე ქრისტესისა ჩქკვ, ქართულისა ტიდ-მდე სრულიად ქრისტეანენი ქართველთა თანა და სამწყსონი ქართლის კათალიკოზისანი, ხოლო აწ მთავარნი და წარჩინებულნი არიან მოჰმადიანნი, და გლეხნი ქრისტეანენი, არამედ კლარჯეთს გლეხნიცა უმეტესნი მოჰმადიანნი; გარნა ვინანიცა არიან ქრისტეანენი, იგინიცა უმწყსელნი არიან, ვინათგან არღარა რაისა მორჩილებენ ქართლის კათალიკოზსა, და ბერძენთა არა სცალს მათთჳს. ამისთჳს უეფისკოპოზონი და უხუცონი არიან, თჳნიერ რომელნიმე ქართლს იკურთხიან. ენა საკუთრად აქუსთ იგივე ქართული. გარნა წარჩინებულნი ნადიმთა და კრებულთა შინა უმბობენ აწ თათრულსა და თჳსთა სახლებთა ანუ ურთიერთის მეგობრობათა შინა იტყვიან ქართულსავე. სამოსლით მოსილნი არიან წარჩინებულნი და მოჰმადიანნი, ვითარცა ოსმალნი, და ქრისტეანენი, ვითარცა ბერძენნი, ხოლო ჯავახეთისანი და ვიეთნიმე მესხნიცა, ვითარცა თრიალელნი. და გულისხმა ჰყავ ეგრეთვე ქალნიცა მათნი.

სამცხისათჳს

ხოლო ქუეყანასა ამას შინა არიან მდინარენი უდიდესნი მტკვარი და ჭოროხი, რამეთუ მტკვარს მოერთვიან ყოველნი მდინარენი სამცხისანი, ჯავახეთისანი და კოლა-არტანისანი, და ჭოროხს სრულიად კლარჯეთის მდინარენი, თჳნიერ ჭანეთისანი. ამისთჳს ჩვენ კვალად ვიწყებ{თ} მტკვრიდამვე აღწერასა, ვინადგან დაგვეშთა ქართლიდამ სრულიად აღწერა მისი. და მდინარე ესე მტკვარი გამოსდის კოლას ზეით არსიანის მთას, და აწ წოდებულსა ყალნუს და ყარსის მთასა, და მუნიდამ მიდის სამ-

---

* 221 და 222 გვერდი ორი ფურცლისაგანაა შეწებებული.

ჴრეთიდამ ჩდილოეთად. ვიდრე ახალციხისწყლის[433] შესართავამდე. მერმე მუნიდამ გაბრუნდების აღმოსავლეთად და მიდის დასავლეთიდამ აღმოსავლეთად ჭობისჴევამდე; და მას ქვეითი აღვსწერენით ქართლსა ზედა. გარნა ესე მტკვარი დის ერუშეთის მდინარის შესართავიდამ. ვიდრე ჭობისჴევამდე. ქართლისაგან უმეტეს ჩქარად. და კლდოვანსა, და ჴრამსა ქვიანსა შინა. და ერუშეთის მდინარის შესართავს ზეით. არტანსა და კოლასა შინა. ფრიად მდორედ და გრეხით სივაკის გამო. და არსცა თევზთა სიმრავლე მას შინა. და მთის კერძოდ უფროს კალმახნი დიდნი და წვრილნი. სასმისად არს გემოიანი და შემრგო. უფროს ქართლისაგან. და სხვად არარადმე სახმარი.

ხოლო ამ მტკვარს ჭობისჴევს ზეით მოერთვის ჩდილოდამ ქვაბისჴევი. გამომდინარე ფერსათის მთისა. ამ ჴევის დასავლით. მტკვრის კიდეზედ. არს ციხე კლდესა ზედა შენი. მაგარი (ვგონებ ამას ღუმთის ციხედ[434]. რომელი აღაშენა სუნბატ ბიერიტიანმან და განავსნა სპითა. შემწედ წუნისათვის. და შურად ოძრახისა და ლომსიასათვის. და რათა ვერღარა ვიდოდნენ სპანი ქართლისანი მას ზედა. ვინათგან ჯავახეთი ეპყრა მასვე). ამ ციხეს ზეით მოერთვის მტკვარს ჴევი ბობნავისა[435], გამომდინარე კოდიანის მთისა. მოდის ჩდილოდამ სამჴრით მტკვრამდე. ამას ზეით მოერთვის მტკვარს სლესისჴევი ჩდილოდამ. გამოსდის ფერსათს და მოდის სამჴრით (ამ ჴევთაგან ერთს ვგონებ დოგალჴევად*). სლესისჴევს ზეით მოერთვის მტკვარს სამჴრიდამ თიხრევისჴევი[436] გამომდინარე კოდიანისა და მომდინარე ჩდილოდ. ამ თიხრევისჴევს მოერთვის ყინცვისს სხვა ჴევი. გამოსდის კოდიანსავე. თიხრევისჴევს ზეით. მტკვრის კიდეზედ. სამჴრით არს აწყვერი[437], ქალაქი და ციხე დიდშენი. მოსახლენი არიან მესხნი. სომეხნი და ურიანი ვაჭარნი, არამედ წარჩინებულნი — მაჰმადიანნი. აქა არს ეკლესია დიდშენი, შვენიერად ქმნული. გუნბათიანი. ყოვლადწმიდის ღვთისმშობლისა. იჯდა მიტრაპოლიტი. მწყემსი ყვიბისკორტანეთის ზეითისა. და მტკვრის ჩდილოეთისა. და ბოცოსწყლის[438] ჩდილოეთის კერძოსი. ვიდრე ტურის მთისამდე. გარნა აწ უქმი არს. არამედ ციხესა შინა დგანან იენგიჩარნი. აქ არს ხიდი მტკვარს ზედა.

ამი{ს} ზეით მტკვარს მოერთვის ზიკილიისჴევი[439], ჩდილოდამ, აგარას. გამოსდის ფერსათს და მოდის სამჴრით. ამ ჴევს ზეით. ხიდისთავს. მტკვარს მოერთვის** სამჴრიდამ

---

* დოგალ-ჴევად

** დედანში გამეორებულია ამ სიტყვის შემდეგ: „ხიდისთავს".

ხისპირისჴევი[140] გამომდინარე კოდიანისა და მომდინარე ჩრდილოთ. ამის პირისპირ, მცირეთ ზემოთ, ჩრდილოდამ, მოერთვის მტკვარს წინუბანს აბანოსჴევი[141] , გამოსდის ფერსათის და მოდის სამჴრით. ამ ჴევს ზეით, წნის, ერთვის მტკვარს წნისისჴევი[142] . გამომდინარე ფერსათის მთისა. ეს მოდის პირველ ჩრდილო-დასავლეთიდამ აღმოსავლეთის-სამჴრეთის შუა. მერმე ჩრდილოდამ სამჴრით. ამ ხევზედ არს, წნის ზეით, მონასტერი მაღალს კლდესა ზედა, კეთილშენი, გუნბათიანი და აწ უქმი. ამ ჴევის სათავეს, მთასა შინა, არს ჭინტის დასავლეთად ჯვარისციხე[143] მაგარი და დიდშენი. ჭინტას არს მონასტერი კეთილი, შვენიერშენი და აწ უქმი. წნისს არს მტკვარზედ ხიდი კარგი. ამ ხიდს ზეით მომდორდების მტკვარი და მოდრკების სამჴრიდამ აღმოსავლეთად; სად მოდრკების, მოერთვის მტკვარს მუნ ახალციხისწყალი. და ახალციხისწყალი ეწოდების ქვანჯლამდე ამ წყალსა. და მოდის დასავლეთიდამ აღმოსავლეთად.

ხოლო ქვანჯლას ზეით ახალციხისწყალი განიყოფის ორად მდინარედ. და ეწოდების თჳსთჳსი სახელნი. ხოლო ამ ახალციხისწყალს, მტკვარს ზეით, მოერთვის ოლდამისჴევი მარდაებთან. გამოსდის ერუშეთის მთას, მოდის სამჴრიდამ ჩრდილოთ. ამ ჴევს ზეით, ახალციხეს ერთვის ურიებთან ბორჯომისჴევი[144] მისვე მთი{ს} გამომდინარე და მომდინარე ეგრეთვე. აქა არს ახალციხე ქალაქი, ფერსათის მთის კერძოთ ჩამოსულს კლდესა ზედა. არს ციხე ქალაქის თავს (ამას ეგონებ ლომსიად, ვინათგან, ისახელების რა ახალციხე ცხორებასა შინა, არღარა მოიხსენების მერმე ლომსია). ამ ახალციხეს უდის წყალი თჳსი სამჴრით, და დასავლით ლიკანისჴევი[145] რომელი გამოსდის ფერსათს და მოდის სამჴრეთად. ხოლო ქალაქი არს მოზღუდვილი ციხიდამ ქვიტკირის სამის ზღუდით. მას შინა მოსახლენი არიან წარჩინებულნი და ჩენილნი მოჰმადიანნი. და ვაჭარნიცა. გარნა სახლობენ სომეხნი, ურიანი და მცირედნი მესხნიცა. ჰაეით არს მშვენი, ზამთარს ცივი და თოვლიანი, ზაფხულის არა ეგდენ ცხელი. გარემოს ქალაქისა წალკოტნი, ვენახნი და ხილნი მრავალნი. აწ მჯდომარებს ფაშა მუნ, რომელსა უწოდებენ საქართველოსანი ქვალად ათაბაგადვე, ხოლო ოსმალნი, ახალციხის ფაშად, და უპყრავს ამას სრულიადი სამცხე-საათაბაგო.

ხოლო ახალციხეს ზეით, ქვანჯლას, მოერთვის ახალ- 223
ციხისწყალს ოცხისწყალი[146] ეს გამოსდის ფერსათს და მოდის ჩრდილოთ-დასავლეთს შუადამ აღმოსავლეთ-სამჴრეთს შუა. ამ ოცხესწყალს ერთვის, ვაშლობს, პანტნოვანისხევი, გამომდინარე ფერსათისა. და მოდის ჩრდილოდამ სამჴრით.

ამ ჴევის ზეით, მთის ძირში, არს ოძრახე[447], რომელი აღაშენა ოძრახოს ქალაქი და ციხე, და უწოდა სახელი თჳსი. ამისაგან ეწოდაცა საერისთოსა ამას საერისთო ოძრახოსი, და იყო ქალაქი და ციხე. განყოფილებისამდე სამეფოსა, საერისთოდ, და შემდგომად მისა — დაბად; ხოლო აწ არს ოჴერ, და ციხე შემუსვრილი. მცირედ ამის ქუეით, სამჴრით, არს მთის კალთას წყარო გამომდინარე, ფრიად დიდი და ცხელი, მდუღარის მგზავსი, რომელსა უწოდებენ ოცხეს. მას ზედა არს შენი აბანო, და ბანობენ მრავალნი, რამეთუ ჰკურნებს ქარით დახუთეულსა ძლიერსა, მუწუკსა და ბუგრსა, ძნიად საკურნებელსა მკურნალთაგან. გარდავალს აქედამ გზა კაკასხიდზედ[448] ბაღდადს. /ამ გზას ეწოდა, მთით, რკინისჯვარი/.

ამ ოცხისწყლისა და ახალციხისწყლის შესართავს ზეით იყრებიან ერთად ქვაბლიანისა და ბოცოსწყალნი, და მოერთვიან ოცხე-ახალციხის წყალსა. და ქვაბლიანისწყალი[449] დის ოცხესწყლის სამჴრით და გამოსდის გურიის მთასა, მოდის ჩრდილო-დასავლეთს შუადამ აღმოსავლეთ-სამჴრეთის შუა, და ამის სამჴრით დის ბოცოსწყალი. ეს გამოსდის გურიისა და აჭარის მთასა[450], მოდის დასავლეთიდამ აღმოსავლეთად. და ამ ბოცოსწყალს, ხვანას ზეით, ერთვის სხვა ჴევი, რომელი გამოსდის გურიისვე მთასა. ესეც მოდის დასავლეთიდამ აღმოსავლეთად. ამას ზეით, ბოცოსწყალზედ არს, ნაოხარს, სასახლე თამარ მეფისა, დიდშენი, შვენიერს ადგილს და აწ ოჴერ. ბოცოსწყალსა და ქვაბლიანისწყალს შორის, ხვანასა და უდეს შორის არს მთა, წარსრული გურიის მთიდამ აღმოსავლეთით. ამ მთასა შინა არს ვანას მონასტერი, შვენიერი, კეთილნაგები, და მუნვე ქვაბნი გამოკვეთილნი, დიდ-დიდნი, კლდესა შინა და აწ უქმნი. ამავე მთაში არიან ზეგანის დაბნებნი.

ხოლო ბოცოს და ქვაბლიანისწყლის შესართავს ქუეით ამ წყალს ერთვის ჯაყისწყალი, გამოსდის არსიანის მთას და მოდის აღმოსავლეთად, და მოერთვის ბოცო-ქვაბლიანისწყალს სამჴრიდამ. და ამ ჯაყისწყალს, ჭვინტას ქუეით, მოერთვის ტყისსოფლისჴევი, გამოსდის ერუშეთის მთას და მოდის სამჴრით. ამ ჴევს ზეით ჯაყისწყალსავე, წურწყუმას[451], მოერთვის ფოცხვისჴევი[452], გამოსდის ერუშეთისა და მის შორის მთასა, მოდის დასავლეთად და მერმე ჩრდილოდ. ხოლო წურწყუმას არს ეკლესია გუნბათიანი, კეთილშვენიერად ნაგები და დიდი, იჯდა ეპისკოპოზი, მწყემსი ბოცოსწყლისა და ახალციხისწყლის სამჴრეთისა, ვიდრე მტკვრამდე, და ერუშეთისა, და არსიანის მთამდე. წურწყუმს ზეით, ჯაყისწყალზედ, არს ყველს ციხე, მრა-

ქალაქერ შემუსვრილი და აწ ოჴერი. ყუელს ზეით, მთაში, არს ზარზმას მონასტერი გუნბათიანი, კეთილშენი, შუენიერს ადგილს და აწ უქმი. ხოლო ქვაბლიანისა და ბოცოისწყლის სათავიდამ გარდავლენან გურიას და აჭარას გზანი. და ჯაყისწყლის სათავიდამ გარდავალს აჭარასა და შავშეთს გზანი. და ფოცხვისწყლის სათავიდამ გარდავალს ერუშეთს გზა. არამედ აწ, ვინაჲგან აღვსწერეთ ახალციხის დასავლეთი, ამისთჳს კვალად ვიწყებთ მტკვრიდამვე და აღვსწერთ მის შემრთველს წყალთა.

ახალციხისწყლისა მტკვრის შესართავს ზეით, მტკვარს მოერთვის ცუნქისჴევი[153], გამოსდის ერუშეთის მთას და მოდის აღმოსავლეთ-ჩრდილოს შორის. ამ ჴევს ერთვის ღრელისჴევი, მისვე მთის კალთის გამომდინარე. ამ ჴევზედ არს საფარას მონასტერი, შუენიერად დიდშენი, გუნბათიანი, ყოვლადწმიდისა. ეს იყო შემკული ყოვლითა საეკლესიოთა და წმიდათა ნაწილებითა. და დაუფლოდნენ ათაბაგნი, და აწ არს ხუცის ამარ. ამავ ჴევს ზეით, ცუნქისჴევს მოერთვის ქობარეთისჴევი, გამომდინარე მისვე მთისა და მომდინარე ეგრეთვე (ამას ვგონებთ ხინგის მდინარედ)[154]. ამ ჴევს მოერთვიან ჴევაშენებს, ორნი ჴევნი, დასავლეთიდამ მომდინარენი. ხოლო ხობას ზეით არს, ცუნქა-ღრელის ჴევთ შორის, თმოგვს, კლდესა ზედა, ციხე შენი; თმოგვი იყო ქალაქი, არამედ აწ არს დაბა. კვალად მტკვარს მოერთვის, ცუნქისჴევის შესართავის პირისპირ, აღმოსავლიდამ, ინწყორასჴევი, გამომდინარე კოდიანის მთისა და მომდინარე აღმოსავლეთიდამ დასავლეთად. ამ ჴევს მოერთვის, გიორგიწმიდას, სხვა ჴევი სამჴრიდამ მდინარე. ხოლო ცუნქისჴევს ზეით, მტკვრისა და წითელისკლდის დასავლეთით, არს მონასტერი გუნბათიანი, დიდშუენიერი, შუენიერს ადგილს და აწ ცალიერი. კვალად მტკვარს მოერთვის, წითელკლდეს ზეით, დობაეთის პირისპირ, ოშორისჴევი. ესე გამოსდის კოდიანის მთას და მოდის დასავლეთად. ამ ჴევზედ, ზემო ოშორას ზეით, არს მონასტერი გუნბათიანი, დიდკეთილად ნაგები და აწ ცარიელი. ოშორასჴევის შესართავს ზეით, ინდუსას, არს ხიდი მტკვარზედ. მას ზეით მოერთვის მტკვარს სველისჴევი დასავლეთიდამ.

ამას ზეით ერთვის მტკვარს ასპინძისჴევი აღმოსავლეთიდამ, გამოსდის კოდიანისას ანუ ჯავახეთის მთას. ამის შესართავთან არს ხიდი მტკვარსა ზედა. ასპინძის თავს და აგარის ბოლოს არს ციხე კლდესა ზედა შენი, მაგარი. ასპინძის ზეით, ჩრდილოთ კერძოთ, არს მგელციხე[155], მაგარი, დიდშენი. ამავ ჴევზედ ოთას, არს კლდესა შინა გამოკვეთილნი ქვაბნი დიდ-დიდნი, სახიზრად. ოთას ამ

ჴევს ერთვის ჯაბოეთისჴევი. გამოსდის ჯავახეთის მთას.
და ასპინძისჴევის სათავეზედ, მთის ძირში, არს შორაპანს
მონასტერი[456] უგუნბათო. შუენიერს ადგილს, ლიდშენი.
სრულიად სოფლის კენჭით და აწ ცალიერი. ასპინძისჴევის
შესართავს ზეით მოერთვის მტკვარს ვარენთისჴევი. გამოსდის
ერუშეთის მთას, მოდის დასავლეთად. ვარენთას
არს ციხე[457] მაგარი. კლდესა ზედა შენი. ამ ჴევის შესართავს
ზეით, მტკვარს მოერთვის აღმოსავლიდამ კოხტისჴევი.
გამოსდის ჯავახეთის მთას ანუ კოლიანს და
მოდის დასავლეთად. კოხტას ამ ჴევს მოერთვის სხვა ჴევი.
მისვე მთის გამომდინარე. ამ ორს ჴევს შორის არს ციხე
კოხტისა. ლიდშენი და მაგარი. ქვალად მტკვარს მოერთვის.
კოხტისჴევის შესართავს ზეით, დალეშისჴევი. გამომდინარე
ერუშეთის მთისა. დალეშს არს მონასტერი გუნბათიანი.
კეთილ-შუენიერს ადგილს შენი. აწ ცალიერი. ამ ჴევის
224 შესართავს ზეით, ნიჯგორის პირისპირ. მტკვარს მოერთვის
შულავერისჴევი[458], გამომდინარე ერუშეთის მთისა.

ამ ჴევს ზეით. ხერთვის. ერთვის ჯავახეთის მდინარე მტკვარს, რომელსა უწოდებენ ჯავახეთი{ს} მტკვრად. და ამ მდინარეს მოერთვიან ყოველნი ჯავახეთის მდინარენი. ხერთვის არს ხიდი მტკვარსა ზედა. ამ ხიდს ზეით მოერთვის მტკვარს ჭაჭარაქისჴევი[459] გამოსდის ერუშეთის მთას. მოდის აღმოსავლეთად. ამ ჴევს ზეით მოერთვის მტკვარსვე ქარზამეთისჴევი, გამომდინარე მისვე მთისა და მომდინარე ეგრეთვე. ქარზამეთს არს მონასტერი გუნბათიანი. მდიდრად შენი. კეთილს ადგილს და აწ ცალიერი. ამას ზეით არს ვარძიას მონასტერი[460]. კლდესა შინა გამოკვეთილი. სენაკ-პალატებითურთ. და მას შინა აღშენებული ჵა მეფის გიორგისაგან და შესრულებული თამარ მეფისაგან. ესე შემკული იყო საეკლესიოს სიმდიდრითა და ყოვლის წესიერებითა. დაფლულ არიან ჵა მეფე გიორგი. ოე მეფე კონსტანტინე და სხვანიცა. არამედ აწ ცალიერი.

ხოლო აქამომდე რომელნი აღვსწერენით. ესე არს უმეტესად ზემო ქართლი და შემდგომად სამცხე წოდებული. და აწცა სამცხედვე ისახელების. და მზღვრის ამ სამცხეს: აღმოსავლით საზღვარი ქართლისა და მთანი კოდიანისა, შარვაშეთისა და საზღვარი ჯავახეთისა: სამჴრით მთა ერუშეთისა და სამცხეს შორისი. მერმე არსიანის მთა, შავშეთისა და ყველს შორისი. ხოლო არსიანის მთა მდებარებს სიგრძით აჭარის მთიდამ არტანამდე, აღმოსავლეთ-სამჴრეთის შუადამ ჩრდილოთ-დასავლეთის შუა. და არს თიხემთა უტყეო და კალთათა ტყიანი. გამოსდიან მდინარენი ამიერ და იმიერ. არს ყვავილოვანი, ბალ-

ახოვანი, წყაროიანი, ნადირიანი, ფრინველიანი. არტანიდამ მოდრკების არსიანის მთა და წარვალს სამჴრით, მიადგების ყარსის მთას. ამ არსიანის მთას უწოდებენ არტანს — ქვაყრილს, და კოლას — ყალნუ მთას. ამ მთას აქუს აღმოსავლით კოლა, არტანი, და დასავლით არტანუჯი და ფანასკერტი. და არს მთა ესე არსიანსავით, არამედ უმეტესად უტყეო. ხოლო დასავლით მტკვრის სამცხეს მთა გურია-აჭარისა, რომელი მდებარებს ჩრდილოდამ სამჴრით, ფერსათის მთიდამ არსიანამდე. და არს ესეცა თხემთა უტყეო და კალთათა ტყიანი, წყარო-მდინარიანი, შამბ-ყვავილოანი, ნადირ-ფრინველიანი. და ჩრდილოთ მტკვრის მთა ფერსათი, არამედ პირველწოდებული დადო და ლომსია, და ქართლის კერძოდ ეწოდების მახვილო, რომელი არს უმაღლესი და მარადის თოვლიანი, მყინვარი, და სიმაღლე-სიწვრილისათჳს ეწოდა მახვილო.

და ძეს მთანი ესე აღმოსავლეთიდამ დასავლეთად, ქართლის ჴეობიდამ გურიის მთამდე. არს თხემთა უტყეო და კალთათა ტყიანი, გარნა რომელთამე ადგილთა თოვლიანი, ყინულიანი მარადის, ბალახოვანი, შამბნოვანი, ყვავილოვანი, წყარო-მდინარიანი, ნადირ-ფრინველიანი მრავლობით. ჩრდილოთ აქუს იმერეთი და სამხრით სამცხე. და ამ საზღვართა შორისი არს სამცხე. შიგნით მთიანი, გორიანი, ღრატოიანი, ჴევიან-კლდიანი, მაგარი მთა-ბართა სიახლოვითა, ვენახიანი, ხილიანი მრავლად. მარცვალნი ყოველნი ნაყოფიერებენ. პირუტყვნი მრავლად, არამედ ცხოვარნი უმრავლესად. ჰაეით მშვენი და შემკული, აგარაკოვანი, თევზნი, თვნიერ ზუთხისა, მრავალნი და გემოიანნი ყოველნი. კაცნი და ქალნი, ვითარცა აღვსწერეთ, იეწყეთ ეგრეთ. არამედ გლეხნი კვალადცა მაჰმადიანდებიან ჭირისათჳს დიდისა.

ჯავახეთისათჳს

ხოლო აწ ვიწყებთ ჯავახეთს. და სად ერთვის მტკვარს ჯავახეთის მტკვარი, ამ ორს მდინარეს შორის არს ხერთვისი, მტკვრის აღმოსავლეთის კიდეზე და ჯავახეთის მტკვრის სამჴრით. და შენი არს აქა ციხე ფრიად მაგარი, და ჰგანან აწ იენგიჩარნი. არამედ ეს ჯავახეთის მტკვარი გამოსდის ფანავრის ტბას და მოერთვის სადამოს ტბასა. კვალად გამოსდის სადამოს ტბასაცა და მოდის აღმოსავლით-სამჴრეთს შუადამ ჩრდილოთ-დასავლეთს შორის. სიგრძით არს სადამოს ტბიდამ ხერთვისამდე. და დის ფრიად, და ღრმას, და კლდიანს ჴრამსა შინა, რომლისა იმიერ და ამიერ არიან გამოკვეთილნი კლდესა შინა ქვაბნი მრავალნი სახიზრად. ხოლო ხერთვისის ზეით ამ ჯავახეთისწყალს ერთვის გოკიის მდინარე. გამოსდის შარეაშეთის მთას ანუ ჯავახეთისას, მოდის გოკიამდე

ჩდილოდამ სამხრით. მერმე აღმოსავლიდამ დასავლეთად და მიერთვის ჯავახეთის მტკვარს ჩდილოდამ. გოკია არს ქალაქი მცირე. მოსახლენი არიან მესხნი, სომეხნი და ურიანი ვაჭარნი. გოკიას ქვეით ამ გოკიისწყალს ერთვის ოლდამისწყალი, გამომდინარე შარვაშეთის მთისა და მომდინარე ჩდილოდამ სამხრით. ხოლო კვალად გოკიისწყლის შესართავის. ჯავახეთის მტკვრის სამხრით, მაღლა მინდორსა ზედა, მთის ძირად, არს ტბა კარწახისა[161], დიდი და აღვსილი თევზითა. უმეტეს კალმახითა. ფრიად გემოიანითა. ამ ტბას მოერთვის წყალი ფოსოხი[162] რომელი გამოსდის ყარსის მთას და მოდის ჩდილოთ კერძოთ. ამ წყალზედ არს. ტბის მჭვრეტი, წყაროსთავს, ეკლესია ფრიად დიდ-შვენიერი, გუნბათიანი, რომელი აღაშენა მირდატ გორგასლის ძემან. იჯდა ეპისკოპოზი. მწყემსი მტკვრის აღმოსავლეთისა არტანითურთ, ვიდრე ყარსის მთამდე და საყუთამდე. ამავ წყალზედ არს ფოსო ანუ ჩუდურეთი. ამ ფოსოს აქვს აღმოსავლით მთა ნიალისყურისა, სამხრით მთა ყარსისა, დასავლით მთა არტანისა და მის შორისი, ჩდილოთ მთა ნიალისყურისავე. წყაროსთავის სამხრით, რომელსა გასჭრის წყალი ფოსოხი. და არს ეს ფოსო უვენახო, უხილო, ვითარცა ჯავახეთი, ყოვლითა. მოსავლით, პირუტყვით და კაცითა.

ხოლო კვალად გოკიისწყლის შესართავს ზეით. ჯავახეთის მტკვარსა ზედა. სამხრეთისაკენ. კიდეზედ. არს წუნა. რომელი აღაშენა — ციხე-ქალაქი. მტკიცედ მოზღუდვილი — ჯავახოს. მცხეთოსის ძემან. ამასვე უწოდეს პერი. შემდგომად უწოდეს ამასვე სომეხთა ქაჯთა ტუნი და მერმე უწოდა ქაჯთა ციხე. იყო ქალაქი და ციხე და საერისთო ერთმეფობამდე. არამედ აწ არღარა არს ქალაქი, გარნა ციხე არს. ამ წუნას ზეით. ჭრამის თავს. მინდორზედ. სამხრით კერძოთ. არს კუმურდოს ეკლესია. გუნბათიანი. ფრიად დიდშენი. შვენიერად ნაშენი. /რომელი აღაშენეს კონსტანტინეს მოგზავნილთა ჟამსა [მირიანისასა/* იჯდა ეპისკოპოზი, მწყემსი სრულიად ჯავახეთისა. ხერთვისს ზეითისა. ხოლო წუნას ზეით ჯავახეთის მტკვარს მოერთვის ჩდილოდამ ბარალეთის მდინარე[163], რომელი გამოსდის ფანავრის ტბისა და სანსრების შორისს მთას და მოდის აღმოსავლეთად. ამ წყალზედ. მტკვრის შესართავს ზეით, არს ბარალეთი. მცირე ქალაქი. მოსახლენი არიან მესხნი, სომეხნი, ურიანი ვაჭარნი. ბარალეთს ზეით. ამ წყალს.

---

* დედანში უკანასკნელი ექვსი სიტყვა წერია სტრიქონს ზემოდან, მარჯვენა აშიაზე გატანით. ტექსტი უკანასკნელი სიტყვა არ იკითხება, თუმცა, მ.ჯანაშვილს ამოუკითხავს „მირიანისასა".

კაჭიოს. მოერთვის აჩავრეთისჴევი[464]. გამომდინარე შავრაშეთის მთისა და მომდინარე სამჴრეთად. ამას ზეით ამავ წყალს ერთვის. ბოყანის ქვეით. ბუშათისჴევი. გამოსდის მასვე მთას და მოდის ეგრეთვე. ამას ზეით, 225 მასვე ბარალეთის მდინარეს მოერთვის მოდეგისჴევი, მისვე მთის გამომდინარე და მომდინარე ეგრეთვე.

ხოლო კვალად ბარალეთისწყლის შესართავს ზეით მოერთვის ჯავახეთის მტკვარს, სამხრიდამ, ახალქალაქის წყალი[465], რომელი გამოსდის აბოცის დაბის მცირეს ტბას და მოერთვის მცირედ მუნვე ხავეთის ტბასა[466], და კვალად, მის ტბის გამომდინარე. მოდის აღმოსავლეთ-სამჴრეთის შუადამ ჩდილოთ-დასავლეთის შორის.

ხოლო ახალქალაქი არს ამ ორთა მდინარეთ შესართავს შორის. ესე იყო ქალაქი მოზღუდვილი და ციხე ძლიერი, არამედ შეიმუსრა მრავალგზის. გარნა აწ აღაშენა კვალად შავშეთის ბეგმან ქართლიდამ. ამ ახალქალაქს ზეით არს ამირანის გორა[467], მტკვრის სამჴრის კიდეზედ. მუნ არს მტკვარსა ზედა ხიდი. ამას ზეით არს ტბა საღამოსი. დიდი და აღვსილი თევზითა გემოიანითა ამისთჳს. რამეთუ არს ანკარა და ქვიანი. ამის სამჴრით არს ტბა ფანავრისა[468], რომელი აღვსწერეთ ქართლსა ზედა. და ამ ფანავარს გამოსდის ჯავახეთის მტკვარი, დაბას გასადინარსა.

ესე არს ჯავახეთი. და არიან ამ ტბებთა და მდინარე-ჴევთა ზედა დაბნები და მოსახლენი. ხოლო მზღვრის ჯავახეთის: აღმოსავლით საზღვარი ქართლისა, რომელიცა აღვსწერეთ; სამჴრით მთა ნიალისყურისა. რომელი მდებარებს გოლის ტბიდამ ანუ ხავეთიდამ ყარსის მთამდე ანუ ფოსოს წყაროსთავამდე. აღმოსავლეთიდამ დასავლეთად. და არს მთა ესე სრულიად უტყეო. ბალახ-შამბ-ყვავილიანი და წყაროიანი. ხოლო ფოსოს კერძონი და წყაროსთავის კერძო მტკვრამდე — ტყიანი, ნადირიან-ფრინველიანი. ხოლო დასავლით მზღვრის ჯავახეთს ძველად მტკვარი, და აწ ნიჯგორის-ხერთვის ზეითი. და წყაროსთავის დასავლით წარსრული მცირ{ე} გორანი, ხოლო ჩდილოთ პირველი საზღვარი არს კოდიანის მთიდამ წარსრული მცირე მთა ნუსხამდე, და მერმე საზი მის გასწვრივ მტკვრამდე, და აწ კოხტის მდინარის აქეთი[*] სამჴრის კერძოს მცირე მთა, ნიჯგორის თავამდე და კოდიანამდე. არამედ არს ესე კოდიანის მთა ტყიანი, ნადირიანი, მდინარიანი, რომელი წარმოვალს ბაკურიანიდამ და ჭობისჴევიდამ და მოვალს კოხტისთავამდე. მერმე დამდაბლდების და დასწყდების

---

[*] ამის შემდეგ დედანში წაშლილია: „ბაკურიანამდე“

ნიჯგორის ზეით ჭრამზედ.

ხოლო ჯავახეთ{ი} არს, ვითარცა თრიალეთი, უვენახო, უხილო, უტყეო, ვიეთთა ადგილთა სწევს წიყასა, და მოსავლითაც ეგრეთვე, არამედ ესე უმეტეს[•] ნაყოფიერი და მოუცლდენელი. ჰაეითაც მგზავსი, გარნა უმჯობესიცა. ზამთარი დიდთოვლიანი და ყინვიანი. ცხოვარნი, მროწლენი და ჯოგნი მრავალნი, თევზნი მრავალნი, ფრინველნი, რომელნიცა მთათა გვარობენ, მრავალნი. თაფლნი მრავალნი. კაცნი და ქალნი მგზავსნი ქართლის გლეხთა, ტანოვანნი, შვენიერ-ჰაეროვანნი, უსაქციელონი, ბრიყვნი; სარწმუნოებით გლეხნი ჯერეთ ქრისტეანენი სრულიად, არამედ არღარა უვისთ მწყემსი ეპისკოპოზი, გარნა ჰყავთ მღვდელნი ქართველნი. ენა აქუსთ ქართული, და უწყიან მოთავეთა თათრულიცა დამჭირნეობისათჳს ოსმალთა.

ერუშეთისათჳს[469]

ხოლო აწ კვალად ვიწყებთ მტკვრიდამვე. ვარძიას ზეით, ჭრამის თავს, სამდერეთს, მტკვარს მოერთვის ერუშეთის მდინარე. ეს გამოსდის ერუშეთისა და ფორჩხისჴევს შორის მთასა. მოდის ჩრდილოთ-დასავლეთის შუადამ აღმოსავლეთის-სამჴრეთ შუა. ამ წყალზედ არს, სამდერეთის დასავლით, ნაქალაქევი, სადაცა იყო ქალაქი, და აწ არს დაბა. აქ აღაშენა ეკლესია გუნბათიანი, შვენიერი, წარმოგზავნილმან დიდის კოსტანტინესამან, წარსაგებელითა კეისრისათა, რომელნი მოვიდოდნენ მირიან მეფისათანა, და დაასვენეს მას შინა სამსჭვალი ქრისტეს უფლისა. იჯდა ეპისკოპოზი, მწყემსი ერუშეთისა და არტანისა, მტკვრის დასავლეთისა. აწცა არს ეკლესია დაურღვეველი, არამედ ცალიერი.

ხოლო ერუშეთს მზღვრის: აღმოსავლით მტკვარი და მთა ამისი და სამცხეს შორისი, და გარდავლენან მას მთასა ზედა გზანი სამცხეს; სამჴრით არსიანიდამ ჩამოსული მთა აღმოსავლეთად სამდერეთამდე, ერუშეთს და არტანს შორისი; დასავლით მთა არსიანი, სადაცა გარდავლენან გზანი შავშეთს და ტბეთს; ჩრდილოთ მთა ამასა და ფოცხვისჴევს შორისი, და ამასა და სამცხეს შორისი. ამ მთაზედ გარდავლენან გზანი ფოცხვისჴევსა და სამცხეს შინა. და არს ეს ერუშეთი უვენახო, უხილო, ვითარცა ჯავახეთი, ეგრეთვე მოსავლითაცა, პირუტყვით, ნადირითა და მდინარე-თევზითა, არამედ მთანი არიან ტყიანნი გარემოს მისსა და ყვავილოვან-ბალახოვან-წყაროიანნი.

არტანისათჳს[470]

ხოლო სამდერეთისა და ერუშეთისწყლის შესართავს ზეით არს არტანი, ქალაქი მცირე, რომელიცა აღაშენა ჯავახოს, ძემან მცხეთოსისამან, მტკვრის დასავლით

[•] დედანში: „უმეტენ“.

კიდეზედ. და ციხე მაგარი. შემდგომად. მეფობასა შინა ბაგრატიონთასა. იჯდა ერისთავი არტანისა და კოლისა. აქა არს ეკლესია გუნბათიანი. დიდშენი. შუენიერი და აწ ცალიერი. ამას ზეით. მტკვრის კიდესა ზედავე. არს დასავლით ჯინჭრობი. ამ ჯინჭრობს ზეით ჩამოვალს მთა ქვაყრილის მთიდამ აღმოსავლეთით მტკვრამდე, ეგრეთვე ფოსოს მთიდამ მტკვრამდე. ეს მთანი არიან საზღვარნი არტანისა და კოლისა. და ამ არტანს შინა მოერთვიან მდინარენი მტკვარს ქვაყრილისა და ფოსოს მთიდამ. რომელთა ზედა არიან დაბნები და მოსახლენი.

ხოლო მზღვრის არტანს: აღმოსავლით მთა. ამასა და ფოსოს შორის; სამჴრით მთა, ამასა და კოლას შორის; დასავლით არსიანი. და აწ ქვაყრილად წოდებული, სადაცა გარდავალს გზა არტანუჯს. ჩრდილოთ მთა მცირე, ამასა და ერუშეთის შორისი. ხოლო არს არტანი ვაკე და უტყეო, ბალახ-ყვავილიანი. მოსავლით. ვითარცა ჯავახეთი, და მთანიცა უტყეონი. მცირე არყნალთაგან კიდე.

კოლისათჳს[471]

ხოლო არტანისა და კოლის საზღვარს ზეით, მტკვრის კიდის დასავლეთით. არს მცირე ქალაქი კოლა. და ზის აწ ფაშა კოლას. და უწოდებენ კოლის ფაშას. ამ კოლას ზეით, მტკვრის კიდეზედ, დადეშს. არს ეკლესია დიდ-შუენიერ-გუნბათიან-შენი, და აწ უჴმობენ დორთქილისიას. იჯდა ეპისკოპოზი სრულიად კოლისა. და აწ უქმი არს. ხოლო მტკვრის სათავეს ზეით, ყალნუს მთის ძირზე, არს ციხე შენი ქუმურლუსი. მაგარი და შუვალი (ვგონებ ბექის ციხედ). აწ ცალიერ არს. ამას ზედა გარდავალს გზა ბანას[472] და ფანასკეტს. არამედ კოლის ადგილებთა შინა მოერთვიან მტკვარს მდინარენი ყარსისა და ყალნუს მთიდამ. და მათ ზედა შენ არიან დაბნები. და მზღვრ|ის კოლას: 226 აღმოსავლით მთა ყარსისა, რომელი მდებარებს ყალნუს მთიდამ ნიალისყურის მთამდე, დასავლეთის-სამჴრეთს შუადამ აღმოსავლეთ-ჩრდილოს შორის. და არს მთა ესე მცირეტყიანი, და არს ბალახ-შამბ-ყვავილოვანი, წყაროიან-ნადირიანი. გარდავლენან მას ზედა გზანი ყარსის ადგილებთა შინა; დასავლით მზღვრის კოლას არსიანის მთა, და აწ ყალნუედ წოდებული, რომელსა ზედა გარდავლენან გზანი ბანას, არტანუჯსა შინა. და არს მთა ესე მაღალი და მცირეტყიანი, წყაროიან-ბალახ-შამბ-შროშნიანი და ზაფხულის ფრიად შუენიერი; ჩრდილოთ მზღვრის კოლას არტან-კოლას შორისი მცირე მთა.

და არს ადგილნი კოლისანი მოსავლით. პირუტყვით და ჰავით, ვითარცა ჯავახეთი, და კაცნიცა ჰგონე ეგრეთვე, არამედ აწ უმეტესნი მოჰმადიანნი. ხოლო იყო პირველ ჯავახეთი, არტანი და კოლა ერთი საერისთო და შემდგო-

მალ იქმნა ორ საერისთოდ ბაგრატიონობასა შინა — წუნისად და არტანისად. და აწ ზის ჯავახეთს ნიჯგორს მჯდომ{ი} ყაშა და კოლას ფაშაე, გარნა მორჩილებასა შინა ახალციხის ფაშისასა. და ესენი არიან აღწერანი მტკვრის შემდინარის მდინარეთა და ქვეყანათა, რომელთაცა ძველად ეწოდებოდა ზემო ქართლად, ამისთჳს — მტკვარი ვინაჲგან ქართლს მიმდინარე არს, შესავალ-გამოსავალი ამ ორთა ქვეყანათა დაუბრკოლებელი აქუსთ.

ჭოროხისათჳს

ჴოლო აწ ვიწყებთ კლარჯეთს. და ამ ქვეყანასა შინა უდიდესი მდინარე არს ჭოროხი, რომელი გამოსდის ირიჯლუს მთასა და დის სამჴრიდამ ჩრდილოთ, მცირედ აღმოსავლეთით მიწეულად, ხვარამზეს ხიდამდე[473]. მას ქვეით მოუხვევს და დის, უმეტეს ართვანიდამ, ჩრდილოთ-დასავლეთს შუა. და მიერთვის ბათომს ქვეით შ{ა}ვს ზღვას. სიგრძით არს ზღვიდამ ირიჯლუს მთამდე, და დის ფრიად ჩქარად ქვიანსა, კლდიანსა და ჴრამოვანსა შინა. და არს თევზიანი, გარნა მთის კერძოდ უმეტეს კალმახნი, სასმისად შემრგო, გემოიანი და სხუებ ურგები, ვინაჲგან არარაი კეთდების ანუ ირწყვის, თჳნიერ ერგეს, გონიას და ბათომს. არამედ ვინაჲგან აღვსწერენით[*] ბათომი, გონია და ერგე გურიასა ზედა, აწ ერგეს ზეიდამ ვიწყებთ, აჭარისწყლის შესართავიდამ.

აჭარისათჳს[474]

ჴოლო ჭოროხს მოერთვის აჭარისწყალი აღმოსავლეთიდამ. და გამოსდის ზარზმა-აჭარას შორისს მთასა. მოდის აღმოსავლეთიდამ დასავლეთად. ამ წყლის კიდეზედ, ამ ჴეობის საშუალს[**] არს მცირე ქალაქის მგზავსი დაბა, ქედა. მოსახლენი არიან ვაჭარნი.

ჴოლო მოერთვიან ამ აჭარის მდინარეს, გურიის მთიდამ, და აჭარასა და ლიგანისჴევის შორისის მთებიდამ, ჴევნი. და მათ ზედა არიან დაბნები შენნი. არამედ მზღვრის: აღმოსავლით მთა აჭარასა და ზარზმას შორისი[***] და გარდავალს მას ზედა გზა სამცხეს; სამჴრით მთა აჭარასა და ლიგანისჴევს შორისი; დასავლით მდინარე ჭოროხი; ჩრდილოთ მთა გურიასა და აჭარას შორისი, სადა გარდავალენან გზანი გურიას. და არს აჭარის ჴეობა ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი, თჳნიერ ბრინჯ-ბამბისა, ყოველითა მარცვლითა. არს ტყიანი, კლდიანი, იწრო, ჴრამოვან-ღრატოიანი; მთიანი ტყიან-ნადირიანი; კაცნი ჴელოვანნი ხის მუშაკობითა. აქ აკეთებენ ყველს — ერთი იქმნების ი, იე და კ ლიტრა, არაოდესვე წახდების, არცა

---

[*] დედანში: „აღვსწერეინით“.

[**] საშუალის.

[***] დედანში გამეორებულია: „მთა“.

დაობლების, რაჲამს გნებავს, შემგბარი კეთილსახმარ არს.

ფორჩხის ჴეობისათჳს

ხოლო აჭარისწყლის შესართავს ზეით მოერთვის დასავლეთიდამ ჭოროხს ფორჩხისჴევის მდინარე, გამომდინარე ბაიბურდისა და ფორჩხის ჴეობის საშუალის მთიდამ, მოდის დასავლეთიდამ აღმოსავლეთად. ამ ჴევს მოერთვიან ჭანეთისა და ისპირის მთიდამ ჴევნი. და შენ არიან დაბნები. ამ მდინარეზედ არს, ჭოროხის დასავლეთად[*], დაბა დიდი ფორჩხა. ამის გამო იწოდა ჴეობაც ესე ესრეთ. ხოლო მზღვრის ფორჩხის ჴეობას: აღმოსავლით ლიგანისჴევი; სამჴრით მთა ისპირისა. სადაცა გარდავლენან გზა ისპირის ჴეობასა შინა; დასავლით მთა ბაიბურდისა და ამას შორისი; ჩრდილოთ მთა ჭანეთისა. და მას ზედა გარდავლენან გზანი ჭანეთის. არამედ არს ჴეობა ესე ვენახოვან-ხილიანი, ვიწრო და კლდიანი და მოსავლიანი, რაოდენიცა მიწანი იჴენიან. პირუტყვიან-ნადირიანი, მთაბარნი ახლორებენ ფრიად.

ანჩა

ხოლო ფორჩხის ჴეობას ზეით არს მცირე ჴევი; გამოსდის ისპირის მთას, მოდის სამჴრიდამ ჩრდილოთ, მიერთვის ჭოროხს. ამ ჴევზედ, აღმოსავლით და ჭოროხის დასავლით, ისპირის მთის კალთას, არს ეკლესია ღვთაებისა ანჩა, გუნბათიანი, დიდ-შუენიერად ნაგები, კარგს ადგილს. იჯდა ეპისკოპოზი, მწყემსი ლიგანისჴევისა გადმაგამოღმართისა გონიამდე, ფორჩხის ჴეობისა და აჭარისა, და აწ ცალიერი არს.

ანაკერტი

ამას ზეით მოერთვის ჭოროხს ანაკერტისჴევი[175] აჭარის მთიდამ. ამ ჴევზედ არს, ჭოროხის აღმოსავლით, აჭარის მთის კალთას, ანაკერტი, დაბა დიდი და კარგი. ამას ზეით მოერთვის ჭოროხს შავშეთის მდინარე აღმოსავლეთიდამ. /აქ არს ფანაკარის ციხე, ორთა მდინარეთა შორის/.

ნათლის{მ}ცემლის მონასტრისათჳს

ამ შავშეთისწყლისა და ანაკერტის შორის, ჭოროხის აღმოსავლით, აჭარის მთის კალთასავე, არს მონასტერი ნათლისმცემლისა. ამას შინა იყო ჴორჴი ნათლისმცემლისა, და იყო დიდჴელოვნებით ქმნული და შენებული. ამისნი შეუდგნი იბ მონასტერნი. და თავი იყო, სადა ესვენა ჴორჴი. იდგნენ მონაზონნი მოწესენი მრავალნი. და იყო ფრიად შემკული და მდიდარი ყოვლითა საეკლესიოს წესითა და მამულითა შეწირულობითა, და აწცა არს დიდ შენებულებანი. არამედ უქმ-ცარიელ არს. ამას უწოდებდენ ოპიზის მონასტრად. /რომელი ადაშენა მეორედ გურგენ, აშოტ დიდის კურაპალატის ძემ, და დაეფლა თჳთცა მას შინა/[**]

---

[*] დედანში გამეორებულია: „არს“

[**] ჩამატებულია სტრიქონს ზემოთ მარჯვენა აშიაზე გატანით.

შავშეთისათჳს[176]

ხოლო შავშეთისწყალი გამოსდის ერუშეთსა და შავშეთს შორისს არსიანის მთას. ეს დის პირველად აღმოსავლეთიდამ დასავლეთად, მერმე მოდრკების და დის აღმოსავლეთ-სამჴრეთს შუადამ ჩრდილოთ-დასავლეთს შორის. ამას, ჭოროხის შესართავს ზეით, მოერთვის მდინარე ჭილოვნისჴევი, გამოსდის არსიანის მთას, მოდის ჩრდილოდამ სამჴრით გრეხით. ამ ჴევიდამ გარდავალს გზა ჭარზმას და ყველს. ამავ ჴევის სამჴრით სახლობს აწინდელი შავშეთის ბეგი. ამათ მდინარეთ შესართავს ზეით მოერთვის ჭილოვნისჴევს შავშეთისავე მდინარე სათლესი და ტბეთისა. ესეც გამოსდის არსიანსავე და მოდის ტბეთამდე აღმოსავლეთიდ, და მერმე, ვითარცა შავშეთის წინათი მდინარე, ეგრეთ ესეცა დის. ამ წყალზედ არს სათლე, ქალაქი მცირე, და მოსახლენი ვაჭარნი მას შინა. ამ სათლეს ზეით არს ტბეთი, სამჴრით ამ მდინარის კიდესა, რომელმან მოიგო სახელი მუნ მყოფთა მცირეთა და მრავალთა ტბათაგან. ტბეთს არს ეკლესია გუნბათიანი, მდიდრად ნაგები და დიდ-შვენიერი. ეს აღაშენა აშოტ კუხმან ბაგრატიონმან. იჯდა აქ ეპისკოპოზი, მწყემსი ანაკერტს ზეითისა, სრულიად შავშეთისა და არტანუჯისა. ტბეთის პირისპირ, ჩრდილოთ კერძ, მდინარის გაღმა, არს ციხე თუხარისი, რომელი აღაშენა პირველ იძრახოს, | ძემან მცხეთოსისამან, შემდგომად კე მეფემან მირდატ აღაშენა ეკლესია ციხესა შინა; მერმე, ყრუსაგან მოოჴრებული, აღაშენა მტბევარ ეპისკოპოზმან. არამედ მოიგო სახელი სიმაგრით სიმტკიცისათჳს — „თუ ხარ შენ ციხე და არა სხვა".

227

ხოლო ამ ორთა შავშეთის მდინარეთა ზედა არიან დაბნები შენნი დიდ-მცირენი. და მზღვრის შავშეთს: აღმოსავლით მთა არსიანი, და გარდავლენან მას ზედა გზანი ერუშეთს, ფოცხვის ჴეობას და ჭარზმა-ყველს; სამჴრით მზღვრის კლდე, არტანუჯსა და შავშეთს შორისი, ვითარცა კედელი, რომელი ჩამოვალს არსიანის მთიდამ დასავლეთად, ვიდრე კნინღა ჭოროხამდე, და განელის მას კლდესა შინა გზა, ვითარცა კარი, და თჳნიერ მისა არა არს გზა; დასავლით მთა შავშეთისა, შავშეთსა და ჭოროხს შორისი; ჩრდილოთ მთა, არსიანიდამ ჩამოსული დასავლით ჭოროხამდე. და არს ესე შავშეთი ტყიანი, გორა-მთიანი, ღელე-ღრატოიანი, იწრო და მაგარი, ვენახ-ხილიანი. ნაყოფიერებენ ყოველნი მარცვალნი, თჳნიერ ბრინჯ-ბამბისა. პირუტყვნი, ნადირნი, ფრინველნი და თევზნი მრავალნი. და ნაყოფიერებს ფრიად მიწა ამის, რაოდენიც იხმარების სავიწროვედ.

ართვანისათვის

ხოლო შავშეთის მდინარის შესართავს ზეით ჭოროხს მოერთვის დასავლეთიდამ ისპირის მდინარე, წოდებული ჭოროხადვე. და ამ ისპირის მდინარის შესართავს ზეით, ჭოროხის მდინარის აღმოსავლეთის კიდეზედ, არს ართვანი, ქალაქი მცირე. მოსახლენი არიან ვაჭარნი.

ლიგანის ჴეობისათვის

და ამ ართვანის სანახებითურთ, ვიდრე ერგეს საზღვრამდე, ჭოროხის ჴეობის იმიერი და ამიერი იწოდების ლიგანის ჴეობად[177]. და არს ეს ლიგანის ჴეობა, თჳნიერ სივიწროვისა, ფრიად ნაყოფიერი ნარინჯითა, თურინჯითა, ლიმოთა, ზეთისხილითა, ბროწეულითა, ლეღვითა, ვენახითა, ხილით შემკობილი. და ქებულნი მუნებურნი ყოველნივე. მარცვალნი ყოველნი ნაყოფიერებს, გარნა სივიწროვით ვერ სთესვენ ბრინჯ-ბანბას. ჰაერით არს ზაფხულს ცხელი, ზამთარს ფრიად თბილი. ახლორებენ მთანი თოვლიანნი და აგარაკნი, შვენიერებით აღმკულნი, ჟამისა და ნასყვარჟამის სავალითა, წყაროებითა. პირუტყვნი, ნადირნი, ფრინველნი და თევზნი მრავალნი. და ყოვლითა ნაყოფიერებით აღვსილი.

იშხანისათვის

ხოლო ართვანს ზეით მოერთვის ჭოროხს დასავლეთიდამ ჴევი, რომელი გამოსდის თორთომ-ისპირის მთასა, მოდის აღმოსავლით. ამ ჴევზედ არს იშხანს ციხე, ფრიად მაგარი, ლოდშენი, და ეკლესია გუმბათიანი, დიდ-შვენიერად ნაგები. აქ იჯდა ეპისკოპოზი, მწყემსი ისპირისა, თორთომისა, ბაიბურდისა, ვიდრე ტრაპიზონის მთამდე. და აწ ცალიერ არს. ამ ჴევს ზეით არს ჭოროხზედ სვარამზეს ხიდი, ქვიტკირისა, მრავალთვალი, შვენიერად გებული.

არტანუჯისათვის

ამ ხიდს ზეით მოერთვის ჭოროხს მდინარე არტანუჯისა[178]. ეს გამოსდის ქვაყრილის მთას, მოდის აღმოსავლეთიდამ დასავლეთად. ამ წყალს მოერთვის ჩრდილოდამ, ჭოროხს ზეით, სხვა წყალი არტანუჯისავე. ესეც გამოსდის ქვაყრილის მთას, და არტანუჯსა და შავშეთს შუათს კლდეს. ამ წყლის შესართავის ზეით, წინათქმულს წყალზედ, არს არტანუჯი, ქალაქი მცირე და ციხე მაგარი, კეთილშენი. ეს აღაშენა გორგასალ, შემდგომად შემუსრა ყრუმ, მერმე აღაშენა და განაახლა აშოტ კურაპალატმან, და აღაგო ციხესა შინა ეკლესია პეტრე-პავლესი; მოკლეს მას შინავე და დაფლეს მუნვე. არს არტანუჯს ეკლესია გუმბათიანი, კეთილ-დიდ-შვენიერნაგები. ეს იყო მონასტერი და აწ არს უქმი. კვალად აქავე არტანუჯს აღაშენა გორგასლან მონასტერნი მერისა, შინდობისა და ახიზისა, ფრიად შვენიერნი. კვალად ქმნა ახიზს ქვაბნი კლდისა გამოკვეთილნი, ფრიად მაგარნი და შეუვალნი.

ხოლო ამ არტანუჯის მდინარეთა მოერთვიან სხვანიცა მდინარენი, და მათ ზედა შენებულ არიან დაბნები. და მზღვრის არტანუჯს: აღმოსავლით მთანი ყალნუ-ქვაყრილისა, და გარდაევლენან გზანი მათ ზედა კოლა-არტანს; სამჴრით ფანასკეტსა და არტანუჯს შორის ჩამოსული მთა ყალნუს მთიდამ დასავლეთად, ვიდრე ჭოროხამდე; დასავლით მცირე არტანუჯსა და ჭოროხს შორისი, და თვით მდინარე ჭოროხი; ჩრდილოთ კლდე შავშეთისა და არტანუჯს შორისი. არამედ არს არტანუჯი ვენახიანი. ხილიანი; მარცვალნი ყოველნივე ნაყოფიერებს, ვითარცა სხვათა ამათ ადგილებთა; ტყიანი ფრიად და მცირეველოვანი. პირუტყვნი. ნადირნი. ფრინველნი და თევზნი მრავალნი. ჰაერით მშვენი, კეთილი. ზამთარ თბილი და დიდთოვლიანი. ზაფხული არა ეგოდენ ცხელი. კაცნიცა ჰგონე ეგრეთვე სარწმუნოებითა და ენითაცა. არამედ არტანუჯი, შავშეთი და ლიგანისჴევი არს ოძრახოსავე წილი, და საერისთო მისი, ხოლო შემდგომად იქმნა არტანუჯის ერისთავი სხვა. შავშეთით. და აწ უზისთ თჳსთჳსი ბეგი, ოსმალნი.

კალმახის ციხისათჳს

ხოლო კვალად, არტანუჯის მდინარის შესართავს ზეით, ჭოროხს მოერთვის თორთომის მთიდამ გამომდინარე წყალი, რომელი მოდის აღმოსავლეთად. ამ ჴევზედ არს ციხე კალმახისა, რომელი აღაშენეს პატიახშთა. დიდშენი, მაგარი და შუვალი. იყო საერისთო ტაოსი. ამას ზეით მოერთვის ჭოროხს მდინარე ბანა-ფანასკეტისა, გამომდინარე ყალნუ მთისა და მომდინარე აღმოსავლეთიდამ დასავლეთად.

ფანასკეტისათჳს

ამ წყალზედ, ჭოროხის აღმოსავლით. არს ციხე ფანასკეტისა, კლდესა ზედა, დიდშენი, მაგარი. აქ იჯდა ერისთავი ფანასკეტ-ოლთისისა. და აწ არს დაბა. ამას ზეით. ამ წყალზედ, მთაში. არს ბანა. აწ უწოდებენ ფანაქს. აქა არს ეკლესია გუნბათიანი, დიდი. შვენიერად ნაგები. კეთილ-შვენიერს ადგილს. აღაშენა მეფემან ადარნასემ. და დაფლულ არიან მეფენი. იჯდა ეპისკოპოზი. მწყემსი ფანასკეტისა და სრულიად ტაოსი. ოლთისისა და ნარუმაკისა. და აწ არს ცალიერი.

ოლთისისათჳს

ამას ზეით, ჭოროხის აღმოსავლეთის კიდეზედ. არს ოლთისი, ქალაქი კარგი და კეთილ-ჰაოვანი. აქ არს ციხე მაგარი და დიდშენი. არს მეორე საჯდომი ათაბაგისა. ვითარცა ახალციხე. ოლთისს ზეით. ჭოროხის აღმოსავლის კიდეზედ. არს ნარუმაკი და აწ ნარიმანი, დაბა დიდი. აქამდე არს ფანასკეტი-ოლთისი ხილიანი. ვენახიანი, ვითარცა სხვანი აღვსწერეთ. ხოლო ნარუმაკს ზეით კვალად. ჭოროხის აღმოსავლის კიდეზედ, არს დაბა დიდი იდა, კეთილი. ამას ზეით არს. ვითარცა მთის ადგილნი ნაყოფითა.

ტაოსათჳს[479] არამედ არტაანს ზეით, იდამდე, ჭოროხის დასავლეთისა, თორთომის მთის აღმოსავლეთით არს /პარხალი* ანუ/ ტაოსკარი ანუ ტაო. და მზღვრის ამას: აღმოსავლით ჭოროხის მდინარე; სამჴრით თორთომიდამ ჩამოსული მთა იდამდე; დასავლით | 228 თორთომის მთა; ჩრდილოთ ჭოროხი და ისპირის მთა. და არს ეს ტაო ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი ყოვლითა მარცვლითა, და მთის კერძოს, ვითარცა ჯავახეთი. არამედ არს მთიანი, გორიანი, ღელოვან-ჴრამოვანი, ღრანტოიანი, წყლიანი და იწრო. და არიან ჴევთა დაბნები, კაცნიცა ეგრეთვე. გარნა ილი და ნარუმაკი არიან, ვითარცა თრიალეთი ანუ ჯავახეთი ყოველითურთ.

ბასიანისათჳს ხოლო ოლთის-ნარიმანისა და ილის სამჴრით არს, ოროჯლუს მთას იქით, ბასიანი[480]. და ესე ბასიანი თუმცა არს სომხითისა, არამედ, შემდგომად ბაგრატიონთა მეფობისა, რა დაიპყრე{ს} მათ, არს მიერით სამცხისა. და არს ბასიანი რახსისა ანუ არაზის სათავესა ზედა. პირველად ეწოდა ქალაქსა ამისსა ბასიანი, და მის გამო ეწოდა სახელიცა ესე ამ ადგილთა. ხოლო აწ უწოდებენ მას ქალაქსა ასანყალას. და არს საშუალ ბასიანისა, არაზის კიდესა ზედა, ჩრდილოთ კერძ. არა დიდი ქალაქი. და მზღვრის ამას ბასიანს: აღმოსავლით მთა, ჩამოსული სამჴრეთის მთიდამ, რომელი არს სომხითის მთა; დასავლით მთა ოროჯლუ-დევაბოინისა; ჩრდილოთ მთა ოროჯლუ-ყალნუსი; სამჴრით მთა, დევაბოინიდამ წამოსული — სომხითის მთა. და ადგილთა ამათ შორის მოერთვიან რახსს იმიერით და ამიერით მდინარენი მთებთაგან. და შენებულ არიან დაბნები. არს უვენახო, უხილო და მარცვლის მოსავლითაცა, ვითარცა ჯავახეთი. არამედ ესე უმჯობესცა ჰავითაც. უტყეო, თჳნიერ მცირე არყნალნი. სწვენ წივას და ზიდვენ ხესა და შეშას რახსის ჴრამიდამ. ამ ასანყალას ქვეით არს ხიდი რახსსა ზედა. და ვლენან ქარავანნი, თჳნიერ მისა ვერ განვლის არაზს.

ისპირისათჳს[481] ხოლო ისპირის ჴეობის მდინარე გამოსდის ბაიბურდს ზეით, ტრაპიზონის მთას. სიგრძით არს ტრაპიზონის მთიდამ ჭოროხამდე, მოდის დასავლეთიდამ აღმოსავლეთად, ჴევსა კლდიანსა და ქვიანსა შინა. და ამ ისპირისწყლისა და ჭოროხის მდინარის შესართავს ფრიად ზეით, ამ ისპირის მდინარეს მოერთვის სამჴრიდამ თორთომის ჴეობის მდინარე. და ამ თორთომის მდინარის შესართავს ზეით, ისპირის მდინარის კიდეზედ, არს ქალაქი მცირე ისპირა, და ამის გამო სახელიდვა ჴეობა ესე და მდინარე.

---

* დედანში: „პარახლი“.

ამას ზეით მოერთვის კვალად ისპირის მდინარეს საქართველოსყელის მდინარე ანუ გურჯიბოღაზისა. და ამ მდინარეს ზეით არს მთა, რომელი მზღვრის ბაიბურდსა და ისპირსა. ხოლო ამ ისპირის მდინარეს მოერთვიან ამიერ-იმიერით ჴევნი ისპირისავე მთიებიდამ, და არიან დაშენებულნი დაბნები მათ ზედა.

და მზღვრის ისპირის ჴეობას: აღმოსავლით ისპირის მთიებიდამ ჩამოსულნი მთანი, სამჴრით-ჩრდილოეთიდამ ისპირსა, ტაოსა და ლიგანისჴევის შორისნი. და არს მთანი ესენი ტყიანნი, კლდიანნი, ღრატოიანნი, ჴევ-ქარაფიანი და ნადირიანი; ხოლო სამჴრით მზღვრის მთა ისპირისა, ისპირსა და თორთომის ჴეობას შორისი, და გარდავლენან გზანი თორთომის ჴეობასა შინა. და მდებარებს მთა ესე აღმოსავლეთიდამ დასავლეთად. არს თხემთა უტყ{ე}ო და ადგილს თოვლიანი, და კალთათა ტყიანი, წყაროიანი, ბალახ-ყვავილიანი და ნადირიანი. ეგრეთვე დასავლით მზღვრის მთანი, ისპირის მთიებიდამ ჩამოსულნი, ისპირისავე მდინარემდე, სამჴრით ჩრდილოეთიდამ, ბაიბურდსა და სპერს შორისი. და არიან მთანი ესენი ტყიანნი, კლდიანნი. და მივლენან გზანი ბაიბურდს; ჩრდილოთ მზღვრის მთა ისპირისავე, რომელი მდებარებს აღმოსავლიდამ დასავლეთად, ფორჩხის ჴეობასა და ისპირას შორისი, და გარდავლენან მას ზედა გზანი ფორჩხას. და არს მთაცა ესე თოვლიან-ტყიანი, ვითარცა პირისპირი ამისი ისპირის მთა.

გარნა არს ესე ისპირის ჴეობა ქარაფოვან-კლდიანი, ღელე-ღრატოიანი, იწრო, ტყიანი, მცირე ვე{ლო}ვანი, მოსავალ-ნაყოფიერი, ვითარცა აღვსწერეთ ლიგანისჴევი, ყოვლითა ნაყოფიერებითა და მარცვლითა. ჰავით ზაფხულს ფრიად ცხელი, არამედ აქვს მთანი და აგარაკნი ახლორეს. ზამთარი თბილი. კაცნი იუწყე მგზავსნი სამცხისანი. და აწ მოჰმადიანნი სრულიად. ენითა ქართულითა და ზნითა ოსმალთათა.

თორთომი-
სათჳს

ხოლო თორთომის მდინარე გამოსდის დუდაბოინის მთასა და მოდის სამჴრიდამ ჩრდილოდ, გასჭრის სპერის მთას და მიერთვის ისპირის მდინარეს. ამ ისპირის მთას ზეით არს თორთომის ჴეობა. და ამ ისპირის მთის ფრიად ზეით მოერთვის დასავლეთიდამ თორთომის მდინარეს ჴევი. შივაქლეს მთის გამომდინარე, და მოდის პირველ სამჴრიდამ ჩრდილოდ, მერმე დასავლეთიდამ აღმოსავლეთად, ამ ჴევზედ. შიფაქლეს მთის კალთას, არს ეკლესია-მონასტერი ხახულისა, ყოვლადწმიდის ღვთისმშობლისა, დიდი, გუნბათიანი, დიდ შუენიერად გებული, შუენიერს, კარგს ადგილს. ეს აღაშენა დავით კურაპალატმან, ბაგრატ მეფის მამობილმან. აქაე არს ეკლესია ფრიად

შეენიერი. ლოდშენი. რომელი აღაშენა მჱ მეფემან დავით. არამედ აწ უქმ ცალიერ არიან, და ხატი ამისი არის გელათს. რომელი შეამკო აღმაშენებელმან. მერმე თამარ მეფემან. ამ ჴევს ზეით. თორთომის მდინარეზედ. არის ციხე თორთომისა. მაგარი. კლდესა ზედა ლოდშენებული. ამის მიერ იწოდა ჴეობა ესე თორთომის ჴეობად. ამ ციხეს ზეით არის ხენძორეთი. დაბა დიდი და გზა აზრუმისა. არამედ ამ თორთომის მდინარეს მოერთვიან ჴევნი თორთომისა და შიფაქლუს მთიდამ. და არიან დაბნები მათ ზედა შენნი, დიდ-მცირენი.

ხოლო მზღვრის თორთომის ჴეობას: აღმოსავლით მთა თორთომისა*, თორთომსა და ტაოს შორისი, რომელი მდებარებს სიგრძით სამჴრეთ-დასავლეთს შუადამ აღმოსავლეთ-ჩრდილოს შორის. გამოვალს ორიჯლუს მთიდამ და მიადგების ისპირის მთას. და არს ისპირის მთის კერძოთ თხემთა უტყეო და კალთათა ტყიანი, ნადირიანი და მას ზეით სრულიად უტყეო. წყაროიან-მდინარიანი, ბალახ-შამბ-ყროშნიანი; გარდავლენან გზანი ტაოს შინა. ხოლო სამჴრით მზღვრის მთა ორიჯლუ-დევაბოინისა, რომელი ეგრეთვე უტყეო არს. დასავლით მთა შიფაქლუსა. თორთომსა და ქარსილისყელს შორისი. რომელი მდებარებს სამხრიდამ ჩრდილოდ, გამოვალს დევაბოინის მთიდამ და მიადგების ისპირის მთას. და არს ხახულამდე უტყეო და ყოელითა. ვითარცა სხვანი მთანი; ხახულს ქვეით ეგრეთვე ისპირის მთამდე. ვითარცა თორთომის მთის კერძო დაესწერეთ. ჩრდილოთ მზღვრის მთა ისპირისა, ამასა და ისპირს შორის. და გარდავლენან გზანი ისპირის ჴეობისა შინა. არამედ თორთომის მდინარის კიდე. ხახულს ზეითამდე ანუ ციხემდე. ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი. ხოლო მთის კერძონი ყოველგნით, ვითარცა ჯავახეთი აღვსწერეთ. გარნა არს მოსავლიანი, პირუტყვიანი, ფრინველიან-ნადირიან-თევზიანი, შემკობილი მთით და ბარით. კაცნი ვითარცა მესხნი, და აწ სრულიად მოჰმადიანნი, ენითა ქართულითავე. არამედ უმბობენ თურქულსა.

ხოლო ამის დასავლით არს და შიფაქლუს მთის იქით გურჯიბოღაზის ჴეობა[482] ანუ საქართველოსყელისა, რამეთუ ოდეს დაიპყრეს ოსმალთა აზრუმ. მიერ ჟამით | უწოდეს სახელი ესე. სიგრძით არს დევაბოინის მთიდამ სპერის

გურჯიბოღაზისათჳს
229

---

* ამ სიტყვის გასწვრივ დედანში, აშიაზე, ტექსტის ხელით, წერილი ასოებით ვკითხულობთ: „ეს მთანი არიან, რომელსა სწერს ძველს ღეოღრაფიასა შინა მოსხის მთად, რომელნი არიან მესხის მთანი ორაჯლუსი, თორთომისა, შიფაქლუსი და დევაბოინისა და ისპირისა“.

მდინარემდე. გამოსდის ლევაბოინის მთასა, მოდის სამჴრიდამ ჩრდილოთ. და ხუნძორეთის გარდასწვრივ არის გურჯიბოღაზი დასავლეთით; და ეს ჴევი არის საზღვარი ბაიბურდის მთამდე, საქართველოსა და ბერძენთა. და ჴეობა ესე არის ფრიად ვიწრო, კლდიანი და ტყიანი.

ბაიბურდისათჳს

ხოლო სადაცა მიერთვის ისპირის მდინარეს გურჯიბოღაზის მდინარე, მას ზეით არის ისპირის მთიდამ ჩამოსული მთანი, ისპირისა და ბაიბურდის[483] საზღვარი, ვითარცა აღვსწერეთ. ამ მთებს ზეით არის ბაიბურდი. ყოველგნით მთითა მოხვეული და თჳთცა მთა. ამას შინა დის ისპირისავე მდინარე. ამ წყალზედ, შუას ადგილს, არის ქალაქი ბაიბურდი, არა დიდი. და არიან აწ სრულიად მოსახლენი მაჰმადიანნი, მცირედი თუ ვინმე ქრისტეანენი. ამ ქალაქის გამო იწოდების ადგილიცა ესე ბაიბურდად. ხოლო მოერთვიან ბაიბურდის ადგილთა შინა ისპირის მდინარესა აჭარა-ეჩინგის მთებიდამ მდინარენი, და არიან მას ზედა შენნი დაბნები. არამედ მზღვრის ბაიბურდს: აღმოსავლით მთა ისპირსა და მის შორისი; სამჴრით მთა ეჩი{ნ}გსა და ბაიბურდს შორისი, რომელი მდებარებს აღმოსავლიდამ დასავლეთად, უტყეო; დასავლით მთა ტრაპიზონისა; ჩრდილოთ მთა ჭანეთისა, ბაიბურდსა და ჭანეთს შორისი. და არს ეს ბაიბურდი, ვითარცა ჯავახეთი, მთიერი მოსავალ-პირუტყვიანი. გარემოს მისა მთანი უტყეონი, და ზიდვენ ჭანეთის მთიდამ ხესა და შეშასა, უმეტესად სწვენ წივასა. ჰავით ზაფხულის კეთილამო და შვენიერი. ზამთარი ცივი, თოვლიანი და გაუძლისი. გარდავლენან გარემოს მთებთა ზედა გზანი ადგილებთა შინა, რომელი აღვსწერეთ მის გარემო. კაცნი არიან სრულიად მოჰმადიანნი და ზნითაცა მ{ა}თითა.

ჭანეთისათჳს

ხოლო ბაიბურდისა და ფორჩხის სამჴრით, ჭანეთის მთას იქით, არის ჭანეთი[484], და აწ უწოდებენ ლაზსავე. არს ესე შავი ზღვის კიდის* წადევნებით. გონიიდამ ტრაპიზონის საზღვრამდე. გონიის დასავლით მოერთვის ზღვას მდინარე, ჭანეთში გამომდინარე ჭანეთის მთისა, რომელი მდებარებს ჭანეთისა და ფორჩხის ჴეობას შორის. და მოდის ჩრდილოთ. ამ მდინარის იქით არის ხოფჯა, ქალაქი მცირე, ზღვის კიდესა ზედა. აქ მოერთვის მდინარე ხოფჯისა, გამომდინარე მისვე მთისა და მომდინარე ეგრეთვე. კვალად მოერთვის ზღვას მდინარე, ხოფჯას იქით გამომდინარე ჭანეთისავე მთისა, რომელი არს ბაიბურდსა და ჭანეთს შორის, და მომდინარე ჩრდილოთ კერძოდ. ამ მდინარის დასავლით არის ქალაქი მცირე რიზა, ზღვის კიდეზედ.

---

* ლედანში: „კითის".

მოერთვის მუნვე მდინარე მისივე ზღვასა, და გამოსდის მასვე მთასა და მოდის ჩდილოთ. ხოლო ამის დასავლით ჩამოვარდების მცირე მთა, კინდა ზღვამდე, ჭანეთის მთიდამ. და ესე არს საზღვარი საქართველოსი და საბერძნეთისა. აქა არს რკინისპალო, აქავ არს სატყეპელა. აქ აღაშენა მეფემან არჩილ მოწამემან ციხე შემდგომად ყრუს შემოსვლისა (ვგონებ რიზას).

ხოლო მთა ჭანეთისა ძეს დასავლიდამ აღმოსავლეთად, მცირედ ჩდილოთ მიწევით, და მივალს ვიდრე ქოროხამდე. არს თხემთა უტყეო და კალთათა ტყიანი, ნადირიანი. გარნა ჭანეთიცა ფრიად ტყიანი, გორა-მთა-ღელეიანი, არამედ ხილიანი, ვენახიანი, მარცვლებით მოსავლიანი ბრინჯ-ბანბითურთ, და ნაყოფიერებს ფრიად. პირუტყვნი, ნადირნი ფრიად მრავალნი; ფრინველნი და თევზნი ურიცხვნი: მწყერნი მრავალნი, ფუტკარი და თაფლი ბევრად. ჰაერი ზღვის კიდური ცხელი, მთის კერძონი კეთილ-ჰაოვანნი. ზამთარი თბილი, ზაფხული არა გაუძლისი. კაცნი არიან ჴელოვანნი ხის მუშაკობითა და შენებითა ნავთათა, დიდთა და მცირეთა. და სარწმუნოებით აწ სრულიად მოჰმადიანნი. გარნა მცირედნი ვინმე მოიპოვებიან ქრისტეანენი, არამედ იციან კვალად ქართულ{ი} ენა ვიეთთამე. ხოლო მზღვრის ჭანეთის: აღმოსავლით გონიის საზღვარი; სამჴრით მთა ჭანეთისა, ფორჩხა-ბაიბურდსა და ჭანეთს შორისი; დასავლით მცირე მთა იგი ქართლის საზღვარი და ჩდილოთ ზღვა შავი.

ესე არს აღწერა სამცხე-საათაბაგოსი ჩვენილთა ადგილებთა, რომელნი იცნობიან რუკასა ზედა ამისსა. არამედ არა არს ციხე, ანუ დაბანი, ანუ აგარანი, რომელსა შინა არა იდგეს საყდარი ანუ ეკლესია, თლილის ქვით ნაშენნი, ორი ანუ სამი, დიდნი და მცირენი, და ეგრეთვე ყოველთა საქართველოსა შინა, რომელნიცა აღვსწერენით. კვალად არიან გორა-მთათა ზედა შენნი ეკლესია-საყდარნი, სადაცა ძნიად ხვდებიან კაცნი, თვნიერ დღესასწაულთა მათთა. ამისთვს, რამეთუ, ვინათგან კერპობასა შინა მათ მთა-გორათა ზედა იყუნეს კერპნი აღმართებულნი, და დღესასწაულობდეს მუნ სილოლობითა, და ქრისტეანობასა შინა შემუსრნეს კერპნი, არამედ კვალად არა დასცხრენ მუნვე განცხრომასა სიმთვრალისა, სილოლითა და როკვითა, აღაშენეს მათ ზედა მუნ ეკლესიანი, რათა თაყვანისცენ ამათ და არღარა მოიხსენონ კერპნი სილოლა-განცხრომითა.

253

აღწერა ეგრისის ქვეყანისა, ანუ აფხაზეთისა, ანუ იმერეთისა

სახელისათჳს

ქვეყანისა ამის სახელნი არიან საერთოდ სამი: პირველად ეგრისი[485], მეორედ აფხაზეთი[486], მესამედ იმერეთი[487], რამეთუ ეგრისი ეწოდების ეგროსის გამო, ძისა თარგამოსისა, რომელსა ძმათა შორის თჳსთა ხუდა წილად ქვეყანა ესე, და იწოდებოდა სახელითა ამით, ვიდრე ხოსროვანთ გარდაცვალებამდე. ხოლო აფხაზეთი — ლევანის გამო, რომელი, შემდგომად პირველის ლეონისა, მეორე ლევან ერისთაობდა აფხაზეთს ქრისტესსა ღპვ, ქართულსა ე. ესე ლეონ, შემდგომად ხოსროვანთ გარდაცვალებისა, გამეფდა და დაიპყრა სრულიად ეგრისი, და ამან უწოდა აფხაზეთი[*] სამეფოსა თჳსსა, და მოიღო საერისთოსა თჳსისა სახელი ეგრისსა ზედა. არამედ იმერეთი — ბაგრატიონთა მიერ, რამეთუ, რაჟამს დაიპყრეს სრულიად აფხაზეთი და ყოველი საქართველო, ამათ უწოდეს ქართლს ამერეთი[488] და აფხაზეთს იმერეთი, ანუ იმერნი და ამერნი, უმეტესად შეერთებისათჳს, და აწცა საზოგადოდ უწოდებენ იმერეთსა. ხოლო ესე აფხაზეთი ანუ იმერეთი განიყოფების ადგილებად, და ეს განყოფით ადგილებთა სახელები დავსწეროთ თჳსთჳსთა რიგთა ზედა. არამედ ოსმალნი და სპარსნი საყოველთაოთ ამ ქვეყანას უწოდებენ ბაშაჩუხს, რომელ არს თავახდილი, უქუდობისათჳს, რომელთა პბურავთ მცირე რაიმე ნაჭრისაგან ლართა, ვითარცა მდებარედ თავსა ზედა.

ქვეყანისათჳს

ხოლო სიგრძე ქვეყანისა ამისი არს ლიხის მთის თხემიდამ შავს ზღვამდე, და მერმე კიდევ ეგრისის მდინარიდამ ვიდრე ზღვამდე. ხოლო განი ჭოროხის მდინარიდამ ალანის კავკასამდე და, ლიხის მთის კერძოთ, ფერსათის მთის თხემიდამ რაჭა-სვანეთის კავკასის მთის თხემამდე. და მზღვრის ქვეყანასა ამას: სამჴრით ღადოს მთა ანუ ფერსათი; ჩრდილოთ კავკასი<ი>ს მთა, და მდებარებს ორთა ამათ მთათა შორის, დასავლით უმდებარებს შავი ზღვა; აღმოსავლით მთა მცირე ლიხისა. //ხოლო მთა ლიხისა მდებარებს ჩრდილოდამ სამჴრით, კავკასიდამ ღადომდე. და არს ტყიან-ნადი-

---

[*] დედანში: „ათხაზეთი“.

რიან ფრინველიანი, და გაზდიან მდინარენი. ამიერ[*] — ყვირილა, ძირულა, ჩხერიმელა, იმიერ[**]449 — ფაწა, ოთხი ფრონენი და შოლა//. და არს ქუეყანა ესე ფრიად ტყიანი, რამეთუ იშვით არს ველნი, თუ არ ადგილ-ადგილს მცირენი, თჳნიერ საჴვნელთაგან. არამედ ტყენი ადგილ-ადგილ ხილიან-ვენახიანი, პატიოსნითა კეთილმშვენი. გარნა ტყის გამო ზაფხულს იმყოფის სიცხე, ვინადგან ძნიად იძვრის ქარნი, და არა გაუძლისი სიცხე, თჳნიერ ადგილთა რომელთამე. ზამთარი თბილი, რამეთუ ვერ ოდეს განჰყინავს მდინარეთა, ვერცა გუბესა, რომელსა ზედა შედგეს უტყვი ანუ მეტყველი. არამედ თოვლი დიდი, რომლისა სიმაღლე ოდესმე მჴარი და უმეტესიცა. თვალითა ქვეშე შვენიერება ეგოდენ არა მჩენარობს ტყის გამო, თჳნიერ ადგილ-ადგილთა, რამეთუ, უკეთუ დახედო მაღლის მთიდამ, იხილავ სრულიად იმერეთის ტყედ და არასადა შენობასა.

მარცვალთათჳს

ხოლო მარცვალნი, რომელნიცა დავსწერენით, ყოველნი ნაყოფიერებენ ფრიად, გარნა ბრინჯ-ბანბას სთესენ[***] იშვით და ეგრეთვე ხორბალსა და ქრთილსა, და ღომსა ფრიად მრავლად და გამოიზრდებიანცა მით. და სხვათა მარცვალთა სიმრავლენი იმყოფიან, რამეთუ ერთი მხოლოდ მუშაკად მოქმედი კაცი, მხოლოდ წალდ-თოხისა მქონებელი, დასახლდების, მოიყვანს საზრდელსა ჯალაბთასა და გარდაიხდის ბეგარასაცა.

აბრეშუმს აკეთებენ და ქსოვენ ლარს არა დიდფასსა, უოქრომქედოსა, და ხმარობენ სხვებრცა. ეგრეთვე ბანბასა და კანაფთაგან — ტილოსა, არამედ სხვათა ქვეყანათაგანი უმჯობესნი არიან.

ხის ნაყოფთა და პირუტყვთათჳს

წალკოტნი არა არიან აქა, არამედ ვენახის კიდურთა ზედა ხილნი მრავალნი ამისთჳს, რამეთუ ტყეთა შინა მრავლობს ყოველნი. აქა არს ხურმა, წაბლი და ვაშლატამი ქართლზედ მეტი, და სხვანი, რომელნი აღვსწერეთ, მრავლად. ეგრეთვე მტილოვანნი ყოველნივე, რამეთუ მელსაპეპონი და პუნპულა უმუშაკოდ ნაყოფიერებენ. სავარდე არა უწყიან, არამედ ველთა და ტყეთა შროშანნი ვარდითურთ აურაცხელნი და ფშონი. სოკონი მრავალნი სხვადასხვანი, გარნა ნიყვი არს, რომელი აღმოხდების საპეტაკის ბუდით, მერმე გასქდების. და არს სოკო ნარინჯი მას შინა, ფრიად გემოიანი. პირუტყვნი, თჳნიერ აქლემისა, არიან ყოველნი, და არა ეგდენ მრავალ, ვითარცა სხვათა საქართველოთა

---

[*] უნდა იყოს: „იმიერ“.

[**] უნდა იყოს: „ამიერ“.

[***] დედანში: „სთესს“.

შინა. გარნა ცხოვარნი ულუმონი და კუდიანნი. მარადის მშობელნი ტყუპთა, და ოდესმე სამ-ოთხთა, და არცა ჰყავთ არეულ. არამედ ძროხა, კამბეჩი მროწლედ, ცხენი ჯოგად. რამეთუ არა უხმთ თივა, ვინადგან ზამთარცა მძოვრად არიან, თჳნიერ არგვეთისა და რაჭა-ლეჩხუმისა. ნადირნი ყოველნი, რომელნი აღვსწერეთ, ფრიად მრავალ არიან, თჳნიერ ქურციკისა და აფთრისა. ფრინველნი — წერო, ბატი, სავათი, ლაკლაკი, კაკაბი, დურაჯი, ასკატა, სვავი. ყაჯირი არა არს აქა. და სხვანი ყოველნი მრავალნი; არამედ სირნი, ჩიტნი და ტრედნი ესეოდენ, რომელ იპყრობს კაცი ერთი წამოსაკრავის ბადით ფ ერთგზის, და სხვითა მახეებითა — სირთა და ჩიტთა, და სძეს ბეგრათ გლეხთა ტ, უ და უროსნიცა.

თევზთათჳს

მდინარენი არა მრავალნი, არცა ეგოდენ დიდ, არცა თევზთა სიმრავლე მათ შინა, არამედ რიონსა შინა საკჳრველებამდე იპყრობენ ზუთხსა მაისსა, ივნისსა და ივლისსა შინა და, თჳნიერ ამ თვეთაგან კიდე, არა. სხვა თევზნი არიან: ლოქო, გოჭა, ბოლოწითელი, კობრი, მწერი, და წვრილი თევზნი. და კალმახნი მრავალნი. ხოლო ზღვის კიდეთა შინა იპყრობიან ანდაკია[*] და სხვანიცა. არამედ კირჩხიბი ყოველგან მრავალნი და ფრიად გემოიანნი.

მწერთა და მძრომთათჳს

მწერნი მრავალნი და გაუძლებნი, არამედ ფუტკარი სარგებლობს ფრიად თაფლითა და ცვილითა სიმრავლითა; და თაფლი კეთილი, რამეთუ ვიეთთა ადგილთა სპეტაკი და შეყინული, სისქით ვითარცა შაქარი, რომელსა უწოდებენ კიპრუჭსა. მძრომნი და გველნი მრავალნი, არამედ გველი უწყინარი და უენო.

254 კაცთათჳს

ხოლო კაცნი და ქალნი, ვითარცა ვსთქუთ, ეგრეთცა იუწყე, გარნა უშვენიერესადცა და უპატიოსნესადცა. ვინადგან გლეხთაცა შვილნი მიჰგვანან წარჩინებულთა შვილთა. სუფთანი, სამოსელთ გამწყსონი, ეგრეთვე ცხენთა, და იარაღითა, და საჭურველითა; ცქვიტნი, კისკასნი, ენატკბილნი, მსუბუქნი, ფიცხნი, ბრძოლასა შემმართებელნი და ძლიერნი, და არა სულგრძელნი მას შინა და სხვათა შინაცა. უხუნი და მომხვეჭნი, ღვინის მძღებელნი, ხვალისას არა გამომკითხველნი. მომღერალ-მგალობელნი და მწიგნობარნი წარჩინებულნი, და უმეტესნი კეთილჴმოვანნი და სხვათა და სხვათა შემძინებელნი. სარწმუნოებითა და ენით არიან ქართველთა თანა აღმსაარებელნი, არამედ უცქვიტესად მოუბარნი. გარნა უჩისთ კათალიკოზი თჳსი, და არა საჩინოთ უწყებული ცხორებიდამ, თუ როდის განთავისუფლდა, არამედ მწერალი იტყვის ცხორებისაგანვე: ოდეს განდგა

---

[*] ამის შემდეგ დედანში დატოვებულია ცარიელი ადგილი.

ლეონ და იწოდა აფხაზთა მეფედ. მაშინ მიუძლურებულ იყუნეს ბერძენნიცა. და ამ ლევანის მიერ, ანუ შემდგომთა მისთაგან. განთავისუფლდა თხოვნითა ბერძენთაგანვე, ვინადგან სახელიცა მისი ესრეთვე წარმოაჩინებს. რამეთუ უწოდებენ კათალიკოზსა აფხაზეთისასა. და არა ეგრისისა და იმერეთისასა. ხოლო სხვანი ძნენი იმერთა დავიდუმეთ. ვინადგან შემთხვევითი არიან და არა მტკიცითა ანაგებითა.

ქვეყნის აღწერისათჳს

ხოლო აწ ვიწყებთ წერად მთათა. ველთა, ტყეთა და მდინარეთა. არამედ ამ ჟამად. ვინადგან უწოდებენ ცხენისწყალს ზეით იმერეთს. აღმოსავლეთის კერძსა. ვიდრე ლიხის მთამდე. პირველად დავსწერთ ამას და განიყოფის ესე იმერეთი ვაკედ. ფერსათის კერძოდ, არგუეთად, ოკრიბად. რაჭად და ლეჩხუმად.

რიონის მდინარისათჳს

არამედ აქა ვინადგან უდიდესი ყოველთა მდინარეთა არს რიონი. და ამას მიერთვიან ყოველნი მდინარენი იმერეთისანი. პირველად ვიწყებთ ამას და მერმე მას შინა შემდინარეთა. ცხენისწყლის შესართავიდამ, ვიდრე გლოლალებამდე. ესე რიონი გამოსდის სვანთა, დიგორისა, ბასიანისა და რაჭის საშორისს კავკასსა. და დის ესე რიონი: კავკასიდამ გლოლისწყლისამდე აღმოსავლეთის-სამჴრეთის შუა; გლოლისწყლიდამ[190] უწერამდე დასავლეთის-სამჴრეთის შუა; უწერიდამ ხომლის კლდემდე აღმოსავლეთიდამ დასავლეთად, მცირედ ჩრდილოს კერძ მიწეულად; ხომლის კლდიდამ ყვირილის შესართავამდე ჩრდილოეთიდამ სამჴრეთად, ყვირილის შესართავიდამ აღმოსავლეთიდამ დასავლეთად, მიწეულად ჩრდილოს კერძოდ. და მიერთვის ფოთს ზღვასა; და გამოვლის რაჭას. ლეჩხუმს, ოკრიბას, ვაკესა და სალომინაო-საჩინოს შუა. და განჰყოფს ოდიშსა და გურიას; და სიგ{რ}ძე აქვს კავკასი<ი>დამ ზღვამდე, ესრეთ გრეხის დინებითა.

ხოლო სიგრძე იმერეთის არს ლიხის მთის თხემიდამ უნაგირამდე ძველად. და აწ ქართლის საზღვრიდამ, რომელი აღვსწერეთ, ცხენისწყლამდე, და განი ფერსათის მთის თხემიდამ რაჭა-ლეჩხუმისა და სვანეთს შორის კავკასის თხემამდე. ხოლო სახელი მოიგო მდინარემან რიონმან დაბის რიონის გამო, ანუ ონისაგან — რაი ონი. — ანუ ჩქარად დინებისაგან — რიონ იგი ჩქარა დინებამ{ა}ნ, არამედ ბერძენნი უწოდებენ ფასონს. და მოდის სათავიდამ ქუთაის-კახნიაურამდე ფრიად ჩქარად და მსწრაფლად. არცა არს თევზი მას შინა, არცა ფონი, ორ-სამთა ადგილთაგან კიდე. ხოლო კახნიაურს ქვეით დამდორდების, და ბაჟს ქვეით ფრიად მდორე და განიერი ზღვამდე, და უფროს ცხენისწყალს ქვეით განვრცელებული. რამეთუ ვლენან ნავებითა ზღვიდამ ბაჟამდე, და იპყრობენ აქამდე ზუთხსაცა ჟამად.

ცხენის-წყლისათჳს

ხოლო ამას რიონს მოერთვის ჩრდილოდამ აპაშა-ტეხურის მდინარე, უწაგირას მთის ზეით, ისულეთს. ამას ზეით რიონს, ტვიშს, მოერთვის ჩრდილოეთიდამვე ცხენის-წყალი. ეს გამოსდის ლეჩხუმისა და სვანეთის შორის კავკასსა და მთის აღმოსავლეთ-ჩრდილოს შუადამ სამჴრეთს-დასავლეთის შუა. არამედ მდინარისა ამის სახელი არს პირველ მდინარე თაკუერისა, ხოლო ოდეს მოაშთო ცხენნი ანაკოფიიდამ უკმოქცეულის ყრუს სპათა იჩ, ამისთჳს უწოდეს ცხენისწყალი. არამედ წყალი ესე, ვინადგან არა უტევებს ხიდსა ქვისასა და ხისასა, ამისთჳს შესწჳნენ ვაზისაგან და გააბმენ ამიერ კიდით იმიერამდე, და გაუბმენ ვაზისაგანვე საჴელურებსა აქეთ და იქით. და ელენან ქვეითნი მას ზედა. და ექანების მკიდარებისაგან ფრიად ხიდი იგი. გარნა უწყიან ოდიშსა შინა სშირად ხიდი ესე. და უწოდებენ ბონდსა.

ლეჩხუმისათჳს[191]

ხოლო ისულეთიდამ ხაზი ცხენისწყლის კიდისა, ვიდრე გორდამდე, არს დასავლის მჴარე ოდიშისა, და აღმოსავლეთის კერძო — იმერეთისა. ხოლო გორდიდამ ვიდრე კავკასამდე არს ჴეობა ლეჩხუმისა, რომელსა უწოდებენ თაკუერად*. არამედ მოიგო სახელი ესე გარემოსთა მთათაგან, კუერსავით მდებარისა — იხილე ესე მთა კუერი, — ანუ ციხისაგან ფრიად მაგრისა მუნვე თაკუერისა. ხოლო ლეჩხუმი ეწოდა ხომლის კლდის გამო — ესე არს ლეჩ ხომი. გარნა ლეჩხუმსა და რაჭას განჰყოფს: გველისთავის მცირე მთა[192] აღმოსავლიდამ; ჩრდილოთ მთა კავკასი, ლეჩხუმსა და სვანეთს შორისი; დასავლით მთა კავკასივე და კავკასიდამ ჩამოსული სამჴრეთად მთა გორდამდე; სამჴრით რიონი და მთა ხომლის კლდიდამ წარსრული დასავლეთად გორდამდე, ამასა და ოკრიბას შორისი. ხოლო ამ ცხენისწყალს მოერთვის, გორდს ზეით, ჩრდილოდამ, კავკასის გამომდინარე ჴევი. და ამ ჴევზედ არს ციხე თაკუერი, მაღალს კლდესა ზედა, დიდშენი და ფრიად მაგარი. ამ ჴევს ზეით მოერთვის ცხენისწყალს სხვა ჴევი აღმოსავლიდამ; გამოსდის ამასა და ლეჩხუმს შორის მთას. ამ ჴევზედ არს ციხე ორბეთისა[193], კლდესა ზედა შენი, ფრიად მაგარი. ამ ჴევს ზეით, ლეჩხუმის საშუალს, ცხენისწყლის კიდეზედ არს ციხე კლდესა ზედა

---

* ამის გასწორივ, მარცხენა აშიაზე, წვრილი ასოებით, ტექსტის ხელით წერია: „პირველად თაკუერს უწოდებდნენ რაჭას ბაგრატიონთამდე, ვითარცა აჩვენს ცხოვრება, რამეთუ „გარდმოვლეს ოსთა გზა თაკუერისაო", ვინადგან არს გზა ოსეთისა რაჭა და არა ლეჩხუმი. კვალად ვითარცა მოწმობს სვინაქსარი მაქსიმე აღმსაარებელისა, სახელდობ ციხეთა მას შინათა. ხოლო შემდგომად ამას უწოდეს რაჭა და მას თაკუერი ციხისათჳს მუნ მყოფისა".

შენი, ლეხური[194]. თავი თაკვერისა, რამეთუ რომელსა ეპყრავს იგი. მორჩილებასა მისსა შინა არიან სრულიად. ამის სამხრით და ცხენისწყლის აღმოსავლით არს ცაგერს ეკლესია დიდშენი, გუნბათიანი. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ლეჩხუმისა და სვანეთისა. ამას ზეით არს მონასტერი, წოდებული მაქსიმე აღმსარებელისა, და მუნ არს მაქსიმე აღმსარებელი დაფლული. არს შუენიერშენი, კეთილს ადგილს და აწ ხუცის ამარად. მას ზეით, ცხენისწყალზედ, არს კავკასის ძირს მურის ციხე[195], არვისგან შემუსვრილ-აღებული. მუნიდამ გარდავალს სვანეთის გზა.

ხოლო ამის აღმოსავლით, მთას იქით, არს ჴეობა სხუა ლეჩხუმისა[196], რომლისა წყალი გამოსდის მასვე კავკასის 255 მთასა და მოდის ეგრეთვე, ვითარცა ცხენისწყალი, და მიერთვის ხომლის კლდესთან რიონს ჩრდილოდამ. ამ ჴევს მოერთვიან ამიერ-იმიერიდამ ჴევნი, და არს შენობიან-დაბნებიანი. ამ ჴევის აღმოსავლით არს, მთას იქით, ჭყვისი, მინდორსა კლდამოსულსა ზედა, ციხე დიდშენი, მაგარი. ამ ჭყვისის სამხრით, რიონზედ, არპანს, ძე{ვ}ს ხიდი, და ამ ხიდს ზეით და ჭყვისის აღმოსავლით კავკასის მთიდამ, ტოლის დასავლეთად, ჩამოვალს მთა მცირე სამხრეთისაკენ რიონამდე[197], და ესე არს გვერდისთავად წოდებული. ამ მთის აღმოსავლეთის კერძო არს რაჭა და დასავლის კერძო ლეჩხუმი. არამედ თუმცა არს ლეჩხუმი მთის ადგილად თქმული, გარნა არს ვენახიანი, ხილიანი, მოვალს ყოველნი მარცვალნი, თვინიერ ბრინჯ-ბანბისა, გარნა სივიწროვისა და კლდიანობისათჳს არა ეგოდენი სიმრავლით. მოსახლენი არიან აზნაურნი და გლეხნი, რამეთუ არა არს მოსახლე, რომელსა არა ედგას კოშკი ქვიტკირისა და შენობანი ყოველნივე ქვიტკირისანი. და არს მთითა და კლდითა ფრიად მაგარი, და კაცნი მუნებურნი მბრძოლნი და შემმართებელნი, პაეროვანნი, ტანოვანნი, მჴნენი და მორჩილნი უფალთა თჳსთა, არამედ ბრიყვნი, უზნეონი და უწყალონი. პირუტყვნი, თვინიერ აქლემისა და ვირისა, არს ყოველნი და არა ეგოდენ მრავალ. გარნა ესე ლეჩხუმი, შემდგომად განყოფისა სამეფოთა, იყო ტალანი იმერთა მეფისა, და აწ უპყრავსთ ჩიქოვანს, რომელიცა არს დადიანი.

საჯავახოსათჳს[199]

ხოლო კვალად ცხენისწყლის შესართავს ქვეით რიონს მოერთვის სამხრიდამ საჯავახოსწყალი[198]. ეს გამოსდის ფერსათს, და არს შენობიანი ჴეობა და მოსავლიანი ყოვლითა მარცვლითა, ხილ-ვენახითა, პირუტყვითა, ნადირ{ი}თა და ფრინველითა. ხოლო მზღვრის საჯავახოს* აღმოსავლით მთა მცირე, ფერსათიდამ ჩამოსული ჩრდილოთ კერძოთ. სა-

---

* დედანში: „საჯაოხო".

ჯავახისა და საჩინოს შორის; სამჴრით ფერსათის მთა; დასავლით ფერსათითვე ჩამოსული მთა. გურიასა და საჯავახოს შორის; ჩრდილოთ რიონის მდინარე. ხოლო კუალად ცხენისწყლის შესართავს ზეით სამჴრიდამ მოერთვის რიონს წყალდაფანჩულასჴევი, სდის საჯავახოს მთას.

გუბისწყლისათჳს

ამას ზეით მოერთვის რიონს ჩრდილოდამ გუბისწყალი. გამოსდის ოკრიბასა და ვაკის შორის მცირეს მთას. და დის ფრიად ფლატოიანსა და ბარდნალიანს ადგილსა ზედა. ამ წყალზედ /არს ფოკა. ამას ზედვე. ამასა და ხონს იქით. ქუტირ-ვარცხანაყანევამდის. არს გოჭორაური. და/ არს ხონს ეკლესია დიდი, გუნბათიანი. შუენიერნაგები. ზის ეპისკოპოზი. მწყემსი ვაკისა. ეს იყო ერთობასა შინა ქართლის მთავარეპისკოპოზისა. შემდგომად განყოფისა დასვეს აქა ეპისკოპოზი. ამ გუბისწყალს ეწოდა სახელი ესე გუბედ მომდინარობისათჳს.

საჩინოსათჳს[500]

ამ გუბისწყალს ზეით მოერთვის რიონს, სამჴრიდამ, საჩინოსჴევი[501]. გამოსდის ფერსათს. ამ ჴევს ეყრების, სებეკას ქვეით. სხვა ჴევი. გამოსდის ფერსათსავე. ხოლო სებეკას არს ციხე შენი კარგს ადგილს.

სალომინაოსათჳს[502]

ამ საჩინოს შესართავს ზეით. საკურდღლიას პირისპირ და როკითის ქვეით. მოერთვის რიონს, სამჴრიდამ, სალომინაოსჴევი[503], გამომდინარე ფერსათისა. ამ ჴევსა და როკითის ზეით მოერთვის რიონს, სამჴრიდამ, ამაღლებისჴევი[504] გამოსდის ფერსათს. ამასზედ არს მონასტერი ამაღლებას, დიდი, გუნბათიან არა. შუენიერს ადგილს. და აწ ხუცის ამარად. ამ ამაღლებისჴევს ზეით მოერთვის რიონს ნოდისჴევი[505]. მომდინარე ფერსათის მთიდამ სამჴრით. ნოდას ზეით არს ვარციხე. ეს ყოფილ არს ციხე დიდი და დიდშენობა. და გამომდინარობს წყარო შიგ კეთილი.

ხანისწყლისათჳს

ვარციხეს ზეით ერთვის რიონს ხანისწყალი, გამოსდის ფერსათს. მოდის ჩრდილოთ და მიერთვის რიონს სამჴრიდამვე. ამაზედ აღაშენეს ოსმალთა ციხე სიმელის ხისაგან ქრისტესსა ჩღგ. ქარ. ტქა. ამისთჳს უწოდეს იმერთა სიმელის ციხე. და პირველ ეწოდა ადგილსა ამას ბაღდადი. არამედ შემდგომად აღაშენეს ქვიტკირისა. და დგანან აწ ოსმალნი იენგიჩრითი, და არს სავაჭრო ყოველნი. გარნა უფროს ტყვენი. ამ წყალზედ, ციხის სამჴრით, ფერსათის კალთას, არს მონასტერი გუნბათიანი. კეთილშენი. და აწ უქმი. ამ წყალზედვე. მთაში, არს კაკასხიდი, ფრიად მაღალს კლდესა ზედა. და გზა სამცხისა. არამედ მიიგო სახელი წყალმან ამან დაბისაგან მას ზედავე მყოფისა, რომელსა უწოდებენ ხანსა. ხანისწყლის აღმოსავლით და ყვირილის მდინარის სამჴრით, ფერსათის კალთას. არს დიმი[506], სადაცა ჰყო პირველმან მეფემან ფარნაოზ ციხე მტკიცე. და აწ არს დაბა.

ყვირილასათჳს

კვალად ხანისწყლის შესართავს ზეით რიონს მოერთვის ყვირილა, აღმოსავლეთიდამ. მდინარემან ამან მიიღო სახელი ესე თჳსის ჩქარისა და კლდესა ზედა დინებითა, ვინადგან ჴმოვანებს შორ სასმენლად. ხოლო გამოსდის ყვირილა ერწოს ტბას და მოდის ჩდილოდამ სამჴრეთად ჭალამდე. ჭალიდამ ნავარძეთამდე — აღმოსავლეთიდამ დასავლეთად, გრეხით; ნავარძეთიდამ შორაპნამდე — ჩდილოდამ სამჴრით; შორაპნიდამ რიონის შესართავამდე — აღმოსავლიდამ დასავლეთად და მცირედ ჩდილოთ კერძოდ მიწევით. არამედ საჩხერიდამ შორაპნამდე — კლდოვანსა და მაღალს ჴრამოვანსა შინა და შორაპანს ქვეით — ფლატოვანს-ჭალოვანსა შინა. ამ ყვირილასა შინა იპყრობის თევზნი, რომელნი დავსწერეთ, ყოველნი თჳნიერ ზუთხისა, ხოლო საჩხერეს ზეით არს კალმახთა სიმრავლე და სხვა არარაი. და არს სასმისად გემოიანი და შემრგო, და თჳნიერ უხმარი.

წყალწითელასათჳს და ოკრიბის წყალთა

ხოლო ყვირილას, რიონის შესართავს ზეით, მოერთვის წყალწითელა ჩდილოდამ, რომელმან მიიღო სახელი წითლის მიწისაგან, რამეთუ მას ზედა დინებითა წითლდების. ეს გამოსდის გაჭრილის მთა{ს}[507] და მოდის ჩდილოდამ სამჴრით. სად მოერთვის ყვირილას, მის ჩდილოთ ერთვის ამ წყალწითელას, კვაცხუთს ზეით მთაში, ცუცხვათისჴევი[508], აღმოსავლიდამ დასავლეთად მომდინარე. გამოსდის გოგნის მთასა. ამ ჴევზედ, გოდოგანს ზეით არს ცუცხვათს ციხე, რომელი შეთხრით აღიღეს ოსმალთა ქრისტესსა, ჩღკა, ქართულსა უთ, და უპყრავთ აწცა მათ. ამას ზეით, დასავლეთიდამ, ეყრების წყალწითელას მოწამეთასჴევი, გამოსდის კახნიაურს და მის შორის მთასა. აქა არს მონასტერი უგუმბათო, შვენიერი, კეთილს ადგილს. სხენან აქა ტაგრუცთა შინა მოწამენი ქრისტესნი დავით და კოსტანტინე, მდებარენი აწცა | ჴორცითავე, რომელნი აწამა მურვან ყრუმ. უზის წინამძღვარი. 256

გელათისათჳს

ამ მთის ჩდილოს კერძოდ და წყალწითელას აღმოსავლით, გორის კალთას, არს ეკლესია ყოვლადწმიდის ღვთისმშობლისა, დიდშვენიერი, დიდნაგები და ქმნული შიგნით სოფიის კენჭითა, გუმბათიანი, კეთილ-შვენიერს ადგილსა. აღაშენა აღმაშენებელმან დავით მეფემან და უწოდა სახუფეველს გენაათი, და აწ უწოდებენ გელათს. აქა არს ყოვლადწმიდის ხატი ხახულის ღვთისმშობელი, ლუკა მახარებლის დახატული, ყოვლადწმიდის ძითეე, და შემკული ძვირფასითა ქვებითა აღმაშენებელისა და თამარ მეფისათი. აქავე არს ვარძიის ჯვარი, შემკული დიდ ფრიად. და არიან ხატნი და ჯვარნი ოქრო-ვერცხლითა და ქვითა შემკულნი ძველითვე მრავალნი, და ეკლესია შემკული ყოვლითა საეკლესიო წესითა. ჰკიდავს შლულის კარი ბჭეს მისსა, რკინისა, აღმაშენე-

ბელის მოტანილი დარუბანდიდამ. და ეკლესიის ბჭესა ჰკიდავს კარი მთლად ერთის ვაზისაგან გამოთლილი. უცხოსა ჴელოვნებით ქანდაკებული. ამას შინა დაფლულ არიან აღმაშენებელი. გიორგი. თამარ, ლაშა. რუსუდან. დავით. დავით და სხვანიცა. და აწინდელნი მეფენი შემდგომად განყოფისა იფლვიან იმერთანი. პირველად იყო მონასტერი. შემდგომად ჰყო ბაგრატ საეპისკოპოსოდ. ამას მისცა სამწყსოდ არგვეთის ნახევარი და ოკრიბა. ქუთაისის სამწყსონი.

კვალად არს გელათის პირისპირ. აღმოსავლეთად. მონასტერი გუმბათიანი. დიდშენი. სოხასტერად ქმნილი. ეზის წინამძღვარი. გელათის სამჴრით. აქავ მთაში არს ქვაბნი. გამოკვეთილნი კლდესა შინა. მრავალნი. განშორებულთათჳს. და აწ ცარიელ არს. გელათს ზეით წყალწითელას მოერთვის. ყურსებს. საწირისწყალი[509]. ეს გამოსდის ნაქერალას მთას და მოდის ჩრდილოთ-აღმოსავლეთს შუა. ამ წყალზედ არს ციხე მიტლოკინისა. ვით სახელი. ეგრეთვე მტკიცე. ამას ზეით. ამავე წყალზედ. საწირეს არს ციხე[510]. ამის გარეშემო ითხრების რკინა. და არს ლითონი მრავლად[511]. ყურსებს ზეით ეკრების წყალწითელას ახალდაბისჴევი[512] გამოსდის გაჭრილის მთას და მოდის ეგრეთვე. ამ ახალდაბისწყალს ეკრების ჯონისჴევი. ჩრდილოდამ. კვალად ყურსებსვე მოერთვის წყალწითელას ოჯოლასჴევი[513]. ჩრდილოთ-დასავლეთის შუადამ. ამის სათავის ზეით არს ჯვარისა ციხე[514]. არა მტკიცე.

ყვირილას მომრთველი საჩხეიძო-არგვეთის წყალი

ხოლო კვალად ყვირილას მოერთვის წყალწითელას შესართავს ზეით. აღმოსავლეთი{ს}კენ. ველარისწყალი[515] ეს გამოსდის. ჭალისთავს ზეით. ცუცხვათისა და სვიმონეთის შუას მთას და დის ჩრდილოდამ სამჴრით. ამ ველარისწყალს ზეით მოერთვის ყვირილას აჯამეთისწყალი[516]. ზღის ყურსაის. მოერთვის სამჴრიდამ ყვირილას. აქ, აჯამეთს, არს სანადირო მეფეთა. ავსილი დიდ-მცირითა ნადირითა. საქებელი ფრიად. ზამთარ თბილი. ზაფხულის ცხელი. გაუვლები. ამ აჯამეთისწყალს ზეით ერთვის ძევრისწყალი[517]. დაბის ძევრისაგან სახელდებული. გამოსდის სადორისა და ველევის მთას. დის სამჴრით და მოერთვის ყვირილას ჩრდილოდამ. ძევრს არს ხიდი ქრიტეფორისა. სვეტსა ზედა წერილ არს: „არა მამამან. ძე მანდა. არა სულმან წმიდამან. ძე მანდა". იტყვიან. განძსა მდებარესა დანიშნავს ამით. და ამ ძევრისწყალზედ. ხიდს ზეით. არიან ქვაბნი დიდ-დიდნი. გამოკვეთილნი. მრავალნი. კლდესა შინა. დასავლით. და არს ქვაბი ერთი დიდ ფრიად[518]. რამეთუ კაცთა ქმნულად გასაკვირვებლად. ამ ქვაბსა შინა გამოსდის მდინარე ორი ნაკადული წყაროდ. და არს მას შინა კალმახნი მრავალ. ამ ძევრულას. ამ ქვაბს ზეით. ერთვის ჴევი ქვევრულა[519] სდის ოკრიბა-

მუხურას შუას მთას და მოდის სამხრეთიდ. ამ ჴევზედ არს ბერცისე[520]. კლდესა ზედა შენი. მაგარი.

ამ ჴევს ზეით. ძევრულასვე ეყრების ტყირბულისჴევი. გამოსდის სადორის მთას და მოდის დასავლეთიდ. ხოლო კვალად ყვირილას ერთვის. ძევრიწყლის შესართავს ზეით. ჩრდილოდამ. ჩოლაბური. ეს გამოსდის [[ნაჯისურევის მთას]] და დის ჭალატყემდე ჩრდილოდამ სამხრეთით, და ჭალატყიდამ აღმოსავლეთიდამ დასავლეთად. ამას. ჭალატყეს ზეით. მოერთვის ზუსა დასავლიდამ, და ყვირილიდამ აქამდე ეწოდების ჩოლაბური. კიდეთა ჩალოვანობის გამო, და მას ზეით — ბუჯა. ამ ჩოლაბურს მოერთვის ჩრდილოდამ [[ჩხა]]რულა. სდის თხილთაწყაროს მთას[521]. მოდის ჩრდილოდამ სამხრით. /ამაზედ არს გო/[ფანით][•] კვალად ჩხარის მოერთვის მეორე ჩხარულა[522] გამოსდის ჩხარის ჩრდილოთ კერძის მთას და მოდის სამხრით. ამ ჴევზედ არს მთის ძირს ჩხარი. ეს ყოფილა ქალაქი. არამედ აოჴრდა ლევ{ა}ნ დადიანისაგან. აწ არს დაბა. არს აქა ეკლესია უგუნბათო. რომელსა შინა ასვენია ჯვარი დიდ ფრიად. მდებარებს მას შინა ბეჭი მთავარმოწამის გიორგისა. მარადის სასწაულთმოქმედი. ეს ჯვარი პირველ იყო ყორანთას. შემდგომად სამცხეს. მერმე ატოცს და აწ აქა. ჩხარსვე არს წყარო. ორდარად[523] წოდებული და ქებული. ჩხარს ზეით. ჩხარულაზედ. არს ციხე მაჭუტაური. მთაში. კვალად ჩოლაბურს მოერთვის, ჩხარულას შესართავს ზეით. დვანკითისჴევი. ამ დვანკითისჴევს ზეით ერთვის ჩოლაბურსვე ზორეთი{ს}ჴევი[524]. და ჴევნი ესენი დიან მენვე და მოდიან სამხრეთად.

ამას[••] ზეით არს ჭალატყე. არიან მოსახლენი ვაჭარნი სომეხნი[•••] და ურიანი, და ვაჭრობენ. ამ ჭალატყეს ზეით მოერთვის ბუჯას ზუსა[525]. გამოსდის გარჯილას მთა[ს][526], მოდის სამხრით ჩრდილოდამ. ამ ბუჯაზედ არს, ქვაცისეს მდინარის კიდურზედ. წყარო გამომდინარე. რომელსა გაზა[ფხ]ულს მოუდგმენ გოდორსა და აღივსების წვრილის თევზითა. წყაროდამ გამომავალითა, ვითარ ვერ მოასწრებენ აღმოღ[ე]ბ]ას. სამ თვე იდენ ესრეთ, მერმე არღარა. და უწოდებენ ამას დრულის[527] ამას ზეით არს ხრეითი. და ხრეითი[და]მ გარდავალს გზა რაჭას ნაჯიხურევზედ. ამ ხრეითის ქვეით. ბიდას. ითხრების კაჟი ჩახმახისა[528], ფრიად კარ[გი].

[•] სიტყვები: „ამაზედ არს გო" სწერია დედანში სტრიქონს ზემოდან. დანარჩენი ნაწილი უკანასკნელი სიტყვისა არ მოჩანს, მასზე დაწებებული ქაღალდის გამო.

[••] დედანში: „ამ".

[•••] დედანში: „სომეხნი".

ხოლო ძუსას ერთვის საზანოსწყალი[529]. [[გამოსდის]] ხრეითისა და მუხურას შუათის მთას, მოდის ჩრდილოდამ სამხ[რე]თად. ამ საზანოსწყალზედ არს საზანოს ციხე. კლდესა ზედა შენი, კარგი. არამედ ძუსა გამოსდის გარჯი[ლა]ს მთასა და დის ყამსას ციხემდე ჩრდილოდამ სამხრით. და ყამსას ციხიდამ აღმოსავლეთ-სამხრე[თის] შუა. და მიერთვის ბუჯას. ამ ციხეს ზეით, ძუსას მდინარის დასავლეთით, არს ჩიხორი, ქალაქი [მც]ირე. მოსახლენი არიან იმერნი, სომეხნი, ურიანი ვაჭარნი. ამის სამხრით არს, მთის კალთას, სკა[ნდა]ს. სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი. ამათ ზეით, ძუსაზედ არს დაბა მუხურა. და 257 მას ზეით, [მ]]თაში. არს ციხე მოდამნახე[530]. მაგარი კლდითა და შეუვალი. შენი გარჯილის მთიდამ ჩამოსულს კლდესა ზედა. მუხურიდამ გარდავალს გზა, გარჯილის მთაზედ. რაჭას. ხოლო კვალად ყვირილასავე მოერთვის სვირისჴევი[531] /და ლომსიათხევისჴევი/[532], ჩოლაბურის შესართავს ზეით. გამოსდის ფერსათის, დის სამხრიდამ ჩრდილოთ. ამ სვირისჴევს ზეით მოერთვის სამხრიდამვე ყვირილას ტაბაკინი[ს]ჴევი. გამოსდის ფერსათსავე, მოდის სამხრიდამ ჩრდილოთ. ტაბაკინს ამ ჴევს ერთვის გენებერულისჴევი. სდის ფერსათის. და ტაბაკინს არს მონასტერი, კეთილს შვენიერს ადგილს და აწ უქმად.

შორაპნისათჳს

ამ ტაბაკინისჴევს ზეით ყვირილას მოერთვის, შორაპანს, აღმოსავლეთიდამ ძირულა. რომელმან მოიგო სახელი მთათა ძირთა შინა დინებითა. ყვირილასა და ძირულას შორის შესართავს შინა არს შორაპანი, რომელი აღაშენა ა მეფემან ფარნაოზ, ქალაქი და ციხე. და ყო საერისთოდ. და არს დიდშენობა ფრიადი. ამას ჩრდილოთ-დასავლით უდის ყვირილა. აღმოსავლით-სამხრით ძირულა. აღმოსავალ-ჩრდილოთ შუა აქუს კლდე-გორა მცირე და გვირაბი დიდი, ჩასული წყლამდე. ეს შემუსვრილი აღაშენა გიორგი აბაშიძემ. არამედ შეამუსვრინეს მასვე ოსმალთა. მერმე მისცა ზურაბ აბაშიძემ ოსმალთა, და აწ უპყრავთ მათ. დგანან იენგიჩარნი.

ძირულასათჳს

ხოლო ძირულას მდინარე გამოსდის პერანგის მთასა, და ხეფინისჴევის ვერტყვილამდე აღვსწერეთ ქართლზედ. და ხეფინისჴევის ვერტყვილიდამ ხარაგეულამდე დის სამხრეთს-დასავლეთ შუა და ხარაგეულიდამ შორაპნამდე დის აღმოსავლიდამ დასავლეთად. არა არს ძირულაში თევზი, თვნიერ კალმახისა, და კალმახი მრავლად. სასმისად არს შემრგო, გემოიანი. ამ ძირულას, შორაპანს ზეით, მოერთვის ფეის ვარძიისწყალი[533] სამხრიდამ. გამოსდის ფერსათის. ამ ჴევზედ ვარძიას არს მონასტერი გუნბათიანი, კეთილშენი. ზის წინამძღვარი. ამ ჴევს ზეით ერთვის ძირულასავე მეღვნის-

ჴევი[534] სამჴრიდამ. გამოსდის ფერსათს, მოდის ჩრდილოთ. ამასზედ არს მწყერისციხე, მრავალგზის შემუსრვილი. ამის პირისპირ, ძირულას ჩრდილოთ და შორაპნის აღმოსავლით, არს წყვას ეკლესია წმიდის გიორგისა, სასწაულთმოქმედი. ვარძიისჴევს ზეით, ძირულაზედ, არს ხარაგეულს ციხე შენი[535]. ამ ციხესთან ერთვის ძირულას ჩხერიმელა აღმოსავლეთიდამ. და ამ ხარაგეულს ზეით ძირულას მოერთვის შროშისჴევი[536] ჩრდილოდამ. ეს გამოსდის ჯარუერთისა და ძირულას შუათის გორაკსა. მოდის ჩრდილოდამ სამჴრით. ამას ზეით მოერთვის ძირულასვე კოლბოურისჴევი[537] ეს გამოსდის ჭალის აღმოსავლეთის მთასა. მოდის მანდაეთამდე აღმოსავალ-ჩრდილოს შუადამ სამჴრეთ-დასავლეთის შუა. მერმე მოუხვევს და მოდის ძირულამდე ჩრდილოდამ სამჴრით. ამ კოლბეურისჴევის შესართავს ზეით ერთვისვე ძირულას ვაშლებისჴევი[538] და ამაშუკეთისა. და ამას ზეით არს ვერტყვილა-ხეფინისჴევი.

ჩხერიმელასათჳს

ხოლო ხარაგ[*] ეულს ზეით არს, ჩხერიმელაზედ, მლაშე. ჩრდილოთ. მლაშეს ზეით, ჩხერიმელაზედვე, არს სამჴრით ჩხერისციხე[539], მაგარი და მტრისაგან აუღებელი. ამ ციხისაგან ისახელა მდინარე ესე ჩხერიმელად, ანუ წყლის ჩხერისაგან კლდესა დინებითა. ჩხერს ზეით არს გზა ქართლს მიმავალი. მოსაკიდული სავიწროვისათვის წოდებული, ვახანამდის. მოსაკიდულს ზეით ერთვის ჩხერიმელას ვახანისჴევი[540], ფერსათიდამ მომდინარე ჩრდილოთ. ვახანს არს ციხე კარგი. ამ ციხის პირისპირ დაბა ქვაბი. ამას ზეით მებოძირი. რომლის ზემოთი დავსწერეთ ქართლზედ, მთას იქითად. არამედ ეს ჩხერიმელა მებოძირიდამ ხარაგეულამდე მოდის აღმოსავლიდამ დასავლეთად.

შორაპნის ზეით ყვირილას მომრთველთა წყალთათჳს

ხოლო ყვირილას შორაპანს ზეით არს მარტოთუბანი. მას ზეით ბოსლები. მას ზეით მოერთვის ყვირილას კაცხისწყალი[541]. ეს გამოსდის საწალიკეს, მოდის ჩრდილოდამ სამჴრით. ყვირილის შესართავს ზეით ამ წყალზედ არს კაცხს ეკლესია მაცხოვრისა, გუნბათიანი, დიდ ფრიად. კეთილშენი. ზის არქიმანდრიტი. ამის დასავლით არს ციხე კაცხისა, მთის ძირად. კლდესა ზედა. მაგარი. ციხის აღმოსავლით არს კლდე. ჴრამსა შინა არს კლდე აყვანილი, ვითარცა სვეტი. ფრიად მაღალი[542]. მის კლდის თხემზედ არს ეკლესია მცირე, არამედ ვერდარა ავალს კაცი. არცა უწყიან ჴელოვნება აღსვლისა. კვალად ამ კაცხისწყალს ზეით ყვირილას მოერთვის აღმოსავლიდამ სვერისჴევი[543]. გამოს-

---

[*] ამის შემდეგ, დედანში, ტექსტის ხელით გადაშლილია: „ეულს ზეით ჩხერიმელას ერთვის ორნი ჴევნი ჩხერის ციხემდე და მოსდიან ფერსათისა“.

ლის კოლბეურის სამჴრით წარსრულს გორაებს და მოდის აღმოსავლიდამ დასავლეთად. ამ ჴევზედ არს ციხე სვერი, არაოდეს ძალით აღებული. ესე დგას კლდესა ზედა და გარემოს მისსა ფრიად ღიდჴრამოვანსა. თქმულ არს, ქამსა ყრუსასა დალგა ციხე არგვეთისა სვერი. ამ სვერისჴევის შესართავს ზეით, ყვირილის ჩრდილოთ კიდურსა ზედა, არს ნავარძეთს ციხე. ამ ნავარძეთს ზეით ყვირილასვე მოერთვის ბჟინევისჴევი სამჴრიდამ. გამოსდის ბჟინევსვე გორაებს.

მღვიმისათჳს

ამ ბჟინევისჴევს ზეით, ყვირილის ჩრდილოთ კერძ კიდეზედ, არს მღვიმე, კლდე დიდი გამოკვეთილი, და მას შინა მონასტერი უგუნბათო, წითლის ბრწყინვალის ქვით შენი, კახაბერ რაჭის ერისთვისაგან აღშენებული. ქვაბსა შინა დის წყარო დიდი და კეთილი. უზის არქიმანდრიტი. არამედ სვერისწყლის შესართავიდამ მღვიმე-საჩხერემდე, ამ ყვირილას იქით და აქეთ კიდენი არს ფრიად მაღალი კლდე. და არიან მას შინა ქვაბნი მრავალნი[544], გამოკვეთილნი სახიზრად და შეუვალი მტრისაგან, და საკვირველი, თუ ვითარ უქმნიათ. და დალგა ესენიცა ქამსა ყრუსასა. ამათ ზეით ერთვის ყვირილას ჯრუჭი[545] ჩრდილოდამ. გამოსდის კეცების მთასა, მოდის აღმოსავლიდამ დასავლეთად, მერმე ჩრდილოდამ სამჴრით ყვირილამდე. სადა მოდრკების, მუნ ერთვის ამ წყალს დასავლიდამ სხვა ჴევი. გამოსდის საწალიკე-კეცებს[546] შუა მთას. ამ ჴევსა და კეცებზედ გარდავლენან გზანი რაჭას[547]. ძველად ყოფილა ამას ზედა შენობანი, და აწ ოჴერ არს. კვალად ჯრუჭის შესართავს* ზეით, ყვირილას სამ-

258

ჴრით კიდეზედ, არს საჩხერე. მოსახლენი არიან იმერნი, სომეხნი, ურიანი ვაჭარნი და ვაჭრობენ. ამ საჩხერის პირისპირს, ყვირილის ჩრდილოთ არს, მაღალს კლდესა ზედა, ციხე მოდამნახე, მოზღუდვილი კლდითა, მაგარი და უბრძოლველი მტრისაგან. კვალად ამ საჩხერეს ზეით, ყვირილას კიდეზედვე — სავანეთ{ს} ეკლესია, უგუნბათო, საკვირველად შენებული, რამეთუ არს მთლად ერთის ქვისა კანკლითურთ. ამ სავანეთს ზეით არს ჭალა. არამედ ჭალიდამ წონამდე არღარა არს შენობა, გარნა პირველ ყოფილა შენობიანი, სადაცა ჩანან ეკლესიანი, [[ნა]]დაბარნი.

კვალად რიონის შემდინარისა მდინარისათჳს

ხოლო აწ კვალად ვიწყებთ რიონსავე და მას შინა შემდინარეთა. სად ერთვის რიონს ყვირილა, მის ჩრდილოთ** და რიონის დასავლეთით არს გეგუთი, სადგური ზამთარს მეფეთა. აქა არს მგზავსი შენებული მეჩიტისა, მრავალპალატოვანი, დიდნი და მცირენი, თლილის ქვისა; უწოდებენ

---

* ამ სიტყვის შემდეგ ავტორის ხელით გადაშლილია: „შესართავს“.

** დედანში აქ გამეორებულია „ამის ჩრდილოთ“.

ციხე-დარბაზი. იტყვიან აღშენებას თურქთაგან ნზ მეფის გიორგის ჟამსა. ამას ზეით არს, რიონის კიდეზედ, კახნიაური აღმოსავლით. ესეცა სადგური აწცა მეფეთა ზამთარს. ამას ზეით არს ქალაქი ქუთათისი, რიონის გაღმა-გამოღმა, ჰავითა და წყლითა მშვენი, თვალითა ქვეშ შვენიერი ადგილი, რომელი აღაშენა ა აფხაზთა მეფემან ლევან და ჰყო ტახტი. არს ციხე, და ციხიდამ ხიდი რიონსა ზედა. აქა არს სასახლე მეფეთაგან, დიდშენი შვენიერად, რიონსა ზედა წაკიდებული. ასპარეზი მოზღუდვილი ვარჯად ჭანდრით. მოსახლენი არიან იმერნი, სომეხნი, ურიანი ვაჭარნი. წელსა ქრისტესსა ჩქჲვ, ქართულსა ტნდ მისც{ა} ქუთაისის ციხე ოსმალთა სეხნია ჩხეიძემან, და უპყრავთ აწცა მათ. არამედ შემცირდა ფრიად ქალაქი მათგან. აქ აღაშენა ნვ მეფემან ბაგრატ ყოვლადწმიდისა ეკლესია[548] შვენიერი, გუნბათიანი, სრულიად სოფიის კენჭით შინაგან ქმნული და მარმარილოთა სპეტაკითა, წითლითა და ჭრელითა, და სვეტებითა მისითავე, და ყოვლითა შემკობილებითა სრული, და ფრიად დიდი. დასვა ეპისკოპოზი, მწყემსი იმერეთისა და გურიისა, თვნიერ რაჭა-ლეჩხუმისა. ზის აწცა და არღარა ეგლენითა სამწყსოთი. დაფლული არიან /ნე/ მეფენი ბაგრატ, ნზ მეფე გიორგი. არამედ წელსა ჩქჟბ, ქართულსა ტპ შემუსრეს ოსმალთა, და წარიღეს სვეტნი მისნი და მარმარილონი სამცხეს, თუმცა უჩვენა სასწაულნი, გარნა არარად შეირაცხეს.

ამ ქუთათისის ჩდილოთ და რიონის დასავლით არს ქვიშილეთს ციხე[549] ფრიად მაგარი. ქვიშილეთის ჩდილოთ არს ჩუნეში. ჩუნეშს ჩდილოთ — გუმათი, გუმათის ჩდილოთ — საყორნე, საყორნეს ჩდილოთ არს გოსტიბე, ცხენისწყლის აღმოსავლით კიდეზედ; ამის გაღმა გორდი, და ძეს აქ ხიდი გოსტიბიდამ გორდს ცხენისწყალზედ. გოსტიბემდე არს ოკრიბა. და კვალად ქუთათის ზეით, დაბას რიონს ზეით. მოერთვის რიონის მდინარეს აღმოსავლიდამ ძმუისის-მუყელეთისჴევი[550]. ეს გამოსდის წმიდის გიორგის მთას, მოდის დასავლეთის-სამჴრეთის შუა. ამ ჴევზედ, ძმუის, მთაში, არს ციხე კლდესა ზედა შენი და მაგარი. ამას ზეით, რიონის დასავლეთით, მთის ძირს, არს ხომლის კლდე[551], ფრიად მაღალი. მიიღო ამან სახელი ესე სიმაღლით ხომლის ვარსკვლავის სწორობით. ამ კლდეში არს ქვაბი გამოკვეთილი, მტრისგან შეუვალი, მეფეთა საგანძურთ სადები. აქამომდე არს ოკრიბისა, მას ზეით ლეჩხუმისა. ძმუისის ჩდილოთ, მთას იქით, რიონი{ს} სამჴრით, არს დღნორის ციხე მაგარი, დიდშენი და შეუვალი. აქამდიც არს ოკრიბისა.

ხოლო ამ დღნორსა ზეით არს რიონზედ არპანი; არპანს ზეით გველისთავი. გველისთავს ზეით რიონს მოერთვის ტო-

რაჭისათვის[552]

ლისჴევი[553] გამოსდის რაჭა-სვანეთის შუას კავკასის კალთას, მოდის ჩრდილოდამ სამჴრეთად და მოერთვის რიონს ჩრდილოდამ. ამ ჴევზედ, დასავლის კიდეზედ, არს, კავკასიდამ ჩამოსულს მთის კლდეზედ, ციხე ტოლა შენი, ფრიად მაგარი. და არს ჴეობა ესე ხილ-ვენახიანი. ამ ტოლისჴევს ზეით მოერთვის ბარეულისჴევი რიონს სამჴრიდამ. სდის წმიდის გიორგის მთას[554]. ბარეულს, რიონის კიდეზედ, არს ციხე კეთილშენი. ამ ბარეულს ზეით მოერთვის სამჴრიდამ ზნაკევისჴევი[555]. გამოსდის ნაქერალას მთას. ზნაკვას არს ციხე[556] შენი და მაგარი. ამ ზნაკევისჴევს ზეით მოერთვის რიონს ჩრდილოდამ სადმელისჴევი[557]. გამოსდის კავკასს რაჭა-სვანეთს* შორისს და მოდის ჩრდილოდამ სამჴრეთად. სადმელს არს ციხე[558] კლდესა ზედა შენი, შეუვალი მტრისა. სადმელს ქვეით ამ ჴევს ერთვის ღვიარასჴევი. გამოსდის მასვე კავკასს და დის ეგრეთვე. ტოლისა და ამ ჴევებიდამ გარდავლენან სვანეთის გზანი.

ამ სადმელისჴევის შესართავს ზეით რიონს მოერთვის ბუგაულისჴევი[559] სამჴრიდამ. გამოსდის ნაქერალასა და ველევის მთის ქვეით, ლემანაურის მთას. ბარეულს არს ციხე[560] კარგი და მაგარი. ბარეულს ზეით არს საკეცე. ამას ზეით მოერთვის რიონს სამჴრიდამვე კრიხულას მდინარე, რომელი ისახელა დაბის კრიხისაგან. გამოსდის საღორისა, ნაჯიხურევისა და საწალიკის მთას, მოდის ჩრდილოთ კერძოთ. რიონის სამჴრით და კრიხულის აღმოსავლით, ამბროლაურს, ყოფილა სასახლე აწინდელთა მეფეთა, ადგილის შემკობილებისათჳს. ამის დასავლით კრიხულას მოერთვის რიონის სამჴრით ხოტევისწყალი. გამოსდის საღორე-გარჯილის მთას ქვეით, შაორის მცირეს ტბას[561] წყაროდ და ფრიად ცივს, და მოდის გრეხით ჩრდილოთკენ. კრიხულასა და ხოტევისწყლის შესართავს ზეით, ხოტევისწყლის აღმოსავლეთით კიდესა, მაღალს გორას კლდესა ზედა არს ციხე კვიტაშვილისა, ფრიად მაგარი[562]. ამ ციხეს ზეით, ხოტევისწყლის დასავლით, არს ხოტევი და ციხე მისი დიდი, დიდშენი, და სახლობენ აქა ურიანი ვაჭარნი და ვაჭრობენ.

ხოტევს ზეით, ამის წყალსვე, ერთვის აგარისჴევი. ამ ჴევზედ არს ნიკოლაწმიდა, ეკლესია გუნბათიანი, კეთილ-დიდშენი. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი გლოლას ქვეითის რაჭისა. ამ ჴევის შესართავს ზეით არს შაორი. აქა ყოფილა საზაფხულო სასახლე აწინდელთა მეფეთა ადგილის შვენიერობისათჳს. კ[ე]თილ-აგარაკოვანი. კვალად კრიხულას ერთვის,

---

* დედანში „რაჭა-სვანთ".

კრიხს ზეით, სხოჳისჴევი[563], დის სამჴრიდამ ჩრდილოთ. ამ ჴევზედ არს ორმო დიდი, ერცელი და ღრმა, რომელსა შინა დის წყარო, და ვერ განჰყინავს ზამთარს, არამედ ზაფხულის ჰყინავს სრულიად. რომელი ამოულეველი არს. რაოდენცა სჭრას* მრავალმან კაცმან, გარნა თუ შთავიდეს კაცი უცხო, 259 თჳნიერ მუნ მყოფისა, აციებს წელსა ერთსა. სხოჳის სამჴრით და კრიხის პირისპირ, [[აღმოსავლით]] კიდურს, მაღალს კლდიანს გორასა ზედა არს ციხე კვარასი[564] და მტკიცე. ხოლო ქვალად კრისულას შესართავსა და ამბროლაულ-ხიმშს ზეით მოვიწროვდების რიონი სამჴრიდამ და ჩრდილოდამ კლდითა. მუნ ძეს ხიდი რიონზედ. ხიდის თავს, კლდის ძირში, არს, რიონის [[ჩრდ]]ილოთ კიდესა ზედა, ციხე, და უწოდებენ ხიდისკარს[565]. ხიდისკარს ზეით რიონის კიდეზე გამოდის კლდიდამ თბილი წყალი, არამედ უხმარი[566]. მას ზეით არს წესი. ლაბა კარგი. აქა იტყვიან ვერცხლის ლითონს. აქავე, რიონის კიდეზედ, არს ნინიას ციხე. კლდესა ზედა შენი. ამას ზეით მოერთვის რიონს სამჴრიდამ ჴევი ბარულა. გამოსდის კეცების მთას, დის ჩრდილოთ კერძ. ამ ჴევს ერთვის ჩონისისჴევი დასავლეთიდამ. ამავე ბარისწყალს ზეით არის მთაში მრავალძალს[567] ეკლესია წმიდის გიორგისა და ჯვარი დიდი ოქროსი, სასწაულთმოქმედი. ამას შესწირა ა შააბაზ ჴრმალი ოქროთ მოოჭვილი, აწცა ძეს მუნ. არათუ სარწმუნოებით, არამედ სცნან, რამეთუ ჴმალი მისი ჰკიდავს მუნ. ხოლო ხიდისკარიდამ წავალს მცირე მთა კლდიან-ქარაფიანი ჩრდილოთ, ვიდრე კავკასამდე. ამაზედ არს ეკლესია თხემსა ზედა შენი, წმიდის გიორგისა, სასწაულიანი. უწოდებენ მთიითურთ ველიეთსა. ამ ეკლესიაზედ გარდავალს გზა სადმელს, თჳნიერ მისა არა სადა. წესიდამ.

ხოლო ბარულასწყლის შესართავს ზეით მოერთვის რიონს ჩრდილოდამ მდინარე ლუხუნი, გამომდინარე კავკასისა, რაჭა-სვანეთს შორისისა, და მოდის სამჴრეთად. ყოფილა ამ ლუხუნის ჴეობაზედ შენობა დიდი, არამედ აწ მტერობისაგან სვანთა არღარა, და ოჴერ არს. ამ ლ[[უ]]ხუნის აღმოსავლით კიდის მაღალს კლდის გორასა ზედა და რიონის [[ჩრდი]]ლოდ არს ციხე მინდ{ა}. მაგარი და აულებელი მტრისაგან, და ვის უპყრავ ციხე ესე, არს ერისთავი რაჭისა. ამ ციხისავე ძირს კოშკი დგას ლუხუნის კიდესა ზედა მცველად წყლისათჳს. ამ მინდას ზეით მოერთვის რიონს ჩრდილოეთიდამ სორისჴევი[568] ამაზედ არს მონასტერი უგუნბათო, დიდი, კეთილშენი, აწ ხუცის ამარად. ამ სორს ზეით მოერთვის რიონს სამჴრიდამ ჴევი ჴეორი. ამ ჴევმან მოიგო სახელი

---

* ლედანში: „სჭას".

ღრმა ჴევთა შინა დინებითა. ეს გამოსდის კეცების მთის კალთას, მცირეს ტბასა. პირველ დის აღმოსავლიდამ დასავლეთად, მერმე სამხრეთიდამ ჩრდილოთ, ღრმას ჴრამსა და კლდოვანსა შინა. რიონის შესართავს ზეით ჴეობს ერთვის ბოყვისჴევი[569] აღმოსავლიდამ. ჴეობის სათავის მცირეს ტბის ქვეით, ჩრდილოთკენ, კლდეს გამოსდის წყარო დიდი მდინარე. და ამ ორის წყლის შესართავს ქვეით არს შქმერი, დაბა დიდი. უვენახო. უხილო. მგზავსი სხვათა მთის ადგილთა და შვენიერ ზაფხულის ფრიად. კვალად ამ ჴეობის შესართავს ზეით მოერთვის რიონს ჯეჯორის მდინარე. ეს გამოსდის კედელას[*] კავკასსა და დის კუდაროს ჩასავლის კარგა ქვეითამდე აღმოსავალ-ჩრდილოს შუადამ სამხრეს-დასავლეთის შორის. მერმე მოიქცევის და დის სამხრიდამ ჩრდილოთ რიონამდე და მოერთვის მას სამხრიდამ. რიონის შესართავს ზეით და ჯეჯორის აღმოსავლით კლდეზედ არს ციხე. და ამ ციხეს ზეით და ჯეჯორისვე აღმოსავლით არს დაბა წედისი[570], და ციხე მცირე. აქ არს ლითონი რკინისა. და იღებენ მრავალსა.

არამედ ჯეჯორის მდინარეზედ, სამხრიდამ ჩრდილოეთად დინებულზედ, არს დაბნები ვენახოვან-ხილიანნი და მოსავლიანნი. მას ზეით მოსახლენი არიან ოვსნი. და უვენახო, უხილო, ვითარცა სხვანი მთის ადგილნი. უწოდებენ ამას კუდაროს. გუდოვანთას ერთვის ჯეჯორს აღმოსავლიდამ სხვა ჴევი, წონასა და ამის შორის მთის გამომდინარე. ამ წყალში ზის კალმახი: რა მოხარშო, მგზავსი არს ზაფრანიანისა. ხოლო ამ გუდოვანთას აღმოსავალ-სამხრით, მცირეს მთას იქით, არს წონა. ადგილი გარმოხვეული მთებითა და შინაგან ვაკე. აქ არს მცირე ტბა. ამას გამოსდის ყვირილა და მოდის, ვითარცა აღვსწერეთ. არს წონა, ვითარცა სხვანი მთის ადგილნი. და მოსახლენი ოსნი. გარდავალს აქიდამ და კუდაროდამ გზა ქცხილვანის ჴეობასა ზედა, დვანის ჴეობასა ზედა, ქართლში.

ხოლო ჯეჯორის შესართავს ზეით და რიონის სამხრით არს ონი. სახლობენ ურიანი ვაჭარნი და ვაჭრობენ. ონი ვაკით არს მშვენი და ზაფხულის ცხელი, ორთა მთათა შინა კლდოვანთა ყოფითა. არამედ აგრილებს მდინარე რიონი. ამ ონს ზეით მოერთვის რიონს ღარულასჴევი სამხრიდამ. გამოსდის კედელის კავკასს. ამაზედ არს შენობა მოსავლიანი, ვითარცა სხვა მთათა ადგილნი. ამან მოიგო სახელი დაბისაგან ღარისა, მუნ რიონის კიდესა დაშენებულისაგან. ხოლო ონის პირისპირ, რიონის ჩრდილოთ, მთის კალთასა შინა, მაღლა, არს დაბა ძეგლევი. აქა ეკლესიასა შინა არს

---

[*] კედელა.

ზეით ჭიქითა და მდუღარებს მარადის და, რაოდენ იღებენ, არ აკლს ჭიქასა მას. ამას ზეით ერთვის საქორიასჴევი[571] რიონს ჩრდილოდამ. ამ ჴევის შესართავთან, რიონის კიდეზედ, არს ციხე მაგარი ფრიად. ამას ზეით არს დაბა უწერა, რიონის ორსავე კიდესა ზედა. აქ, რიონის ჩრდილოთ, არს ეკლესია სიონი, დიდი. ამ ეკლესიის კამარასა შინა მკიდარებს თმა ერთი ნაწნავი. და იტყვიან თამარ მეფისასა. აქავე არს მიწა, რომელსა უწოდებენ სასუნებლად, რომელი დავსწერეთ ქართლსაცა. არამედ ესე უმეტეს ძალიანი. რამეთუ გარდაფრენილი ფრინველი მას ზედა ჩამოვარდების სუნისაგან. არს ესე ოსნაცა. გარნა ესევე უმჯობესი.

ამას ზეით, ჭიდროთას[572] არს ციხე მცირე, რათა ვერ ვიდოდნენ მთის კაცნი თვნიერ მის ციხისა რაჭას. ჭიდროთას ზეით მოერთვის რიონს აღმოსავლიდამ გლოლისჴევი. აქ ძე{ვ}ს რიონზედ ხიდი. ხოლო გლოლისჴევი გამოსდის გლოლასა და ღებეს შორის კავკასსა, და მოდის დასავლეთად. ამ ჴევს ერთვის სხვა ჴევი ორი. ერთი გამოსდის ამასა დ{ა} დიგორს შორისს კავკასსა. არს გლოლა დაბა მგზავსი ციხისა, კოშკოვან-გოდლოვან-ზღუდიანი. შიგ ეკლესია, აღესილი ოქრო-ვერცხლის ხატითა და ჯვარითა და წიგნებითა, ძველადვე ხიზნულნი. კვალად გლოლისჴევის შესართავს ზეით რიონის სამჴრით არს ჭიორა, დაბა მოზღუდვილი და | კოშკოვანი, გოდლოვანი. ამას ზეით, ჩრდილოთ კერძოთ, დაბა არს ღები, ეგრეთვე ნაშენი. ხოლო ჭიდროთას ზეით ეს ადგილნი, რომელნი დავსწერეთ, არიან ვითარცა სხვა მთის ადგილნი, მოსავლითი, ნაყოფითი, პირუტყვითი, მაგარი, ვიწრო და შეუვალი მტერთაგან. სარწმუნოებით ქრისტეანენი, ქართველთა თანა, არამედ უმეცარნი ამისიცა. 260

რაჭის საზღვართათჳს

ხოლო რომელნი აღვსწერეთ, სახელითგან ყოფანი ვთქვით. და აწ ვიწყებთ საზღვართა მათთა. რამეთუ მზღვრის რაჭას: აღმოსავლით კუდაროსა, წონისა და ფაწის მდინარის შორისი მთა, და კავკასი კედელა, და მუნიდამ ჩრდილოთ წარსრული კავკასივე, ვიდრე დიგორის კავკასამდე, რაჭა-გლოლასა და ღებეს შორისი; სამჴრით წონიდამ წამოსული მთა დასავლეთად აღმოსავლეთიდამ, ვიდრე არპანისა და დღნორამდე, გაჭრილი რიონისაგან მუნ. და მთასა ამას საერთოდ /უწოდებენ/ რაჭის მთას, ხოლო განყოფით დღნორს ზეით წმიდის გიორგისას, მერმე გაჭრილს, ნაქერალას, ველევს, სადორეს, გარჯილას, ნაჯიხურევს, საწალიკეს და კეცებს. ამ მთათა ჩრდილოთ კერძი არს რაჭისა და სამჴრეთის კერძი — გარჯილა-ნაჯიხურევ-საწალიკე-კეცებისა — არს არგვეთისა, და მდინარენიცა ეგრეთვე; დასავლით მზღვრის სადორის მთიდამ დღნორამდე რომელნი მთანი აღვსწერეთ, და მთა გველისთავისა.

ხოლო მას მთასა დასავლის კერძო არს ოკრიბისა. და არიან მთანი ესენი მაღალნი და განიერნი. თხემთა ვაკ{ე}ონი და კალთათა ტყიანნი. და ზამთარს დიდთოვლიანნი. სადაცა ვერ ივლის ცხენი. და ზაფხულის უთოვლო. წყაროიანი. ბალახიან-ყვავილოვანნი. ნადირიან-ფრინველიანნი. და დაბნები რაჭისანი. ამ მთასა კალთასა მყოფნი არიან. ვითარცა შქმერი ალესწერეთ. აგარაკად და მისის ადგილად; და ჩრდილოთ მზღვრის რაჭას კავკასი. რომელი განჰყოფს გლოლას. ღებს. ჭიორასა და დიგორს-ბასიანსა. ლეჩხუმსა და სვანეთსა. სადმელს. ტოლას და სვანეთსა.

და ამ საზღვართ შინაგან არს რაჭა. ფრიად მაგარი მთითა. კლდითა. ჴრამითა. ჴევითა და ტყითა. შეუვალი გარე მტრისაგან. ჰავით არს კეთილმშვენი. ზაფხულის გრილი. ზამთარ თბილი და უქარო. მოსავლიანი. თჳნიერ ბრინჯ-ბამბისა ნაყოფიერებს ყოველნი მარცვალნი. ვენახნი. ხილნი. მტილოვანნი ყოველნი. რიონის კერძოდ ამიერ და იმიერ. სრულიად რაჭას ესრეთ ნაყოფიერებს. არამედ მთასა კერძონი. ვითარცა სხვანი მისნი ადგილნი. პირუტყვნი. აქლემს გარდა. ყოველნი და არა მრავლად. ცხოვარი ულემო. ღორი — სიცოცხლე მ{ა}თი. მდინარეთა კალმახნი მრავალნი. სხვა თევზნი არარაი. არცა რიონსა შინა. კაცნი ტანოვანნი. მჴნენი. ბრძოლასა შემმართებელნი. ძლიერნი. უსაქციელო-ბრიყვნი. უშვერმქცევნი. სხვათა მაოჭარნი. [[მომხვეჭნი]] და ძვირნი. სახლობენ [[მთავა]]რნი და აზნაურნი. ქალნი შვენიერნი. მქცევნი ეგრეთნივე. რბილნი. პირველად იყო რაჭა-შორაპნის საერისთო, მერმე იქმნა თჳს საერისთოთ. და შემდგომად კახაბერისა* მოწყვეტისა ეპყრა მეფეთა. მერმე ბაგრატ იმერთა მეფემან მისცა ჩხეიძეს ერისთობა. და აწცა არიან იგინი ერისთავად რაჭას. და არს მესამე სადროშო. ხოლო სახელი მოიგო გარემოსთა დიდროვანთა მთათაგან და შინაგან ღრმის ადგილობისა მიერ — „იხილე. რა ჭაა <არს> ადგილი ეს!"

არგვეთის საზღვრისათჳს

ხოლო რაჭის სამჴრით არს. მთის იქით. არგვეთი[573] ანუ მარგვეთი. რომელი იწოდა ქვეყნის ნაყოფიერებისაგან და მრგვლობისა მეშაკობისათჳს — მრგვალნი მენებურნი და არა აღმომეხერელნი. ხოლო საზღვარი არგვეთისა არს: აღმოსავლით ქართლის საზღვარი. ლიხის მთის [[დასავლის კერძო]]; სამჴრით ფერსათი. მერმე. ხარაგეულის ქედით. მდინარე ძირულა და. შორაპანს ქვეით წყალწითელამდე. ყვირილა; დასავლით წყალწითელა კვახჭირის მთამდე[574] და ჩრდილოთ წინაქმელნი მთანი — კეცები. საწალიკე. ნაჯახურევი და გარჯილა. კვალად ჩრდილოთ და დასავლეთად

---

* დედანში: „კახაბერისა".

მწვერის არგვეთის სალორე-გარჯილიდამ ჩამოსული სამჴრითკენ მთა ჩხარამდე და მერმე დასავლით წარსული კვახჭირამდე. არგვეთისა და ოკრიბას შორისი. და ამ საზღვარს შინაგან არს არგვეთი. ფრიად ნაყოფიერი ყოველითა მარცვლითა. არამედ ბრინჯს არა სთესენ. ხილნი ტყეთა შინაცა მრავალნი. პირუტყუნი მრავალნი. და არა ქართლისებრ. ვენახი ღაბლარი და ღვინო კეთილი, გარნა ქართლის კერძო ადგილთა — თხელი. ნადირნი და ფრინველნი მრავალნი. თევზნი მდინარეთა არა ეგდენ. არამედ კალმახნი მთათა კერძოთა მრავალნი. კირჩხიბნი მრავალნი. კაცნი და ქალნი შვენიერნი. მბრძოლნი და იმერეთს უმეტეს სხვათაგან შემმართებელად დიდებულნი. მომჭირნე მუშაკნი. სტუმართმოყვარენი. სახლობენ მთავარნი. აზნაურნი მრავალნი. ძველად იყო საერისთო შორაპნისა, და აწ მთავართა თჳს-თჳსა პყრობითა. არს მეორე სადროშო. ამას შინა დიან მდინარენი ყვირილა. ძირულა. ჩხერიმელა. ჩოლაბური და ამათი შემრთველნი მდინარენი.

ხოლო არგვეთის სამჴრით არს საჩხეიძო[575]. პირველად არგვეთადვე წოდებული. მერმე ფერსათის კერძოდ. შემდგომად პყრობითა თავადთა ჩხეიძეთაგან საჩხეიძოდ ისახელა. არამედ განჰყოფს საჩხეიძოსა და არგვეთს ჩრდილოთ ჩხერიმელა. ძირულა და ყვირილა. მერმე საჩხეიძოსა და ვაკეს მდინარე რიონი საჩინომდე. ხოლო აღმოსავლით მწვერის საჩხეიძოს ფერსათიდამ ჩამოსული მცირე მთა, ჩრდილოთ ძირულამდე, სარაგეულს ქვეით; სამჴრით მთა ფერსათი. ანუ ღადოთ, ანუ ლომსიათ წოდებული, ხოლო ლაბისაგან აწ ფერსათად. თხემთა უტყეო. კალთათა ტყიანი, მაღალი და განიერი. ზოგან თოვლიანი და ნადირიანი, ფრინველიანი. ჩრდილოთ კერძო იმერეთისა. სამჴრით კერძო სამცხისა; დასავლით მწვერის საჩინო-სალომინაოს საზღვრის ხაზი რიონიდამ ფერსათამდე /არამედ სვირს ზეით, აღმოსავლეთის კერძოს. უწოდებენ აწ ლომსიათხევს/.

საჩხეიძოს საზღვრისათჳს და სალომინაოსა

და არს ქვეყანა ესე მდინარეთა კიდურნი კლდოვანი. ფლატოვანი, ჭალიანი; მთის კერძო ვაკე და აყრილ-ტყიანი. ნიგვზნარ-ხილიან-ვენახიანი. ხეთა ზედა ასულნი, რომელსა უწოდებენ მაღლარსა ანუ ბაბილოსა[576]. ღვინო მრავლად და კარგი. აბრეშუმს აკეთებენ, არამედ არგვეთში უფროს. ბრინჯს არა სთესენ და ბანბას. სხვანი მარცვალნი ყოველნი ნაყოფიერებენ. პირუტყვთა აქა უმეტეს სიმრავლე არგვეთ-რაჭისაგან. რამეთუ ზამთარცა მძოვარნი არიან აჯამეთიდამ გურიამდე. ნადირნი მრავალნი, და აღვსილნი ტყენი მცირედიდითურთ. ფრინველნი ურიცხენი. თევზნი, ფერსათის მომდინარეთა წყალთა შინა. კალმახნი მრავალ, და სხვა არარა. და ვაკე|თა კირჩხიბნი. კაცნი მგვანენი არგვეთისანი. მსახ- 261

ლობელნი არიან მთავარნი, აზნაურნი. პირველად იყო არგუეთის საერისთო, და აწ პირველი სადროშო.

საჩიჯავაძოსათჳს[577]

ხოლო საჩხეიძოს დასავლით არს საჩინო და მის დასავლით საჯავახო. მზღვრის ამას იგივე მთა ფერსათი, ჩრდილოთ რიონი, რომელი განჰყოფს ვაკესა და საჩიჯავაძოს, დასავლით მზღვრის ფერსათიდამ ჩამოსული მცირე მთა ჩრდილოთ კერძ, საჯავახო-გურიის გამყოფელი, ვიდრე რიონამდე, და აღმოსავლით, რომელი დავსწერეთ სალომინაოს და საჩიჯავაძოს შორისი ხაზი. არამედ არს ადგილი ესე, ვითარცა აღვსწერეთ საჩხეიძო, და უმეტესადცა ნაყოფიერი და ბარი. კაცნი მათგან ურბილესნი, და სადროშო მათივე. და ორთა ამათ ადგილებთა დიან მდინარენი, რომელნიცა გამოსდიან ფერსათის მთასა.

ვაკის საზღვრისათჳს

ხოლო საჩიჯავაძოს-სალომინაოს, რიონს გაღმით, სამჴრეთით არს ვაკე[578] და ისახელების მათ ადგილთა სივაკისათჳს, და ამას მზღვრის: აღმოსავლით წყალწითელა ყვირილიდამ ˏ კვა[[ხჭირი]]ს მთამდე; სამხრით მზღვრის ყვირილა და რიონი; დასავლით ცხენისწყალი და ცხენისწყლიდამ წასული ხაზი ისულეთამდე და რიონამდე; ჩრდილოთ კვახჭირის მთიდამ წარსრული ხაზი დასავლით, კახნიაურს ქვეით, ირიბად, ქუთათისის დასავლით, და მაღლარის და ოფიშკვითის აღმოსავლით, და გუბისწყლის, სათავის გორაებზედ, ვიდრე გვასტიბის ბოლოდ ცხენისწყლამდე. და არს სამკუთხედ ადგილი ესე. ამას შინა, ცხენისწყლისა და რიონისაკენ, არს საჭილაო[579], სამიქელაო[580]. და არს ადგილი ესე ფრიად ნაყოფიერი ყოვლითავე, რომელნი დავსწერეთ, თჳნიერ ბრინჯისა. პირუტყვნი მძოვარ არიან ზამთარ-ზაფხულს. ფრინველნი ურიცხვნი. თევზნი არასადა, თჳნიერ რიონისა, კირჩხიბი მრავალ. არასადა არს მდინარე, თჳნიერ გუბისწყლისა და იგიცა მცირე. იზრდებიან ჭით. არამედ ადგილ-ადგილს ჭათა შინა არს ჭია, რომლისა წყლის სმით გამობერავს ყელსა, და დაეკიდების კაცსა და ქალსა, ვითარცა პარკი დიდი. უწოდებენ ყიყვს. ვენახნი დაბლარნი არიან მრავლად, ხილნი მრავალნი ტყეთა შინაცა. ტყენი აყროლნი, და უწოდებენ ეწერს;[581] და ეწერნი არიან არგუეთს, საჩხეიძოს და საჩიჯავაძოსა შინაცა. კაცნი და ქალნი ჰგონე ეგრეთნივე, არამედ უმეტეს მსწრაფლ მოუბარნი, ფრიად მუშაკნი, რბილად მქცეველნი. სასლობენ მთავარნი და აზნაურნი. პირველად იყო საერისთო ციხეგოჯისა და შემდგომად იქმნა ქუთათისისა, ოკრიბისა თანა. აწ ესეცა პირველი სადროშო.

ოკრიბის საზღვრისათჳს

ხოლო ამ ვაკის აღმოსავალ-[[ჩრდილოდ]] არს ოკრიბა[582] და არგუეთის ჩრდილო-დასავლეთად, რომელი ისახელა თჳსის ადგილობისაგანვე. რამეთუ გარემოთა ადგილებთა თჳს-

15ა

თაგანვე სრულიად მჩუენარობს ოკრიბა. და ამისთჳს ითქმოდა: „ოო. კრება ესე კეთილ-შუენიერ ადგილს არს!“ ხოლო ოკრება ესე იმზღვრების: აღმოსავლით მთით რაჭასა და ამას შორისით, ველევ-სადორის მთით. და სადორის მთიდამ წასრულის სამჭრით. ვიდრე ჩხარამდე, მთითა ოკრიბა-არგუეთის შორისით; სამჭრით ჩხარიდამ დასავლეთად წასრულის მთით კვახჭირამდე. მერმე კასნიაურის ხაზით რიონამდე; ჩრდილოთ ველევი, ნაქერალა, გაჭრილი, წმიდა გიორგის მთანი, ვიდრე ლღნორამდე, მერმე ხომლის კლდიდამ წარსრული მთა დასავლეთად, ვიდრე გვასტიბემდე; დასავლით კასნიაურიდამ წასრული ხაზი, ვიდრე გვასტიბემდე. ოკრიბა-ვაკის საზღვარი.

და არს ამას შინა ქვეყანა. თჳნიერ ბრინჯ-ბანბისა, ყოველითა მარცვლითა ნაყოფიერი ფრიად, ხილითა, ვენახითა. არამედ ვენახი მაღლარი, ღჳნო მსუბუქი, მხეგემოიანი. პირუტყუნი არგუეთისაებრ. ფრინველნი და ნადირნი მრავალნი. არს მცირე მთა-გორიანი, ტყიან-ბალახიან-ყვავილიან-წყაროიანი. დის მდინარე წყალწითელა და მისნი შემრთველნი, და ქუთაის ზეით რიონი და მასში შემრთველი ხომლის კლდემდე. თევზნი, თჳნიერ კალმახისა, არარა. კირჩხიბნი მრავალნი. კაცნი და ქალნი ჰგონე ვითარცა ვაკისანი. გარნა უღონო მუშაკნი, ვერ ღონიერნი. არამედ მთავარნი და აზნაურნი მჴნენი, ზნეობიანნი, შემმართებელნი. ეს ოკრიბა-რიონის აღმოსავლეთი პირველად იყო არგუეთისა, და დასავლეთისა ნაქალაქევის საერისთოისა. შემდგომად იქმნა ქუთათისის საერისთოსი და აწ — მეოთხე სადროშო ლეჩხუმითურთ, მეფისა თანა მყოფნი. და სახელნი ესენი ადგილებისა ამათ, რომელნი აღვსწერეთ, ანუ ეწოდათ ესრეთ ანუ ეგროსის ძეთაგან და მის ძეთაგან, ვითარცა სხუათა ადგილებთა. და ვინადგან შევასრულეთ იმერეთი, აწ ვიწყებთ ოდიშს.

ოდიშისათჳს

ხოლო ესე ოდიში[513] ისახელა ორითა სახელითა: პირველად მეგრელნი. რამეთუ ეგროს აღაშენა ქალაქი და უწოდა ეგრი. //ამას სწერენ ევროპელნი კოლხიდად, სადიდამ იაზონ წარიღო ოქროს რუნი ანუ საწმისი. არამედ ქალაქი იგი აქა არსადა მოიპოების. არცა მატიანე ჩუენი მოიჴსენებს მას. გარნა რამეთუ მას ჟამსა ეგრისწყალს[514] იქითი — დასავლეთისა — ეპყრათ ბერძენთა//*, აქა არს ადგილი იგი. ამისთჳს უწოდეს მეგრელნი. ხოლო ოდიში — განდევნეს რა ეგრისის მდინარის იქითნი და მიერთნეს ბერძენთა, იტყოდიან: „ოდეში იყომე ქვეყანა იგი ჩუენი“, და

---

* ეს ტექსტი წერია მარჯვენა აშიაზე, წვრილი ასოებით, ტექსტში შემოტანის ნიშნის გარეშე.

ისახელნეს აწამდე[*] ესრეთ. ხოლო საზღვარი ოდიშისა არს ცხენისწყალი და ხაჩი ისულეთამდე. მერმე თაკვერსა და ოდიშს შორისი მთა, კავკასიდამ ჩამოსული სამხრით და კვალად თაკვერიდამვე წარსრული კავკასი ჩრდილოთ, ვიდრე ეგრისის სათავემდე. ოდიშსა და სვანეთის შორისი; სამხრით მდინარე რიონი. გურია-ოდიშს შორისი, და კვალად ეგურის მდინარის შესართავს დასავლეთი შავი ზღვა; დასავლით ზღვა შავივე და კვალად ანაკოფიის მცირე მთა. კავკასიდამ ჩამოსული სამხრით ზღვამდე; ჩრდილოთ კავკასის მთა. ხოლო ცხენისწყლის დასავლეთის კერძო რომელი დავსწერეთ, ოდიშისა არს[595]. და ცხენისწყლის დასავლით არს მუნვე ბანძა და ციხე კეთილნაშენი.

ბანძას ზეით და ცხენისწყლის დასავლით, და მისი მჭვრეტი, მაღალს ადგილზედ, არს ჭყონდიდი. ეკლესია გუნბათიანი. დიდშენი, მარტვილისა. ეს აღაშენა Ⴁ მეფემან აფხაზთამან გიორგიმ და შეამკო ყოვლითა შემკობილებითა საეკლესიოსათა. დაფლული არს მეფე ბაგრატ. ამანვე დასვა მუნ ეპისკოპოზი, და აწცა არს მწყემსი უნაგირის აღმოსავლეთისა ცხენისწყლამდე. ამათთა დასავლით დის მდინარე აბაშა. პირველ სხვის სახელით წოდებული. შემდგომად მოიქცა /რა/ ანაკოფიიდამ მურვან ყრუ. აქ დაბანაკებულთა მოაშთო ამან პჩ აბაში. და მიერითგან იწოდა აბაშა. /ამაზედ არს სახარია[596]. ციხე და სასახლე დადიანისა/. ესე სიგრძით არს ტეხურის შესართავამდე. გამოსდის კავკასს, ოდიშსა და სვანეთს შორისს. და დის ჩრდილოდამ სამხრით. არა არს მას შინა თევზი, თვინიერ კალმახისა.

262 ამის დასავლით დის მდინარე ტეხური. იწოდა ჩქარად დინებისაგან. რამეთუ შემუსრავს და მტეხარე პყო|ფს ხიდსა თუ სხვასა რაის. გამოსდის მასვე კავკასსა, მიერთვის ისულეთის ჩრდილოდამ რიონს. ხოლო ტეხურისა და აბაშას შესართავს ზეით, უნაგირას მთის ძირზედ და ტეხურის დასავლით კიდეზედ, არს შხეთის ციხე[597] დიდნაშენი და სასახლე დადიანისა. ამას ზეით, კიდევ ტეხურისავე კიდეზედ. არს სენაკს[598] ეკლესია გუნბათიანი. კეთილშენი. საყოფელი აფხაზთა კათალიკოზისა აწ. სენაკს ზეით, უნაგირას ძირში. არს ნაქალაქევი. ციხეგოჯად წოდებული. ეს აღაშენა ა მეფის ფარნაოზის ჟამს ქუჯიმ. ქალაქი და ციხე, და ამისი საერისთოვე იყო სრულიად რიონის დასავლეთი სვანეთით. შემუსრა ყრუმ. არამედ იყო კვალად ქალაქი. და შემდგომად მოოხრდა ქალაქი. აწ არს ციხე კვალად დასასახლე დადია-

---

[*] ტექსტი, დაწყებული სიტყვებით: „სხვათა ადგილებისა და ვინადგან შევასრულეთ იმერეთი“.– აქამდე, დაწერილია დაწებებულ ქაღალდზე, განსხვავებული მელნით.

ნისა. ხოლო ამ ტეხურის დასავლის კიდურსა რიონიდამ წარმოსდევს მცირე მთა კავკასამდე, ტყიანი და ნადირიანი. ამას უწოდებენ უნაგირას[589]. ამ მთას მზღვრიდენ ოდესმე იმერთა და ოდიშთა საზღვრად. და არს ჭყონდიდიდამ უნაგირამდე მთის ძირი* სალიპარტიანო[590]. არიან ამ ადგილთა შინა მოსახლენი მთავარნი და აზნაურნი. და არს ქვეყანა ესე მგზავსი ვაკისა და უმეტეს ნაყოფიერი და ტყიანი.

ხოლო ისულეთის. ტეხურის შესადინარს ქვეით, სადაცა ერთვის რიონი ზღვას. აქა არს ფოთი. და ამ ფოთის ჩრდილოთ კერძ შესდის ზღვას ხორგისწყალი[591]. მოიგო სახელი დაბის ხორგისაგან. ზღვის კიდესა ზედა შენისა, სადაცა არს სასახლე აფხაზთა კათალიკოზისა. გამოსდის მასვე წინჴსენებულს კავკასს და მოდის აღმოსავლიდამ დასავლეთად. ამავ წყალზედ, მთის ძირში, უნაგირას ჩრდილოთ, არს ციხე ჭაქვიითი და სასახლე დადიანისა. ხოლო ამ წყლის ჩრდილოთ, მთის ძირს, ველსა ზედა არს ხეთას ციხე და სასახლე დადიანისა. ამის ჩრდილოთ დის ჭანისწყალი[592], წოდებული ჭელენჯიხის გამო. გამოსდის მასვე კავკასსა და დის აღმოსავლიდამ დასავლეთად. და მიერთვის ზღვას ხობს. ამ მდინარის ჩრდილოთ კერძოთ, ზღვის კიდეზედ არს ხობი. აქა არს ეკლესია გუნბათიანი, კეთილშენი და შემკული. აქ ეკლესიასა შინა მსვენარებს პერანგი ყოვლადწმიდის ღვთისმშობლისა. სასწაულთმოქმედი. ამ წყალზედ, ჩრდილოს კიდესა ზედა და ხობს ზეით. არს ეკლესია ჩაისს, დიდი, გუნბათიანი, კეთილშენი და შემკული. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ამ წყლის სამჴრეთის კერძოსი უნაგირამდე და რიონ<ა>-ზღვამდე. ამავე მდინარის ჩრდილოთ კერძოთ დიდს ველსა ზედა არს ზუგდიდი. სასახლე დადიანთა, დიდშენი და პალატებიანი, ზღუდე-გოდლიანი.

ამ ზუგდიდის აღმოსავლით, მთის ძირზედ, არს ჭელენჯიხი, ეკლესია გუნბათიანი, დიდშენობა, შვენიერი, კეთილს ადგილს. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ჭანის მდინარისა და დადის მდინარის შორისის ადგილთა, კავკასიდამ ზღვამდე. ამის ჩრდილოთ დის მდინარე ეგური. წოდებული დაბის გამო. გამოსდის მასვე სვანეთისა და ოდი{შ}ს შორისს კავკასსა, მოდის აღმოსავლეთიდამ დასავლეთად, მიერთვის /ზღვას/ ანაკრიას. ანაკრიას[593] აღაშენეს ოსმალთა ციხე. ქრისტესსა ჩღგ, ქართულსა ტჟა, აწცა უპყრავთ მათვე. ანაკრიის აღმოსავლით ამ მდინარეზედ არს რუხს ციხე დიდშენი. შიგ წყარო გამომდინარე. აღაშენა ლევან დადიანმან ქრისტესსა ჩქმზ. ქართულსა ტლე, შემდგომად შემუსრეს ოსმალთა

---

*ამის შემდეგ დედანში წაშლილია: „არს“.

წელსა ჩღკე, ქართულსა უიგ. და ამის ქვეით აღაშენეს ანაკრია უმტკიცესად. რუხს ითხრების კაცი ჩასმასისა ფრიად კეთილი და მრავალი. რუხს ზეით. ამ წყალზედ. მთასა შინა არს საამყაროო სათავდელამ.

კვალად ამ ეგურის ჩდილოთ დის დალისწყალი[594]. წოდებული დალის დაბის გამო. გამოსდის მასვე აღმოსავლეთის კავკასსა. და მოდის დასავლეთად. და მიერთვის ზღვას. ამ დალისწყლის ჩდილოთ დის ეგრისისწყალი. წოდებული ეგროსის, თარგამოსის ძის, გამო. გამოსდის მასვე კავკასს, დის დასავლეთად და მიერთვის ზღვას ილორს. ხოლო ზღვის კიდეზედ. ამ წყლის დასავლით კიდეზედ. არს ილორს ეკლესია წმიდის გიორგისა. ამას უდის აღმოსავლით ეგრისი. დასავლით მდინარე მოქვისა. და უძს სამხრით ზღვა და ჩდილოთ ველი. არს ეკლესია უგუმბათო•. მცირე. მდიდარი და შემკული. არამედ სილოვანობის გამო. რათა არა შეირყვენ ეკლესია. მოუღიათ ქვა ლოდ-ფრიალი. ფიქალი და მას ზედა შენი არს სრულიად ეკლესია. აქ მოიყვანის ხარს ყოველწლივ ი ნოემბერს. რომელსა დაკვლენ და განიყოფენ მეფე დიდებულებითურთ. გარნა არს ფრიად სასწაულთ-მოქმედი ჭეშმარიტსა ზედაცა. არამედ მოსწვეს ოსმალთა ეკლესია ილორისა ქრისტესსა ჩღლგ. ქართულსა უკა.

ხოლო ამ ეგრისის მდინარესა ზედა. მთასა შინა. არს ეგრი. სადაცა მოკვდა პირველად ეგროს, ძე თარგამოსისა, და აქა აღაშენა ქალაქი და დაიპყრა საზღვარი თვისი. არამედ ამას შემდგომად უწოდეს ბედია. რომელი დასვა ა მეფემან ფარნაოზ ქუჯი ერისთავად რიონის დასავლეთისა. /ვინაითგან ჰპოვა ბედი/. მერმე აფხაზთა მეფის ლეონისაგან განიყო. და ცხომის ერისთავი სხვა. ბედიისა სხვა. აფხაზთა სხვა. თამარ მეფემდე ესრეთ. შემდგომად რუსუდანისა — ოდიშისა დადიანი. და ბედიელი მას აქეთისა. არღარა ცხომისა. აქავე. ბედიას. აღაშენა ნდ მეფემან ბაგრატ ეკლესია[595] დიდშვენიერ-გუმბათიანი და შეამკო სიმდიდრითა დიდითა ფრიად //ამისთვის წერილ არს: „ვისაც გუმბათის სიდიდე და სიმდიდრე ბაგრატ ნდ მეფისა, განიხილე ბედიის ეკლესია და მისი სცნობ//•• დასვა ეპისკოპოზი ოდიშისა. და აწცა მის. და მწყემსი არს აწ დალისწყლისა და მოქვისწყლის შუათისა ადგილთა. აქავე მოიღო იგივე მეფე ბაგრატ ზვიადა ერისთავმან და დაფლა.

ხოლო ამ ეგრისის მდინარის დასავლით დის მოქვის

• დედანში: „უგუმბათო“

•• ტექსტი სიტყვებით: „ამისთვის წერილ არს“... წერია დედანში მარცხენა აშიაზე, ტექსტში შემოტანის ნიშნის გარეშე.

მდინარე ჩრდილოდამ სამხრით. გამოსდის კავკასს და მიერთვის ილორის ზღვას. ამ მდინარესა ზედა, მთაში, არს მოქვს ეკლესია გუნბათიანი, დიდნაგები. აღაშენა თ მეფემან აფხაზთამან ლეონ შემკობითა დიდითა. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი კოდორის მდინარისა და მოქვის მდინარის შორისის ადგილისა. არამედ ეს მდინარე მოქვის დის მოქვამდე აღმოსავლიდამ დასავლეთად. ხოლო მოქვის მდინარის დასავლით დის კოდორის მდინარე. ამ წყალზედ არს ეკლესია დრანდას, მთაში, გუნბათიანი, შვენიერი, დიდშენი. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი კოდორსა და ანაკოფიის შორისისა ადგილთა. არამედ აწ აფხაზთაგან არღარა არიან ორთა ამათ შინა ეპისკოპოზნი. გარნა მდინარე კოდორი დრანდამდის დის აღმოსავლიდამ დასავლეთად, გამომდინარე კავკასი<ი>დამ. და დრანდიდამ ზღვამდე დის ჩრდილოდამ სამხრით. მოიგო სახელი დაბის კოდორისაგან, რომელი არს დრანდას ზეით, ამ წყალზედ, მთაში.

ხოლო ამ კოდორის დასავლეთად დის მდინარე ცხომისა[596], გამომდინარე კავკასისა, და მოერთვის ზღვას ჩრდილოდამ. ამ წყალზედ, მთაში, არს ცხომი, და ისახელების მდინარე ესე ამისგან. იყო ცხომი ქალაქ და საერისთო, და
აწ დაბა. ამ ცხომის | დასავლით არს ანაკოფია და მდი- 263
ნარე[597] მისი მცირე, გამომდინარე კავკასისა და მომრთველი ზღვისა ეგრეთვე ჩრდილოდამ. ამ მდინარის აღმოსავლით და ზღვის კიდეზედ არს ქალაქი ანაკოფია[598]. ეს აღაშენეს ბერძენთა. აქავე ერაკლეოს კეისარმან დასვა ერისთავი აფხაზთა, ეგრისის მდინარის დასავლეთისა ზღვამდე. იყო ქალაქი კეთილი, შვენიერი, ზღვასა ზედა წაშენებული, და შემდგომად ბაგრატიონთაგან უმეტეს განდიდებული. რომლისა ზღვასა შინა სვეტნი ორმოცამდე დღესაც ჩანან. არამედ აწ ოჴერ არს. და საზღვარი ოდიშისა და აფხაზეთისა, ამ ანაკოფიის აღმოსავლით ზღვიდამ მთამდე, შეავლო ზღუდე[599] დიდი ლევან დადიანმან, აფხაზთა გამოუსვლელობისათჳს. გარნა აწ უქმად არს.

ხოლო სიგრძე ოდიშისა არს კავკასის თხემიდამ ზღვამდე და ცხენისწყლიდამ ზღვამდევე. და მეორე — ეგრისისწყლიდამ ანაკოფიამდე. და განი მისი რიონის მდინარიდამ ეგრისის მდინარემდე. და მეორე — ზღვიდამ კავკასის თხემამდე. და არს ჰაერითა ეს ოდიში მშვენი. ზაფხულს ზღვის პირნი და ვაკენი ცხელი და არა გაუძლისი, მთის კერძონი გრილნი, აგარაკოვანნი, კეთილნი. ზამთარ თბილი. არამედ ზაფხულცა* სველი, და ნამიანი, და ნოტიო, გარნა უწყინარ-უვნო, უქარო და უყივნო, დიდთოვლიანი. მო-

---

* ლედანში: „ზაცხულცა“.

სავალნი მარცვალთა ფრიად ნაყოფიერნი მრავლად, რამეთუ ბრინჯი ნაყოფიერებს ურწყავად[600]. ნარინჯი, თურინჯი, ზეთისხილი, ბროწეული ადგილ-ადგილს და სხვანი ხილნი მრავალნი. ვენახნი მაღლარნი, ღვინო მსუბუქი და კარგი. აქა არს ღვინო ზარლაგი[601]. ფურისათჳს ეგრეთ წოდებული, ფრიად კეთილი, ძალიანი და ქებული ყოველთა შინა. აქ ჰყოფენ აბრეშუმს უმეტეს მრავლად იმერეთისაგან. პირუტყვნი — ცხოვარნი მცირედ და სხვანი მრავლად, რამეთუ უვისთ ჯოგად. მროწლედ. და თხა. ცხოვარი და ღორი ერთ არეულ. რამეთუ არა უხმსთ მწყემსი. და მძოვარ არიან ზამთარ-ზაფხულს ბალახთა. ფრინველნი მრავალნი; ფუტკართაგან თაფლი და ცვილნი მრავალნი. ვინათგან ტყეთა შინა მრავლად არიან. ნადირნი წვრილნი და დიდნი ურიცხუნი. თჳნიერ ქურციკისა. და სანადირო მრავალნი და კეთილნი. თევზნი მთის კერძოდ კალმახნი მრავლად. ხოლო ვაკეთა სხვანი თევზნი და კირჩხიბნი ურიცხუნი. ზღვასა შინა იპყრობის ანდაკია და სხვანი ზღჳს თევზნი. მდინარეთ შემდინარეთა ზღვათა შინა უწოდებენ მას ადგილს თუალსა. და არიან ნავსადგურნი. მოდგებიან ნავნი და ვაჭრობენ.

ხოლო არიან კუალად ამავე ადგილებთა შინა ჴევნი და მცირე მდინარენი და წყარონი კეთილ-გემოიანნი. რომელნი სიგრილისათჳს დავიდუმეთ. არიან კაცნი და ქალნი შუენიერნი. არამედ იმერთაებრ არა ტანოვანნი. ჴორციანნი და მწითურნი, გულმწყრალნი მყისად და მსწრაფლნი. ბრძოლათა შინა იმერთაებრ ვერ ქებულნი. ბრძოლიდამ გაბრუნებით ქებულნი. სარწმუნოებითა. რჯულითა. და წესითა. და ქცევითა იმერთათა. სამწყსონი აფხაზეთის კათალიკოზისანი. ენით არიან — დიდნი და წარჩინებულნი ქართულის ენითა. არამედ აქუსთ თჳსიცა ენა. გარნა წამხდარი ქართულივე. ვითარცა: ღმერთი — ღორონთი* ჩემი — ჩქიმი. და აქუსთ წიგნი ქართულნივე და არა სხვა. ხოლო აწ ეგრისის მდინარემდე უპყრავსთ აფხაზთა. და მას ზეით სამჴრის კერძო დადიანსა. კუალად ქვეყანა ესე არს ფრიად ტყიანი, მთით ბარამდე, და მცირეველოვანი. მდინარეთა კიდენი ჭალოვანნი და ვაკეთა აყრილნი ეწერნი. ბარდოვან-ტალახ-ჭანჭრობიანი და ფრიად წვიმიანი. ამისგან არს ფრიადი ნოტიობა. გარნა უვნებელი.

აფხაზეთისათჳს

ხოლო ანაკოფიის დასავლეთით არს აფხაზეთი[602]. პირველად წოდებული ეგრეთვე ეგრისი, რამეთუ ვინათგან წილი ეგროსისა არს ზღვამდე, მის გამო ეწოდა ეგრივე. არამედ შემდგომად განდგომისა. დაიპყრეს რა ბერძენთა. მათ უწოდეს აბასა. ხოლო ქართველთა აფხაზეთი. გარნა უმეტეს

---

* დედანში: „ღორი“

საგონებელი არს. ძეთაგან ანუ ძის ძეთაგან ეგრისისათა ეწოდა სახელი ესე. ხოლო საზღვარი აფხაზეთისა არს: აღმოსავლით, ანაკოფიის დასავლეთით მცირე მთა, კავკასიდამ ჩამოსული ზღვამდე; დასავლით ზღვა და კაპეტის მდინარე. არამედ სხვანი მზღვრიან ჯიქეთის დასავლეთის ზღვამდე; ჩრდილოთ მზღვრის მთა კავკასი, სამჴრით ზღვა შავი. სიგრძე ამისა არს ანაკოფიიდამ კაპეტის მდინარემდე ანუ ზღვამდე; განი ზღვიდამ კავკასის თხემამდე.

ხოლო ანაკოფიის დასავლით დის ალაცოსწყალი[603] გამოსდის კავკასს და მიერთვის ზღვას ჩრდილოდამ. ამ ალაცოსწყლის დასავლით დის ბზუფს მდინარე[604]. გამოსდის კავკასს, დის სამჴრით, მიერთვის ჩრდილოდამ ზღვას. არს ბზუფე[605] მცირე ქალაქისაებრი. სახლი და საყოფელი შარვაშიძისა, რომელი მპყრობლობს აფხაზთა, არავის მორჩილებასა შინა მეფეთა. ამ ბზუფს დასავლით დის მუწისწყალი[606] გამოსდის კავკასსავე, მიერთვის ჩრდილოდამ ზღვას. ამ მუწისწყლის დასავლით არს ბიჭვინტას ეკლესია დიდი, დიდშენი, კეთილ ფრიად, გუნბათიანი, ზღვის კიდესა ზედა.* ეს აღაშენა იუსტინიანე კეისარმან შემკობითა დიდითა. პირველ იყო საეპისკოპოზო. ჟამსა აფხაზთა მეფეთასა იქმნა საკათალიკოზოდ, და აწ არს საყდარი აფხაზთა კათალიკოზისა. არამედ აწ ხუცის ამარად, ვინაიდგან აფხაზნი არღარა მისდევენ რჯულსა და სარწმუნოებასა (ამას ვგონებ ნიკოფსიად[607], და ეკლესიასაცა მასზედ აღშენებულსა მისთჳს, ვინათგან ნიკოფსიას** დაფლულ არს მოციქული სვიმონ კანანელი). ამის ბიჭვინტის დასავლით დის კაპეტის მდინარე[608], დიდი და ჩქარად მდინარე. გამოსდის ესე რაჭის მთას კავკასსა, გამოვლის სვანეთს, ალანსა და მას ქვეითითა ორს კავკას შორისა და მიერთვის აქა ჩრდილოდამ ზღვასა.

ხოლო ესე აფხაზეთი შემკული არს ყოვლითა ნაყოფიერებითა და ჰავითა, რამეთუ ნაყოფიერებენ ყოველნი მარცვალნი, ხილნი, ვენახნი, პირუტყვნი და ნადირნი, ფრინველნი და თევზნი მრავალნი. არამედ თხა[609] აქაური ფრიად შვენიერნი, ბალნითა წმინდა და ჭრელ, კანჭმაღალი, ტანად დიდი. რქანი მაღალნი, ვითარ ალდ-ნახევარნი, წვერნი

---

12 თორმანეული 152**
13 ბეყმარი 153
14 ლევღრეთი 154
15 ნული 155
16 მავდა 156
17 წორბისი 157
18 ურია 158
19 ყორნისი 159
20 რეხთავი 160

ფცისწყალზედ:

1 ქვენატკოცა 161
2 მოხისი 162
3 ბერძენაული 163
4 ფცა 164
5 ტკოცა 165
6 ფლევი 166
7 ლოდეთი 167
8 ქვათეთრისი 168
9 მძოვრეთი 169
10 სხლითი 170
11 მუღრისი 171
12 ფრინევი 172
13 თამარაშენი 173
14 ცეროვანისი 174
15 საციხური 175
16 წალელი 176
17 აბისი 177
18 ბრეძა 178
19 აბანო 179
20 წყლულეთი 180
21 შერინისი 181
22 ბალთა 182
23 ქალეთი 183
24 ბათქნეთი 184
25 მეტეხი 185
26 ავლევი 186

---

*დაწყებული 38 ნომრიდან 50-ის ჩათვლით დაწერილია დაწებებულ ქაღალდზე.

**დედანში: „142“.

27 წირქუთი 187
28 ატოცი 188
29 ერმის ჭალა 189
30 მწოდლისი 190
31 ლარისხიავი 191
32 შინდარა 192
33 სურნისი 193
34 თიღვა 194
35 ძალისა 195
36 მუხაური 196
37 იკორთა 197
38 ხცისი 198
39 თერეჭვასი 199
40 ახალშენი 200
41 არაშენდა 201
42 სუნდისუბანი 202*
43 მოვარეველი 203
44 ტყისუბანი 204
45 ოქონა 205
46 კნოლევი 206

ალისწყალი:

1 სომანეთი 207
2 სატივე 208
3 ვაყა 209
4 ამყო 210
5 ნაბახტევი 211
6 ბრილი 212
7 დუმაცხო 213
8 ქინძათი 214
9 ბროლოსანი 215
10 ალი 216
11 ეწლევი 217
12 ელუნბა 218

სურამისწყალზედ:

1 ახალსოფელი 219
2 ოსიაური 220
3 გორაითი 221
4 ხაშური 222
5 კლდისწყარო 223
6 ლებრმა 224
7 ქემერტი 225
8 კაკალასხევი 226
9 წაბლოვანა 227
10 ოძისი 228
11 ცელანი 229
12 მინდისი 230
13 სურამი 231
14 ბეკამი 232
15 ბიჯნისი 233
16 ჯაფიაური 234
17 ეისჯა 235
18 ჩუმათელეთი 236
19 იტრია 237
20 წიფა 238

ხეფინისხევი:

1 ფონა 239
3 საღაბური ბ 241
4 წაქვა 242
5 ჭეიჯვარი 243
6 გრიგალათი 244
7 ცოცქიური 245
8 მლაშე 246
10 ვერტყვილა ბ 248
11 ხუნევი 249
12 ცხამანია 250
13 ბეინევი 251

საბამით:

1 ტეძერი 252
2 გუდეთი 253
3 ბელლეთი 254
5 მონასტერი ბ 256
6 ცხისძარი 257
7 მოლისძირი 258
8 ქვიშხეთი 259
9 ტაშისკარი 260

მთას იქით:

10 წიფა 261
11 გოგალათი 262
12 ზეკარე 263
13 ჩდოლი 264
14 ნუნისი 265
15 გლეისი 266
16 მებოძირი 267

---

*დედანში: „102".

ჴეობაში:

1 სარშანისშელი 268
2 ახალდაბა 269
3 სეძეი 270
4 ქამერეთი 271
5 კორტანეთი 272
6 ჩახავი 273
7 რველი 274
8 ყვიბისი 275
9 საფანისჴევი 276
10 ეშმაკოთებანი 277
12 სეა ბ 279
13 ხალაბერი 280
14 თორი 281
15 ციხისჯვარი 282
16 კარნიგომი 283
17 მუაჯებახი 284
18 ციხისჯვარი 285
19 ვარდის სოფელი 286
20 ფაფა 287
21 ჭალა 288
22 ლიკანი 289
23 ყვერბილი 290
24 ჭობისჴევი 291

სადგრის ხეობა:

1 სადგერი 292
2 დაბა 293
3 თელიანთუბანი 294
4 წალველი 295
5 შელდათუბანი 296
6 უჩხარიანი 297
7 კიმოთისმანი* 298
8 გოგოსებანი 299
9 ეკლობანი 300
10 ყერძენი 301
11 კეცხოველი 302**
14 ზეამშია გ 305
15 ბაკელიანი 306
16 ცემი 307

კახეთი(ს) სოფლები

ჩერეთი ან ხორანთა

ქისიყი:

1 ახასერი 1
2 ჯუგაანი 2
3 ტიბაანი 3
4 ძრახიანი 4
5 ბელიყარი 5
6 სირხა 6
7 ქენბათი 7
8 ყოლანთო 8

ხორნაბუჯი ან ჭოეთი

ყარალაჯი:

9 ცელეკანი 9
10 არბოშიკი 10
11 მირზაჩანი 11
12 მაჩხანი 12
13 ბოდბისჴევი 13
14 ბოდბე 14
15 ფანიანი 15
16 მაღარო 16
17 ჭოტორი 17
18 მელაანი 18
19 ჩალისუბანი 19
20 ძველისუბანი 20
იორზედ თათრის ობა

გარეთ კახეთი:

1 ლაკბისუბანი 21
2 იოხიანი 22
3 არაშენდა 23
4 ქოდალა 24
5 ფხოველი 25
6 ჩიარი 26
7 ნახიანი 27
8 ჯინჭარი 28
9 დარჩიეთი 29
10 ჩიმითი 30
11 კაჭრეთი 31

---

*კინოთისმანი.

**დედანში: „202“.

12 ახალსოფელი 32
13 ბუჟანბალი 33
14 ჩიბლიანი 34
15 ალაკანი 35
16 კაკაბეთი 36
17 ჩაილური 37
18 მანავი 38
19 თოლღიაური 39
20 ათოკი 40
21 გიორგიწმინდა 41
24 ივალი ბ 44
25 მარიამჯვარი 45
26 ნინოწმინდა 46
27 ყარაბულახი 47
28 ბურთუბანი 48
29 პატარძეული 49
30 საშნი 50
31 სამება 51
32 ქველისციხე 52
33 უჯარმა 53
34 ფკიქრიანი 54
35 ლამოიანი 55
36 საჩალე 56
37 შუაუბანი 57
38 მუხრანი 58
39 ხორაუგი 59
40 სათისჭალა 60
41 საცხენისი 61
42 ჭოტორი 62
43 მარტყოფი 63
44 ნორია 64
ლეთაუბა*
45 ტეეანი 65

გრდანი და საგურამო:

აეჭალა
2 გრდანი ბ 67
3 დუმაგრდანი 68
4 მანკოდა 69
5 ლელეუბანი 70
6 ტეტალა 71
7 ჯაჭეი 72
8 ფოსო 73
9 ჯვარი 74
10 წიწამური 75
11 ჯამიაური 76
12 აჩხოტი 77
14 ლერო ბ 79
15 ძველდურო 80
16 მარაეი 81
17 გორორისუბანი 82
18 ბალნიანთკარი 83
19 მანკავერი 84
20 აჩეი 85
21 თუჩამი 86
22 ჩრდილი 87
23 შეარეთი 88
24 ოდიმელიძე 89
25 დაფეი 90
26 ასატანი 91
27 ბოკოწინი 92
28 ჩაქარა 93
29 იპისი 94
30 არჯაკელა 95
31 ჯილაური 96
32 ბიწმენი 97

თიანეთი:

1 ქოპარტი 98
2 ბალიანი 99
3 ნაცელიანი 100
4 კაეთელა 101
5 ლაფანი 102
6 ნოკორნა 103
7 ძაგნაკორა 104
8 ეერხენა 105
9 ტეტალა 106**
10 ბარიანი 107
11 კახიანი 108
12 ბოთოტა 109
13 ბულაჩაური 110
14 წირდალი 111
15 საცხაოტო 112
16 ჩარიძე 113
17 ჩინთი 114
18 ბოდაეი 115
19 ქისეანი 116
20 ხარჭაშო 117
21 სამიში 118
22 ოეალიეი 119
23 ტუშური 120
24 ვეჟანაანთკარი 121

---

*ლოთაუბა.

**დედანში: „105“.

25 თორიულოკარი 122
26 ცხვისჯეთი 123
27 ჯიჯეთი 124
28 სულხანანოკარი 125
29 იქურნა 126
30 ალიხი 127
31 გონჯილანოკარი 128
32 ჯანგირანოკარი 129
33 თანგირასოკარი 130
34 ბალიასოკარი 131
35 აჯაგეი 132
36 კაკეეთი 133
37 ლოიში 134
38 გოიშჩეარე 135
39 ასრალი 136
40 ქამო 137
41 ჩაბანო 138
42 მალარული 139
43 სახასო 140
44 ეებოტა 141
45 აჩხოტი 142

ერწო:

1 ეალეთი 143
2 ახალკალო 144
4 ბუშატი ბ 146
5 ორჴევი 147
6 მკერულიანი 148
7 ბოქორმა 149
8 წიაბეთი 150
9 ვაგრანეთი 151
10 თილოუბანი 152
11 ამატანი 153
12 კვერნოული 154
13 იმერლიანოკარი 155
14 მონასტერი 156
15 ნოკორნა 157
16 ჩეკური 158
18 გორანა ბ 160
19 არჩევანოჴევი 161
20 მერეკანი 162
21 ნაღორანი 163
22 ქისქლაძე 164
23 ბორტაძე 166*
24 უგანაძე 167
25 ჯანგირანი 168
26 ყორაეთი 169

ფშავში სოფელი

ჴევსურში

პანკისისჴევი:

1 პანკისი 170
2 ომალო 171
3 ქისტნელი 172
4 დუმასტური 173
5 ხალაწანი 174
6 ნაპანკისევი 175
7 მლეიძე 176
8 წისუბანი 177
9 ქორეთი 178
10 კურტანაძე 179**
11 ყოდალაური 180
13 ბაწარა ბ 182
14 კოწასტა 183
15 ხაფარული 184
16 ყორწყალი 185
17 ბალთაგორი 186
18 დედოფერული 187
19 ქისტაძე 188

თუშეთში სოფელი

შიგნით კახეთი:

1 მარილისი 189
2 ქაჩალაური 190
3 მატანი 191
4 ქორდი 192
5 წმინდამარინე 193

ცხრაკარი:

6 უტო 194
7 ახმეტა 195
8 ჯოხარი 196
9 მთიული 197
10 მექოელი 198
11 ახაშანი 199
12 არაშენდა 200
13 ახალდაბა 201

---

*დედანში გამოტოვებულია „165".

**დედანში: „189".

14 ალავერდი	202
15 ხოდაშენი	203
16 აწყვერი	204
17 ობოლიძე	205
18 ჭორხელი	206
19 ალავერდელი	207
20 იფალითი	208*
21 ოეთი	209
22 ბაიხო	210
23 ქალაანი	211
24 ყოლანითი	212
25 ჯანაასი	213
26 ახატელი**	214
27 რუისპირი	215
28 გულგულა	216
29 არტაზასი	217
30 მერე	218

შუამთა:

31 იელავი	219
32 კერდელელაური	220
33 შალვაური	221
34 სასომხარი	222
35 კისისჭევი	223
36 ვარდისუბანი	224
37 კონდოლი	225
38 წინანდალი	226
39 ბალთასადგომი	227
40 ქვემო ხოდაშენი	228
41 ვანათი	229
42 აკაურა	230
43 კალაური	231
44 შანშიანი	232
45 მუკუზანი	233
46 ურიათუბანი	234

ველისციხე:

47 ზეგანი	235

ჭერამი:

48 მუკუზანი	236
49 ახალშენი	237
50 ზემლაყი	238
51 ახათალა	239
52 გურჯაანი	240
53 კახისუბანი	241
54 ძაღლისუბანი	243***
55 ძირკოკი	244
56 ვეჯინი	245

ახტალა:

57 კეფა	246
58 კოლაქი	247
59 ბაკურციხე	248
60 კარდანეხი	249
61 ბაიდარანი	250
62 ანაგა	251
63 ვაქირი	252
64 მაშრაანი	253
65 საქობე****	254

გაღმა მხარი:

1 ბახტრიანი	255
2 თოხიქალი	256
3 ფიჩხოვანი	257
4 მაღრანი	258
5 ლაფანყები	259
6 არგოხი	260
7 ასადელი	261
8 ლალისყური	262

თორღა:

9 ფშაველი	263
10 იელთა	264
11 არასთა	265
12 საბუე	266
13 გრემი	267
14 გვერდისძირი	268
15 ალშაგი	269
16 ველისჭევი	270
17 შილდა	271
18 ყვარელი	272
19 ბურსა	273

ნეკრესი:

20 კურტასაძე	274
21 გავაზი	275

---

*დედანში: „288“.

**სახატელი.

***დედანში გამოტოვებულია „242“.

****საქობი.

22 გაულშინდორი 276
23 წმინდასტეფანე 277
24 ჭიკაანი 278
25 ჭაკატანი 279
26 არბეხი 280
27 ბედიყარი 281

გორიწყალი

კართუბანი

28 ქვაბლოვანი 282
29 ჭიათური 283

დიდოეის სოფელი:
ლაგოდეთი
ტრაწყალი
თოლა

ელისენში:

ბელაქანი

მაკაბელი

1 ბოდიანი 284
2 ლასეხი 285
3 კატეხი 286
4 მაწეხი 287
5 ვარდიანი 288
6 ფოფინეთი ან ჭარი 289
7 წილუბანი 290
8 პატარა ჭარი 291
9 თალა 292
10 ჩარდახი 293
11 მეხრიახი 294
12 კოსორი 295
13 ჯინიხი 296
14 ბაზარი 297

მოსაზრენი:

ფადარი თბა

პირობითი ნიშნები

| |	აღდგენილი დაზიანებული ადგილები
< >	ზედმეტი ასო
{ }	უნებლიეთ გამოტოვებული და გამოცემაში აღდგენილი ადგილები
[[ ]]	ანაფხეკზე მინაწერი ტექსტი
/ /	სტრიქონს ზემოთ მინაწერი ტექსტი
// //	აშიაზე ნიშნით მიწერილი ტექსტი
|	დედნისეული ფურცლის დასასრული

ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲘᲡ ᲐᲦᲬᲔᲠᲘᲚᲝᲑᲐ

ხელნაწერი და მისი ამჟამინდელი სახე. ვახუშტი ბაგრატიონის ხელნაწერი ნაშრომი – „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ – წარმოადგენს საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივის ძველ საბუთთა განყოფილებაში დაცულ მუყაოს ყდაში ჩასმულ წიგნს. იგი 1446 კოლექციის №103 ხელნაწერია (სურ. 1). ამჟამად, შეიცავს ძველი პაგინაციით 374 გვერდს, ხოლო ახლით – 168 ფურცელს. აქედან დაუწერელი ფურცლებია: 203, 204, 215, 216, 294-296, 316, 317 და 328.

ხელნაწერი დედანი ვახუშტი ბაგრატიონის ავტოგრაფია. დაწერილია დიდი ფორმატის სქელ, ორად მოკეცილ ვერჟერიან ქაღალდზე (სურ. 2), რომელსაც აქვს ორი სახის ჭვირნიშანი: ნახევარწრე, გეომეტრიული ხაზებით და ადამიანის გამოსახულებით.

ხელნაწერი წიგნის ზომა 40,7x16,5 სმ-ია, ხოლო ტექსტის – 39x13 სმ. ტექსტი დაწერილია მხედრულით, შავი მელნით, გვხვდება წითელი მელანიც (კინკლოსებთან). ზოგან მელანი გაფერმკრთალებულია, რის გამოც ტექსტის ამოკითხვა ძნელდება. ყოველ გვერდზე 45-53 სტრიქონია; სიტყვები ხშირად დაქარაგმებულია. ხელნაწერი დაზიანებულია. კიდეების ჩამოჭრისას ზოგიერთ გვერდზე პაგინაცია არ არის.

ხელნაწერს აქვს რამდენიმე სათვალავი (აქედან პირველი ორი ავტორისეულია):

I. უძველესი, ანბანური (მხედრული) სათვალავი მოთავსებულია ყოველი ორად მოკეცილი ფურცლის პირველი გვერდის ქვედა კიდეზე. პაგინაცია იწყება „ა“-თი და მთავრდება „ჲე“-თი. ახალი ასოთი აღნიშნულია ყოველი მე-5 გვერდი. როგორც ჩანს, ავტორს წერის დაწყების წინ დაუნომრავს ფურცლები. ანბანურ სათვალავს აკლია ასო-ნიშანი „ე“, „ვ“, „იბ“, „ივ“, „კ“, „კა“, „კზ“, „კჱ“, „ლზ“ და „მჱ“. აქედან „ლ“ სათვალავი ორჯერაა გამეორებული, ხოლო „მა“ გამორჩენილია. შეცდომით, „ლვ“ გვერდის ნაცვლად „ლგ“ წერია. ანბანური სათვალავი აქვს მხოლოდ ტექსტის ძირითად ნაწილს, სამეცნიერო აპარატი ამ სათვალავის გარეშეა.

II. რიცხვითი სათვალავი მოთავსებულია ყოველი გვერდის ზემო აშიაზე (ამ სათვალავს ვიყენებთ ჩვენს გამოცემაში). რიცხვითი სათვალავი იწყება იმავე

გვერდიდან, რომლითაც ანბანური პაგინაცია, ე.ი. დედნისეული პირველი გვერდიდან (თანამედროვე) პაგინაციით მე-5 გვერდიდან). მე-16 გვერდის ჩათვლით, ნუმერაცია სწორად მიჰყვება. მე-16 გვერდს უნდა მოჰყვებოდეს მე-17, მე-18 და ა.შ., მაგრამ მე-16 გვერდის შემდეგ ტექსტის ხელით დასმულია რიცხვითი სათვალავი 21, რომელსაც მოჰყვება 22, 23, 24. თვით 21-ის წინ კი გვიანდელი ხელით წერია 17. მაშასადამე, მე-16 გვერდის შემდეგ ტექსტს აკლია მე-17, მე-18, მე-19 და მე-20 გვერდები, ე.ი. ერთი, ორად მოკეცილი ფურცელი, რომლის ანბანური სათვალავია „ე". 24-ე გვერდის შემდეგ აქაც, ისევე როგორც წინა შემთხვევაში, ტექსტის ხელით 29 წერია, ხოლო ქვემოთ, განსხვავებული ხელით, მიწერილია 25. 29-ს მიჰყვება 30-ე გვერდი. აქ ავტორის მიერ ჩამატებულია შვიდი ფურცელი: 30^1, 30^2, 30^3, 30^4, 30^5, 30^6, 30^7 ე.ი. 24-ის შემდეგ, ხელნაწერს აკლია კიდევ ერთი ორად მოკეცილი ფურცელი, ძველი ანბანური პაგინაციით „კ" ამგვარად, მე-16 გვერდიდან 30-ე გვერდამდე პაგინაცია ნაკლულია, არეულია და მოგვიანებით ყოფილა ცდა გვერდების გადანომრისა.

ამჟამად ხელნაწერს (ტექსტის დაუზიანებლად) აკლია გვერდები: 17-20, 25-28, 41-44, 93-96, 161-172, 205-208, 217-220, 233-236, 249-252, 301-304, 308.

აკად. ნ. ბერძენიშვილის აზრით, *„უფრო ძნელად ასახსნელია რიცხვითი პაგინაციის (ძველი ციფრებით) ზოგიერთი გვერდის ჩაგდება"* (გვ. XXXIII). ჩვენი აზრით, ამის ახსნაში სწორედ ვახუშტისეული საძიებელი გვეხმარება, რომელიც დალაგებულია ანბანურ რიგზე და ყოველ სახელს მიწერილი აქვს ავტორისეული გვერდი. ასე მაგ., ასო „რ"-ზე ვკითხულობთ ანბანურ რიგზე დალაგებული რუკების ნუსხას და ტექსტისეულ გვერდზე მითითებას სტრიქონის (შარის) გარეშე. თვალსაჩინოებისათვის მოვიტანთ მას: რუკა რვა ძმათა — ფრ. 18, რუკა ზემო ქართლისა — ფრ. 166, რუკა იმერეთისა — ფრ. 296, 300, ივერიისა — ფრ. 34, კახეთისა — ფრ. 206, ოდიშისა — ფრ. 302, ოსეთისა — ფრ. 218, საერისთაოსი — ფრ. 26, სამცხე-კლარჯეთისა ფრ. 250, 188, ქართლ-სომხითისა — ფრ. 170, 168, ქართლისა — ფრ. 162, ოდიშის ქარტა — ფრ. 298, 303, იმერეთის ქარტა — ფრ. 298, ოსეთის ქარტა — ფრ. 18, 218, ბაგრატიონთათვის — ფრ. 234, 34, ნათესაობის ხე — ფრ. 42, 234.

დროთა განმავლობაში, პაგინაციის დაზიანების გამო, ძნელდება ხელნაწერის თავდაპირველი სახის აღდგენა, მაგრამ ვახუშტისეულ საძიებელზე დაკვირვება ამის საშუალებას იძლევა. ტექსტს სწორედ ის გვერდები აკლია, სადაც ჩაკერებული იყო რუკები და გენეალოგიური ცხრილები. ჩანს, რუკები ხელნაწერიდან საგანგებოდ ამოუკლიათ.

ბუნებრივია, იბადება კითხვა, სად შეიძლება იყოს ამჟამად აღნიშნული რუკები?

ამ საკითხის გასარკვევად საჭიროდ მივიჩნიეთ საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივის ძველ საბუთთა განყოფილების 1446 კოლექციის №105 ატლასის გაცნობა. ატლასი წარმოადგენს ვახუშტის 1745 წლის ხელნაწერ ატ-

ლასს. მას ამჩნევია XIX ს-ში რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში აკინძვისა და ყდაში ჩასმის კვალი. ყდაში ჩასმის წინ რუკებისათვის კიდეები ჩამოუჭრიათ, რასაც მოსყოლია პაგინაციის ზოგან მთლიანი და ზოგან კი ნაწილობრივი დაზიანება. დედნისეული პაგინაცია შემორჩენილია შემდეგ რუკებზე: №6, 14, 17, 18. პაგინაციის კვალი ნაწილობრივ შემორჩენილია და მისი აღდგენა ხერხდება №15 და №21 რუკებზე.

სულ ატლასში 19 რუკა და ორი გენეალოგიური ტაბულაა. რუკები ვახუშტის მიერ დახაზულია ზუსტად იმნაირ ფურცელზე, როგორზედაც ტექსტია დაწერილი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ტექსტისათვის მას შუაზე გაუკეცავს დიდი ფორმატის ქაღალდი; აქ კი ფორმატი რუკისათვის გაშლილი სახით აქვს გამოყენებული და ხელნაწერში ჩაკერებული ფურცელი მარჯვნიდან მარცხნივ იკეცებოდა. ამაზე მიუთითებს რუკებზე შემორჩენილი გადაკეცვის შუა ხაზი.

ვახუშტის საძიებელმა საშუალება მოგვცა აღგვედგინა, როგორც დაზიანებული და ნაკლული პაგინაცია, ასევე ხელნაწერის პირვანდელი სახე.

ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომის პირველი გამომცემლის მ.ბროსეს ხელნაწერის აღწერილობის გაცნობისას ნათელი გახდა, რომ მას ხელთ ჰქონია უკვე დაშლილი ხელნაწერი. უფრო ზუსტად, ხელნაწერიდან ამოღებული რუკები და იგი, რომელსაც რუკები ეხება, ყველგან რუკის ნომერთან ერთად უთითებს დედნისეულ ფურცელს. მ. ბროსეს მიერ მოტანილი ფურცლების სათვალავი ჩვენსას ემთხვევა, თუმცა არის სხვაობაც. ასე, მაგ., №1 რუკაზე 19-22 გვერდს მიუთითებს ბროსე, ჩვენ კი დავაფიქსირეთ, რომ ხელნაწერს აკლია 17-20 გვერდი. ასევე არაზუსტია მითითება №13 რუკასთან, გვ. 168-172. ამგვარად, დგინდება: 1. ატლასის სახით გამოცალკევებული რუკები ვახუშტის ხელნაწერის ორგანული ნაწილი იყო და ყოველი კუთხის გეოგრაფიულ აღწერილობას შესაბამისი რუკა ახლდა. 2. ხელნაწერიდან რუკების ამოღება უფრო ადრე უნდა მომხდარიყო, ვიდრე იგი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიას გადაეცა. 3. ხელნაწერისა და ატლასის აკინძვა და ყდაში ჩასმა, როგორც ჩანს, 1839 წლის შემდგომ მოხდა. 4. მ. ბროსეს პუბლიკაციის მიხედვით, შესაძლებელია ამჟამად დაზიანებული პაგინაციის ნაწილობრივ აღდგენა, როგორც რუკებზე, ასევე ხელნაწერშიც. 5. ვახუშტისეული საძიებელი და მ. ბროსეს მიერ თავის ნაშრომისათვის დართული რუკების ნუსხა იძლევა პაგინაციის აღდგენისა და ხელნაწერის პირვანდელი სახით წარმოდგენის საშუალებას.

განხილული ორი უძველეს ავტორისეულ პაგინაციის გარდა ხელნაწერს აქვს კიდევ ორი პაგინაცია:

III. გვიანდელი რიცხვითი სათვალავი (1-239), რომელიც არ ეკუთვნის ვახუშტის. ეს პაგინაცია გვხვდება დედნისეულ 97-293 ფურცელზე და მოიცავს ხელნაწერის თავებს: „უწყებულება მკითხველთათვის“ და „აღწერა ეგრისის ქვეყანისა, ანუ აფხაზეთისა, ანუ იმერეთისა“. ნ. ბერძენიშვილის აზრით, საფიქრებელია, ეს რიცხვითი აღნიშვნები ხელნაწერის რომელიმე გამომცემელს ეკუთვნოდა და შეესაბამება მისი ნაშრომის გვერდებს. ჩვენ ვიზიარებთ ამ მოსაზრებას და მხოლოდ სიზუსტისათვის შევნიშნავთ: მე-3 რიგის პაგინაციით აღნიშნულია

არა მხოლოდ ისტორია, როგორც მას ჰგონია, არამედ ორივე — ისტორიაც და გეოგრაფიაც და ეს პაგინაცია იწყება არა „შემდგომად განყოფისა"-დან, არამედ უფრო ადრე. ამ პაგინაციის ავტორი რიცხვებს მიუთითებს არა მხოლოდ 20-24 სტრიქონის ფარგლებში, არამედ ნაშრომის გვერდების შესაბამისად.

IV თანამედროვე ფურცლობრივი სათვალავი მოიცავს 1-169 ფურცელს.

მაშასადამე, მთლიანად ხელნაწერს ოთხი სხვადასხვა პაგინაცია გააჩნია. აქედან ორი ავტორისეულია. მათ შორის უძველესია ანბანური სათვალავი. ის ძირითადი ტექსტის თანადროულია, ხოლო ხელნაწერის რიცხვითი სათვალავი სამეცნიერო აპარატის დართვის შემდგომი პერიოდისაა. ავტორისეული პაგინაციის გარეშეა დარჩენილი ნაშრომის თავში ვახუშტის მიერ დართული 4 ფურცელი, რომელიც მისივე ავტოგრაფია და წარმოადგენს ქართლისა და კახეთის სამეფოების სოფლების ნუსხას (სურ. 3). მას უჭირავს ხელნაწერის 3-4 ფურცელი. თითო გვერდზე 5 სვეტია, მე-4 ფურცლის verso-ზე კი მხოლოდ ერთი სვეტია, დარჩენილი ადგილი ცარიელია. მას მთლიანად უჭირავს 16 სვეტი. მე-4 ფურცლის verso-ზე მიწერილია: *„ქნიაზ დიმიტრი ბაგრატიოვანისა არის ეს ქართლის ცხოვრება 1789 წლიდამ"* (მინაწერი ნაწილობრივ დაზიანებულია, ხოლო ხილვადობა ცუდია).

ამას გარდა, XIX ს. დასაწყისში ხელნაწერისათვის აზიის მუზეუმში დაუმატებიათ ლურჯი ფერის ორი ფურცელი, ჭვირნიშნით – „1819", პირველ ფურცელზე მარჯვენა კუთხეში მიწერილია: „Mss. Georg. № 2, a, ex Museo asiatico academiae imp. scient. Petropol". მასზე არის აზიის მუზეუმის ბეჭედი ორთავიანი არწივის გამოსახულებითა და ლეგენდით: „Печать Азиатского музея, 1818 г." მეორე ფურცელი წარმოადგენს მ. ბროსეს მიერ შესრულებულ ხელნაწერის მოკლე აღწერილობას ფრანგულ ენაზე. მასვე ქვემოთ, ამავე ფურცელზე, დაუწებებია ქართული ანბანი. აღწერილობას უზის თარიღი – 1839 წლის 22 თებერვალი და ახლავს მ. ბროსეს ხელრთვა. ხელნაწერის ბოლო ფურცელზე არის მინაწერი: „В сей рукописи 4 листа и 373 страницы. СПб., 15-28, IX. 01." (ხელრთვა ხვეულია).

ხელნაწერი, ჩვენი ვარაუდით, სამჯერ უნდა იყოს შემოსილი (აკინძული): პირველად თვით ვახუშტის დროს, ნაშრომის ძირითადი ნაწილის (აღწერისა და ცხოვრების) დასრულებისას, ხოლო მეორედ, მას შემდგომ, როცა ვახუშტიმ ნაშრომს დაურთო ე. წ. სამეცნიერო აპარატი და რუკები; მესამედ კი – XIX საუკუნის 30-იან წლებში (რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში მოხვედრისას).

ხელნაწერს ცვლილებები განუცდია პირველი აკინძვის შემდგომაც. თვით ვახუშტის მასში 7 ფურცელი ჩაუმატებია. მოგვიანებით კი, როგორც უკვე ზემოთ ითქვა, ამოუკლიათ რუკები და გენეალოგიური ტაბულები.

ჩვენთვის უცნობია, თუ როგორ ყდაში იყო ჩასმული ხელნაწერი თავდაპირველად. ამჟამად ის მომწვანო ფერის მოზაიკურ მუყაოს ყდაშია, რომლის კუთხეები გამაგრებულია შავი ტყავით. ხელნაწერის ყუაზე ფრანგულ ენაზე ოქროსფერი ასოებით აწერია: „WAKHOUCHT, HISTOIRE DE GEORGIE (ORIGINAL)".

ყუა გაფორმებულია მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტებით. ზუსტად ასეთივე ყდა აქვს ვახუშტის 1745 წლის „პეტერბურგულ ატლასს“ ხელნაწერსა და ატლასზე ერთნაირი ყდა და ერთნაირი გაფორმება მიგვანიშნებს იმაზე, რომ ყდა ორივეს ერთსა და იმავე დროს გაუკეთდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში.

ძნელია დაბეჯითებით იმის თქმა, თუ ხელნაწერიდან როდის ან ვის მიერ იქნა გამოცალკევებული რუკები. ჩვენ არ გამოვრიცხავთ, ეს თვით ვახუშტიმ გააკეთა, მაგრამ ამის დამამტკიცებელი საბუთი არ მოგვეპოვება. არც იმას გამოვრიცხავთ, რომ ეს გაკეთდა, პრაქტიკული მოსაზრებით, თვით რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში. რათა ამით კავკასიის რუკებზე მუშაობა გაადვილებულიყო. მაგრამ ამ აზრს ეწინააღმდეგება მ. ბროსეს ცნობა იმის შესახებ, რომ 1832 წელს ვახუშტისეული 1745 წლის რუკების ავთენტიკური პირები კონსტანტინე ბატონიშვილმა მიჰყიდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიას. ვფიქრობთ, საფუძველს მოკლებული არ არის ვივარაუდოთ, რომ ხელნაწერი დაიშალა ანა დედოფლის დროს, 1832 წლამდე. ფაქტია, რომ 1839 წელს მ. ბროსეს ჰქონდა უკვე დაშლილი ხელნაწერი. მას ყურადღება მიუქცევია რუკებზე შემორჩენილი პაგინაციისათვის. შეუდგენია რუკების სია დედნისეული გვერდების ჩვენებით.

ხელნაწერს ამჩნევია ავტორის რედაქტორული მუშაობის კვალი, კერძოდ. მრავალი შესწორებები, რომლებიც სამი სახისაა:

1. ცალკე მცირე ზომის ქაღალდზე დაწერილი ტექსტი დაწებებული ადრინდელ ტექსტზე (სურ. 3). პირვანდელი ტექსტის ამოკითხვა ამჟამად თითქმის შეუძლებელია. ასეთია დედნისეული გვერდები: 4, 15, 21, 38-40, 46, 51, 53, 58, 60, 63, 67, 70, 72, 78-81, 87, 132-134, 135, 137, 140, 142, 156, 159, 173, 181, 188-190, 209, 214, 230, 231, 243, 260, 266, 269, 270, 272, 273, 277, 278, 290, 291.

2. ანაფხეკზე ნაწერი ტექსტი: გვ. 3, 21, 30^1, 38, 41, 48, 51, 53, 58, 59, 63, 68, 69, 80, 83, 85, 90, 99, 108, 110, 111, 114, 117, 120, 131, 134, 142, 145, 157, 174, 180, 182, 183, 229, 230, 240, 246, 253, 258, 260, 262, 270, 358, 359, 373.

3. ჩამატებები სტრიქონის ზემოდან: 3, 5, 6, 9, 10, 13, 109, 110, 111, 174.

4. აშიაზე ტექსტში ჩამატების ნიშნით მიწერილი ტექსტი: 101, 104, 108, 178, 213, 286 (სურ. 4).

5. ავტორის ხელით წაშლილი ადგილები: 83, 88, 89, 104, 106, 257, 357, 359, 362, 364.

ტექსტს ეტყობა, რომ ის იწერებოდა სხვადასხვა დროს, დიდი ხნის მანძილზე. დაწერილია ხან გაღიავებული, ხან კი მკვეთრი ფერის შავი მელნით. აღსანიშნავია ვახუშტის მაღალი კალიგრაფიული ტექნიკა, რომლის თვალსაჩინო ნიმუშია კიდეებზე მიკროსკოპული ასოებით მიწერილი ტექსტი. ეს ხელი სინქრონული ტაბულების ხელის მსგავსია. მისგან განსხვავდება საძიებლის ხელი. ვახუშტის მიერ საძიებელი შედგენილია მთელი ნაშრომისათვის, ტექსტში გეოგრაფიული ნაწილის ყოველი სტრიქონი დანომრილია.

ვახუშტი იყენებს სხვადასხვა პირობით ნიშნებს. ესენია: [ ] ფრჩხილი — შენიშვნისათვის, O — მცირე ზომის წრე, ტექსტში ჩამატებისათვის, ქარაგმა — სიტყვის შესამოკლებლად და ფიგურული ფრჩხილი ამა თუ იმ მასალის ერთ სახელზე მისათითებლად.

ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომის დაწერის დრო და ადგილი. ვახუშტიმ თავისი ფუნდამენტური ნაშრომი, როგორც მისივე ანდერძიდან ირკვევა, დაასრულა მოსკოვს, პრესნიაზე, 1745 წელს (სურ. 5). ამავე ნაშრომის შესავალში — *„მკითხველთათჳს სიტყუა რაჲსათჳს არს შრომა ესე“* ავტორი გვაუწყებს: *„გარნა შრომა ჩუენი არა მცირე იყო, რომელსა ზედა ვიშრომეთ კნინღა წელნი სამნი მარადის წერითა, გამოძიებითა მატიანეთა და ცხორებათა ძიებითა“*. ვახუშტიმ ნაშრომის ძირითადი ნაწილი („აღწერა“ და „ცხოვრება“) დაწერა 1743-1745 წლებში. ნაშრომს, რა თქმა უნდა, წინ უძღოდა დიდი სამუშაოები. მასალის მოპოვების, დამუშავების, კლასიფიკაციის და რუკების შედგენის თვალსაზრისით. ვახუშტის აკროსტიქიდან* ვიგებთ, რომ ნაშრომზე დართული ბოლო ნაწილი — კინკლოსები — მას 1755 წელს დაუმთავრებია (სურ. 6).

1789 წლიდან ხელნაწერი დიმიტრი ბაგრატიონის საკუთრება ყოფილა. მისი გარდაცვალების შემდეგ, ხელნაწერის მფლობელი გამხდარა იმერეთის ყოფილი დედოფალი ანა, რომელიც იყო დავით გიორგის ძის თანამეცხედრე. 1810 წლიდან დედოფალი ანა ვაჟიშვილთან ერთად რუსეთს წასულა საცხოვრებლად. მისი დაკვეთით 1826 წელს ოსე გაბაშვილს გადაუნუსხავს ვახუშტის ავტოგრაფიდან პირი. დედოფლის გარდაცვალების შემდგომ მისმა მემკვიდრემ, გენერალ-მაიორმა კონსტანტინე ბატონიშვილმა ვახუშტის ნაშრომის როგორც დედანი, ასევე პირი გადასცა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიას. უფრო ადრე, მისგანვე შეიძინა აკადემიამ ვახუშტის 1745 წლის რუკების ასლები, რომლებიც ანა დედოფლის დავალებით გადაიღო მაია ჩიქოვანმა.

1925 წელს ხელნაწერი ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახ. საჯარო წიგნსაცავმა გადმოსცა საქართველოს სსრ სახელმწიფო საისტორიო არქივს.

ხელნაწერის შედგენილობა. თანმიმდევრობა ვახუშტის ნაშრომში შემავალი თავებისა შემდეგია:

„ქ. მკითხველთათჳს სიტყუა რაჲსათჳს არს შრომა ესე“ 5r — 6v (1-4).** ბოლო გვერდზე არის ავტორისეული მინაწერი: *„სრულ იქმნა შრომა ესე ქრისტეს აქეთსა ქორონიკონსა წელსასა ჩყმე, ქართულსა ულგ. ოკდომბერს კ, მეფის შვილის ვახუშტის მიერ, სამეუფოსა ქალაქს მოსკოვს პრესნას“* (სურ. 5).

---

[*] 1941 წლის გამოცემის „ხელნაწერის აღწერილობაში“ აკროსტიქის სტრიქონები უზუსტოდ არის განლაგებული.

[**] ამა თუ იმ თავთან მითითებულია გვერდები თანამედროვე პაგინაციით, ხოლო იქვე, ფრჩხილებში, მოცემულია დედნისეული გვერდების ნათვალავი.

„ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსანი“ 7 r 10 v (5-12). ბოლო გვერდზე 35 სტრიქონია ნაწერი, დანარჩენი ცარიელია.

„აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ 11 r - 47 v (13-92). ბოლო გვერდზე მხოლოდ რვა სტრიქონია დაწერილი, დანარჩენი ცარიელია. აკლია: მე-18 გვ. (ოსეთის რუკა), 26 გვ. – (საერისთაოს რუკა) და 93-96 გვ. (ივერიის რუკა).

„უწყებულება მკითხველთათჳს“, მას სრული ოთხი გვერდი უჭირავს 48 r - 49 v (97-100).

„აღწერა აწინდელისა ქართლისა საზღვრით, მთით, მდინარეებით და ადგილითა და მას-შინა შენებულებათა“ 50 r — 59 v (101-120). მას 10 ფურცელი უჭირავს. უკანასკნელ გვერდზე 44 სტრიქონია შევსებული, დანარჩენი ცარიელია.

„შემდგომ განყოფისა სამეფოსა სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ ცხორება და ქმნულება მეფეთა ქართლისათა“ 60 r — 79 v (121-160). ბოლო გვერდზე მხოლოდ 35 სტრიქონია ნაწერი, დანარჩენი ცარიელია. აკლია: 162-ე გვ. (რუკა ქართლისა), 166-ე გვ. (რუკა ზემო ქართლისა), 168-ე გვ. (ქართლ-სომხითისა), 170-ე გვ. და 188-ე გვ. (სამცხე-კლარჯეთისა).

„აღწერა ჰერეთისა, კახეთისა და კუხეთისა, კუალად თუშეთისა და დიდოეთისა“ 80 r — 85 r (173-183). მას ამავე გვერდზე მოჰყვება მე-16 სტრიქონის შემდეგ, *„ცხოვრება აწინდელთა მეპატრონეთა“* 85 r — 94 v (183-210), აკლია 205-208 გვ. (რუკა კახეთისა).

„აღწერა აწინდელისა ოვსეთისა ანუ კავკასიათა შინათა“ 95 r — 97 v (209-214). ბოლო გვერდზე ბოლო სტრიქონი დაუწერელია. ცარიელია აგრეთვე მომდევნო 215-ე და 216-ე გვერდები. აკლია 217-220-ე გვ. (რუკა ოსეთისა).

„აღწერა საჩინოთა ადგილებთა სამცხე-საათაბაგოსი“ 98 r — 102 r (221-229). ბოლო გვერდზე ნაწერია მხოლოდ 39 სტრიქონი. მას უშუალოდ მოსდევს *„ცხორება სამცხე-კლარჯეთისა“*, რომელიც მოიცავს 102 r — 109 r (219-247). ბოლო ფურცლის ბოლო ორი სტრიქონი დაუწერელია. ასევე ცარიელია მომდევნო 248-ე ფურცელი. აკლია: გვ. 250 (რუკა სამცხე-კლარჯეთისა).

„აღწერა ეგრისის ქვეყნისა, ანუ აფხაზეთისა, ანუ იმერეთისა“. 110 r — 116 r (253-265 გვ.). ნაწერია ბოლო ფურცლის 51 სტრიქონი. მას მოსდევს *„ცხორება ეგრისისა, აფხაზეთისა ანუ იმერეთისა“* 116 r — 130 r (265-293). აკლია 296-302 გვ. (*„რუკა იმერეთისა, ოდიშისა და გურიისა“* და *„რუკა იმერეთის, რომელსა ზედა მჩენარებს რაჭა, ლეჩხუმი, ოკრიბა, ვაკე, საჯავახო, საჩინო და საჩხეიძო“*).

„ქრონიკონები ჩვენ მიერ პოვნილნი წიგნებთა შინა და სახელნი წიგნებთა მათ არიან ესენი“. 131 r — 145 v (294, 324). აქ მოცემულია ქრონოლოგიური ცნობები ქართველი, ევროპელ და აზიელ მეფეების, კათალიკოზებისა და პაპების შესახებ.

„ანბანსა ზედა ქმნული ამ წიგნსა შინა წერილნი სახელნი ადგილთა და ქვეყანათა და მეფეთა“ (ე.ი. პირთა, გეოგრაფიულ სახელთა და საგანთა საძიე-

ბელი). ვახუშტი ყოველ სახელზე უჩვენებს გვერდს და შარს (სტრიქონს) 140 r – 151 v (329-340) (სურ. 7). საძიებლის ბოლო გვერდზე არის მინაწერი.

„დასაბამითგან რომაული, დასაბამითგან ქრონიკონი, ქრისტეს აქეთ ქრონიკონი, ქართული ხუთასიანი, ინდიქტიონი“. აღნიშნული ცხრილები ქრონიკალურ ცნობებს შეიცავენ 1752 წლის ჩათვლით, ხოლო 1753 და 1754 წლების გასწვრივ ცარიელი ადგილია დატოვებული ცნობებისათვის. ამ ქრონიკონებს თითო გვერდზე სამ-სამი სვეტი უჭირავთ. მთლიანად – 12 ფურცელი და 34 სვეტი. ბოლო გვერდზე არის ორი სვეტი, რომელიც რვა სტრიქონს მოიცავს, ფურცლის დანარჩენი დაუწერელია 341 r – 351 v.

„კინკლოსი საუკუნიო ხუთას ოცდა თორმეტი წლის მოქცევაზე და კვალად იგივე იქმნების, და ეს არის ქმნული ათას შვიდას ორმოცდათხუთმეტი წლიდამ მოყოლილი...“. 158 r – 160 v (352-357) ბოლო გვერდზე მოთავსებულია ავტოგრაფი: **„ვახუშტიმ“** (სურ. 6).



სურ. 1. ღედანი (ყდაში)



სურ. 2. დედნის ორად მოკეცილი ფურცელი



სურ.3. ქართლ-კახეთის სამეფოების სოფლების ნუსხა



სურ. 4. ჩამატებები აშიაზე



სურ. 5. ხელნაწერის ანდერძი



სურ. 6. ხელნაწერის ბოლო ნაწილი – კინკლოსები



სურ. 7. პირთა და გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი

ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს გეოგრაფიის“ გამოცემები

ღეოღრაფიული აღწერა
საქართველოჲსა
ბატონიშვილის ვახუშტის მიერ.

[illegible]
[illegible]

DESCRIPTION GÉOGRAPHIQUE

GÉORGIE,

TSARÉVITCH WAKHOUCHT,

D'APRÈS L'ORIGINAL AUTOGRAPHE,

M. BROSSET,
MEMBRE DE L'ACADÉMIE IMPÉRIALE DES SCIENCES.

S.-PÉTERSBOURG,
A LA TYPOGRAPHIE DE L'ACADEMIE.
1842.

ბატონიშვილი ვახუშტი

საქართველოს გეოგრაფია

დაიბეჭდა

გასწორდა ბატონიშვილის ხელნაწერ დედნით.

რედაქცია მ. გ. ჯანაშვილისა.

გამოცემა ჟურნალ „მოამბისა".

ტფილისი,
მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა ა. ქუთათელაძისა. ნიკ. ქ., № 21
1904 წ.

ЗАПИСКИ
КАВКАЗСКАГО ОТДѢЛА
ИМПЕРАТОРСКАГО
РУССКАГО ГЕОГРАФИЧЕСКАГО ОБЩЕСТВА
Книжка XXIV, выпускъ 5-й (и послѣдній).

Царевичъ Вахушти.

ГЕОГРАФІЯ
ГРУЗІИ.

Введеніе, переводъ и примѣчанія **М. Г. Джанашвили.**

Цѣна 1 рубль.

ТИФЛИСЪ.
Типографія К. П. Козловскаго, Головинск. просп., № 12.
1904.

ვახუშტი

აღწერა სამეფოსა საქართველოსა

(საქართველოს გეოგრაფია)

თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის
რედაქციით

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი • 1941

შემოკლებათა განმარტება

ადმ. – ადმინისტრაციული
ა.მ. – ალექსანდრე მაყაშვილი
არაბ. – არაბული
აჭ. – აჭარული
ახლ. – ახლანდელი, ახლა
ა.ჯ. – არჩილ ჯანაშვილი
ბალ. – ბალახი
ბოტ. – ბოტანიკა
გდმყ. – გუდამაყრული
გრ.-კხ. – გარეკახური
გურ. – გურული
დ.ჩბ. – დავით ჩუბინაშვილი
ე.რ. – რაფიელ ერისთავი
ვეფხ. – ვეფხისტყაოსანი
ზმ. იმ. – ზემო იმერული
ზმ. რჭ. – ზემო რაჭული
თურქ. – თურქული
თშ. – თუშური
ი. აბ. – ილია აბულაძე
იმ. – იმერული
ინგ. – ინგილოური
იხ. – იხილე
კხ. – კახური
ლექს. – ლექსიკონი
ლ.კ. – ლადო კოტეტიშვილი
ლჩხ. – ლეჩხუმური
მგრ. – მეგრული
მდ. – მდინარე
მდ-ები – მდინარეები
მთ. – მთიულური
მისთ. – მისთანანი
მ.კ. – მირიან კუტუბიძე
მც. – მცენარე
მ.ჭ. – მიხეილ ჭაბაშვილი
მსხ. – მესხური
მხვ. – მოხევური
ნ. – ნახე
ნ.კ. – ნიკო კეცხოველი
ნ. ჩბ. – ნიკო ჩუბინაშვილი
ოკრ. – ოკრიბული
რ. – რაიონი
რ-ბი – რაიონები
რუს. – რუსული
რჭ. – რაჭული
სბ. – სულხან-საბა ორბელიანი
სვნ. – სვანური
სქ. – სქოლიო
უცხ. – უცხოური
ფეოდ. – ფეოდალური
ფრ. – ფრინველი
ქეგლ. – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი
ქვ. იმ. – ქვემო იმერული
ქვ. რჭ. – ქვემო რაჭული
ქზყ. – ქიზიყური
ქრთ. – ქართლური
ქსე. – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია
შდრ. – შეადარე
ძვ. – ძველი, მოძველებული
ჭნ. – ჭანური
ხვს. – ხევსურული
ჯვხ. – ჯავახური

კომენტარები

1. „ადგილის აღწერა". იგივეა, რაც ნებისმიერი ტერიტორიის (ადგილის) გეოგრაფიული დახასიათება (აღწერა). გეო — მიწა, გრაფის — აღწერა, ე.ი., მიწის აღწერა ანუ როგორც ვახუშტი იტყვის — „ადგილის აღწერა".

2. ვახუშტიმ შეადგინა საქართველოს დეტალური რუკები, რომლებსაც, ჩანს, ვახუშტიმდეც აკეთებდნენ, „რომელსა ხაზვიდნენ მცირეთ და არა ჯეროვნად". ვახუშტიმ კი იმ დროის მაღალგანვითარებული ქვეყნების დონეზე შექმნა ბუნებრივი პირობებით მეტად რთული ქვეყნის — საქართველოსა და მეზობელი მხარეების რუკები, რომელთა ნაწილმა ჩვენამდე მოაღწია. ვახუშტისეული „საქართველოს გეოგრაფია", აღწერის ხერხების მიხედვით, ე.წ. ტოპოგრაფიული აღწერილობის ტიპს მიეკუთვნება, ე. ი. გეოგრაფიულ ნაწარმოებთა იმ ტიპს, რომელიც ევროპულ ლიტერატურაში გაბატონებული იყო XVIII ს. დასასრულამდე (იხ. ლ. მარუაშვილი, საქართველოს გეოგრაფიული შესწავლის ფუძემდებელი ვახუშტი ბაგრატიონი, თბ., 1956, გვ. 16-18).

3. ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებისა და ევროპული გეოგრაფიული ლიტერატურის არსებითი მსგავსება მათს ენციკლოპედიურ შინაარსში მდგომარეობს. „საქართველოს გეოგრაფიული აღწერა" შეიცავს მრავალგვარ აღწერილობით მასალას, რომელიც დალაგებულია განსაზღვრული, XVIII ს. გეოგრაფიულ ლიტერატურაში მიღებული, სისტემის მიხედვით. ეს მასალა შედგება მონაცემებისაგან რელიეფის, მინერალების, ჰავის, ჰიდროგრაფიული ქსელის, ფლორის, ფაუნის, ისტორიული ნაგებობების, მოსახლეობის ეთნოლოგიური შემადგენლობის, მისი სამეურნეო საქმიანობის, ენის, ზნე-ჩვეულებების, სარწმუნოების, ჩაცმულობისა და სხვათა შესახებ. ბუნებრივი პირობების დახასიათება თითქმის ყველგან გარკვეულად არის გამოყოფილი მოსახლეობის დახასიათებისაგან. აღსანიშნავია, რომ იმ ეპოქაში მიღებული წესის თანახმად, ვახუშტი კულტურულ მცენარეულობას და შინაურ ცხოველებს განიხილავს ტერიტორიის ბუნებრივ პირობებთან ერთად, როგორც გამომხატველს ამ ტერიტორიის თანდაყოლილი ნაყოფიერებისას (ლ. მარუაშვილი, 1956, გვ. 17).

4. ვახუშტისეული გეოგრაფია არამცთუ წარმოადგენს ლიტერატურულ კომპილაციას, არამედ არც კი სესხულობს სხვა ავტორებისაგან ფაქტობრივ მონაცემთა მნიშვნელოვან რაოდენობას. ეს თხზულება დამყარებულია უმთავრესად ვახუშტისავე რუკებზე და ავტორისავე დაკვირვებებსა და გამოკითხვის გზით შეკრებილ ცნობებზე.

ვახუშტის გეოგრაფიული თხზულების ერთ-ერთი ძირითად ღირსებას, მის ორიგინალობასთან ერთად, შეადგენს მასში თავმოყრილი აღწერილობითი მასალის სიუხვე, დეტალურობა და სიზუსტე, რითაც ეს ნაწარმოები განსხვავდება კავკასიისადმი მიძღვნილი, XVIII საუკუნეში და უფრო ადრე დაწერილ თხზულებათა უმრავლესობისაგან. ვახუშტის აღწერილობითი მასალა პოლიტიკურ-ადმინისტრაციული პრინციპის მიხედვით აქვს დალაგებული. ანალოგიურ პრინციპზეა დამყარებული ვ. ტატიშჩევისა და პ. რიჩკოვის ნაშრომები.

5. **ქორონიკონი.** ქრისტიანობის პერიოდში ქართულმა ეკლესიამ გაავრცელა ქორონიკონად წოდებული წელთაღრიცხვის სისტემა, რომელიც დამყარებულია ცის მნათობთა ციკლურ ბრუნვაზე. „ქორონიკონი" ბერძნული სიტყვაა (ქრონოს – დრო, წელიწადი, ჟამი) და ნიშნავს წელთაღრიცხვას. ქართული ქორონიკონი შეიცავს 532 წელს, რომელიც მთვარისა და მზის მოქცევის ხანგრძლივობათა ნამრავლს (19x28) წარმოადგენს. ყოველი 532 წლის შემდეგ მნათობები იმავე მდგომარეობას უბრუნდებიან, როგორც ეს ციკლის დასაწყისში იყო. დასაბამიდან (ქვეყნის გაჩენიდან) 780 წლამდის 12 ასეთი მოქცევა ყოფილა. ეს სისტემა მყარი დასაყრდენია მოძრავი საქრისტიანო დღესასწაულების დადგენისათვის. ქართულ კალენდარში ეს ციკლი (ქორონიკონი) 249 წელს იწყება, მომდევნო – 781 წელს, შემდეგი – 1313 წელს და ა.შ. ძველ ქართულ ხელნაწერებში ხშირად ეს კალენდარია გამოყენებული.

6. **მოქცევა.** ვახუშტი გულისხმობს გაქრისტიანებას. აღმოსავლეთ საქართველო წმიდა მოციქულთა სწორმა, კაბადოკიელმა ქალწულმა ნინომ მოაქცია ჩვენი წელთაღრიცხვის IV საუკუნეში. პირველი ნათლობა (გაქრისტიანება) მეფე მირიანმა და მისმა ოჯახმა მიიღო. „მეფემ იღო-ნათელი ხელსა ქვეშე ნინოისა", შემდეგ დედოფალმა და შვილთა „ხელითა ქვეშე მათ მღვდელთა და დიაკონთა" (საღმრთო სჯული, თბ. 1993, გვ. 265). მეფე მირიანის ბრძანებით სანათლავი მცხეთაში, მტკვარზე, ხიდთან იყო გამართული, სადაც ბევრმა ქართველმა მიიღო ქრისტიანული სარწმუნოება. წმიდა ნინოს დაწყებული საქმე შემდგომ მთელ საქართველოში განავრცო და განამტკიცა 13 სირიელმა წმიდა მამამ. ქართლის მოქცევის თარიღი ჯერ კიდევ სადავოა. მკვლევარები ამის შესახებ სხვადასხვა აზრის არიან: პროფ. ა. ხახანაშვილის აზრით, წმიდა ნინომ მცხეთაში ქართველებს ნათელსცა 332 წელს. აკად. ე. თაყაიშვილს ამ თარიღად 323-336 წ. მიაჩნია. ვახუშტი ბაგრატიონსა და დ. ბაქრაძეს – 317 წ., აკად. მ. ბროსეს – 328 წ., თ. ჟორდანიას – 323-325 წწ. სასულიერო ლიტერატურა უფრო მართებულად თ. ჟორდანიას აზრს მიიჩნევს.

7. **ნიკეა.** ძველი ქალაქი მცირე აზიაში (ახლანდელი იზნიკი, თურქეთში). ნიკეაში, კონსტანტინე დიდის საგანგებო ბრძანებით, 325 წ. ჩატარდა მსოფლიო I საეკლესიო კრება. ცნობილია აგრეთვე საეკლესიო კრებები: კონსტანტინეპოლისა – 381 წ., ეფესოსი – 431 წ., ქალკედონისა – 451 წ., კონსტანტინეპოლისა – 553 წ., კონსტანტინეპოლისა – 680-691 წ., ნიკეისა – 783 წ. და ა.შ.

8. **სტამბოლი.** ქ. სტამბოლი Istanbul-(კონსტანტინეპოლი) თურქეთის უდიდესი ქალაქი, მნიშვნელოვანი საზღვაო ნავსადგური, დიდი სამრეწველო-სავაჭრო და კულტურული ცენტრი. გაშენებულია ბორცვიან ადგილას, ბოსფორის სრუტის ორივე ნაპირზე, მარმარილოს ზღვასთან. ქალაქის დიდი ნაწილი ევროპაშია, მცირე აზიაში.

9. **ადამი.** ღმერთის მიერ შექმნილი პირველი კაცი. ბიბლიით, კაცობრიობის მოდგმის მამამთავარი, რომელიც ღმერთმა სამოთხეში შეიყვანა და იქ დაასახლა. ადამისაგან წარმოდგება ქართული სიტყვა „ადამიანი" – ადამის ჩამომავალი.

10. **ევა.** ღმერთის მიერ შექმნილი პირველი ქალი. ბიბლიით, ადამის ცოლი.

11. **კაინი.** ადამისა და ევას პირველი შვილი, მიწის მუშა, რომელმაც შურის გამო მოკლა თავისი ძმა აბელი.

12. **აბელი.** ადამისა და ევას მეორე შვილი – მწყემსი, რომელსაც ჰქონდა რწმენა მომავალი მაცხოვრისა და მხურვალედ ლოცულობდა. მოკლა ძმამ – კაენმა.

13. **იგ წმიდა მამა.** 13 ასურელი წმიდა მამა. საეკლესიო ტრადიციით ესენი იყვნენ VI ს-ში სირიიდან საქართველოში მოსულნი: იოანე ზედაზნელი, დავით გარეჯელი, სტეფანე ხირსელი, იოსებ ალავერდელი, ზენონ იყალთოელი, ანტონ მარ-

ტყოფელი, აბიბოს ნეკრესელი, ისე წილკნელი, თადე მაშებელი, ისიდორე სამთავნელი, პიროს ბრეთელი, მიქელ ულუმბელი და შიო მღვიმელი.

14. არტანუჯი. ციხე-ქალაქი ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, მდ. არტანუჯისწყლის მარცხენა ნაპირზე. X საუკუნეში მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი და კლარჯეთის დედაქალაქი იყო. ამჟამად სოფელია თურქეთში.

15. ს. ჯანაშიას მოსაზრებით (იხ. ს. ჯანაშია. შრომები, II, 1952, გვ. 478) აჩაბაძის ფეოდალური გვარის წარმომადგენლები, ისევე როგორც ბაღვაშები, მარუშისძეები, ჩოჯაყოძეები, ფეოდალურ ხანაში, X საუკუნეში, გადმოდიან ლიხთ-იმერეთიდან ლიხთ-ამერეთში, იღებენ დიდ თანამდებობებს და იკავებენ მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტებს. კერძოდ, იმერეთ-ამერეთის ყველაზე ჩრდილოეთით სახლდებიან აჩაბაძეები. ამ გვარსახელისაგან ცნობილი და ძალზე გავრცელებული — ეთ-ტოპოსუფიქსის დართვით შესაძლებელია წარმოქმნილიყო ტოპონიმი აჩაბ-ეთ-ი. როგორც ჩანს, აჩაბეთი აჩაბაძეთა თავდაპირველი რეზიდენცია იყო ქართლში. შემდგომში ამ გეოგრაფიული სახელისაგან წარმოებულ იქნა მისი მფლობელის საგვარეულო სახელი – მ-აჩაბ-ელ-ი.

16. დავით. (იესე-დავით-სოლომონ). ებრაელთა ბიბლიური მეფე. ბაგრატიონთა ისტორიკოს სუმბატ დავითის ძესთან დაცულია ბაგრატიონთა ღვთიური წარმომავლობის თეორია. საქართველოს სამეფო გვარის ბაგრატიონები ბიბლიური მეფეების – იესე-დავით-სოლომონის შთამომავლებად თვლიან თავიანთ თავს და ამიტომაც იწოდებიან „იესიან, დავითიან, სოლომონიანებად". ამდენად, ისინი მარიამ ღვთისმშობლის პირდაპირი შთამომავლები არიან, აქედან კი გამომდინარეობს მათი კავშირი იესო ქრისტესთან. (იხ. ს. ბიჭიკაშვილი, დ. ნინიძე, ა. მხეიძე. ბაგრატიონები, თბ., 1995, გვ. 3).

17. ვახუშტის თხზულებაში აღწერილი სივრცის საერთო შემოსაზღვრულობა და აღწერილობითი მასალის დანაწილება ძირითად თავებად ექვემდებარება პოლიტიკურ პრინციპს. ცალკეული თავების ანუ რეგიონული აღწერილობების შიგნით მასალა დალაგებულია, უპირველეს ყოვლისა, საადმინისტრაციო ერთეულების — სამთავროების, საერისთავოების, სასპასპეტოების მიხედვით, ხოლო ამ უკანასკნელთა ფარგლებში გამოყოფილია ოროგრაფიულად მკვეთრად შემოზღუდული ბუნებრივი რაიონები — მთის მდინარეთა აუზები (ხეობები), რომლებიც აღწერილია ადგილთა ტოპოგრაფიული თანმიმდევრობის ზუსტად დაცვით, მთავარ მდინარეთა აყოლებით ან დაყოლებით.

როგორც აღინიშნა, აღწერის მეთოდი ვახუშტის თხზულებას ანათესავებს თანადროინდელ ევროპულ გეოგრაფიულ ლიტერატურაში გაბატონებულ „ქოროგრაფიულ აღწერილობებთან". თუმცა ქართველი მეცნიერის ნაწარმოები უფრო კომპლექსურია და, როგორც პროფ. ლ. მარუაშვილი შენიშნავს, მას შეიძლება „საქართველოს მოკლე ენციკლოპედია" ეწოდოს.

18. ვახუშტის გეოგრაფიულ თხზულებაში აღწერილია კავკასიის ყელის მნიშვნელოვანი სივრცე, რომელიც, საქართველოს დღევანდელ ტერიტორიასთან ერთად, მოიცავს აგრეთვე ჩრდილო კავკასიის მაღალმთიან ზოლს (ბალყარეთიდან დაღესტნამდე), სომხეთის (აბოცი, ტაშირი, ბამბაკი და სხვ.), აზერბაიჯანის (საინგილო), თურქეთის (ჭანეთი, ტაო-კლარჯეთი, ერუშეთი და სხვ.) ნაწილებს. თხზულებაში აღწერილი ტერიტორია ასახავს ვახუშტი ბაგრატიონის შეხედულებას საქართველოს ისტორიულ საზღვრებზე.

19. დიდ სიმაღლეზე აზიდული ადგილების აღსანიშნავად ხმარებულ ტერმინს — „მთას" — ორგვარი მნიშვნელობა აქვს: იგი აღნიშნავს როგორც მაღალ ადგილს, ისე რელიეფის ამობურცულ ფორმასაც.

20. ვახუშტი კავკასიონს (ვახუშტით, „კავკასი") ერთიან მთიან სისტემად წარმოადგენს. არსად იგი არ სარგებლობს „ქედის" ცნებით, თუმცა, ეჭვგარეშეა, ვახუშტის „მთა" უნდა გავიგოთ, როგორც ქედის სინონიმი. ის მკაფიოდ გამოყოფს ქედის (მთის) ძირითად ელემენტებს: „ძირს", „კალთას", „თხემს".

21. პალეოგეოგრაფიის თვალსაზრისით საინტერესოა ვახუშტის შეხედულება კავკასიონის ყინულსაფარველზე. ქართლის, ოსეთის და დას. საქართველოს აღწერილობებში აღნიშნულია კავკასიონის სხვადასხვა ნაწილებზე ყინულსაფარველის არსებობა. ამ ცნობების საფუძველზე ირკვევა, რომ მეცნიერს წარმოდგენა ჰქონია კავკასიონის გამყინვარებაზე. ვახუშტის მიხედვით, კავკასიონის მყინვარის სისქე 20-30 საჟენამდეა. როგორც ჩანს, ცნობა ემყარება ავტორის პირად დაკვირვებას ყარაუგომის და ფასტაგის მყინვარებზე გადავლისას.

22. ვახუშტის აზრით, მყინვარი „ზაფხულობით განსქდების" და აჩენს ნაპრალებს. ასეთი ახსნა თანამედროვე ცოდნის შუქზე ვერ ჩაითვლება ნაპრალთა წარმოქმნის ამომწურავ განმარტებად, ვინაიდან მყინვარის ნაპრალთა უმრავლესობა ზამთრობითაც არსებობს, მაგრამ თოვლითაა გადალესილი და არ მოჩანს, სანამ ზაფხულში მზე თოვლს არ გაადნობს.

23. მეცნიერის ცნობით „... არს ყინულნი მწვანენი და წითელნი, ვითარცა ძლიერ სიძველის გამო". მყინვარის სიძველის დამადასტურებელი ამგვარი განმარტება ჭეშმარიტებას შეიცავს. ახალმოსულ თოვლს არ შეიძლება მწვანე ან წითელი ფერი ჰქონდეს. მწვანე ფერი გამკვრივებული გლეტჩერული მყინვარის ბუნებრივი ფერია. ხოლო გადაკრისტალებულ თოვლს (ფირნს) საწითლე ენიჭება, მასში მცხოვრები წყალმცენარეების მეოხებით (ზაფხულობით). მყინვარითა შესახებ ეს მონაცემები, როგორც ჩანს, ვახუშტის მიღებული აქვს პირადი დაკვირვებით ფასტაგისა და ყარაუგომის (ჩრდილო ოსეთი) მყინვარებზე. გურძივეცკის უღელტეხილიდან კავკასიონის ჩრდილო ფერდობზე ჩამავალი ბილიკი სწორედ ამ მყინვარებზე გადის.

24. თხზულების ანალიზი და რუკებთან შეპირისპირება გვარწმუნებს, რომ ვახუშტის ზუსტი წარმოდგენა ჰქონია კავკასიონისა და ანტიკავკასიონის მთიანეთებზე, მათი შემადგენელი ქედების განლაგებაზე როგორც საქართველოს დღევანდელი ტერიტორიის ფარგლებში, ასევე მის გარეთაც (მაგ., ჩრდ. კავკასიაში ზუსტადაა აღწერილი „ჩერქეზეთის მთა" — კლდოვანი ანუ კირქვული ქედი), ასევე საქართველოს მოსაზღვრე თურქეთისა და სომხეთის ნაწილებზე. კიდევ მეტი, ვახუშტის ოროგრაფიული ცნობები თავისი სიუხვე-სიზუსტით აღემატება იმას, რაც კავკასიის რელიეფის შესახებ მისმა წინამორბედებმა მოგვცეს ჰეროდოტედან დაწყებული ტურნეფორამდე (ლ. მარუაშვილი).

25. კავკასიური ფუტკრისა და თაფლის შესახებ უცხოელ ავტორებს შორის (სტრაბონი, არქანჯელო ლამბერტი და ახალი დროის მწერლები) მცდარი შეხედულება იყო გავრცელებული. ევროპულ ლიტერატურაში პირველი ცნობა კავკასიური ფუტკრის შესახებ 1773 წელს გამოაქვეყნა აკად. პალასმა. ამიტომ, შეიძლება ითქვას, კავკასიური ფუტკრის კეთილთვისებიანობა და საქართველოში მეფუტკრეობის გავრცელების პირველი სურათი ვახუშტიმ აღწერა.

26. მეცნიერი, ნაყოფიერების მიხედვით, განასხვავებს და ერთმანეთს უპირისპირებს (კერძოდ, სასარგებლო სამეურნეო მცენარეულობის კულტივირების შესაძლებლობის თვალსაზრისით) მხარე-ადგილთა ორ ძირითად ტიპს — მთას და ბარს.

27. ნაშრომის მეთოდოლოგიური თავისებურება, კერძოდ, ვახუშტის მიერ საქართველოს ტერიტორიის დაყოფის საფუძვლად ადმინისტრაციულ-პოლიტიკური პრინციპის აღება, გარკვეულ სირთულეებს ქმნის ქვეყნის ფიზიკურ-გეოგრაფიული, მათ შორის,

ოროგრაფიული წარმოდგენების შექმნაში: საქმე ისაა, რომ ცნობილი ოროგრაფიული ერთეულები (ქედები, ხეობები, ვაკეები) ცალკეული რეგიონების — სამთავროების, სათავად-აზნაურთების ფარგლებში თავსდება და ნაშრომის სხვადასხვა ნაწილში სხვადასხვა ტერიტორიის ფარგლებში განიხილება. ამის გამო ნაშრომი მოკლებულია ასეთი ერთეულების (მაგ., კოლხეთის დაბლობი, ქართლის ვაკე, ალაზნის ველი, ძირულის ზეგანი, თრიალეთის ქედი და სხვ.) მთლიან დახასიათებას. ალბათ, ამის გამო, ვახუშტი მათ სახელწოდებებსაც არ ასახელებს. თხზულების ეს ხარვეზი გასწორებულია გეოგრაფიულ რუკებზე, რომლებზეც ოროგრაფიული ერთეულების მდებარეობა უკეთესადაა გამოხატული.

28. ყალნუს მთა. არსიანის ქედის სამხრეთი მონაკვეთი. რუსულ ტოპოგრაფიულ რუკებზე არსიანისა და შავშეთის ქედების შეერთების ადგილზე ნაჩვენებია მთა „ყანლი-დაღი", რომელსაც ქართულად „ცენჭაული" ჰქვია.

29. მოვაკანი. მხარე აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, გვიანი პერიოდის შირვანი, რომლის ჩრდილო ნაწილი, გარკვეულ დროს, საქართველოში შედიოდა. ამჟამად აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა.

30. რახსი. ახლ. მდ. არაქსი (არეზი). მტკვრის მარჯვენა შენაკადი. იწყება ბინგელდაღის („ათასი წყაროს მთა") კალთებზე და ქ. საბირაბადთან ერთვის მტკვარს.

31. ჯავათი. პუნქტი მტკვრისა და არეზის შესართავთან.

32. სალიანი. დასახლება მტკვრის შესართავთან, 1916 წლიდან ქალაქი და რაიონის ადმ. ცენტრი აზერბაიჯანში.

33. მტკვრის მაგალითზე ვახუშტიმ მდინარის კალაპოტის ერთი ფრიად დამახასიათებელი ჰიდრავლიკური თვისება აღნიშნა. კერძოდ, მდორე ადგილები მდინარეში იმავდროულად დიდი სიღრმით გამოირჩევა, ხოლო ჩქარი ადგილები — მცირე სიღრმით. „სადაცა უმეტეს განვრცელდების, მუნ დის ჩქარადცა, და სადა დამდორდების, არს ფრიად ღრმა".

34. განჯა. ქალაქი აზერბაიჯანში. დაარსდა V ს-ში. XVIII ს. განჯის სახანოს ცენტრი. 1804 წ. შეიერთა რუსეთმა. 1804-1918 წწ-ში — ელიზავეტპოლი. 1935-1990 წწ-ში — კიროვაბადი. 1139 წ. განჯა ბრძოლით აიღო დავით აღმაშენებლის შვილმა - დემეტრე მეფემ და ციხის რკინის კარები გელათში ჩამოატანინა, სადაც დღემდე ინახება დავით აღმაშენებლის საფლავის ქვასთან.

35. არტანი. მდ. არდაჰანის საშუალო მთიანი ტაფობი. მდ. მტკვრის ზემოწელში.

36. რანი. „რანი არს ყარაბაღი" (ვახუშტი). საქართველოს მოსაზღვრე ქვეყანა (მხარე). XV ს-ში და XVI ს. დასაწყისში ექვემდებარებოდა ქართლის სამეფოს.

37. ბერდუჯი. მდ. ბერდუჯს ვახუშტი აიგივებს მდ. დებედასთან. სინამდვილეში, „ბერდუჯი" ახლ. ძეგამ-ჩაის (სომხეთი) ერქვა.

38. ჭოჭკანი. სოფელი და ხეობა მდ. დებედის მარცხენა მხარეზე. ლოქის ქედის ჩრდ. კალთაზე (სომხეთში).

39. საგიმი. იგივეა, რაც მდ. დებედა. ახლ. მდ. ქციას მარჯვენა შენაკადი. მდ. დებედას ვახუშტი საგიმისა და ბერდუჯის სახელწოდებითაც აღნიშნავს. საგიმს ზოგჯერ ახლ. ძეგამ-ჩაისთან (სომხეთი) აიგივებენ.

40. როგორც ჩანს, ვახუშტი იცნობდა საქართველოს წყლებში ბინადარ კალმახთა შორის არსებულ განსხვავებებს — „კალმახნი დიდნი და წვრილნი". აქ მეცნიერი გულისხმობს არა თევზის სიდიდეს, რომელიც ასაკთანაა დაკავშირებული, არამედ კალმახის ორი სახესხვაობის არსებობას.

41. ვახუშტის ყურადღებას არ გამოჰპარვია კლიმატური პირობების ცვალებადობა ადგილთა სიმაღლის მიხედვით. იგი ხაზგასმით აღნიშნავს განსხვავებას დაბლობი და მაღლობი რაიონების ჰავაში. ეს შეხედულებანი საქართველოს სხვადასხვა ნაწილების კლიმატურ პირობებზე დამყარებულია ხალხურ წარმოდგენაზე და თავისი ეპოქის შესაბამისად საკმაოდ სწორი და ზუსტია.

42. ქურდვაჭრის ჴევი. ახლ. მდ. დებედას ხეობის ქვემო ნაწილი.

43. ალჯაყალა. ციხესიმაგრე ქვემო ქართლში, ახლ. სოფ. კუშჩის ტერიტორიაზე (მდ. დებედას მარჯვ. ნაპირას, მარნეულის რ-ნი). ვახუშტის ცნობით, ციხე პირველად იაყუბ ყაენს აუშენებია. სინამდვილეში ციხე იქ ძველთაგანვე იყო, ხოლო იაყუბ ყაენმა ის განაახლა (იხ. დ. მუსხელიშვილი, ალჯაყალა-გაგის ციხე. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული. I, თბ., 1960, გვ. 116).

44. ბორჩალუ. ქვემო ქართლის ვაკის ნაწილი. ვახუშტით, მდ. დებედას ქვემო წელის აუზი. XVII ს. შაჰ-აბასმა აქ დაასახლა თურქული მოდგმის ტომი — „ბორჩალუ“.

45. ბამბაკის ჴევი. ახლ. მდ. ბამბაკი (ფამბაკი), ბერდუჯის ზემო წელი ტაშირისწყლის (ძორაგეთის) შესართავს ზემოთ.

46. ახპატი. X-XIII სს. სამონასტრო კომპლექსი დებედას ხეობის სოფელ ახპატში. ისტორიული სომხითის ტერიტორიაზე; ამჟამად სომხეთის ფარგლებშია (იხ. მელიქსეთ-ბეგი, ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვარნი და მათი ვინაობა, ტფ., 1928, გვ. 50).

47. სანაინი. შუა საუკუნეების მონასტერი დებედას ხეობაში (ახლ. ქ. ალავერდი, სომხეთის ტერიტორია).

48. ლორის ციხე. შუა საუკუნეების ციხე-ქალაქი ტაშირში (ახლ. სომხეთი). მდებარეობდა მაღალ პლატოზე. 1118 წ. მეფე დავით აღმაშენებელმა „ლორე“ საქართველოს შემოუერთა. 1186 წლიდან ლორე მხარგრძელთა ფეოდალურ საგვარეულოს ეკუთვნოდა და საქართველოს სანაპირო საერისთავოს ცენტრი იყო. XVI-XVIII სს. საბოლოოდ დაკნინდა ირანელთა და ოსმალთა შემოსევების გამო.

49. ბამბაკი. მხარე ისტორიულ სამხრეთ საქართველოში. სტრაბონი მას „გოგარენეს“ სახელით მოიხსენიებს. V ს-ში ვახტანგ გორგასალმა საქართველოს შემოუერთა. XVIII ს. მეორე ნახევარში ქართლ-კახეთის მეფის მიერ დანიშნული ქართველი მოურავი მართავდა (ახლ. სომხეთის ფარგლებშია).

50. არტანი. ახლ. ქ. არდაჰანი. ისტორიული საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი, ამჟამად თურქეთის ფარგლებშია. 1878 წელს შემოერთებულ იქნა, მაგრამ XX ს. 20-იან წლებში თურქეთმა კვლავ მიიტაცა.

51. გელაქუნი. სევანის ტბა სომხეთში. გელაქუნი ისტორიული ოლქიცაა ტბის სამხრეთით და აღმოსავლეთით, ახლანდელ შაჰდაღისა და ვარდენისის ქედებს შორის.

52. ხუნანი. ისტორიული ციხე-ქალაქი, ხუნანის მხარისა და საერისთავოს ცენტრი. მდებარეობდა მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, მდ. თაუზ-ჩაის ჩრდ.-აღმოსავლეთით, თოვრაქ-ყალის მიასთან.

53. ხუნანის საერისთავო. მხარე ისტორიულ სამხ.-აღმოსავლეთ საქართველოში. მოიცავდა ტერიტორიას მდინარეების ჰასანსუსა და ძეგამ-ჩაის შორის (თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორია). ქართული ეროვნული ტრადიციით, ძვ. წ. III ს-ში არსებობდა ხუნანის საერისთავო, დაარსებული მეფე ფარნავაზის მიერ.

54. აგარაკის ეკლესია. ხუნანის საერისთავოში - „ხუნანის გამართებით“ (ამჟამად სომხეთშია). ვახუშტი მას ახტალის მონასტერთან აიგივებს. აგარაკის საეპისკოპოსო ხუნანის საერისთავოში იყო, სადაც ეპისკოპოსი ვახტანგ გორგასალმა დასვა.

55. სომხითი. ქვემო ქართლის ერთ-ერთი პროვინცია იყო. მისი საზღვრები დროთა განმავლობაში იცვლებოდა. „სომხითი" ქვემო ქართლის ერთ ნაწილს ერქვა. შემდეგში ეს ტოპონიმი მეზობელ არმენიელებზე გავრცელდა (ს. კაკაბაძე. ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები. საისტორიო მოამბე, წ. I, 1924: ა. შანიძე. პატარა ტექსტები და მათი მნიშვნელობა. თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, III, 1923). ვახუშტით, ამ ტერიტორიას ეს სახელი ეწოდა სომეხთა აქ ბატონობის გამო (IX-XI სს.), ივ. ჯავახიშვილით (საქართველოს საზღვრები, 1919) კი ეს ტოპონიმი საერთოდ უცნობი იყო და მხოლოდ X ს-დან გვხვდება. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ამ სახელით ქართულ პროვინციას აღნიშნავს. განვითარებული ფეოდალური ხანის საქართველოში „სომხითი" ზოგადად ერქვა თბილისის სამხრეთით მდებარე ქართლს, თრიალეთის გამოკლებით (ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები. I. თბ., 1964). გარკვეულ პერიოდში სომხით-საბარათიანოც არსებობდა. ზოგჯერ. ეს პროვინცია ნაწილდებოდა და თავს იჩენდა ამ ნაწილთა სახელებიც: „ლორე", „სამშვილდე", „დმანისი," „ჩვევი ბოლნისისა", „ქვეშის კერძო ქვეყანაი სომხითისა" და სხვ. გვიანფეოდალურ ხანაში სომხითში გამოყო „ლორე-ტაშირი" (ლორე-ფამბაკი), მოგვიანებით კი — „საბარათიანო". თვით შუაფეოდალურ ხანაში სომხეთი ცალკე ადმინისტრაციული ერთეული არ არის. ყოველ შემთხვევაში, ეს სახელწოდება ორგვარი მნიშვნელობით იხმარებოდა: 1. სომხეთის, სომეხი ხალხით დასახლებულ ადგილთა და 2. ქვემო ქართლის სომხეთთან მოსაზღვრე ნაწილის აღსანიშნავად. რომელიც მოიცავდა მდ. მაშავერის აუზის ქვემო ნახევარსა და მდ. ბერდუჯის (დებედას) ხეობის ქვემო ნაწილს ახპატს ქვემოთ (ბოლნისისა და მარნეულის რაიონების თანამედროვე და სომხეთის ტერიტორიის ჩრდ. ნაწილი). სწორედ ამგვარი გაგებითაა აღნიშნული სომხითის პროვინცია ვახუშტი ბაგრატიონის რუკაზე. ამასთან, თვით სომხეთსა და მით უმეტეს „სომხითის" ქართველ ისტორიკოსთა გარდა არავინ ხმარობდა. ეს ტერმინი ქართულ საისტორიო მწერლობაში იხმარებოდა, ხოლო სომხური წყაროები „სომხითს" „ქართველთა ქვეყნის" სახელით იხსენიებენ (კ. ხარაძე, საქართველოს ისტორიული გეოგრაფია. ქვემო ქართლი, თბ., 1991, გვ. 96-97).

56. ახტალ იგივე აგარკი (აგარა), დაბა დებედას ხეობაში (ამჟამად სომხეთშია). ისტორიულად საქართველოს ამირსპასალართა სამფლობელო. დაბის მახლობლადაა ახტალის მონასტერი (XIII ს. დასაწყისი) — ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლი.

57. ხოჯორნიის ხეობა. ახლ. მდ. ბანოშისწყლის ხეობა. ს. სადახლოსთან უერთდება მდ. ბურდამორს, რის შემდეგ მდ. დებედასთან შეერთებამდე ბანოში ეწოდება.

58. მანხუტის ჴევი. ახლ. პერიოდული მდ. საღსაღანისწყალი, უერთდება ითორასანის არხს.

59. ჭაპალა. ახლ. სოფ. ქოჩულო (ბოლნისის რაიონი). მისგან სამხრეთით, კლდოვან ბორცვზე, აღმართულია ციხე-კოშკეული — ძველი ჭაპალა. მოხსენიებული აქვს გიულდენშტედტსაც, დატანილია 1804 წ. უცხოურ რუკაზეც. წითელსოფლის ქართული მოსახლეობა „თამარის ციხეს" უწოდებს. XIX ს. რუკებზე ამ მიდამოებში აღნიშნულია ციხე „ორბელიანების" სახელწოდებით.

60. ვახუშტის აზრით, „ჭაპალა" კი არა, არქევანი, რომელსაც ადრე „ქოზიანი" ერქვა. არქევანი ვახუშტის რუკაზე ორია: მდ. მაშავერის მდ. ქციასთან შეერთების ადგილზე (მარჯვენა მხარე). ახლა ამ ადგილებს ზემო და ქვემო ქოშაქილისა ჰქვია. „ქოზიანი" არქევანის ძველი სახელია. XI ს-დან იხსენიება როგორც „ძლიერი ციხე".

61. სარკინეთისჴევი. ახლ. კარა-ჩაი. ვახუშტით, ტალავრისჴევის მარცხენა შენაკადია. ეს უზუსტობა, როგორც ჩანს, მომდინარეობს მდინარეთა ქვემო ნაწილების არამდგრადობით. ზაფხულობით ისინი შესართავამდე ვერ აღწევენ.

62. ფოლადაური. ახლ. მდ. ბოლნისისწყალი, მდ. მაშავერის მარჯ. შენაკადი.

63. ბოლნისი. ვახუშტის მიერ აღნიშნული ქ. ბოლნისი სოფლებს ბოლნისსა და ქვემო ბოლნისს შორის მდებარეობდა. აქ ახლაცაა შემორჩენილი რამდენიმე ეკლესიის ნაშთი; ქვემო ბოლნისი ახლაც არსებობს. აქვე ახლოს იყო ბოლნისის საეპისკოპოსოს ცენტრი. აქ დგას ბოლნისის ცნობილი ეკლესია — „სიონი" (V ს.).

64. წუღრუღაშენი. ძველად ორი დასახლებული პუნქტი მდ. ფოლადაურის მარჯვენა მხარეზე, ბოლნისის სიონის მახლობლად. ბოლო დრომდე ორივე წუღრუღაშენი ნასოფლარი იყო. ერთ-ერთ მათგანში შემორჩენილია ლაშა გიორგის დროინდელი გუმბათიანი ეკლესია.

65. პუჯაბის მონასტერი. მდებარეობს მდ. ფოლადაურის ხეობაში, სოფ. ახქერფიდან (მარნეულის რ-ნი), 1,5 კმ დაშორებით. ამჟამად მასში შემორჩენილია X-XI ს-ის ბაზილიკა და XIII ს 60-იან წლებში აგებული გუმბათიანი ეკლესია, აგრეთვე სტრაპეზოსა და გალავნის ნანგრევები. ისტორიულ წყაროებში პუჯაბის მონასტერი მოხსენიებულია, როგორც საქართველოს სამეფო საკუთრება და შეტანილია 1721 წლის აღწერაში. ვახუშტი ბაგრატიონი წერს: „ამას ზეით (ბერდიკის ციხე) არს მონასტერი პუჯაბისა, გუმბათიანი, კეთილს ადგილს და აწ ცალიერ არს". პუჯაბი მოხსენიებულია იოანე ბატონიშვილის ქართლ-კახეთის აღწერაშიც (1794-1799 წწ.), დიმიტრი ბაქრაძის 1857 წ. საქართველოს ძეგლების სიაში და სხვ. პუჯაბის მონასტრის ხელახალი კურთხევა და აღდგენა 1910 წელს მოხდა „ივერიის დედათა მონასტრის" სახელწოდებით. მონასტერი საქართველოს ეპარქიაში შედიოდა. პუჯაბიდან არსებობდა სოფ. პუჯაბიც, რომელიც ახლა ნასოფლარია. ახლანდელი დასახლებული პუნქტის — ახქერფის ნაწილიც პუჯაბის ტერიტორიაზეა, ხოლო სოფლის ძირითადი ნაწილი ძველი საბას ადგილზეა. ახქერფში ჯერ კიდევ ერეკლე მეორეს მოუწყვევია ანატოლიელი ბერძნები და ნასოფლარისათვის ეს სახელი უწოდებიათ, რაც „თეთრ ხიდს" ნიშნავს. XIX ს. ს. ახქერფში შიოლოდან სომხები გადმოსულან. სწორედ იმ დროს ჩამოსახლებული ბერძნებისა და სომხების შთამომავალნი ცხოვრობენ დღეს ამ სოფელში (კ. ხარაძე, საქართველოს ისტორიული გეოგრაფია, ქვემო ქართლი, თბ., 1991, გვ. 98-99).

66. ტაშირი. ახლ. ლორი. ლოქის ქედის სამხრეთით მდებარე ტერიტორია. ძირითადად ლორის ვაკეს მოიცავს (ამჟამად სომხეთშია).

67. ვახუშტი გულისხმობს სომხის რჯულის ქართველებს, ქართველ გრიგორიანელებს.

68. ტაშირისწყალი. ვახუშტით, ეს მდინარე ლორის ციხესთან მიერთვის დებედას. ამრიგად, ტაშირისწყლად მიჩნეულია მდ. ძორაგეთი, რომელიც დებედას ერთვის. სინამდვილეში, ტაშირისწყალი იგივეა, რაც მდ. ჯილღა, რომელიც მარცხნიდან მდ. ძორაგეთის (კამენკას) ერთვის.

69. არჯანის მთა. ახლ. ჯავახეთის (კეჩუთის) ქედის სამხ. მონაკვეთი, უღ. გავარის (გავარაგელიკის) სამხრეთით.

70. აბოცი. იხსენიებოდა „აშოტის", „აშოცის" სახელწოდებითაც. ისტორიული საქართველოს სამხრეთული პროვინცია. მდ. ახურიანის აუზი, ახლ. არფაჩაის ტაფობი. ამჟამად სომხეთშია — ამასიისა და გუკასიანის რ-ნის ფარგლებში. ვახუშტის შეხედუ-

ლებით, შემდგომში „კაიყული" ეწოდა; აბოცს ძველად „პალაკაციოსაც" ეძახდნენ (ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები, ტფ., 1919, გვ.36).

71. ალბაბას მთა. ახლ. აშოცის ქედი სომხეთისა და თურქეთის საზღვარზე. ვახუშტით, ქართლისა და ყარსის მხარის საზღვარს წარმოადგენდა.

72. ტაშალანის ტბა. ახლ. მადას (მადათაფას) ტბა ჯავახეთის ზეგანზე.

73. დმანისის ჴევი (დბანის ჴევი). ისტორიული ქვემო ქართლის ერთ-ერთი ადმინისტრაციული ერთეული. მოიცავდა მდ. მაშავერის აუზს (ფოლადაურის ხეობის გამოკლებით) ანუ თანამედროვე დმანისისა და ბოლნისის რაიონების დიდ ნაწილს. ძველ ლიტერატურულ და ისტორიულ წყაროებშიც დმანისია მოხსენიებული.

74. მაშავერი. რამდენიმე ნაკადულის სახით იწყება ჯავახეთის ქედის აღმოსავლური კალთებიდან (ვახუშტის, „კეჩუთის მთა"), უერთდება მდ. ქციას მარჯვნიდან სოფ. ნახიდურიდან 3,5 კმ სამხრეთით. მიედინება დმანისისა და ბოლნისის რაიონების ფარგლებში, უმეტესად დოლერიტული ლავებით აგებულ კანიონში, რომლის შვეულკედლებიან კალთებზე მრავალი გამოქვაბულია, ძველად თავდასაცავად ან განდეგილი ბერების მიერ საცხოვრებლად გამოყენებული (ლ. მარუაშვილი, საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, ტ. II, 1970, გვ. 342).

75. ლუკუნის მთა. ახლ. მ. შინდლარი (შინდლარის მასივი). აბს. სიმაღლე 1896 მ. მთაზე ლუკა ანუ ლუკუნის ეკლესიის ნანგრევები ახლაცაა შემორჩენილი.

76. კეჩუთის მთა. ვახუშტით, ჯავახეთის ქედის ნაწილი, მდ. მაშავერის სათავეებისა და ჯავახეთის მტკვრის აუზის წყალგამყოფი.

77. ბოლოლის მთა. შეესაბამება ჯავახეთის ქედის მონაკვეთს მ. ჩათახსა (კეჩუთისხევსა) და უღ. გავარს (გავარაგედიკს) შორის.

78. ვახუშტისთვის ცნობილია მცენარეთა ვერტიკალური განაწილების სხვა თავისებურებანიც. კერძოდ ის, რომ არყის ხე სხვა ხეებზე უკეთ ეგუება სიმაღლეს. აღწერილია რიგი მთიანი მასივები, ქედები და ქვაბულები, სადაც არყნალები წარმოადგენენ ტყე-მცენარეულობის ერთადერთ ტიპს: კეჩუთის, ბოლოლის, შანბიანის, თავკვეთილის, ხევისწყლის, ბარძიმის, შაორის და შავნაბადას მთები ჯავახეთში, არტანისა და ბასიანის ტაფობი, მთიულეთ-ყამურის გამყოფი მთები კავკასიონის სისტემაში.

79. „უდაბნო კლდისა გამოკვეთილი". ვახუშტის მიხედვით, ის დავით გარეჯელის მიერ არის გაკეთებული. რუკაზე იგივე ობიექტი „დავითის უბნის" სახელწოდებით მოიხსენიება. დავით გარეჯელის მოღვაწეობა კეჩუთის მთას არ შეხება.

80. ორმოზანის ტბა — ახლ. ოროზმანის ტბა, დმანისის რ-ნში, დმანისის პლატოზე, ადრე „სალუდლი-გოლი" ერქვა.

81. დბანისი. ამჟამად ნაქალაქარია, მდებარეობს მაღალ კონცხზე მდ-ების ფინეზაურისა და მაშავერის ხერთვისში. წყაროებში პირველად IX ს. იხსენიება. დმანისის სიძველეს ადასტურებს დმანელი ეპისკოპოსის მოხსენიება VI ს. ქართველ მღვდელმთავრებს შორის. აქვეა VII ს. ეკლესია „სიონი". დმანისი მნიშვნელოვან გამაგრებულ ადგილს და სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა. XVIII ს-ის დასაწყისში დმანისის მოსახლეობა ძლიერ შემცირდა, ხოლო იმავე საუკუნის II ნახევარში ქალაქმა საბოლოოდ დაკარგა მნიშვნელობა. სახელწოდება „დბანისი" დასახლებული პუნქტის დაბანისიდან (დმანისიდან) მომდინარეობს. ამჟამად დმანისი რაიონული ცენტრია. თავდაპირველად ეს სახელწოდება მიკუთვნებული ჰქონდა დღევანდელ ნაქალაქარ დმანისს. რაიონულ ცენტრს დმანისი 1947 წელს ეწოდა.

82. წყარო მუწუკთა მკურნავი. დბანისის ხევის აღწერისას ვახუშტი ბაგრატიონს სამკურნალო წყაროები აქვს მოხსენიებული: ერთი მათგანი „.... ჰკურნებს

მეწუკთა" და მეორე, ვახუშტით: „აქავ არს წყარო, რომელი დაამსხვრევს ქვასა შარდისასა და დააყრევინებს სძითა", ისინი განლაგებულია მდ. მაშავერის ხეობაში ერიმანეთის გვერდით, ს. ბოსლების სამხრეთით, მდინარის მარჯვენა მხარეზე, ტყით დაფარულ ფერდობზე. ვახუშტის ეს ცნობა ქართული ხალხური მედიცინის საუკუნოვანი გამოცდილების უტყუარ მონაცემებს ემყარება. ამ წყაროებმა ჩვენამდეც მოაღწია.

83. ფინეზაურის ჴევი. ახლ. მდ. მოშევანი (ახლაც ფინეზაურის ხევად მოიხსენიებენ), მდ. მაშავერის მარჯვენა შენაკადი (დმანისის რ.).

84. ქვეშის ჴევი ქვეშისხევის ცენტრი ქვეში იყო. V ს-ში საეკლესიო ეპარქიებად დაყოფის დროს ადმინისტრაციული ცენტრი კვლავ ქვეშია, საეკლესიო კი დმანისის საეპისკოპოსო ტაძარი. „მოგვიანებით, როცა დმანისი ქალაქად იქცა, ადმინისტრაციულმა ცენტრმაც იქ გადაინაცვლა, რაც აისახა კიდეც დასახელებაში: „ქვეშის ხევი" „დმანისის ხევმა" შეცვალა" (დ. ბერძენიშვილი, ქვემო ქართლი, ძეგლის მეგობარი, 1972, № 30).

85. ყორანთას ეკლესია. ქ. ბოლნისის ჩრდილო-დასავლეთით შემორჩენილი ეკლესიის ნაშთი. ყორანთა ძველ წყაროებში იხსენიება როგორც დასახლებული პუნქტი და ეკლესია. „წმიდა გიორგის ამ ეკლესიაში" „სასწაულმოქმედი ჯვარი" ყოფილა დასვენებული, რომელიც იქიდან ჯერ სადგერში, შემდეგ ატოცში და ბოლოს, ჩხარის წმიდა გიორგის ეკლესიაში გადაუსვენებიათ. ამჟამად ეს ვერცხლის ჭედური ჯვარი საქართველოს ხელოვნების მუზეუმშია დაცული.

86. სატრედოს ხიდი. ქვიტკირის ხიდი, რომელიც შემორჩენილია მდ. მაშავერაზე ქ. ბოლნისსა და ს. რაჭისუბანს შორის, ვახუშტი 7 თალს მოიხსენიებს, ამჟამად 3 თალია შემორჩენილი. გზა ამ ხიდისაკენ ხეხილის ბაღებზე გადის და მას მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობა გააჩნია (კ. ხარაძე, საქართველოს ისტორიული გეოგრაფია, ქვემო ქართლი, თბ., 1991, გვ. 31-32).

87. დისველის მინდორი. დისველის ლავური პლატო, ბრტყელი, დაუნაწევრებელი რელიეფით, ბოლნისის რ-ნში. ამჟამად თაფანსაც უწოდებენ.

88. ზურტაკეტის მდინარე. შეესაბამება მდ. ყარაბულახს, მდ. ქციის მარჯვ. შენაკადი. ამჟამად მდინარის ეს ვახუშტისეული სახელი (ზურტაკეტი) აღდგენილია.

89. ზურტაკეტი. ახლანდელი დმანისის რ-ნის ჩრდ. ნაწილი, რომლის ტერიტორიის დიდი ნაწილი უკავია გომარეთის პლატოს (ვაკეს), 1200-1400 მ ზ.დ.

90. ქციის ჴრამი. ვახუშტით, ხრამი გეოგრაფიულ სახელს კი არ აღნიშნავს, არამედ ზოგადგეოგრაფიული ტერმინია. ვახუშტი გარკვევით მიანიშნებს ქციის ხრამზე, მის დახრამვაზე და არა როგორც რომელიმე მდინარის სახელწოდებაზე. ასევე, ქციის ცალკეული ნაწილებისა და შენაკადების აღსანიშნავად ხმარობს: „თეზის ჴრამს", „ახალქალაქის ხრამს", „ჭივჭავის ხრამს". ვახუშტისეული ხრამი თანამედროვე კანიონის სინონიმია. ამ ტერმინს გარკვეული გეომორფოლოგიური შინაარსი აქვს.

91. შანბიანის მთა (შამბიანი). სამხრეთ საქართველოში, ჯავახეთის ქედის მონაკვეთი მდ. ზურტაკეტისა და ფარავნის ტბის წყალგამყოფზე (დმანისისა და ნინოწმინდის რაიონებში).

92. ფუნდუკის ჴევი. ახლ. მდ. ქარვასლისხევი, ჯავახეთის ქედის ჩრდ. მონაკვეთის – გულთოვლის (ვახუშტით, გრძელთოვლის) ქედის კალთიდან გამოდის და მდ. მუხიანს მიერთვის.

93. შანბიანის ჴევი. მდ. ზურტაკეტის მდგენელი (დმანისის რ-ნი).

94. არყნალისჭევი. პატარა მდინარე ჯავახეთის ქედის აღმ. კალთაზე, სათავეს იღებს მ. აგრიკარის ფერდობზე. სახელწოდება „არყნალისხევი", როგორც ჩანს, მიღებული აქვს ხეობაში არსებული არყის (Betula) ტყისაგან, რომელიც ახლაც შემორჩენილია, უმეტესად დაკნინებული და ბუჩქების სახით. ზოგ ტოპოგრაფიულ რუკაზე მდ. აგრიჭარის სახელწოდებითაც არის აღნიშნული.

95. „წყარო შვენიერი, რომელი მარმარილოთი აღაშენა ქდ მეფემან ვახტანგ". ახლ. არყნალის დიდი დებიტის ვოკლუზური წყაროები. ადრე მოიხსენიებოდა სარდარ-ბულაღის წყაროებად. ხუთვერსიან რუკაზე აღნიშნულია — „Род. Ахачь булагъ" წყაროებიდან გამოსული ნაკადული მდ. არყნალისხევს მარცხნიდან ერთვის.

96. კვირიკეთის მთა. ს. გომარეთის ჩრდილოეთით აღმართულ მთას (კვირიკეთის მასივს) შეესაბამება (აბს. სიმაღლე 1744 მ). მის აღმოსავლეთ კალთაზე ს. კავლიანი მდებარეობს (დმანისის რ-ნი). კვირიკეთის მთაზე არის წმ. კვირიკეს ეკლესია, რის გამოც მთას ეს სახელი ეწოდა.

97. თრიალეთი. მხარე ქციის ზემო წელის აუზში: გეოგრაფიულად შეესაბამება ახლ. წალკის რ-ნს. ისტორიული საზღვრები თითქმის ყველა მოსაზღვრე რაიონის ტერიტორიაზე გადის. ამჟამად „თრიალეთი" აღნიშნავს ქედს, რომელიც გადაჭიმულია ბორჯომის ხეობიდან თბილისამდე, აგრეთვე ერთ-ერთ დასახლებულ პუნქტს წალკის რაიონში.

98. ბენდერის მთა. ბენდერი (ქვემო ქართლი). ახლ. ბედენის მთა. ვახუშტი გულისხმობს ბედენის ქედს, რომელიც მდ-ების ალგეთისა და ქციის წყალგამყოფია (წალკისა და თეთრწყაროს რ-ები).

99. ბაკურიანი. ახლ. დაბა ბაკურიანი (ბორჯომის რ-ნი), თრიალეთის ქედის კალთაზე, ბაკურიანისწყლის (გუჯარეთისწყლის შენაკადი) ნაპირას, ზ.დ. 1700 მ.

100. შავრაშეთის მთა. ახლ. თრიალეთის ქედის სამხ. კალთა, მთების — ჭარელისა (2653 მ) და მშრალიმთის (2482 მ) შორის, საიდანაც, ვახუშტის მიხედვით, ბარალეთის მდინარე და მისი შენაკადი აზავრეთისჭევი გამოედინება.

101. ბარძიმის მთა. ახლ. ვულკანური მთა სამსარი ჯავახეთში. მას საეკლესიო ბარძიმის ფორმა აქვს. აქედან უნდა იყოს მისი სახელწოდება „ბარძიმი".

102. ეძანი. ახლ. რაიონული ცენტრი — ქ. წალკა; ეწოდა 1932 წელს. XIX ს. ბარმაქსიზადაც მოიხსენიებდნენ.

103. ახალქალაქი. ახლ. ს. დაშბაში (წალკის რ.). აკად. ე. თაყაიშვილმა აქ არსებული ეკლესიის წარწერებში ამოიკითხა სოფლის სახელი.

104. ტბა დიდი. ვახუშტი შენიშნავს, რომ ახალქალაქს (დაშბაშს) ზევით, მდ. ქცია მაღლიდან („მაღლის კლდიდამ") ეშვებოდა ძირს, საკმაოდ ღრმა კანიონში და აჩენდა დიდ მორევს, რომელსაც ვახუშტი ტბას უწოდებს. წალკის წყალსაცავის აგების შემდეგ გვირაბით წყალი ჰიდროელექტროსადგურს მიეწოდება.

105. ბეშკენაშენისჭევი. ახლ. ბეშტაშენისწყალი, ერთვოდა ქციას მარცხენა მხრიდან, ახლა წალკის წყალსაცავში ჩაედინება (წალკის რ.).

106. ბარეთის ტბა. ამ ტბის ვახუშტისეული სახელწოდება — „ბარეთი" აღდგენილია ქართულ გეოგრაფიულ ლიტერატურასა და რუკებზე. ძველ ტოპოგრაფიულ და სხვადასხვა თემატიკური შინაარსის რუკებზე „ბაშკოვის" ტბად აღინიშნებოდა.

107. ერან-თურანის ჭევი. ახლ. ქიარაკისწყალი, ბეშტაშენისწყლის მარჯვენა შენაკადი (წალკის რ-ნი). ვახუშტი ამ მდინარეს, შეცდომით, უშუალოდ ქციის შენაკადად თვლის.

108. კოხტა-ცრიცის ჴევი. დედანში მექანიკური შეცდომაა. უნდა იყოს „კოხაჯ-ცრიცის ჴევი". კოხაჯის ხევი — ახლ. გუმბათისწყალია, ხოლო ცრიცისხევი — ახლ. აშკალისწყალი (წალკის რ).

109. არწივანი. ახლ. ს. ჯინისი (წალკის რ.).

110. აბიბოს ნეკრესელის მონასტერი. სოფ. რეხას (წალკის რ.) აღმოსავლეთით, კლდეშია მოთავსებული. იქ დღესაც შემორჩენილია კლდეში გამოკვეთილი გამოქვაბულთა კომპლექსი ეკლესიებითურთ.

111. საპონაურის ჴევი. ახლ. ტუსრებისწყალი, ქციის მარცხენა შენაკადი (წალკისა და ბორჯომის რ-ბი).

112. აველადის ჴევი. ახლ. მდ. ყიზილქილისა, ქციის მარჯვენა შენაკადი, წალკის რ-ნი.

113. ვახუშტის „ციეს ანუ მყინვარს", რომელიც მდ. ხევღრმის (ახლ. ქამინჩაის) სათავეში მდებარეობს, უნდა შეესაბამებოდეს „მატიანე ქართლის"-აში და სუმბატ დავითის ძის ნაშრომში მოხსენებული, თრიალეთში მდებარე ადგილი — „მყინვარი გინა იწრონი", სადაც მეფე გიორგი გარდაიცვალა.

114. ანდრაპ-ოლთისის ჴევი. მდინარე და ხეობა თრიალეთში, ქციის აუზში, თანამედროვე მდ-ები ნარდევანი და აიაზმისწყალი, რომელიც ქციას შეერთვის მარჯვნიდან, სოფ. ედიქილისის მახლობლად (წალკის რ.).

115. აბანოს ჴევი. ახლ. კაზახსუ, ქციის მარცხენა შენაკადი (წალკის რ-ნი).

116. კარწახის ჴევი. ახლ. ჭოჭიანი, ქციის მარჯვენა შენაკადი (წალკის რ-ნი).

117. უზნარიანი. ახლ. კეჩუთის ქედის (ჯავახეთის ქედის) ჩრდ. ნაწილი. ახლ. ჭოჭიანის სათავეებში (წალკისა და დმანისის რაიონები). აქვე იყო სოფ. უზნარიანი. უზნარიანის ციხე ვახუშტის აღნიშნული აქვს თორისწყლის ანუ ახლ. გუჯარეთისწყლის ხეობაში.

118. მოდამნახე. ციხესიმაგრე ქციის მარჯვენა მხარეზე, ახლ. ტყემლიანის ციხე (წალკის რ.).

119. ფანავრის ტბა. ახლ. ფარავნის ტბა (ფარავანი), ჯავახეთში, ნინოწმინდის რ-ნში.

120. შაორის წყარო. მდ. შაორი, რომელიც მძლავრი ქოკლუხის სახით გამოდის სამსარისა და ჯავახეთის ქედების დამაკავშირებელ ლავური პლატოს კიდესთან და ერთვის ფარავნის ტბას ს. ტამბოვკასთან.

121. შაორის მთა. მდებარეობს სამსარის ქედზე, ფარავნის ტბის ჩრდ.-დასავლეთით, 2752 მ ზ.დ. ტოპოგრაფიულ რუკებზე აღნიშნულია, როგორც „г. Гречишная". ალ. ჯავახიშვილის რედაქტორობით გამოცემულ რუკაზე კი ვახუშტისეული სახელითაა მოხსენებული. მთაზე არის ციკლოპური (მეგალითური) ნაციხარ-ნაქალაქევი.

122. ჭიქიანის მთა. შემდეგში თურქულის გავლენით უწოდეს „ყოთუნდაღი". ძველ ქართულში როგორც ბუნებრივ, ისე ხელოვნურ მინასაც ნიშნავდა. მთა თითქმის ვულკანური ქანებით (ობსიდიანით) არის აგებული. ამდენად, ჭიქიდან ანუ მინიდან ნაწარმოები ამ მთის სახელწოდება სწორადაა შერქმეული. ჭიქიანის მიდამოებში ნაპოვნია ობსიდიანის იარაღების დამამზადებელი ძველი სახელოსნოების ნაშთები. ასეთი სახელოსნოს არსებობას პროფ. ლ. მარუაშვილი ქვემო ქართლშიც — იაღლუჯის მაღლობზეც — ვარაუდობს.

123. კარკნალი. ჯავახეთის მთების: თავკვეთილის, სამსარის, (ვახუშტით, ბარძიმის), შაორის, შავნაბადის და სხვ. დახასიათებისას ვახუშტი წერს: „აქა არს

კლდე ფიქალ-ფიქლად დაწყობილი, ვითარცა კაცთა ხელით დაწყობილი და ნაშენი მის ძირიდამ თხემამდე. არამედ რა შედგების კაცი, ნადირი თუ პირუტყვი თრთის და იძვრის დაბლიდამ მაღლამდე, და არა დაირღვევის. ესრეთი კლდე შანბიანსა ზედაცა არს მრავალი...“ ამრიგად, ქართველი მეცნიერი, პირადი დაკვირვებით, ზუსტად აგვიწერს ხსენებული მთების კალთებზე გამოფიტვის პროცესებით წარმოქმნილ „ქვათა ზღვებს“, „ქვავნარს“, რომელსაც იგი კარკალს უწოდებს. კარკალი, კარკალი — „დიდი ქვავნარი“ (საბა).

124. **ტბისყურისტბა.** ახლ. ტაბაწყურის ტბა, ბორჯომისა და ახალქალაქის რაიონების საზღვარზე, სამსარის ქედის ჩრდ. ნაწილში. ვახუშტი წერს: „ტბა ტბისყურისა არს წყალი ანკარა, სასმელად ტკბილი და შემრგო, გარემო ნაძოვანი, ტყიანი, ბალახყვავილიანი, წყაროიანი და კალმახითა სავსე, დიდ-წვრილითა და ფრიად გემრიელითა იტყვიან ტბისყურისას — თამარ მეფემან ჰყო ტბად, ვინათგან ჩანს ნარუალი, რომელი გაიტანაო ქციიდამ — და აწ უქმი არს“. სინამდვილეში ტაბაწყურის ტბა ხელოვნურად შექმნილი არ არის, არამედ ტექტონიკურ-ვულკანური წარმოშობის ღრმულია და თამარ მეფისათვის მისი შექმნის მიწერა ხალხური თქმულებაა. ვახუშტი, როგორც მართებულად შენიშნავს ი.შაქარიშვილი, ამ შეხედულების მხოლოდ გადმომცემია და არა მისი დაბეჯითებით გამზიარებელი.

125. **ქციისჴრამი.** მოიცავდა ტერიტორიას, რომელშიც მდ. ქციის შუა და ქვემო დინების მთელი მარცხენა მხრის აუზი შედიოდა და მცირედ გადადიოდა მარჯვენა მხრის შუა ნაწილზე. ჩრდ. საზღვარი ბენდერის მთიდან მდ. მტკვრამდე ალგეთ-ქციის წყალგამყოფს ემთხვევა, აღმოსავლეთით მტკვარს გასდევს ქციის შესართავამდე. სამხრეთით საზღვარი ჯერ ქცია-მაშავერას წყალგამყოფზე, ხოლო შემდეგ ქციაზე გადის მტკვართან შეერთებამდე. დასავლეთი საზღვარი პირობითია.

126. **ჴორჴების ქვაბი.** ახლ. პატარა კლდეისის მიდამოებში, მდ. კლდეისის ხეობაში, დოლერიტულ ქანებში მოქცეული ე.წ. ბუნებრივი საყინულე (ქვა). რომელიც მთელი ზაფხულის განმავლობაში ყინულს შეიცავს. „ზაფხულს დის წყარონი კლდიდამ; მას წყაროს ჰყინავს, და არს ყინული ფრიად წმიდა და მრავალი, ზიდვენ ზაფხულს მეფისათვის“- წერს ვახუშტი.

127. **ლიპარიტისუბანი.** მდებარეობდა მდ. ქციის ხეობაში, კლდეისისწყლის შესართავს ქვემოთ. მკვლევართა აზრით (ზ. გულისაშვილი, ე. თაყაიშვილი), იგივე თანამედროვე „კაკლიანი“ ანუ „ჩათახი“ (წალკის რ.).

128. **ქცია.** დაბა, მდებარეობდა მდ-ების ზურტაკეტისა და ქციის შესართავთან.

129. **ფიტარეთი.** ძველი ქართული კულტურის კერა, ფიტარეთის მონასტერი მდ. ქციის ვიწრო ხეობაში. 1213-22 წწ. აშენებული მთავარი ნაგებობა — ფიტარეთის ეკლესია, ქართული არქიტექტურის შესანიშნავი ძეგლია. შემორჩენილია მონასტრის მდიდრულად მორთული კარიბჭე და ზოგიერთი ნაგებობა.

130. **ფოცხვერიანისჴევი.** ახლ. გასანდამი, ქციის მარჯვენა შენაკადი, შეერთვის ხულუტის ციხის ზემოთ (ბოლნისისა და თეთრიწყაროს რ-ბი).

131. **ხულუტი.** ძველი ციხესიმაგრე მდ. ქციის მარცხენა ნაპირზე ალმარიულ კლდეზე (თეთრიწყაროს რ.). ვახუშტის რუკაზე „ხურუტის“ სახელითაა დატანილი.

132. **ტორნისჴევი.** ახლ. მდ. ასლანკა, ქციის მარცხენა შენაკადი (თეთრიწყაროს რ.).

133. **პირღებული.** სამონასტრო კომპლექსი მდ. ქციის ვიწრო ხეობაში. კომპლექსის მთავარი ნაგებობა — დიდი ეკლესია XIII ს. I ნახევარშია აშენებული. კლდეებში არსებული გამოქვაბულები ბერების სენაკებს წარმოადგენდა.

134. სამშვილდე. ამჟამად ნაქალაქარი, მდ-ების ქციისა და ჭივჭავის შესართავის ადგილას. ისტორიკოსების ვარაუდით სამშვილდე ერთ დროს სამეფო ქალაქს წარმოადგენდა. ქართული სახელმწიფოს წარმოქმნისთანავე (ძვ. წ. IV-III სს.) სამშვილდე საერისთავოს ცენტრი გახდა. ამჟამად ნაქალაქარია.

135. სამშვილდის საერისთავო. იგივე გაჩიანის მხარე — ქართლის სამეფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სანაპირო საერისთავო. V ს-ში მოიცავდა ტერიტორიას „სკვირეთისა მდინარითგან ვიდრე მთამდე, რომელ არს ტაშირი და აბოცი" (ქართლის ცხოვრება, I, გვ.24).

136. ჭივჭავის ჴრამი. ვახუშტი გულისხმობს მდ. ჭივჭავის ხეობას, რომლის კალთის სიმაღლე ს მხარია (ე.ი. 200 მხარი).

137. საფტაკი კლდე. ქციის ხრამის აღწერისას მდ. ჭივჭავის ხეობაში ვახუშტი აღნიშნავს „კლდე-საფტაკს", რომლიდანაც „სცვივა ბროლი გათლილი კუთხედ". როგორც პროფ. ლ. მარუაშვილი შენიშნავს, სამშვილდის მიდამოებში გავრცელებულია კვარცპორფირიტის ინტრუზია. ამ ქანების გამოფიტვის შედეგად ცვივა მაგმური კვარცის ლამაზი ბიპირამიდული კრისტალები და ეფინება მიდამოს. როგორც ჩანს, სწორედ ამ კრისტალებს მიუქცევია ვახუშტის ყურადღება.

138. ნადარბაზევი. მდ. ჭივჭავის ზემო წელში. შემორჩენილია შუა საუკუნეების ნაგებობათა კომპლექსის ნაშთები. ნადარბაზევი მეფეთა საზაფხულო სასახლე იყო.

139. ტბა მცირე. ვახუშტი გულისხმობს ახლ. თეთრიწყაროს პლატოს დასავლეთ ნაწილში მდებარე ნადარბაზევის პატარა ტბას. „აქა არს ტბა მცირე, ლუღუფრისაგან კიდე მას შინა არარაი". ე.ი. ლუღუფრისაგან დაფარული ყოფილა ტბის სანაპირო ზოლი. ლუღუფარი — თეთრი დუმფარაა, მრავალწლიანი ბალახოვანი წყლის მცენარე, წყალზე მოტივტივე ფოთლებით და დიდი ყვავილებით, იზრდება ტბებში და გუბურებში, დეკორატიული მიზნით აშენებენ. ჩანს, ვახუშტის დროს, ნადარბაზევის ტბა თეთრი დუმფარით ყოფილა დაფარული. ამჟამად ტბა გადაგვარებას განიცდის.

140. ბაიდარი. მხარე ქვემო ქართლში, იგივე მარნეულის ვაკის ნაწილი. მოქცეულია მდ-ების ალგეთისა და ქციის ქვემო დინებათა შორის (მარნეულის რ.).

141. აქლემების ფართო გავრცელება იმდროინდელ ქვემო ქართლში გასაგებია. აქლემი ყველაზე შესაფერის სატრანსპორტო ცხოველად ითვლებოდა საქართველოს სავაჭრო ურთიერთობისათვის აზერბაიჯანთან, ირანსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებთან.

142. ხუნანი. ციხე-ქალაქი მდ-ების ქციისა და მტკვრის შესართავთან. მოგვიანებით ყიზყალა, ახლ. „თოფრაყალა".

143. ხუნანის ველი. ქვემო ქართლის ვაკის ნაწილი, მდ-ების მტკვრისა და ქციას შორის, ს. ლეებადინის აღმოსავლეთით.

144. ნახიდურის არხი. მდ. ქციიდან გაყვანილი სარწყავი არხი. ვახუშტის რუკაზე „მეფის ვახტანგის რუ"-ს სახელითაა აღნიშნული. თურქულენოვანი მოსახლეობა „ხან არხის" (მეფის არხი) სახელით მოიხსენიებს.

145. ალგეთის მდინარე. ვახუშტის მიერ ამ შემთხვევაში მოხსენიებულია ადმინისტრაციული ერთეულის მნიშვნელობით. მოიცავდა ალგეთის წყალშემკრებ აუზს, მისი დასავლური საზღვარი კლდეკარის მერიდიანზე გადიოდა, აღმოსავლეთით კი მდ. მტკვარს ემოხვევა.

146. ერიქალის მთა. ქედი შიდა ქართლისა და ალგეთის ზემო ნაწილის აუზის საზღვარზე, თრიალეთის ქედის მონაკვეთი არჯევანისა და დიდგორის შორის. მასზე ამართულია მთა მზისცხვირი. პროფ. ბ. ვავრიშვილი ელიას ქედს უწოდებს.

147. კლდეკარი. ისტორიული ციხესიმაგრე თრიალეთისა და შიდა ქართლის საზღვარზე, თრიალეთის ქედის კლდოვან უღელტეხილზე. ციხესიმაგრე ააგო ერისთავმა ლიპარიტ ბაღვაშმა (IX ს. 80-იან წლები). 1103 წ. დავით აღმაშენებელმა გააუქმა კლდეკარის საერისთავო.

148. საყავრისჴევი. იგივეა, რაც ნამტვრევანისხევი, მდ. ალგეთის მარცხ. შენაკადი (თეთრიწყაროს რ-ნი).

149. მყავისჴევი. ახლ. თხილვანისწყალი, ალგეთის მარცხენა შენაკადი (თეთრიწყაროს რ.).

150. კველთეთისჴევი. ახლ. დიდხევი, მდ. ალგეთის შერთვის ადგილი მანგლისის ქვემოთ (თეთრიწყაროს რ.).

151. ლაკვისწყალი. ახლ. ბზისწყალი (ბზისხევი), ალგეთის მარჯვენა შენაკადი (თეთრიწყაროს რ.).

152. ლაკვა. ახლ. გოხნარის სანახები (თეთრიწყაროს რ.). ლაკვისწყლის (ახლ. ბზისწყლის) სათავეში ბევრი წყაროა, რომელთაგან ყველაზე მძლავრი თვით ნასოფლარ ლაკვაში მდებარეობს.

153. დვალთა-ლოლოვნისჴევი. ახლ. მდ. დვალთა, მდ. ალგეთის მარცხ. შენაკადი. პროფ. ბ. ყავრიშვილი მას თონეთისწყალს უწოდებს, რაც არასწორია. თონეთისწყალი მდ. დვალთას (დვალთისწყლის) დასავლეთით მდებარეობს, დვალთის შესართავიდან 2-3 კმ მოშორებით.

154. გუდარეხისჴევი. ახლ. მდ გუდარეხი, ალგეთის მარჯ. შენაკადი. სოფელ გუდარეხს სამხრეთით ჩამოუდის.

155. გუდარეხი. ახლ. ს. გუდარეხის (ძველი ღორისთავი) ჩრდილო-დასავლეთით, სამიოდე კმ. დაშორებით. შემორჩენილია XIII ს. ეკლესია, 1272 წლით დათარიღებული სამრეკლო და შემდგომი პერიოდის არქიტექტურული ნაგებობები.

156. ბირთვისი. ძველი ციხესიმაგრე ქვემო ქართლში, ალგეთის ხეობაში. ციხესიმაგრედ შერჩეული იყო მთა, რომლის უღელტეხილები საგანგებოდ იკეტებოდა. მწვერვალზე სათვალთვალო კოშკი იყო. ბირთვისი აუღებელ ციხესიმაგრედ ითვლებოდა, ხოლო მისი მფლობელი თითქმის მთელ ალგეთის ხეობაზე ბატონობდა.

157. ჩხიკვთის სამება და გმირთნაკვეთი. ჩხიკვთის (თეთრიწყაროს რ.) დასავლეთით აღმართული კონუსისებური მთა — „სამება" ანუ გმირთნაკვეთი (ზ.დ. 1196 მ), რომელიც ცარცისა და პალეოგენის ქანებითაა აგებული. მის თხემზე აღსანიშნავია დოლერიტული ლავის უზარმაზარი ლოდები, რომლითაც შემოზღუდული იყო ეკლესია. აქაური დოლერიტები არ განსხვავდება სამხ. საქართველოს პლატოების ანალოგიური ლავებისაგან. მკვლევართა აზრით, ეს ლოდები ქვემო ქართლის დოლერიტული პლატოს ნაწილია, რომელიც ეროზიის შედეგად მოსწყდა ძირითად ნაწილს და ტექტონიკურად გადაადგილდა („საქართველოს წითელი წიგნი".გვ.220).

158. სადირაშენისჴევი. ახლ. ფარცხისისწყალი, ალგეთის მარცხენა შენაკადი (თეთრიწყაროს რ.).

159. ზრბით-ოშეთისჴევი. ახლ. ფარცხისისწყლის (ვახუშტით, სადირაშენისჴევი) მდგენლები (თეთრიწყაროს რ.).

160. კაბენის მონასტრის ნანგრევები შემორჩენილია ასურეთისხევის სათავეში. ვახუშტის სიტყვით, მონასტერი „აღაშენა მეფემან თამარ". თამარის მეფობაში დაწყებული მშენებლობა გიორგის ძეებს — ნიკოლოზს, ვასილს, ოქროპირსა და გრიგოლს დაუსრულებიათ.

161. აზეულა. თანამედროვე კოჯრის ციხე (გარდაბნის რ.). პროფ. გრ. ზარდალიშვილი სამართლიანად შენიშნავს, რომ თურქულენოვანი მოსახლეობა კოჯრის ციხეს, როგორც ყველა ციხეს, „ქოროღლის" ეძახის, რაც უმართებულოა.

162. დოუბნის ჴევი. ახლ. პერიოდული მდ. კოტრეულისხევი. ვახუშტით, ის ერთვის ასურეთისხევს, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. ეს მდინარე ს. კოდასთან ახლოს იკარგება და მშრალ ხევად იქცევა. ხევში წყალი მხოლოდ წვიმებისა და ნიაღვრების დროს გაედინება.

163. ლომთაგორა. ახლ. მარნეულისგორა და ნაციხარი ქვემო ქართლის ვაკეზე (მარნეულის რ.).

164. საბარათიანო. სათავადო ქვემო ქართლში. XVI ს. დამდეგს საბარათიანო მაშავერის, ქციისა და ალგეთის აუზებს მოიცავდა. საბარათიანოს რეზიდენციას სამშვილდე წარმოადგენდა. XVI-XVII სს. რამდენიმე სათავადოდ დაიშალა.

165. საქართველო, როგორც მეაბრეშუმეობის ქვეყანა, ვახუშტიზე ადრე, რიგ ევროპელ მეცნიერთა ყურადღებას იპყრობდა. XIII ს. II ნახევარში იტალიელი მოგზაური მარკო პოლო საქართველოს ახასიათებს, როგორც აბრეშუმის წარმოებით განთქმულ ქვეყანას. უფრო ახალი დროის ავტორებიდან, ჩვენში მეაბრეშუმეობის განვითარებას ეხება ფრანგი პეისონელი. ვახუშტის თხზულების თავისებურებას, მეაბრეშუმეობის აღწერის თვალსაზრისით ის შეადგენს, რომ მასში მეურნეობის ეს დარგი განხილულია სივრცობრივად, ე. ი. გეოგრაფიული მიდგომით.

166. ვახუშტის იაღლუჯის მთაზე შეუნიშნავს აქატის „მსგავსი იამანის ქვისა", მინერალის — ვულკანური წარმოშობის ობსიდიანის არსებობა, რომელიც პროფ. ლ. მარუაშვილის აზრით, ჯავახეთიდან უნდა იყოს ჩამოტანილი.

167. კოჯრის ჴევი. პერიოდული მდინარე კუმისის ტბის აუზში. მას უკანხევსაც ეძახიან. სათავეს იღებს კოჯორ-საყარაულოს ქედის კალთაზე, მარცხნიდან იერთებს ასევე პერიოდულ მდ. ბულამისხევს (ვახუშტით, გუდელისის ჴევი) და ნაგუბის სახელწოდებით მიერთვის კუმისის ტბას.

168. ყურყუთა. ახლ. ფონიჭალის (სოღანლუღის) მტკვრისპირა ვაკე.

169. სარვანის მინდორი. ახლ. მდ. მტკვრის მარჯვენაპირეთის ვაკე ფონიჭალის სამხრეთით, რუსთავსა და იაღლუჯის მაღლობებამდე.

170. სკვირეთის მდინარე. ახლ. მდ. ვერე თბილისის მიდამოებში, მტკვარს მარჯვნიდან მიერთვის.

171. გელოვარის ჴევი. რუსული რუკების მიხედვით, „Пропалая Балка", სათავეს იღებს თბილის-მანგლისის გზატკეცილის სიახლოვეს, ორბეთის დასავლეთით (თეთრიწყაროს რ.), მარჯვენა მხრიდან ერთვის მდ. ვერეს.

172. რკინის ციხე. ბუნებრივი კლდე — სიმაგრე მდ. ვერეს ხეობაში, ბეთანიის ტაძრის აღმოსავლეთით. რამდენიმე წლის წინ აქ ჯერ კიდევ შეიძლებოდა ქვის ზღუდარის ნახვა (გარდაბნის რ.).

173. იმავდროულად ვახუშტი არაფერს ამბობს კახეთში სეტყვიანობაზე, მიუხედავად იმისა, რომ ამ რეგიონს კარგად იცნობდა. როგორც ჩანს, ვახუშტის ხანაში სეტყვა შიგნით კახეთში საშიშ სტიქიურ მოვლენად არ ითვლებოდა. სეტყვის ღრუბლები საქართველოში უმთავრესად სამხრეთ-დასავლეთიდან, დიდგორი-ვერეს ხეობა — გომბორის მიმართულებით შემოდიოდა. ვერეს მთელი ხეობა მაშინ ტყით იყო დაფარული და ამის გამო ღრუბლების განტვირთვა ძირითადად გომბორის ქედამდე ხდებოდა.

174. გარდაბნის საერისთავო. ქართლის სამეფოს სამხრეთ-აღმოსავლეთი განაპირა პროვინცია. საერისთავოს ცენტრი — ხუნანი მოიცავდა მდ-ების

ქციისა და ალგეთის ქვემო წელის სანახები, მტკვრის ორივე მხარეს, აზერბაიჯანის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის — მდ-ების ძეგამ-ჩაის, თოვუზ-ჩაის, აღსთაფა-ჩაის აუზები.

175. „არამედ გამოსვლისა ბერქა ყეენისა მოიხრდა" — იგულისხმება ომი ბერქა და აბაღა ყეენთა შორის. 1265 წ.

176. გარეჯის მთა. ვახუშტი გულისხმობს მდ-ების მტკვრისა და იორის წყალგამყოფ სერებს, გადაჭიმულს მდ. ლოჭინის მარცხ. მხარეზე უტყეო სამგორის სტეპური სერის, მისი სამხრეთული გაგრძელების — მთების: ქოჩორას, ქარაიაზ-ნაომარის, ლეჩურდაღისა და თეთრი უდაბნოს სერის სახით, რომლებიც გარეჯის მთებს უკავშირდებიან. ამ მთას ქართველი მეცნიერი ქართლისა და კახეთის საზღვრადაც მიიჩნევს.

177. გარეჯის სამონასტრო კომპლექსი. დავითგარეჯის მთაზე გადაჭიმულია 25 კმ სიგრძეზე, მრავალი საუკუნის მანძილზე ქრისტიანული კულტურის მნიშვნელოვანი კერა. პლატონ იოსელიანის ცნობით აქ არსებობდა 11 ეკლესია: აღდგომისა წამებული, ბერთუბანი, დოდო-წმიდა (დოდოს მონასტერი), იოანე ნათლისმცემლის, ჩიჩხიტური, თეთრისენაკები, მაღაზანა ანუ მღვიმე, ქოლაგირი, მოხატული, ვერანა გარეჯა, პირ-უკუღმართი. ამჟამად სამონასტრო ცხოვრება განახლებულია წმიდა დავითის ლავრაში.

178. ქართველი მეცნიერი ზუსტად გადმოგვცემს იმდროინდელი გარეჯის მთის (უდაბნო სერის) სამონასტრო კომპლექსის უტყეო ტერიტორიის არიდულ ხასიათს, სადაც მხოლოდ ძეძვი და ბალახმცენარეულობა ხარობს და სრულიად მოკლებულია ჰიდროგრაფიულ ქსელს, რასაც ადასტურებს ძველად იქ მცხოვრები ბერ-მონაზვნების მიერ წვიმის წყლის შესაგროვებლად კლდეში ამოკვეთილი ჭების (ორმოების) და ღარების დღემდე შემორჩენილი ნაშთები.

179. მტკვრის რუ. ახლ. ვახტანგ მეფის არხი — ყოფ. ყარაიის არხი (მარიინსკ არხი). გაყვანილია მტკვრისგან. იწყება ქ. რუსთავის მიდამოებში და გრძელდება ჯანდარის ტბამდე.

180. ყარაის ჭალა. ახლ. გარდაბნის ვაკე. გარდაბნის ველი.

181. საჯოგის ჭალა. ახლ. მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარე ტერასული ვაკე-ჭალა, ქ. რუსთავის ჩრდ-ით, სოფლებს ალთაღლას და ყარაჯალას შორის. ვახუშტის მიხედვით, ადრე ყარაღაჯის ჭალა რქმევია.

182. ომანის ჴევი. ახლ. ლოჭინისხევი, მდ. მტკვრის მარცხ. შენაკადი.

183. ბაკურიანის მთა. ახლ. თრიალეთის ქედის დას. ნაწილი — მ. საყველოსმთასა (2806 მ) და მ. კოდიანს (2689 მ) შორის.

184. ტფილისი. უძველესი დროიდან ეწოდებოდა აბანოების უბანს. შემდეგდროინდელ წყაროებში მას „საკუთრივ თბილისს" ანუ „ძველ ქალაქს" უწოდებდნენ. ვახუშტის დროს ტფილისად იწოდებოდა თვით ტფილისი, კალა და ისანი, ხოლო მის საზღვრებს გარეთ — „გარეთუბანი" ერქვა.

185. სალალაკის წყალი. ახლ. მდ. წავკისი (იგივე ლეღვთახევი ან დაბახანა), რომელიც ს. წავკისის დასავლეთით, კოჯორ-საყარაულის კალთებზე იღებს სათავეს და თბილისშივე სოლოლაკის სერის (ქედის) აღმ. დაბოლოებასთან ერთვის მტკვარს.

186. „ტფილისს დის ცხელი წყალი კლდიდამ". ქართველ მეცნიერს აღწერილი აქვს თაბორის ქედის ძირში, მტკვრის მარჯ. მხარეზე, წავკისის ხეობაში გამომავალი თბილი გოგირდოვანი წყლები.

187. სეიდაბადი. ძველი თბილისის ერთ-ერთი უბანი, დღევანდელ აბანოებისა და ბალნეოლოგიური კურორტის მიდამოებში.

188. განჯისკარი. ძველი თბილისის ერთ-ერთი უბანი (ადგილი) სოლოლაკისხევთან, სადაც ქალაქის გალავანში (ახლ. ბოტანიკური ბაღის ქვემო ნაწილთან) იყო ამავე სახელწოდების გასასვლელი.

189. სიონის ეკლესია. შერქმეულია იერუსალიმის სიონის მიხედვით აგებულია ღვთისმშობლის სახელზე. ტაძარის საფუძველი VI ს. ჩაეყარა. დღევანდელი სახე XI-XII საუკუნეებისაა. ტაძარი ბოლნისის ტუფითაა მოპირკეთებული.

190. ჯვარი. აგურით ნაგები გუმბათიანი ეკლესია თბილისში, ლესელიძის ქუჩაზე. V ს. აქ ეკლესია ყოფილა. თანამედროვე ნაგებობა XVI საუკუნისაა.

191. ანჩისხატი. (შავთელის ქუჩაზე) სახელი ეწოდა XVII ს. ანჩიდან (სამხრეთ საქართველო). აქ გადმოტანილი ცნობილი ოქრომჭედლის — ბექა ოპიზრის მოჭედილი დიდი ხატის მიხედვით. საყდარი აგებულია VI ს. დასაწყისში, ვახტანგ გორგასლის მემკვიდრის — დაჩის დროს.

192. ისანი. იგივე ავლაბარი, უბანი თბილისში, მტკვრის მარცხენა მხარეს, მეტეხის ციხის მიდამოებში.

193. მეტეხი. მტკვრის მარცხ. სანაპიროზე, კლდეზე აღმართული ეკლესია. დღევანდელი ტაძარი XIII საუკუნის 80-იან წლებშია აგებული.

194. წმიდა აბოს საფლავი. კლდოვანი ნიში თბილისში, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, მეტეხის კლდის ქვეშ.

195. სალალაკის კლდე. ახლ. სოლოლაკის სერის (ქედის) აღმოსავლური დაბოლოების ფლატე, კლდოვანი ფერდობი თბილისში.

196. ასპარეზი. მოედანი ძველ თბილისში, „ალექსანდრეს ბაღის" ქვემო ნაწილის ადგილზე. საჯირითო-სასპორტო მოედანს წარმოადგენდა.

197. ავლაბარი. თბილისის ერთ-ერთი ძველი უბანი მდ. მტკვრის მარცხენა მხარეზე. იხსენიება 1389 წლის მცხეთის ტაძრის სიგელში. XVII ს-ში შეიმჩნევა ავლაბრის ტერიტორიის ზრდა.

198. თბილისის ჰავის დახასიათებისას ვახუშტი რატომღაც ყურადღებას არ ამახვილებს ჩრდილო-დასავლეთურ ძლიერ ქარებზე. მკვლევარები ვარაუდობენ, რომ თბილისის რეგიონისათვის ამჟამად დამახასიათებელი ქარიანობა შესუსტებული იყო აქ არსებული ტყის ხშირი საფარის გავლენით.

199. იშიტუტრუქის კლდე. შეესატყვისება თბილისის ტერიტორიაზე, მამადავითის (მთაწმინდის) სამხრეთ-აღმოსავლეთ დაბოლოებაზე არსებულ კლდოვან ფლატეს.

200. ნავთლუღი. ახლ. თბილისის უბანი. სოფელი თბილისის აღმოსავლეთით, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე. XVIII ს. II ნახევარში შეერქვა აგრეთვე ერეკლესციხე (ერეკლე მეფის მიერ აქ ციხე-გალავნის აგების გამო).

201. ვახუშტის მხედველობაში აქვს თბილისის აღმოსავლეთით არსებული ყოფილი მლაშე ტბები: ავლაბრის, ილგუნიანისა და კუკიის, რომელნიც ჩვენ დროში თბილისის ზღვამ დაფარა.

202. დიდუბის მინდორი. ძველი თბილისის ჩრდილოეთით მდებარე ვაკე რელიეფი (დიდი+დუბე). თვით ს. დიდუბე ქვემო ქართლის უკიდურეს ჩრდ. საზღვარს წარმოადგენდა.

203. საბურთალოს ველი. იგივეა, რაც საბურთალოს ვაკე (საბურთალის მინდორი), ამჟამად თბილისის ერთ-ერთი მჭიდროდ განაშენიანებული უბანი.

204. დიღმის ჭეობა. ახლ. მდ. დიღმისწყალი (დიღმულა), მტკვრის მარჯვენა შენაკადი თბილისის ფარგლებში.

205. ნაქულბაქევი. ნასოფლარი დიღმის ველის ჩრდ. ნაწილში (მტკვრის მარჯვენა ნაპირზე). ამ ადგილს ეს სახელი ახლაც შენარჩუნებული აქვს.

206. დევის ნამუხლი. ადგილი მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ახლ. ზაჰესის საგენერატორო სადგურის მახლობლად. აქ არსებულ ხევის მონაკვეთს აქვს ადამიანის მუხლ-წვივის ფორმა.

207. ახალქალაქური. მონასტერი მცხეთის ხიდის სამხრეთით. იგივე წმიდა ნინოს ეკლესია, რომელიც მაღალი მთიდან დასცქერის სადგურ მცხეთას.

208. ჭევი ქართლისა. იგივე არმაზისწყალი, მტკვრის მარჯვენა შენაკადი (მცხეთის რ.).

209. არმაზი. უძველესი ქალაქი ქართლში, მცხეთასთან, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, იგივეა, რაც სტრაბონის „ჰარმოზიკა". ქალაქი გაშენებული იყო არმაზის კერპის ქვემოთ, მცხეთის ძველი ხიდის დასავლეთით, არმაზის ხევამდე. არმაზი ძველი დედაქალაქის ერთ-ერთ უბანს ერქვა (ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში. I, თბ., 1963, გვ. 170,182).

210. ციხედიდი. მდ. მტკვრის მარჯვ. ნაპირზე, ძეგვის აღმოსავლეთით (მცხეთის რ.), ახლ. დეკანოზისძეების დასახლება.

211. ძეგვის ჭევი, (ძეგვისწყალი) ახლ. მდ. ხეკორძულა. მდ. მტკვრის მარჯვ. შენაკადი. „ხეკორძულა" ვახუშტის თხზულებაში მოხსენებული არ აქვს.

212. ნიჩბისის ჭევი. ახლ. ნიჩბისისწყალი, მდ.მტკვრის მარჯვენა შენაკადი, სათავე აქვს დიდგორის ქედზე.

213. ნიჩბისი. ვახუშტის „სოფლების სიაში" ეს პროვინცია მცხეთასთან არის გაერთიანებული, ხოლო სოფლების ნუმერაცია ცალ-ცალკე გაკეთებული, რუკაზეც და ტექსტში ეს პროვინცია ცალკეა გამოყოფილი.

214. კოწახურის ფონი. მდ. მტკვრის ფონი ნიჩბისისწყლის შესართავთან.

215. გუდარეხის ჭევი. ახლ. გუდალეთისხევი, კავთურის მარცხ. შენაკადი (კასპის რ.).

216. ლავრა. ახლ. ლავრისხევი (კასპის რ.).

217. თვალივის სასახლე. ახლ. თვალადი (კასპის რ.).

218. სხერტის ჭალა. მდ. მტკვრის მარჯვ. სანაპიროს ალუვიური ვაკე ს. მეტეხსა და ს. გომს შორის.

219. ახალქალაქი. მდ. თეძამზე (კასპის რ-ნი). აშენებულია 1660 წ. როსტომ მეფის მიერ. ძველად მეფის ქალაქსაც უწოდებდნენ. 1946 წლამდე წითელი ქალაქი ერქვა.

220. ერთაწმიდა. თავდაპირველი სახელწოდება ყოფილა ესტატეწმიდა. აქ ახლაცაა XIII ს-ის წმინდა ესტატეს სახელობის ეკლესია.

221. ცხირეთის ციხე. ქართლის მეფეთა რეზიდენცია მდ. თეძმის ხეობაში, ს. ერთაწმინდასთან (კასპის რ.).

222. დრისის ციხე. ახლ. „ჯავახიანთციხე". მდ. თეძმის ხეობაში, ახალქალაქის სამხრეთით (კასპის რ.). ძველი სახელწოდების კვალი არეკლილია აქვე მდებარე „ზენადრისი"-ს სახელში.

223. დედაციხე. ციხე თეძმის ხეობაში, ეროქლის მთის ძირში. ამავე სახელით აღნიშნულია ვახუშტისა და XIX ს. დასაწყისის რუკებზე, ხოლო ვერსიან რუკებზე - „დევაციხის" სახელით მოიხსენება. ძველად „დედაციხედ" რამდენიმე ციხე იწოდებოდა. ლეონტი მროველი, ერთგან „დედაციხე"-ში სამშვილდეს გულისხმობს, მეორეგან —

ივრის ხეობის ბოჭორმას. თეძმის „ღელაციხე" ძველად კლდეკარიდან გამომავალ გზას კეტავდა და მტერს თეძმის ხეობისკენ გასვლის საშუალებას არ აძლევდა.

224. დოესის მინდორი. მტკვრისპირა ვაკე მდ. ხოვლეს ხეობის ქვემო ნაწილში. ხოვლეს ხევი აწლ. ხევხმელია. დოესის ველი მოხსენებულია ლუარსაბ მეფის მარტვილობაშიც.

225. წედისის ჴევი. აწლ. მდ. ათრევი, მდ. ტანას მარცხ. შენაკადი (გორის რ-ნი).

226. ვერის ჴევი. აწლ. მდ. ვერე, შიდა ქართლში, ტანას მარჯვ. შენაკადი (გორის რ-ნი).

227. ატენი. მცირე ქალაქი ტანას ხეობაში, XVIII ს-ში დაკნინდა. ამჟამად სოფელია გორის რაიონში.

228. საცივი. ატენის ციხის სამხრეთით, ტანას მარცხ. მხარეს არის კლდოვანი ადგილები ხვრელებითა და სიცარიელეებით. აქ ჩაფლული ყოფილა ქვევრები. ძველად ამ ადგილებს მარნად იყენებდნენ. ზამთრობით აქ თევზი მოჰქონდათ და ქმნიდნენ „საცივეს" (კ. ხარაძე, საქართველოს ისტორიული გეოგრაფია. შიდა ქართლი, თბ., 1992, გვ. 58).

229. სკრის ჴევი. აწლ. მდ. მაძლება, მტკვრის მარჯვენა შენაკადი (გორის რ.).

230. საციციანო. შიდა ქართლის ნაწილი. ეკუთვნოდა თავად ციციშვილებს. ეკავა მტკვრის მარჯვ. შემდინარეების — ძამის, ნეძვისწყლის, ხეკლურეთისწყლისა და გუჯარეთისწყლის აუზები, ე.ი. თრიალეთის ქედის ჩრდ. ფერდობის დასავლეთი ნაწილი. საციციანოს საზღვრები ცვალებადი იყო. ეს სახელწოდება დღემდე შემორჩა.

231. იმერჴევის ჴევი. აწლ. მდ. ღვანანა, ძამას მარჯვ. შენაკადი. ზემო დინებაში მას ორბოძალისწყალი ჰქვია (ქარელის რ-ნი).

232. ძამის მონასტერი. აწლ. ძაძვის მონასტერი, მდ. ძამის ხეობაში (ქარელის რ.).

233. მძორეთი. მცირე ქალაქი, აწლ. ნაქალაქარი „ზოვრეთი" ანუ „ძოვრეთი", ს. ორთუბანთან, ძამის ხეობაში (ქარელის რ.).

234. ძამის ციხე. აწლ. ზოვრეთის ციხე, ადრეფეოდალური ხანის ნაგებობა მდ. ძამის ხეობაში (ქარელის რ.).

235. მუხალეთის ჴევი. აწლ. მდ. ტყემლოვანისწყალი, ძამას მარჯვ. შენაკადი (ქარელის რ.).

236. აბუხალო. მდებარეობს მდ. ძამის ზემო წელში, სადაც ბევრი ხელოვნური გამოქვაბულია. ერთ-ერთ მათგანში არის ეკლესია, რომლის შესახებაც ვახუშტი მიუთითებს. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს მონასტერს უწოდებს. გამოქვაბულებს თავს აფარებდნენ მტრის შემოსევისას, განსაკუთრებით ლეკიანობის ჟამს.

237. რაჭის ჴევი. ერთ-ერთი ხეობა გუჯარეთის მახლობლად (ბორჯომის რ.). ეს სახელწოდება დღემდეა შემონახული.

238. კრისის ჴევი. აწლ. კრისხევი, მტკვრის მარჯვენა შენაკადი (ხაშურის რ.).

239. ვახუშტი ხარისხის მიხედვით განასხვავებს მტკვრის მარჯვენა და მარცხენა მხარეებზე დაყენებულ ღვინოებს: მარჯვენა მხარეზე მაღალხარისხოვან, ხოლო მარცხენა მხარეზე — თხელ და მომჟავო ღვინოებს აყენებდნენ. ასეთი განსხვავება აღნიშნულ ტერიტორიათა აგროკლიმატური პირობების სხვადასხვაობით აიხსნება.

240. ერჯევნის მთა. აწლ. არჯევანი, თრიალეთის ქედის ცენტრალურ მონაკვეთზე, წალკისა და გორის რაიონების საზღვარზე.

241. დადალულა მინდორი. მტკვრის შუა ხეობის ვაკე მდ. ალისწყლისა და მდ. ფცის შესართავებს შორის „... და ნაშენი და ფრიად ნაყოფიერი. ზამთარ პირუტყვთა ბალახი მოუკლებელი... გარნა ზაფხულს გაუძლისი" (ვახუშტი).

242. თორისწყალი და თორის ხეობა. ახლ. მდ. გუჯარეთისწყალი (მდ. მტკვრის მარჯვ. შენაკადი), რომელსაც სამხრეთიდან, ვახუშტის მიხედვით, ერთვის ბაკულიანისწყალი (ახლ. ბაკურიანისწყალი).

243. თორი. მხარე გუჯარეთისწყლის აუზში (ბორჯომის რ.). ძველად მოიცავდა ტერიტორიას ს. ყვიბისიდან, ვიდრე ს. დვირამდე.

244. სადგერი. ორმაგი ხეობა თორში, რომელშიც ბაკურიანის ლავური ღვარით გათიშული მდ-ები გუჯარეთისწყალი და ბორჯომულა გაედინებიან. ვრცელდება ბორჯომიდან წაღვერ-ცემამდე (ბორჯომის რ-ნი).

245. მომწყარა. ახლ. ცამალას ციხე, მაჭარწყლიდან 1 კმ-ზე, ბორჯომის მიმართულებით, შარაგზის მარცხ. მხარეზე.

246. სარბიელასპევი. ახლ. წინუბნისწყალი, გუჯარეთისწყლის მარჯვ. შენაკადი (ბორჯომის რ.). ს. მაკალათიას (ბორჯომის ხეობა, თბ., 1957, გვ. 19) მიხედვით, ახლ. აბანოსხევი.

247. ალეწი. ციხე თრიალეთის ქედზე, ქარელისა და ბორჯომის რ-ების საზღვარზე. ხუთვერსიან რუკაზე მოხსენებულია როგორც „Алерсис-цихе". გუჯარეთის ხეობის მოსახლეობა „ალის ციხეს", „ალესის-ციხეს", ზოგჯერ „ძმის ციხეს" უწოდებს.

248. მცხეთის ხიდი. მსოფლიოს საინჟინრო ნაგებობათა ერთ-ერთი უძველესი და შესანიშნავი ნიმუში. ეს ხიდი მოხსენებულია ანტიკურ ავტორებთან. ძველად ხიდი ერთმალიანი ნაგებობა ყოფილა და ქვის ბურჯებს ეყრდნობოდა. მაშინ მას „მოგვთის ხიდს" ეძახდნენ. V ს-ში ვახტანგ გორგასალს შეუკეთებია და ხიდის ორივე მხარეს მისასვლელები მიუმატებია. იარსება XIX საუკუნემდე. შემდგომ, მძიმე ტრანსპორტის განვითარებასთან დაკავშირებით, სახიფათო გახდა მისი ექსპლოატაცია. ამიტომ მცხეთის ძველი, ისტორიული ხიდი დაანგრიეს და იმავე ადგილზე 1839-1841 წლებში დიდი, მაღალი, ქვის ოთხმალიანი თაღოვანი ხიდი ააშენეს. მცხეთის თანამედროვე რკინის ხიდი 1926 წელს არის აგებული (ნ. კეზერელი-კობაძე, საქართველოს ძველი ხიდები, თბ., 1972, გვ.44-47).

249. სარკინეთის მთა. ახლ. სხალტბის ქედი, კვერნაქების აღმოსავლური ნაწილი. მდ. მტკვრის მარცხ. ნაპირზე. მდ. ქსნიდან, ვიდრე მდ. არაგვამდე.

250. კარსნის მთა. ახლ. თრიალეთის ქედის განშტოება, საწკეპელა-სათოვლიას ქედის აღმოსავლეთი ნაწილი, რომელიც მცხეთასთან წყდება მტკვრის ხეობაში და მცხეთის (ანუ არმაზის) ქედად იწოდება. ის თბილისის მიდამოს მარჯვენა მხარეზე ჩრდილოეთით უკანასკნელი ანტიკლინია (მცხეთის ანტიკლინი).

251. სარკინეთი. ანტიკური ხანის მცხეთის მეტალურგიული უბანი, მცხეთის დასავლეთით, შიომღვიმის მონასტრის მიდამოებში. არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურა, რომ სარკინეთი რკინის წარმოებით ყოფილა განთქმული.

252. შიოს მღვიმე. იგივე შიომღვიმე. მდებარეობს მტკვრის მარცხენა მხარეზე. XIII ს-ში „აღივსებოდა ყოველი იგი ხევები. გამრავლდა რიცხვი შეკრებულთა ძმათა ორი ათასად". ვახუშტის მოსაზრება: „იტყვიან, ძველად იდგა ჭ (5000) მონაზონნი..." გადაჭარბებული ჩანს.

253. ბელტის ციხე. ციხე სარკინეთის მთაზე: თავდაპირველად აქ ყამირი მიწისგან ნაგები ციხე ყოფილა, რომელიც არდაშ ერისთავს დაუქცევია და მის ადგილზე ქვიტკირის ციხე აუშენებია. ამჟამად „ბებრის ციხე" ჰქვია.

254. საფურცლე. ახლ. ნატახტარი. ეს სახელი ეწოდა მას შემდეგ, რაც აქ დროებით ტახტი ედგა თეიმურაზ პირველს.

255. ქსნის ჭევი. აქ ვახუშტი ქსნის ჭევს ხმარობს ქსნის საერისთავოს მნიშვნელობით, რომელიც, აგრეთვე, მოიცავდა მდ. რეხულას და, ნაწილობრივ, მეჯუდის აუზსაც.

256. მინდორი ნასპარსევისა. მდ. მტკვრის მარცხენაპირეთის ვაკე (მცხეთის დასავლეთით).

257. შიოსუბანი. ახლ. სოფ. მუხრანი (მცხეთის რ.).

258. თხოთის მთა. სერი მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, მდ-ების რეხულასა და ქსნის ხეობებს შორის, კვერნაქის გაგრძელება (კასპის რ-ნი).

259. ალაიანის მინდორი. ვაკე შიდა ქართლში, მტკვრის მარცხენა მხარეზე, ქსნიდან კასპამდე. აქვეა სოფ. ალაიანი.

260. ბოდორნის გამოქვაბულები. ბაზალეთის პლატოს ფლატეებსა და ბოდორნის ხევებში გამოკვეთილი გამოქვაბულები.

261. ზანდუკლის ჭევი. ახლ. საკანაფისხევი, მდ. არაგვის მარცხენა შენაკადი სოფ. არანისთან (დუშეთის რ.).

262. ანანურის ეკლესია. ვახუშტით, იგი გიორგი ერისთავს აუგია. სინამდვილეში, ეკლესია აგებულია 1689 წ. სარდარ ქაიხოსრო ბალსარაშვილის მიერ.

263. ნარეკვავის ხეობა. ვახუშტი ამ ხეობას ჭილურთის ზემოთ (დუშეთის რ.) გრემისხევს უწოდებს. ამ ხეობაშია ს. გრემისხევიც.

264. ბაზალეთი. მხარე შიდა ქართლში. ეკავა ნარეკვავის ზემო ნაწილსა და არაგვის წყალთაშუეთში მდებარე ბაზალეთის ტბის ირგვლივ ტერიტორია (დუშეთის რ.).

265. ტინისმთა. სერი ბაზალეთისა და წილკნის ვაკეს შორის (დუშეთისა და მცხეთის რაიონების საზღვარზე).

266. ბაზალეთის ტბა. ტბა დუშეთის რ-ში, ქ. დუშეთის სამხ-ით, 5 კმ-ზე, ზ.დ. 879 მ, ტბის სარკის ფართობი 1,22 კმ^2, სიღრმე 7 მ. საზრდოობს ატმოსფერული ნალექებით და დროებითი ნაკადებით. წყალი სუსტად მინერალიზებულია. ვახუშტი ზუსტად აგვიწერს ტბის მაშინდელ ხასიათს: „ტბა ბაზალეთისა, დუშეთის წინარე მდებარე, და არს ურგები და უთევზო, და წურბელი მრავალი. სხდებიან ფრინველნი მრავალნი". ასეთი იყო ბაზალეთის ტბა ამ საუკუნის პირველ ნახევარშიც. ჩატარებული რიგი ღონისძიებების შედეგად, ახლა ტბაში თევზი ბინადრობს (ქაშაპი და ნაფოტა). მოშენებულია ხრამული, წვერა და კობრი. ტბაზე მრავლადაა წყლისმოყვარე ფრინველიც.

267. წილკნის მთა. როგორც ჩანს, შეესატყვისება მუხრანის ქვაბულის ჩრდილოეთით მდ-ების არაგვსა და ნარეკვავს შორის გაწოლილ დაბალ ქედს — კვირაცხოველს.

268. მთიულთკარი. დღეს ეს ტოპონიმი გამქრალია, ლოკალიზდება ს. ჩამუშასთან.

269. გუდამაყარი. მოიცავს მდ. შავი არაგვის აუზს ფასანაურის ზემოთ (დუშეთის რ.).

270. მთიულეთი. აღმ. საქართველოს ერთ-ერთი მთიანი რეგიონი მდ. მთიულეთის არაგვის აუზში. მთლიანად შედის დუშეთის რაიონში. ძველად „მთიულეთად" იწოდებოდა საქართველოს ყველა რეგიონი, რომელიც კავკასიონის მაღალმთიან ზოლში მდებარეობდა („ქართლის ცხოვრება").

271. ციკარისწყალი. ახლ. მდ. წკერე. ვახუშტის მიერ ეს მდინარე აღნიშნულია როგორც ბიფურკაციის მოვლენა. ციკარისწყალი მდ. თეთრი არაგვის მარცხენა შენაკადია (დუშეთის რ.). მდინარის მეორე ტოტად ვახუშტი თეთრი არაგვის მარცხენა შენაკადს – კაიშაურისხევს თვლის.

272. ჴევი. აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთი მთიანი კუთხე, მდ. თერგის ზემო წელის აუზში (ყაზბეგის რ.).

273. ყელი. ახლ. ჯვრის უღელტეხილი (2384 მ ზ.დ.) კავკასიონის მთავარ ქედზე (ყაზბეგის რ.). „ყელს" მოხევეები ამჟამად ჯორით-ვაკეს (ჯვართ-ვაკეს) უწოდებენ. მოხეურ დიალექტზე „ჯორი" ჯვარს ნიშნავს (ვ. ითონიშვილი).

274. შთასავალი. იგივე მდ. ბიდარა (იწყება ჯვრის უღელტეხილიდან და მარჯვნიდან თერგს ერთვის).

275. ბროლი. ფიქლებთან (ზოგჯერ ძარღვების სახითაც) დაკავშირებული მინერალი (მომწვანო, მოწითალო, ნაცრისფერი და სხვ.), რომელიც თერგის ორივე მხარეს გვხვდება, ს. კობიდან დარიალის ხეობამდე (ყაზბეგის რ.).

276. არაგვი. ამ სახელწოდებით აღნიშნავდნენ ახლ. თერგის ზემო წელს. მას უწოდებდნენ ლომეკსაც.

277. ლომეკი. ახლ. მდ. თერგი. ვახუშტი მას არაგვსაც უწოდებს: „სადა დაიტაკებს მდინარე არაგვი ანუ ლომეკი".

278. ქისტისწყალი. ახლ მდ. არმხი, მდ. თერგის მარჯვ. შემდინარე.

279. კავკასიონის უმაღლეს მწვერვალად ვახუშტი მყინვარს (მყინვარწვერს) მიიჩნევს. XIX ს-მდე კავკასიის ქედის ტერიტორიაზე ზუსტი ჰიფსომეტრული გაზომვა არ შესრულებულა. მხოლოდ XIX ს-ის შუა ხანებში იოსებ ხოძკოს გეოდეზიური გაზომვით დადგინდა, რომ მყინვარწვერს აბსოლუტური სიმაღლის მიხედვით, კავკასიონის მწვერვალებს შორის მეექვსე ადგილი უჭირავს.

280. ქისტი. შეესაბამება ინგუშეთის ავტ. რესპუბლიკას (ჩრდ. კავკასია).

281. არშას ციხე. მდებარეობს ხევში, სიონთან ახლოს, თერგის მარცხენა მხარეზე, იმ მთის ძირას, რომლის კლდოვან კონცხზე შემორჩენილია არშის ციხის ნანგრევები და სალოცავები (ყაზბეგის რ.). ახალი არშა მდებარეობს მოშორებით (ვ. ითონიშვილი, ხევის ტოპონიმიკა, თბ., 1971, გვ. 98-101).

282. აჩხოტისჴევი. ახლ. მდ. სნოსწყალი, მდ. თერგის მარჯვ. შენაკადი ყაზბეგის რ-ში. აკად. ალ. ჯავახიშვილის რედაქციით გამოცემულ საქართველოს 1:200000 მასშტაბიან რუკაზე მოიხსენება როგორც შავი არაგვი და ღუდუშაურის ხეობა.

283. ბეთლემის ქვაბნი. მყინვარწვერის სამხრეთ-აღმოსავლეთით, კლდოვანი ქედის ფერდობზე, ზ.დ.4100 მ მდებარე ბეთლემის გამოქვაბული, ბერების ყოფილი საკანი, რომლის კარი გამოკვეთილია 400 მ სიმაღლის შვეულ ანდეზიტის კლდეში. აქვეა სხვა გამოქვაბულებიც. ქართველმა ალპინისტებმა 1948 წ. შეისწავლეს ეს ობიექტი (ს. ჯაფარიძე).

284. გელათისჴევი. ვახუშტით, იგივე გველეთი. ახლ. მდ. ხრიკისწყალი, თერგის მარცხენა შენაკადი (ყაზბეგის რ.).

285. დავითის ციხე. მდებარეობს ხევში, თერგის კლდეკარში. იგივეა, რაც დარიალის ციხე (ყაზბეგის რ.). რუსი ავტორები მას, შეცდომით, „თამარის ციხედ" მოიხსენიებენ.

286. ცხრაზმისჴევი. ახლ. მდ. ცხრაძმულა, ქსნის მარცხ. შენაკადი. ვახუშტი ცხრაზმას ქსნისა და ბაზალეთის შორის აღნიშნავს. ძველად ცხაზმისხევს უფრო

ფართო გეოგრაფიული მნიშვნელობა ჰქონია: საკუთრივ ქსნის ზედა წელის გარდა აქ, როგორც ჩანს, შედიოდა ისროლის, ქოლოთის და ქსოლის ხეობები

287. ჟამური. მდ. ქსნის ზემო დინების ხეობა ახალგორის რ-ში, ქარსისხის ჩრდილოეთით.

288. ბურციხე. მდებარეობს ქსნის სათავეში, ს. თოგოთიანის პირდაპირ, მჟავეწყლისა და ქსნის შესართავთან აღმართულ კლდის თავზე.

289. „მთა მარადის თოვლიანი“. ვახუშტი გულისხმობს ახლ. ალევის ქედს, მდ-ების არაგვისა და ქსნის წყალგამყოფს.

290. ქართლის ჩრდ. მაღალმთიანი რაიონები (ჟამური ანუ ქსნის სათავეები, მთიულეთი და ხევი) მეცხოველეობის სუსტადგანვითარებულ რაიონებად აქვს მოხსენებული. ამჟამად, პირიქით, აქ მეცხოველეობა სახალხო მეურნეობის წამყვან დარგად ითვლება. საფიქრებელია, რომ XVIII ს. დასაწყისში, პოლიტიკური ვითარების გამო, სამცხე-ხევ-მთიულეთის მოსახლეობა ბარის საზამთრო საძოვრებს ვერ იყენებდა.

291. წინკაბე. ციხე მდ. ჭურთის ხეობაში, მდინარის მარჯვენა მხარეზე ს. გაკაზთან (ახალგორის რ.).

292. ისროლისხევი. ახლ. მდ. მეჯუდის მარჯ. მდგენელი — მდ. არყიანი (არყიანისხევი). ფართო გაგებით ისროლისხევად იგულისხმება მდ. მეჯუდის ზემო ხეობა, ს. ბიყარს ზემოთ.

293. ჟამურის მთა. შეესატყვისება მდ. ძირისს (2595 მ), მდ. მეჯუდას სათავეში.

294. ბენდერი. ქედი შიდა ქართლში, მდ-ების ლიახვისა და მეჯუდას წყალთაშუეთში.

295. ორბოძალის მთა. თანამედროვე გამოკვლევები ადასტურებს ვახუშტის შენიშვნას იმის თაობაზე, რომ ორბოძალის მთაზე და, საერთოდ, საქართველოს კავკასიონის სუბალპურსა და ალპურ ზონებში, ტენიან მდელოზე იზრდება ძლიერშხამიანი ბალახეული მცენარე შხამა-ლობელიის, Чемерица, Veratrum Lobelianum. შხამასაგან დამზადებული პრეპარატი მედიცინასა და ვეტერინარიაში იხმარება ანტიპარაზიტულ საშუალებად (მ. სახოკია). ვახუშტი სწორედ ამ ბალახს უნდა გულისხმობდეს.

296. გვერდისძირი. მდ-ების პატარა ლიახვისა და მეჯუდას ხეობებს შორის, ს. ვანათიდან მეჯვრისხევამდე. გვერდისძირი ახლაც იხმარება, როგორც ტოპონიმი, მაგრამ ძველად მას უფრო ფართო მნიშვნელობა ჰქონდა.

297. გერისჴევი. ახლ. მდ. ღვრია, პატარა ლიახვის მარჯ. შენაკადი, ერედვის ს. ვანათთან. რუსულ ტოპოგრაფიულ რუკებზე ამ მდინარეს „გერია“-დ აღნიშნავენ.

298. შანბიანისჴევი. ახლ. მდ. გუფთა შიდა ქართლში (ცხინვალის რ.), პატარა ლიახვის მარცხ. შენაკადი. სათავეს იღებს მთა ძირისიდან (ვახუშტით, ჟამურის მთა). ჩრდილოეთიდან ჩამოუდის ნასოფლარ შამბიეთს.

299. ჩაბარუხეთისჴევი. ახლ. ჩაბარუხისწყალი, პატარა ლიახვის მარჯვენა შენაკადი (ცხინვალის რ.).

300. გერის მთა. ვახუშტი ამ სახელწოდებაში გულისხმობს გერმუხის ქედს (მ. გერმუხი). „... ამ ჴევს ზეით ერედვის ლიახვს ჴევი ჩაბარუხეთისა, გამოსდის გერის მთას...“ გერმუხის ქედს ვახუშტი მისი სამხრული განტოტების — გუდისის ქედთან ერთად წარმოიდგენს, გუდისის ქედი კი ცალკე არ აქვს დასახელებული.

301. ციხე ბეყჩოსი. ციხესიმაგრე მდ-ების პატარა ლიახვისა და ჩაბარუხეთისწყლის შესართავთან (ცხინვალის რ-ნი). „ძეგლი ერისთავთა“-ში იგი მოხსენიებულია „ბეხუშეს“ ფორმით.

302. ქნოლოს ტბა. ახლ. ყელის ტბა, ყელის ვულკანურ ზეგანზე. ტბიდან გამოედინება მდ. ქსანი. „ხოლო მდინარე ქსნისა ოძის ზეით, ბაზალეთისა და ალევის მთის დასავლით, დის და გამოსდის ქნოლოს...".

303. მადრანდვალეთი. დიდი ლიახვის ზემო წელში მდებარე ხეობები — ქრმინისწყლისა და ჩელიათისწყლის აუზები (ჯავის რ.). სახელწოდების კვალი შემორჩენილია მთიულებსა და ოსურ მოსახლეობაში დამახინჯებული ფორმით — „მადრანდორი", „მადრანდოლი".

304. ზემო ქართლი. XVI-XVIII სს. ვახუშტი შიდა ქართლს ზემო ქართლს უწოდებს. ცხადია, ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ოსმალებმა დაიკავეს ისტორიული ზემო ქართლის მნიშვნელოვანი ნაწილი. ამიტომაც ტერმინმა „ზემო ქართლი," შესაბამისად. მდ. მტკვრის ხეობის გასწვრივ გადმოიწია (ჯ. გვასალია, ფრონის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, VII, თბ., 1989, გვ. 35).

305. კოლბეურის მთა. შეესაბამება ახლ. მ. ძირს, რომელიც იმერეთის პლატოზე ს. კორბოულის მიდამოებშია აღმართული (1108 მ).

306. აშურიანის მინდორი. მდ. მტკვრის მარცხენაპირეთის ვაკე, ქ. კასპის დას-ით, მტკვარსა და კვერნაქის სერს შორის.

307. უსისტყისხევი. ახლ. ტორტლა, რეხულას მარჯვენა შენაკადი, რომლის შესართავი ს. იგოეთთან არის (ს. მაკალათია).

308. წოლდისხევი. ახლ. მდ. წოლბუდე, მდ. რეხულას მარჯვ. შენაკადი, გამოედინება უსანეთის მთიდან (1858 მ) და მიერთვის რეხულას ს. ქვემო ზახორთან.

309. საამილახორო. XV ს-ში ქართლის სამეფოში შემავალი ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეული. მოიცავდა მდ. რეხულას (ლეხურა) აუზს და მდ. მეჯუდას მარცხენა სანაპიროს (შუა მონაკვეთზე). მოგვიანებით საზღვრები გაფართოვდა. მას ესაზღვრებოდა სამუხრანბატონო, საერისთავო, საფავლენიშვილო, სამაჩაბლო, საავალიშვილო და სამხრეთით მდ. მტკვრამდე ვრცელდებოდა (მ. ქიქოძე).

310. უფლისციხე. კლდეში ნაკვეთი ციხე-ქალაქი ქ. გორის აღმოსავლეთით, 7-8 კმ-ზე, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე. ის ჯერ კიდევ ძვ. წ. VII-VI სს-ში არსებობდა. აქვეა VI ს. სამნავიანი ბაზილიკა. IX-X სს-ში ახალი ეკლესია აუშენებიათ. ამ დროს თბილისში არაბები ბატონობდნენ და უფლისციხე ქართლის ცენტრს წარმოადგენდა. ის ძლიერ დაზარალდა მონღოლების შემოსევის დროს. ამის შემდეგ მან, როგორც ქალაქმა, არსებობა შეწყვიტა (ა. ზაქარაია).

311. რუისის მთა. კვერნაქების სერის (ქედის) დასავლეთი მონაკვეთი, მდ. ლიახვის დასავლეთით.

312. ტონთიო. ვახუშტი, ისტორიკოს ჯუანშერთან დაცული ცნობის მიხედვით, ტონთიოს ანუ „ოქროს მთას" ქ. გორთან და მის „ციხის გორასთან" აიგივებს. ზოგიერთი მკვლევარი ტონთიოს ჯავახეთში (ს. ყაურმა) გულისხმობს.

313. სველნეთის ფშანი. ახლ. მდ. ტორტლა, მეჯუდას მარცხენა შენაკადი.

314. ქცხინვალი. ახლ. ქ. ცხინვალი. წყაროებში მოხსენებულია ქრცხინვალის, ქრცხილვანის სახელწოდებითაც. ნაწარმოებია ქრცხილას (რცხილას) სახელიდან.

315. ვანათ-გერისხევისა და დიდი ლიახვის განმყოფი. ვახუშტი გულისხმობს ახლ. გერმუხის ქედის სამხ. განშტოების — დიდი ლიახვისა და პატარა ლიახვის წყალგამყოფის — გუდისის ქედის სამხრეთ მონაკვეთს.

316. უდაბნო. საბაწმინდის (ცხინვალის რ.) მონასტრის ჩრდილოეთით 2 კმ დაშორებით. ეს სახელი ეწოდა ე.წ. „მოლოზნის კლდეს", დარანებსა და ჯერ კიდევ შემორჩენილ გვირაბებს, რომლებიც ამჟამად სოფელ ხეითის ტერიტორიაში შედის. აქ ცხოვრობდნენ ბერმონაზვნები; შემორჩენილია ციხე-კოშკები, გვირაბი.

317. საბაწმინდა. „აქა არს კარკალი, სადაცა ზამთარ დნების თოვლი, ხოლო ზაფხულს ჰყინავს, და ხმარობენ ზაფხულ ყინულად" — ასე აღწერს ქართველი მეცნიერი საბაწმინდის საყინულეს, რომელიც პატარა სოფლის საბაწმინდის სანახებში მდებარეობს, ქ. ცხინვალის ჩრდ.-აღმ-ით. 2კმ. დაშორებით. საყინულეს ტერიტორიას „მოლოზანასაც" ეძახიან. ეს არის ცირკისმაგვარი ღრმული, რომლის კალთები და ფსკერი ლოღნარით არის დაფარული. ამ ლოღნარებს შორის დარჩენილ სიცარიელეში, კლდოვან ნაპრალებში, ზაფხულობით ყინული ჩნდება, რომლითაც მოსახლეობა უხსოვარი დროიდან სარგებლობდა. ვახუშტიმ პირველმა მოგვცა საქართველოს რიგი ყინულოვანი მღვიმეების დახასიათება.

318. თირის მონასტრის ჴევი. ახლ. პატარა მდინარე მონასტრისხევი; ადრე ლიახვს ერთვოდა, ხოლო კეხვის არხის გაყვანის შემდეგ, ამ უკანასკნელს ერთვის მარჯვნიდან.

319. ბეყმარი. მდებარეობს ფრონეების ხეობაში (ქარელის რ-ნი). ნ. ბერძენიშვილი, გეოგრაფიულ სახელთა საძიებელში, ბიყართან აიგივებს, რაც უზუსტობაა.

320. „ჴევი სვერსა და ქემერტს შუა". ახლ. სვერისხევი (ქართლის), ლიახვის მარცხ. შენაკადი.

321. ითრაფულა. ახლ. მდ. ითრაფისი, ლიახვის მარჯვენა შენაკადი. მას ერთვის ითრაფისის მიდამოებში.

322. სოხოსჴევი. ახლ. სარიტაათა, ფაწას მარჯვენა შენაკადი. იწყება ალხაშენდის უღელტეხილის მიდამოებში და ს. სოხთასთან ერთვის ფაწას.

323. მიწა სასუნებელი. ს. ხვწის (ჯავის რ.) მიდამოებში არის ე.წ. „სასუნებელი აბანო". აქ ამოდის ნახშირორჟანგის ემანციები, რომლის ყნოსვა, ადგილობრივ მკვიდრთა გადმოცემით, თავისა და თვალის ტკივილს უხდება. აირის შემადგენლობა ასეთია: ნახშირორჟანგი — 70%, აზოტი — 28%, მეთანი — 1,6%, ჟანგბადი — 0,4%. „სასუნებელ მიწას" ვახუშტი აღნიშნავს აგრეთვე ონის რ-ნის ს. უწერასთან და ქ. ონთან — „აქავ არს მიწა, რომელსა უწოდებენ სასუნებლად, რომელი დავსწერეთ ქართლსაც, არამედ ესე უმეტეს ძალიანი, რამეთუ გარდაფრენილი ფრინველი მას ზედა ჩამოვარდების სუნისაგან" და კიდევ „... არს ესე ონსაცა, გარნა ესევე უმჯობესი".

324. კოშკისჴევი. ახლ. მდ. კოშკა, ერთვის მდ. ლიახვს მარჯვნიდან ს. ვანელთან.

325. ბჟისჴევი. ახლ. მდ. სბა (სბალონი). ერთვის მდ. ლიახვს მარჯვნიდან ს. ზღუბირთან.

326. დვალეთი. ახლ. მდ. არდონის აუზი, ჩრდილო კავკასიაში.

327. მშხლებისჴევი. ახლ. მდ. ბრითათა, მდ. ლიახვის მარცხ. მდგენელის — ერმანისწყლის მარცხ. შენაკადი.

328. თიხრევისჴევი. ახლ. მდ. ტილიანი, აღმ. ფრონეს მარცხ. შენაკადი, ცხინვალის რ-ნი.

329. „ითხრების ქვა შავი დუდეთს. ამ ქვით ბურჯენ ეკლესიებსა, სიბრტყისა და სიმსუბუქისათვს". ვახუშტი აფიქსირებს ახლ. ცხინვალის რ-ნის ს. დოდოთის (ვახუშტით, დუდეთი) მიდამოებში არსებულ ლეასური თიხა-ფიქლების გამოსავლებს. ეს ფიქლები მტკიცეა, ძლიერფიქლოვანი (ფურცლოვანი), შავი ფერისაა

მოლურჯო ელფერით. ადგილობრივი მცხოვრებნი მას უძველესი დროიდან შემოსალობად და შენობების სახურავად იყენებდნენ.

330. **ცეცხლისჯვარი.** ბორცვისებური მაღლობი სოფლებს ბრეთისა და ფცას შორის (ქარელის რ.).

331. **ჭიამარიამული.** ვახუშტის „საქართველოს გეოგრაფიაში" ვკითხულობთ: „წყვერს ქვეით, არადეთის, არს ჭია მარიამული, რომელი ჰკურნებს ბრაზიანის ნაკბენს სმითა". შენიშვნაში მარი ბროსე აკეთებს დასკვნას: მიუხედავად იმისა, რომ დედანში არის „ჭია" და არა „ჭა" — მას მართებულ ფორმად მიაჩნია „ჭა". ასევეა მ. ჯანაშვილის მიერ როგორც ქართულ, ისე რუსულ ენაზე გამოცემულ ტექსტში (1904) — „Ниже Цвери, в Арадети есть колодец Мариамули, вода которого излечивает укушенных зараженными водобоязнью". 1941 და 1973 წლების გამოცემებსა და ნუსხებში, ყველგან „ჭია" გვხვდება. დავით და იოანე ბაგრატიონების ლექსიკოგრაფიულ ნაშრომებში ვკითხულობთ: „მარიამ ჭია ბუზის ტოლია, ტანით წითელი და ზურგზედ ორი შავი ხალი აქვს, გაფრინდება კიდეც. ეს რომ ბარაქიან დაჩეჩქო, არაყში ამოჭყლიტო და მუცელს რომ ასჩხვერდეს, ცხენს დაალევინო, უშველის". იგივეა ჭიამაია.

332. **ჭოლიბურისხევი.** ახლ. სამწყარო, დვანისწყლის მარჯვ. შენაკადი, რომლის შესართავი დვანის ფარგლებშია (ქარელის რ.).

333. **ფცისწყალი.** მდ. დას. ფრონე, შესართავთან — ფცა, მტკვრის მარცხ. შენაკადი.

334. **აბანოსწყალი.** ახლ. ლოპანისწყალი, ფცის ფრონის მარცხ. შენაკადი (ქარელის რ.).

335. **აბანოს თბილი წყალი.** სახელწოდება თბილი სამკურნალო წყლის არსებობაზე მიგვანიშნებს. მართლაც, აქაურ თბილ წყალს ახლაც იყენებენ სამკურნალოდ. მსგავსი სამკურნალო წყაროები ვახუშტის სხვა რეგიონებშიც აქვს შენიშნული და აღწერილი.

336. **ოქონა.** სოფელი შიდა ქართლში. აქ ცხოვრობდნენ ფალავანდიშვილები, რომელთა ნასახლარებიცაა შემორჩენილი. აქვეა გადაგვარებული კაკლის ხეები. ვახუშტის თქმით: „აქა არს ნიგოზი; გასტეხო რა, ნებალი მისი არს ნახევარი ნიგოზი და ნახევარი თხილი". ადგილობრივ მცხოვრებთ ახსოვთ ასეთი კაკლის ხეები ფალავანდიშვილების ნამოსახლარზე (კ. ხარაძე, 1992).

337. **ალისწყალი.** ახლ. მდ. ჭერათხევი, სურამულას მარცხ. შენაკადი. ვახუშტი ჭერათხევს ალისწყლის ზემო დინებას უწოდებს.

338. **სურამისწყალი.** ახლ. მდ. სურამულა, მდ. ფრონეს შენაკადი.

339. **სურამისხეობა.** იგივეა, რაც სურამისწყლის (სურამულას) ხეობა.

340. **ჩდილისხევი.** ახლ. მდ. ზვარულა, მდ. ჩხერიმელას მარცხენა შენაკადი (ხარაგაულის რ.).

341. **ხეფინისხევისწყალი.** ახლ. მდ. რიკოთულა, ძირულის მარცხ. შენაკადი.

342. **ხეფინისხევი.** ახლ. მდ. ძირულის ხეობის მონაკვეთი ს. ვერტყვილიდან ს. ნადაბურამდე. იგივეა, რაც ვერტყვილა-ხეფინისხევი.

343. **ნეძვისხევი.** ვახუშტით, მდინარე და დასახლებული პუნქტი მტკვრის მარცხენა მხარეს. სინამდვილეში ნეძვისხევი (ახლ. ნეძურა ანუ ნეძვისწყალი) მტკვრის მარჯვენა შენაკადია ახალდაბასთან ახლოს; ამ მდინარეზე მდებარეობდა ს. ნეძვი და ს. ზემო ნეძვი (ახლ. ნასოფლარები ბორჯომის რ-ნში),

344. ბაკულიანისწყალი. იგივეა, რაც ბაკურიანისწყალი, მდ. გუჯარეთისწყლის მარცხ. შენაკადი. გუჯარეთისწყალს ვახუშტი მოიხსენიებს, როგორც თორისწყალს.

345. ეშმაკთუბნისჴევი. ახლ. მდ. ბანისხევი, მტკვრის მარცხენა შენაკადი (ბორჯომის რ.).

346. დღვაშისჴევი. მტკვრის მარჯვენა შენაკადი, რომელიც სათავეს დაბაძველის ლავური პლატოს ჩრდ. ნაწილში იღებს და მტკვარს ბორჯომ-ბალთან შეერთვის.

347. ყვერბილისჴევი. ახლ. მდ. გომნისხევი, მტკვრის მარჯვენა შენაკადი (ბორჯომის რ.).

348. ღადოს მთა. ვახუშტი ღადოს მთას ფერსათის მთასთან აიგივებს და მასში მესხეთის ქედის აღმოსავლურ ნაწილს გულისხმობს.

349. ტოპონიმ „კახეთ"-ს საუკუნეთა განმავლობაში სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდა: ვიწრო და ფართო. ტოპონიმების: „კახეთი", „კუხეთი" და „ჰერეთი" შინაარსისა და მათი ტერიტორიული სივრცის განსაზღვრა გარკვეულ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში უნდა მოხდეს, რადგანაც ამ ტოპონიმების შინაარსი და ურთიერთდამოკიდებულება სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვაგვარად აღიქმებოდა. ამით არის გამოწვეული ქართულ საისტორიო წყაროებში ამ ტოპონიმების ხშირი მონაცვლეობა. თავდაპირველად, ფარნავაზის დროს, კახეთის სამამასახლისო (ძვ.წ. IV-III სს.) კახეთის საერისთავოდ იქცა, რომელთანაც კუხეთის სამამასახლისოც გაერთიანდა. ამრიგად, კახეთ-კუხეთი ერთ პოლიტიკურ ერთეულს — საერისთავოს წარმოადგენდა. IV ს. I ნახევარში, ვახტანგ გორგასლამდე, „კუხეთი" ცალკე ერთეულად (საერისთავო) არის წარმოდგენილი, ხოლო შემდგომ კვლავ კახეთის შემადგენლობაშია. VI ს-ის II ნახევარში კახეთის საერისთავოს შემადგენლობაშია ჰერეთიც. VII ს-ში კახეთის საერისთავო დაიშალა და კახეთ-კუხეთ-ჰერეთის საერისთავოები უკვე ცალ-ცალკე არსებობს. VIII ს-ის 30-50-იან წლებში წარმოიშვა კახეთის სამთავრო. „კახეთის" შინაარსმა საგრძნობი ცვლილებები განიცადა; კახეთს ჩამოსცილდა ჰერეთი, სამაგიეროდ, მის ფარგლებში შევიდა გარდაბანი, ხოლო კუხეთის საერისთავო, ამ დროიდან უკვე, საბოლოოდ, კახეთთან ერთად არის წარმოდგენილი. IX ს. მიწურულს იქმნება ჰერეთის სამეფო; XI ს.10-იან წლებში კახეთი და ჰერეთი ერთიანი საქართველოს შემადგენლობაშია. XII ს. კახეთის საერისთავოს შემადგენლობაში შედიოდა ჰერეთიც. XV ს. კვლავ წარმოიქმნა კახეთის სამეფო, რომელმაც 1762 წ-მდე იარსება და შემდგომ ქართლ-კახეთის სამეფოს შემადგენლობაში შევიდა (თ. პაპუაშვილი).

350. მთა კახეთისა. ვახუშტი გულისხმობს ახლ. კახეთის ქედს. მაგრამ, ლეონტი მროველთან, კახეთის ხვედრი ტერიტორიის განსაზღვრისას, რომელსაც ამ შემთხვევაში გულისხმობს ვახუშტი, მთა კახეთისა უნდა იყოს დღევანდელი საგურამო (ზედაზენი) — იალონის ქედი ანუ ის, რასაც ვახუშტი „მთა კუხეთისა ანუ ზედაძნისა"-ს უწოდებს.

351. ელისენი. ვაკე, მდ. ალაზნის ქვემო დინების მარცხენაზე მხარეზე.

352. კუხეთის მთა. ახლ. საგურამოს ანუ ზედაზნის ქედი და მისი აღმოსავლური გაგრძელება — იალონის ქედი.

353. მცირე ალაზანი. ახლ. მდ. იორი. „ხოლო არს ქვეყანა ამას შინა უდიდესნი მდინარენი ალაზანი და მეორე მცირე ალაზანი ანუ იორი"...

354. აღმოსავლეთ საქართველოს რიგ რაიონებში, 250 წლის წინ, ისევე როგორც დღეს, აუცილებელი ყოფილა მიწების რწყვა. ვახუშტი მკაფიოდ მიუთითებს მდ. ივრის

ქვემო წელში წყლის რესურსების სიღარიბეზე. მიწების მორწყვის აუცილებლობას აღნიშნავს ვახუშტი შიდა ქართლშიც, კერძოდ, რუისის სანახებში, რომლებიც მდ. ლიახვით ირწყვებოდა.

355. გარეთ კახეთი. მხარე აღმოსავლეთ საქართველოში, ივრის ხეობაში, გომბორის ქედის დასავლეთით.

356. ერწო. მხარე ივრის აუზში. ისტორიულად ერწოში შედიოდა ახლ. ერწოს ტაფობის აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ადგილებიც, მდ. ივრის დაყოლებით ჟალეთიდან ს. ბოჭორმამდე.

357. ერწოსწყალი. ახლ. მდ. აძეძი, ივრის მარჯვ. შენაკადი (თიანეთის რ.).

358. თიანეთისწყალი. ახლ. მდ. ქუსნო, მდ. ივრის მარჯვ. შენაკადი, თიანეთის ქვაბულში.

359. თიანეთი. მხარე, ივრის ზემო დინების აუზში, ცენტრი — ბოდოჯი. ვახუშტის დროს თიანეთი ჟინვალამდე ვრცელდებოდა. ადმინისტრაციულად, ჯერ კახეთის საერისთავოში, ხოლო შემდგომ კახეთის სამეფოში შედიოდა.

360. ბოკოწანი. ახლ. გალავანი მდ. არაგვზე (მცხეთის რ.). ეს სახელწოდება მიიღო XVIII ს-ის მეორე ნახევარში, გალავნის აგებასთან დაკავშირებით.

361. ხევსურეთი. აღმ. საქართველოს მთიანეთის ერთ-ერთი მხარე კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ და, ნაწილობრივ, ჩრდ. კალთებზე, მდ. ხევსურეთის არაგვის, არხოტისწყლის (შემდეგში ასა) და შატილ-მიღმახევის (შემდეგში არღუნი) ხეობებში. იყოფა პირიქით და პირაქეთ ხევსურეთად.

362. ფშავი. მხარე კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებზე, მდ. ფშავის არაგვისა და მისი შენაკადების ხეობებში. ტოპონიმი „ფშავი" XV ს-დან გვხვდება, მანამდე ის ხევსურეთთან ერთად ფხოვად იწოდებოდა.

363. „ბოდავს არს მონასტერი". საუბარია ფუძნარის ეკლესიაზე, ბოდავისხევის სათავეში.

364. ხერკისჭევი. ახლ. მდ. თეზამი, არაგვის მარცხ. შენაკადი.

365. ქართველი მეცნიერის ამ დაკვირვებას ადასტურებს ცნობილი მეტეოროლოგ-სინოპტიკოსების (ა. ბალაბუევი, მ. კორძახია) გამოკვლევები. კუხეთის ანუ საგურამოს ქედზე Alto-Cumulus Lenticularis („დაბრკოლებათა ღრუბლების ტიპი") სახით ღრუბლების გამოჩენა დაკავშირებულია დასავლეთის ცივი ჰაერის მასების შემოჭრასთან, რაც მართლაც იძლევა თბილისსა და მის მიდამოებში, რამდენიმე საათით ადრე, ქარიანი ამინდის წინასწარმეტყველების შესაძლებლობას.

366. ავჭალა. სოფელი და ციხე. ამჟამად თბილისის უბანია.

367. რუსთავი. V ს. ვახტანგ გორგასალმა აქ დააარსა საეპისკოპოსო კათედრა. XIII ს. 40-იან წლებში რუსთავი ოქროს ურდოს მბრძანებელმა ბერქა ყაენმა დაარბია.

368. „ვაკის" ცნების გარდა, მის სინონიმებად ვახუშტი ხმარობს გეობოტანიკურ ცნებებს — „ჭალა", „ველი", „მინდორი". მაგ., „მტკვრის კიდეზედ არს ჭალა ყურუქთა, და აწ სოღლალუღი წოდებული... ამ ჭალიდამ იაღლუჯამდე, და კუმისის ტბამდე, და მტკვრამდე არს მინდორი დიდი, აწ წოდებული სარვანისა, მეფეთა აქლემთა დგომისათჳს, უწყლობით უნაყოფო". „ტფილისის ჩდილოთ არს მინდორი დიდუბისა... მის სამჴრით არს ველი საბურთალისა", „...სამგორს უწოდებენ სამის გორისათჳს, რომელი არს ველსა სწორსა ზედა..."

369. მოსაბრუნი. ვახუშტი ზუსტად გადმოგვცემს მდ. ალაზნის კალაპოტის დინამიკას და მის შედეგად გაჩენილ გეოგრაფიულ ობიექტებს: მეანდრებს („მიმდინარე მომრგვალეთ"), ყურეებს, კუნძულებს, ნახევარკუნძულებსა და ნამდინარევებს („ნარით-

ნალებს"). ასეთი კალაპოტი ტიპურია ვაკის მდინარეთათვის. და მართლაც, ალაზანი მდ. შაროხევის (ქვემო წელში — ავანის) შესართავის ქვემოთ, ვიდრე ს. სამთაწყაროს მიდამოებამდე, ძლიერ მეანდრირებული კალაპოტით გაედინება, ვიწრო შესასვლელიან „მარყუჟებს" (ვახუშტით, ყურეებს), ნამდინარევებს („ნარიონალებს"), კუნძულებსა და ნახევარკუნძულებს აჩენს. განსაკუთრებით აღსანიშნავია, 4-5 კმ სიგრძისა და 2 კმ სიგანის ტყით დაფარული კუნძული „ციხიანის ყურე" და აგრეთვე, მის მოპირდაპირე (ალაზნის მარჯვენა ნაპირზე) მხარეზე მდებარე, თითქმის იმავე სიდიდის კუნძული, რომელიც სამი მხრიდან მდინარითაა შემოფარგლული („მორტყმული არის წყლითა"), ხოლო მეოთხე მხრიდან ძველი ნამდინარევი — მლაშე წყალი. დიდი ნახევარკუნძულია „ზემო ციხიანის ყურე", ადგ. „ნაომარი", ნამდინარევებით („ნარიონალებით") გარშემორტყმული ადგ. „ნაკალოვარი" და სხვ. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ვახუშტის მონაცემები მდ. ალაზნის შესახებ პირად დაკვირვებებს ემყარება.

370. ბოეთანი. დაბა მდებარეობდა მდ-ების ბელაქნისწყლისა და ალაზნის შესართავში (ამჟამად ბელაქნის რ., აზერბაიჯანი).

371. ქისიყი. ტოპონიმი „ქისიყი" ლიტერატურულ წყაროებში XV ს. გვხვდება. უფრო ადრინდელ წყაროებში კამბეჩოვნად მოიხსენიება. თავდაპირველად ჰერეთის მხარეში შედიოდა, მოგვიანებით კი — კახეთის სამეფოში. ქისიყი ანუ ქიზიყი ივრ-ალაზნისშუეთის ქვემო ნაწილს მოიცავდა, სამხრეთით — ელდარის დაბლობს, ხოლო დასავლეთით — ლაკბისხევამდე ვრცელდებოდა.

372. კამბეჩოვანი. სტრაბონით, კამბისენა. დაახლოებით იგივეა, რაც ქისიყი. თავდაპირველად ჰერეთის მხარეში შედიოდა, მოგვიანებით — კახეთის სამეფოში. მოიცავდა კახეთის სამეფოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს. დაახლოებით ემთხვევა ახლ. სიღნაღის რ-ნის დიდ ნაწილს და მთლიანად დედოფლისწყაროს რაიონს.

373. გაღმა მხარი. კახეთის ისტორიული მხარე. მოიცავდა მდ. ალაზნის მარცხენა მხარეს. შიგნით კახეთის მიმართ ეს მხარე გაღმაა. იგივე ალაზანგაღმა კახეთი.

374. „თოლა ... მაჭი". ციხესიმაგრე მაწიმისწყლის ხეობაში (ლაგოდეხის რ-ნი). აგებულია IX ს-ში.

375. შიგნით კახეთი. გვიანი შუა საუკუნეების კახეთის ერთი მხარის სახელწოდებაა, ისტორიული ჰერეთის შემადგენილი ნაწილი, მოიცავს მდ. ალაზნის აუზის მარჯვენა მხარეს ქ. ახმეტიდან ს. კარდანახამდე. სამხრეთით გომბორის ქედამდე ვრცელდება. თანამედროვე გაგებით „შიგნით კახეთი" მთლიანად ალაზნის ვაკეს მოიცავს.

376. „ტრაწაყალის ციხის" ნანგრევები დღესაც უნდა იყოს შემორჩენილი მდ. მაწიმის (მაწიმისწყლის) ქვემო დინების ხეობაში.

377. „ციხე ლაკვათისა... აწ ლაგოეთად წოდებული". ახლ. ლაგოდეხი, სადაც, მართლაც, არის ძველი ციხის ნანგრევები.

378. ჭიაური. ნასოფლარი ნეინისწყლის დასავლეთით, წნორ-ლაგოდეხის საავტომობილო გზისპირას. ახლ. ერეთისკარი (ლაგოდეხის რ.).

379. ბედიყრისწყალი. ახლ. მდ. ავანი, ალაზნის მარცხენა შენაკადი (ყვარლის რ.).

380. ყვარლისწყალი. ახლ. მდ. დურუჯი, ალაზნის მარცხენა შენაკადი.

381. ახტალა. ამჟამად ქ. გურჯაანის ტერიტორიაზეა, ტალახით სამკურნალო კურორტი, რომელსაც აღწერს ვახუშტი.

382. საბუე-გრემისწყალი. ახლ. მდ. ინწობა, ალაზნის მარცხენა შენაკადი.

383. კისისჴევი. იგივეა, რაც წინანდლისხევი, მდინარე ალაზნის მარჯვენა შენაკადი.

384. ლოპოტი. ლოპოტის ციხესიმაგრის ნანგრევები კლდოვან კონცხზე, ლოპოტისწყალსა და მის შენაკად გონჯისხევს შორის.

385. ლოპოტისა და თურდოს შესართავები ერთმანეთის პირისპირ არიან განლაგებული. შესაძლებელია, ვახუშტის დროს, თურდო ალაზანს ერთვოდა ლოპოტის ზევით.

386. უტოსჴევი. ახლ. მდ. ილტო, შიგნით კახეთში, მდ. ალაზნის მარჯვ. შენაკადი.

387. ბახტრიონის ციხე. ციხესიმაგრე შიგნით კახეთში, რომლის მახლობლადაც 1695 წ. მოხდა ქართველთათვის მეტად მნიშვნელოვანი ბრძოლა სპარსელებთან. დღეს, რამდენიმე ნაეკლესიარისა და კედელ-კოშკების მცირე ნანგრევების გარდა, აღარაფერია შემორჩენილი.

388. ლორწობანი. ვახუშტით, იგივე ბახტრიონი. მეცნიერთა უმეტესობა მას ქსნის ხეობაში (შიდა ქართლი), ლორწობნის კლდესთან აიგივებს.

389. „უტოსჴევს ზეით ერთვის ალაზანს ჴევი"... დღევანდელი ხევისჭალა, რომელზედაცაა მარილისი, ქაჩალაური და სხვ.

390. პანკისი. მოიცავს მდ. ალაზნის ზემო დინების ხეობას ბახტრიონამდე (ახმეტის რ.).

391. ციხე ხორჯისა ანუ მახველი. ამ ციხის ნანგრევები დღემდე შემორჩენილია ალაზნის სათავეში, ხადორს ზემოთ, მახვილოს ხევზე.

392. დიდოეთი. ისტორიული მხარე დაღესტანში მდ. ანდის ყოისუს აუზში (შაურის რ.). XVII ს. დამლევამდე დიდოეთი საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა. XVIII ს. I მეოთხედში პოლიტიკურად კვლავ კახეთის სამეფოს ემორჩილებოდა. XVIII ს. II ნახევრიდან დიდოეთი საქართველოს გამოეყო. ვახუშტის თქმით, დიდოეთის „კახეთის მჴრისანი ჰყმობენ კახთა მეპატრონეთა და აძლევენ ხარკთა და არა ლაშქართა, რათა ვიდოდნენ სავაჭროდ კახეთს..." 1770 წლის საბუთში აღნიშნულია, რომ დიდოეთი ასი წელია, საქართველოსგან წართმეულია-ო.

393. ოსეთის აღწერილობაში განსაკუთრებული სისრულით და სიზუსტითაა დახასიათებული კავკასიონის შინაგანი, მაღალმთიანი ზონის ბუნებრივი კომპლექსი და მისი ურთიერთკავშირი ადამიანის სამეურნეო საქმიანობასთან. „ოვსეთისა ანუ კავკასიათა შინათა" აღწერისადმი მიძღვნილ თავს ვერც ხევის აღწერა შეედრება და მით უმეტეს, ვერც საქართველოს დანარჩენი მაღალმთიანი (თუშეთი, ხევსურეთი, რაჭა, სვანეთი, აფხაზეთი) კუთხეების აღწერა. ვახუშტისათვის ოსეთის ბუნებისა და მეურნეობის საფუძვლიანი დახასიათება, მაღალმთიანი კუთხეების აღწერის ეტალონია. „არს ქვეყანა ესე ფრიად მაგარი და შეუვალი მტერთაგან, მწირი, ვითარცა აღვსწერეთ ოსეთი." იგი ოსეთთან შედარებას იშველიებს დიდოეთის, თუშეთის, ქისტეთის, სვანეთის ზოგადი დახასიათებისას. ოსეთის აღწერილობაში ვახუშტის მოცემული აქვს კავკასიონის მაღალმთიანი ფაუნის უშესანიშნავესი წარმომადგენლების — ჯიხვისა და შურთხის დახასიათება. ძალზე ბევრი ფაქტობრივი მასალა მოწმობს იმას, რომ მაღალმთიან კუთხეთა ბუნებასა და მეურნეობაზე წარმოდგენა ვახუშტის ოსეთის (კერძოდ დიგორის) გავლისას შექმნა. კავკასიონის გადალახვისას შეძენილმა ცოდნამ გაუადვილა ჩვენს წინაპარს ამ მთიანი მხრის გეოგრაფიული აღწერა და შეაძლებინა თავისი ეპოქის მეცნიერული მოთხოვნის დონის შესაფერისი თხზულების შექმნა, კავკასიის ქედის ამ მნიშვნელოვანი ნაწილის შესახებ.

394. თუშეთი. საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული კუთხე კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის ჩრდილო კალთაზე. მოიცავს პირიქითი ალაზნისა და

თუშეთის ალაზნის ხეობებს, რომლებიც მაკრატელას ქედით გაყოფილია პირიქითისა და გომეწრის ხეობებად. ვახუშტით, „პირიქითის ხეობა" — „ფარსმანის თუშეთია".

395. სონა. ვახუშტით, მდ. თერგის შენაკადი. სინამდვილეში თუშეთიდან გამომავალი მდინარეები თერგს არ ერთვიან. თუშეთისა და პირიქითი ალაზნის ნაკადების შეერთების შემდეგ, დაღესტნის ტერიტორიაზე, იღებს ანდის ყოისუს სახელს, რომელიც, თავის მხრივ, სულაკს უერთდება. ეს უკანასკნელი დამოუკიდებლად ერთვის კასპიის ზღვას.

396. ფარსმანის თუშეთის ჴევი. ანდის ყოისუს მდგენელი. ახლ. მდ. პირიქითი ალაზანი.

397. ფარსმანის თუშეთი. პირიქითი ალაზნის ხეობა თუშეთში.

398. „ქისტ-ღლიღვიდამ წამოსული კავკასი". იგულისხმება მდ. თუშეთის ალაზნისა და პირიქითი ალაზნის წყალგამყოფი მაკრატელას ქედი.

399. კახეთის თუშეთი. ვახუშტი აქ გულისხმობს წოვა-გომეწარ-ჩაღმას ხეობებს: „ხოლო პანკისის გარდასწორ, კავკასს იქით, არს წოვა; წოვას ქვეით გომეწარი და მის ქვეით ჩაღმა".

400. ფარსმანის ჴევი. ახლ. პირიქითი ალაზნის ზემო დინება.

401. ჟღელე. ახლ. ს. „ზითს" ჩრდ. ოსეთში. „ჟღელეს" უწოდებენ რაჭველები. „ჟღელისჴევად" იწოდებოდა მდ. არდონის ზემო ხეობა.

402. ქურთაული. ადმინისტრაციული ერთეული. ეკავა მდ. ფიაგდონის აუზი, ალაგირისა და ვლადიკავკაზის რ-ნებში (ჩრდილო ოსეთი).

403. ვალაგირი. მხარე, მოქცეული იყო მდ. არდონის შუა წელის ქვაბულში, კლდოვან ანუ კირქვიან ქედსა (ჩერქეზეთის მთა) და „შავ მთებს" შორის (ჩრდილო ოსეთი).

404. ფაიქომი. მხარე, მოიცავდა ფიაგდონის აუზს (ალაგირის რ., ჩრდილო ოსეთი).

405. დიგორი. კასრისხევის ანუ თანამედროვე არდონის დასავლეთი მხარე (ჩრდილო ოსეთი).

406. ჴევისყელი. ახლ. ჯვრის უღელტეხილი.

407. ვახუშტის წარმოდგენა ჰქონდა კავკასიონის გამყინვარებაზე, დაწყებული ჯიქეთის მთებიდან (დასავლეთი კავკასიონი) დამთავრებული ხევის აღმოსავლეთი საზღვარზე აღმართული ქედით, რომელიც შეესაბამება შავანას ქედს. პროფ. ლ. მარუაშვილი მიიჩნევს, რომ ვახუშტისთვის ცნობილი იყო უფრო აღმოსავლეთით მდებარე რაიონების გამყინვარებაც. ვახუშტი აღმოსავლეთ კავკასიონის ბუნებას ოსეთის ბუნების ანალოგიურად მიიჩნევს, ხოლო ოსეთში იგი მძლავრი ყინულსაფარის არსებობას აღნიშნავს. ვახუშტის ცნობები კავკასიონისა და მისი მყინვარების შესახებ რეალურ წარმოდგენას ქმნის მყინვარებზე და 1724 წელს, სხვა ქართველ ემიგრანტებთან ერთად, გურმიყეცეკის უღელტეხილის გადალახვისას ოსეთის მყინვარებზე — ყარაუგომზე და ფასტაგზე — პირად დაკვირვებას ემყარება.

408. ჩერქეზეთის მთა. კავკასიონის ჩრდ. ფერდობის ერთ-ერთი განწვრივი ქედი, რომელიც დანაწევრებულია თერგის სისტემის მდინარეთა ხეობებით.

409. თაგაურის მდინარე. ახლ. მდ. გიზელდონი, მდ. თერგის მარჯვ. შენაკადი.

410. ჩიმითის წყალი. ახლ. გენალდონი (ჩრდილო ოსეთი).

411. ქურთაულის წყალი. ახლ. მდ. ფიაგდონი.

412. ვალაგირის წყალი. იგივე მდ. არდონი. ვახუშტი ამ მდინარეს და დვალეთში გამომდინარე მდ. კასრისხევს (არდონის ზემო წელს) სხვადასხვა მდინარეებად მიიჩნევს.

413. დვალეთი. საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული მხარე კავკასიონის ქედის ჩრდილო მხარეზე. მოიცავდა მდ-ების არდონის, ფიაგდონისა და გიზელდონის აუზების ზემო ნაწილებს (ჩრდილო ოსეთი).

414. იალბუზი. ვახუშტით, კავკასიონის მარადთოვლიანი მთის მასივის სახელწოდება. ქართლის მოსახლეობა ამ სახელით მთა ბრუტსაბძელს გულისხმობს.

415. ბალყელიძე (ბალყელიძენი). მხარე კავკასიონის მთიანეთში, დიგორის აღმოსავლეთ ნაწილში. ახლ. ურუხის მარჯვ. შენაკად — აიგამუგიდონის აუზში.

416. ბალყელიძის წყალი. ახლ. აიგამუგიდონი (ურუხის აუზი).

417. რიონი ოსეთისა. შეესაბამება მდ. ურუხს (ჩიკოლას რ., ჩრდილო ოსეთი). მდ. რიონის აუზის მოპირდაპირე მხარეზე, ჩრდილო კავკასიაში, დიგორში, ვახუშტი მიუთითებს მდ. რიონს: „...მოდის სამჴრიდამ ჩრდილოთ კერძოდ და ჩადის ჩერქეზში, მიერთვის ლომეკს. ამას უწოდებენ რიონსავე, ვინაიგან მასვე კავკასსა გამოსდის აქათ, და იქით — რიონი იმერეთისა...".

418. ბასიანი. ისტორიული მხარე კავკასიონის ჩრდილო ფერდობზე, დიგორის, რაჭისა და სვანეთის საზღვარზე. თანამედროვე ყაბარდო-ბალყარეთის მთიანი ნაწილი (მდ. ფსიპანსუს ხეობა).

419. ქისტეთი. კავკასიონის მთიანეთის მხარე, თანამედროვე ინგუშეთი. ვახუშტით, ქისტეთს ეკავა ჯარიეხის (მდ. არმხის) ხეობა.

420. ძურძუკი. კავკასიონის მთიანეთის მხარე. ახლ. მდ-ების არმხის და ასას ზემო წელი.

421. ღლიღვეთი. ისტორიული მხარე კავკასიონის მთიანეთში, თანამედროვე მთიანი საჩაჩნო (მდ. შაროარღუნის აუზში).

422. ღლიღვის მდინარე. ახლ. მდ. ასა, მდ. თერგის მარჯვ. შენაკადი.

423. „მიერთვის წყალსა" — მდინარის სახელი გამოტოვებულია. როგორც ჩანს, თანამედროვე არღუნი იგულისხმება, სუნჯის მარჯვენა შენაკადი.

424. ბორაღნის წყალი. ახლ. მდ. სუნჯა, თერგის მარჯვ. შენაკადი.

425. „და შორისი". გამოტოვებულ ადგილას იგულისხმება დიდოეთი.

426. „არს ჴეობა". გამოტოვებულია თანამედროვე მდ. შაროარღუნი, არღუნის მარჯვენა შენაკადი.

427. სამცხე-საათაბაგო. სახელწოდება „სამცხე-საათაბაგო" XIV ს. წარმოიშვა. „სამცხე-საათაბაგოს" გეოგრაფიული მნიშვნელობა იგივეა, რაც ფართო გაგებით — „სამცხე".

428. ზემო ქართლი. ფიზიკურ-გეოგრაფიულად მოიცავს მტკვრის აუზს ს. ტაშისკარს ზემოთ, ვახუშტის განმარტებით კი — საქართველოს იმ ნაწილს, რომელიც მდებარეობდა ტაშისკარს ზემოთ, ვიდრე შავ ზღვამდე.

429. ფერსათის მთა. იგივეა, რაც ლალი. ამ სახელწოდებით ვახუშტი აღნიშნავს აჭარა-იმერეთის ქედს, უფრო ზუსტად, მის აღმოსავლეთ ნაწილს.

430. რკინისპალო. ადგილი შავი ზღვის სანაპიროზე ქ. რიზესთან (თურქეთი), რომელზეც გადიოდა საქართველოს საზღვარი. ამავე სახელწოდებით უნდა ყოფილიყო ცნობილი ჭანეთის (პონტოს) ქედის ერთ-ერთი დასავლეთი შტოქედი.

431. ვახუშტის „საქართველოს გეოგრაფიაში" ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს რელიეფის აღწერას. ყურადღებას იქცევს მთიან მხარეთა აღწერის ლაკონური

სტილი. ავტორი ორიოდე წინადადებით ახერხებს თითქმის ამომწურავად ასახოს მხარე; ალაგ-ალაგ მიმართავს დახასიათების დაპირისპირებისა და ანალოგიურობის ხერხებს.

432. მესხის მთა (იგივე მოსხის მთა), ძველი ბერძნული სახელწოდება, ვახუშტის მიხედვით, ჩრდილო სომხეთის ტავრის აღნიშნავდა. პ. ინგოროყვას (1954, გვ. 484, 485) მოსაზრებით, მოსხის მთები ეწოდებოდა მრავალ წყალგამყოფ ქედს, რომლებიც ჭოროხისა და მტკვრის ხეობებს არაქსისა და ევფრატის ხეობებისაგან ჰყოფს, და აგრეთვე ამ მთავარი ქედის სამხ. განშტოებას ე.წ. დევაბოინის შტოს. ფართო გაგებით, მოსხის მთები აღმ. პონტოს მთაგრეხილის ნაწილს წარმოადგენდა, გადაჭიმულს ჭოროხის ქვემო წელიდან, ვიდრე ტრაპიზონ-ბაიბურდის ხაზამდე.

433. ახალციხისწყალი. შეესატყვისება მდ. ქვაბლიანის ქვემო დინებას. პროფ. დ. მარუაშვილი კი — მდ. ფოცხოვის ქვემო წელს გულისხმობს. ეს უზუსტობა იმან გამოიწვია, რომ ადრე ფოცხოვი ახალციხის ქვაბულის მთავარ მდინარედ და მტკვრის შენაკადად ითვლებოდა. ამჟამად მთავარ მდინარედ ქვაბლიანია მიჩნეული, ფოცხოვი კი — მისი შენაკადია.

434. დემოთის ციხე. ვახუშტით, ქვაბისხევის დასავლეთით, მტკვრის კიდეზე მდებარეობს, სინამდვილეში კი მდ. ქვაბისხევის შუა დინებაზე, მდინარის აღმ. ნაპირზეა.

435. ბობნავისჴევი. ახლ. მდ. ღვირუღა. იწყება კოდიანის მთიდან და ს. ღვირის მიდამოებში მტკვარს ერთვის მარჯვნიდან. აქ ვახუშტის მიერ დაშვებულია უზუსტობა — ბობნავისჴევი მოდის სამხრეთ მტკვრამდე და არა „ჩრდილოდამ სამჴრით მტკვრამდე“.

436. თიხრევისჴევი. იგივეა, რაც თიხელისხევი, მდ. მტკვრის მარჯვ. შენაკადი.

437. აწყური. ახლ. ს. აწყური (ახალციხის რ.). თავდაპირველად სოსანგეთი ეწოდებოდა.

438. ბოცოსწყალი. ახლ. მდ. ღადვი, მდ. ქვაბლიანის მარცხ. შენაკადი.

439. ზიკილიისჴევი. შეესატყვისება ახლ. მდ. წირიოხისღელეს, მდ. მტკვრის მარცხ. შენაკადს (ახალციხის რ.).

440. ხოსპიოსჴევი. ახლ. მდ. ელისღელე, მდ. მტკვრის მარჯვ. შენაკადი, ახალციხის რ.

441. აბანოსჴევი. ახლ. მდ. წინუბნისწყალი, მტკვრის მარცხ. შენაკადი ახალციხის რ-ში: „მოერთვის მტკვარს წინუბანს აბანოსჴევი. გამოსდის ფერსათს და მოდის სამჴრით“.

442. წნისისჴევი. ახლ. წნისისწყალი, მდ. მტკვრის მარცხ. შენაკადი. (ახალციხის რ.).

443. ჯვარისციხე. ეს ციხე ქართულ წყაროებში ციხისჯვრის სახელითაც იხსენიება. ახლა უწოდებენ ციხისძირსაც. მდებარეობს ჭვინტის ჩრდილოეთით.

444. ბორჯომისჴევი. ახლ. მდ. ლაშისხევი, ქვაბლიანის მარჯვ. შენაკადი ქ. ახალციხესთან.

445. ლიკანისჴევი (სამცხის). ახლ. მდ. ლერწმანა, მდ. ქვაბლიანის მარცხ. შენაკადი (ახალციხის რ.). „ამ ახალციხეს უდის წყალი თჳსი სამჴრით, და დასავლით ლიკანისჴევი, რომელი გამოსდის ფერსათს და მოდის სამჴრეთად.“

446. ოცხისწყალი. ახლ. მდ. აბასთუმნისწყალი ანუ ოცხე, ქვაბლიანის მარცხ. შენაკადი (ადიგენის რ.).

447. საუბარია ახლ. აბასთუმნის ცხელ წყაროზე, რომელიც მდ. ოცხეს ხეობაში ეოცენის ვულკანოგენურ ქანებში გამოედინება სამ ნაკადად. მათი ჯამური დებიტი 1 მლნ ლიტრია დღე-ღამეში, ხოლო წყლის ტემპერატურა 48° C. აბასთუმანი კურორტად სწორედ ამ წყაროების წყალობით იქცა. აბასთუმნის (ვახუშტით, ოძრახე) თერმომინერალური წყალი სულფატურ-ქლორიანია და შესანიშნავი სამკურნალო თვისებებით გამოირჩევა.

448. კაკასხიდი. ადგილია ახლ. ხანისწყლის ხეობაში (ბაღდათის რ.). იმერეთში ხშირად გაიგონებთ — „გაიარა კაკასხიდი"-ო, რაც უკვალოდ დაკარგვას ნიშნავს და საქართველოს შავბნელ წარსულთანაა დაკავშირებული. იმდროინდელ სათათრეთში ტყვეები გასაყიდად გაჰყავდათ კაკასხიდით. ეს უკანასკნელი მიუვალ კლდეზე აშენებული ციხე იყო, ოსმალეთის საზღვარზე. მდევარი თუ კაკასხიდამდე მოასწრებდა მოტაცებულ ტყვეს, შეიძლებოდა უკან დაბრუნების იმედი ჰქონოდა. მაგრამ თუ კაკასხიდს გაივლიდა, იმედდაკარგული მდევარი ჭირისუფალს იმასღა ეტყოდა — „კაკასხიდი გაიარა"-ო, ე.ი. ტყვე საბოლოოდ დაკარგულიაო, რადგანაც კაკასხიდს იქით მოტაცებულებს ოსმალები ელოდებოდნენ, რომლებიც მათ „საქონლის" საფასურს გადაუხდიდნენ და შემდეგ შეუფერხებლად წაიყვანდნენ ტრაპიზონს, სტამბოლს და თვით აფრიკასაც (ალექსანდრიას), ტყვეების გასაყიდად ბაზრისაკენ (თ. სახოკია). ახლაც არის აქ ძველისძველი ხიდი, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებნი გვიჩვენებენ კაკასხიდად. ალბათ, ციხესაც და ამ ხიდსაც კაკასხიდი ერქვა. სწორედ ამ ხიდის შესახებ მიუთითებს ვახუშტი.

449. ქვაბლოვანის წყალი. ახლ. მდ. ქვაბლიანი, მესხეთში, მდ. მტკვრის მარცხ. შემდინარე.

450. აჭარის მთა. ვახუშტის მიხედვით, აჭარის ქვაბულის ირგვლივ მდებარე ქედები.

451. წურწყუმა (წურწყაბი). სოფელი და ეკლესია სამცხეში. ფოცხოვის ხეობაში მისი ადგილმდებარეობის აღნიშვნა შეცდომაა. სინამდვილეში, მდებარეობდა ველისციხის მახლობლად (ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზეა).

452. ფოცხვისჴევი. ახლ. მდ. ფოცხოვი, მდ. ქვაბლიანის მარჯვ. შენაკადი, მესხეთში.

453. ცუნქისჴევი. ახლ. მდ. ურაველი, მდ. მტკვრის მარცხ. შენაკადი.

454. ხინგის მდინარე (ხინგრის წყალი). როგორც ჩანს, ვახუშტი გულისხმობს ჭობარეთის ჴევს. უფრო სწორი უნდა იყოს ყარაჩაი ანუ ინჯასუ. ხუთვერსიან რუკაზე მითითებულია „არდაგანკა", მტკვრის მარცხ. შენაკადი, ს. აჩხიას ნანგრევების ახლოს (ასპინძის რ.).

455. მგელციხე. ამჟამად თურქეთის საზღვრებშია, ავლახის გაღმა. მას ახლა ქურტკალე ეწოდება, რაც „მგელციხის" თურქული შესატყვისია. ვახუშტით, „მგელციხე" ასპინძის ტერიტორიაზეა, მტკვრის მარჯვენა მხარეზე.

456. შორაპანი. მონასტერი. ვახუშტით, მდებარეობს თანამედროვე ასპინძის ჩრდილო-აღმოსავლეთით. ე. თაყაიშვილი მას „შორეთიან" (ასპინძის რ.) აიგივებს. ამჟამად მას ტაიჯას ან ჭიტასაც უწოდებენ. შორეთის სამონასტრო კომპლექსისა და ციხის ნაშთები ამჟამად ს. ოთადან ჩრდილოეთით 5-6 კმ-ზეა შემორჩენილი.

457. ვარენთა. ესაა ვარენთის ციხე და ხევი, მტკვრის მარცხენა მხარეზე, ასპინძის ზემოთ.

458. შულავრისჴევი. შეესაბამება ტოლოშისხევს, მტკვრის მარცხ. შენაკადი. როგორც ჩანს, იგი უნდა იყოს შოლოსწყალი, რაც შულავრისწყლად იქნა გააზრებული.

459. ჭაჭარაქისჴევი. მდ. მტკვრის შენაკადი მინაძის მიდამოებში, ხოლო ხერთვის-ვარძიას შორის კი არის ჭაჭკარისხევი და არა ჭაჭარაქისხევი.

460. ვარძია. კლდეში ნაკვეთი გამოქვაბულია სამონასტრო კომპლექსი მდ. მტკვრის მარცხენა მხარეზე, გამოკვეთილი ვულკანური წარმოშობის ტუფებში. ეს ქანი ფრიად ხელსაყრელია კვეთისათვის, ადვილად იჭრება და თანაც, სიმტკიცის გამო, კარგად უძლებს ჟამთა სიავეს. ვარძიის კომპლექსი 5-6 სართულად არის განლაგებული და აგებულია XII-XIII საუკუნეებში. წინა ფასადი მიწისძვრების შედეგად ჩამონგრეულია.

461. კარწახის ტბა (ხოზაფინის). გაუდინარი მლაშე ტბა ჯავახეთში, მარილიანობის გამო უთევზოა. ვახუშტის ცნობით კი თევზით, უმეტესად —კალმახით ყოფილა სავსე. კალმახს — მტკნარი და სუფთა წყლის მოყვარულ თევზს — მლაშე ტბაში არსებობა არ შეუძლია. აღსანიშნავია, რომ ამ ტბას დონისა და ქიმიური შედგენილობის მკვეთრი ცვალებადობა ახასიათებს. ამიტომ, სავარაუდოა, ამ 1-2 საუკუნის განმავლობაში მომხდარი ცვლილებების (დონის დაწევა, მტკვრისკენ წყლის გადინების შეწყვეტა და მარილის დაგროვება) გამო, აქ თევზი ახლო წარსულში გადაშენებულა. საყურადღებოა ერთი გარემოება: 1595 წლის „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში" კარწახის ტბის მიდამოებში სოფლის მცხოვრებთათვის თევზის გადასახადი ნახსენები არ არის. ამრიგად, ვახუშტის ცნობა კარწახის ტბის თევზიანობაზე არ დასტურდება. ამ წინააღმდეგობის ახსნა შეიძლება, თუ დავუშვებთ, რომ 1595 და 1745 წლებს შორის, ე.წ. „მცირე მყინვარულ ეპოქასთან" (დროებით აცივებასთან) დაკავშირებით, კარწახის ტბის დონე ამაღლდა, წყალმა იწყო გადენა მტკვრისკენ და ტბაში თევზი დამკვიდრდა. ამ გარემოებას თუ გავითვალისწინებთ, ვახუშტი შეიძლება არ ცდებოდა (ლ. მარუაშვილი, 1956).

462. ფოსოსწყალი. ახლ. ყარაჩაი, მტკვრის მარჯვ. შენაკადი. ვახუშტი, შეცდომით, კარწახის ტბის შემდინარედ თვლის.

463. ბარალეთის მდინარე. ვახუშტი მართებულად მიუთითებს, რომ ბარალეთის მდინარე ჯავახეთის მტკვარს მიერთვის ჩრდილოეთიდან, მაგრამ შემდეგ დაშვებულია მექანიკური უზუსტობა: უნდა იყოს მიედინება „სამჴრეთად" (უფრო ზუსტად, სამხრეთ-აღმოსავლეთად) და არა „აღმოსავლეთად".

464. აზავრეთისჴევი. ახლ. ძავრეთი. მდ. ჯავახეთში, ბარალეთისწყლის მარჯვენა შენაკადი. მისი შესართავი მდებარეობს სოფ. კოჭიოსთან (ახალქალაქის რ.).

465. ახალქალაქისწყალი. ახლ. კირხბულაღი. იგივე მურჯახეთისწყალი, ფარავნის მარცხ. შენაკადი ქ. ახალქალაქთან.

466. ხავეთის ტბა. ტბა ხანჯალი (ხანჩალი) ჯავახეთში.

467. ამირანის გორა. ექსტრუზიული დაციტური ბორცვი ჯავახეთში. ქ. ახალქალაქის აღმ-ით. აბს. სიმაღლე — 1883 მ, შეფარდებითი — 200 მ. რუკებზე ის აღნიშნულია, როგორც მ. თავშანი (თავშანთაფა).

468. ტბა ფანავრისა. ახლ. ფარავნის ტბა ჯავახეთში. ვახუშტი მიუთითებს, რომ იგი მდებარეობს საღამოს ტბის სამხრეთით. აქ მექანიკური შეცდომაა, უნდა იყოს საღამოს ტბის ჩრდილოეთით.

469. ერუშეთი. ძველი საქართველოს ერთ-ერთი პროვინცია მტკვრის ზემო ნაწილის აუზში, ერუშეთის ქედის სამხრეთით. ვახუშტით, მას უკავია ერუშეთის მდინარის აუზი (თურქეთი).

470. არტანი. ძველი საქართველოს ერთ-ერთი მხარე, რომელშიც შედიოდა ყოფილი არტაანის ოლქი, ფოცხოვის რ-ნის გამოკლებით. აღმოსავლეთით საზღვრავდა

ყარსის მთის შტო, დასავლეთით არსიანისა, სამხრეთით — ფესატ მთა და კოლას მიდამოები.

471. კოლ ძველი საქართველოს ერთ-ერთი მხარე, მტკვრის სათავეებში, არსიანიდან ყარსის მთებამდე. შეადგენდა არტაანის მხრის ნაწილს და შედიოდა წუნდის საერისთავოს ფარგლებში.

472. ბანა. ახლ. ფენიაქი (თურქეთში), ქართველთა სამეფოს სახელმწიფოებრივი ცენტრი IX ს-ის II ნახევარში.

473. ხვარამზეს ხიდი. ჭოროხის ზემო წელში, ციხე იშხანის ზემოთ.

474. აჭარა. ვახუშტის დროს აჭარა მოიცავდა აჭარისწყლის ხეობას. ისტორიულ პერიოდში ადმინისტრაციულ-ტერიტორიულად აჭარა იცვლებოდა: XIII ს. 60- იან წლებში მესხეთის მფლობელობაში იყო. XIV ს. მეორე ნახევარში — გურიელის სახელისუფლოშია. XVII ს. 70-იან წლებში ოსმალოებმა დაიპყრეს. თურქთა ბატონობისაგან გათავისუფლების შემდეგ (1917) — ბათუმის ოლქში შევიდა. 1921 წ. 16 ივლისიდან — საქართველოს რესპუბლიკის შემადგენელი ავტონომიური რესპუბლიკა გახდა.

475. ანაკერტის ჴევი. ახლ. მაჭახელისწყალი, ჭოროხის მარჯვენა შენაკადი. ივ. ჯავახიშვილის რედაქციით გამოცემულ რუკაზე (1923) მას შავშეთისწყალი ეწოდება. მდ. შავშეთისწყალი კი, იგივეა, რაც იმერხევი (ახლ. ბერთა) თურქეთში.

476. შავშეთი. მხარე, ისტორიულ სამხ.-დას. საქართველოში (ახლ. თურქეთის ტერიტორია), სახელწოდება „შავშეთი" წარმოდგება ამავე დასახლების დაბიდან, რომელიც მისი ადრინდელი ცენტრი იყო. 1547 წ. შავშეთი ოსმალებმა დაიპყრეს. 1877-78 წლებში რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად გათავისუფლდა. შემდგომ, შავშეთი კვლავ ოსმალებმა დაიპყრეს.

477. ლიგანის ხეობა. ახლ. მდ. ჭოროხის ქვემო ხეობა.

478. არტანუჯისმდინარე. მდ. ტაო-კლარჯეთში. ვახუშტი გულისხმობს ჭოროხის მარჯვენა შენაკადს — მდ. მერჯხევიდერეს არდანუჩსუით, რომელიც მას ჭოროხის უშუალო შენაკადად მიაჩნდა.

479. ტაო. ძველი საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის ერთ-ერთი პროვინცია თორთომის ქედსა და მდ. ჭოროხს შორის. ანტიკურ ხანაში, ისტორიული წყაროების მიხედვით, ტაო ქართული ტომებით ყოფილა დასახლებული და მოიხსენიება „ტაოხის" სახელწოდებით.

480. ბასიანი. მხარე მდ. არაქსის (ვახუშტით, რახსის ანუ არაზის) ხეობის ზემო ნაწილში. ისტორიულად განიყოფოდა ზემო ბასიანად და საკუთრივ ბასიანად.

481. ისპირი. ერთ-ერთი პროვინცია ძველი საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ჭოროხის ზემო და შუა ნაწილში (თურქეთი). ისპირი ქართული სახელწოდების — „სპერის" თურქული გამოთქმაა.

482. გურჯიბოღაზი. ულელტეხილი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. ვახუშტის აღწერით, შეესაბამება ჩრდილო ტავრის სისტემის დევებოინის ქედზე მდებარე ულელტეხილს. ამასთან, გურჯიბოღაზი კიდევ რამდენიმე ულელტეხილს ეწოდებოდა, რომლებიც ევფრატ-არაქსის სათავეებს ჭოროხის აუზთან აერთებდნენ.

483. ბაიბურდის მთა. ტავრუსის ჩრდილო ტოტი. მდ. ჭოროხის ზემო წელისა და მისი მარცხენა შენაკადის წყალგამყოფი (თურქეთში).

484. ჭანეთი. ჭანეთ-ლაზეთი ვახუშტის იმ საზღვრებში აქვს მოცემული, როგორც ის გვიანფეოდალურ ხანაში იყო წარმოდგენილი. უფრო ძველად ეს სახელ-

წოდება გულისხმობდა ვრცელ მიწა-წყალს — მთელ სამხრეთ კოლხეთის ზღვის სანაპირო ზოლს.

485. ეგრისი. ფართო მნიშვნელობით — დასავლეთ საქართველოს ძველი ქართული სახელწოდება. ვიწრო მნიშვნელობით — ეგრისი ერქვა მდ-ებს რიონსა და ეგრისისწყალს შორის მოქცეულ ტერიტორიას. სახელწოდება წარმოსდგება ეგრის ტომისაგან. ეგრისი იგივეა, რაც კოლხიდა (კოლხეთი) და ლაზიკა. საბერძნეთ-რომი-ბიზანტიის ეპოქაში ეგრისი პოლიტიკურ ერთეულს აღნიშნავდა. ფარნავაზის გამეფების შემდეგ ეგრისი მთელ დასავლეთ საქართველოს აღარ გამოხატავდა.

486. აფხაზეთი. VIII საუკუნის დამლევს მოხდა აფხაზეთისა და ეგრისის გაერთიანება და X საუკუნემდე მთელი დასავლეთი საქართველო აფხაზეთად იწოდებოდა.

487. იმერეთი. ფართო მნიშვნელობით დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული სახელწოდება, ისევე როგორც ეგრისი, ლაზიკა, კოლხეთი, აფხაზეთი. ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე დას. საქართველოში. საკუთრივ იმერეთი (ზემო და ქვემო) შემოსაზღვრულია აღმ-ით — ლიხის ქედით, დას-ით — მდ. ცხენისწყლით, ჩრდ-ით — კავკასიონის განტოტებით (რაჭის ქედით), სამხ-ით — მესხეთის ქედით. სახელწოდება დაკავშირებულია ამ მხრის მდებარეობასთან: იმერეთი, ე.ი. ლიხს იქითა მხარე. XV ს. II ნახევრიდან იმერეთი დამოუკიდებელი სამეფო იყო. თანამედროვე დაყოფით მოიცავს ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის, წყალტუბოს რაიონებისა და ქ. ქუთაისის ტერიტორიას.

488. ამერეთი. მხარე, იგივე აღმოსავლეთ საქართველო. ვახუშტის ცნობით, ბაგრატიონების მიერ აფხაზეთის შემოერთების შემდეგ, ქართლს უწოდეს ამერეთი, ხოლო დასავლეთ საქართველოს — იმერეთი (აქედან იმერნი და ამერნი).

489. ამიერ და იმიერ. ტექსტში უზუსტობაა. ამ შემთხვევაში უნდა იყოს: „გაზდიან მდინარენი, ამიერ — ფაწა, თეთრი ფრონენი და შოლა. იმიერ — ყვირილა, ძირულა, ჩხერიმელა", რადგან აღმოსავლეთ საქართველოს „ამიერ" ეწოდებოდა.

490. გლოლისწყალი. ახლ. მდ. ჭანჭახი, მდ. რიონის მარცხ. შენაკადი.

491. ლეჩხუმი. მხარე დას. საქართველოში. ძირითადად მოიცავდა ახლ. ცაგერის რ-ნისა და ნაწილობრივ წყალტუბოს და ამბროლაურის რ-ების ტერიტორიას. შემოსაზღვრულია: დასავლეთით ასხის მთის მასივით, ჩრდილოეთით ლეჩხუმის ქედით, აღმოსავლეთით მდ. ასკისწყლით და რიონის მარცხ. ნაპირზე კი — თავშავის ქედის სამხ. კალთებით, სამხ-ით — მდ. ლეხიდარის მარცხ. ნაპირას მდებარე სერით და ხვამლის მთის მასივით. საისტორიო წყაროებში თაკვერადაც მოიხსენიება.

492. გველისთავის მთა. მდებარეობს გორმაღლის ქედის სამხრეთ მონაკვეთზე. ვახუშტი ამ მთას გორმაღლის ქედის ფუნქციას მიაწერს და რაჭისა და ლეჩხუმის საზღვრად მიიჩნევს.

493. ორბეთი. ახლ. ს. ორბელი ცაგერის რ-ში, მდ. ლაჯანურის ხეობაში, ლაჯანურის წყალსაცავის ჩრდ-ით, ზ.დ. 600 მ, ცაგერიდან 14 კმ დაშორებით. სოფლის ჩრდილოეთით შემორჩენილია ორი ციხესიმაგრე (ადრინდ. ფეოდ. და შუა ფეოდ. ხანის): ერთი, მცირე ზომის, მეორე მოზრდილი ციხე-დარბაზი, ცხენისწყალ-ლაჯანურის წყალგამყოფზე, ვახუშტით — „ორბეთის ციხე"

494. დეხვირის ციხე. ციხე იდგა ს. დეხვირში, მდ-ბის ცხენისწყლისა და ლაჯანურის წყალგამყოფზე.

495. მურის ციხე. ციხე ცაგერის რ-ში, ცხენისწყლის მარცხ. ნაპირზე, ლეჩხუმის ქედის სამხრეთ კალთაზე, მაქსიმე აღმსარებლის ეკლესიის მიდამოებში.

496. „ჭყობა სხვა ლეჩხუმისა" იგულისხმება მდ. ლაჯანური, მდ. რიონის მარჯვ. შენაკადი „გამოსდის მასვე კავკასს მთასა და მოდის ეგრეთვე, ვითარცა ცხენისწყალი, და მიერთვის ხომლის კლდესთან რიონს ჩრდილოდამ".

497. „ტოლის დასავლეთად, ჩამოვალს მთა მცირე სამხრეთისაკენ რიონამდე" ტოლა — სოფლების I და II ტოლას გავრცელებული სახელწოდებაა. „მთა მცირე", რომელსაც ვახუშტი აღნიშნავს, შეესაბამება მდ-ების: ასკისწყლისა და ლაჯანურის წყალგამყოფ გორმაღლის ქედს, მ. გვალისმთას (1465 მ). გორმაღალ-გვალისმთა წარმოადგენდა რაჭისა და ლეჩხუმის გამყოფს.

498. საჯავახოს წყალი. ახლ. ხევისწყალი, რიონის მარცხ. შენაკადი (სამტრედიისა და ჩოხატაურის რ-ები).

499. საჯავახო. ქვემო იმერეთის ნაწილი, მდ. ხევისწყლის აუზი (სამტრედიისა და ჩოხატაურის რ-ბი).

500. საჩინო. მხარე, მდებარეობდა რიონის მარცხ. მხარეზე, სულორის შესართავის არემარეში (ვანის რ.).

501. საჩინოს ჴევი. ახლ. სულორი, რიონის მარცხ. შენაკადი (ვანის რ.).

502. სალომინაო. მხარე, მოიცავდა მესხეთის ქედის ჩრდილო მთისწინეთს, მდ. ყუმურის აუზს (ვანის რ.).

503. სალომინაოს ჴევი. ახლ. მდ. ყუმური, რიონის მარცხ. შენაკადი (ვანის რ.).

504. ამაღლების ჴევი. ახლ. ქვინისწყალი, რიონის მარცხ. შენაკადი (ვანის რ.).

505. ნოღის ჴევი. ახლ. კორისწყალი, რიონის მარცხ. შენაკადი. ვარციხის მიდამოებში ვრცელ ფართობს დღესაც „ნოღას" ეძახიან.

506. დიმის ციხე. ლეონტი მროველი ამ ციხეს „დიმნას" უწოდებს. მდებარეობდა ახლ. ს. ზემო დიმში (ბაღდათის რ.). შემორჩენილია ნანგრევები.

507. გაჭრილას მთა. შეესაბამება რაჭის ქედის მონაკვეთს ქვაკუნტის უღელტეხილის დასავლეთით. ვახუშტი „გაჭრილას" მთად საერთოდ რაჭის ქედს გულისხმობს, უღ. ნაქერალას დასავლეთით, რომლის კალთებზე იღებს სათავეს მდ. წყალწითელა და მისი შენაკადი — ჭალა (ზემო წელში ქვათალისღელე). „მთა გაჭრილი რიონისაგან მუნ". რაჭის მცხოვრებნი ახლაც გაჭრილად მოიხსენიებენ ადგილს, სადაც რიონი ვიწრო კლდეკარით გაედინება ხვამლის მასივსა და რაჭის ქედის დასავლურ დაბოლოებებს შორის.

508. ცუცხვათის ჴევი. ახლ. შაბათაღელე, რომელიც მაცხოვრის სერის სამხრეთით გრძელდება მდ. ჭიშურას სახელწოდებით. ვახუშტი ცუცხვათისჴევს წყალწითელას მარცხენა შენაკადად თვლის, ხოლო ეკლარისწყალს — დამოუკიდებელ მდინარედ. სინამდვილეში, ცუცხვათისჴევი კირქვებში იკარგება და მეორე მხარეს გამოედინება მდ. ეკლარისწყლის ანუ ჭიშურას სახელით.

509. საწირის წყალი. ახლ. მდ. მთისჭალა. წყალწითელას მარცხ. შენაკადი (ტყიბულის რ.).

510. საწირის ციხე. ციხე საწირისწყალზე ანუ ახლ. მთისჭალის მარცხ. ნაპირზე, ე.წ. „მხეიძის ციხე".

511. საწირეს — „გარემოს თიხრების რკინა, და არს ლითონი მრავლად". მართლაც, ახლ. ტყიბულის სამხრ.-დასავლეთით 6-7 კმ^2 ფართობზე, ასევე ს. საწირის ჩრდ.-დასავლეთით და ს. გურნას ახლოს დაფიქსირებულია მურა რკინაქვის გამოსავლები, ჩართული მოყვითალო-წითელი ფერის თიხებში. ადგილობრივი მცხოვრებლების

გადმოცემით, წარსულში აქ მადანს მოიპოვებდნენ. სწორედ ამას გულისხმობს ვახუშტი. ამ საბადოს სამრეწველო მნიშვნელობა არ აქვს და დიდი ხანია, რაც მივიწყებულია.

512. ახალდაბის ხევი (იმერეთის). ახლ. მდ. ჭალა, მდ. წყალწითელას მარჯვ. შენაკადი. ზემო დინებაში მას ქვათალისხევს უწოდებენ.

513. ოჯოლას ხევი. ახლ. ოჯოლასხევი, მაგრამ ის წყალწითელის შენაკადი კი არ არის, როგორც ამას ვახუშტი აღნიშნავს, არამედ მდ. ჭალის შენაკადია.

514. ჯვარისას ციხე. სოფ. ჯვარისაში (ტყიბულის რ.) შემორჩენილია ამ ციხის ნანგრევები.

515. ეკლარი წყალი. ახლ. მდ. ჭიშურა, ერთვის მდ. ყვირილას მარჯვნიდან ს. ნახშირღელეს სამხრეთით.

516. აჯამეთის წყალი. ახლ. მდ. რუმაჟა (სათავეში ცხენთაროსხევი), მდ. ყვირილას მარცხ. შენაკადი, ერთვის მას რკინიგზის სადგურ აჯამეთის დასავლეთით. „აქ, აჯამეთს, არს სანადირო მეფეთა, ალვსილი დიდ-მცირითა ნადირითა, საქებელი ფრიად“. აქ ქართველი მეცნიერი მიუთითებს აჯამეთის მუხნარი ტყის არსებობაზე (ამჟამად ნაკრძალზე), რომელიც, ნადირთა სიმრავლის გამო, მეფეთა და დიდგვაროვანთა სანადირო ობიექტი ყოფილა.

517. ძევრის წყალი. ახლ. მდ. ძევრულა (ძერულა), გამოედინება ოკრიბა-არგვეთის სერის კარსტული მღვიმიდან და მდ. ჩოლაბურს მარჯვნიდან ერთვის. ვახუშტით კი — ძევრისწყალი „გამოსდის საღორიისა და ველევის მთას, დის სამხრით და მიერთვის ყვირილას ჩრდილოდამ“, რაც არაზუსტია.

518. „ქვაბი ერთი დიდ ფრიად“. მდ. ძევრულის (ძევრისწყლის) აღწერისას, ვახუშტი მის სათავეში ქვაბების არსებობაზე მიუთითებს, რომლებიც ძევრულას ხეობის კირქვიან ქანებში მრავლადაა. მაგრამ, „ერთი დიდ ფრიად, რამეთუ კაცთა ქმნულად გასაკვირვებლად“ არსებული ქვაბი — კარსტული მღვიმეა, საიდანაც მდ. ძევრულა გამოედინება. როგორც ცნობილია, ოკრიბა-არგვეთის სერის ჩრდ. ფერდობზე ე.წ. ადგილ წყალდასავალთან, მღვიმეში ჩაედინება მდ. ტყიბულა და მღვიმის გავლით, სამხრეთ ფერდობზე გამოდის მდ. ძევრულის სახელწოდებით. სწორედ ამას გულისხმობს მეცნიერი, როდესაც აღნიშნავს: „გამოსდის მდინარე ორი ნაკადული წყაროდ“...

519. ქვევრულას ხევი. ახლ. მდ. ქვერუნა, ძევრულას მარცხ. შენაკადი (თერჯოლის რ-ში).

520. ბერციხე (იმერეთის). ციხე მდ. ქვერუნას მარჯვ. ნაპირზე, ს. გოგნის (თერჯოლის რ.) ჩრდილოეთით, 3 კმ-ის დაშორებით, სვეტივით აღმართულ კლდეზე.

521. თხილთა წყაროს მთა. ახლ. მთა ოკრიბა-არგვეთის სერზე, აბს. სიმაღლე 852 მ, თერჯოლის რ-ნი, მდ. ჩხარულას (ჩხარას) სათავეებში. თანამედროვე ტოპოგრაფიულ რუკებზე ამ მდინარის სახელი დამახინჯებულია: „ჩხარას“ ნაცვლად „ჩხარი“ აწერია.

522. მეორე ჩხარულა. ახლ. ჩრდილო ჩხარულა, მდ. ჩხარულას მარჯვ. შენაკადი. ჩხარულას ერთვის ს. ახალთერჯოლის მიდამოებში.

523. ორღარი წყარო. სასმელად სასიამოვნო წყარო ს. ჩხარში. წყალი მოედინება ოკრიბა-არგვეთის კირქვული სერიდან, ე.წ. ოქონის კლდიდან. ნაკადი ორ ღარში გაედინება: „ჩხარსვე არს წყარო, ორღარად წოდებული და ქებული“.

524. ზორეთის ხევი. ახლ. პატარა მდ. ხმორდოლა, მდ. ჩოლაბურის მარჯვ. შენაკადი, თერჯოლის რ-ნი.

525. ზუსა. ახლ. მდ. ძუსა, მდ. ჩოლაბურის მარჯვ. მდგენელი, თერჯოლის რ.

526. გარჯილას მთა. შეესაბამება რაჭის ქედზე უღ. ნაქერალსა და მ. ხწალიკეს შორის, მდ. ბუჯასა და ძუსის სათავეებში აღმართულ მთას, რომელიც ადგილ მოხვარაულის სამხრეთითაა და 1829 მ ზ.დ. აღწევს.

527. ღრუდო. მდ. ბუჯას დახასიათებისას ვახუშტი მიუთითებს მდინარის კიდეზე გამომდინარე წყაროს (ღრუდოს), „რომელსა გაზაფხულს მოუდგმენ გოდორსა და აღივსების წვრილის თევზითა, წყაროდამ გამომავალითა". ღრუდო, კირქვიან-კარსტული რაიონისათვის დამახასიათებელი ვოკლუზის ტიპის წყაროა, რომელიც ხშირად „თევზთა საბუნაგო ადგილს" წარმოადგენს, განსაკუთრებით გაზაფხულობით, ტოფობის (ქვირითის ყრის) დროს. ასეთი წყაროები არის აგრეთვე, ს. ძევრთან, ს. ქვაციხესთან, მდ. ხეორის სათავეში ს. შქმერთან და სხვ. (დ. ჩუბინაშვილით, ღრუდო — ქარიზი, წყლის გასატანი რუ; მცირე წყარო; ან თევზის საბუნაგო).

528. „ბიღას, ითხრების კაჟი ჩახმახისა" - ვახუშტი მიუთითებს ახლ. ბუჯას კვარცის საბადოს ერთ-ერთი მონომინერალურ წარმონაქმნზე, რომელიც შედგება კვარცის მინერალისაგან (SiO_2). საბადო ს. ბიღას (ჭიათურის რ-ნი) მიდამოებშია.

529. საზანოს წყალი. ახლ. მდ. მაძარულა. ვახუშტი მას მდ.ზუსას (ძუსას) შენაკადად თვლის: „ხოლო ზუსას ერთვის საზანოსწყალი, გამოსდის ხრეთისა და მუხურის შუაის მთას". სინამდვილეში, საზანოსწყალი მდ. ბუჯას მარჯვ. შენაკადია.

530. მთლამნახეს ციხე. მდებარეობს ს. მუხურას ჩრდილო-დასავლეთით, მდ.ზუსას სათავეში, მარცხენა ნაპირზე (ტყიბულის რ.).

531. სვირის ჭევი. ახლ. მდ. ლუხუტა, მდ. ყვირილას მარცხ. შენაკადი, ზესტაფონის რ-ნი.

532. ლომსიათხევის ჭევი. ახლ. მდ. აჯამურა, ყვირილას მარცხ. შენაკადი (ზესტაფონის რ.).

533. ვარძიის წყალი. ახლ. მდ. ბორიმელა, მდ. ძირულას მარცხ. შენაკადი. ერთვის მას შორაპნის აღმ-ით.

534. მეელნის ჭევი. ახლ. მდ. ილემელა, მდ. ძირულას მარცხ. შენაკადი. გაივლის ზედა და ქვედა ილემს (ზესტაფონის რ.).

535. ხარაგეულის ციხე. ვახუშტის აღწერით, ხარაგაულის ციხე დგას იქ, სადაც მდ. ძირულას ჩხერიმელა უერთდება, ჩხერიმელას მარცხენა ქარაფოვან ნაპირზე: „ამ ციხესთან ერთვის ძირულას ჩხერიმელა აღმოსავლეთიდამ".

536. შროშის ჭევი. როგორც ჩანს, იგულისხმება ახლ. მდ. გეზრულა, მდ. ძირულას მარჯვ. შენაკადი, ერთვის ს. შროშას მიდამოებში.

537. კოლბოურის ჭევი. ახლ. მდ. დუმალა, მდ. ძირულას მარჯვ. შენაკადი.

538. ვაშლების ჭევი. ახლ. მდ. ვაშლოულა, ძირულას მარჯვ. შენაკადი. ერთვის ს. საქასრიასთან.

539. ჩხერის ციხე. მდ. ჩხერიმელას მარჯვენა მაღალ კლდოვან ნაპირზე.

540. ვახანის ჭევი. ახლ. მდ. ვახანი. ჩხერიმელას მარცხენა შენაკადი.

541. კაცხის წყალი. ახლ. კაცხურა. ერთვის მდ. ყვირილას მარჯვნიდან, ს. რკვიასთან. ტოპოგრაფიულ რუკებზე კაცხურა მდ. ვარჩილელადაც იწოდება.

542. კაცხის „ციხის აღმოსავლით არს კლდე. ჭრამსა შინა არს კლდე აყვანილი, ვითარცა სვეტი, ფრიად მაღალი". ვახუშტი მიუთითებს კირქვის დენუდაციური მოწმის — „კაცხის სვეტზე", რომლის თავზე შემორჩენილია V-VI ს. ეკლესიის ნანგრევები.

543. სვერის ჭევი ან წყალი (იმერეთის). ახლ. სამალოხევი, მდ. ყვირილას მარცხ. შენაკადი. ტოპოგრაფიულ რუკებზე ეს მდინარე ფრონედ მოიხსენიება.

544. „სვერისწყლის შესართავიდამ მღვიმე-სანჩერემდე, ამ ყვირილას იქით და აქეთ კიდენი არის ფრიად მაღალი კლდე, და არიან მას შინა ქვაბნი მრავალნი" — ვახუშტი ზუსტად აღწერს მდ. ყვირილას კანიონს.

545. ჯრუჭა. ახლ. მდ. ჯრუჭულა, მდ. ყვირილას მარჯვენა შენაკადი. მიერთვის ს. სარეკის მიდამოებში.

546. კაცების მთა. შეესაბამება ახლ. რაჭის ქედის მ. ხიხამთას და მის ჩრდ.-დას. შტოქედს (ხიხამთის ქედს).

547. „ჭევსა და კაცებზედ გარდავლენან გზანი რაჭას". ვახუშტი აქ გულისხმობს რაჭის ქედზე მდებარე კეშელევისა და რაჭის უღელტეხილებს.

548. ყოვლადწმიდის ეკლესია. იგივეა, რაც ბაგრატის ტაძარი ქ. ქუთაისში.

549. ქვიშილეთის ციხე. მისი ნანგრევები შემორჩენილია ს. ქვილიშორში (წყალტუბოს რ.), კარსტული მღვიმის „ციხისთავის" თავზე.

550. ძმუისის-მუეელეთის ჭევი. ახლ მდ. ლეხიდარი, რიონის მარცხ. შენაკადი. ერთვის რიონს ს. ზედა ონჭეიშთან (წყალტუბოს რ.).

551. ხომლის კლდე. ახლ. ხვამლის მასივი. აბს. სიმაღლე 2001 მ „...ფრიად მაღალი. მიიღო ამან სახელი ესე სიმაღლით, ხომლის ვარსკვლავის სწორობით".

552. რაჭა. ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე დას. საქართველოში. ბუნებრივ-გეოგრაფიული საზღვრებით ზუსტად შეესაბამება თანამედროვე ონისა და ამბროლაურის რ-ების ტერიტორიას. წერილობით წყაროებში გვხვდება XI ს-ის დასაწყისიდან. კაცხის საწინამძღვრო ჯვარის წარწერაში მოხსენიებულია „რატი რაჭის ერისთავი".

553. ტოლის ჭევი. ვახუშტი გულისხმობს ახლ. მდ. ასკისწყალს, მდ. რიონის მარჯვ. შენაკადს.

554. წმიდის გიორგის მთა. შეესაბამება ახლ. მთის მასივს — ქედისუბანს (1363 მ), პატარა მდ. ბარეულისწყლის სათავეებში.

555. ზნაკვის ჭევი. ახლ. ზნაკურისღელე, რიონის მარცხ. შენაკადი.

556. ზნაკვის ციხე. მდ. ზნაკურას შენაკადების ურთისღელესა და ცივწყლას ანუ წისქვილისღელეს შესართავთან.

557. სადმელის ჭევი. ახლ. მდ. რიცეულა, რიონის მარჯვ. შენაკადი, (ამბროლაურის რ.).

558. სადმელის ციხე. აღმართულია მაღალ მთაზე ს. კლდისუბანში, მდ-ების რიცეულასა და მისი მარჯვენა შენაკადის — ქვათაღელეს შესართავთან (ამბროლაურის რ.).

559. ბუგეულის ჭევი. ახლ. ნასკირალისღელე, რიონის მარცხ. შენაკადი (ამბროლაურის რ.). ადგილობრივი მოსახლეობა ბუგეულს ეძახის.

560. ბარეულის ციხე. უნდა იყოს ბუგეულის ციხე (ამბროლაურის რ.).

561. შაორის მცირე ტბა. ვახუშტი გულისხმობს კარსტულ ტბა ხარისთვალს, რომელიც შაორის ჰიდროელსადგურის აგების შემდეგ წყალსაცავში მოექცა (ამბროლაურის რ.).

562. კვიტაშვილის ციხე. დგას ს. კვირიკეწმინდაში (იგივე კორტში), ამბროლაურის რ.

563. სხოვის ჭევი. ახლ. მდ. სხვავა, მდ. კრიხულას მდგენელი. ვახუშტი მოიხსენიებს „სხვავას საყინულეს," რომელიც წარმოადგენს 70-80 მ სიღრმის ჭას, შემკული კალციტის ნალვენთი ფორმებითა და გლეტჩერისებური ყინულის წარმონაქმნებით. „ამ ჭევზედ არის ორმო დიდი, ვრცელი და ღრმა, რომელსა შინა დის წყარო, და ვერ

განჰყოფნავს ზამთარს, არამედ ზაფხულის ჰყოფნავს სრულიად, რომელი ამოულეველი არს, რაოდენცა სჭრას მრავალთან კაცთან".

564. კვარას ციხე. იდგა მაღალ მთაზე, მდ. კრიხულას მარჯვენა ნაპირზე. ზემო სხვავადან 1,5 კმ-ის დაშორებით (ამბროლაურის რ.). დაინგრა 1991 წლის მიწისძვრის დროს.

565. ხიდისკარის კლდეკარი. კლდეკარი, რომელიც მდ. რიონზეა ს. ხიმშის ზემოთ: „ამბროლაურ-ხიმშს ზეით მოვიწროვდების რიონი სამჭრადამ და წვრილადამ კლდითა". ეს არის კლდეკარი, რომელიც სადლიოს ქედსა (ჩრდ.) და სხვავის მთის (სამხ.) განტოტებას შორისაა.

566. „ობილი წყალი, არამედ უხმარი". ვახუშტი, ახლ. ხიდისკარის გოგირდოვანი მინერალური წყარო, რომელიც მდ. რიონის ჭალისპირა ტერასზე, ს. წესიდან 1 კმ-ზე, ცარცულ კირქვებში გამოედინება. ადგილობრივი მცხოვრებნი ამ ადგილს „ქვეშვაკეს" ეძახიან.

567. მრავალძალი. მრავალძალის ეკლესია იდგა ამავე სახელწოდების სოფელში (ონის რ.). ეს ეკლესია (XI ს.) დარბაზული ტიპის იყო. 1991 წლის მიწისძვრის დროს დაინგრა.

568. სორისჴევი. ახლ. მდ. სორტარულა, რიონის მარჯვ. შენაკადი (ონის რ.).

569. ბოყვისჴევი. ახლ. მდ. ბოყოსწყალი, ჭანჭახის მარჯვ. შენაკადი (ონის რ.).

570. წედის (რაჭის) „... არს ლითონი რკინისა, და იღებენ მრავალსა". ქართველ მეცნიერს შეუნიშნავს და აღუწერია მდ. ჯეჯორის ხეობაში, ს. წედისის ჩრდ-დასავლეთით, 3 კმ-ზე, არსებული რკინის მადნის გამოსავლები, რომლებიც ავსებენ კირქვული ქანების ნაპრალებში არსებულ კარსტულ სიღრუეებს. ძველ დროში წედისის საბადო მართლაც მუშავდებოდა, რასაც ადასტურებს აქ შემორჩენილი ძველი შტოლნები (გ. თვალჭრელიძე, 1958). ამჟამად საბადო არ მუშავდება.

571. საქორიასჴევი. ახლ. მდ. საკაურა, რიონის მარჯვ. შენაკადი (ონის რ.).

572. ჭიდროთას ციხე. აღმართულია ს. უწერის (ონის რ.) ჩრდილოეთით, მდ. რიონის ნაპირზე. ციხე წარმოადგენდა კონცხზე მდებარე მაღალ კოშკს, რომლის ქვეშაც გზა გადიოდა.

573. არგვეთი. იწოდებოდა აგრეთვე არგუეთად, მარგვეთად. ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინცია დასავლეთ საქართველოში. ერთხანს (ვალე) საერისთავოს წარმოადგენდა. ვახუშტის მიხედვით, მისი საზღვრები იყო: ჩრდ-ით — რაჭის ქედი, აღმ-ით — ლიხის ქედი, სამხ-ით — ფერსათის ქედი, დას-ით მდ. წყალწითელა. სახელწოდება „არგვეთი" შენარჩუნებული აქვთ სოფლებს ზესტაფონისა და საჩხერის რაიონებში. ძველი ქართული ისტორიული წყაროების (ლეონტი მროველი) მიხედვით, არგვეთი იბერიის სამეფოს ძირითადი თემია (მ. ცქიტიშვილი, 1964, გვ. 77-78).

574. კვახჭირის მთა. ახლ. მერიდიანული მიმართულების პროლოქედის დაბალი სერი.

575. საჩხეიძო. იმერეთის ნაწილი იყო: ეკავა ფერსათის ქედის ჩრდ. ფერდობი (ხარაგაულის, ზესტაფონისა და ბაღდათის რაიონების ტერიტორიაზე).

576. იმერეთში მიუთითებს ვენახს — მაღლარს ანუ ბაბილოს და დაბლარს. სამეგრელოსა და გურიაში კი — მაღლარს. ვახუშტის მხედველობიდან არ გამოპარვია დასავლეთ საქართველოს მევენახეობის თავისებურება, რაც განპირობებულია გურია-სამეგრელოს ვაზის გავრცელების არეალების მაღალი ტენიანობით, ხოლო იმერეთის კი შედარებით ნაკლები დატენიანებით.

577. საჩიჯავაძო. იმერეთის ნაწილი; ეკავა სივრცე მდ. რიონიდან ფერსათის ქედის თხემამდე, ახლანდელი ვანისა და სამტრედიის რ-ების სამხრეთი მონაკვეთი.

578. ვაკე. მხარე ქვემო იმერეთში, მდ-ების წყალწითელასა და ცხენისწყლის შორის. ახლ. ხონის, სამტრედიისა და წყალტუბოს რაიონების ფარგლებში.

579. საჭილაო. ისტორიული მხარე ქვემო იმერეთში, ახლ. აბაშის, სამტრედიის და ლანჩხუთის რაიონების ტერიტორიაზე. ამავე სახელწოდების სოფელი ვახუშტის აღნიშნული აქვს ცხენისწყლისა და გუბისწყლის შორის.

580. სამიქელაო. ისტორიული მხარე მდ-ების ცხენისწყლისა და რიონის შორის. მიქელაძეთა სამფლობელო (სამტრედიის რ-ნი).

581. „ეწერის“ სახელწოდებით ვახუშტი აღნიშნავს თხმელნარებს, რომლითაც დაფარული იყო კოლხეთის დაბლობის დაჭაობებული ნაწილი.

582. ოკრიბა. მხარე დასავლეთ საქართველოში, იმერეთის ნაწილი. ეს სახელწოდება — „ოკრიბა“ წყაროებში პირველად მოხსენიებულია XI საუკუნეში. ფიზიკურ-გეოგრაფიულად მოიცავს მდ-ების წყალწითელასა და ლეხიდარას აუზებს და რიონის ხეობის მონაკვეთს ს. მექვენიდან ქ. ქუთაისამდე. ოკრიბის მნიშვნელოვანი კულტურული ცენტრი იყო გელათის მონასტერი, მოწამეთა, მწვანეყვავილა. ხალხში ეს სახელწოდება დღესაც იხმარება, მაგრამ რუკებზე თითქმის აღარ აღინიშნება.

583. ოდიში. ისტორიული მხარე დას. საქართველოში. გვიან შუა საუკუნეების ხანის სამეგრელოს ძირითადი ნაწილი (სამეგრელოს სამთავროს მეორე სახელწოდება). წყაროებში პირველად მოხსენიებულია XI ს-ში. არაპირდაპირი ცნობებით, VI ს-თვის ოდიში მოიცავდა მდ-ების კელასურისა და ტეხურის შორის მდებარე ტერიტორიას. XVIII ს. დასაწყისიდან, სამურზაყანოს წარმოქმნის შემდეგ, ოდიშს უწოდებენ ტერიტორიას მდ-ების ენგურისა და ტეხურის შორის.

584. ეგრისწყალი. ქართული ისტორიული წყაროების მიხედვით, მდინარე დას. საქართველოში. ახლ. მდ. ღალიძგა.

585. ოდიშის საზღვრები. ვახუშტით, ოდიშის საზღვრებია: აღმ-ით — ცხენისწყალი, შემდეგ ჭილაძეთა გვარის სამფლობელო, სამხრ-ით — მდ. რიონი, დას-ით — შავი ზღვა და ჩრდ-დას-ით — ანაკოფია. ამ საზღვრებში არსებობდა ოდიში XV ს-ის 60-იან წლებში, საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის ხანაში.

586. საჩარია. ვახუშტი უნდა გულისხმობდეს თანამედროვე ს. საჩარბელოს (სენაკის რ.).

587. შხეთის ციხე. იგივე შხეფის ციხე, ქ. სენაკთან.

588. სენაკი. იგულისხმება ახლ. ძველი სენაკი, რომელსაც ფოთი-თბილისის სარკინიგზო ხაზის გაყვანამდე სენაკი ერქვა.

589. უნაგირა. სერი დას. საქართველოში. ვრცელდება ქ. სენაკის მიდამოებიდან ასხის მასივამდე. იყოფა: ეკის მთის, ლადიანის ტახტის, ნოქალაქევის მთისა და აბედათის მთის მასივებად (სენაკისა და მარტვილის რ-ები).

590. სალიპარტიანო. ოდიშის ერთ-ერთი მხარე მდ-ების ტეხურისა და აბაშის ხეობათა მთისწინეთში.

591. ხორგისწყალი. ახლ. მდ ხობი, მიერთვის შავ ზღვას ს. ყულევთან.

592. ჭანისწყალი. მდინარე წალენჯიხის, ჩხოროწყუსა და ხობის რაიონებში. მდ. ხობის მარჯვ. შენაკადი. ვახუშტის მიხედვით, ის უშუალოდ შავ ზღვას უერთდება, რაც არაა სწორი.

593. ანაკრია. ახლ. ს. ანაკლია (ზუგდიდის რ-ნი).

594. დადისწყალი. ახლ. მდ. ოქუმი (გალის რ.).

595. ბედიის ეკლესია (მონასტერი). ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი ოჩამჩირის რ-ში, ს. აგუბედიაში. თავდაპირველად აგებულია X-XI სს. მიჯნაზე. ახლანდელი ნაგებობა XIII-XIV სს. განეკუთვნება. ტაძრის კედლებზე შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები. მონასტრის დას. მხარეს დიდი სასახლეა, ხოლო ჩრდილო შესასვლელის კარის თავზე XIV ს. სამრეკლო.

596. ცხომის მდინარე. ახლ. მდ. ბესლეთი, მიერთვის შავ ზღვას ქ. სოხუმის მიდამოებში.

597. ანაკოფიის მდინარე. ახლ. მდ ფსირცხა აფხაზეთში. სახელწოდება მომდინარეობს ისტორიულ ციხე-ქალაქ ანაკოფიიდან.

598. ანაკოფია. ფეოდალური ხანის ციხე-ქალაქი საქართველოში, ახლ. ახალი ათონის ტერიტორიაზე (გუდაუთის რ-ნი). VII-VIII სს-ში ანაკოფია აბაზგთა საერისთავოს პოლიტიკური ცენტრი იყო. ქართულ საისტორიო წყაროებში პირველად მოხსენიებულია მურვან ყრუს ლაშქრობასთან დაკავშირებით, VIII ს. 30-იან წლებში. VIII ს. ბოლოდან ანაკოფია ახლადშექმნილი აფხაზთა სამეფოს მთავარ ქალაქად იქცა და დედაქალაქად ქუთაისის გამოცხადების შემდეგაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. XIV-XV საუკუნეებში გენუელებმა ანაკოფიაში, ზღვის პირას, მდ. ფსირცხის შესართავთან, ციხე ააგეს. XVII ს-ში სამეგრელოს მთავარმა ლ. დადიანმა ანაკოფიას ზღუდე შემოავლო. 1875 წ. ანაკოფიის ნანგრევებთან დაარსდა ახალი ათონის მონასტერი, რომლის სახელი ეწოდა მთელ ამ ადგილსაც. ვახუშტის ცნობით, ანაკოფია „იყო ქალაქი კეთილი, შუენიერი, ზღვასა ზედა წაშენებული, და შემდგომად ბაგრატიონთაგან უმეტეს განდიდებული, რომლისა ზღვასა შინა სვეტნი ორმოცამდე დღესაც ჩანან".

599. აფხაზეთის კედელი (ზღუდე). „ზღუდეში" ვახუშტი გულისხმობს სიმაგრეთა იმ სისტემას, რომელიც ლევან II დადიანმა (1611-1657 წწ.) ააგო აფხაზთა შემოსევებისაგან თავდასაცავად. ის იწყებოდა მდ. კელასურის შესართავთან, მიუყვებოდა მთისა და ბარის გამყოფ ზოლს და მდ. ღალიძგამდე აღწევდა.

600. „ბრინჯი ნაყოფიერებს ურწყავად". ბრინჯის მოყვანა მიღებულია: წყლით დაფარული და მშრალობის წესით. სამეგრელოში ვახუშტი გულისხმობს ბრინჯის იმ ჯიშებს, რომლებიც მშრალობის წესით მოჰყავთ — „ურწყავად".

601. ზარდაგი სპარსულად ნიშნავს — მოოქროსფეროს, მოყვითალოს. მეცნიერ სპეციალისტების აზრით, ოდიშში ღვინო ზარდაგი დგებოდა ყურძნის ისეთი ჯიშისაგან, როგორიცაა — ჭვიტილური. ამ ჯიშის ყურძნისაგან დაყენებული ღვინო აღნიშნული ფერისაა.

602. აფხაზეთი. საქართველოს ჩრდ.-დას. ნაწილი. ფეოდალური ურთიერთობების წარმოქმნის დროიდან აფხაზეთი ერთიანი საქართველოს ისეთსავე ორგანულ ნაწილს შეადგენდა, როგორსაც დასავლეთ საქართველოს სხვა ისტორიული კუთხეები. განვითარებული ფეოდალური ურთიერთობების ხანაში აფხაზეთის საერისთავო, სხვა საერისთავოების მსგავსად, ადმინისტრაციული ერთეული იყო საქართველოს სახელმწიფოში. აწინდელი ტერიტორიული საზღვრებით აფხაზეთი XVII ს-ის მეორე ნახევარში გამოიკვეთა. კოდორის სამხრეთ-აღმოსავლეთით ქვეყანა ფეოდალური ხანის დასაწყისშივე ეგრისში შედიოდა. ვახუშტის დროს აფხაზეთის საზღვრები ანაკოფიიდან კაპეტის-წყლამდე (ბზიფი) ვრცელდებოდა.

603. ადაცოსწყალი. ახლ. აფსთა (გუდაუთის რ.).

604. ზუფუს მდინარე. ახლ. მდ. თეთრწყალა (ხიფსთა) დას. საქართველოში, გუდაუთის რ-ში, ერთვის შავ ზღვას ახალსოფელთან.

605. ზუფუ. ახლ. ს. ლიხნი დასავლეთ საქართველოში, გუდაუთის რ.

606. მუწისწყალი. ახლ. მჭიშთა (შავწყალა), გუდაუთის რ.

607. ნიკოფსია. ვახუშტი დაეჭვებით ნიკოფსიას ანაკოფიასთან აიგივებს. ნიკოფსია (ნიკოფსისი) იყო ციხე-ქალაქი შავი ზღვისპირას ქ. ტუაფსეს ჩრდ.-დასავლეთით, ახლ. ქ. ნოვომიხაილოვსკთან. ნანგრევები შემორჩენილია დაახლ. 30 მ სიმაღლის კლდეზე (ე.წ. „კისელიოვის კლდე"). პირველად მოხსენიებულია V ს. ანონიმ ავტორთან. მემატიანე ფლავიუს არიანეს (II ს.) ცნობით, აქ უფრო ადრეც არსებობდა ქალაქი ძველი ლაზიკის სახელწოდებით. VIII ს-ის ბოლოს ნიკოფსია ეგრის-აფხაზეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. XVI ს-დან თანდათან გამოეთიშა საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ გავლენას. გვიანფეოდალურ ხანაში ის უკვე ნაქალაქარია.

608. 1735 წლის ატლასის №1 რუკაზე აღნიშნულია დიდი მდინარე, რომელიც სვანეთში იწყება, იერთებს ბალყარეთიდან გამომდინარე ნაკადს და მიედინება რა დას.-ჩრდ.-დას. მიმართულებით, გადის რუკის ჩარჩოს ჩრდილო გვერდს გარეთ, რის გამოც მისი შესართავი ნაჩვენები არ არის. ეს მდინარე თავისი მდებარეობით და საერთო მიმართულების მიხედვით შეესაბამება ყუბანს. ვახუშტი, როგორც ჩანს, სვანეთისა და ბალყარეთის მდ. ყუბანის აუზში გულისხმობდა. განსხვავებით „პეტერბურგული ატლასისგან", აქ სვანეთიდან გამომავალი მდინარე არ არის გაიგივებული „კაპპეტის წყალთან". 1745 წლის ატლასში ეს უკანასკნელი ნაჩვენებია დამოუკიდებელი, მოკლე, თითქმის სწორხაზობრივი მდინარის სახით, რომელიც იწყება ოდიშ-აფხაზეთის საზღვართან, მიემართება დასავლეთით და შეერთვის შავ ზღვას ბიჭვინთის მიდამოებში. თავისი შესართავის მდებარეობის მიხედვით, ის შეესაბამება მდ. ბზიფს. 1745 წლის ატლასში კავკასიონის დას. ნაწილის ოროჰიდროგრაფიული სქემა არსებითად შეცვლილია — სვანეთის მდინარე შეერთებულია „კაპპეტის წყალთან", რის შედეგადაც წარმოქმნილია არარეალური გამოსახულება უზარმაზარი მდინარისა, რომელიც იწყება რაჭის საზღვართან, გადაკვეთს მთელ სვანეთს, ალანს, აფხაზეთს და შეერთვის ზღვას ბიჭვინთასთან. ეს ფანტასტიური მდინარე თავისი ქვემო წელით შეესაბამება მდ. ბზიფს, ხოლო მისი შუა და ზემო წელი მოიცავს მდ-ების: კოდორის, ენგურის, ცხენისწყლის ზემო დინებებს (ლ. მარუაშვილი, 1948).

609. აფხაზეთის აღწერისას ვახუშტი ახასიათებს აქაურ თხას. ამ აღწერილობის მიხედვით, ადვილი მისახვედრია, რომ მეცნიერი თანამედროვე ლიტერატურაში „მეგრულ თხად" ცნობილ ჯიშზე ლაპარაკობს. შეიძლება დავასკვნათ, რომ ზემოაღნიშნული ჯიში აფხაზეთშიც ყოფილა გავრცელებული.

610. ჯიქეთი. ვახუშტის ცნობით, ჯიქეთი მდებარეობდა კავკასიონის სამხრ. ფერდობზე, აფხაზეთის იქით, ე.ი. მდ. ბზიფის შემდეგ. ადრინდელი წყაროები — ვახტანგ გორგასლის მემატიანე, ჯიქეთს კავკასიონის ჩრდ. ფერდობზე, აფხაზეთის საზღვრიდან ტამანის ნახევარკუნძულამდე ტერიტორიაზე ათავსებს.

611. სვანეთი. დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი მთიანი კუთხე, რომელიც მდებარეობს მდ-ების ენგურისა და ცხენისწყლის ზემო და შუა დინებების აუზში. ისტორიულ სვანეთში შედიოდა აგრეთვე მდ. კოდორის ზემო წელის ხეობები, ე.წ. აფხაზეთის სვანეთი (დალი), სამეგრელოს ჩრდ. ნაწილი, ლეჩხუმისა და რაჭის მოსაზღვრე რეგიონები.

612. ალანი (ალანები) ქართულ წყაროებში — ოსები, ოვსები — სარმატული წარმოშობის ირანულენოვანი ნახევრად მომთაბარე ტომები. ვახუშტის ცნობით, XVIII ს. ალანები ცხოვრობდნენ სვანეთის დასავლეთით და ბედიის ჩრდილოეთით (კოდორის სათავეებში), შემდგომ პერიოდში მათი კვალი აქ აღარ ჩანს.

613. ბედია-ოდიშსა და ალანს შორის კავკასი. ქედი კავკასიონის მთიანეთში, ახლ. ფანავის ქედი, აფხაზეთში.

614. გურია. მხარე დას. საქართველოში. ფეოდალურ ხანაში გურია ადმ. და პოლიტ. ერთეული იყო. ისტორიული გურია ძირითადად მოიცავდა ახლანდელი ოზურგეთის, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის რ-ების ტერიტორიას. ვახუშტის მიხედვით, გურიის საერისთავო ჩამოყალიბდა 786 წ., ო. სოსელიას (1954) მიხედვით კი — XIII ს-ში.

615. პალიასტომის მდინარე. ახლ. მდ. კაპარჭინა.

616. ქობულეთის მდინარე. ახლ. მდ. კინტრიში, ერთვის შავ ზღვას.

ლექსიკონი

ა

აბრამადი ანუ სალოხუცესი, სალარის ნაზირი, თანამდებობა — ეზოსმოძღვარი (სპ.) 16_{30}.

ადგილის აღწერა ქვეყნის (ტერიტორიის, ადგილის) გეოგრაფიული დახასიათება 4_{1}.

ადლი სიგრძის საზომი ერთეული, უდრიდა დაახლოებით 1 მეტრს 30_{4}.

აკაზანი აუზი, ხელოვნური წყალსაცავი სიცურაო. აკაზანს ქართლში ისეთ წყაროს უწოდებენ, რომელსაც წინ ხის დიდი გობი აქვს დადგმული ან წაგრძელებული კასრისმაგვარი სათავსი საქონლის დასარწყულებლად 54_{40}.

აჟუერუშვერი ცუდი, ულაზათო 40_{25}.

ათაბაგი სამცხის მმართველთა საგვარეულო წოდებულება. არაბულად მამამთავარი, უმაღლესი მთავარი შემდგომად მეფისა (ნ.ჩბ.) 20_{36}.

აკაური ფრ., გედი (გარეული ბატი?), лебедь; Cygnus. ასილა, ყრუნი, цапля (ნ. ჩბ.) 31_{14}.

ალაგთაებრი იგივეა, რაც ადგილების მსგავსი. ადგილები 71_{9}.

ალალი дербник; Falco columbarius Linn. ოლოლი (დ.ჩბ.) 31_{23}.

ალამი იგივეა, რაც სახელმწიფო დროშა. მომცრო დროშა. სპარს. ალამ, ანუ ნიშანი რამე შუბთა ზედა და მისთანათა, ან ნაჭერი რისამე ნიშნად (დ.ჩბ.) 23_{1}.

ამბარი ვახუშტი გულისხმობს სურნელოვან ბალზამს, რომელიც მიიღება ამბრის ხისაგან, ლიქვიდამბრისაგან, ликвидамбар, стираксовое дерево; Liquidambar stiraciflua L. ა.ნაზ აქროლად ნივთიერებას შეიცავს და პარფიუმერიაში სურნელის ფიქსატორად იხმარება 41_{15}.

ამიერი აქეთა მხარე, აქაური (საპირისპირო იმიერი) 31_{39}.

ამილახორი (ამირახორი) ხელისუფალი, თანამდებობა, ერთ-ერთი დიდი მოხელეთაგანი ძველ საქართველოში, სამეფო საჯინიბოებისა და აბჯარ-საჭურველის გამგე და სათანადო მოხელეების უფროსი 17_{11}.

ანდაკია იგულისხმება ზუთხისნაირთა წარმომადგენელი თართი (ცქრინი), стерлядь; Acipenser ruthenus L. დ.ჩბ. თევზია, ზუთხის შვილი 32_{11}.

არა უხმთ ვახუშტი გულისხმობს — არა უჭირთ (საკმარისი აქვთ) 147_{4}.

არვე ცხვრებისა და თხების ჯოგი, ფარა 39_{33}.

არღარა არაფერი, არღა, აღარ, შემდგომს დროს არა, უკუთქმა მომავლისა დროისათვის 1_{9}.

არყნალი[1] არყის ხეებისაგან - берёза; Betula, შემდგარი ტყე. გურ. მთის ბალი, მგრ. გვალაში ბული, ჭყერია; ლჩხ. არყე 41_{12}.

არჩვი ფსიტი, серна, Rupicapra rupikapra. დ.ჩბ. ფსიტი, ნიამორი, გარეთხა 31_{9}.

ასკატა იხვინჯა, ჭიკვარა, чироктрескунок; Anas guerquedula Linn. 31_{16}.

ასპანახი ისპანახი, სპანელი, шпинат огородный; Spinacia oleracea L.31_{3}.

ასპარეზი მოქმედების, მოღვაწეობის არე, — სარბიელი. ვახუშტი აქ გულის-

---

[1] აქ და შემდეგშიც მცენარეთა კუთხური სახელწოდებები მოყვანილია ა.მაყაშვილის ბოტანიკური ლექსიკონიდან, მესამე გამოცემა, გ.ნახუცრიშვილის რედაქციით. თბ.,1991.

ხმობს საბრძოლველად განკუთვნილ ადგილს, სტადიონს 15_{19}.

ადიაჯი ძველად სიგრძის საზომი. უდრიდა დაახლოებით 5-6 კმ. 30_{14}.

აღმკული განშვენებული, მორთული, მოკაზმული (ნ.ჩბ.) 90_{37}.

აყროლ-ტყიანი ლაღად და ხშირად გაზრდილი ტყიანი 164_{34}.

აწამდე დღემდე 13_{25}.

ახლოირებს იგულისხმება მთისა და ბარის სიახლოვე 122_{10}.

ბ

ბაბაყველი ფრ., ბობოყუელა (სბ.); ბაბაყუელი, ბობოყველა (დ.ჩბ.) 31_{24}.

ბაბილი იგივეა, რაც უსურვაზი, კრიკინა ვაზი, ტყის ვაზი, ხეზე აშვებული ვაზი 164_{36}.

ბაზი ფრ., მონადირე ფრინველი: შევარდენი, ქორი, მიმინო და მისთანანი 17_{14}.

ბაზიერნი ქორ-შევარდენთა სანადიროდ დამგეშველნი (ქეგლ) 17_{15}.

ბალამწარა გარეული ბალი, მწარე ბალი, черешня дикая; Cerasus silvestris (= C.avium auct p.p.). იმ., ლჩხ. მწარე ბალი 30_{23}.

ბალახ-ყვავილოვანი იგულისხმება სუბალპური ზონის მდელოს ბალახმცენარეულობა (ნ.კ.). გავრცელებულია როგორც კავკასიონზე, ისე ანტიკავკასიონზე 61_{19}.

ბალღოჯი მჟავე ბალი, ბუჩქი ან ტანდაბალი ხე ვარდისებრთა ოჯახიდან, антипка, кучина, татарка, каменная вишня, магалепская вишня; Cerasus mahaleb Mill, აქვს კურკიანი ნაყოფი, საჭმელად უვარგისი. იყენებენ კულტ. ალუბლისა და ბლის საძირედ 30_{24}.

ბარდნალი ბუჩქების ან ბალახეული მცენარის გართხმულ-გადახლართული ღეროებით შემოსილი ადგილი 151_{8}.

ბარდოვანი ტყეები ლიანებიანი ტყეები 171_{35}.

ბარებული შესანახად მიბარებული „შენახვა-ქმნული“ (სბ.) 21_{41}.

ბარი ფრ., გავაზი, балобан; Falco cherrug Gray. მტაცებელი ფრინველია. სბ. გავაზი, ბაზი: „შევარდენსა, ქორსა, მიმინოსა და ყოველთა მისთანათა ბაზი ეწოდების“ 31_{22}.

ბეგი (ძვ.) ფეოდალი, მემამულე (თურქეთში, აზერბაიჯანში) 26_{38}.

ბერული ვახუშტი გულისხმობს პერანგის საყელოს მოჭრას 33_{10}.

ბიჯი ერთი ფეხის გადადგმა, ნაბიჯი 16_{7}.

ბოზა ფეტვისაგან დამზადებული ბურახი, буза 113_{9}.

ბოლობეჭედა ფრ., ჩვეულებრივი მინდვრის ბოლობეჭედა, შევარდნისნაირთა რიგის ფრინველი. Лунь полевой обыкновенный; Circus cyaneus cyaneus Linn. გავრცელებულია თითქმის მთელ მსოფლიოში. საქართველოში გვხვდება აგრეთვე მდელოს, სტეპისა და ჭაობის ბოლობეჭედა 31_{24}.

ბოლოწითელი თევზი 147_{18}.

ბონდი ბაგირზე დაკიდებული ხიდი მდინარეზე (ქეგლ) 149_{15}.

ბორა ფრთიანი მწერი, რომლის ჭუპრები ხშირად პარაზიტობენ ძროხის, ცხენის კუჭ-ნაწლავში, ცხვრის შუბლის ფოსოში და სხვ. (ქეგლ) 32_{17}.

ბოქაულთუხუცესი ბოქაულების უფროსი, იასაულების უფროსი 16_{39}.

ბოქოული იგივეა, რაც ბოქაული. საპოლიციო ადმ. აპარატის დაბალი მოხელე გვიან ფეოდ. საქართველოში (ქსე) 17_{2}.

ბოსალი ორწვერა (ორპირა) ისარი. „ისარი პირდიდი და განსვებული“ (სბ.) 15_{15}.

ბოჭკო ვახუშტი აქ გულისხმობს გრძელბეწვიან ნაბადს. „ჩენჩილა ბეწვი ქუდთა და ღართთა, ხაო, ბუსუსი, ჩანჩალი“ (სბ.) 104_{15}.

ბრაზი ცოფი 38_{12}.

ბრპენი ტყვია ანუ კალა, олово, свинец 58_{28}.

ბრჭე იგივეა, რაც ბჭე (იხ.) 112₂₀.

ბუგრი მუწუკი; ჩამწყრელი (კარაბადინში ეწოდების მისხმითა მუწუკითა, ვითარ ფეტვისა. წითელისა და მისთანათა) (ნ.ჩბ.) 59₁₅.

ბუკ-ტაბლაკი დიდი საყვირი (უკრავდნენ ზეიმის დროს, განგაშის დროს ხალხის შესაკრებად) და ნაღარა (მრგვალძირიანი ქვაბის მოყვანილობისა, პირზე ტყავგადაკრული) (ქეგლ) 17₂₆.

ბურთა აქ იგულისხმება ქუდის დახურვა 34₆.

ბურთობა ბურთის თამაში. შეჯიბრება ბურთაობაში 22₂₈.

ბუსტუღი მც., ფსტა, фисташка настоящая; Pistacia vera L. მსხ. ფისტილი; სპ.ფისტა 30₁₉.

ბჭე სადაო საქმის გამრჩევი; მოსამართლე, მედიატორე (ქეგლ); მსაჯული, მოსამართლე; შუამავალი; მრჩეველი (ვეფხ.) 16₂₁.

გ

გაგაზი იხ. ბარი 31₂₂.

გამრჭობა გასამართლება (სპ,ნჩბ) 120₂₁.

განმსტრობა დაზვერვა, გასინჯვა (ნ.ჩბ); დაჯაშუშება (სბ.) 9₄.

გარიელი ბატისნაირთა რიგის, საშუალო ზომის, შავი ფერის ფრინველი карагатка, турпан; (аулык, совка, ნ.ჩბ.) ერთი სახეობა — Melanita fusca გვხვდება საქართველოში, ბინადრობს ჯავახეთის ტბათა მიდამოებში და იქვე ატარებს ზამთარს (ქსე) 31₁₇.

გარნა (კავშირი) მაგრამ, გარდა, გარეშე, არამედ, თუმცა 2₁₀.

გაღანამცა განაღამცა, დიაღამც, ეგრეთ (ნ.ჩბ.) 47₂₀.

გაჯი თაბაშირისა და თიხის შემცველი ქანის გამოწვით მიღებული მჭიდა ნივთიერება (ქსე) 56₂₁.

გვარჯილა ტუტე და ტუტემიწა ლითონების და ამონიუმის ნიტრატი (აზოტმჟავა მარილი); სხვადასხვა შემადგენლობის აზოტმჟავა მარილი. იყენებენ დენთის დასამზადებლად; ფეთქებად ნივთიერებათა წარმოებაში 37₇.

გვემა ცემა, წამება, ტანჯვა 15₂₃.

გოჭა კობრი, сазан; Cyprinus carpio L. 32₁₁.

გრეხით კლაკნით (მოიკლაკნება მდინარე) 99₁₀.

გუგა თვალის ფერად გარსში მოქცეული ხვრელი, საიდანაც შედის სინათლე, თვალისჩინი. „სახედველი, თვალის ბია, თვალის კაკალი ან ბია“ (ნ.ჩბ.) 4₂₈.

გულდებული იმედდადებული, დაჯერებული, დაჯერებულობა, დარწმუნებული (დ.ჩბ.) 9₁₉.

გურზი ფოლადის ძველებური საომარი იარაღი კომბალივით (ქეგლ) 15₁₄.

გუჯარი ეკლესიისათვის მეფის ან მემამულის მიერ გაცემული საბუთი, რომელშიც განსაზღვრული იყო ეკლესიის მეურნეობისათვის სავალდებულო წესი (ქსე). დიდი სიგელი (სბ.), სიგელი ეკლესიით შეწირულობისა (ნ.ჩბ.) 18₉.

გუჯახტა კაბის საკილოვე, კუშტაბანი, (სპ.)110₄₄.

დ

დაბა ქალაქის ტიპის დასახლება. ვახუშტი დაბას ხშირად სოფლის აღსანიშნავად ხმარობს 14₃₅.

დათვ-ბაბა ამბურა, მაპურა, პურაპურა, დათვი-ბაბა, рябина греческая, гусеничник; Sorbus graeca Held. (= S. umbellata Fritsch). თაფლოვანი და დეკორ. მცენარეა. ქრთ., აჭ. დათვისბაბა; გურ., კხ. კომშა, კომშარა; მსხ., პურისცომა; მთ. პურადა, პურისგულა, პურგუ-

ლა; ზოვან, რჭ., იმ., დათვისმსხალა, დათვიხალა 30₂₅.

დათვის-თხილი ქართული თხილი, медвежий орех; Corylus iberica Wittm. იზრდება უფრო ხშირად შუა სარტყლის ფართოფოთლოვან ტყეებში; ნაყოფი გემრიელი აქვს. ქრთ. დათვითხილა; ინგ. ტყეური თხილი; მგრ. ტყარ თხირი 30₂₅.

დათვის-სხალა იგივეა, რაც თამელი, берека, берек, глоговина; Sorbus torminalis Grantz. ზმ. იმ. ბალღოჯი; გურ., აჭ. დათვამსხალა; რჭ., იმ., დათვიხალა. მაგრამ ვახუშტი ამ შემთხვევაში უნდა გულისხმობდეს შვინდს (კვრინჩხს?) 30₂₅.

დალიჭი ტახტი, გინა სახლზე წამოსაჯდომელი პატიოსანი (სბ.). ტახტი დიდებულთა დასაჯდომელი (დ.ჩბ., ნ.ჩბ.) 11₁₃.

დამდორდების ნელა მიედინება, მშვიდად მიედინება 35₁₅.

დარაია აბრეშუმის ქსოვილი. დარაიის პერანგი, აბრეშუმის მანდილი 111₈.

დარაიბაფთი აბრეშუმის წმინდა ძაფის მეჩხერი ქსოვილი, იყენებენ ჩვეულებრივ რაიმეზე შემოსაკლეებად (ქსე) 111₉.

დარანი 1.გამოქვაბული კლდეში ან მიწაში; 2.თევზების სამალავი, - ბოლათი, ჯილე (ქეგლ). კლდეში ან მიწისქვეშ შესასვლელი; „სახლი მიწას ქვეშ ნაგები გინა მიწა და კლდე შეთხრილი უჩინრად" (სბ.) 50₁₄.

დარბაზი საგანგებოდ მოწყობილი დიდი საკრებულო ოთახი. საქართველოს ფეოდალური სახელმწიფოს უმაღლესი სათათბირო ორგანო – სამეფო საბჭო. სამეფო დიდი სახლი (სბ.); სასახლეში უდიდესი პალატი ან სამეფოს გამომშვენების სახლი (დ. ჩბ.) 17₁₉.

დარბაზის ერი მთავარნი, რჩევის მოქდნი (სბ.) 17₁₉.

დასაბამი თავი, დაწყება, დასაწყისი, დასაბამი და დასასრული 2₁₄.

დაურვება იგულისხმება გარდახდა, ანაზღაურება, გარიგება, მოგვარება (ვეფხ.) 15₂₅.

დალათუ იხ. დალაცათუ 9₁₂.

დალაცათუ, თუმცალა, თუნდა (სბ.), კავშირი მიმშვებითი (ნ.ჩბ.) 7₁₇.

დაშვრა დაიღალა (დაღლა), დაიქანცა 118₁₇.

დაშთა (**დაშთენ**) დარჩნენ, დაშთენილი, იგივეა, რაც დარჩენილი (ქსე) 11₂₉.

დაშრომება ვარჯა, დაღალვა (სბ.), დაღლილობა; დაღალვა (დ.ჩბ.) 118₁₇.

დაცონვილი მეტისმეტად მაძღარი 45₂₃.

დაძალდაყოფილი ძალდატანებული 75₁₆.

დაწინდვა დანიშვნა ქალ-ვაჟთა საქორწილოდ (ვეფხ.), საწინდრად მიცემა, დაგირავება 15₂₉.

დაწინდული ქალი დანიშნული ქალი 15₂₉.

დედაწული სახლობა, ჯალაბობა (ნ.ჩბ.); „სახლის ჯალაბობა" (სბ.), ოჯახი, ვარი; დედაწულიანად, ცოლშვილიანად (ქსე) 73₆.

დურაჯი ფრ., დურაჯი, турач; Francolinus francolinus Linn. მცირე რაოდენობით გვხვდება იორის ნაპირებზე. თურაჯი (დ. ჩბ.). ხოხბის მსგავსი გარეული ფრინველი (ვეფხ.) 31₁₅.

ე

ებანი 1.სიმებიანი საკრავი – ქნარი; 2.დაირა, დაფი 38₁₄.

ეზოსმოძღვარი მოხელე, სახლის განმგებელი, ნაზირი (ნ.ჩბ.) 17₂₀.

ეზრახა (**ზრახვა**) მოლაპარაკება, მოთათბირება 6₃.

ელინი მომთაბარე ხალხი 36₂₈.

ენდალმა (ბერძნ.) წერილი ბრძანებათა (სბ.); ხარისხის ბოძების წერილი უფრესთაგან (დ.ჩბ.) 18₉.

ერისთავი სოციალური ერთეულის მმართველი, თემის გამგებელი და მპყრობელი (ფეოდალურ საქართველოში) 15₁₀.

ეშვი ვახუშტი გულისხმობს ლორის. ეშვი „ლორის ტახი" (სბ.). დიდი კბილი ტახისა, ლორისა, სპილოსა და მისთანათა (ნ.ჩბ.) 64₂₀.

ეწერი დასავლეთ საქართველოს ვაკეთა და დაბლობის ტყეები. „ტყენი აყ-

რილში და უწოდებენ ეწერს" 165$_{35}$.

ეწერნი, ბარდოვან-ტალახ-ჭანჭრობიანი ვაკის, ჭაობიანი, ლიანებიანი ტყეები. გავრცელებულია კოლხეთის დაბლობზე 171$_{35}$.

ეჯი მანძილის საზომი ერთეული XII-XVIII ს. საქართველოში. უდრიდა 6-7,5 კმ. „სამი მილი ერთი ეჯი არს" (სბ.); ერთი დღის სავალი გზა (ვეფხ.) 30$_{1}$.

ეჯიბი ხელჯოხიანი, მეფის წინაშე მდგომი (ვეფხ.) 16$_{14}$.

ვ

ვალის კლდე ალმაკალი კლდე, ქარაფი კლდე 110$_{12}$.

ვარხვი ფრ.; пеликан, баба-птица, Pelecanus. ბუდობენ ზღვების, ტბებისა და მდინარეების პირას. საქართველოში გვხვდება ვარდისფერი ვარხვი P. onocrotalus 31$_{14}$.

ვარჯი ხის ტანის შტამბის ზევით ნაწილი, შტოებიანი ხე 158$_{9}$.

ვეფხი ვახუშტი უნდა გულისხმობდეს ჯიქს ანუ მთის ლეოპარდს 31$_{9}$.

ვეძა მინერალური წყალი, მლაშე ან მჟავე (ქსე) 73$_{37}$.

ვიეთიმე რომელიმე (დ.ჩბ.) 14$_{38}$.

ვიეთმე, ვიეთნიმე ვინმე, რომელიმე 3$_{12}$.

ვიეთინი ზოგნი (სბ.) 32$_{8}$.

ვითარ რაოდენ, როგორც, როგორ, როდესაც, როცა, სანამ 1$_{31}$.

ვითარი როგორისავით (სბ.); როგორი (ნ.ჩბ.) 11$_{3}$.

ვინათგან რადგან; რადგანსავით (სბ.); რადგან, რადგანაც (ნ.ჩბ.) 1$_{5}$.

ზ

ზარდაგი მოყვითალო ფერის ღვინო 171$_{5}$.

ზარნაშო დიდი ბუ, филин, Bubo bubo Linn; დ.ჩბ. ზარნასო, ზარნაშო, пеясить, филин 31$_{25}$.

ზეზი 1.ერთად დართული ორფერი ძაფი ან ძაფი და სირმა. 2.ერთგვარი სამოსი ასეთი ძაფისა. ოქროქსოვილიანი სამოსელი (დ.ჩბ.) 63$_{15}$.

ზეთისხილი ნაყოფი ზეთის ხისა (ზეითინი, არაბ.); оливка, оливковое дерево; Olea europaea L. მარადმწვანე სუბტროპ. ხეხილოვანი მცენარეა 30$_{17}$.

ზექარა იგივეა, რაც უღელტეხილი. ზოგჯერ (არასწორად) გადასასვლელად მოიხსენიებენ 117$_{6}$.

ზროხა ძროხა 57$_{11}$.

ჱ

ჱუნენი (ჰუნენი) ცხენები, ბედაური ცხენი 17$_{13}$.

თ

თავისწინაობა მარტოკა (სბ.), მარტოობა (დ.ჩბ.) 17$_{20}$.

თეთრი ფული თეთრი, ვერცხლის ფული. საფასე 15$_{25}$.

თვალდება რიდი, ხათრი, პირფერობა 10$_{2}$.

თვალშავი ფრ., მტაცებელი ფრინველების გვარი შევარდნისნაირთა რიგიდან, кобчик; Falco vespertinus Linn. დ.ჩბ. მცირე ბაზი, შევარდენი, თვალშავი 31$_{21}$.

თირი ნაცრისფერი რბილი ქვა, ითლება, ცეცხლზე არ სკდება; მისგან აკეთებენ კერას – მჭადაქვა 74$_{23}$.

თნება წადება, გინა ნება (სბ.); მოწონება, სათნოდ მიჩნევა (დ.ჩბ.) 10$_{2}$.

თრევა იხ. თრება 93₂₂.

თივა ბალ. ქუჩი, წივანა; овсяница джимильская; Festuca djimilensis. ლჩხ. წერაქი; სვნ. წერექი, წერქვა; სბ. საბანდულე თივა, ქუჩი, წერექი; დ.ჩბ. საბანდულე ბალახი 111₃.

თჳნიერ გარდა, გარეშე, უმისოდ (სბ., დ.ჩბ.) 9₁₆.

თჳსთჳსთა ცალ-ცალკე, თითო-თითოდ (დ.ჩბ.) 21₃₄.

თუთუბო თრიმლი, сумах, кожевенное дерево. მთრიმლავი მცენარე. რჭ. თუხითუბო; აჭ. თრიმლი 53₂₈.

თურინჯი პომპელმუსი, თრუნჯი, шеддок, помпельмус, пуммело; Citrus grandis (=C. decumana L, C.maxima Merr.). სუბტროპიკული მარადმწვანე ხეხილოვანი მცენარეა, ისხამს მომწვანო ნაყოფს (უცხ.სინონიმი — გრეიპფრუტი) 30₁₆.

თხემი ქედის მოპირდაპირე კალთების გადაკვეთის ხაზი, რომელიც აერთებს მის (ქედის) ყველაზე მაღალ წერტილებს 39₂₂.

თხისური თხის მატყლი, თხის თივთიკი. „თივთიკი, სხვათა ენაა, ქართულად თხისური ჰქვიან“ (სბ.) 19₆.

ი

იაგუნდი ძვირფასი ქვა, წითელი ან ლურჯი ფერისა (ქეგლ); თვალი პატიოსანი (ნ.ჩბ.) 174₁₃.

იავარი დარბეული, აკლებული, გაძარცული, აოხრებული 16₁.

იამანის ქვა მინერალი აქატი, აგატი, ქალცედონის სახესხვაობა; ნახევრად ძვირფასი ქვა. ახასიათებს სხვადასხვა ფერის ზოლების მრავალჯერადი გადაშრევება. წითლისა და ნარინჯისფერის შეფერილობის აქატს სარდიონს (сердолик) უწოდებენ. საქართველოში მოიპოვება ახალციხის რაიონში. ვახუშტის მიერ იალღუჯის მთაზე მითითებულ „იამანის ქვის მსგავსი“ მინერალი, ობსიდიანი, რომელიც აქ ჯავახეთიდანაა მოხვედრილი 50₃₂.

იენგიჩარი გამაჰმადიანებულ ქრისტიანთაგან შექმნილი კორპუსის ჯარისკაცი ოსმალეთში 125₃₈.

იერლიყი იარლიყი. გასაყიდ საქონელზე მიკრული ნიშანი, რომელზეც აღნიშნულია სახელწოდება, ფასი და სხვა — ეტიკეტი (ქეგლ); სბ. „მეფისაგან ხელქვეშეთა მინაწერი“ 18₃.

ივახშა ისესხა 13₁₃.

იმიერი იქითა მხარისა, იქითური, გაღმისა, გაღმა (საპირისპიროა ამიერ) 31₃₈.

იმღერდიან მღერიან მწუხრად, მწუხარე ხმით 19₄.

ინთილა კუჭის აშლილობა. „სტომაქის მოშლა ბევრის ჭამით ან საწყენი საჭმლისაგან და ვერ მონელება“ (დ.ჩბ.) 77₁₃.

ისარი ბითალი ორწვერა ისარი; ქებურის მსგავსი პირ-ღია, განპობილი არის (სბ.) 15₁₃.

ისარი ხაყალთი ფრთე-დაბალი და პირწვრილი, რომელსა ყაზახნი და თურქნი იქონებენ (სბ.); ისარი ერთვარი (დ.ჩბ.) 15₁₈.

იყო არაყი 119₃.

იწრო ვიწრო 70₃₇.

კ

კაბა სამოსელი 33₃₁.

კალია ბალ., სტეპის მლაშნარის ბალახ-მცენარე, ხურხუმის სახე. Salsola soda L., S. crassa. შეიცავს სოდას. გავრცელებულია აღმ. საქართველოში: იალღუჯის მაღლობზე, გარდაბნის ვაკეზე და სხვ. ადრე იყენებდნენ საპნის დასამზადებლად 50₃₄.

კანბეჩი იგივეა, რაც კამბეჩი 31₇.

კანკელი ჩარჩოებიანი ტიხარი (ჩვეულებრივ ხატებით შემკული), რომელიც გამოყოფს ეკლესიაში საკურთხეველს (ქეგლ) 157₁₂.

კაპარი მც. каперсы; Capparis spinosa L. (=C. herbacea W.). ჩვენში იზრდება აღმ. საქართველოში მშრალ მთისწინეთში. კოკორს, მკვახე ნაყოფს და ნორჩ ყლორტებს ამწნილებენ. მწიფე ნაყოფი იჭმება. იყენებენ ხალხურ მედიცინაში (სასაქმებელ საშუალებად) 53$_{28}$.

კაპარჭი ისრების ჩასაწყობი ბუდე, ისრის ქარქაში (ქეგლ) 15$_{18}$.

კაპოეტი თევზი, ჩვეულებრივი ქაშაპი, елец обыкновенный; Leuciacus leuciacus L. 32$_{11}$.

კარავი დროებითი სადგომი. წარმოადგენს სარჯენებზე გადაჭიმულ ქსოვილს (ქეგლ). საჩრდილობელი (სბ.); ფაცხა, ფანჩატური (ი.აბ.) 14$_{36}$.

კარი სამეფო სასახლე, დიდი და ლამაზი შენობა, რომელიც გამოირჩევა თავისი არქიტექტურით; მეფისა და მისი ოჯახის ადგილსამყოფელი შენობა (ქეგლ) 16$_{24}$.

კარჩხანა თევზი, карась; Carassius carassius L. 32$_{11}$.

კბოდე, კბოდე ციცაბო, კლდოვანფლატოვანი მიუდგომელი ნაპირი მდინარის, ზღვის ან ტბის; ტერასის ციცაბო, შვეული ნაწილი 38$_{33}$.

კეთილნაშენი მშვენივრად ნაშენი 37$_{3}$.

კეკელა ლამაზობის მოყვარე (სბ.); კეკლუცი, მოხდენილი ან მორთულობის მოყვარე (ნ.ჩბ.) 177$_{37}$.

კეკლუცობა იხ. კეკელა 11$_{14}$.

კერპთაყვანისცემა სარწმუნოება, რომელიც კერპების თაყვანისცემას, კერპების მსახურებას მოითხოვს 5$_{19}$.

კვალად ისევ, კიდევ; მერმე, მეორედ (ი.აბ.), კიდევ (სბ.) 2$_{16}$.

კვართი ტუნიკა, რაც პერანგი. 62$_{34}$.

კვლიავი ქოლგზეთოვანი ბალახოვანი მცენარე, тмин; Carum carvi L. იყენებენ საკონსერვო, საკონდიტრო და ფარმაკოლოგიურ წარმოებაში. მხვ., მთ. მკვლიავი; ფშ., ხვს. კვლია; ლ.ჩბ. ანისული 31$_{4}$.

კიდე განაპირა ნაწილი, ბოლო (ქალაქისა, სოფლისა, მინდვრისა), ნაპირი (ზღვისა, მდინარისა) 35$_{16}$.

კოტი ფრ., უნდა იგულისხმებოდეს გულწითელა, малиновка, зарянка; Erithacus rubecula Linn. ლ.ჩბ. ცხრაჭუკელა 31$_{17}$.

კიმროჯი თავლი, – გოლეული; „თავლი მაგარი" (სბ.) 147$_{26}$.

კირთება შევიწროება, შეწუხება, რბევა (ი.აბ.). მტრობა, თავდასხმა, ვნება 28$_{4}$.

კირკიტა ფრ., ჩვეულებრივი კირკიტა, მტაცებელი ფრინველი, обыкновенная пустельга; Falco tinnunculus Linn. საქართველოში ბინადრობს ტყეში, სტეპებში, ნახევარუდაბნოში 31$_{23}$.

კირსაგალი კირისა და საგალის (მცენარეა) ნარევი თევზის საჭერად. საგალად ვახუშტი უნდა გულისხმობდეს ლაფანს (ან კოპიტს?) 44$_{18}$.

კირჩხიბი ვახუშტი აქ გულისხმობს კიბორჩხალას. **Potamion potamios.** პატარა მომრგვალო ბრტყელზურგა კიბო (ლელე-მდინარეთა) – ცხრაფეხა 89$_{6}$.

კისკასი მარდი, სწრაფი, ცქვიტი; სწრაფად მქცევი (სბ.) 147$_{32}$.

კლდის მერსენი მც., მირტი, мирт, Myrtus communis L. სბ. მურტი; ლ.ჩბ. მეირსინი 30$_{27}$.

კნინდა კინაღამ, ძლივს თითქმის (ლ.ჩბ.) 3$_{16}$.

კოლიოსპური ფრ., ჩიტბატონა, მახარა, щегол; Carduelis carduelis Linn. იმ. კულუმბური, კულუმბურა 31$_{18}$.

კოლტი ცხენის ჯოგი. табун, стадо свиней 39$_{33}$.

კონი ფაცერის ერთგვარი, თევზის საჭერად. „ორაგულთა სანადირო ფაცერი, მდინარეზე გაბმული, რომელშიაც ჩაიდგმიან პირშექცეულნი გოდრებს" (ლ.ჩბ.) 35$_{20}$.

კოჩივარდა მც., ქართული ყოჩივარდა, дряква весенная, д.грузинская, цикламен весенный, ц.грузинский; Cyclamen vernum Sm. (=C. ibericum Stev.). ქრთ., კხ. პაპიყვერა; რჭ., ლჩხ. კოჩიოტა, ზმ.იმ. ქორჩიოტა; გურ., ქვ.იმ. კვარაკუნჩხა; აჭ. ქოყვის წამალი 30$_{32}$.

კოწახური მც., барбарис; Berberis vulgaris. ეკლიანი ბუჩქი,

ისხამს მჟავე ნაყოფს, რომელიც იჭმება. ხმარობენ კულინარიაში. ფშ. მკალძმარა; ხევს. ესკალძმარა; რჭ. ძაწაჩური 30_{26}.

კრიკინა უსურვაზი, გარეული ვაზი, ტყის ვაზი, виноград лесной; Vitis silvestris Gmel. კხ., იმ. კრიკინა; ქრთ., მთ. ბაბილო; ქვ.იმ. ზღვამლი; რჭ. ძღვამლი; მგრ. ჩიტიში ყურძენი 30_{31}.

კრძალვა მოკრძალება, მორიდება, მოწიწება, კრძალვით ქცევა (ქეგლ). სიფრთხილე (სბ.); გაფრთხილება, ან დარიდება, მოწიწება (დ.ჩბ.) 33_{6}.

კხანი წონის ერთეული, იგივეა, რაც ქსანი 65_{38}.

ლ

ლაინა ფრ., ჩვეულებრივი ლაინა, წყლის ქათამი, ქათამურა, пастушок, водяной постушок, красноносная водянная курочка; Rallus aquaticus Linn 31_{14}.

ლაკლაკი ფრ., ყარყატი, белый аист, черногуза, неклейка, бочана; Giconia ciconia Linn. ბინადრობენ ნოტიო ადგილებში. წყალსატევების პირას, ჭაობებში. შეტანილია „საქართველოს წითელ წიგნში“ 31_{27}.

ლაჟვარდი ლურჯი ფერის ქვა. ცისფერი, ლურჯი (ვეფხ.); სბ. „ალმალების ქვა არის ძოწი, იასრტა, ბროლი, ლაჟვარდი, ქარვა და მსგავსნი ქვები, ხოლო სხვანი — ალმასი, იაგუნდი, ლალი და მსგავსნი ქვები“ 39_{4}.

ლარი ძვირფასეულობა, განძეულობა. ორგვარია: 1.ძვირფასი ანუ პატიოსანი ქვები, ოქრო-ვერცხლი და მათი ნაკეთობები, 2.საფეიქრო ნაწარმი: აბრეშუმისა და შალეულის ქსოვილები (ქსე) 17_{30}.

ლახანა თავხვეული კომბოსტო, კოლრაბი, ხვოტი, кольраби, репная капуста, кочанная капусти, вилок; Brassica oleracea L. იმ. კანაფოფხალი, კანაფა, კანაფხალი; ზმ.იმ. კაჭარა; გურ. კეჟერა 30_{37}.

ლახტი გურზი. გრძელი უტარო მათრახი, ძველად ბრძოლაში ხმარობდნენ საცემად; რკინის კეტი ამავე დანიშნულებისა; ტყავის სარტყელი, რომლითაც ბავშვები ლახტაობას თამაშობენ 15_{14}.

ლეიბი იგივეა, რაც ლაინი, შინ ნაქსოვი ბამბის თხელი ქსოვილი, ჩვეულებრივ მუქ ლურჯად შეღებილი 111_{8}.

ლერწმოვანი ლერწმიანი (тростник большой, Arundo donax L.) შემოსილი ადგილი 90_{13}.

ლიმო მც., ჩვეულებრივი ლიმონი, лимон обыкновенный; Cytrus limon Burm. სბ. ლიმო 30_{17}.

ლიტონი კაცი კახურში აქ გულისხმობს მარტოხელა კაცს 11_{29}.

ლიტრა ძველებური ქართული წონის ერთეული; სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა კუთხეში განსხვავებული: უდრიდა 1-4 კგ (ქეგლ); საწყაოს ერთეული, დაახლოებით გირვანქა (ი.აბ.) 135_{40}.

ლუღლუღარი მც., კახურში გულისხმობს თეთრ დუმფარას, водяная лилия, кувшинка белая, нетюфар; Nymphaea alba L. მრავალწლოვანი ბალახოვანი წყლის მცენარე, აქვს წყალზე მოტივტივე ფოთლები და დიდი ყვავილები. იზრდება ტბებში, გუბურებში. მათი ნორჩი ფესურა იჭმება, ამშვენებენ დეკორ. მცენარედ (ქსე) 47_{16}.

მ

მადრიელი მადლიერი, მადლობის გრძნობით განმსჭვალული, — მადლობელი (ქეგლ) 10_{18}.

მაყვლოვანი მც., იგივეა, რაც თხრახუნა 30_{37}.

მამასახლისი სახლთუხუცესი (სბ.); მონასტრის წინამძღვარი (ი.აბ.) 12_{23}.

მანდატური იასაული, ხელჯოხიანი, მეფეთ გარემდგომი, ეჯიბი (დ.ჩბ.) 17_{1}.

მაჟაჟელი მც., მაჟალო, яблоня дикая восточная, кислица, кислушка; Malus orientalis. რჭ., იმ. ჭკუტავაშლა; ზმ.რჭ., ზმ. იმ., გურ. პანტა, პანტავაშლი; ლჩხ. ტყისვაშლი, მწარე ვაშლი 30_{24}.

მარქაფი სათადარიგო, შემცვლელი; ჯინიბი, მეორე ცხენი (დ.ჩბ.) 14_{36}.

მარჯანი ფრ., მარჯანი, შევარდნისნაირთა რიგის მტაცებელი ფრინველი, чеглок, сокол-белогорлик; Falco (Hypotriorchis) subbuteo Linn. საქართველოში გვხვდება კავკასიონზე და მცირე კავკასიონზე 31_{21}.

მატიანე ისტორიული მოვლენების ქრონოლოგიური ჩანაწერი, ადგენდნენ ძველად (ქეგლ) 2_{38}.

მაღლარი ანუ ბაბილო (იხ.) 177_{30}.

მაღრანი ბეღურასნაირთა რიგის ფრინველი. მოიცავს 2 სახეობას: წითელნისკარტა ანუ სულღუკი და ყვითელნისკარტა ანუ სალსალანა მაღრანი. Клушица, Pyrrhocorax. ალპური მაღრანი (სალსალანა), галка альпийская; Pyrrhocorax graculus Linn 31_{25}.

მაშა მც., მაშა-ლობიო, маш; Phaseolus aureus Pip. 30_{11}.

მაშია ქალის საზაფხულო ფეხსაცმელი, უცხვირო და უქუსლო; ქოშის მსგავსი, იცოდნენ ძველად (ქეგლ) 33_{26}.

მაცთური შემცთენელი, ცრუ, მატყუარა, ცბიერი; ცთუნების მოქმედი (სბ.) 11_{27}.

მახარა ფრ., ჩიტბატონა, ყურჭი, щегол; Carduelis carduelis Linn. „ყურჭი (ფრ.) მახარა. ყურჭი არს, რომელსა ლათინნი კარდირიონად სახელდებენ, რომელსა მეფის სენად უწოდებენ, ხილვითა მას ჰკურნებს“ (სბ.) 31_{25}.

მბალი ბალი 30_{20}.

მგისანი იგულისხმება მომღერალი 1_{26}.

მდედრი 1.ქალი, დედაკაცი, 2.იგივეა, რაც დედალი (ჩიშვ.1); მდედრი პირუტყვი. ვახუშტი გულისხმობს ლაჩარ, მხდალ ადამიანს 105_{34}.

მდევარნი მდევნელი, უკანით მიმდევი მისაწვდენად (ნ.ჩბ.) 80_{13}.

მდივანი მწერალ-მწიგნობარი, მხლებელი ვისიმე საწერად ბრძანებათა მისთა და საქმეთა (ნ.ჩბ.) 18_{1}.

მეკარე კარის მცველი (სბ.) 17_{2}.

მელიქი სომხეთის მთავარი 26_{17}.

მელხაპეპონი ჩვეულებრივი საზამთრო, арбуз съедобный, кавун; Citrulus vulgaris Schrad. კხ. ყარფუზი; დას. საქ.-ში ხარბუზაკი, ხაბურზაკი; სბ. მელსაპეპონი 30_{21}.

მემწყობრე იგულისხმება მოცეკვავე 17_{25}.

მერმე იგივეა, რაც მერე, შემდეგ, მომავალში, შემდგომში 14_{40}.

მერწყული წყლის მზიდავი 17_{23}.

მესტუმრე სტუმართ მზე მაჩვენილი, მეურნე (ნ.ჩბ.) 17_{32}.

მეტაფრასი ლიტერატურული ტექსტის სიტყვასიტყვით გადმომცემი; მარტივლობა, ამბავთ გავრცელება (სბ.) 99_{36}.

მეტოქი დროებითი სადგომი ეპისკოპოსთა სხვას ეპარქიაში (ნ.ჩბ.); მონაცვლე სამყოფი (სბ.) 38_{6}.

მეუფე იგულისხმება ბატონ-პატრონი, უფროსი 11_{24}.

მეფის როქის ხპა მეფის დაქირავებული ჯარი 16_{37}.

მეჩიტი იგივეა, რაც მეჩეთი, მაჰმადიანთა სალოცავი სახლი 55_{31}.

მეწდე ღვინის დამსხმელი 17_{27}.

მეჯინიბე საჯინიბოში მომუშავე, ცხენის მომვლელი; მეცხენე, ცხენთ მომვლელი (ნ.ჩბ.) 17_{12}.

მეჯინიბეთუხუცესი (შემდგომად იწოდა ამილახორი) ამირახორი, ჯზინდართუხუცესი (ნ.ჩბ.) 17_{11}.

მთახვი თახვი, бобр, Castor fiber. ძუძუმწოვარა ცხოველი, შეგუებულია წყალში და ხმელეთზე არსებობას 31_{10}.

მთიერისაგან მთიანი ადგილის გამო (სბ.) 56_{36}.

მთოვანი მთიანი 91_{29}.

მიზდი სასყიდელი, ქირა. მიზდება-დაქირავება, სასყიდელით აყვანა (ი.აბ.); ასალები რამ სარგო ქირა (სბ.) 4_{31}.

მინდორი კლდოვანი იგულისხმება ქვიანი, ქვით დაფარული ვაკე ადგილი 37_{18}.

მიუხუნა იხ. მიხმა 36_{27}.

მიხმა წართმა (სბ.); მიღება, აღება, გამორთმევა, წართმევა (ნ.ჩბ.) 84_{23}.

მკვირცხლი ძალიან მოძრავი, — ცოცხალი, ცქვიტი; „ესე არს ქვეითი, ფრჩივ მავალი" (სბ.) 114_{39}.

მკრეხელი 1.სარწმუნოების შეურაცხმყოფელი, — მწვალებელი. 2.პირი, რომელიც შეურაცხყოფს იმას, რაც ყველას პატივისცემას იწვევს, რაც ყველასათვის წმინდად ითვლება. „ეკლესიის სახმართ მპარცველი" (სბ.) 15_{34}.

მლაშე რასაც მარილის გემო აქვს, მარილიანი, ზომაზე მეტი მარილიანი. „მარილიანი, გადამეტებით დამარილული" (ნ.ჩბ.) 50_{30}.

მლტოლვარე ლტოლვის მოქმედი (სბ.), ვინც გარბის ან გაურბის რასმე; გაქცეული, მეოტი (დ.ჩბ.) 1_{5}.

მნათე ეკლესიის მსახური, რომლის მოვალეობას შეადგენს სანთლების ანთება, ზარების რეკვა და მისთ. სანთლის ამნთებელი ან გამყიდველი ეკლესიაში (დ.ჩბ.) 18_{12}.

მნე პირი, რომელსაც აბარია სამეურნეო საქმიანობა (ქეგლ); მოხელე, განმგებელი მიჩენილი რასმე ზედა მეურნედ (ნ.ჩბ.) 17_{28}.

მოგვი ყელმაღალი ფეხსაცმელი; ჩექმა (დ.ჩბ.) 33_{24}.

მოდრკების მოიხრება 77_{15}.

მოვერთვის უერთდება, შეერთვის, მიერთვის (მდინარე) 153_{25}.

მოვძარცვა წაერთვა, ჩამოერთვა 11_{28}.

მოღარე იგულისხმება ღარისმგვარი 17_{31}.

მომგრგვალებით მომრგვალებული, მომრგვალებულად 84_{20}.

მომდორდების მდორე გახდება; ძალიან ნელა მოედინება; დამშვიდება; მდორე - წყნარსა და ჩქარს საშუალი (სბ.) 126_{13}.

მომოჭვილი ძვირფასი ქვებით შემკული; თვალმარგალიტით შემკული 22_{2}.

მოსაკიდელი ზურგზე მოსაკიდებელი, ზურგით სატარებელი; „ჴელსახოცი, გინა ზურგის სატვირთავი" (სბ.) 156_{22}.

მოსრნა ამოწყვეტა, დახოცვა; „მოწყვეტა და დაჴოცა" (სბ.) 13_{20}.

მოურნე მიჩენილი მომვლელი, ზედამდეგი, მზრუნველი (დ.ჩბ.); მომვლელი, გამრიგე (სბ.) 2_{8}.

მოურნეობა მოვლა-პატრონობა 14_{24}.

მოქცევა იგულისხმება გაქრისტიანება 5_{16}.

მოყმდებიან დაიმშვენიან; შიშმილი, მოყმობა — შიშმილით მოვლა (დ.ჩბ.) 109_{29}.

მოყმე ვაჟკაცი, ჭაბუკი, რაინდი. ვახუშტი გულისხმობს მოზარდს, ახალგაზრდას 22_{27}.

მოყმობა იგულისხმება მეგობრობა 18_{15}.

მოცხარი მც., ხუნწი, მთის მოცხარი, ლობა; смородина альпийская, глухая смородина, Ribes alpinum L. ნაყოფი (კენკრა) საუკეთესო სამკურნალო და საკვებია. იყენებენ ნედლად, გამხმარს, გაყინულს; ამზადებენ მურაბას, წვენს, ღვინოს და სხვ. მთ. მოცხარი; ფშ., ხვს. ალუდა; მხვ. ხუნწი, ხუნწაი; რჭ.,ლჩხ. დათვის მოცხარი; თშ. კლდის ღუხი 30_{27}.

მოძღვართ-მოძღვარი მღვდელთა მღვდელი; უფროსი წინამძღვარი (სბ.) 101_{3}.

მოწესე ბერი, მღვდელმსახური (ქეგლ); სამღვდელოს რიგთაგანი (სბ.), მონაზონი (ნ.ჩბ.) 53_{13}.

მოწმობა დამოწმება 6_{21}.

მოჰმადიანი მაჰმადიანობის მიმდევარი,– მუსლიმანი; თათარი 28_{1}.

მროწლე ნახირი ძროხებისა და ხარებისა; ჯოგი. „ნახირი ზროხისა" (დ.ჩბ.). „მროწეული, ნახირი, ჯოგი" (სბ.) 39_{12}.

მტილოვანი ბოსტნეული; მებოსტნეობა, მეტილეობა; მტილი — ბოსტანი 30_{15}.

მტყუარნი მატყუარენი, ცრუები; ტყუილის მთქმელი (სბ.) 110_{14}.

მუზარადი მეომრის ძველებური ლითონის ქუდი, რომელიც მას დარტყმებისაგან იცავდა (ქეგლ); ზუჩი, ჩაჩალახი, ჩაჩქანი, რკინის თავსახურავი (დ.ჩბ.) 15_{13}.

მუნ იქ 5_{24}.

მუნებური ადგილობრივი, იქაური 57_{31}.

მუნიდამ იქიდან 73_{6}.

მუნითგან იგივე, რაც მუნიდამ (იხ.) 35_{11}.

მუნცა იქაცა 36_{11}.

მუშაკობა მუშაობა 29_{24}.

მცვარი ვახუშტი გულისხმობს ბაყაყს 54_{30}.

მსტვენარულით გალობით, ჭიკჭიკით 11_{15}.

მჩენარობს ჩანს 166_1.

მცნება იგულისხმება რელიგიური ზნეობრივი ხასიათის გამონათქვამი (სახარების ათი მცნება); ბრძანება, ანუ სჯული, ღმრთისა მიერ, ვინა უაღრესთაგან (ნ.ჩბ.) 11_{25}.

მძრომელი ქვემძრომი, ქვეწარმავალი: გველი, ჭია და მისთ 32_{14}.

მძრომნი იხ. მძრომელი 147_{26}.

მწავი წავი, выдра; Lutra lutra. მტაცებელი ძუძუმწოვარა ცხოველი. აქვს ლამაზი და გამძლე ბეწვი 31_{10}.

მწარე აქ იგულისხმება მჟავე წყარო 50_{30}.

მწერი თევზი, ქარიყლაპია, წერი, მწერი, ука, Esox lucius L. რაც შეეხება ვახუშტის მიერ დასახელებულ „მწერნის", ეს არის განზოგადებული სახელი კოღო, ბუზი, ბორას, კრაზანას და სხვათა 32_{11}.

მწიფელი მც., ვახუშტი უნდა გულისხმობდეს თელადუმას, თელამუშს, берест, ильм, илим; Ulmus elliptica C. U. scabra Mill. აქვს ფრთიანი კაკლუჯა ნაყოფი. იზრდება ფოთლოვან ტყეებში, აღწევს სუბალპურ ზონას 30_{25}.

მწყობრი რაზმი, დაწყობილი ლაშქარი (დ.ჩბ.); რაზმი ლაშქრისა (სბ.) 1_{26}.

მწყრთა ძველებური სიგრძის საზომი; ზომა იდაყვით თითის წვერამდე (დ.ჩბ.) 112_{26}.

მჭვრეტელი იგულისხმება ადგილი, რომელიც ზემოდან დასცქერის მრავალ ადგილს. მაყურებელი, თვალის მდევნელი (დ.ჩბ.) 52_3.

მჭვრეტი იგულისხმება ზემოდან ცქერა; ზემოდან დასცქერის 48_{13}.

მჭნავი მც., ცირცელი, рябина кавказская; Sorbus caucasigena Kom. მსხ., რჭ., ლჩხ., იმ., გურ. ჭნავი; აჭ. მჭკნავი; მთ. მჭნავი 30_{25}.

მხე მომჟავო და მოტკბო გემოიანი (დ.ჩბ.); მჟავე ტკბილგემოიანი (სბ.) 166_{15}.

მჯარი სიგრძის საზომი ერთეული. „ოთხი წყრთა ერთი მჯარის არს კიდრე ორთავე ჴელთა სრულიად გაწვდა" (სბ.) 31_{34}.

მჯიხვი ჯიხვი 67_{22}.

ნ

ნადაბარი სადაც ადრე დაბა იყო 157_{35}.

ნადიმი, ნადიმობა ლხინი, ქეიფი, დიდი წვეულება (ქეგლ) 1_{26}.

ნათესავთმეტყველება გენეალოგია; გვარის ან ტომის ისტორია; საგვარეულო ნუსხა (ქეგლ) 4_2.

ნათესავი ახლობელი წინაპრების ერთი შთამომავალი მეორისათვის. ახლობელი ნ., – შორეული ნ. $12_{\text{к}}$.

ნარი იგულისხმება მინდვრის ნარი, бодяк полевой, Cirsium arvense (L) Scop. ეკლიანი ბალახმცენარე 41_{14}.

ნარინჯი მც., ვახუშტი გულისხმობს ფორთოხალს, апельсин; Citrus sinensis Osbeck. მსხ. ნარინჯი, ფორტოკალი; ბოტ. მჟავე ნაყოფიანი ციტრუსოვანი მცენარეა Citrus auranthium. მჟავე ლაიმი, кислый лаим. იხ. ბოტ. ლექსიკონი, თბ., 1991 30_{16}.

ნარუალი სადაც ადრე რუ იყო 62_2.

ნაძვიანი ნაძვისაგან შემდგარი ტყე, ნაძვნარი. ნაძვი, ель, Picea. სბ. ელატი 45_{39}.

ნახევარ-ჟამი ნახევარი საათი 138_{16}.

ნახიდვარი სადაც ადრე ხიდი იყო 48_{11}.

ნებალი ნიგვზის გული 82_3.

ნებსითი თავის სურვილით, ნებით; წინაღრჩევითი, არა იძულებითი (ნ.ჩბ.) 11_{22}.

ნეგო მც., უკვდავა, ნეგო; цмин, бессмертник иммортель: Helichrysum. დეკორატიულია, გამოიყენება თაიგულებისათვის. მსხ. ლაწუნა, მთის ნეგო, სკარნა 30_{33}.

ნეფსკავი ანკესი, თევზის დასაჭერი 35_{20}.

ნივთიერნი ვახუშტი გულისხმობს ხელოვნურად გაკეთებულ (გამოძერწილ) ღმერთებს, კერპებს, რომელთაც თაყვანს სცემდნენ 12_6.

ნიშანი აქ იგულისხმება გარდაცვლილის ჭირისუფალთა მიერ სამღვდელოთა მისართმეველი 18_{42}.

ნიშატი იგულისხმება ნიშანი. საგნის ან მოვლენის დამახასიათებელი თვისება 2_{4}.

ნიში იხ. ნიშნი 65_{31}.

ნიშნი ნიში, გინა სასწაული (დ.ჩბ.) 29_{30}.

ნიჭი იგულისხმება საბოძვარი, საჩუქარი, ჯილდო 113_{15}.

ნიჯადი მაშვრალი ლაშქარი, სხვის თემიდამ (დ.ჩბ.) 112_{5}.

ნოეს ღრღვნა ბიბლიური წარღვნა, მსოფლიო წარღვნა, всемирный потоп 12_{3}.

ო

ოდენი ტოლი 2_{10}.

ოდიდგან ოდიდან, ოდით, ძველთაგან, დასაბამიდან; ოდითგანვე, ოდითვე — დასაბამიდანვე, იმთავითვე, თავიდანვე 19_{23}.

ოლეჩკანდარი მომცრო კატარღა (დ.ჩბ.) 173_{5}.

ორწოლი შუბი ერთგვარი (ქეგლ); გრძელტარა სასროლი შუბი 15_{14}.

ოსპი მც., ჩვეულებრივი ოსპი, чечевица, Lens culinaris Medic. (=L. esculenta Moench) 30_{10}.

ოფიკალი მოხელე კარისა (დ.ჩბ.) 22_{3}.

ოქივარტერი სომხების სასულიერო უფროსი 37_{3}.

ოყარი ფრ., თეთრი ყანჩა, ოყარი, цапля белая; Egrette, Herodias. გვხვდება ჯავახეთში და კოლხეთის დაბლობზე მიმოფრენისას. შეტანილია „საქართველოს წითელ წიგნში" 31_{26}.

ოჩხი ქვებით შემოზღუდული ორმო მდინარეში თევზის საჭერად (ქეგლ); თევზების საბუნაგო (დ.ჩბ.) 35_{20}.

პ

პალატი დიდებული საცხოვრებელი შენობა, სასახლე, სასახლის დარბაზი (ქეგლ). „...არს ეკლესია გუმბათიანი წმიდის, ნიკოლაოზისა და სასახლე მეფისა, პალატნი დიდ-დიდნი და შვენიერნი" (ვახუშტი) 53_{10}.

პატიახში სამხედრო ადმინისტრაციული მოხელე, ტაძრის ეპარხოზი 139_{22}.

პატივი იგულისხმება ღირსება, ჩინებულება, სახელოვნება 15_{9}.

პატრუცაგი მიწერილობა მეფისაგან მეფესთან (დ.ჩბ.); მეფისაგან მეფესთან მინაწერი (სბ.) 18_{9}.

პეტრუშკა მც., ვახუშტი ამ სახელწოდებით უნდა გულისხმობდეს ოხრახუშის ერთ-ერთ სახეობას — ძირხვენა ოხრახუშს, корневая петрушка, Petroselinum 30_{6}.

პირისწყლიანნი ნამუსიანი, სვინიდისიანი 120_{22}.

პირმტკიცობა პირობის შესრულება 12_{30}.

პიტაკი სავალდებულო წერილი უფრესადმი (დ.ჩბ.); საკადრებელი მინაწერი (სბ.) 18_{9}.

პოლიტიკო სამკერდე ჯაჭვანი (დ.ჩბ.); „რკინის ფიცარი, ბრძოლებში მკერდის და ღლიათა დასაკრავი" (სბ.) 15_{13}.

პოხიერი მსუქანი 109_{41}.

პუმპულა იგივეა, რაც დასტამბო, кантилупа, дыня мелкоплодная, дудаим; Melo dudaim Sageret (=Cucumis cantalupensis Haberl, C.microcarpus). ქუთ. დანტაბო, დაპტაბო; იმ. პუმპულა; ერ. ნესვპუმპულა 30_{22}.

პუნპულა იხ. პუმპულა 146_{33}.,

პურობა სადილი, სერი, წვეულება, სტუმრობა, ნადიმი, დარბაზობა, მასპინძლობა (დ.ჩბ.) 22_{9}.

ჟ

ჟამი დრო, პერიოდი, საათი 1_{3}.

რ

რაისგანმე იგივეა, რაც რაისაგან, რის გამო, რად, რაისთჳს, რისთვის, რატომ 2_{10}.

რამეთუ რომ, რადგან, ვინაიდან (იაბ.) 1_{20}.

რაოდენი რამდენი 2_{29}.

რაჟამს როცა, ოდეს, რა დროსაც 28_{2}.

რემა ცხენის ჯოგი 17_{13}.

რვალი (ძველად) იგივეა, რაც ბრინჯაო 13_{16}.

რიონის თვალი ვახუშტი გულისხმობს მდ. რიონის (ჩრდ.) და შავ ზღვას (დას.) შორის მდებარე „ნახევარკუნძულს“ 175_{23}.

რიტორება მჭერმეტყველება, კეთილადმეტყველება; რიტორი — მჭერმეტყველი ადამიანი; ორატორი 3_{30}.

როსტაგი მეფეთ ბრძანება, ოქმი, ან სჯულის დება (დ.ჩბ.) 18_{9}.

როკვა ცეკვა 19_{21}.

რუქი როქის სპა (ისტ.) — დაქირავებული ჯარი (ქეგლ) 15_{5}.

რუნი საწმისი, მატყლი; რჩეული მატყლი (საბ.) 166_{35}.

ს

საარქიმანდრიტო არქიმანდრიტის ადგილსამყოფელი; არქიმანდრიტი — დიდი მონასტრის წინამძღვარი 55_{18}.

საბარკული საწვივე აბჯარი (იცოდნენ ძველად) 15_{13}.

საბნელი გლოვის კარავი, ან სახლი (დ.ჩბ.); გლოვის კარავი, ქვრივის საჯდომელი (საბ.) 18_{42}.

საბრხე საფრხე ფეხით მოსაბმელი მახე, დამაბრკოლებელი, საცთური (დ.ჩბ.) 66_{24}.

საგანგიო სახლი სამოხელეო, საბრძანებელი (ნ.ჩბ.) 17_{21}.

სადგური სადგომი, ბინა, ბანაკი, ვახუშტი აქ გულისხმობს საზაფხულო აგარაკსაც 77_{15}.

სავაზირო სათათბირო. სარჩეველი (დ.ჩბ.); რჩევისათვის სარჩევი საქმე (საბ.) 16_{26}.

სავათი дрофа, дудак, Otis tarda Linn. ინდაურის მსგავსი ფრინველი 31_{17}.

სავარდე წალკოტი ვარდთა; ვარდის ადგილი (საბ.); მტილი ან წალკოტი ვარდითა, ვარდის (დ.ჩბ.) 1_{23}.

საკადრისი მც., ლობიოს ერთ-ერთი სახეობა, фасоль угловатая, адзуки, Faseolus angularis Wight. იმ. მაშა — ლობიო; გურ. წვიტი ლობიეი, წილობიეი 30_{10}.

საკმელი იგივეა, რაც საკმეველი, სურნელოვანი ფისი, რომელსაც აკმევენ მღვდელმსახურების დროს (ქეგლ); ხეთ ნაღვენთი თეთრი წებო დასაკმევი, გუნდრუკი (დ.ჩბ.) 84_{24}.

სალოისხუცესი იხ. აბრამადი 16_{30}.

სამეუფო სამეფო, საუფლო (დ.ჩბ.) 11_{18}.

სამოთხე სასეირნო ბაღი. ვახუშტი აქ გულისხმობს ძალიან ლამაზ, მომხიბლავ, თვალწარმტაც ადგილს 11_{19}.

სამსჭვალი ლურსმანი 133_{24}.

სამწყსო სამრევლო მღვდელთა, ან ეპისკოპოსთა (დ.ჩბ.) 37_{7}.

სანჯახი ადმინისტრაციული ერთეული თურქეთში 26_{39}.

სარგო რაც ერგება, — წილი (ქეგლ); საშოვარი, სარგებელი მნეთა და მოხელეთა (ნ.ჩბ.) 10_{22}.

სარკინოზი იხმარებოდა არაბების აღსანიშნავად (ერთ-ერთი არაბული ტომის სახელწოდებიდან). საერთოდ მაჰმადიანები 8_{12}.

სარჩა ზომიერი ფრთე, მობრტყე და პირფართო ისარი (დ.ჩბ.) 15_{16}.

სარწმუნოდ მორწმუნედ, ერთგულად ყოფნა 14_{3}.

სასუნებელი საყნოსელი; სურნელი, სურნელებული 79_{31}.

საუნჯე ძვირფასი ნივთები — ფასეულობა, განძი, სიმდიდრე აურაცხელი (ქეგლ) 1_{18}.

საუფლო ღვთისადმი განკუთვნილი; ღვთისადმი საკუთვნილი 23_{8}.

საფიჩხულე ფიჩხის ხულა მდინარეში ჩადგმული პირშექცეულით გოდრებითურით, სანადიროდ ფიჩხულისა (დ.ჩბ.) 35_{20}.

საქალნო ისარი ფრთე დაბალი და პირწვრილი (დ.ჩბ.) 15_{18}.

საშიშლი ტანსაცმელი 104_{40}.

საწარმართული შალვარი, სამგზავრო სამოსი 33_{24}.

საწინამძღვრო იგულისხმება სამონასტრო 84_{31}.

საჭიროდ ძნელად, საძნელოდ 69_{22}.

საჭურჭლე ხაზინა, ძვირფასეულობის საწყობი 15_{9}.

სახასო სათავისთავო 16_{32}.

სახიდ სახლად, სახლში, შინა 19_{23}.

სახიზარი სამალავი ადგილი 46_{26}.

სახიობითა სანახაობითა; სიხარულითა (ი.აბ.) 1_{27}.

სახოვნება ვახუშტი უნდა გულისხმობდეს მსგავსებას სახისას (კაცისას, ადამიანისას) 11_{5}.

სახსრად გამოსახსნელად, საცხოვრებლად 113_{11}.

სეიდნი სეიდი ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში: ტიტული მუსლიმანებისა, რომელთაც პრეტენზია აქვთ მუჰამედის (მაჰმადის) შთამომავლობისაგან წარმოშობისა (უცხო სიტყვათა ლექს.) 54_{42}.

სენაკ-პალატები სამარტვილო ოთახები და სასახლის დარბაზები 129_{28}.

სვავი მტაცებელი დიდი ფრინველი, მეტწილად მძორით იკვებება, черный гриф, Aegypius monachus Linn 31_{22}.

სვია მც., სვია, хмель, Humulus lupulus L. საფუებელი მცენარე. ფშ., ხვს. სვე; იმ., გურ. ფშალა, მშრალა, ფშალი; მგრ. მაფშალია; სვნ. ფშალაი, სვიჯ 113_{8}.

სვინაქსარი მოკლე მოთხრობა წმინდათა ცხოვრებიდან ან დღესასწაულთათვის (დ.ჩბ.) 149_{14}.

სთნდეს ვახუშტი აქ გულისხმობს სურვილს, მონდომებას; მოისურვოს, მოინდომოს 4_{21}.

სიგელი ძველად მეფის მიერ ბოძებული წყალობის წიგნი, შემდეგ ყოველგვარი იურიდიული საბუთი 18_{10}.

სილოვანითა სილიანობა, წვრილქვიანობა. იგულისხმება სილიანი ადგილი 169_{15}.

სირი ფრ., (ძველებურად) იგივეა, რაც ზოგადად ჩიტი. ჩიტი (ვეფხ.) 31_{20}.

სისხლის დაურვება გადახდა, შეჯერიება 15_{25}.

სილიდა სიმთვრალეში აურზაური; მთვრალისაგან ლინცული, უშვერი ხმიანობა, ხუმრობა 144_{18}.

სკლატი მაუდი, შალი 33_{13}.

სოფელი მცირე და დიდი დასახლება; წუთისოფელი, სრულიად საწუთრო 4_{6}.

სოფის კენჭი (სოფიის კენჭი) მოზაიკა; სურათი, ხატი ან სხვა რამ გამოხატული ფერადის კენჭებითა (დ.ჩბ.) 60_{33}.

სპა ჯარი, მხედრობა 9_{4}.

სპასალარი ანუ სპასპეტი მხედართმთავარი 16_{29}.

სპასპეტი იხ. სპასალარი 14_{8}.

სპეტაკი თეთრი თაფლი 40_{14}.

სპეტაკი თეთრი, მოთეთრო (კლდე) 47_{17}.

სრა-ფარდაგნი სასახლე-ფარდაგნი 18_{14}.

სრულიად მთლიანად, უნაკლულოდ 2_{1}.

სულტანი მეფის ტიტული ზოგ მაჰმადიანურ ქვეყანაში. დიდს მეფედ ითქმის (სბ.) 10_{13}.

სუმბული მც., სუმბული, гиацинт; Hyacinthus orientalis L. სხვადასხვა ფერის სურნელოვანი ყვავილი აქვს. სუმბულის ყვავილისაგან მიღებულ ზეთს პარფიუმერიაში ხმარობენ, სათაიგულე მცენარეა. მეფე ვახტანგ VI-მ თავის სასახლის ბაღში გადარგო, მაგრამ არ იხარა 30_{10}.

სუნნი რჯული, მაჰმადიანური სარწმუნოების ერთ-ერთი შტო, სუნიტობა, სუ-

ნიტი 120_{1}.

სჭვირს წითლად გამოსჭვივის წითლად, გამოიმზირება წითლად, წითელი ფერისაა 68_{13}.

ტ

ტაბაკი ხის მოზრდილი, ხონჩისმაგვარი თეფში; ლანგარი, დიდი თეფში 18_{13}.

ტაბლა მაგიდა, ფიცრის სუფრა; დ.ჩბ. მაგიდა, წინ დასადგმელი ფეხედი ფიცარი 17_{23}.

ტაგრუცი საფლავი მაღლა ნაგები (დ.ჩბ.). ძვ., ყუთი, კოლოფი (ი.აბ.) 152_{28}.

ტარბი ფრ., ბელურისნაირთა რიგის ფრინველი, розовый скворец; Pastor [Sturnus] roseus Linn. გავრცელებულია სტეპებსა და ნახევარუდაბნოებში. ტარბი, სელუკო (სბ.) 31_{18}.

ტაძრეული მეფის სასახლის მსახურნი 17_{17}.

ტეხვრა დიდი ყინვა; ძლიერი ყინვა, მძაფრი ყინვა (ქეგლ) 110_{14}.

ტკბილი წყარო სასმელი წყალი, მტკნარი წყალი 36_{34}.

ტოლომა ბეწვიანი ფართო სამოსელი, ქურქი 34_{3}.

ტომარი გრძლად გარდაბმული წერილი (სბ.); ქარტა, გრაგნილი ან სარჩევი წიგნისა (დ.ჩბ.) 18_{19}.

ტრაპეზი ეკლესიაში ამაღლებული ადგილი, სადაც სღვთო წირვა აღესრულება; ადგილი საკურთხევლის შუა, რომელზედაც აღესრულების ჟამის წირვა (დ.ჩბ.) 53_{10}.

ტყეპა თავში ცემა, გოლება, გრგვინვა 19_{9}.

ტყორა ბალ., гладыш, лазурник, дикий копер; Laser trilobum (=Siler trilobum). რჭ., გურ., კვლიავი; მხვ., მთ. მკვლიავი; თშ., ხევს. კვლია 31_{4}.

უ

უგბილათ უშნოთ, ულაზათოდ; „უგბილაი, მოსილნი", ე.ი. უშნოთ ჩაცმულნი 68_{19}.

უგრეხელი чечевица французская; Vicia ervilia Willd. (=Ervum ervilia L.). ფშ. უგრეხელა; ჯავ. ქვიშნა, ქუშნა. ეძახიან აგრეთვე ტყის ცერცვალას (сочевичник). ზმ. იმ. ტყის გორვალა; გურ. ცაპცერცვა, ცერცვაი; დ.ჩბ. უგრეხელა 30_{11}.

უგუჯასტო იხ. გუჯასტა 110_{44}.

უელი მარწყვი (ძუძუ-მარწყვა), земляника; Fragaria vesca L. იმ. დარდალა, წიამპოლა; ზმ. რჭ. წიწინდერა; სბ. უელი; დ.ჩბ. მოგრძო მარწყვი 30_{28}.

უვისთ ჰყავთ 111_{18}.

უვნებელი ვისაც, რასაც ვნება არ მოსვლია, არაფერი დამართნია, — დაუზიანებელი (ქეგლ); ვნებისაგან თავისუფალი; ვნებისაგან დაზღვეული 11_{22}.

უზაკველოდ გულწრფელად, ალალმართლად, უეშმაკოდ 4_{30}.

უკეთუ კავშირი, სათუო, თუ კინიცობაა. უკეთუ-თუ; როცა; ეგების, უკეთუმცათუ (ი.აბ.) 1_{19}.

უკეთურება ბოროტება, სიავე, ავკაცობა 13_{23}.

უკუდევდა იგულისხმება მირთმევა, ჩუქება, ბოძება 21_{37}.

უკუჯდა აჯანყდა, განდგა 66_{13}.

უმოსელობა ტანთ-ჩაუცმელობა (დ.ჩბ.). უნდა იგულისხმებოდეს ღილღვების ცუდად ჩაცმულობა 119_{33}.

უმუშაკოთ დაუმუშავებლად, მუშაკის გარჯის გარეშე 36_{16}.

უმშვენი არა მშვენიერი (კლიმატი) 39_{36}.

უმცირესი აქ იგულისხმება დაბალი წოდების ხალხი 12_{35}.

უნაბი მც., ююба, китайский финик, чайлан, унаби, грудная ягода; Ziziphus sativa Gaertn. აქვს კურკიანი ნაყოფი. იყენებენ ნედლად, კომპოტის, პასტილის

და მურაბის დასამზადებლად (ქსე). იმ., გურ. ურნაბი, ორნაბი; მგრ. ურნაბი 30_{18}.

უნჯი განძი, საუნჯე; ლარი, სიმდიდრე (დ.ჩბ.) 122_{28}.

უპატიო უპატიური, პატივმოხდილი; უშესაბამო, უკადრისი (დ.ჩბ.) 3_{22}.

ურგებანი გამოუსადეგარი, გამოუყენებელი, უსარგებლო (ქეგლ) 1_{16}.

ურუმი თურქი (ოსმალო) 23_{36}.

უსაბლოდ დასაბმელი თოკის გარეშე, უთოკოდ 69_{25}.

უსტარი წერილი, ბარათი; მოკითხვის წიგნი (დ.ჩბ.); მინაწერი (სბ.) 18_{8}.

უსჯულო იგივეა, რაც ურჯულო. რჯულის, სარწმუნოების უარმყოფელი, ურწმუნო. ქრისტიანთა წარმოდგენით — არაქრისტიანი (მაჰმადიანი) 13_{9}.

უტყვი აქ ვახუშტი გულისხმობს პირუტყვს 146_{10}.

უტყუნი ვახუშტი გულისხმობს მუნჯს, მეტყველების უნარს მოკლებულს 12_{7}.

უჩინთ დაუნახავი 5_{12}.

უცალოება გართობა, მეცადინეობა, შრომა, გარჯა, მოუცლელობა (ი.აბ.) 3_{14}.

უცები უცოდინარი, უვიცი, უმეცარი 93_{21}.

უცთური ვახუშტი აქ გულისხმობს ბოსტნეულის მოყვანისათვის საუკეთესო ადგილს 47_{41}.

უცხო იგივეა, რაც საუცხოო 75_{13}.

უხაო უბუსუსო, ხაო — დაბალი და ხშირი ბუსუსები ზოგი ქსოვილის კარგ პირზე 104_{14}.

უხუნი უნდა იგულისხმებოდეს, გულუხვობა, მრავლად გამცემობა, ხელგახსნილობა 33_{6}.

ფ

ფარეში შინა მოსამსახურე 18_{11}.

ფაშა უმაღლესი სამხედრო ან სამოქალაქო წოდებულება ძველად ოსმალეთში, ეგვიპტესა და სხვა მუსლიმანურ ქვეყნებში 26_{34}.

ფაცერი თევზის საჭერად წნელისაგან მოწნული ლარი, რომელიც ბოლოში ასეთივე წნელისაგან მოქსოვილ გოდორში ეშვება; თევზის მახე 35_{20}.

ფიჩხული თევზ., ხრამული, храмули; Vericorhinus capoeta Güldenstedt. იმ. ფირჩხული 32_{2}.

ფიცხელი (ქარი) ძლიერი, მძაფრი 94_{26}.

ფლასი მსხვილი შავი შალი სამგლოვიარო, ძაძა, ფიჩვი (დ.ჩბ.) 19_{5}.

ფლატე გაშიშვლებული ციცაბო ადგილი; მდინარის ან ხევის ჩამონგრეული მაღალი ნაპირი; შვეულად დახრილი მთის კალთა 47_{23}.

ფოლორცი ვახუშტი აქ გულისხმობს ქუჩას, შუკას 56_{27}.

ფონი მდინარეში თხელი წყალი, გასასვლელი 35_{14}.

ფრიად მრავლად, დიდად, ძლიერ 35_{16}.

ფსკენი ვახუშტი გულისხმობს ობობას, паук. დ.ჩბ. ობობა, ბაბაჭუა, დედაზარლისა. ფსკენი (Eremias) ზოოლოგიურად არის აგრეთვე ხვლიკების გვარი 32_{13}.

ფსიტი იხ. არჩვი 36_{18}.

ფუნდუკი სასტუმრო, ქარვასლა 18_{16}.

ფუცვა ფიცება, დაფიცება; ფიცი 12_{29}.

ფშანი მდინარის ძირითადი კალაპოტიდან სრულიად ან ნაწილობრივ გამოყოფილი (მოწყვეტილი) განტოტება, რომელშიც წყალდიდობისას მდინარიდან წყალი გადმოედინება და წყლით ივსება, სხვა დროს მცირე ღელეს წარმოადგენს, რომელიც საზრდოობს მთავარი მდინარის ქვიშიანი ნაპირიდან გამომავალი წყაროს საშუალებით. შიდა ქართლში ზოგან პატარა ღელე-მდინარეს ფშანს (ფშა) ეძახიან. დ.ჩბ. ფშა, ფშანი. ღრუდო, მდინარეთ ახლოს ქვიშაზედ გამომდინარე წყარო; ключевина; старина, покинутое русло реки 77_{22}.

ფშატი (ტყის ველური) ჭალაფშატა, ველური ფშატა, лох узколистный; Elaeagnus angustifolia L. თაფლოვანი მცენარეა. ხშირად აშენებენ ხეხილად, ნაყოფი

მდიდარია ვიტამინებით, მისგან იღებენ პრეპარატ „ფშატინს" (ქსფ). ქრთ., კხ. კატაფშატა. ვახუშტის იქვე დასახელებული აქვს აგრეთვე ბაღის (ვახუშტით, წალკოტის) ფშატი, лох садовый; Elaegnus angustifolia L.f. culta D. Sosn 30_{21}.

ფშვა სურნელის დენა; ფშვა, ფშუა კეთილად სურნელება (დ.ჩბ.) 11_{9}.

ფშვნიერი ფშვიერი, ფხვიერი, მშრალი წმინდა მიწა 60_{27}.

ფშო სურნელება. იხ. ფშოსანი 11_{9}.

ფშოსანი სურნელოვანი 41_{16}.

ქ

ქადაგი მქადაგებელი, მღაღადებელი 93_{20}.

ქათიბი ქალის ზედა ტანსაცმელი ბეწვშემოვლებული 34_{3}.

ქარაფოვანი მაღალი, მცენარეულობას მოკლებული ფრიალო კლდე 35_{17}.

ქარი ნიშნავს სატკივარს, რომელი ჟამჟამად აეშლების კაცსა, მაგ., თიაქარი, ფერდის ქარი და სხვ. (დ.ჩბ.) 81_{41}.

ქეიბური ისარი პირდიდი და ფრთამაღალი ისარი. სრ. „სანადირო ისარი, პირბრტყელი" 15_{16}.

ქვაბი მღვიმე; ბუნებრივი ან ხელოვნური გამოქვაბული 37_{14}.

ქვა-ტალახითა ქვა და გამომწვარი აგურით 55_{21}.

ქველი კეთილი 17_{30}.

ქიბორჯი სანადირო იარაღი „წვრილთა ნადირთათჳს" 15_{16}.

ქინძიჯორა მც., ვახუშტი უნდა გულისხმობდეს საქართველოში ფართოდ გავრცელებულ ბალახმცენარე ქინძარას, кашищра, двойчатка, Bifora radians. იზრდება მინდვრებში, ბაღ-ბოსტნებში, ვენახებში, ნათესებში; იხმარება საჭმლის შესაკაზმად. ქრთ. ქინძმანძუკი; კხ. მინდვრის ქინძი; ფშ. ქინძრუტა 30_{37}.

ქორდაქარი მკვლელობის მოხელე, ყასაბი 17_{3}.

ქორიკოზი მეფის მონაცვლე 87_{12}.

ქორონიკონი წელთაღრიცხვის ძველი სისტემა, რომელიც მიღებული იყო ქრისტიანულ ქვეყნებში, კერძოდ საქართველოში. ქართული ქორონიკონის ციკლი ანუ მოქცევა შეიცავდა 532 წელს (ქეგლ) 5_{6}.

ქრთილი საშემოდგომო ქერი, შემოდგომის ქერი, ძველთესლი, озимый ячмень, Hordeum 30_{9}.

ქუნთი ბოჭკოიანი საფენი, ბოჭკოიანი ხალიჩა 103_{35}.

ქურციკი იგივეა, რაც ჯეირანი; Gazella cubgutturosa. გვხვდება მცირე რაოდენობით აღმ. საქართველოში, შირაქის ველზე. დ.ჩბ. ვეფხ. ჯეირანი, გარეთხა; შეტანილია „საქართველოს წითელ წიგნში" 31_{8}.

ღ

ღალღა წეროსნაირთა რიგის ფრინველი коростель, дергач; Crex crex Linn, საქართველოში ბუდობს, ზამთარს აფრიკაში ატარებს. ბინადრობს ნოტიო მდელოებსა და ტყის ველობზე, მდინარეთა ხეობებში. სწრაფად დარბის და უხალისოდ ფრენს. სპორტული ნადირობის ობიექტია 31_{14}.

ღაფლობა უთაურობა, უზრუნველობა, უთადარიგობა 28_{4}.

ღვლარჭნილი დაგრეხილი, მიგრეხმოგრეხილი 122_{9}.

ღრატო ღრატოიანი. ღრანტე, ოღროჩოღრო, ღელე-ღელე ადგილი, ухабистая местность 64_{5}.

ღრიანკელი მორიელი, ობობას მსგავსი შხამიანი ცხოველი 32_{15}.

ყ

ყაბახი სამიზნედ დადგმული ძვირფასი ლითონის თასი, რომელსაც მოჯირითენი ცხენდაცხენ ისარს ესროდნენ ჩამოსაგდებად, ვინც ჩამოაგდებდა ჯილდოდ ამ თასს იღებდა 22₂₆.

ყაზალახი ფრ., კახუშტი გულისხმობს კაჭკაჭს, сорока, Pica pica Linn. დ.ჩბ. ყაზალახი. ფრინველი, сорока 31₁₈.

ყაისი მც., გარგარი, абрикос; Armeniaca vulgaris Lam. სბ. დარანდი, გურკაცქრილი, ჭერამი. დ.ჩბ. ალუჯანაბაში 30₁₈.

ყალყაში ფრ., ყალყაში, сизоворонка, зеленая ворона, ракша; Coracias garrulus Linn. დ.ჩბ. ურიის ყვავი; მწვანე ყვავი 31₂₆.

ყარაულა ფრ., წყლის ბუღა, большая выпь, выпь-бугай, гукольница, бухалица, водяной бык; Botaurus stellaris Linn. დ.ჩბ. ყარანა, ყარაულა 31₂₇.

ყარახილა ფრ., რუხი ყანჩა, серая цапля, серая чепура, бушла; Ardea cinerea Linn. ყარხილა, წეროს პაპა (სბ.) 31₁₃.

ყაჯირი ბორა, ძერძერუკი, красный коршун; Milvus milvus Linn 31₂₁.

ყვავილიანი კახუშტი გულისხმობს ალპურ მდელოებს, ალპურ ზონას (ნ.კ.) 41₁₃.

ყვნა ქმნა; იგულისხმება ხარკის გამომღებ მოხარკედ ქცევა 87₂₇.

ყიზილბაში სპარსელი დამპყრობლის მეტსახელი (XVI-XVII სს.); პოლიტიკურად მეპატრონე თურქმანული ტომი სეფიანთა დინასტიის დროს ირანში 23₁₆.

ყიყვი ჩიყვი 165₃₄.

ყრდელი სალათა, салат латук; Lactuca sativa L. „ყრდელი მხალი არს“ (სბ.) 31₁.

ყუთნი ბამბის და აბრეშუმის ნარევი ქსოვილი; ყუთნი, ყუთანი ბამბისა და აბრეშუმის ნაქსოვი (დ.ჩბ.) 111₃.

ყურდგელი კურდღელი 31₉.

ყურედ და ყურედ მდინარის კლაკნილი კალაპოტი 97₆.

შ

შამბ-ბალახიანი შეესაბამება მეორად. სუბალპურ მაღალბალახეულობას და სრულიად გაღარიბებულს (ნ.კ.) 42₃₉.

შამბ-ბალახ-შროშანიანი შეესაბამება ტიპიურ სუბალპურ მაღალბალახეულობას (ნ.კ.) 142₁₈.

შამბი მც., სუბალპური მსხვილი ღეროხემეშიანი მაღალბალახეულობა; იმ. ნაირგვარი (ზოგჯერ ლელიან-ლერწმოვანი) მაღალი ბალახეულობის დაჯგუფება; გაუკაფავი მინდვრის ბალახი (ვეფხ.) 42₃₉.

შამბ-შროშანიანი იგულისხმება გაღარიბებული სუბალპური მაღალი ბალახეულობა (ნ.კ.). გავრცელებულია აღმ. საქართველოს მთიანეთში. შროშანი – მთის შროშანი лилия Шовица, Lilium szovitsianum F. ბოლქვიანი მცენარეა, იკეთებს ყვითელ ყვავილს, გავრცელებულია მთებში 123₂₂.

შეერთბამებულნი შეერთებულნი, გაერთიანებულნი 12₄₀.

შეთხრით უნდა იგულისხმებოდეს ძირის გამოთხრა (ციხისა) 152₃₄.

შექვერცხილი კახუშტი გულისხმობს შელამაზებულს, შეერთებულს; დაფარული, შემოსილი. „შარადის ყინულით შექვერცხილი“ ე.ი. მუდმივ ყინულით შეთეთრებული, შელამაზებული 69₄.

შემგბარი მოხარშული 136₁.

შემმართებული მარჯვე, გამბედავი, გაბედული, ყოჩაღი 21₇.

შემუსვრილი განადგურებული, დანგრეული 39₉.

შემწამებელი დამწამებელი, პირი რომელიც სწამებს დანაშაულს 15₃₄.

შემჭირნებული გაჭირვებული, შევიწროებული, შეწუხებული 9₇.

შენი ნაშენი, ნაგები; შენებული, გაშენებული 39₁₆.

შერისხვა დატუქსვა, დასჯა; წყალობის წართმევა 15₂₀.

შეხძნეს დაურთეს, დაუმატეს 13₁₂.

შესხმა შექება, შემკობა, გადიდება 4_{14}.

შეწამებული რომელსა სწამებენ დანაშაულს 15_{15}.

შეჭკუჩნო ([illegible]) ხარკის შეწყვეტა 23_{24}.

შთაუტევეთ ჩაუშვა 31_{15}.

შიკრიკი ძალად — კაცი, რომელსაც გზავნიდნენ სადმე წერილის (ამბის..) გადასაცემად. — მალემსრბოლი, წინამსრბოლი 17_{12}.

შარდის ქვა მარილების მაგარი წარმონაქმნი შინაგან ორგანოებში (საშარდე ბუშტსა და თირკმელებში) 41_{36}.

შორისყრილი შორისდებული. გამოხატავს რაიმე უშუალო გრძნობას, განცდას და სხვა (მაგ., ვაშ! აჰ! ოჰ!) 29_{11}.

შრატი წყალწყალა მოყვითალო სითხე, რომელიც რჩება რძის აჭრის ან ყველის ამოყვანის შემდეგ. იმერეთში ეძახიან წაქს 110_{28}.

შურად საწინააღმდეგოდ 125_{18}.

შურთხი კავკასიური შურთხი, кавказский улар, кавказская горная индейка; Tetraogallus caucasicus Pall 31_{16}.

შქერი ვახუშტი აქ გულისხმობს პაწაწა ქათამურას, погоныш-крошка, курочка-крошка; Porzana pysilla Pall. სბ. „ესე არს მსგავსი კაკბისა, პატარა"; „კაკბის მსგავსი მომცრო ფრინველი" (ქეგლ) 124_3.

ჩ

ჩაბალახი (ძვ.) 1.სპილენძის ჩაფხუტი თავისა და კისრის დასაცავად ომის დროს 2.იგივეა, რაც ყაბალახი 15_{13}.

ჩაჩი გრძელი ქუდი; ქუდი მოგრძო და ცუდი (დ.ჩბ.); გრძელი ქუდი, მოგრძო ქუდი (სბ.) 19_6.

ჩიხრუკი ფრ., ბულბული აღმოსავლური, обыкновенный соловей, восточный соловей; Luscinia luscinia Linn. დ.ჩბ. ფრინველია ერთგვარი, სტვრის ბულბულად 31_{16}.

ჩიტი ვახუშტი აქ გულისხმობს სახლის ბეღურას, домовый воробей. Passer domesticus Linn 31_{19}.

ჩუგლუგი ნაჯახის მსგავსი გრძელტარიანი საომარი იარაღი 15_{14}.

ჩურჩერახი მეფის მცველი 17_{24}.

ც

ცალკერძი ცალ-ცალკე 14_{20}.

ცემანი იგულისხმება სამუსიკო საკრავთა დაკვრა 22_{12}.

ცერეცო მც., კამა укроп огородный, анит, копёр; Anethum graveolens L. ქოლგოსანთა ოჯახის ერთწლოვანი მცენარე, ძლიერ არომატული. საქართველოში გავრცელებული ჯიშია „სახუმური". კხ. ვირულა კამა, ცერეცო; დას. საქართველოში კამა, ცერეცო 30_{15}.

ცვილი იგივეა, რაც სანთელი, მოყვითალო ნივთიერება, რომელსაც ფუტკრები გამოიმუშავებენ და რომლისაგანაც შედგება ფიჭა — ცვილი; თაფლის სანთელი, წმინდა სანთელი (დ.ჩბ.) 84_{24}.

ცთომა შეცდომა, მოტყუება. ვახუშტი გულისხმობს ადამის შეცდენას და სამოთხიდან მის გამოძევებას 11_{27}.

ცხოელი ცხოველი 11_{11}.

ცხოვარი ცხვარი 36_{36}.

ცხორება ისტორია 2_{36}.

ძ

ძალი ხმა; ძალი საკრავისა მეტალთაგან (დ.ჩბ.) 22_{35}.

ძაძა მც., коровий горох; Vigna sinensis. კხ. მიმჯალია ლობიო, შავკუჭა ლობიო,

ძირმაგა ლობიო; იმ. მიწალობიო, ძაძა, ქამბაგა ლობიო, მაჭკატა ლობიო 30_{11}.

ძაძა შავი სამოსელი სამგლოვიარო 19_{15}.

ძეძუთა ვახუშტი მიუთითებს ძეძვს, держи-дерево, Paliurus spina christi, ეკლიან ბუჩქს, რომელიც ფართოდ არის გავრცელებული გარე კახეთის იერის, ზეგანზე და საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოს ბარში 53_{17}.

ძნიად ძნელად 3_{16}.

ძნობით შეწყობილი ხმით. დ.ჩბ. ძობა – კვრა სამუზიკოთა საკრავთა 19_{16}.

ძრვა მიწისძვრა 82_{1}.

ძღარბი ზღარბი 31_{11}.

წ

წადევნებით გაყოლებით 143_{12}.

წადიერება წადილი, ნდომა, სურვილი 1_{14}.

წალდი ხისტარიანი წვერმოკაუჭებული საკაფი იარაღი (ქეგლ); პირგრძელი ცული, ფიჩხის საკაფი 146_{21}.

წალკოტი ძალიან ლამაზი ბაღი (ქეგლ); ვახუშტით, წალკოტი ხეხილის ბაღს შეესატყვისება 1_{23}.

წარმართი წარმართობის მიმდევარი, კერპთა მსახური 13_{9}.

წარსაგებელი გასავალი, ხარჯი 18_{19}.

წარეხუნა წაართვა 41_{30}.

წივა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ნეხვი, მრგვალ ან აგურის ფორმად გამხმარი. ხმარობენ საწვავად; ჩვენში ფართოდ მოიხმარებოდა ჯავახეთში 40_{19}.

წილხდომილი წილად ნარგები; რაც წილად ხვდა ვისმე. ღვთისმშობლის წილხვდომილი – ასე უწოდებენ მორწმუნეები საქართველოს იმის გამო, რომ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელება ვითომც წილად ხვდა მარიამს (ქეგლ) 29_{7}.

წლისმრიცხველობა ქრონოლოგია 4_{2}.

წოჭბი ფრ., ბუკნაჭოტი, ბუკნაჭო, воробьиный сыч, воробьиная совка; Glaucidium passepinum Linn. სბ. პატარა ბუე, ბუკნაწოტი, წოწოლა 31_{26}.

წული იგივეა, რაც შვილი, ვაჟიშვილი 14_{15}.

წყალი ალმა ალმცენარი მდრეკანი 1_{24}.

ჭ

ჭალა მდინარის სანაპირო, ტყიანი ან უტყეო ვაკე ადგილი მდინარის პირას, წყალდიდობისას იტბორება, აგებულია ალუვიონით; წყლის პირი ნაყოფიერი (სბ.); ბუჩქნარი, ჯაგნარი, ჩირგვნარი, წნორი, წყლის ნაპირზედ, ან მცირე ტყე (დ.ჩბ.) 31_{30}.

ჭალაკი კუნძული. იგულისხმება ზღვებისა და ოკეანეების კუნძულები და არა ჩვეულებრივი ჭალაკი – მდინარისპირა ან მდინარის ბუჩქნარიანი მომცრო კუნძული „ზღვათა სივრცელითა, და მას შინა მრავალთა ჭალაკთა მქონია“ (ვახუშტი) 11_{11}.

ჭანარი იგივეა, რაც გოჭა, კოპრი (იხ.) 32_{11}.

ჭარი ფრ., თოლია ჩვეულებრივი, чайка обыкновенная, озерная чайка; Larus ridiburdus Linn. სბ. „ჭარი. ქორისა ჰგავს, ხეზე ჯდების, თევზს ამოიტაცებს წყლით და სჭამს“ 31_{24}.

ჭია მარიამული ჭიამაია, божья коровка; Coccinella. პატარა მრგვალი ხოჭო წითელი ან ყვითელი ფერისა, შავ-წინწკლებიანი ან თეთრლაქიანი 81_{11}.

ჭირი აქ იგულისხმება გაჭირვება 32_{34}.

ჭკა ფრ., ჭკა ჩვეულებრივი, обыкновенная галка; Corvus monedula Linn. ყორნისებრთა ოჯახის მომცრო ფრინველი 31_{26}.

ჭყვამი ჭყაპი, ტალახი, ძენძეხი, თოვლნარევი წვიმა 82_{41}.

ხ

ხალენი მატყლის უხეში ქსოვილი; ცხვრის ტყავის მოსასხამი, მაზარა 62_{15}.

ხამი ბამბის მსხვილი ნართისაგან ქსოვილი 110_{41}.

ხანი მებატონე. დ.ჩბ. ხანი. ხაკანი, გინა ყაენი, მოგოლთ ხელმწიფე, მაგ., ჩინგისხანი, ან სპარსეთში უწოდებენ ერისთავს ან მოურავსა 90_{20}.

ხაშიანი ვახუშტი გულისხმობს არა კეთილჰაეროვანის ადგილს, ადამიანის ორგანიზმზე გავლენის თვალსაზრისით, არასასიამოვნო ჰავას; ადგილი ცუდისა და მავნებელის ჰაერისა (დ.ჩბ.) 88_{41}.

ხელის აქ იგულისხმება გიჟი, სულელი; ხელი – გიჟი, სულელი, ცნობა ქნებული 38_{10}.

ხელყოფა დანაშაულის ჩადენის (მიტაცების, თავდასხმის...) ცდა 1_{9}.

ხვასტაგი მსხვილფეხა რქოსანი საქონელი 45_{19}.

ხვაფთანი საომარი საჭურველი 15_{12}.

ხიზრად დახიზნული, ლტოლვილი 86_{17}.

ხონთქარი თურქ-ოსმალთა ხელმწიფე 9_{20}.

ხრონოგრაფი ჟამთა აღწერა, ისტორია, მატიანე 10_{10}.

ხრო იგივეა რაც ხროვა, გროვა 43_{9}.

ჴ

ჴევისბერი ხევის მოთავე, წინამძღოლი როგორც საერო, ისე რელიგიურ საკულტო საქმეში 17_{9}.

ჴევისთავი იხ. ხევისბერი 17_{9}.

ჴელისუფალი ხელისუფლების მქონე - მბრძანებელი 16_{24}.

ჴელოვნება ხელობა, ხელოსნობა 112_{32}.

ჴელოვნება დახელოვნება, წრთვნა 2_{26}.

ჴმელი ვახუშტი გულისხმობს ხმელეთს; იგივეა, რაც ხმელეთი 11_{12}.

ჴრამი ვახუშტი აქ გულისხმობს ღრმა, ფლატეებიან ხეობას, ხევს 47_{3}.

ჯ

ჯავშანი ლითონის პერანგი; აბჯარი, ჯაჭვი რკინისა მეომართ საცმელი, ან ჯაჭვის პერანგი (დ.ჩბ.) 13_{36}.

ჯალაბი დედაწული, სახლეულნი 146_{22}.

ჯახველი მც., ძახველა, ძახველი, калина обыкновенная; Viburnum opulus L. რჭ., ლჩხ., იმ. ჯახველა, ჯანხველა; ქრთ., კხ. ძახველა 30_{24}.

ჯინი მოწნული, პირგანიერი დაბალი კალათი ტვირთის საზიდავად (ქეგლ); გოდორ-მარხილი 19_{8}.

ჯინიბი მარქაფა ცხენი. მეჯინიბე – საჯინიბოში მომუშავე – ცხენის მომვლელი 17_{13}.

ჯღარდალოვანი მც., შავჯაგა (შავჯაგოვანი), ჯღარდალა, крушина Палласа, кустарник; Rhamnus Pallasi E. „ჭალანი ჯღარდალოვანი“. ჯღარდალოვან ჭალაში ვახუშტი გულისხმობს, გარდა შავჯაგისა, სხვა ეკლოვან ბუჩქებსაც 64_{19}.

ჰ

ჰგიეს არსებობს, არის 2_{17}.

პირთა საძიებელი

ა

აბაზაძე აბაზაძენი, მთავართა გვარი; აღმ. საქართველოს ფეოდალური საგვარეულო 21_{17}, 26_{18}.

აბაში მეფემან ალექსანდრემ გაჰყარა სამნი ძმანი — აბაში, გუგუნა და დავითი $25_{8,14,15}$.

აბაშისშვილი (აბაშიშვილი) მთავართა და წარჩინებულთა გვარი $25_{3,8,15}$.

აბაშიძე მამულები ჰქონდა იმერეთსა და ქართლში 24_{40}.

აბაშიძე მთავართა შორის წარჩინებული და შეძლებული 25_{32}, 26_{41}, 27_{13}.

აბაშიძე გიორგი იმერეთის მეფე-გამგებელი 1701-1707 წწ. 155_{31}.

აბაშიძე ზურაბ XVIII ს-ის დასაწყისში ერთ-ერთი წარჩინებულთაგანი 155_{32}.

აბელ ბიბლ. ადამის მეორე შვილი 11_{33}.

აბიბოს ნეკრესელი საეკლესიო მოღვაწე, ერთ-ერთი ასურელი 13 მამათაგანი, VI ს. 45_{3}, $99_{33,34}$.

აბო წმიდა აბო, იწამა 785 წ. 56_{2}, 77_{13}.

აბრაამი ბიბლ. ერთ-ერთი კეთილმსახური, მორწმუნე კაცი 69_{24}.

აბულელი ძველი მთავართა გვარი 21_{12}.

ადამ ბიბლიური კაცი, კაცობრიობის მამამთავარი 11_{20}, 12_{8}.

ადარნასე I მეფე, აშოტ დიდის უფროსი ძე ქართველ ბაგრატიონთა კლარჯეთის შტოს მამამთავარი IX ს. 139_{32}.

ადარნასე ხოსროვანი, სტეფანოზის ძე $8_{10,11,29}$, 175_{15}.

ადარნასე მთავარი VII ს. I ნახ., 619-639 წწ. 55_{16}.

ადარნასიანი ძველი მთავართა გვარი 21_{15}.

ადერკი ქართლის მეფე, ვახუშტით, ახ.წ.1-57 წწ. $5_{29,30}$, $29_{14,19}$.

ავალისშვილი მთავართა შორის წარჩინებული და შეძლებული გვარი 25_{30}, $26_{3,36}$, 28_{10}.

ავალისშვილი მიროკელი 28_{1}.

ავგიორგი გიორგი II, კახეთის მეფე, 1511-13 წწ., ალექსანდრე I-ის ძე 26_{4}.

აზონ ალექსანდრე მაკედონელის მხედართმთავარი $13_{10,13}$, 62_{31}, 122_{1}.

ალექსანდრე I დიდი საქართველოს მეფე 1412-1442 წწ., კონსტანტინე I-ის ძე 25_{13}, 63_{11}, 65_{11}, 80_{35}.

ალექსანდრე II კახეთის მეფე 1574-1605 წწ., ლევან მეფის ძე 96_{35}.

ალექსანდრე III იმერეთის მეფე 1639-60 წწ., გიორგი III-ის უფროსი შვილი 24_{33}.

ალექსანდრე მაკედონელი მაკედონიის მეფე 336 წლიდან. ძვ. სამყაროს ერთ-ერთი უდიდესი მხედართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე 1_{20}, $5_{22,23,25}$, $13_{9,26}$, 19_{24}, $63_{31,33}$, 104_{14}, 123_{13}.

ალექსი ანგელოსი ალექსი III ანგელოსი, ბიზანტიის კეისარი 1195-1203 წწ. 8_{15}.

ამილახორი მთავართა შორის წარჩინებული და შეძლებული 25_{28}, $26_{15,16}$, 27_{25}, 70_{27}.

ამილახორი სამცხის 27_{31}.

ამილახორისშვილი მესხეთიდან 26_{1}.

ამირ ავარიანი მთავარი 54_{17}.

ამირეჯიბი „აქუნდათ მამულნი იმერეთის და ქართლსა შინა" 25_{32}.

ანასტასი კეისარი ანასტასიოს I, ბიზანტიის იმპერატორი 491-518 წწ. 7_{36}.

ანდრონიკე კეისარი ბიზანტიის იმპერატორი 1183-85 წწ., ალექსი I კომნენოსის შვილიშვილი 26_{27}.

ანტონ მარტყოფელი, ერთ-ერთი ასურელი 13 მამათაგანი, VI ს. შუა წლები 95_{42}.

ანჩაფაძე აფხაზეთის „უმდაბლესი ანჩაფაძე“ 27_{22}.

ანჩაფისძე „მაჩაბელი იტყვის ანჩაფისძეობას“ 25_{18}.

არდამ სპარსთა ერისთავი $62_{26,27}$, 64_{22}.

არელიმანელი ძველთა მთავართა გვარი 21_{11}.

არმაზ კერპი, ქართლის უზენაესი – წარმართული ღვთაება 13_{15}, 14_4, $19_{12,14}$, 57_{21}.

არსენ წმიდა იგივე არსენ იყალთოელი XI-XII სს. ქართველი სასულიერო მოღვაწე 101_{25}.

არღუთაშვილი აზნაური 25_{18}, 26_{19}.

არშაკ ქართლის მეფე, არშაკ II, ქართლის მეცხრე მეფე, დაახლ. ძვ.წ. I ს. დასასრული, ვახუშტით 23-2 წწ. ჩვ. ერამდე 29_{14}.

არშაკუნიანნი მეფობდნენ 93 წ. ჩვ. ერამდე, ვიდრე 265 წ. 20_{19}, 21_6.

არჩილ მოწამე ქართლის მეფე 668-718 წწ. 8_{14}, 94_{10}, 97_{26}, $99_{5,6}$, 144_6.

არჩილ I ქართლის მეფე V ს-ში, 410-434 წწ. 63_{18}.

არჩილ I კახთა მეფე 1664-1675 წწ. 90_{28}, 97_1.

არჩილ ვახტანგ V შაჰნავაზის ძე 1661-1699 წწ. 101_{18}, 102_1.

ასათისძე ძველთა მთავართა გვარი 21_{14}.

აფროდიტე კერპი 14_3.

აღმაშენებელი დავით იხ. დავით აღმაშენებელი.

აშოტ მეფე ადარნასეს ძე, IX ს. II ნახ. 175_{16}.

აშოტ კურაპალატი აშოტ I დიდი, ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა დინასტიის მამამთავარი, IX ს. $8_{16,21}$, 136_{40}, 138_{37}.

აშოტ კუხი ერისთავთ ერისთავი, ბაგრატიონთა კლარჯეთის შტოს წარმომადგენელი, ადარნასეს ძე, 891-918 წწ. 137_{18}.

ბ

ბაგრატ I კურაპალატი ტაო-კლარჯეთის მთავარი 826-876 წწ., აშოტ I კურაპალატის ძე $8_{16,18,20}$.

ბაგრატ III გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს პირველი მეფე, 975-1014 წწ. ბაგრატიონი 141_{43}, $158_{14,20}$, $169_{11,34,37}$.

ბაგრატ მეფე IV საქართველოს მეფე 1027-1072 წწ., გიორგი I-ის შვილი 52_{30}, 167_{17}.

ბაგრატ V საქართველოს მეფე 1360-1395 წწ. 9_{18}.

ბაგრატ III იმერეთის მეფე 1510-1565 წწ., ალექსანდრე II-ის ძე 153_7, 163_{28}.

ბაგრატ მეფე პირველი მუხრანბატონი, კონსტანტინე II-ის ძე, XV ს. 65_{13}, 66_9.

ბაგრატიონთა იხ. ბაგრატიონნი.

ბაგრატიონი იხ. ბაგრატიონნი.

ბაგრატიონნი სამეფო დინასტია საქართველოში IX ს. – 1810 წ. 5_8, $20_{5,7}$, $21_{3,8}$, $26_{8,16}$, $27_{31,37,39}$, 54_{39}, 122_{34}, $123_{შ.1}$, 134_1, 135_1, 140_{15}, 145_{14}, $149_{შ}$, 170_{28}, 173_{24}.

ბაგრატიონითა იხ. ბაგრატიონნი.

ბაგრატოვანი იხ. ბაგრატიონნი.

ბაგრატოვანნი იხ. ბაგრატიონნი.

ბადელიძე ოვსთა გვარი 108_{24}, 112_2.

ბათო ყაენი მონღოლი ხანი, ყაენი, ჩინგიზყაენის შვილიშვილი, 1208-1255 წწ. 108_{19}.

ბაკურ II ქართლის მეფე 514-528 წწ., დაჩის ძე, ვახტანგ გორგასლის შვილიშვილი 8_4.

ბაკურისძე ძველთა მთავართა გვარი 21_{12}.

ბარათა „ბარათასაგან არიან ბარათიანნი“ 25_6.

ბარათაშვილი ფეოდალური საგვარეულო XV-XIX სს. საქართველოში 24_{39}.

ბარათიანნი იხ. ბარათაშვილი $25_{7,9,12,15,20}$, 50_{21}.

ბარდის ლეონტი მროველის მიხედვით, კავკასიელ ხალხთა ერთ-ერთი ეთნარქი, თარგამოსის ძე 12_{22}, 89_{23}, 107_{22}.

ბარონია ცეზარ ბარონიუსი, „საეკლესიო ანალების“ ავტორი $6_{შ.}$, $172_{შ.1}$.

ბასიანი გვარი ოვსთა 108_{24}, 111_3.

ბასილი კაბადუკიელი საეკლესიო მოღვაწე, 329-378 წწ. 32_{31}.

ბაქარ მირიან მეფის ძე, ქართლის მეფე 342-364 წწ. 7_3, 64_{33}, 98_{14}.

ბაღუში მიხეილ ფეოდალთა საგვარე-

ული, IX-XIII სს. საქართველოში 21_{11}.

ბედიელი ოდიშის ერისთავი 21_{26}, 169_{30}.

ბერეჟიანი აზნაური 27_{26}.

ბერიძე აზნაური 27_{26}.

ბერქა ყაენი ოქროს ურდოს ყაენი 1255-1266 წწ., ჯუჩის მესამე შვილი, ბათო ყაენის უმცროსი ძმა 52_{39}, 89_{39}, 90_{17}, 97_{43}, 98_{7}.

ბიბილური ბიბილურობა 26_{7}.

ბივრიტიანი ხუმბატ იხ. სუმბატ ბივრიტიანი.

ბუხული ძველთა მთავართა გვარი 21_{18}.

ბუღა თურქი არაბი სარდალი, IX ს. 41_{23}.

გ

გაგელი გაგელები, XII-XIII სს. საქართველოს დიდებულ ფეოდალთა საგვარეულო, მხარგრძელთა განშტოება 21_{15}.

გაიმა კერპი, ქართული წყაროებით უძველესი წარმართული ღვთაება საქართველოში $13_{30,34}$, 19_{34}.

გამრეკელი ძველთა მთავართა გვარი 21_{14}.

გარდაბანი ლეონტი მროველის მიხედვით, ქართველთა ერთ-ერთი ეთნარქი, ქართლოსის ძე $38_{1,2,3}$, 52_{15}.

გაჩიოს ლეონტი მროველის მიხედვით, ქართველთა ერთ-ერთი ეთნარქი, ქართლოსის ძე $38_{1,2,3}$, 52_{24}.

გაც კერპი, ქართული წყაროებით, უძველესი წარმართული ღვთაება საქართველოში $13_{30,34}$, 19_{34}.

გელოვანი სვანეთის მთავართა შორის წარჩინებული და შეძლებული 27_{4}, 174_{38}.

გიორგი I საქართველოს მეფე 1014-1027 წწ., ბაგრატ III-ის ძე $158_{2,21}$.

გიორგი II აფხაზთა — დასავლეთ საქართველოს მეფე 922-957 წწ., კონსტანტინე III-ის ძე 167_{16}.

გიორგი III საქართველოს მეფე 1156-1184 წწ., დემეტრე I-ის ძე $9_{29,31}$, $129_{29,32}$, 153_{4}.

გიორგი V ბრწყინვალე, საქართველოს მეფე 1314-1346 წწ., დემეტრე II თავდადებულის ძე 4_{16}, 5_{12}, $9_{12,30,40}$, 23_{13}, 63_{10}, 123_{2}.

გიორგი VI მცირე, საქართველოს მეფე 1308-1313 წწ., დავით VIII-ის ძე $9_{21,30,33,34,36}$.

გიორგი VII საქართველოს მეფე 1393-1407 წწ., ბაგრატ V-ის ძე 9_{39}, 25_{14}.

გიორგი X ქართლის მეფე 1600-1606 წწ.; სიმონ I-ის ძე 36_{28}, 63_{17}.

გიორგი XI ქართლის მეფე 1676-1688, 1700-1709 წწ., ვახტანგ V-ის ძე 19_{11}, 50_{11}.

გიორგი III იმერეთის მეფე 1605-1639 წწ., კონსტანტინე მეფის ძე 24_{33}.

გიორგი ერისთავი არაგვის ერისთავი 66_{20}.

გიორგი წმიდა $29_{19,31}$, 93_{22}, 154_{19}.

გოგიბაშვილი მთავართა შორის წარჩინებული და შეძლებული გვარი $26_{19,36}$.

გოგორიშვილი მთავართა შორის წარჩინებული და შეძლებული გვარი 26_{37}.

გორგასალი იხ. ვახტანგ გორგასალი.

გოშაძე ოდიშის მთავარი 27_{19}.

გოჩაშვილი მთავარი 26_{16}.

გრიგოლ ქართლის ერისთავი 21_{22}.

გრიგოლი მთავარი კახეთის პირველი მთავარი, 787-827 წწ. 52_{18}, 87_{30}.

გუგუნა ბარათიანთ წინაპარი, ალექსანდრე I დიდის კონსტანტინეს ძის შვილი $25_{14,15}$.

გუზანი ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, XII ს. ბოლოს, კლარჯეთისა და შავშეთის მფლობელი 21_{24}.

გურამიანნი საგურამოში 96_{25}.

გურამიშვილი ფეოდალური საგვარეულო კახეთში 26_{31}.

გურამ კურაპალატი I ქართლის მეფე 575-600 წწ. $8_{4,7,9}$, 55_{15}, 95_{9}.

გურგენ აშოტის ძე აშოტ დიდის კურაპალატის ძე 136_{40}.

გურიელი გურიის სამთავროს გამგებელი 27_{23}, 101_{1}, $176_{23,36}$, 177_{2}, 178_{1}.

დ

დადიანი (დადიანნი) დადიანები, ფეოდალური საგვარეულო საქართველოში, XII ს. 80-იანი წლებისათვის დასავლეთ საქართველოს უძლიერესი ფეოდა-

ლები $21_{27,38}$, $27_{14,16,17}$, 150_{36}, $167_{23,33,40}$, $168_{15,16,28}$, 169_{30}, 171_{33}.

დადიანი ლევან II სამეგრელოს მთავარი, 1611-1657 წწ. 154_{16}, 168_{40}, 170_{32}.

დადიანი ცოტნე საქართველოს დიდგვაროვანი ფეოდალი XIII ს. I ნახევარში $21_{31,33}$.

დავით არგვეთის მთავარი VIII ს. 152_{29}.

დავით აღმაშენებელი IV საქართველოს მეფე 1089-1125 წწ., გიორგი II-ის ძე 8_{18}, $15_{7,8}$, 69_{37}, 82_{6}, 142_{3}, $152_{36,40,44}$, 153_{3}.

დავით ბიბლიური მეფე $27_{33,39}$.

დავით გარეჯელი ერთ-ერთი ასურელი 13 მამათაგანი, VI ს. I ნახევარი 41_{20}, 53_{19}, 91_{9}.

დავით კურაპალატი დავით III დიდი, ადარნასე III-ის ძე, ბაგრატიონთა ტაოს შტოს წარმომადგენელი, ტაოს მეფე, 978-1001 წწ. 141_{43}.

დავით I ბაგრატ I-ის უფროსი ძე, ბაგრატიონთა ტაოს შტოს წარმომადგენელი, კურაპალატი 876-881 წწ. 142_{1}.

დავით I კახთა მეფე 1601-1602 წწ., ალექსანდრე II-ის ძე 103_{36}.

დავით VII ულუ, საქართველოს მეფე 1247-1270 წწ., გიორგი IV ლაშას ძე 9_{4}, 15_{8}, 52_{38}, 63_{16}, 153_{4}.

დავით მეფე VIII საქართველოს მეფე 1293-1311 წწ., დემეტრე II თავდადებულის ძე $9_{21,25,32}$.

დავით X ქართლის მეფე 1505-1525 წწ., კონსტანტინე II-ის ძე 28_{3}.

დავითი ყაფლანიანი წინაპარი $25_{15,16}$.

დავით წინასწარმეტყველი ისრაელთა მეფე, ფსალმუნთა ავტორი XI ს. ჩვ. ერამდე 8_{6}.

დავითისშვილი „ავგიორგის ძმის დიმიტრისაგან" 26_{4}.

დამასკელი იხ. იოანე დამასკელი.

დაჩი ქართლის მეფე VI ს. დამდეგს, ვახტანგ გორგასლის ძე 54_{35}.

დიასამიძე მთავართა შორის წარჩინებული და შეძლებული გვარი $26_{1,35}$.

დიმიტრი ავგიორგის ძმა 26_{4}.

დიმიტრი გურამ კურაპალატის ძე 95_{10}.

დიმიტრი II თავდადებული, საქართველოს მეფე, 1271-1289 წწ., დავით VII ულუს ძე $9_{10,12,37}$, 55_{39}, 63_{17}.

დოდო დავით გარეჯელის მოწაფე VI ს. I ნახევარი 91_{8}.

დოლენჯისშვილი მესხეთიდან 25_{22}.

დომენტი III აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი 1660-1676 წწ., ქაიხოსრო მუხრანბატონის ძე 55_{23}.

დონაური ძველთა მთავართა გვარი 21_{11}.

დურძუკი ლეონტი მროველის მიხედვით, კავკასიელ ხალხთა ერთ-ერთი ეთნარქი, ტინენის ძე 107_{5}, 108_{10}, 119_{32}.

ე

ეგროს ლეონტი მროველის მიხედვით, ქართველთა ერთ-ერთი ეთნარქი 12_{21}, 145_{5}, $166_{29,33}$, 169_{23}, 171_{40}, 172_{1}, 175_{12}.

ევა ბიბლიის მიხედვით, ადამიანთა მოდგმის წინაპრის – ადამის ცოლი 11_{21}.

ელია ბიბლიური წინასწარმეტყველი 62_{35}, $105_{41,\text{სქ}2}$, $111_{28,30,31}$.

ელიოზი მცხეთელი მღვდელმთავარი, ებრაელი, რომელმაც ჩამოიტანა იერუსალიმიდან კვართი უფლისა იესო ქრისტესი 62_{35}.

ელიოზისშვილი მთავარი 26_{28}.

ენდრონიკაშვილი „ანდრონიკესაგან" 26_{27}.

ერეკლე კეისარი ბიზანტიის კეისარი, 610-641 წწ. $8_{9,11}$, 76_{7}, 170_{25}.

ერეკლე I ქართლის მეფე 1688-1703 წწ., თეიმურაზ I-ის ძის დავითის შვილი 52_{41}, 55_{39}.

ექვთიმე წმიდა მამათაგანი 99_{20}.

ვ

ვარდანისძე ძველთა მთავართა გვარი 21_{13}, 27_{24}.

ვარზაბაკური ვარაზბაქარი, ვარაზბაკური, ქართლის მეფე IV ს. II ნახევარში 54_{33}, 66_{12}.

ვარზაბაქარი იხ. ვარზაბაკური $7_{3,4,5}$, 66_{12}.

ვაცილა ოსთა კერპი 111_{27}.

ვაჩნაძე მთავართა შორის წარჩინებული და შემძლებელი გვარი 26_{29}.

ვახვახიშვილი მთავართა შორის წარჩინებული და შემძლებელი გვარი 26_{29}, 96_{16}.

ვახტანგ გორგასალი ქართლის მეფე, დაახლ. V ს. 40-იანი წწ. 502 წ. $7_{11,14,15,17,20,22,26,31,39}$, $9_{20,21,22,24,25,27}$, 20_{12}, 38_{5}, 39_{9}, 49_{1}, 52_{38}, $55_{3,4}$, 58_{20}, $63_{6,7,16}$, 74_{33}, $78_{9,10}$, $91_{4,24}$, 92_{2}, 100_{7}, 131_{14}, $138_{36,42}$, 173_{25}, $174_{1,3}$.

ვახტანგ II აღმოსავლეთ საქართველოს მეფე 1289-1293 წწ., დავით VI ნარინის ძე $9_{20,24}$.

ვახტანგ III საქართველოს მეფე 1298 ან 1299 და 1302-1308 წწ., დემეტრე II თავდადებულის ძე $9_{13,19}$.

ვახტანგ V ქართლის მეფე 1658-1675 წწ., ბაგრატიონთა მუხრანბატონების შტოს წარმომადგენელი 40_{4}.

ვახტანგ VI ქართლის მეფე 1703-1714 წწ., 1716-1724 წწ., გიორგი XI-ის ძმის ლევანის ძე 39_{39}, 41_{16}, $43_{8,10}$, 44_{18}, 48_{16}, 50_{11}, 52_{41}, 53_{21}, 54_{34}, $55_{10,18,25,29}$, 61_{37}, 63_{14}, $76_{14,22}$, $80_{24,41}$, $83_{10,24}$, 85_{27}

ვახუშტი ბაგრატიონი 1696-1758, ვახტანგ VI-ის შვილი 10_{31}, $38_{3,4}$, $59_{3,4}$, $67_{3,12}$, $79_{3,4}$.

ზ

ზაბილონ ბიბლიის მიხედვით წმიდა ნინოს მამა 29_{28}.

ზადენი კერპი, ქართველთა წარმართული ღვთაება; ქართლის სამეფოს ერთ-ერთი უზენაესი ღმერთი 14_{3}, 19_{18}, 94_{29}.

ზედგინიძე ზედგინიძეები, ფეოდალური საგვარეულო აღმოსავლეთ საქართველოში 25_{30}, $26_{22,32}$.

ზენონ იყალთოელი ერთ-ერთი ასურელი 13 მამათაგანი, VI ს. შუა წლები 101_{24}.

ზენონ რომის იმპერატორი, 474-491 წწ. $7_{35,36}$.

ზვიად ერისთავი დასავლეთ საქართველოს დიდი ფეოდალი, X-XI სს. 169_{37}.

ზურაბისშვილი ზურაბისშვილის „იტყვიან არა ხარაითიანობასა" 25_{19}.

თ

თაგაური გვარი ოსთა 108_{24}, 112_{2}.

თადგირიძე მთავართა შორის წარჩინებული და შემძლებელი 26_{33}, 27_{25}.

თათე, თადეოზ სტეფანწმინდელი, ერთ-ერთი ასურელი 13 მამათაგანი $74_{9,10}$.

თამარ მეფე საქართველოს მეფე, 1184-1213 წწ., გიორგი III-ის ასული $5_{9,11}$, 6_{21}, $8_{21,31}$, 21_{30}, 43_{9}, 46_{37}, 47_{15}, 50_{8}, 51_{27}, 62_{1}, 80_{34}, 86_{26}, 112_{43}, 116_{1}, 127_{24}, 129_{30}, 142_{3}, 152_{40}, 153_{4}, 162_{7}, 169_{29}.

თამარ აღმაშენებლის ასული, შირვან შაჰის მეუღლე 82_{7}.

თარგამოსიზი თარგამოსი, ლეონტი მროველის მიხედვით, კავკასიის ხალხთა ეთნარქი 87_{4}, 107_{4}, 145_{5}, 169_{23}.

თარგამოსი იხ. თარგამოსიზი.

თაქთაქიშვილი სამცხიდან 26_{2}.

თეიმურაზ ბატონი კახეთის მეფე 1606-1616; 1634-1648 წწ; ქართლ-კახეთის მეფე 1625-1632 წწ. 90_{20}.

თეოდოსი დიდი ბიზანტიის კეისარი 392-395 წწ. 7_{6}.

თეოდოსი მცირე ბიზანტიის იმპერატორი 408-450 წწ. $7_{5,7}$.

თინათინ გიორგი X-ის ასული 101_{2}.

თრდატ ქართლის მეფე, 393-405 წწ. 52_{3}.

თრდატ მეფე ვარაზბაქარის ძე 99_{32}.

თუხარელი მთავართა შორის წარჩინებული და შემძლებელი გვარი 26_{37}.

ი

იაზონ „არგონავტების" მითიური გმირი 166_{35}.

იარალისშვილი „იტყვიან არა ბარათიანობასა" 25_{20}.

იაყუბ ყაენი 1479-1490 წწ. 36_{26}.

იაშვილი რაჭის მთავართა შორის წარჩინებული და შეძლებული გვარი 27_{3}.

იესე ბიბლიური მეფე $27_{12,19}$

იეფთაე იგივე იაფეტი, ბიბლიური ნოეს შვილი 12_{13}.

ილია წინასწარმეტყველი იხ. ელია.

იმანყულიხანი იგივე დავითი, კახთა მეფე 1703-1721 წწ., ერეკლე I-ის ძე 90_{31}.

იმერლისშვილი განაახლა თბილისის ჯვრის ეკლესია 55_{21}.

ინასარიძე რაჭის მთავართა შორის წარჩინებული და შეძლებული გვარი 27_{4}.

იოანე დამასკელი ბიზანტიელი ღვთისმეტყველი, ფილოსოფოსი და მწერალი, დაახლ. 675-753 წწ. $3_{3,23}$, 10_{20}.

იოანე არჩილ მეფის ძე 718-787 წწ. სტეფანოზ მთავრის შვილიშვილი 8_{15}.

იოვანე ერთ-ერთი ასურელი 13 მამათაგანი, VI ს. შუა წლები 94_{31}.

იოსებ ალავერდელი აბბა ალავერდელი, საქართველოში მოღვაწე ერთ-ერთი ასურელი 13 მამათაგანი, VI ს. შუა წლები 101_{41}.

ირუბაქიძე ძველთა მთავართა გვარი 21_{16}, 26_{27}.

ისიდორე სამთავნელი ეზდერიის სამთავნელი, ერთ-ერთი ასურელი 13 მამათაგანი, VI ს-ის შუა წლები $74_{38,39}$.

ისო (იესე) წილკნელი ერთ-ერთი ასურელი 13 მამათაგანი VI ს-ის შუა წლები 64_{35}, 65_{3}.

იუსტინიანე კეისარი ბიზანტიის იმპერატორი 527-565 წწ. $172_{19,31}$.

კ

კაკასიძე ძველთა მთავართა გვარი 21_{16}.

კავკასიონ ლეონტი მროველის მიხედვით, კავკასიის ერთ-ერთი ეთნარქი, თარგამოსის ძე 12_{22}, $107_{4,5,12,15,17,18,25}$, 175_{9}.

კაინი კაენი, ბიბლიის მიხედვით, ადამის და ევას უფროსი ძე 11_{32}.

კარიჭისძე ძველთა მთავართა გვარი 21_{14}.

კახაბერ XII ს. 80-იანი წლების ქართველი მოღვაწე, რაჭის და თაკვერის ერისთავი 157_{12}, 163_{27}.

კახაბერისძე ძველთა მთავართა გვარი 21_{12}.

კახოს ლეონტი მროველის მიხედვით, ქართველი ხალხის ერთ-ერთი ეთნარქი, ქართლოსის ძე $87_{9,15}$, $91_{14,15}$, $92_{1,30}$.

კვერღელისძე აზნაური 27_{26}.

კვირიკე III კახეთ-ჰერეთის მეფე 1010-1037 წწ. 81_{1}, 101_{16}.

კვირიკე წმიდა 43_{26}.

კონსტანტინე დიდი ბიზანტიის კეისარი, 306-337 წწ. $6_{1,6,13,26,34}$, 32_{29}, 48_{17}, 131_{33}, 133_{22}.

კონსტანტინე I საქართველოს მეფე 1407-1411 წწ., ბაგრატ V-ის ძე 129_{31}.

კონსტანტინე II ქართლის მეფე 1478/1479-1505 წწ. 65_{12}.

კონსტანტინე კონსტანტინე დიდის მამა 6_{34}

კონსტანტინე ავგუსტი 6_{34}.

კონსტანტინე არგვეთის მთავარი VIII ს, რომელიც მურვან ყრუს ბრძანებით წამებით მოკლეს, ყელზე დიდი ქვა შეაბეს და რიონში გადააგდეს იმ ადგილას, სადაც ახლა ქუთაისის წითელი ხიდია აგებული 152_{29}.

კონთიელი ქართლის წარჩინებულ ფეოდალთა საგვარეულო IX-X სს-ში 21_{17}, 26_{19}.

კუხოს ლეონტი მროველის მიხედვით, ქართველთა ერთ-ერთი ეთნარქი, ქართლოსის ძე 53_{38}, $87_{19,23}$, $91_{33,34}$, 94_{15}.

ლ

ლანგ თემური შუა აზიელი მხედართმთავარი, ემირი 1370-1405 წწ. 9_{11}, 47_{6}, 58_{3}, 63_{11}, 80_{34}, 90_{17}.

ლანქ თემური იხ. ლანგ თემური.

ლაშა გიორგი IV, საქართველოს მეფე 1213-1223 წწ., თამარ მეფის ძე $8_{40,42}$, $9_{5,10}$, 63_{16}, 93_{13}, 153_{4}.

ლაშხიშვილი რაჭის მთავართა შორის წარჩინებული და შემძლებელი გვარი 27_{4}.

ლევან I აფხაზთა მეფე, VIII ს. $145_{8,9,11}$, 148_{2}, 158_{6}, 169_{27}.

ლევან II აფხაზთა სამეფოს მეფე, 786-798 წწ. 145_{9}, $175_{13,16}$.

ლევან III აფხაზთა სამეფოს მეფე, დაახლ. 957-967 წწ., გიორგი II-ის ძე 170_{4}.

ლევან დადიანი იხ. დადიანი ლევან.

ლევანი კახეთის მეფე, 1518/20-1574 წწ., გიორგი II-ის ძე 96_{44}, 100_{23}, 101_{1}, 103_{39}.

ლეკანს იხ. ლეკოს.

ლეკოს ლეონტი მროველის მიხედვით, კავკასიის ხალხთა ერთ-ერთი ეთნარქი 12_{22}, 103_{33}, $107_{5,8,10,12}$.

ლეონ I იხ. ლევან I.

ლეონ II იხ. ლევან II.

ლეონ დიდი I ბიზანტიის კეისარი 457-474 წწ. $7_{12,28,31,32,33,37}$.

ლეონ კეისარი იხ. ლეონ დიდი I.

ლეონ II ბიზანტიის კეისარი 474 წ. 7_{34}.

ლიპარიტ ბაღუაში კლდეკარის საერისთავოს პირველი ერისთავი IX ს. II ნახევარი 48_{11}.

ლიპარიტისძე ძველთა მთავართა გვარი 21_{12}.

ლორთქიფანიძე მთავართა შორის წარჩინებული და შემძლებელი გვარი 27_{1}.

ლუარსაბ I ქართლის მეფე, 1527-1556 წწ., დავით X-ის ძე 63_{17}.

ლუკა მახარებელი მესამე სახარების დამწერი, ანტიოქიელი, იყო მკურნალი და მხატვარი. ქრისტიანული გადმოცემებით, პირველად მან დახატა მაცხოვარი, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა და მოციქულთა სახეები 42_{21}, 152_{18}.

მ

მავრიკი ბიზანტიის კეისარი 582-602 წწ. 8_{5}.

მაიჟან სპასპეტი, მირიან მეფის მხედართმთავარი $14_{13,17}$.

მაკედონელი ალექსანდრე იხ. ალექსანდრე მაკედონელი.

მაკსენთი 6_{4}.

მანკაბერ სადუნი სომხეთის ერისთავი 21_{19}.

მარიამ დედოფალი ლევან დადიანის და, როსტომ მეფის მეუღლე, შემდეგში ვახტანგ V-ის ცოლი, 1638-1682 წწ. 39_{10}, 55_{28}, 80_{36}.

მარიამი ქალწული, ღვთისმშობელი 19_{36}.

მარუშისძე დასავლეთ საქართველოს წარჩინებული ფეოდალური საგვარეულო, X-XI სს. $21_{12,14}$.

მაქსიმე აღმსარებელი ბიზანტიელი მოაზროვნე და ღვთისმეტყველი, VI-VII სს. გარკვეულ პერიოდში მოღვაწეობდა საქართველოში, კერძოდ, ლეჩხუმში 149_{3}.

მაქსიმიან გალერი 6_{4}.

მაქსიმიან ჰერკულესი 6_{4}.

მაყაშვილი „კახეთის ჩოლოყაშვილი და მაყაშვილი იტყვიან ირუბაქიძობას" 26_{26}.

მაჩაბელი ფეოდალური საგვარეულო ქართლში 25_{38}, 79_{36}.

მახატელი ძველთა მთავართა გვარი 21_{12}.

მაჰმად ისლამის დამაარსებელი, მოძღვარი სარკინოზთა 8_{12}, 48_{39}.

მირ ქართველი პოლიტიკური მოღვაწე VIII ს. I ნახევარი, სტეფანოზის ძე 63_{5}.

მირდატ III ქართლის მეფე 364-379 წწ., ბაქარის ძე 62_{36}, 137_{21}.

მირდატ V ქართლის მეფე, 434-446 წწ., არჩილ მეფის ძე 47_{6}.

მირდატი გორგასლის ძე 131_{14}, 172_{31}.

მირვან I ქართლის მეფე 162-112 წწ. 6_{9}.

მირვანოსი ქართველი უფლისწული, ეპისკოპოსი V ს. 7_{6}.

მირიან მეფე ქართლის მეფე, 265-342 წწ. $5_{8,9,32,33}$, $6_{3,11,13,28,32,33}$, $7_{10,13,22}$, $8_{3,6,8}$, 14_{14}, 15_{7}, $19_{15,34,41}$, 48_{17}, 62_{11}, 63_{13}, 65_{45}, 131_{13}, 133_{21}.

მიქელაძე იმერეთის კაცის მთავართა შორის წარჩინებული და შემძლებელი გვარი 27_{7}.

მიქელ ულუმბელი, ერთ-ერთი ასურე-

ლი 13 მამათაგანი საქართველოში, VI ს. შუა წლები $83_{4,5}$.

მოვაკან ლეონტი მროველის მიხედვით, კავკასიის ხალხთა ერთ-ერთი ეთნარქი 12_{22}, 89_{23}.

მოვაკანის იხ. მოვაკან.

მოსე ღვთისმეტყველი ბიბლიის მიხედვით, ძველი ებრაელთა სჯულმდებელი და წინასწარმეტყველი, განმათავისუფლებელი და ბელადი 2_{18}, 5_{20}.

მოურავისშვილი მთავარი 25_{26}.

მროველი-ავალიშვილი იხ. ავალიშვილი.

მურვანის ვარზაბაქარის ძე, IV ს. 7_{8}.

მურვან ყრუ მურვან II, უკანასკნელი ხალიფა ომაიანთა დინასტიიდან 744-750 წწ., მხედართმთავარი 48_{10}, 54_{36}, $57_{19,27}$, 63_{21}, 74_{29}, 80_{21}, 89_{31}, 100_{35}, 101_{39}, 137_{24}, 138_{37}, 144_{6}, 149_{8}, 152_{30}, $157_{5,18}$, $167_{21,39}$.

მუხრანის ბატონი „აწ მთავარნი, არამედ გვარი მეფეთა ბაგრატიონთა არიან“ $26_{9,14}$, 66_{9}.

მცხეთოს ლეონტი მროველის მიხედვით, ქართველთა ერთ-ერთი ეთნარქი 12_{21}, 62_{24}, 74_{27}, 86_{23}, $121_{11,14,15,19,28}$, 122_{16}, $123_{5,11}$, 131_{26}, 133_{42}, 137_{22}.

მჴარგრძელი დიდებულ ფეოდალთა საგვარეულო XII-XIV სს. საქართველოში 21_{13}, $25_{19,41}$.

ნ

ნაბუქოდონოსე (ნაბუქოდონოსორი) ბაბილონეთის მეფეთა სახელი 5_{21}, 87_{25}.

ნაკაშიძე აზნაური 27_{27}.

ნანა დედოფალი მირიან მეფის მეუღლე, IV ს. $6_{5,8}$.

ნარინ დავითი იხ. დავით ნარინი.

ნასიძე აზნაური 21_{17}, 26_{19}.

ნებროთი ლეგენდარული მეფე, პიროვნება $5_{16,17}$.

ნებროთიანნი მეფეთა გვარი 162-93 წწ. ჩვ. ერამდე 20_{39}, 21_{6}.

ნერსიანი ძველთა მთავართა გვარი 21_{15}.

ნინო წმიდა ქრისტიანობის მქადაგებელი საქართველოში IV ს. $6_{20,29}$, 14_{10}, $19_{33,35}$, 29_{27}, 57_{26}, 65_{32}, 69_{19}, $95_{8,12}$, $98_{12,18}$.

ნიჟარაძე მთავართა შორის წარჩინებული და შეძლებული გვარი 27_{1}.

ნოე ბიბლიის მიხედვით, ადამის მეათე შთამომავალი, მსოფლიო წარღვნის შემდგომი კაცობრიობის მამამთავარი 4_{15}, $5_{6,16,33}$, $12_{2,3,8,13}$.

ო

ორბელი აღმ. საქართველოს დიდი ფეოდალური საგვარეულო XII-XIII სს. 25_{10}.

ორბელიანი (ორბელიანნი) ფეოდალური საგვარეულო XVII-XIX სს. საქართველოში 21_{11}, $25_{4,5,11}$.

ოძრახოს ლეონტი მროველის ცნობით, ქართველ ხალხთა ერთ-ერთი ეთნარქი 121_{21}, $122_{15,24}$, 127_{2}, 137_{22}, 139_{16}, 175_{14}.

პ

პიროს ბრეთელი, საქართველოში მოღვაწე ერთ-ერთი 13 ასურელი მამათაგანი, VI ს-ის შუა წლები $81_{7,8}$.

პლინი სთიოკი პლინიუს უფროსი, რომაელი მწერალი, სწავლული და სახელმწიფო მოღვაწე, 23/24-79 წწ. 1_{3}, 2_{27}, 3_{23}, 10_{20}.

რ

რამაზისშვილი „ავგიორგის ძმის დიმიტრისაგან“ 26_{3}.

რაჟდენ წმიდა იგივე პირველმოწამე რაჟდენი. სპარსელი, მეფის ასულის ბა-

ლანდუხტის მამამძუძე ანუ გამზრდელი იყო, როცა ბალანდუხტი ვახტანგ გორგასალმა მეორეთ ცოლად და საქართველოში წამოიყვანა, რაჟდენიც თან წამოჰყვა თავის გამზრდელს; გაქრისტიანდა და ქადაგებდა ქრისტიანულ მოძღვრებას. სპარსელებმა შეიპყრეს, ჯვარზე გააკრეს და ისრებით განგმირეს 78_{10}.

რატისშვილი აზნაური 26_{20}.

რევ I ქართლის მეფე III ს. შუა წლებში 19_{27}.

როდამი დედოფალი, ვახტანგ V ქართლის მეფის მეუღლე 55_{29}.

როსტომი ქართლის მეფე 1632-1658 წწ. ქართლ-კახეთის მეფე 1648-56 წწ., დავით XI-ის ძე 23_{33}, 24_{19}, 48_{11}, 50_{10}, $55_{6,24,32}$, 59_{25}, 63_{13}, $76_{11,20}$, 102_{1}.

როჭიკაშვილი „როჭიკაშვილი არის შალიკაშვილი" 25_{27}.

რუხისშვილი მთავართა შორის წარჩინებული და შეძლებული გვარი 26_{29}.

რუსუდანი საქართველოს მეფე 1223-1245 წწ., თამარ მეფის ასული 9_{3}, 153_{4}, 169_{29}.

რუსუდანი დედოფალი, ვახტანგ VI-ის მეუღლე 59_{10}.

ს

სააკაძე „მოურავისშვილი არის სააკაძე და მეფისაგან გამთავრებული" 25_{26}, 26_{21}.

სამსუარი ძველთა მთავართა გვარი 21_{15}.

საურმაგი ქართლის მეფე III ს. ძვ. წ., ფარნავაზის ძე 91_{23}, 174_{28}.

სვიმონ I ქართლის მეფე 1556-1569 და 1578-1600 წწ., ლუარსაბ I-ის ძე 41_{29}, 46_{41}, 63_{17}, 76_{12}.

სვიმონ კანანელი მოციქული 172_{25}.

სიდამონი არაგვის ერისთავი „გვარს სიდამონობას იტყვის" 26_{9}.

სიდამონი ოქსუთის საგვარეულო 108_{25}, 112_{1}, 113_{25}, 114_{30}.

სილიბისტრო რომის პატრიარქი, 314-335 წწ. 6_{18}, 32_{30}.

სოკრატე ბრძენი ბერძენი ფილოსოფოსი, პლატონის მასწავლებელი, ძვ. წ. V-IV სს. $3_{17,19}$.

სოლაღაშვილი „იტყვიან არა ზარათიანობასა" 25_{20}.

სოლომონი ბიბლიური მეფე $27_{11,39}$.

სტეფანე პირველმოწამე, წმიდა 80_{25}.

სტეფანე ხირსელი, საქართველოში მოღვაწე ერთ-ერთი ასურელი 13 მამათაგანი, VI ს. შუა წლები $98_{23,24}$.

სტეფანოზ I ქართლის ერისმთავარი VI ს. დასასრულსა და VII ს. დასაწყისში. ქართლის პირველი ერისმთავრის გუარამ კურაპალატის ძე 8_{8}, 175_{15}.

სუმბატ ბივრიტიანი სომეხთა სარდალი I ს. ახ. წ. 122_{18}, 125_{17}.

სუმბატისშვილი მთავართა შორის წარჩინებული და შემძლებელი გვარი 26_{16}.

სურამელი გრიგოლი ქართველი დიდგვაროვანი ფეოდალი, XIII ს. 40-60-იანი წწ., ქართლის ერისთავ სულა სურამელის ძე 21_{22}.

სურამელი რატი ქართველი დიდგვაროვანი ფეოდალი XII ს. II ნახევრისა და XIII ს. დასაწყ. ბეგა I სურამელის ძე 21_{22}.

ტ

ტიტენი ლეონტი მროველის მიხედვით, კავკასიის ხალხთა ერთ-ერთი ეთნარქი 107_{24}.

ტუხისშვილი 26_{31}.

უ

ულჯაით ყეენი 1304-1316 წწ. $9_{37,38}$

ურბანოს ლეგენდარული ერთ-ერთი ეთნარქი $107_{17,10,33}$.

ურმუზი IV სპარსთა მეფე, 578-590

წწ. 8_5.

უფლოს ლეონტი მროველის მიხედვით, ქართველთა ერთ-ერთი ეთნარქი 74_{26}, 75_{31}, 80_{20}, 86_{23}, 121_{20}.

ფ

ფავლენისშვილი „ფავლენისშვილი იტყვის მჴარგრძელობასა“ 25_{41}.

ფალავანდიშვილი „პატივცემული მეფეთაგან მთავრობით“ 25_{32}.

ფარნაოზ ქართლის სამეფოს პირველი მეფე და ფარნავაზიანთა დინასტიის დამაარსებელი, ძვ. წ. IV ს. მიწურული 5_{24}, $13_{22,33}$, 46_{40}, 48_8, $57_{21,23}$, 62_{32}, 107_5, 121_{32}, 151_{44}, 155_{27}, 167_{37}, 169_{26}.

ფარნაჯომი ლეონტი მროველის მიხედვით, ქართლის მეოთხე მეფე, ძვ. წ. II ს. 70-იანი წლები 94_{28}, 99_{11}.

ფარსმან II ქართლის მეფე II ს. 30-50-იან წლებში $7_{10,19}$, $8_{1,3}$.

ფარსმან ლეონტი მროველის მიხედვით, ქართლის 29-ე მეფე, V ს. დასაწყისი 39_8.

ფარსმან V ჯუანშერის მიხედვით, ქართლის 36-ე მეფე VI ს. 60-იან წლებში $172_{4,1}$.

ფარჯანიანი „ძველთა მთავართა გვარი“ 21_{15}.

ფაღავა ოდიშის მთავარი 27_{19}

ფხეიძე მთავართა შორის წარჩინებული და შემძლებელი გვარი 26_{41}.

ქ

ქაიხოსრო 1660-1675 წწ., ვახტანგ მუხრანბატონის ძე 55_{23}.

ქართლოს ლეონტი მროველის მიხედვით, ქართველთა ერთ-ერთი ეთნარქი $12_{13,20,30,37}$, 13_{35}, 29_4, 46_{40}, 48_6, $52_{15,25,36}$, $57_{18,22}$, 62_{24}, 75_{31}, 80_{21}, $87_{7,8,9}$, 91_{30}, $121_{3,10,13,18,23}$, 175_{13}.

ქართლოსიანნი მეფობდნენ 302-162 წწ. ძვ. წ. $13_{21,22}$, 14_{29}, 20_{38}, 21_5.

ქაჩიბაძე „ძველთა მთავართა გვარი“ 21_{13}, $25_{1,5}$.

ქვენაფლაველი „ძველთა მთავართა გვარი“ 21_{18}, 26_6

ქობულისძე „ძველთა მთავართა გვარი“ 21_{11}, 26_{35}.

ქურთაული გვარი ოვსთა 108_{25}, 112_2.

ქუჯი „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, ეგრისის მმართველი — ერისთავი ფარნავაზ I-ის დროს 167_{37}, 169_{26}.

ღ

ღაზნელი აზნაური 26_{20}.

ღაღანიძე მთავართა შორის წარჩინებული გვარი 26_{37}.

ღლიღვის კავკასიის ერთ-ერთ ხალხთა ლეგენდარული ეთნარქი 119_{32}.

ღოღობერიძე მთავართა შორის წარჩინებული და შემძლებელი გვარი 27_2.

ყ

ყარაბუდაღისშვილი „მოვიდა მარიამჯვრის კახეთიდამ“ 25_{23}.

ყაფლანიანი ბარათაანთ (ბარათაშვილების) ერთი შტო 41_{37}.

ყაფლანიანნი იხ. ყაფლანისშვილი.

ყაფლანისშვილი (ყაფლანიშვილი) ქართლის დიდებულ თავადთა ერთ-ერთი საგვარეულო; ქაჩიბაიძე-ბარათაშვილების ერთ-ერთი შტო $25_{2,4,10,16}$, 26_{15}.

ყვარყვარე III ჯაყელი, სამცხე-საათაბაგოს ათაბაგი 1487-1500 წწ. 123_5.

ყრუ იხ. მურვან ყრუ.

ყუბასარი საქართველოს პოლიტიკური მოღვაწე XII ს. II ნახევარში 21_{21}.

ყუთლუღ-არსალი ყუთლუ-არსლანი, საქართველოს მეფეების გიორგი III-ისა და თამარის მეჭურჭლეთუხუცესი 21_{20}.

შ

შააბაზ I სპარსეთის შაჰი, 1587-1629 წწ. 25_{12}, 36_{27}, 37_{48}, $96_{30,36}$, 99_{2}, 100_{21}, 160_{22}.

შააბაზ II სპარსეთის შაჰი, 1642-1667 წწ. 56_{9}.

შაისმაილ ერანის შაჰი 1499-1523 წწ. 55_{12}.

შალიკაშვილი მთავართა შორის წარჩინებული და შემძლებელი გვარი 25_{27}, $26_{1,35}$.

შანადირ შაჰ-ნადირ, ერანის ყეენი 1736-1747 წწ. 40_{41}, 53_{31}, 55_{15}, $64_{4,5}$, 76_{16}, 90_{31}, 97_{31}, 98_{2}.

შანშე ქსნის ერისთავი XVII ს. $71_{7,34}$, $73_{5,6}$, 78_{2}.

შარვაშიძე მთავართა საგვარეულო ფეოდალურ აფხაზეთში 21_{17}, $27_{21,25}$, 172_{13}.

შაჰსეფი შაჰსეფი, შააბაზ I-ის შვილი, 1629-1642 წწ. 47_{37}, 54_{42}, 76_{13}.

შიო წმიდა შიო მღვიმელი, საეკლესიო მოღვაწე, ერთ-ერთი ასურელი მამათაგანი, VI ს. შუა წლებში $63_{37,38}$, 74_{31}.

შიხნი მეფეთა დინასტია ირანში 10_{14}, 23_{14}.

ჩ

ჩერქეზი „ავალიშვილი და ჩერქეზი ეს ორი მოსული არიან გაყრილების შემდგომად" 26_{30}.

ჩერქესიძე გვარი ოვსთა 108_{24}, 112_{3}.

ჩინგიზ ყეენი ერთიანი მონღოლური სახელმწიფოს დამაარსებელი, მხედართმთავარი 9_{2}, 75_{32}, 108_{19}.

ჩიქოვანი ოდიშის მთავარი 27_{16}, 150_{36}.

ჩიჩუა ოდიშის მთავარი 27_{19}.

ჩიჯავაძე იმერეთის ვაკის მთავართა შორის წარჩინებული და შემძლებელი გვარი 27_{7}.

ჩოლოყაშვილი „ძველთა მთავართა გვარი" 18_{3}, 21_{16}, 26_{26}.

ჩხეიძე მთავართა შორის წარჩინებული და შემძლებელი გვარი $26_{3,42}$, 164_{20}.

ჩხეიძე სეხნია იმერეთის სამეფოს სახლთუხუცესი, ჩხეიძეთა ფეოდალური სახლის მეთაური, XVII ს. 158_{12}.

ჩხეიძე შოშიტა რაჭის ერისთავი XVI ს. 163_{28}.

ც

ციცერონი ძველი რომაელი პოლიტიკური მოღვაწე, ორატორი და მწერალი, ძვ. წ. II-I სს. 3_{29}.

ციციანნი ფეოდალური საგვარეულო ქართლში 25_{24}, 26_{16}, 60_{19}.

ციციშვილი (ციცისშვილი) იხ. ციციანნი.

ცოტნე დადიანი იხ. დადიანი ცოტნე.

ძ

ძაგანისძე „ძველთა მთავართა გვარი" 21_{14}.

ძურძუკი იხ. დურძუკის.

წ

წერეთელი მთავართა შორის წარჩინებული და შეძლებელი გვარი 26_{41}.

წმიდა არსენ იხ. არსენ წმიდა.

წმიდა გიორგი იხ. გიორგი წმიდა.

წმიდა კვირიკე იხ. კვირიკე წმიდა.

წმიდა ნინო იხ. ნინო წმიდა.

წმიდა შიო იხ. შიო წმიდა.

წულუკიძე რაჭის მთავართა შორისწარჩინებული და შეძლებელი გვარი 27_{3}.

ჭ

ჭავჭავაძე მთავართა შორის წარჩინებული და შეძლებელი გვარი 26_{29}.

ჭახილაძე გვარი ოვსთა 108_{25}, 112_{2}, 114_{31}.

ჭილაძე იმერეთის ვაკის მთავართა შორის წარჩინებული და შეძლებელი გვარი 27_{7}.

ხ

ხერხეულიძე სამცხიდან 25_{39}.

ხოზონი „ალაშენა ქალაქი, უწოდა სახელი თვისი" 107_{9}.

ხოსრო II ერანის შაჰი, სასანიანი, 590-628 წწ. 8_{6}.

ხოსროვანნი ისტორიული ტრადიციით სასანიანნი, 265-570 წწ. $21_{1,6}$, 52_{29}, 87_{29}, $145_{6,11}$, $172_{სქ.1}$.

ჯ

ჯავახიშვილი ქართლის ფეოდალური საგვარეულო XIV-XIX სს. 21_{18}, 25_{25}.

ჯავახოს ლეონტი მროველის მიხედვით, ქართველთა ერთ-ერთი ეთნარქი 121_{29}, 122_{32}, 131_{26}, 133_{42}.

ჯაიანი ოდიშის მთავარი 27_{19}.

ჯანაშვილი მოსე ისტორიკოსი $131_{სქ}$.

ჯანდიერიშვილი მთავართა შორის წარჩინებული და შეძლებელი გვარი 26_{29}.

ჯაფარიძე რაჭის მთავართა შორის წარჩინებული და შეძლებელი გვარი 27_{3}.

ჯაფარი „სცოცხლობდა ჟამსა როსტომ მეფისასა" 59_{24}.

ჯაყელი სამხრეთ საქართველოს წარჩინებული ფეოდალური საგვარეულო XI-XIII სს, სამცხის მთავრები XIII-XVI სს. 21_{16}, 26_{34}.

ჯორჯაძე მთავართა შორის წარჩინებული და შეძლებელი გვარი 26_{28}.

ჯუანშერი მთავარი, არჩილ მეფის ძე, VIII ს. 8_{15}.

ჯუანშერიანი ძველი მთავართა გვარი 21_{16}.

ჰ

ჰაოს ლეონტი მროველის მიხედვით, კავკასიის ხალხთა ერთ-ერთი ეთნარქი 12_{19}, 122_{36}.

ჰეროსი ლეონტი მროველის მიხედვით, ქართველთა ერთ-ერთი ეთნარქი 12_{22}, 87_{4}, 88_{28}.

ᲒᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚ ᲡᲐᲮᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲫᲘᲔᲑᲔᲚᲘ

ა

აბანო ქართლის რ. $81_{38,40}$.

აბანისწყალი ახლ. ლოპანისწყალი, ფცის ფრონის მარჯვ. შენაკადი $81_{39,40}$.

აბანისხევი ახლ. კაზახსუ, ქციის მარცხ. შენაკადი, წალკის რ. 45_{10}.

აბანისხევი ახლ. წინუბნისწყალი, მტკვრის მარცხ. შენაკადი, ახალციხის რ. $126_{3,4}$.

აბასა ბერძნები უწოდებდნენ აფხაზეთს 171_{42}.

აბაშა რიონის მარჯვ. შენაკადი 149_{1}, $167_{20,22,30}$.

აბიბოს ნეკრესელის მონასტერი ახლ. სოფ. აკრანლოს სანახებში, წალკის რ. 45_{3}.

აბოცი ძველი საქართველოს სამხრეთი პროვინცია, მდ. ახურიანის აუზი, არფას ტაფობი, ამჟამად სომხეთშია $40_{27,28,32,38,40}$, 52_{26}, 132_{9}.

აბოცის მთა ახლ. ბეზობდალის ქედი (სომხეთში) 35_{32}, 39_{27}.

აბულმუგი დაბა, ახლ. ჩასოფლარი, ბოლნისის რ. 42_{3}.

აბუხალო მთა, თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, ქარელის რ. 60_{23}.

აბუხალოსხევი ტყემლოვანისწყალის მარჯვ. შენაკადი, ქარელის რ. 60_{21}.

აგარა სოფელი, ახალციხის რ. 125_{40}.

აგარა ნასოფლარი, ასპინძის რ. 128_{41}.

აგარაკის ეკლესია ახლა სომხეთშია 38_{4}.

აგარანი გარდაბანის მხარის ძველი სახელწოდება 52_{17}.

აგარისხევი ახლ. მდ. ხოტევურას ზემო ნაწილი, ამბროლაურის რ. $159_{36,39}$.

აგლაბარი უბანი თბილისში 56_{17}.

აგლადისხევი ახლ. მდ. ყიზილქილისა, ქციის მარჯვ. შენაკადი, წალკის რ. 45_{6}.

აგლაგარი ახლ. სოფ. ალაგარი, მარნეულის რ. 47_{37}.

აგლევი სოფელი ქარელის რ-ში $81_{35,43}$.

აგჭალა ყოფილი სოფელი მცხეთის რ-ნში, შეუერთდა ქ. თბილისს. ვახუშტი აქვე, ამავე სახელით, მოიხსენიებს მტკვრისპირა ჭალას – აგჭალას $95_{20,21,22}$.

აზავრეთისხევი ახლ. მდ. ძაკრეთი, ახალქალაქის რ. $132_{1,3}$.

აზეულას ციხე იგივე კოჯრის ციხე 50_{8}.

აზრუმი ქალაქი თურქეთში 31_{41}, 122_{5}, $142_{7,37}$.

აზრუმის მთა 123_{17}.

აკაურთა სოფელი, ბოლნისის რ. 42_{19}.

აკეთისწყალი მდ. ნატანების ნაწილი, ოზურგეთის რ. 176_{14}.

აკურისხევი ალაზნის მარჯვ. შენაკადი $100_{25,26}$.

ალავერდი წმიდა გიორგის მონასტერი, ახმეტის რ. $101_{35,39}$, 102_{2}, 105_{38}.

ალაზანი მდინარე კახეთში 88_{40}, $89_{1,16,19,22,26}$, $90_{15,23}$, $96_{23,40}$, $97_{5,11,12,22,32,36,37,40,44}$, $98_{32,34,37,39}$, $99_{8,12,17,21,24,28,29,41}$, $100_{4,15,24,26,30,38}$, $101_{21,26,35}$, $102_{3,6,13,20,30,4,36,37,40}$, $103_{5,20}$.

ალაზანი დიდი იხ. დიდი ალაზანი.

ალაზანი მცირე იხ. მცირე ალაზანი.

ალაზანი პატარა იხ. პატარა ალა-

ზანი.

ალამბარი სოფელი, ქობულეთის რ. $177_{2,3}$.

ალანი მხარე კავკასიონის მთიანეთში 172_{28}, 173_{42}, $174_{1,40}$, 175_{9}.

ალანის კავკასი ვახუშტი გულისხმობს კავკასიონის მთიანეთის ნაწილს, კოდორ-ყუბანის წყალგამყოფს 145_{27}.

ალაღაჯი ადგილი ქვემო ქართლში 38_{19}.

ალგეთი მდ. ქვემო ქართლში $48_{20,32,33,34}$, $49_{3,5,7,15,20,22,32,36}$, $50_{2,3,24}$.

ალგეთის ჴეობა 49_{2}, 50_{20}.

ალევი სოფელი, ახალგორის რ. 66_{25}.

ალევის მთა (ქედი) მდ-ების ქსნისა და არაგვის აუზების წყალგამყოფი 64_{24}, $66_{26,29}$, 67_{2}, $70_{18,33}$, 71_{3}.

ალეწის ციხე ძამის სათავეში, უწოდებენ ალერსის ციხეს 61_{35}.

ალი ვახუშტით, ქალაქი მცირე, ხაშურის რ. 64_{9}, $82_{39,42}$.

ალისსულთანი იხ. წუქეთი.

ალის ციხე ხაშურის რ-ში 82_{43}.

ალისწყალი ახლ. ჭერათხევი, ხაშურის რ. $82_{22,23,35,38}$, $83_{2,6}$.

ალონგვერდი 101_{38}.

ალიონი ველი კახეთში, ბახტრიონის ციხესა და ლალისყურს შორის 87_{18}, 102_{18}.

ამაღლება მონასტერი, ვანის რ. 151_{24}.

ამაღლებისჴევი ახლ. კვინისწყალი, რიონის მარცხ. შენაკადი, ვანის რ. $151_{23,24,26}$.

ამაშუკეთი ახლ. სოფ. ციხისძირი, ხარაგაულის რ. 74_{13}, 84_{26}.

ამაშუკეთისჴევი ახლ. ვაშლევულა ძირულას მარჯვ. შენაკადი, ხარაგაულის რ. 156_{15}.

ამბროლაური რაიონული ცენტრი 159_{24}, 160_{9}.

ამერეთი იგულისხმება აღმოსავლეთ საქართველო 145_{16}.

ამირანის გორა მთა ქ. ახალქალაქთან 132_{17}.

ამირთჴევი მთიულეთის არაგვის მარჯვ. შენაკადი 67_{26}.

ამლივისწყალი ალგეთის მარცხ. შენაკადი, თეთრიწყაროს რ. 49_{21}.

ანაკერტი დაბა, ახლა თურქეთის ტერიტორიაზე, მდ. მაჭახელისწყლის ხეობაში $136_{25,27,31}$, 137_{19}.

ანაკერტისჴევი ახლ. მაჭახელისწყალი, ჭოროხის მარჯვ. შენაკადი $136_{25,26}$.

ანაკოფია ქალაქი და ციხე, ახლ. ახალი ათონის მიდამოებში, გუდაუთის რ. 149_{8}, 167_{21}, $170_{10,21,24,31,36}$, 171_{38}, $172_{3,7,9}$.

ანაკოფიის მდინარე ახლ. ფსირცხა, ახალ ათონთან, გუდაუთის რ. $170_{21,23}$.

ანაკოფიის მთა ახალი ათონის მიდამოებში, გუდაუთის რ. 167_{8}.

ანაკრია ახლ. ანაკლია, ზუგდიდის რ. $168_{37,38}$, $169_{2,3}$.

ანანური ციხე, ეკლესია, დუშეთის რ. $66_{14,19}$, $67_{6,11,12}$.

ანგუსტი დაბა, არღუნის ხეობაში, ჩეჩნეთში $119_{37,42}$.

ანდრაპისჴევი ახლ. ნარდევანი, წალკის რ. 49_{9}.

ანჩა ეკლესია ღვთაებისა, ჭოროხის აუზში, ახლა თურქეთში $136_{17,21}$.

ანჩისხატი ეკლესია თბილისში $55_{8,21}$.

არაგვი (არაგუ) მდ. მტკვრის შენაკადი $62_{13,18,22,23}$, $64_{10,11,15,25,26,30,34}$, $66_{10,18}$, $67_{1,6,11,16,17,26,28,30,38}$, 68_{5}, 86_{19}, $87_{13,21}$, 88_{29}, 92_{27}, 93_{2}, $94_{5,7,16,18,21,23,27,43}$, $95_{6,31}$, $121_{12,16}$.

არაგვი (არაგუ) იგივე თერგი, ლომეკი $68_{35,43}$, $69_{9,12,16,31,37,38,\text{სქ.}}$, 73_{33}, $107_{27,28}$, $113_{23,31}$, $119_{10,11}$.

არაგვი თეთრი იხ. თეთრი არაგვი.

არაგვისკარი ქ. მცხეთის ჩრდ. უბანი 63_{19}.

არაგვისპირი იგულისხმება მდ. არაგვის სანაპირო ადგილები $66_{11,12,13}$.

არაგვის საერისთო ფეოდალური სამფლობელო არაგვის აუზში $26_{8,14}$.

არაგვი შავი იხ. შავი არაგვი.

არაგვი ჴევისა იხ. ჴევის არაგვი.

არაგუ იხ. არაგვი.

არადეთი სოფელი, ქარელის რ-ში $81_{11,12}$.

არაზი მდ., ახლ. არეზი 31_{42}, 35_{27}, $140_{17,20,23}$.

არანისი სოფელი, დუშეთის რ. 66_{17}.

არბოწმიდა ეკლესია, სოფ. შერთულთან, გორის რ. $77_{29,30}$.

არგვეთი იხ. მარგვეთი, დასავლეთ საქართველოს ძველი პროვინცია, დაახლოებით ზემო იმერეთის ტერიტორია 26_{41}, 147_{5}, 148_{12}, $153_{8,28}$, 157_{5}, 162_{42}, $163_{33,36}$, $164_{1,3,4,18,19,21,37,39,44}$, $165_{25,36,43}$, $166_{6,16,25}$.

არგვეთის საერისთო იხ. არგვეთი.

ართვანი ქ. მცირე, ახლ. ართვინი, თურქეთის ტერიტორიაზე 135_{13}, $138_{1,5,7,20}$, 140_{1}.

არმაზი ქალაქი და ადგილი ქ. მცხეთასთან $57_{22,26,29}$, $62_{28,30}$.

არმაზი მთა, კლდოვანი ქედი მცხეთასა და კარსანს შორის, წარმოადგენს თრიალეთის ქედის ერთ-ერთ ჩრდ. (საწკეპელას ქედის) შტოქედს 13_{35}.

არმაზისხევი იგივე არმაზისწყალი, მცხეთის რ. 13_{35}.

არშანი ახლ. სოფ. ალპანა, ცაგერის რ. 150_{18}, 158_{42}, 162_{36}.

არსიანის მთა ქედი, მდ-ბის აჭარისწყლისა და მტკვრის წყალგამყოფი 122_{15}, 124_{40}, $127_{33,43}$, 129_{39}, $130_{2,3,6,9}$, $133_{30,32}$, $134_{13,35}$ $137_{2,6,11,30,33,37}$.

არტანი მხარე ძველ საქართველოში, მდ. არდაპანის მთიანი ტაფობი. ამჟამად თურქეთში 35_{26}, 37_{28}, 121_{30}, 122_{32}, 123_{2}, 124_{36}, 125_{8}, 129_{41}, $130_{1,3,5}$, 131_{15}, $133_{25,32,40}$, $134_{2,7,8,11,15,18,40,44}$.

არტანი ქალაქი მცირე, ციხე და ეკლესია, ახლ. არდაპანი, თურქეთში 133_{41}.

არტანის მთა ახლ. თურქეთში 131_{18}.

არტანის საერისთო 135_{2}.

არტანუჯი ქალაქი მცირე, ციხე და ეკლესია პეტრე-პავლესი, ჭოროხის აუზში, ახლ. ადაყალე, თურქეთში 21_{24}, 121_{24}, 122_{27}, 130_{5}, $134_{14,37}$, $137_{20,32}$, $138_{29,32,33,35,39,41}$, $139_{3,7,8,9,15,17}$.

არტანუჯის მდინარე ახლ. არდანუჩსუ, ჭოროხის აუზი, თურქეთში $138_{29,34}$, $139_{1,19}$.

არქევანი ქალაქი, მდებარეობდა მაშავერის შესართავთან, ქციას მარჯვ. ნაპირზე, თავდაპირველად იყო სანადირო ქალაქი, შემდეგ ქაიზიანი და, ბოლოს, არქევანი $38_{33,43}$.

არუხლოსხევი მდინარე, დმანისის რ. 43_{6}.

არშა ციხე და სოფელი ყაზბეგის რ-ში $69_{10,13}$.

არწივანი ახლ. ჯინისი, წალკის რ. 45_{1}.

არჯანის მთა ჯავახეთის ქედის სამხრეთი გაგრძელება, დებედა-ახურიანის წყალგამყოფი 40_{7}.

ასანური სოფელი, სიღნაღის რ. $98_{26,37}$.

ასანყალა ქალაქი, იგივე ბასიანი $140_{20,31}$.

ასკანის ციხე ოზურგეთის რ-ში 176_{16}.

ასპარეზი საჯირითო — სასპორტო მოედანი ძველ თბილისში 56_{12}.

ასპინძა რაიონული ცენტრი $128_{40,42}$.

ასპინძისხევი ახლ. მდ. ოთა $128_{38,40,43}$, $124_{1,2,4}$.

ასურეთისხევი თეთრიწყაროს რ-ში $50_{3,13}$, 52_{13}.

ატენი ქალაქი მცირე და ციხე, გორის რ. $59_{10,16}$.

ატენის მდინარე ახლ. ტანა, გორის რ. $59_{1,15}$.

ატენისწყალი იხ. ატენის მდინარე 58_{40}, $59_{4,6}$.

ატენის ხეობა მდ. ტანას აუზი, გორის რ. $59_{1,6,27}$, 60_{42}.

ატოცი დაბა და ეკლესია წმიდა გიორგისა, ქარელის რ-ში 42_{14}, 81_{42}, 154_{22}.

აფხაზეთი დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა მხარე 20_{7}, 22_{43}, 25_{18}, $27_{21,26}$, $145_{2,4,8,10,12,15,16,19,33}$, $148_{1,5}$, $167_{15,35}$, 168_{12}, $169_{27,28}$, $170_{4,26,30}$, $171_{27,38,42}$, $172_{2,14,30,31}$, $173_{23,29}$, 175_{13}, 177_{35}.

აღაიანის მინდორი მტკვრისპირა ვაკე შიდა ქართლში 65_{34}.

აღაცისწყალი ახლ. მდ. ააფსთა, გუდაუთის რ. $172_{9,10}$.

აღბაბას მთა ვახუშტით, ქართლისა და ყარსის საზღვარზე, ამჟამად სომხეთ-თურქეთის საზღვარზე, გუკასიან-ძეც 40_{38}.

ალისტეფე მდინარე, ახლ. ალსთაფა, აზერბაიჯანში 36_{5}.

ალჯაყალა ციხესიმაგრე, დებედას ხეობაში, მარნეულის რ. 36_{25}.

აშატურთკარი სოფ. და ციხე, ახლ. აშატური, ცხინვალის რ. $72_{8,10}$.

აშურიანი სოფელი, მდებარეობდა ახლ. ზეგარდის სანახებში, გორის რ. 74_{22}.

